



IV. JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY  
ARN. CHIKOBAVA INSTITUTE OF LINGUISTICS

ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ  
ИМ. ИВ. ДЖАВАХИШВИЛИ  
ИНСТИТУТ ЯЗЫКОЗНАНИЯ ИМ. АРН. ЧИКОБАВА

## **IBERO-CAUCASIAN LINGUISTICS**

**XLI**

**Иберийско-кавказское языкознание**

**XLI**

Tbilisi 2013 Тбилиси

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

# იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

XLI

თბილისი  
2013

## **მთავარი რედაქტორი**

ვაჟა შენგელია

## **Editor-in-chief**

Vazha Shengelia

## **სარედაქციო კოლეგია**

ავთანდილ არაბული  
მარინე ბერიძე  
გიორგი გოგოლაშვილი  
ლალი ეზუგბაია  
თამარ ვაშაკიძე  
გუჩა კვარაცხელია  
ნანა მაჭავარიანი  
ლია ქაროსანიძე  
მედეა ლლონტი  
მერაბ ჩუხუა

## **Editorial Board**

Avtandil Arabuli  
Marine Beridze  
Giorgi Gogolashvili  
Lali Ezugbaia  
Tamar Vashakidze  
Gucha Kvaratskhelia  
Nana Machavariani  
Lia Karosanidze  
Medea Glonti  
Merab Chukhua

მ ი ს ა მ ა რ თ ი :

0108 თბილისი, ინგოროყვას ქ. 8  
არნ. ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

A d d r e s s :

0108 Tbilisi, Ingorokva str. 8  
Arn. Chikobava Institute  
of Linguistics

E-mail: kontakt@ice.ge

## **რეცენზენტები**

ლატავრა სანიკიძე  
ცირა ჯანჯღავა

## **Reviewers**

Latavra Sanikidze  
Tsira Janjgava

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ISBN

## შინაარსი — CONTENTS

ა. არაბული, ლ. ბინიაშვილი, ლ. სოხაძე, ერთი ტიპის ქცევის ფორმათა გრამატიკული ომონიმის ასახვისათვის „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ .....	9
A. Arabuli, L. Biniashvili, L. Sokhadze, Towards the reflection of grammatical homonymy of the forms of one type of version in GED .....	24
ბ. არდოტელი, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ საკუთარ სახელთა ქართულად გადმოცემისა და მართლწერისათვის .....	25
N. Ardoteli, Toward the translating and spelling of Avar-Andi-Dido proper names into Georgian .....	29
მ. ბუკია, ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან. VIII. ზღვასთან დაკავშირებული ლექსიკა .....	30
M. Bukia, From the history of Georgian-Abkhazian lingvo-cultural relations – VIII vocabulary of terms related to see .....	41
თ. ბურჭულაძე, ვით თანდებულიანი უბრალო დამატებისა და ვითარების გარემოების გამიჯვნისათვის .....	42
T. Burchuladze, Toward the demarcation of a simple object with a vit postposition from an adverbial modifier .....	47
ე. გაზდელიანი, ზედსართავი სახელის ჯგუფები და ხარისხები სვანურში .....	48
E. Gazdeliani, Groups and degrees of an adjective in Svan .....	65
ლ. გიგლემიანი, კითხვითი და მიმართებითი ზმნისართები სვანურ დიალექტებში .....	66

L. G i g l e m i a n i, Interrogative and relative adverbs in the Svan dialects .....	72
გ. გოგოლაშვილი, ანა კალანდაძე და ქართული ენა .....	73
G. G o g o l a s h v i l i, Ana Kalandadze and Georgian language .....	79
ლ. ეზუგბაია, მესამე პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების მიმართებისათვის მეგრულ-ლაზურში .....	80
L. E z u g b a i a, On the relationship between third person and demonstrative pronouns in Megrelian and Laz .....	93
თ. ვაშაკიძე, აღწერითი კაუზატივისათვის ძველ ქართულში .....	94
T. V a s h a k i d z e, Towards a descriptive causative in Old Georgian .....	98
რ. ლოლუა, ბრუნვის კატეგორია კავკასიის ალბანურში (ისტორიულ- შედარებითი ანალიზი) .....	99
R. L o l u a, Declension category in Caucasian Albanian (historical-comparative analysis) .....	118
ნ. მაჭავარიანი, მორფოლოგიური იზოგლოსები ქართული და აფხაზური ენების ზმნურ კონსტრუქციებს შორის — 2 .....	119
N. M a c h a v a r i a n i, Morphological Isoglosses in Georgian and Abkhazi- an Verbal Constructions – 2 .....	129
თ. მახარობლიძე, ვერსიის კატეგორიის თავისებურებანი .....	131
T. M a k h a r o b l i d z e, Irregular forms of the category of version .....	136
ს. ომიადე, დისკურსული კომპეტენციის დეფიციტი პოლიტიკურ რიტორიკასა და მასმედიის ენაში .....	138
S. O m i a d z e, Deficit of discursive competence in political rhetoric and mass media language .....	143
ე. ოსიძე, აფხაზური აძე „წყალი“ ფუძის წარმომავლობისა და ქარ- თული ზღვა, სვანური სვიმ „მჟავე წყალი“ ფუძეთა ავებულე- ბისათვის .....	144

E. O s i d z e, Towards the origin of Abkhazian აჷ ‘water’ stem and structure of Georgian ჳუ va and Svan sgm ‘carbonated water’ stems .....	148
მ. საღლიანი, სვანური ფრაზეოლოგიური გამონათქვამების შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა .....	150
M. S a g l i a n i, Present state of studying the Svan phraseological expressions	171
თ. ტეტელოშვილი, ტრანსლაციასთან (სუბსტანტივაცია-ადიექტივაციასთან) დაკავშირებული რამდენიმე საკითხისათვის ....	172
T. T e t e l o s h v i l i, Some issues on transference (substantivization and adiectivization) .....	186
Л. Т у п ц о к о в а, О некоторых глагольных частицах адыгейского языка .....	187
L. T u p t s o k o v a, On some verbal particles in Adyghe .....	191
რ. ფარეულიძე, ბრუნვათა სისტემა და ე. წ. „მედარებითი ბრუნვა“ ჩეჩნურში .....	193
R. P a r e u l i d z e, Toward the cases system and the issue of so called "comparative case" in Chechen .....	196
ნ. ფონიავა, აბაზურ ზმნურ ძირთა თანხმოვანკომპლექსები .....	197
N. P o n i a v a, The Consonant Clusters of Abaza Verbal Roots .....	208
ნ. შავრეშიანი, მ. საღლიანი, ასინდეტური ქვეწყობილი წინადადებისათვის სვანურში .....	209
N. S h a v r e s h i a n i, M. S a g l i a n i, Towards an asyndetic subordinate clause in Svan .....	221
ო. ჩაჩანიძე, მსოფლიოს ენები XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე: ხედვა საქართველოდან (იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ მიხედვით) .....	222
I. C h a c h a n i d z e, Languages of the World at the Turn of the 18 <sup>th</sup> and 19 <sup>th</sup> Centuries a View from Georgia .....	228

---

რ. ჭკადუა, მრავალჯისობის ფორმოზრვი გამონატვა და ძირითადი ფუნქციები სვანურში .....	229
<b>R. Chkadia, Form expressing and basic functions of iterativeness .....</b>	<b>235</b>
ნ. ხახიაშვილი, ნუსხვა სიტყვის სემანტიკისათვის .....	236
<b>N. Khakhiaashvili, Towards the semantics of the word nusxva .....</b>	<b>241</b>
ნ. ჯორბენაძე, -ავ თემისნიშნისანი საშუალი გვარის ზმნათა სემანტიკისა და ნორმატიულობის საკითხისათვის .....	243
<b>N. Jorbendze, Toward the issue of semantics and normative feature of the middle voice verbs with -av theme-marker .....</b>	<b>250</b>



ავთანდილ არაბული, ლალი ბინიაშვილი, ლიდა სოსამე

**ერთი ტიპის ქცევის ფორმათა გრამატიკული თმონიმის  
ასახვისათვის „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“**

განმარტებითი ლექსიკონის სათანადო მეცნიერულ საფუძველს ქმნის იმ გრამატიკული სისტემის რაც შეიძლება ზუსტად ასახვა, რომელიც შესაბამისი ენის შინაგან ბუნებას გამოხატავს. ლექსიკონის აკადემიური ღირებულება პირდაპირ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ზუსტად არის ის გამოხატველი ამ ენის სისტემისა და სტრუქტურისა. გრამატიკული სისტემის ადეკვატური ლექსიკოგრაფიული ასახვის ძირითადი პირობაა ამა თუ იმ ლექსიკონის სალექსიკონო პრინციპები და სხვადასხვა ლექსიკურ-გრამატიკული სპეციფიკის ამსახველი კვალიფიკაციათა სისტემა.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ კვალიფიკაციათა სისტემა-სა და ძირითად ლექსიკოგრაფიულ პრინციპებში თავის გამოხატულებას პოვებს ის თავისებურებები, რაც ქართული ენის მარკირებული ქცევის ფორმების საკმაოდ რთული სურათის წარმოდგენასთან არის დაკავშირებული.

ამგვარად მარკირებულ ქცევის ფორმათა გრამატიკული (სემანტიკური) ნეიტრალიზაციის შემთხვევებთან ერთად, საკმაოდ საინტერესოა ისეთი იშვიათი მაგალითები, როდესაც გარდამავალი ზმნის სასუბიექტო ქცევის ფორმა (როგორც წესი, ორპირიანი) პირის კლების შედეგად მთლიანად იძენს ამოსავალი წყობის კონვერსიულ, ანუ ვნებითის შინაარსს. შდრ.:

**წაიწევ**-ს გრძმ. 1. (**წაიწია**, '**წაუწევია** თავისი') სუბ. ქც. წ ა ს წ ე ვ ს ზმნისა — წასწევს თავისას. სახელოები წაიწია და მუშაობა დაიწყო.

2. (**წაიწია**, იყენ. **წაწეულა**) წინისკენ გაიწევს (იხმარება ჩვეულებრივ წ ი ნ სიტყვასთან ერთად). [თოლიამ] ხან აქეთ მიიბრინა უფსკრულის პირად, ხან იქით, მრავალჯერ წაიწია წინ (**ი. ელეფთ.**). II დაწინაურდება, წარმატებას მიიღებს (სამსახურში...). წინ წაიწია — მიიღო უფრო დიდი [სამხედრო] ნაწილი (**დ. კლდ.**).

შდრ.:

**წაიწევ**-ა (წაიწია, წაწეულა) გრძლუვ. ვნებ. წ ა ს წ ე ვ ს ზმნისა: 1. წინ გაიწევა, წასწევს. 2. იგივეა, რაც წ ა ი წ ე ვ ს (მნიშვ. 2).

როგორც ვხედავთ, **წაიწევ**-ს (მნიშვ. 2) ფორმალურად **წაიწევ**-ს (მნიშვ. 1) ერთეულს ეწყვილება, ხოლო სემანტიკურად (ლექსიკურად) — **წაიწევ**-ა

ფორმას. საგულისხმოა ზმნური სტრუქტურის ტრანსფორმაციის ის სურათი, რომელსაც I და II მნიშვნელობის შეპირისპირება წარმოგვიდგენს: პირდაპირობიექტური პირისა (მას) და სასუბიექტო ქცევის გაგება იკარგება (ანულირდება) და ეს აისახება არა მხოლოდ განმარტებაში, არამედ შესაბამის ფორმათა მითითებაში: I თურმეობითი შესაძლებელია ფორმალურად კვლავაც არსებობდეს „წაუწევია“, მაგრამ სასუბიექტო ქცევის პირიანობის ამსახველი კუთვნილებითი ნაცვალსახელის გარეშე; ამავე დროს, I თურმეობითის ფორმად გამოყენებულია ერთპირიანი ზმნის აღწერითი ვარიანტი: „წაწეულა“.

ანალოგიური ტრანსფორმაციის რამდენიმე აშკარა შემთხვევა ვლინდება და ქველში (ძველსა და ახალ რედაქციაში) ამგვარი ვითარების ლექსიკოგრაფიული ასახვის რამდენიმე შესაძლებლობა დასტურდება:

1. აღნიშნული სახის სემანტიკური ტრანსფორმაცია არსებითად ლექსიკოგრაფიული რეაგირების გარეშეა დატოვებული:

**მოიწევს 1.** (მოიწია, «მოუწევია თავისთვის ან თავისკენ») გრძმ. სუბ. ქც. მოსწევს ზმნისა: 1. მოსწევს (მნიშვ. 1, 2) თავისთვის ან თავისკენ, — მოიზიდავს. პატარამ ბლის ტოტი მოიწია. — ბოლოს [მისს დარტლი] დაჯდა, სწრაფი და მოულოდნელი მოძრაობით მოიწია არფა და დაუკრა (**ქ. ბაქრ.** თარგმ.). 2. მცირე მანძილზე ადგილს გადმოინაცვლებს (იქიდან აქეთ), — გადმოადგილდება. ცეცხლისკენ მოიწიე! 3. მოსწევს (მნიშვ. 4) თავის თავს, — დაიმართებს, შეიმთხვევს რასმე. „სახლს მიხედე, ჩემო ცუცუკა, ბავშვმა არაფერი მოიწიოს!“ (**დ. კლდ.**). „ბოშო, არსად წახვიდე, ქალს თვალი არ მოაშორო, არაფერი მოიწიოს!“ (**რ. გვეტ.**). 4. მოიყვანს, მიიღებს (მოსავალს). კოლმეურნეობამ უხვი მოსავალი მოიწია. — ისეთი მოსავალი მოიწიეს ყანებიდან და ბაღ-ვენახებიდან, რომ ხუთი წლისას სჯობდა (**ბ. ჩხ.**). II შემოვა, დამწიფდება. „იციო, როდის ჯობია თქვენთვის იქ წამოსვლა? თხილი რომ მოიწევს, მაშინ“ (**გ. ბარნ.**). **2.** (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრძლუვ. სტატ. მოდის, მოემართება. [დევ] მოიწევდა... ნანგრევებისკენ (**გაუა.**). [ქალი] მდინარისაკენ მოიწევდა და თანდათან მიახლოვდებოდა (**ა. ჭუმბ.**).

არსებითად ასეთივეა **გაიწევს-ს, გამოიწევს-ს** ზმნათა ძველი რედაქციის სალექსიკონო სტატიები, იმ განსხვავებით, რომ კვალიფიკაცია [სუბ. ქც.] მხოლოდ პირველ მნიშვნელობასაა მიკუთვნებული:

**გაიწევს-ს** (გაიწია, გაუწევია «თავისი ან თავისთვის») გრძმ. 1. სუბ. ქც. გასწევს ზმნისა — გასწევს თავისას ან თავისთვის, — ძალის მიყენებით თავისკენ წაიღებს, გაითრევს. ყველანი დასხდებიან და გოგია სკამს შორს გაიწევს (**ზ. ანტონ.**). 2. მცირე მანძილზე ადგილს გადაინაცვლებს (აქედან იქით), — გადაადგილდება. მერე ცეცხლისკენ გაიწევს შემძრალი, შენაციები (**გ. ლეონ.**). შებმულმა ხარბმა ყურები ცქიტეს და გვერდზე გაიწიეს (**ს. შანშ.**). 3. წასვლას დააპირებს, წასვლას დაიჟინებს, წასასვლელად დაეპირება. [პეპიამ] გაიწია შინ შესასვლელად. მე ხელი მოკვიდე და შევაყენე (**ილია.**) II გადატ. დააპირებს, განიზრახავს რისამე

შესრულებას. ◊ **შორს გაიწევს** გადატ. დაწინაურდება, წინ წავა (სამსახურში, საქმეში). „შენ შორს გაიწევ, არკადი, ვგრძნობ მე ამას!“ (**ს. კლდ.**).

**გამოიწევს**-ს (გამოიწია, «გამოუწევია თავისი ან თავისთვის») გრძმ. 1. სუბ. ქც. გ ა მ ო ს წ ე ვ ს ზმნისა — გამოსწევს თავისთვის ან თავისკენ, იქიდან აქეთ მოიწევს (რასმე). სკამი გამოიწია. 2. იგივეა, რაც გ ა მ ო ი წ ე ვ ა (მნიშვ. 2).

2. კვალიფიკაცია (ქცევაზე მითითება) საერთოა, პირთა ვითარება და გრამატიკული შინაარსი ცალ-ცალკე აისახება:

**იწევს** გრძმ. სუბ. ქც. ს წ ე ვ ს ზმნისა: 1. («გა<sup>1</sup>იწია, «გა<sup>1</sup>უწევია თავისთვის ან თავისკენ») სწევს თავისკენ ან თავისთვის, — ეწევა. II ფიგურ. „იწიე კამბეჩით უღელი, მინას პეტრუხოვიჩი!“ (**ზ. ანტონ.**). ◊ **თავისკენ, თავის ჯიბისკენ იწევს** ყველაფერს თავისკენ, თავის ჯიბისკენ ეწევა, ცდილობს ყველაფერი თვითონ ჩაიგდოს ხელში. „ვის მივმართო, ვინ მოიცლის ჩემთვის, როცა ყველანი თავის ჯიბისკენ იწევენ და იღწვიან — როგორმე გაივსონ“ (**შ. არაგვ.**). როგორ შეიძლება აღამიანმა ცხოვრება ისე გაატაროს, მხოლოდ თავის თავს იცნობდეს, სულ თავისაკენ იწევდეს და სხვას არაფერი არგოს? (**გ. ბარნ.**). 2. (აიწია, «აუწევია თავისი» ან დაიწია, «დაუწევია თავისი») სწევს თავისას ზევით ან ქვევით. სახელოებს იწევს. — შარვლის ტოტებს იწევს. 3. (გაიწია, გაუწევია) ვრცელდება, იზრდება (რაიმე მიმართულებით); იჭიმება, იწელება, იზიდება. ჭიკაძემ იწია, იწია და შუაზე გაწყდაო (**ანდაზა**). [ფიფი] იზრდებოდა, იბერებოდა, სულ განგან იწევდა (**თ. რაზიკ.**). 4. (აიწია, აუწევია) მიდის, მიემართება მაღლა. როცა ჰაერსა ვყლაპავთ, მაშინ ჩვენი მკერდი მაღლა იწევს, განიერდება (**ი. გოგებ.**). ხარატანთ საკვამურიდან კვამლის სვეტი ამოდიოდა, ცისკენ იწევდა, თავს დასტრიალებდა სოფელს და ცის ლაყვარდში იკარგებოდა (**მიხ. მრეველ.**). II ფიგურ. ...რევოლუცია მაღლა იწევს... (**სტალინი**). ◊ **თავში იწევს** საუბ. ყოყოჩობს, ქედმაღლობს, თავი მოაქვს (რადმე). [მამლაყინწა] ძალიან იწევს თავში, თავს შეჭკრავს სადმე! (**თ. რაზიკ.**). 5. (დაიწია, დაუწევია) ეშვება დაბლა; იხევს უკან. არწივი ნელ-ნელა დაბლა იწევდა (**ვაჟა**). II ქვეითდება. ოთარის ოჯახი უკან-უკან იწევდა (**გ. ბარნ.**). 6. (მიიწია, «მიუწევია ვინმეზე» და გაიწია, «გაუწევია ვინმეზე») ცდილობს წაეჩხუბოს, წაეკიდოს ვისმე. ხმლებს დაეძებენ, ფარს იბლუჯავენ, მტერზე იწევენ გრძელტარა შუბით (**გ. ლეონ.**). 7. (მოიწია, მოუწევია) იღებს (მოსავალს). კოლმეურნეები უხვ მოსავალს იწევენ. 8. (მხოლოდ ნაკვთა აწმყოს წყებაში) ცდილობს წავიდეს, — მიიწევს, მიეშურება; მიისწრავის. [შავარდენი] იზიდებოდა, იწევდა იქით, საითაც ქორი გაფრინდა (**ვაჟა**). სასაცილო არის ეს ამბავი: კაცი სიტყვით წინ იწევდეს... საქმით-კი ფეხები დამბლასავით უკან რჩებოდეს! (**ილია**). II ფიგურ. გულიც იქ იწევს, თვალიცა, სადაც მაღალი მთებია (**ვაჟა**). ◊ **წასასვლელად იწევს** ცდილობს წავიდეს. დიდხანს იწევდა ტარიელი წასასვლელად, მაგრამ ამხანაგების რჩევამ დააბრუნა უკან (**ე. ნინოშ.**).

როგორც ვხედავთ, სტატია აგებულია საზიარო აწმყოს პრინციპით და ზმნისწინიან ფორმათა შემოტანა საკმაოდ რთულ სურათს იძლევა. აქ მთავარი

ის არის, რომ გარდამავალი ზმნის სასუბიექტო ქცევის ფორმალური გაგება შენარჩუნებულია (საერთოა) ტრანსფორმირებულ ვარიანტებშიც, თუმცა შესაბამის ზმნისწინიან ფორმათა ჩვენებისას უკუქცევითი ნაცვალსახელი აღარ ჩანს.

3. ქცევინი (ორპირიანი) და უქცეო (ერთპირიანი) ფორმები მნიშვნელობებად არის გამიჯნული, ოღონდ ეს ცვლილება პარადიგმაზე, მწკრივის ფორმებზე არ აისახება; გარდამავალი ზმნის ქცევაზე მიეთითება მხოლოდ პირველ შემთხვევაში (უკუქცევითი ნაცვალსახელითა და გრამატიკული კვალიფიკაციით), მეორე შემთხვევაზე (სემანტიკურ ტრანსფორმაციაზე) კი განმარტება მიაწინებს, კერძოდ, მიეთითება ან განმარტება იმავე ზმნის ვნებითის (სინონიმური) ფორმით; მაგ.:

**გადმოიწევს**-ს გრდმ. 1. (გადმოიწია, გადმოუწევია «თავისი») სუბ. ქც. გადმოსწევს ზმნისა გადმოსწევს, გადმოლუნავს თავისას ან თავისკენ. 2. (გადმოიწია, გადმოუწევია) იგივეა, რაც გადმოიწევსა.

**გადაიწევს**-ს გრდმ. 1. (გადაიწია, გადაუწევია «თავისი ან თავისთვის») სუბ. ქც. გადასწევს ზმნისა ადგილს შეუცვლის თავისას, — გადაიდგილებს. [ონისეს] გადაეწია ქუდი და გახურებული შუბლი... ქარისათვის მიეშვირა (**ა. ყაზბ.**). 2. გადაიხსნის, გადაილეღავს. „მომკალ, მომკალ!“ — დასძახა [ონისემ] და მკერდი უფრო მეტად გადაიწია (**ა. ყაზბ.**). საშინაო ხალათის კალთა გადავიწიე (**ე. ყიფ.**). ქალიშვილმა ნაცრისფერი ხალათის სახელო გადაიწია (**ა. სულაკ.**). [მოხუცმა] თვითონ გადაიწია თავზე წამოხურული შალი (**გ. ჩხიკვ.**). 3. (გადაიწია, გადაუწევია) გადაიწევა, გადაიხრება, გადაიზნიქება. წყალში გასვლისას ერთმა ურემმა გვერდზე გადაიწია (**ი. გოგებ.**). ველარ გაუძლო იფანმა ტკივილს, ერთი დაიკვნესა, კლდეზე გადაიწია (**გ. ჩოხ.**). 4. გადაადგილდება, საითკენმე გაიწევს, გადაიწევა. ქვის კედელთან ჩაიშხლა და ასე იჯდა, სანამ ყველაფრისადმი გულგრილმა მზემ თავის მარადიულ გზაზე არ გადაიწია (**ჯ. ქირ.**).

**გამოიწევს**-ს გრდმ. 1. (გამოიწია, გამოუწევია «თავისი ან თავისთვის») სუბ. ქც. გამოსწევს ზმნისა იქიდან აქეთ მოიწევს (რამეს). სკამი გამოიწია და დაჯდა. ◊ **ყელს გამოიწევს** შეეხვეწება, რაიმეს ითხოვს. [გაბომ] ყელიც გამოიწია, ნაღდი სავენახე მიწა მაინც გამომიძებნეთო (**კ. კობ.**). 2. (გამოიწია, გამოუწევია) იგივეა, რაც გამოსწევს (მნიშვ. 2). [მიმინომ] ტბისპირა საყანურები მიიფრინ-მოიფრინა, აქაობით თვალ-გული იჯერა და კვლავ შენსკენ გამოიწიო (**გ. ბედ.**). ნეტავ რომ შემხვდეს სადმე, აღარ გამოიწევს ჩემსკენ, აღარ გამიცინებს თავისებურადო (**„ლიტ. საქ.“**).

ზოგ შემთხვევაში განმარტებაში შესაბამისი ვნებითის სინონიმური ფორმა არა ჩანს, თუმცა შესაბამის ადგილას ის დასტურდება; შდრ.:

**ჩამოიწევს**-ს გრდმ. 1. (ჩამოიწია, ჩამოუწევია თავისი) სუბ. ქც. ჩამოსწევს ზმნისა — ჩამოსწევს თავისას, თავისაზე ან თავისთვის. თველორამ... ჩამოიწია თავისი დაგლევილი ქუდი თვალებზე (**ვაჟა**). 2. (ჩამოიწია, ჩამოუწევია)

ზევიდან გადმონაცვლებს, ჩამოეშვება. „რამდენად ჩამოიწია თოვლმა, მას ვზომავთ თვალითა“ **(ვაჟა)**.

4. ცალკე უნდა გამოიყოს ის შემთხვევა, როდესაც ერთპირიანად ტრანსფორმირებული ორპირიანი (გარდამავალი) ზმნა საუღლებელ პარადიგმაში ავლენს განსხვავებას და ქვეგლის შესაბამის სტატიამი მითითებული განსხვავება აისახება | თურმეობითის სათანადო ფორმებით. ოღონდ ეს პარადიგმატული რყევა ორგვარად არის ფიქსირებული: ერთ შემთხვევაში | თურმეობითის ორივე (ორგანული და აღწერითი) ფორმა არის მოყვანილი, მეორე შემთხვევაში — მხოლოდ ახალი (აღწერითი) წარმოება; შდრ.:

ა) **გაიწევა**-ს გრძმ. 1. (გაიწია, გაუწევია 'თავისი ან თავისთვის') სუბ. ქც. გ ა ს წ ე ვ ს<sup>1</sup> ზმნისა თავისკენ წაიღებს, გადაადგილებს, მოსწევს, გაითრევს. ყველანი დასხდებიან და გოგია სკამს შორს გაიწევს **(ზ. ანტონ.)**. 2. (გაიწია, გაუწევია ან გაწეულა) იგივეა, რაც გ ა ი წ ე ვ ა (მნიშვ. 1). მერე ცეცხლისკენ გაიწევს შემძრალი, შენაციები **(გ. ლეონ.)**. შებმულმა ხარებმა ყურები ცქვიტეს და გვერდზე გაიწიეს **(ს. შანშ.)**. მათიკო... მორიდებით გაიწევს გვერდზე **(რ. ინან.)**. 3. წასვლას დააპირებს, წასვლას დაიჟინებს, წასასვლელად დაეპირება. [პეპიამ] გაიწია შინ შესასვლელად. მე ხელი მოვიკიდე და შევაყენე **(ილია)**. თქვა მან ეს და კიდევაც გაიწია წასასვლელად **(რ. ჯაფ.)**. II ეცდება წავიდეს; რაიმესთან მივიდეს. ცხენმა მდინარისაკენ გაიწია **(ნ. ლომ.)**. ხარებმა ბალახისაკენ გაიწიეს და ურემი თხრილში ჩაადგეს **(ს. შანშ.)**. ფიგურ. ხალხიც სიმართლისაკენ გაიწევს **(აკაკი)**. 4. გადატ. იგივეა, რაც გ ა ი წ ე ვ ა (მნიშვ. 3). ქალმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარი ვერ დაიჭერსო **(ანდაზა)**. გაიწია ყავარჯინანმა ბესარომ ცხვარში, მაგრამ, აბა, ცალფეხა ყმაწვილი რის მაქნისი იყო, ვინ დაანება **(ა. გალდ.)**. II გაიქაჩება (საჩხუბრად). [ბეჩირას] ეგონა... გაახსენებდნენ, თავმჯდომარეზე რომ გაიწია ერთხელ **(გ. ბუთხ.)**. იოთამს სხვაც ბევრი უთქვამს — სულ სალანძღავი და მაგარ-მაგარი, საცემადაც გაწეულა **(ა. სულაკ.)**. **შორს გაიწევს** დაწინაურდება, წინ წავა (სამსახურში, საქმეში). შენ შორს გაიწევ, არკადი, ვგრძნობ მე ამას! **(ს. კლდ.)**.

ბ) **შეიწევა**-ს<sup>1</sup> გრძმ. 1. (შეიწია, რეუწევია თავისი, თავისთვის, თავისკენ) სუბ. ქც. შ ე ს წ ე ვ ს<sup>1</sup> ზმნისა — შეწევს თავისას, თავისთვის, თავისკენ, — წევით შიგნით, თავისკენ მოიქცევს; გაიწევს, წაიწევს. [სტუმარმა] შეიწია პიჯაკის სახელოები **(დ. კლდ.)**. 2. (შეიწია; იყენ. შეწეულა) იგივეა, რაც შ ე ი წ ე ვ ა. „სასამართლოში შუადღემდის ხომ არ შეგიშვებენ, მე უწინდებურად შევიწიე“ **(გ. ერისთ.)**.

**ამოიწევა**-ს გრძმ. სუბ. ქც. ა მ ო ს წ ე ვ ს ზმნისა 1. (ამოიწია, ამოუწევია 'თავისი ან თავისთვის') ამოსწევს თავისას ან თავისთვის. პაჭიკები ამოიწია **(კ. გამს.)**. გავა წვება, საბანს ამოიწევს, ცხვირამდე ამოიტანს **(რ. ინან.)**. 2. (ამოიწია, ამოწეულა) იგივეა, რაც ა მ ო ი წ ე ვ ა, — ამოვა, ამომადლდება. ჯერ ურმის ზედადგარმა ამოიწია წყლიდან **(რ. ჯაფ.)**. სადმე ბუჩქიდან ბაბალეს თავი ამოიწევს და დაიძახებს **(მ. ჯავახ.)**. ჯეჯილმა ამოიწია, გადვა ბორჯი და ძირია **(ი. ევდ.)**. [თინამ] გაზიდან ქეთლი გადმოდგა, რძემაც ამოიწია **(რ. ინან.)**. **მზე ამოიწევს** მზე ამოვა, შემაღლდება. მზემ ამოიწია და ხეთა ჩრდილები მიწაზე ირწევიან **(ს. დემურს.)**.

ასეთივე დასაწყისში მოყვანილი **წაიწვევ**-ს ზმნის მაგალითი.

5. როგორც ვხედავთ, ყველა წინა შემთხვევა ერთ სტატიად წარმოადგენს ერთი და იმავე ზმნის ამოსავალსა და ტრანსფორმირებულ ვარიანტებს და ამ ერთი სტატიის ფარგლებში ცდილობს ასახოს აღნიშნული ტრანსფორმაციის რთული სურათი. შესაძლებელია აღწერილი ვითარება წარმოდგენილი იყოს სალექსიკონო მოდფორმების სახით:

**აიწვევ**-ს<sup>1</sup> (აიწია, აუწვევია «თავისი») გრდმ. სუბ. ქც. ა ს წ ე ვ ს ზმნისა ასწვევს თავისას. გველი... მიცოცდა ჯავთან, აიწია თავი მაღლა და ენა გადმოაგდო (**ვაჟა**). აიწია კაბის კალთა, ხელი ჯიბეს დაისწორა, ამოიღო წყვილი ვაშლი და ცალ-ცალკე გაუგორა (**შ. მღვიმე**). **ღ მხრებს აიწვევს** იგივეა, რაც მ ხ რ ე ბ ს ა ი ჩ ე ჩ ს. „რაი მიჭირს?“ — ამოხვრით მოუგო მაცვალამ და მხრები აიწია: — „სახლი მაქვს და ქმარი მყავს!“ (**ა. ყაზბ.**). [ნენემ] სიამოვნების ნიშნად მხრები აიწია (**ს. მგალობ.**). **ღ ცხვირს აიწვევს** იუკადრისებს რასმე. **ღ ტუჩს აიწვევს** იგივეა, რაც ც ხ ვ ი რ ს ა ი წ ე ვ ს. საკაბე გადააბრუნ-გადმოაბრუნა და მედიდურად ტუჩი აიწია (**ი. ეკალ.**).

**აიწვევ**-ს<sup>2</sup> (აიწია, აუწვევია, იყენ. აგრეთვე აწვეულა) გრდმ. 1. აიმართება, მაღლა დადგება, აიწვევრება. ავიწიე, მაგრამ ვეღარ ვიწვევ, შიგნით წყალში რალაც მეზიდება (**ვაჟა**). არწივმა აიწია, აფრინდა (**ვაჟა**). მზემ აიწია ცაზედა, ნისლებმ დაწირეს ხეები (**ვაჟა**). 2. მოიმატებს. ტემპერატურა შუადღისათვის აიწვევს ხოლმე. — მიწის ღალამ აიწია (**ილია**). საქონლის ფასებიც ერთიორად აიწვევს (**ილია**). 3. აიყრის (ტანს), წამოიზრდება. ისე აიწია ნათესმა, რომ ღეროები თითქმის ღობის ნახევრობამდე ამაღლდნენ (**ი. მაჭავ. თარგმ.**). II გაიმართება. იამ აიწია, წელში გასწორდა, მაგრამ ვაი ამ გასწორებას, ფეხზე მდგომს მკვდარსა ჰგავდა (**თ. რაზიკ.**). 4. ამოვა, გაფუფღება (ცომი). ცომმა აიწია. — ხელს რომ დააჭერთ ცომს, ისე მაღლა აიწვევს და გასწორდება (**ბ. ჯორჯ.**). რაკი ცხობაში შევიდნენ ბედის კვერები, გასუქება იწყეს... მამის კვერსაც შეეტყო, რომ აიწია და გასუქება იწყო (**თ. რაზიკ.**). 5. გაძლიერდება. აღგებოდა რა ყანა, აიწვევდა ქარიც და წელში ამართული თავთავნი ხელახლა იღრეკდნენ თავებს (**თ. რაზიკ.**)<sup>1</sup>.

შდრ.:

**აიწვევ**-ა (აიწია, აწვეულა) გრდლფ. ვნებ. ა ს წ ე ვ ს ზმნისა 1. აწვევა მოხდება რისამე, ასწვევენ; აწვევა შეიძლება. მივიღოდა ვარსიმ ვარძელი, აიწეოდა უზარმაზარი ფარჩის ფარდა (**კ. გამს.**). 2. იგივეა, რაც ა ი წ ე ვ ს<sup>2</sup>. სახურავზე ჯდომით, ვატყობ, ფრთები ამომდის, მეზრდება, საცაა ავიწევი და გავფრინდები (**მ. ელიოზ.**).

6. ის ფაქტი, რომ მითითებულ ამოსავალ (ორპირიან) და ტრანსფორმი-

<sup>1</sup> შდრ. ძველი რელაქციის: **აიწვევ**-ს გრდმ. 1. (აიწია, «აუწვევია თავისი») სუბ. ქც. ა ს წ ე ვ ს ზმნისა ასწვევს თავისას. გველი... მიცოცდა ჯავთან, აიწია თავი მაღლა და ენა გადმოაგდო (**ვაჟა**). აიწია კაბის კალთა, ხელი ჯიბეს დაისწორა, ამოიღო წყვილი ვაშლი და ცალ-ცალკე გაუგორა (**შ. მღვიმე**). 2. (აიწია, იყენ. აწვეულა) 1. აიმართება. ავიწიე, მაგრამ ვეღარ ვიწვევ, შიგნით წყალში რალაც მეზიდება (**ვაჟა**). არწივმა აიწია, აფრინდა (**ვაჟა**). II მაღლა დადგება. მზემ აიწია ცაზედა, ნისლებმ დაწირეს ხეები (**ვაჟა**). 2. გაძლიერდება...

რებულ (ერთპირიან) ზმნურ ფორმათა სემანტიკური მიმართება სალექსიკონო სტატიის ჩვეულებრივ მნიშვნელობათა ჩარჩოებში არ თავსდება, ქეგლის პირვანდელ რედაქციაში რამდენჯერმე ავლენს ამ რედაქციის ერთ წესს, რომლის თანახმადაც ძალზე დაცილებული, არსებითად ომონიმური მნიშვნელობები გამოყოფილი (დანომრილი) იყო არა ჩვეულებრივი, არამედ დიდი ციფრებით. ასეთი პრეცედენტი არსებითად წინამავალ (მე-5) წესს ეთანხმება. ამისი ნიმუშია **ჩაიწევ**-ს, **მიიწევ**-ს, **დაიწევ**-ს ზმნათა სალექსიკონო სტატიები:

**ჩაიწევ**-ს გრძმ. **1.** (ჩაიწია, «ჩაუწევია თავისი») სუბ. ქც. ჩ ა ს წ ე ვ ს ზმნისა — ჩასწევს თავისას. წინდა ჩაიწია. **2.** (ჩაიწია, ჩაუწევია ან ჩაწეულა) 1. დაიწევს რამეში მყოფი, — ჩაიწევა (მნიშვ. 2), დაეშვება, ჩაეშვება. სამგზავრო წადის ყელი მეტად მაღალი იყო და რევოლვერი ძალიან დაბლა ჩაწეულიყო შიგ **(ე. ნინოშ.)**. II ფიგურ. [ბულგარეთს] გეოგრაფიული მდებარეობა შესწევს სერბიისაკენ გაიწიოს, ოსმალეთისაკენ ქვევით ჩაიწიოს და საბერძნეთს მიაღდვს **(ილია)**. II უკან დაიხვეს. 2. დადაბლდება (ნიდავგი).

**მიიწევ**-ს **1.** (მიიწია, «მიუწევია თავისთვის, თავისკენ») გრძმ. სუბ. ქც. მ ი - ს წ ე ვ ს ზმნისა — მისწევს თავისთვის ან თავისკენ. მის მაუჩერმა მიიწია სკამი და თავისი უშველებელი ჩანთიდან დაიწყო ნივთების ამოღება **(ქ. ბაქრ. თარგმ.)**. თავადმა... წერილს ხელი ჰკრა... და რვეული გეომეტრიის ნახაზებით ახლო მიიწია **(ი. აგლ. თარგმ.)**. **2.** (მიიწია, იყენ. მიწეულა) გრძმ. 1. მცირე მანძილზე ადგილს გადაინაცვლებს (აქედან იქით), — მიიწევა (მნიშვ. 2). 2. გაიწევს (თავდასასხმელად, შესატყვად...). დათვი..., რაც უნდა ძლიერ ყოფილიყო დაჭრილი, მინც მიიწევდა მონადირეზე **(ი. ელეფთ.)**. **3.** (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრძლევ. სტატ. მიდის, მიემართება. ჩქარი ნაბიჯით მივიწევდით წინ **(ი. მაჭავ. თარგმ.)**. ფარა... მიიწევდა მთისაკენ, მიუხაროდა, მიემურებოდა **(ვაჟა)**. არწივი სულ მაღლა-მაღლა მიიწევდა **(თ. რაზიკ.)**. II ცდილობს მივიდეს, — იწევს. წყალში დამხრჩვალი წყლისკენ მიიწევდაო **(ანდაზა)**. „გამიშვით ჩემ ზურაბთან!“ — იძახდა ზურაბის დედა და მიიწევდა იმისაკენ **(დ. ჰონქ.)**.<sup>1</sup>

**დაიწევ**-ს გრძმ. **1.** (დაიწია, «დაუწევია თავისი ან თავისთვის») სუბ. ქც. დ ა ს წ ე ვ ს ზმნისა — დასწევს თავისას ან თავისთვის, — ჩამოიწევს. მოჭერილი შარფი გაჯავრებულმა [გენერალმა] ძირს დაიწია **(ი. აგლ. თარგმ.)**. **2.** (დაიწია, «დაუწევია თავისით») 1. დაეშვება (ძირს, დაბლა). ერთ დღეს ხმელეთმა ძირს დაიწია **(ე. ნინოშ.)**. II დაიხრება (მზე). მზეს... კარგა დაბლა დაეწია დასავლეთისკენ

<sup>1</sup> შდრ.: **წამოიწევ**-ს (წამოიწია, «წამოუწევია თავისი») გრძმ. **1.** სუბ. ქც. წ ა მ ი - ს წ ე ვ ს ზმნისა — წამოსწევს თავისას. ოთარაანთ ქვრივმა კაბის სახელო წამოიწია **(ილია)**. **2.** (წამოიწია, იყენ. წამოწეულა) 1. წამოიმართება, წამოდგება. [ონისემ] წამოსადგომად წამოიწია, მაგრამ მაშინვე ისევ დაეცა **(ა. ყაზბ.)**. II მკაფიოდ გამოჩნდება; საყურადღებო გახდება. პოლიტიკაში წამოიწია ეგრეთწოდებულმა ეროვნობამ **(ილია)**. 2. დაწინაურდება. [მამულანთ] სახლმა წამოიწია წინ და გამდიდრდა **(მელან.)**. ◊ **მზე წამოიწევს** მზე საშუაადღოს მიუახლოვდება. მზემ წამოიწია. გაისმა... დიდი ზარის ხმა **(ე. ნინოშ.)**. როცა მზემ წამოიწია და შეიმალა, ქარი ჩადვა **(თ. რაზიკ.)**.

**(ნ. ლომ.)**. 2. უკან დაიხვეს (საპირისპ. 'წინ' წაიწვეს). შედრკა მტერი და დაიწია  
**(გ. ბარნ.)**. ◊ უკან არ დაიწვეს იგივეა, რაც უკან არ დაიხვეს. 3. და-  
 იკლებს, შემცირდება (ტემპერატურა, ფასი...) (საპირისპ. აიწვეს, მოიმატებს).  
 ფასმა... დაიწია (**ილია**). **3**. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. აიწვე-  
 დაიწვეს.

ტრანსფორმირებულ ერთეულთა სემანტიკური თავისებურების ასახვის  
 თვალსაზრისით ამ უკანასკნელ შემთხვევაში საყურადღებოა „თავისით“ ნა-  
 ცვალსახელის, როგორც აღნიშნული შინაგანი ცვლილების ერთგვარი მარკე-  
 რის, გამოყენება:

**დაიწვეს**-ს (დაიწია, 'დაუწვევია თავისით')...

გარდამავალი ზმნის სასუბიექტო ქცევის ფორმათა მეტად თავისებური  
 სემანტიკური ტრანსფორმაციის მაგალითების ლექსიკოგრაფიული გადაწყვეტის  
 რამდენიმე შესაძლებლობა აქამდე ერთი და იმავე ზმნური ძირის ნაირგვარ  
 ფუძეთა მიხედვით იყო წარმოდგენილი. ანალოგიური სემანტიკური პროცესის  
 ამსახველი ზმნების რაოდენობა საკმაოდ შეზღუდულია; როგორც ჩანს, სემან-  
 ტიკის ამგვარი ცვლილება რაღაც სპეციფიკურ თავისებურებასთან არის დაკავ-  
 შირებული, რომლის დროსაც „კუთვნილების“ ტრანსფორმირება ხდება „უკუ-  
 ქცევის“ სემანტიკად; შდრ.: აიწია [თავისი] > აიწია [თავი] > აიწია [თვითონ]...<sup>1</sup>

ანალოგიურ შემთხვევას შეიძლება დავაკვირდეთ რამდენიმე სხვა ზმნური  
 ფუძის მაგალითზე: **გადანაცვლებს**-ს, **გადაიფრენს**-ს, **გამოიჩორებს**-ს, **მოიკლებს**-ს,  
**მოიმატებს**-ს და მისთ.

ამჯერად მონაცემებს წარმოვადგენთ არა სალექსიკონო სტატიების თავი-  
 სებურების, არამედ ფუძეთა მიხედვით:

### 1. ი-ჩორ-ებს-

**გადაიჩორებს**-ს გრდმ. 1. (გადაიჩორა, გადაუჩორებია 'თავისთვის') სუბ. ქც. გ ა დ ა ა ჩ ო რ ე ბ ს ზმნისა თავისკენ გადაიტანს, გადაიწვეს, მიიჩორებს. 2. (გადა-  
 იჩორა, გადაუჩორებია) იგივეა, რაც გ ა დ ა ა ჩ ო რ ე ბ ა. ბონიამ სასთუმლისკენ  
 გადაიჩორა (**ჭ. ამირჯ.**). ფიგურ. შემაწუხებელმა ფიქრმა განზე გადაიჩორა და სხვა სა-  
 დინარში მოექცა (**„ლიტ. საქ.“**). გათავისუფლების თარიღმა ათას ცხრაას ორმოცდასამ  
 წლამდე გადაიჩორა! (**ჭ. ამირჯ.**)<sup>2</sup>

**გაიჩორებს**-ს გრდმ. 1. (გაიჩორა, გაუჩორებია 'თავისთვის') სუბ. ქც. გ ა ა -  
 ჩ ო რ ე ბ ს ზმნისა ჩორვით გასწვეს თავისკენ, მიიჩორებს. 2. (გაიჩორა, გაუ-  
 ჩორებია) იგივეა, რაც გ ა ა ჩ ო რ ე ბ ა. ბიჭმა... ჯორკოიანად გაიჩორა, ტუჩები მო-  
 ბუზა (**ჭ. ამირჯ.**).

შდრ. ძვ.:

<sup>1</sup> თითქოს იმისი საპირისპირო ტრანსფორმაციის პროცესი მიმდინარეობს, როგორც  
 წარმოიქმნა კუთვნილებითი ნაცვალსახელი: თავი [უკუქც.] > თავისი [კუთვ.].

<sup>2</sup> **გადაიჩორებს**-ს ძვ.-ში არაა.



**გაიჩორებ-**ს (გაიჩორა, გაუჩორებია) გრდმ. 1. კუთხ. (იმერ. ვურ.) სუბ. ქც. გა ა ჩ ო რ ე ბ ს ზმნისა — გაიჩორებს თავისკენ, — ჩორვით გასწევს თავისკენ. 2. იგივეა, რაც გ ა ჩ ო რ დ ე ბ ა.

**გამოიჩორებ-**ს გრდმ. 1. (გამოიჩორა, გამოუჩორებია «თავისთვის») სუბ. ქც. გ ა მ ო ა ჩ ო რ ე ბ ს ზმნისა ჩორვით მოიწევს თავისკენ (რამეს). სკამი გამოიჩორა, კედელთან მიდგა და ზედ ჩამოჯდა (**ა. ყურ.** თარგმ.). 2. (გამოიჩორა, გამოუჩორებია) იგივეა, რაც გ ა მ ო რ ო რ დ ე ბ ა. ერთი გამოიჩორე, აბა, და ყავის სახლში გვნახავ (**„თბილ. ფორ.“**).<sup>1</sup>

ამავე ფუძის ზმნათაგან **მიიჩორებ-**ს, **მოიჩორებ-**ს მხოლოდ სასუბიექტო ქცევის ფორმით არის წარმოდგენილი:

**მიიჩორებ-**ს (მიიჩორა, მიუჩორებია თავისთვის) გრდმ. სუბ. ქც. მ ი ა ჩ ო რ ე ბ ს ზმნისა — ჩორვით მისწევს თავისთან. ხოსრომ... სკამი ახლო მიიჩორა (**რ. გვეტ.**).

**მოიჩორებ-**ს (მოიჩორა, მოუჩორებია თავისთვის) გრდმ. სუბ. ქც. მ ო ა ჩ ო რ ე ბ ს ზმნისა — მოაჩორებს თავისას ან თავისთან, — ჩორვით მოიტანს თავისთან. ხურჯინი მოიჩორა. — ბეჟანი მოიჩორებს სკამს (**აკაკი**).

ხოლო **აიჩორებ-**ს, **იჩორებ-**ს ერთეულები მხოლოდ მნიშვნელობის ტრანსფორმირებულ ვერსიას ავლენს:

**აიჩორებ-**ს (აიჩორა, აუჩორებია, იყენ. აგრეთვე აჩორებულა) გრდმ. ჩორვით გადაადგილდება ქვემოდან ზემოთ. პატარა... ზევით აიჩორეთ, თქვე ქრისტეს ძვლის მკვნეტელებო (**ნ. დუმბ.**).<sup>2</sup>

**იჩორებ-**ს (იჩორა, უჩორნია) გრდმ. ჩორვით ივლის, — იცოცებს.

## II. ი-ნაცვლ-ებ-:

**გადანაცვლებ-**ს გრდმ. 1. (გადანაცვლა, გადაუნაცვლებია «თავისი ან თავისთვის») სუბ. ქც. გ ა დ ა ა ნ ა ც ვ ლ ე ბ ს ზმნისა სხვა ადგილას გადაიტანს, ადგილს შეუცვლის თავისას, შეინაცვლებს. მათრახი მარჯნიდან მარცხენა ხელში გადაინაცვლა (**ბ. ჩხ.**). წალი ქამრიდან მხარზე გადაინაცვლა ნუგზარმა (**ლ. მრელ.**). დედაკაცმა ერთი ილლიდან მეორეში გადაინაცვლა გაყუჩებული ინდაური (**კ. კობ.**). ჩემოდანი ხელიდან ხელში გადაინაცვლა (**ს. დემურს.**). ◊ **ფებს გადაინაცვლებს** ფებს მონინაცვლებს; ერთი ადგილიდან მეორეზე გადავა. თეიმურაზმა რამდენჯერმე ფეხი გადაინაცვლა და სამეურნეო დარგში დაიწყო მუშაობა (**მ. ჯავახ.**). 2. (გადანაცვლა, გადაუნაცვლებია) ადგილს შეიცვლის, გამოიცვლის, — სხვა (ახალ) ადგილას გადავა. სამ სეინერს... [ზღვის] მუაგულისკენ გადაინაცვლებინათ (**რ. ინან.**). როცა დაიღებოდა, მოწყენილი ბიჭი ლევანს მუხლებიდან სკამზე გადაინაცვლებდა (**ა. ყურ.**). მრუდსაბძელამაც აიკრა გულანაბადი. წავიდა, წავიდა, გადაინაცვლა

<sup>1</sup> გამოიჩორებ-ს ძვ.-ში არაა.

<sup>2</sup> აიჩორებ-ს ძვ.-ში არაა.

**(ო. ჩხ.)**. ფიგურ. თალხმა უბედური დედების გულში გადაინაცვლა **(დ. კვიცი.)**. კიდევ ერთმა დიდმა ძეგლმა ჩვენი კულტურული წარსულისა გადაინაცვლა წიგნის თაროებზე, იქცა ხელმისაწვდომად **(გ. ფარულ.)**. **ღ ადგილს გადაინაცვლებს** იგივეა, რაც **გ ა დ ა ი ნ ა ც ვ ლ ე ბ ს** (მნიშვ. 2). თითო ხელის მოქნევაზე ის... ერთ დიდ ალაგს გადაინაცვლებდა, როგორც გემი, ისე არღვევდა წყალს **(ილია)**. ადგილი გადაინაცვლე, კედელთან დავდექი **(ვ. ჩეკურ.)**. ფეხაკრეფით მიდის ჩვენი ბატალიონი..., ადგილი უნდა გადაინაცვლოთ **(ე. მაის.)**.

შდრ. ძვ.:

**გადინაცვლებს**- (გადინაცვლა, გადაუნაცვლებია) გრძმ. ადგილს შეიცვლის, გამოიცვლის, — სხვა (ახალ) ადგილას გადავა. თითო ხელის მოქნევაზე ის... ერთ დიდ ალაგს გადაინაცვლებდა, როგორც გემი, ისე არღვევდა წყალს **(ილია)**. || სხვა ადგილას გადაიტანს, ადგილს შეუცვლის, შეინაცვლებს. მათრახი მარჯნიდან მარცხენა ხელში გადაინაცვლა... **(ბ. ჩხ.)**.<sup>1</sup>

**გადმონაცვლებს**- გრძმ. 1. (გადმონაცვლა, გადმოუნაცვლებია «თავისთვის») სუბ. ქც. **გ ა დ მ ო ა ნ ა ც ვ ლ ე ბ ს** ზმნისა გადმონაცვლებს თავისაში, ხელიდან ხელში გადაიტანს; მოინაცვლებს. თოფი მარჯვენაში გადმონაცვლა. 2. (გადმონაცვლა, გადმოუნაცვლ“ებ”ია) ადგილს შეიცვლის, აქეთ გადმოვა. კაცმა ქვაზე გადმონაცვლა, მაგრამ იქ ფეხი ვეღარ მოიკიდა და ჩავარდა **(რ. ინან.)**. სულ ბატარა შტრიხია კიდევ საჭირო, რომ ამ სახემ წინა პლანზე გადმონაცვლოს **(რ. ჭეიშვი.)**. **ღ ადგილს გადმონაცვლებს** იგივეა, რაც **გ ა დ მ ო ი ნ ა ც ვ ლ ე ბ ს** (მნიშვ. 2). ხალხი წამოიშალა, ადგილი გადმონაცვლა **(ჭ. ამირეჯ.)**.

შდრ. ძვ.:

**გადმონაცვლებს**- (გადმონაცვლა, გადმოუნაცვლებია) გრძმ. ადგილს შეიცვლის, აქეთ გადმოვა. სახელმწიფოებრივმა ცენტრებმა უფრო ჩრდილოეთისაკენ გადმონაცვლეს **(საქ. ისტ.)**.

ამ ფუძის რამდენიმე სტატია ასევე ნაკლულად (ცალმხრივად) არის წარმოდგენილი:

<sup>1</sup> ზმნისწინის მოკლე ფორმა ორივე შემთხვევაში (ძველშიც და ახალშიც) ადეკვატურად ასახავს წინამავალ სრულ ვარიანტს:

**გადინაცვლებს**- გრძმ. 1. (გადინაცვლა, გადუნაცვლებია «თავისი») სუბ. ქც. იგივეა, რაც უფრო მართებული **გ ა დ ა ი ნ ა ც ვ ლ ე ბ ს** (მნიშვ. 1). ცხრა მარჯვენა დროშამ გადინაცვლა, დაუბრუნელად დაუბრუნდა დედას **(ს. ჩიქოვ.)**. 2. (გადინაცვლა, გადუნაცვლ“ებ”ია) იგივეა, რაც უფრო მართებული **გ ა დ ა ი ნ ა ც ვ ლ ე ბ ს**. **ღ ადგილს გადინაცვლებს** იგივეა, რაც **გ ა დ ა ი ნ ა ც ვ ლ ე ბ ს**. ამათაც გაექცა [პეტრე] და ხელახლა გადინაცვლა ადგილი **(ილია)**. ქსენოფონტემ ადგილი გადინაცვლა და ისევ ახმაურებულ ქალაქს დაუწყო ცქერა **(ა. ბელ.)**. ცოლ-ქმარმა... რამდენისამე დლით... რუსულდანთან გადინაცვლა ბინა **(ნ. ლომ.)**.

შდრ. ძვ.:

**გადინაცვლებს**- (გადინაცვლა, გადუნაცვლებია) გრძმ. იხ. **გ ა დ ა ი ნ ა ც ვ ლ ე ბ ს**. ამათაც გაექცა [პეტრე] და ხელახლა გადინაცვლა ადგილი **(ილია)**. ქსენოფონტემ ადგილი გადინაცვლა და ისევ ახმაურებულ ქალაქს დაუწყო ცქერა **(ა. ბელ.)**. ცოლ-ქმარმა... რამდენისამე დლით... რუსულდანთან გადინაცვლა ბინა **(ნ. ლომ.)**.

ა) მხოლოდ ქცევის შინაარსით:

**შეინაცვლებ-**ს (შეინაცვლა, შეუნაცვლებია «თავისი ან თავისთვის») გრდმ. სუბ. ქც. შეინაცვლებს ზმნისა — შეინაცვლებს თავისას ან თავისთვის, — გამოიცვლის, მოინაცვლებს, შეიცვლის. [გოჩამ] ერთმანეთზე გადაწყობილი ფეხები შეინაცვლა (**ლ. ქიაჩ.**). ადგილი შეინაცვლა გირშელმა, უშიშარაისძესა და კობრიჭისძეს შორის ჩადგა (**კ. გამს.**). გაცხარებულმა ცხენმა რამდენჯერმე ფეხები შეინაცვლა (**ი. აგლ. თარგმ.**).

ბ) მხოლოდ არასაქცეო შინაარსით:

**ინაცვლებ-**ს (ინაცვლა, უნაცვლებია) გრდმ. ადგილს იცვლის, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადის. რაფიელმა ინაცვლა ადგილი და სტუმრის გვერდით სავარძელზე ჩამოვდა (**ს. კლდ.**). ◊ **გვერდს ინაცვლებს** გადაბრუნდება, გადატრიალდება, მეორე გვერდზე დაწვება, — გვერდს იცვლის. ◊ **ხელს ინაცვლებს** საჭიროების შემთხვევაში დახმარებას ლებულობს, დროებით, სახელდახელოდ ფულს შოულობს სესხად, — ხელს იმართავს.

**მოინაცვლებ-**ს (მოინაცვლა, მოუნაცვლებია) გრდმ. ადგილს შეიცვლის, — გადაინაცვლებს. [მონღოლების] ნებადაურთველად არავის უფლება არ ჰქონდა ადგილი მოინაცვლებინა (**ივ. ჯავახ.**). ◊ **ხელს მოინაცვლებს** საჭიროების შემთხვევაში დახმარებას მიიღებს, დროებით, სახელდახელოდ ფულს იშოვის, — ხელს გაიმართავს. „თქვენცა გყავთ... ნათესავები..., იმათგან ხელს მოინაცვლებთ“ (**ნ. ლორთქ.**). [ოქრომჭედლებს] საკმარი ლითონი აღარ დარჩათ, რომ გასასყიდ-გასაცვლელი ნივთები დაამზადონ და ამით ჯერ-ჯერობით ხელი მოინაცვლონ (**შ. არაგვ.**).

**აინაცვლებ-**ს (აინაცვლა, აუნაცვლებია) გრდმ. ცოტა ზევით ავა, მცირედ გადაინაცვლებს. ხარაჩოზე რამდენიმე საფეხურით აინაცვლეს (**თ. მაღლაფ.**). ზემოთ ავინაცვლე, ...რათა ორიოდ დარტყმით ხე გაპობას გადამერჩინა (**ფ. ხალგ.**).

**ჩაინაცვლებ-**ს (ჩაინაცვლა, ჩაუნაცვლებია) გრდმ. ადგილს გადაინაცვლებს ქვემოთკენ. ოსიკომ... უნებლიეთ [ვაგონის] კიბეზე ჩაინაცვლა. ეტყობოდა, ისე შეეშინდა, რომ გადახტომა განიზრახა (**მ. ასათ.**).

**ჩამოინაცვლებ-**ს (ჩამოინაცვლა, ჩამოუნაცვლებია) გრდმ. ქვევითკენ გადმოინაცვლებს.

გ) გრამატიკული კვალიფიკაცია [სუბ. ქც.] შეუსაბამოა განმარტების შინაარსთან:

**წაინაცვლებ-**ს (წაინაცვლა, წაუნაცვლებია) გრდმ. სუბ. ქც. შეინაცვლებს (ადგილს), გადაიწვევს წინისაკენ. ◊ **ხელს წაინაცვლებს** იგივეა, რაც ხელს მოინაცვლებს (იხ. მოინაცვლებს). ყველა გაჭირვებული... მიატანს ხოლმე მდიდარ კაცს..., რომ ხელი წაინაცვლოს (**ს. მგალობ.**).

### III. ი-ადგილ-ებ-:

**გადაიადგილებ-**ს გრდმ. 1. (გადაიადგილა, გადაუადგილებია «თავისი») სუბ. ქც. გადააადგილებს ზმნისა ადგილს შეუცვლის რაიმეს თავისას. ია-

რალი გადაიადგილა. 2. (გადაიადგილა, გადაუადგილ<sup>ე</sup>ბ<sup>ა</sup>) ადგილს შეიცვლის, მონაცვლებს, გადაადგილდება. ჭონქამ სწრაფად გადაიადგილა ჩრდილში (**კ. ხიმში**).<sup>1</sup>

წარმოდგენილ ზმნათა ვნებითები, მსგავსად მე-5 ტიპად მიჩნეულ **აი-წევს** — **აიწევა** ფორმათა ობოზიციისა, საინტერესო სიახლოვეს ავლენს ფუძეთა მიხედვითაც: **ი-წევ-** სათავისო ქცევის ფუძეც არის და შესაბამისი ვნებითის (ი-წევი, ი-წევა) ფუძის ძირითადი ნაწილიც.

შესაბამისი ვნებითები (წარმოდგენილია ანბანთრიგზე, მათი სალექსიკონო თავისებურებების გათვალისწინების გარეშე):

**აიწევა**-ა (აიწია, აწეულა) გრლუვ. ვნებ. ა ს წ ე ვ ს ზმნისა 1. აწევა მოხდება რისამე, ასწევენ; აწევა შეიძლება. მივიღოდა ვარსიმ ვარძელი, აიწეოდა უზარმაზარი ფარჩის ფარდა (**კ. გამს.**). 2. იგივეა, რაც ა ი წ ე ვ ს<sup>2</sup>. სახურავზე ჯდომით, ვატყობ, ფრთები ამომდის, მეზრდება, საცაა ავიწევი და გავფრინდები (**მ. ელიოზ.**).

**ამოიწევა**-ა (ამოიწია, ამოწეულა) გრლუვ. ვნებ. ა მ ო ს წ ე ვ ს ზმნისა ამოწევა მოხდება რისამე, ამოსწევენ; ამოწევა შესაძლებელი იქნება. ლამაზა ამოწეულა და ბოლავს. — მესამე დღეს, მზე რომ ამოიწია, ხმა დაირხა, თომა მომკვდარაო (**კ. კობ.**).

**გადაიწევა**-ა (გადაიწია, გადაწეულა) გრლუვ. ვნებ. გ ა დ ა ს წ ე ვ ს ზმნისა 1. გადაილუნება, გადაიზნიქება, გადაიხრება. ახარებს იმ ბიჭების რბოლა, გადაიწევა კიბის თავიდან (**რ. ინან.**). ვასიკო უკან გადაიწია, სხვენში შეიხედა (**ა. სულაკ.**). II გაიწევა. გადაიწია ტყის შტოები და რამდენიმე შეიარაღებული კაცი გადმოხტა (**ა. ყაზბ.**). შემოსავალის ფარდაგი გადაიწია (**შ. დად.**). 2. გადავა, გადაიხრება (მზე, მთვარე...). მზე დასავლეთისაკენ გადაწეულიყო (**გ. წერეთ.**). მზე გადაიწევდა, ანთუ ღრუბელი გადაეფარებოდა მზესა, აცივდებოდა შუშაბანდშიცა (**ო. ჩხ.**).

**გადმოიწევა**-ა (გადმოიწია, გადმოწეულა) გრლუვ. ვნებ. გ ა დ მ ო ს წ ე ვ ს ზმნისა გადმოიხრება. [ქალი] მოშორდა [არჩილს], ზურგი შეაქცია ნაწყენმა, ჩემკენ გადმოიწია (**გ. ბარნ.**). ლიბარტი... ოდნავ გადმოიწია უნაგირიდან (**კ. გამს.**). ქეთიმ დასჭყივლა და მთელი სხეულით გადმოიწია აბელისაკენ (**გ. ქარჩხ.**). ისე გადმოიწია, მგონი გადაკონაც სურდა (**ნ. შამან.**).

**გაიწევა**-ა (გაიწია, გაწეულა) გრლუვ. ვნებ. გ ა ს წ ე ვ ს<sup>2</sup> ზმნისა 1. მცირე მანძილზე ადგილს გადაინაცვლებს (აქედან იქით), — გადაადგილდება, გასწევენ. გაიწია, წყალი არ მოგეშეფოს (**რ. ჯაფ.**). ფარდა გაიწია და ფანჯარას ხალათმოსხმული მომღიბარი ქალი გადმოეყუდა (**„ლიტ. საქ.“**). 2. გაიჭიმება, გაიწელება. ჭიყვია გველს წაეზომიო, გაიწია და გაწყდაო (**ანდაზა**). საპირე მასალა ქირზისაა. ტყავისა რომ მაინც იყოს, დაალობ, გამოჭრი და გულს ჩაქრით დაუბეგვავ: გაიწევა, გაიგობება (**ო. იოს.**). II გადატ. გაფართოვდება, განივრცობა. რუსეთი გაიზარდა, გაიწია განზე (**ა. ყაზბ.**). როცა ქალაქი დასავლეთისაკენ გაიწია, ბაზარი იქვე დარჩა (**ს. კლდ.**). 3. გადატ. მისწრაფებას, ლტოლვას გამოავლენს (საითკენმე, რაიმეს-

<sup>1</sup> გადაიადგილებს ძვ.-ში არაა, არც — გადაადგილდება.

კენ). ყველანი ერთობ გაიწივნენ სამსახურისაკენ (**ილია**).

**გამოიწევა**-ა (გამოიწია, გამოიწეულა) გრდუფ. ვნებ. გ ა მ ო ს წ ე ვ ს ზმნისა  
1. გამოსწევენ, — გამოიწევა შესაძლებელი იქნება. ეს უჯრა არ გამოიწევა. 2. აღ-  
გილს გადმოინაცვლებს, აქეთკენ წამოვა. [გოგომ] მე რომ დამინახა, ჩემსკენ გამოი-  
წია (**ი. მაჭავ. თარგმ.**). II საჩხუბრად წამოვა. აიშლებოდა, თითქმის გავიჟღებოდა:  
დაბმულივით გამოიწევდა (**მ. ჯავახ.**).

**დაიწევა**-ა (დაიწია, დაიწეულა) გრდუფ. ვნებ. და ს წ ე ვ ს ზმნისა — 1. და-  
იხრება, დაიღუნება. თინათინი... ხუმრობით მართლაც დაიწეოდა, დადაბლდებოდა  
და ისე მიიბრუნდა კუთხეში (**ე. ნინოშ.**). 2. გადატ. დამცირდება, ღირსებას დაკარ-  
გავს (ჩვეულებრივ, ვისიმე თვალში). მივიღე თუ არა პირველი ჯამაგირი, მაშინვე  
დავიწიე იმათ თვალში და უბრალო მოსამსახურეებში აღარ მარჩევდნენ (**ი. ეკალ.**).  
II დაქვეითდება, გაღარიბდება. დავწვრილშვილდი — დავიწიე, დამეზარდნენ — ავი-  
წიეო (**ძველი ანდაზა**).

**იწევა**-ა გრდუფ. 1. (აიწია, აწეულა; დაიწია, დაიწეულა; გაიწია, გაწეულა)  
ვნებ. ს წ ე ვ ს ზმნისა — იგივეა, რაც ი წ ე ვ ს (მნიშვ. 3, 4, 5). ნისლი თანდათან  
ქვევით იწეოდა ჭაჩხურის სივიწროვეში (**გ. წერეთ.**). ქვა მალა იწეოდა (**შ. არაგვ.**).  
გავწივევ აქეთ, გავწივევ იქით და ჩვენც ვიწევით აქეთ-იქითა (**კ. მაყ.**). 2. (მხოლოდ  
ნაკვთა აწმყოს წყებაში) ვნებ. იხ. ი წ ე ვ ს (მნიშვ. 8). ხალხით გატენილ ქუჩებში  
პროცესია გაჭირვებით იწეოდა წინ (**დ. კლდ.**).

**მიიწევა**-ა 1. (მიიწია, მიიწეულა) გრდუფ. ვნებ. მი ს წ ე ვ ს ზმნისა: 1. მისწე-  
ვენ (მნიშვ. 1, 1); მიიწევა<sup>1</sup> (მნიშვ. 1) შეიძლება. 2. იგივეა, რაც მი ი წ ე ვ ს (**2**,  
1). 2. (მხოლოდ ნაკვთა აწმყოს წყებაში) გრდუფ. სტატ. მიდის, მიემართება. ისი-  
ნი... წინ არ მიიწევიან (**„ივერია“**).

**მოიწევა**-ა (მოიწია, მოიწეულა) გრდუფ. ვნებ. 1. მოსწევენ; მოიწევა შეიძლე-  
ბა. ეს კარადა აქეთ არ მოიწევა. 2. იგივეა, რაც მო ი წ ე ვ ს (**1, 2**). „მოიწიე<sup>1</sup> პა-  
ტარა აქეთ!“ (**ა. ბელ.**). „მობრძანდით, ბატონო ყარამან, მოიწიე<sup>1</sup>თ სუფრასთან!“  
(**ნ. ნაკაშ.**). 3. ძვ. მოვა, მოაღწევს; დადგება (დრო). „ჩემი ბედის-წერის დღე მოი-  
წია“ (**გ. წერეთ.**). 4. შემოვა, დამწიფდება (ნაყოფი). 5. რთული ფუძის მეორე  
შემადგენელი ნაწილი. მიიწევე<sup>1</sup>-მოიწევა.

**შეიწევა**-ა (შეიწია, შეიწეულა) გრდუფ. ვნებ. შე ს წ ე ვ ს<sup>1</sup> ზმნისა — შეწევენ;  
შიგნით მიიწევა.

**შემოიწევა**-ა (შემოიწია, შემოიწეულა) გრდუფ. ვნებ. აქეთ (შიგნით) მოიწე-  
ვა.

**ჩაიწევა**-ა (ჩაიწია, ჩაწეულა) გრდუფ. 1. ვნებ. ჩ ა ს წ ე ვ ს ზმნისა — ჩასწე-  
ვენ; ჩაწევა შეიძლება. ეს მაგიდა უნდა ჩაიწიოს. 2. იგივეა, რაც ჩ ა ი წ ე ვ ს  
(მნიშვ. 2).

**ჩამოიწევა**-ა (ჩამოიწია, ჩამოიწეულა) გრდუფ. ვნებ. ჩ ა მ ო ს წ ე ვ ს ზმნისა:  
1. ჩამოსწევენ; ჩამოიწევა შეიძლება. ეს მაგიდა უნდა ჩამოიწიოს. 2. იგივეა, რაც  
ჩ ა მ ო ი წ ე ვ ს (მნიშვ. 2).

**წაიწევა**-ა (წაიწია, წაწეულა) გრდუფ. ვნებ. წ ა ს წ ე ვ ს ზმნისა: 1. წინ გაი-

წევა, წასწევნ. 2. იგივეა, რაც წ ა ი წ ე ვ ს (მნიშვ. 2).

**წამოიწევა**-ა (წამოიწია, წამოწეულა) გრდუვ. ვნებ. წ ა მ ო ს წ ე ვ ს ზმნისა — წამოსწევნ; წამოწევა შეიძლება. 2. იგივეა, რაც წ ა მ ო ი წ ე ვ ს (მნიშვ. 2). კონა [გულწასული] შეირხევა, გაახელს თვალებს, წამოიწევა (**ს. გლახ.**).

**ჩოჩ-** ძირის ზმნის **ი-ჩოჩ-ებ-** ფუძე არ გვაძლევს შესაბამის ვნებითს (ი-ჩოჩ-ებ-ა), ეს ადგილი დონიან ვნებითს უკავია:

**აჩოჩდება**-ა (აჩოჩდა, აჩოჩებულა) გრდუვ. ვნებ. ა ა ჩ ო ჩ ე ბ ს ზმნისა ჩოჩ-ვით ავა. იმდენი იხობა, რომ მალლა აჩოჩდა (**აკაკი**). იქვე რცხილაზე ავედი; რა დასამალავია? ძლივს ავჩოჩდი, ისე ვიყავი გამაძლარი (**ნ. ლორთქ.**).

**გადაჩოჩდება**-ა (გადაჩოჩდა, გადაჩოჩებულა) გრდუვ. ვნებ. გ ა დ ა ა ჩ ო ჩ ე ბ ს ზმნისა ჩოჩვით გადავა, — გადაფოფხდება, გადაცოცდება. თორმეტჯერ თორმეტი წუთით გადაჩოჩდა დიდი ისარი (**რ. ჭეიშვ.**).

**გადმოჩოჩდება**-ა (გადმოჩოჩდა, გადმოჩოჩებულა) გრდუვ. ვნებ. გ ა დ მ ო ჩ ო ჩ ე ბ ს ზმნისა ჩოჩვით გადმოვა, — გადმოფორთხდება, გადმონაცვლებს. ბავშვი საწოლიდან გადმოჩოჩდა. — დღეს თბილისში გაიხსნა პირველი პოლონური გამოფენა, რომელიც... ნოემბრის შუა რიცხვებში იყო დაგეგმილი, მაგრამ, გადმოჩოჩდა („**თბილ. ფორ.**“).

**გაჩოჩდება**-ა (გაჩოჩდა, გაჩოჩებულა) გრდუვ. ვნებ. გ ა ა ჩ ო ჩ ე ბ ს ზმნისა გააჩოჩებენ, გაჩოჩება შესაძლებელი იქნება, — ჩოჩვით გადაადგილდება. „რომ ის წყეული საოფლე კიდევ გამოტყვრეს საიდანმე და ესეც მომტაცოს, რაღა მეშველება მაშინ?!“ — იტყოდა ხოლმე კიკოლა და წარბშეკრული გაჩოჩდებოდა შვილისაკენ (**ნ. ლომ.**). დათა თუთაშნია უკან გაჩოჩდა, ბეჭები კედელს მიაყრდნო, ...ორივე ფეხი ერთდროულად აძგერა (**ჭ. ამირეჯ.**). დალი გვერდზე გაჩოჩდა და ჩემოდანსა და ჩანთას შორის მიიყუჟა (**რ. ჭეიშვ.**).

**გამოჩოჩდება**-ა (გამოჩოჩდა, გამოჩოჩებულა) გრდუვ. ვნებ. გ ა მ ო ა ჩ ო ჩ ე ბ ს ზმნისა ჩოჩვით გამოიწევს აქეთ, — გამოცოცდება, გამოხობხდება. II გადატ. მცირედ გადაადგილდება, გამოცურდება რაიმე. ფურცელი ნახევრად გამოჩოჩებულყო [კონვერტიდან] (**ფ. ხალვ.**).

**მიჩოჩდება**-ა (მიჩოჩდა, მიჩოჩებულა) გრდუვ. ვნებ. მ ი ა ჩ ო ჩ ე ბ ს (მნიშვ. 1) ზმნისა — ჩოჩვით გადაადგილდება, მიიწევა. „მეც ქალბატონისაკენ მივჩოჩდი“ (**რ. ერისთ.**).

**შეჩოჩდება**-ა (შეჩოჩდა, შეჩოჩებულა) გრდუვ. ვნებ. შ ე ა ჩ ო ჩ ე ბ ს ზმნისა — ჩოჩვით, თრევით შევა, — შეხობხდება.

**წაჩოჩდება**-ა (წაჩოჩდა, წაჩოჩებულა) გრდუვ. ვნებ. წ ა ა ჩ ო ჩ ე ბ ს ზმნისა — ჩოჩვით წაიწევს წინ. „აბა, მოიწი რაღა!.. მე წინ წავჩოჩდებო!“ (**აკაკი**).

**წამოჩოჩდება**-ა (წამოჩოჩდა, წამოჩოჩებულა) გრდუვ. ვნებ. წ ა მ ო ა ჩ ო ჩ ე ბ ს ზმნისა — ჩოჩვით ადგილს გადმონაცვლებს. „დათვო, ბიძავ, აქ მოდი, გვერდით მოუჯექ სტვირსა. მეც ახლო წამოვჩოჩდები, მხარს დავუჭერ ვირსა“ (**რ. ერისთ. თარგმ.**).

ასეთივე სტრუქტურისაა **ადგილ-** ძირის ნასახელარი ზმნის ვნებითი;

შდრ.: **გადა-ი-ადგილ-ებ-ს** || **გადა-ადგილ-დ-ებ-ა**:

**გადაადგილდებ-ა** (გადაადგილდა, გადაადგილებულა) გრდუვ. ვნებ. გადაადგილებს ზმნისა ადგილს შეიცვლის, სხვა ადგილზე გადავა, — გადაინაცვლებს. რაკილა ედიშერს შემწე არავინ გამოუჩნდა, კვლავ შეტოკდა, მაგრამ ვერ გადაადგილდა (**ა. ადგიშვ.**). მზე ოდნავ გადაადგილდა (**თ. ნატრ.**).

**გადმოადგილდებ-ა** (გადმოადგილდა, გადმოადგილებულა) გრდუვ. ვნებ. გადმოაადგილებს ზმნისა აქეთკენ გადმოინაცვლებს, ადგილს შეიცვლის. — რა გინდათ ჩემგან?! — ხმას აუწია [იროდიონმა], სკამიანად გადმოადგილდა (**ე. ყოფ.**).

**გადანაცვლებ-ს** აქტივსაც მხოლოდ დ-იანი **პასივი (გადანაცვლდება)** შეესაბამება. *სინთეზი და შეფასება შესაძლოა გადანაცვლდეს იმისდა მიხედვით, თუ რა სახისაა შეფასება („ელექტრ. ბიბლ.“).*

წარმოდგენილ ზმნურ ფორმათა გვარეობრივი მიმართება და მათი ფუნქციონირების საერთო სურათი აჩვენებს, რომ გარდამავალ ზმნათა სასუბიექტო ქცევის ტრანსფორმირებული ვარიანტი (მოიწევს იგი, შეიწევს იგი, წაიწევს იგი...) უფრო აქტიური გამოყენებისაა, ვიდრე შესაბამისი ვნებითის ფორმა (მოიწევა, შეიწევა, წაიწევა...). სხვა ფუძეთა მიხედვითაც აშკარად ჩანს, რომ ამ ფუძეთა პასივების განვითარება ენაში ერთგვარად შეფერხებულია. ეგებ ესეც იყოს მიზეზი გარდამავალი ზმნის სასუბიექტო ქცევის ფორმათა ზემოაღწერილი ფუნქციონალური ტრანსფორმაციისა.

როგორც ვნახეთ, თვით აქტივ-პასივთა ურთიერთმიმართების ფორმობრივი სურათი არაერთგვაროვანია: **წევ-** ძირის ზმნებს შეესაბამება **ი-პრეფიქსიანი** ვნებითი (ი-წევ-ა), **ჩოჩ-**, **ადგილ-** ძირთაგან ნაწარმოებ აქტივებს — **-დ** სუფიქსიანი ვნებითი (გა-ჩოჩ-დ-ებ-ა, გადა-ადგილ-დ-ებ-ა...); **ნაცვლ-** ძირი ახლალა ივითარებს ვნებითის ფორმებს (გადანაცვლ-დ-ებ-ა...); **-კლ-ებ**, **-მატ-ებ** ფუძეებს საერთოდ არ უჩანს ამ ზმნათა აქტივის საოპოზიციო პასივები. ამიტომაც ამ პროცესის გარკვეული ტენდენციის წარმოსაჩენად მნიშვნელოვანია **ი-პრეფიქსიანი** იშვიათ ფორმათა გამოვლენა. მაგალითად, „ვისრამიანში“ დასტურდება ამ სტრუქტურის ვნებითი **კელ-** ძირიდან: „არცა ტალახითა მზისა შუქი და იკლები“.

თანამედროვე მედიის ენაში ასევე ვლინდება ამავე მოდელით ნაწარმოები **მატ-** ძირის პასივი:

*მართალია, პენსიები დაბალია, მაგრამ ნელ-ნელა მოიმატება (presa.ge).*

*უნდა ვეცადოთ ავწიოთ რაც შეიძლება დიდი წონა, რადგან ძალასთან ერთად მოიმატება კუნთის მოცულობაც (Athlet.ge).*

ასევე საყურადღებოა **ჩოჩ-** ძირისაგან ნაწარმოები -ინიანი ვნებითის ფორმები:

*შენ მადლობას ვადამიხდის და ჩაიჩოჩები, რომ ჩემს ადგილზე დაგბრუნდე (ინტერმედია“);*

ახლაც არ ჩ ა ი ჩ ო ჩ ე ბ ი? გამატარე, მეჩქარება (**„ქართ. საფიხ.“**);  
 მოდი, მოდი, ჩ ა ვ ი ჩ ო ჩ ე ბ ი ცოტა (**„თბილ. ფორ.“**).

ამდენად, წარმოდგენილი სალექსიკონო ერთეულების თავისებურებათა მიხედვით შესაძლებელია გარკვეულ ისტორიულ ტენდენციებსა და მათს შედეგებზე საუბარი. რაც მთავარია: ამგვარ ზმნურ ერთეულთა სემანტიკური სირთულე და არაერთგვაროვნება განაპირობებს მათი ლექსიკოგრაფიული გაფორმების საკმაოდ ნაირგვარ სურათს. შესაბამისი სალექსიკონო სტატიების შეჯერებამ აშკარად წარმოაჩინა, რომ გარდამავალი ზმნის სასუბიექტო ქცევის ერთი და იგივე ფორმა არსებითად ომონიმური გრამატიკული შინაარსით გვევლინება. ამიტომაც სათანადო სალექსიკონო სტატიებმა უპირველესად ზმნური ტრანსფორმაციის ეს სურათი უნდა წარმოაჩინოს.

AVTANDIL ARABULI, LALI BINIASHVILI, LIDA SOKHADZE

## Towards the reflection of grammatical homonymy of the forms of one type of version in GED

### S u m m a r y

The paper deal with the thorny picture that is caused by the interrelation of a subjecting version form of a transitive verb (*gamoic̣ev-s igi škams* – ‘Smb will pull a chair’), a passive content that is resulted by its transformation (*gamoic̣ev-s igi* – ‘Smb will pull’) and a relevant passive form (*gamoic̣eva* – ‘It will be pulled’).

Studying the data of “*Georgian Explanatory Dictionary*” demonstrates that the semantic complexity of such verbal entries causes their lexicographical heterogeneous picture. Comparison of relevant dictionary entries manifested that a same form of a subjecting version of a transitive verb occurs with homonymic grammatical context. Due to it, revealing of this homonymy should be a major task for the dictionary entries.



ნოდარ არდოტელი

**ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ საკუთარ სახელთა ქართულად  
გადმოცემისა და მართლწერისათვის**

ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ანთროპონიმიაში, წარმომავლობის მიხედვით, გამოიყოფა პირის სახელთა ორი ძირითადი ჯგუფი: 1) ადამიანის საკუთრივ ხუნძურ-ანდიურ-დიდოური სახელები, რომელთა რიცხვიც ნაკლებია და მეტწილად ძველისძველ წარმოებას მიეკუთვნება; 2) არაბული, თურქული და სპარსული საკუთარი სახელები, რომელთა ფართოდ გავრცელება დაკავშირებულია დაღესტანში ისლამური აღმსარებლობის ექსპანსიასთან, რამაც საკუთარი ეთნონიმების შევიწროება და არაიშვიათად მათი გაქრობაც კი გამოიწვია. შედარებით ნაკლებად გვხვდება ქართული საკუთარი სახელები. ბოლო დროს რუსული ენის ძლიერი ზეგავლენის პირობებში უხვად ვრცელდება რუსული და ევროპული წარმომავლობის პირთა სახელებიც (ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 136-138; ალექსევი, ათაევი 1997 : 124-125).

1) საკუთრივ ხუნძური სახელები მცირე რაოდენობით გვხვდება და უპირატესად მარტივი აგებულებით გამოირჩევა. მამაკაცის სახელები: **ჰაჟიაგ-ი (ჰაჟიაჟი)<sup>1</sup>, ყებედაგ-ი (ყებედაჟი** ზედმიწ. "მჭედელა"), **ნუცალ-ი, ადალაგ-ი (ცადალაჟი), ლაჩენილაგ-ი** (ზედმიწ. "შევარდენა"), **მამალაგ-ი, ცევეგან-ი (ცეჟეგან** ზედმიწ. "წინამძღოლი"), **ხერლუ (კერლუ** ზედმიწ. "ქორია")...; ქალის სახელებია: **ხაიდაყაი (ხადაყაა), ნუცალაი (ნუცალაა), მესედო** (ზედმიწ. "ოქრუა"), **ხანდულაი (ვანდულაა)** და სხვ.

ანდიურ ენებშიც, ხუნძურის ანალოგიურად, ძირეული საკუთარი სახელები ბევრი არ არის (იხ. მაჰომედოვა, ხალიდოვა 2001 : 432-440; მაჰომედოვა, აბდულაევა 2007 : 495-502...). საილუსტრაციო მაგალითები:

მამაკაცის კარატაული სახელები: **ადილაგ-ი, ბოლან-ი, აშუ (ცაშუ), დალბაწ-ი** (ზედმიწ. "ლომა"), **ზალალაგ-ი, მიკო** (ზედმიწ. "პატარა"), **ჰადუ (ჰადუ** ზედმიწ. "სწრაფი"), **ჰეტლელაგ-ი (ჰეტალელაჟი)**...; ქალის სახელებიდან გავრცელებულია: **მესდო** (ზედმიწ. "ოქრუა"), **ბერქუტა** (ზედმიწ. "განძი",

---

<sup>1</sup> ფრჩხილებში მოცემულია სათანადო სახელი ხუნძური ტრანსკრიფციით, ხოლო ფრჩხილებს გარეთ წარმოდგენილია მისი ქართული ეკვივალენტი. თუ ხუნძური და მისი ქართულად გადმოცემული ფორმა ერთნაირია, ხუნძური ვარიანტი აღარ მიეთითება, მარტოოდენ სახელობითი ბრუნვის ნიშნის გამოყოფა ხდება.

"თილისმა", შდრ. ქართ. განძა), **ბერცინაი (ბერცინაჲ** ზედმიწ. "ტურფა"), **ნუცალაი (ნუცალაჲ)**, **ტავუს-ი** (ზედმიწ. "ფარშავანგა")...; კაცის ახვანური სახელებიდან აღსანიშნავია: **ღაბაწე** (ზედმიწ. "ლომა"), **ზადლა, ყამარ-ი, ხოჩობარე** (= **ხუჩბარი**) და სხვ.; ქალის აღმნიშვნელი ანთროპონიმები: **ბეცენა** (ზედმიწ. "ტურფა"), **ქვანთო (ქუანთო), მისედო** (ზედმიწ. "ოქრუა"), **ჭუჭარა (ჭუჭარა ზედმიწ. "თავკერძა", "ამაყი"), მარჟანათე** და სხვ. მისთ.

დიდოურ ენათა სინამდვილეში პირთა სახელები, რომლებიც ისტორიულად ამ ენათა კუთვნილებას შეადგენდა, მცირე რაოდენობით შემოგვენახა (ისაყოფი 1996 : 89; არლოტელი 2007 : 118-120). ამ რიგის სახელებს განეკუთვნება: **ჭეთუ (ჭეთუ), კუზი, აცა (შაცა), მანყო, ჰენტლო (ჰენტო), ჰლოჰე (ლ'ოჰე), ჰეთუ (ჰეთუ), ტერყო, ნაყი** და ა. შ.

ზემომოყვანილ და ზოგ სხვა საკუთარ სახელთა ქართულად გადმოცემისას თავს იჩენს ზოგი სირთულე, რომელიც ქართულისათვის უჩვეულო ფონემათა ტრანსლიტერაციას უკავშირდება. კერძოდ, საკვლევ ენათა ფონოლოგიური სისტემების სპეციფიკური რიგების მართლწერა ასე გვესახება: ა) ლატერალები: სპირანტი **ლ' — ჰლ**, ფშინვიერი აფრიკატი **ლ' — თლ**, აბრუპტიული აფრიკატი **ტა — ტლ**; ბ) ფარინგალები: ფშინვიერი აფრიკატი **ჭ — ხ**, მჟღერი სპირანტი **შ — ღ**, ყრუ სპირანტი **ჰ — ჰ**; გ) სონანტები: პალატალური **ძ — ი**, წყვილბაგისმიერი **წ — ვ**; დ) ლარინგალური ხშული **ც — ღ**.

რაც შეეხება სათანადო თანხმოვანთა მაგარ კორელატებს და სპეციფიკურ (პალატალიზებულ, ფარინგალიზებულ, ნაზალიზებულ...) ხმოვნებს, რომლებიც საკუთარ სახელებში ძალიან იშვიათად იჩენენ თავს, მათი ტრანსლიტერაცია უნდა მოხდეს შესაბამისი მარტივი (ნეიტრალური) თანხმოვნების (resp. ხმოვნების) საშუალებით, მაგ.: ხუნძ. ცჟუეჯან — ქართ. ცევეხან-ი, ახვ. ჯაჩილა (ზედმიწ. "ქორია") — ქართ. ხაჩილა, ახვ. ჯუ<sup>ნ</sup>საჯე — ქართ. ხუსახე და ა. შ.

დიდოელებში გავრცელებულია ხუნძურისაგან შეთვისებული საკუთარი სახელები: **ჰენცა (ჰენცა < ჰენცაჟ "ზარმაცი"), ქეშ-ი || ქეშ-ი (ქუეშ < ქუეშაჟ "ავი"), ადალაჟ-ი (შადალაჟ "სულელი"), ჰიტინ-ი (ჰიტინაჟ "პატარა"), ციზოლაჟ-ი (ციზოლაჟ "ცეზი", "დიდოელი"), ჭუჭარაი (ჭუჭარაჲ, შდრ. ახვ. ჭუჭარა "id.") "ქედმაღალი", "ამაყი", მესედუ "ოქრუა" და სხვ.**

დასტურდება ისეთი სახელებიც, რომლებიც ხუნძურში ამჟამად აღარ შეინიშნება (ისაყოფი 1996 : 88): **ქანწა "შუქია", გენულაისა (გენულაჲსა) და მისთ.**

2) ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ საკუთარ სახელთა მეტი წილი არაბული და თურქული წარმომავლობისაა. ეს სახელები შემოსულია უშუალოდ და წერილობითი გზითაც, რამაც გამოიწვია ნაირგვარობა მათ დაწერილობასა და წარმოთქმაში. ამის დასტურად მარტოოდენ არაბ. **მუჰამად**-ის დასახელებაც იკმარებდა, რომელსაც ხუნძურ ენაში ასამდე ვარიანტი (**მაჰამად, მაჰამა, მაჰამედ, მაჰამუდ, მუჰამედ, მაჰადი, მაჰამედ**...) მოეპოვება. ამ სახელის

გადმოქართულება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, ვინაიდან მას ქართულშიც არაერთი ეკვივალენტი ეძებნება: მაჰმადი, მაჰმუდი, მაჰამედი, მაჰმადა და მისთ. ამ ფორმათაგან **მაჰმადი** ძირითადად საზოგადო სახელად — რელიგიის მიმდევართა, მქადაგებელთა და წმინდანთა აღსანიშნავად — გამოიყენება, ამიტომ უპირატესობა **მაჰამედი**, **მაჰმუდი** ფორმებს უნდა მიენიჭოს.

გარდა ზემოხსენებული სახელისა, ხუნძურ ენაში უხვად დასტურდება არაბული ენისაგან შეთვისებული მარტივი საკუთარი სახელები: **ყურბან-ი**, **ყადირ-ი**, **მურად-ი**, **მუსხარ-ი**, **დავუდ-ი** (ქართ. დავითი), **ხალილ-ი**, **მუსლიმ-ი**, **ჰაჯი** (ჰაჯი), **შარიფ-ი**, **ფატიმათ-ი**, **უნაიზათ-ი** (**მუნაფათ**), **სალიჰათ-ი** (**სალიჰათ**), **სალიმათ-ი**, **ზაჰიდათ-ი** და მრ. სხვ.

არაიშვიათად გვხვდება ისეთი რთული აგებულების (კომპოზიტური წარმოების) საკუთარი სახელები, რომლებიც ორი დამოუკიდებელი სახელის შეერთებით არის მიღებული, მაგ.: **ყავათ-ხან-ი**, **ყამალ-ედინ-ი** (შამილის მასწავლებელი), **ყაზი-მაჰმად-ი** და **ჯემალ-ედინ-ი** (შამილის შვილები), **აბაქარ-დებირ-ი**, **მუსა-ჰაჯი**, **ჰაჯი-მურატ-ი**: "...1934 წელს **ჰამზათ-ბეგი** მოკლეს ოსმანმა და მისმა ძმამ **ჰაჯი-მურატმა**<sup>1</sup> (ჰაჯი-მურადმა — ნ. ა.) — შემდეგში ავარიის მმართველმა" (ორბელიანი 1991 : 72), **მუსა-ჰაჯი**, **ბახუ-მესედუ** (იბამ შამილის დედა), **მუჰამედ-შაფ-ი** და მისთ.

ორკომპონენტიანი ანთროპონიმები დამახასიათებელია თურქული წარმომავლობის საკუთარ სახელთა წყებისათვის, რომელთა მეორე ნაწილი ხშირად წოდების ან თანამდებობის (**სულთან**, **ხანი**, **ბეგი...**) გამომხატველია: **აჰმედ-ხან-ი**, **ჰამზათ-ბეგ-ი**, **დანიელ-სულთან-ი**, **არსლან-ბეგ-ი**, **დელიმ-ხან-ი**, **ზაურ-ბეგ-ი**, **ხან-ბიქა**, **ზაჰრა-ბიქა** და მრ. სხვ.

ჩვენი შეხედულებით, ამგვარი კომპოზიტური სტრუქტურის პირის საკუთარი სახელები ერთ ცნებას აღნიშნავენ და განუყოფელ ერთობად წარმოგვიდგებიან (თანამდებობის გამომხატველი კომპონენტი დაცლილია ამოსავალი სემანტიკისაგან), ამიტომ უდევისოდ, ერთად უნდა იწერებოდნენ, მაგ.: **ჰარუნ-ბეგი**, **დელიმხანი**, **ხანბიქა**, **დიბირმაჰომედი**, **აბდულმაჟიდი**, **მაჰამადქოსოლოვი**, **შეიხმაჰამედი**, **ხირმაჰამედი** და ა. შ.

ზემომოყვანილი ტიპის პირთა სახელები ფაქტობრივ ამგვარი მართლწერით არის წარმოდგენილი ბოლო პერიოდის დალესტურ საენათმეცნიერო ლიტერატურაში. საანალიზო სახელთა ორთოგრაფიაში ამ წესის გამოყენება მართებული გვეჩვენება და იგი უნდა დამკვიდრდეს ქართულ მართლწერაშიც.

იშვიათად გვხვდება ბიბლიური პერსონაჟებისა და ებრაულ-ბერძნული წარმომავლობის სახელები, რომლებიც არაბული ან ქართული ენების გზით

<sup>1</sup> დ-ს ნაცვლად **ტ**-ს შემცველი ფორმა რუსულის მეშვეობით ჩანს გავრცელებული. რუსულის გავლენა სხვა სახელთა გაფორმებაშიც შეიმჩნევა: **მაგა-მედი**: "ამ პატარა სოფელს (წადას — ნ. ა.) საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი დალესტნის სახალხო პოეტებმა, მამა-შვილმა გამზათ წადასამ და რასულ გამზათოვმა" (რატინი 1984 : 13), **გამზათ-ი**, **ახვერდ-მაჰმადი** და ა.შ.

არის შემოსული, მაგ.: ხუნდ. შამილ-ი (< სამოელ),<sup>1</sup> ისა (ყისა < იესო), ჰავა (ჰაჰა < ევა); ახვ. ადამე "ადამი", ილიასი, მარია; საკ. დიდ. ისაყ-ი (ძვ. ებრ. ისააკ), ილიას (ძვ. ებრ. ელია), იაყუფ-ი (დაყუფ, ძვ. ებრ. იაკობ), სულეიმან-ი (სულეიმან < სოლომონ) და მისთ.

ამ რიგის სახელებს, როგორც ვხედავთ, ქართულში სათანადო შესატყვისი მოებოვება, თუმცა თარგმნისას ყოველთვის ვერ ხერხდება ქართული ეკვივალენტის გამოყენება, მაგ.: ისა იესო-დ ვერ გადმოქართულდა, მაგრამ იაყუფ-ი იაკობ-ად გადმოიციემა. ამის გათვალისწინებით, თითოეული სახელი ცალკე გააზრებასა და ანალიზს მოითხოვს.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს თავი იჩინა რთული აგებულების მრავალმარცვლიან სახელთა გამარტივების ტენდენციამ, როდესაც პირის სახელები იკუმშებიან ან იკვეციებიან (კარგავენ მთლიან მარცვლებსაც კი!), მაგ.: ფაძუღლაჰ > ფაძუღ, აბუბაქარ > აბაქარ, უზლიფათ > უზი, ზარიფათ > ზარი, აბულმუსლიმ > აბუსი...

ენის ამგვარი ქცევა მისი იმანენტური პოტენციის გამოვლენად უნდა მივიჩნიოთ. ამ ენათა ფონოტაქტიკისათვის მრავალმარცვლიანობა დამახასიათებელი არ არის, ამიტომ ენა მის დაძლევას ამ გზით ცდილობს. ეს გარემოება კი დამატებითი დასტურია იმისა, რომ კომპოზიტური აგებულების პირთა სახელები საერთო ოდენობას ქმნიან და მათი კომპონენტები ერთი მახვილის ქვეშ ექცევიან. ამის საფუძველზე ენაში ჩნდება არაკანონიკური სტრუქტურები, რომელთა გამარტივების ტენდენცია ამჟამად თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი.

## ლიტერატურა

**ალექსეევი, ათაევი 1997** — М. Е. Алексеев, Б. М. Атаев, Аварский язык. Москва.

**არდოტელი 2007** — ნ. არდოტელი, დიდოური ენა (აღწერითი ანალიზი და ტექსტები). თბილისი.

**ისაყოვი 1996** — И. А. Исаков, Цезские антропонимы. — Дагестанская ономастика (Материалы и исследования), Выпуск 2. Махачкала.

**მაპომედოვა, აბდულაევა 2007** — П. Т. Магомедова, И. А. Абдулаева, Ахвахско-русский словарь. Махачкала.

**მაპომედოვა, ხალიდოვა 2001** — П. Т. Магомедова, Р. Ш. Халидова, Каратинско-русский словарь. Санкт-петербург, "Scriptorium", Махачкала.

<sup>1</sup> დალესტნისა და ჩენნეთის იმამი შამილი სათანადო დოკუმენტებს ხელს ყოველთვის ასე აწერდა: **შამილ** (< ძვ. ებრ. სამოელ).

**ჩიქობავა, ცერცვაძე 1962** — არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენა. თბილისი.

### წყაროები

**ორბელიანი 1991** — ი. ორბელიანი, რვა თვე შამილის ტყვეობაში. თბილისი.

**რატიანი 1984** — ზ. რატიანი, კაცი უჩინმაჩინი (ნარკვევები). თბილისი.

## NODAR ARDOTELI

### Toward the translating and spelling of Avar-Andi-Dido proper names into Georgian

#### S u m m a r y

Two basic groups of personal names are distinguished in Avar-Andi-Dido anthroponymia: 1. Prop. Avar-Andi-Dido anthroponyms of human-being. Man's Avar names: *h>ažjajaw*, *gebedaw* (word-for-word 'blacksmith'), *lačenilaw* (word-for-word 'peregrine falcon')...; woman's names: *nucalaj*, *mesedo* (word-for-word 'golden'), ... and others.

In the Andi languages, like in Avar, there is a small number of basic proper names. Man's names: *karat*, *adilaw*, *yalbaç* (word-for-word 'lion'), *miço* (word-for-word 'small'), *h>adu* (word-for-word 'fast'); woman's names: *mesdo* (word-for-word 'golden'), *berkuča* (word-for-word 'treasure'), *favus* (word-for-word 'peacock'), etc.

In the Dido languages the basic proper names are few: *h>etu*, *'aca*, *naqi*, *tergo...*

During translating of analytical proper names into Georgian, the spelling of specific phonemes takes place as following: *l' - hl*, *l' - tl*, *ʃ - tʃ*, *q - x*, *ω - o*, *h - h*, *j - i*, *w - v*, *' - o*.

Most of Avar-Andi-Dido proper names are of Arabic and Turkic origin. Personal names of complex structure are frequent: *žavat-xan*, *žamal-edin* ('Shamil's teacher'), *hamzat-beg*, *musa-haži*, *haži-murač* and others.

The anthroponyms with two components denote one concept and create an indivisible unity. Due to it, they should be written together. E.g.: *arslanbeg-i*, *delim-xan-i*, *xanbika*, *zahrabika*, etc.

Lately the tendency of simplifying of multi-syllable personal names is obvious, during what syncope and elision of a name takes place. E.g.: *paizulaz > paizu*, *abubakar > abakar*, *abulmuslim > abusi...*

Such tendency of the language is caused by its phonotactics that is realized by overcoming of multi-syllable feature.

მანანა ბუკია

**ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან. VIII. ზღვასთან დაკავშირებული ლექსიკა**

ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობის საინტერესო ასპექტს წარმოგვიდგენს ზღვასთან დაკავშირებული ლექსიკა.

ამ დარგის ცალკეული სიტყვები სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომებში განხილულია პ. ჭარაიას, დ. გულიას, ქ. ლომთათიძის, ხ. ბლაჟბას, გ. კლიმოვის, გ. მაჭავარიანის, ა. შაგიროვის და სხვათა მიერ. ცალკე მონაკვეთად აქვს გაანალიზებული თ. გვანცელაძეს ნაშრომში „აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები“ (1997). საკუთრივ აფხაზურ საზღვაო ლექსიკას ეძღვნება ო. ძიძარას მონოგრაფია „Морская лексика в абхазском языке“ (1989).

შევეცადეთ ერთად მოგვეყარა თავი სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებებისათვის, ამავე დროს განვიხილავთ იმ ლექსემებს, რომლებიც მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩა, ან ჩვენს მიერ შემოთავაზებულია განსხვავებული თვალსაზრისი.

**სანაოსნო საშუალებათა აღმნიშვნელი სიტყვები**

ქართველურ ენებსა და აფხაზურში საკმაოდ შთამბეჭდავად წარმოდგენილი სანაოსნო საშუალებების აღმნიშვნელი სიტყვები. მათი ნაწილი აფხაზურში ქართველურიდანაა შეთვისებული:

**კანჯო** „მომცრო ნავი“ (ქეგლ. IV: 1058), **კანჯო** „(თათრ.) მომცრო ნავი“ (ჩუბინაშვილი 1887: 593), **კანჯო** (მეგრ.) „კანჯო; ჭიდან ჩავარდნილი ვედროს ამოსადები საშუალება“ (ქაჯაია 2002: 107) — **ა-კანჯა** „იალქნიანი გემი“ (ჯანაშია 1954: 141). სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შეთვისებული. გვაქვს აბაზურშიც **კანჯან** ზოგადად „გემის“ მნიშვნელობით (ძიძარია 1989: 53). დ. ჩუბინაშვილი მიუთითებს, რომ სიტყვა ქართულში თურქულიდანაა ნასესხები, თუმცა თანამედროვე თურქულში ეს სიტყვა არ ჩანს. თუნდაც **კანჯო** წარმოშობით ქართული არ იყოს, აფხაზურ-აბაზურისთვის სესხების შუალედური რგოლი ქართულია.

**ნიში** (მეგრ.) „ნავი“ (ყიფშიძე 1914: 290), **ნუშა** „მცირესა ნავსა ეწოდების“ (საბა 1991: 559), **ნიში / ნუში** (ლაზ.) „ნავი“ (ნარაკიძე 1986: 85) — **ა-ნგუშ** „ნავი“ (ჯანაშია 1954: 214); აფხაზურში ნასესხებია მეგრულიდან (ჭარაია 1912: 13).

**ტივი** „ერთიმეორეზე მიწყობით შეკრული დიდი ძელები მდინარეზე დასაცურებლად“ (ქეგლ VI: 1292), **ტივი** „ძელნი ერთად შეკრულნი მდინარეზედ სატარებლად“ (ჩუბინაშვილი 1887: 1220) — **ა-ტივ** „ტივი“ (ჯანაშია 1954: 260), **ა-ტივ** (ძიძარია 1989: 68); აფხაზურში ნასესხებია ქართულიდან (შაგიროვი 1989: 149). სიტყვა მხოლოდ აბჟუურ დიალექტშია წარმოდგენილი.

ნაწილი სიტყვებისა ორივე ენაში ნასესხებია:

**სანდალი** „მომცრო ნავი“ (ქეგლ VI: 750), **სანდალი** (ძვ. ქართ.) „ნავი“ (აბულაძე 1973: 366); „ნავია მომცრო“ (საბა 1993: 46), **სანდალი** (მეგრ.) „მომცრო ნავი“ (სახოკია 1989: 244) — **ა-ზენდალ** „იალქნიანი გემი“ (ჯანაშია 1954: 114), **ა-ზანდალ** „ხომალდი“ (რალ 1964: 292). ამოსავალია თურქული **sandal** „ნავი“ (მაგაზანიკი 1945: 518). სესხების შუალედურ რგოლზე ლაპარაკი რთულია. შესაძლოა, ორივე ენაში დამოუკიდებლად შემოსულიყო, თუმცა ანგარიშგასაწევია ის ვითარება, რომ ეს ლექსემა ჯერ კიდევ ძველ ქართულში ჩანს.

**ფილუკა** (მეგრ.) „ნავი“ (ყიფშიძე 1914: 336), **ჭელუკა** (ლაზ.) „id“ (მარი 1910: 240), **ფელუკა** (გურ., იმერხ.) „ნავი“ (ნიკოლეიშვილი 1999: 142) **ფილკუშ / ფილიკუშა** (სვან.) „id“ (საღლიანი 2005: 130) — **ა-ჭლიკა** „ნუშა (მცირე ნავი)“ (ჯანაშია 1954: 459). ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). ორივე ენაში შეთვისებულია იტალიურიდან თურქულის მეშვეობით: **filika** „აფრიანი ნავი“ (შაგიროვი 1989: 100).

გემის, ხომალდის ნაწილის აღმნიშვნელი რამდენიმე სიტყვა აფხაზურში ქართველური ენებიდანაა შეთვისებული:

**ა-ბგრკვლ** „გემბანის მოაჯირი“ (ძიძარია 1989: 16) აფხაზურში შესულია მეგრულიდან. სიტყვის ამოსავალი მნიშვნელობა „მოაჯირი, ნაგებობის ნაწილია“, ამიტომაც ლექსემა შესაბამის სემანტიკურ ჯგუფშია განხილული (ბუკია 2012: 94).

**ა-გან** „გემის ბორტი“ (ძიძარია 1989: 16). აფხაზურში **ა-გან** „განი, სიგანე“ ქართულიდან შეთვისებულად ითვლება (ჭარაია 1912: 13); „გემის ბორტის“ მნიშვნელობა აფხაზურში მეორეულია.

აზრთა სხვადასხვაობისა და დავის საგანია ქართული **აფრა** და აფხაზური **ა-ფრა** „აფრა, იალქანი“ სიტყვების ურთიერთმიმართების საკითხი. სიტყვა „იალქნის“ მნიშვნელობით ჯერ კიდევ ძველ ქართულში ჩანს (აბულაძე 1973: 11). ო. ძიძარია ნ. მარზე დაყრდნობით სიტყვას უკავშირებს აფხაზურ **ა-ფრგრა** „ფრენა“ ძირს (ძიძარია 1989: 14). ქ. ლომთათიძე მიუღებლად მიიჩნევს **ა-ფრა**-ში **ა-** ზოგადობის აფიქსის გამოყოფას. ის შესაძლოა იყოს ქარ-

თულში ფართოდ გავრცელებული \*სა- პრეფიქსის თანხმოდანამომორებული, ხმოვნითი ელემენტი, ისე როგორც **ა-დგილ** სიტყვაში, რომელიც უნდა მომდინარეობდეს სრული \*სა-დგილ სახეობიდან. ფუძე კი ხმაბაძვითია, ისევე როგორც ქართულში (ლომთათიძე 1999: 26).

### თევზის სახეობებისა და სათევზაო საშუალებების აღმნიშვნელი სიტყვები

ეთნოგრაფიული მასალები ადასტურებენ, რომ აფხაზები ძველად თევზეულს არათუ პატივს არ სცემდნენ და გამოიყენებდნენ, არამედ „ვიზღებოდათ“ კიდევ (ბახია-ოქრუაშვილი 2011: 72). პ. ჭარაია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „კიბოს და სხვ. აფხაზი არ მიეკარება; თევზსაც ძლიერ ერიდება, მხოლოდ ახლა ცოტ-ცოტა შეეჩვია“ (ჭარაია 2011: 31). საგულისხმოა, რომ ეს ეთნოგრაფიული ჩანაწერი გაკეთდა 1870-იან წლებში.

თ. გვანცელაძე თავის ნაშრომში „აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები“ მიუთითებს: „იქტიოფაუნის აღმნიშვნელ არცთუ მდიდარ აფხაზურ ლექსიკაში ქართველიზმების დიდი ხვედრითი წილია. რაც მთავარია, ლექსიკის ამ ჯგუფში ქართველური (მეგრული და ქართული) წარმოშობისაა სწორედ თევზის იმ სახეობათა სახელები, რომლებსაც თევზისმჭამელ ეთნოსთა შორის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ და გამოირჩევიან საკვები ღირსებებით: **ა-ღლამ** „ლოქო, ღლავი“, **ა-კალმან** / **ა-კამლაჰ(ა)** „კალმახი“, **ა-ჟ(ა)ლაგ<sup>0</sup>ღლ** / **ა-მლაგ<sup>0</sup>გრ** „ორაგული“, **ა-ღ<sup>0</sup>არჯა** „ღორჯო“, **ა-წ<sup>0</sup>ერედ** / **ა-წ<sup>0</sup>ერედ** / **ა-წ<sup>0</sup>არედ** „წვერა“, **ა-ჟ<sup>0</sup>ენთ<sup>0</sup>** „ზუთხი“ (მეგრ. **ზუნთხი**), **ა-შ<sup>0</sup>ეყ<sup>0</sup>ა** / **ა-შ<sup>0</sup>იყ<sup>0</sup>** / **ა-შ<sup>0</sup>იყ<sup>0</sup>** „სვია, ქამბალა, ტაბაკა“, ზედმ. „ბრტყელი სვია“ (გვანცელაძე 1997-ა: 221).

**ღლაგ**-ს მეგრულში გადატანითი მნიშვნელობაც აქვს: **ღლამცალ კოჩი** „ძლიერი, ჯანიანი კაცია“. იგივე მნიშვნელობით გადასულა აფხაზურშიც: **ა-ღლამ** „უდიდესი ძალის მქონე ზღაპრული არსება“ (გენკო 1998: 77; კასლანძია 2005: 321), **ა-საღლამ** „id“ (კასლანძია 2005-ა: 160). აფხაზურში **ა-ღლამ** ლექსემას „ზვიგენის“ მნიშვნელობაც აქვს (ძიძარია 1989: 48). სიტყვა გვხვდება აფხაზური ტოპონიმის ნაწილად: **აღლამიანაშიზ** „სადაც ღლავი მოკლეს“ — მორევი ღალიძგაზე, სოფ. კაციჰაბლაში (ცხადაია 1999: 228).

**კალმახი** „შავ- და თეთრხალებიანი თევზი“ (ქეგლ IV: 1036), **კალმახი** / **კალმახა** „კალმახი“ (საბა 1991: 349), **კალმახა** (მეგრ.) „კალმახი“ (ყიფშიძე 1914: 251), **კალმან** / **კალმან** / **კალმანჟ** (სვან.) „1. კალმახი, 2. თევზი“ (თოფურია 2000: 342) ნასესხები აქვს აფხაზურს **ა-კალმან** / **ა-კალმაჰა** (ჯანაშია 1954: 140) სახით; ფორმები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1912: 11). სიტყვა ქართულიდანაა შესული აფხაზურში (კლიმოვი 1986: 182). ნ. მაჭავარიანის მითითებით, აფხაზურში (ბზიფურში) **ა-კამლაჰ**, ზოგადად, „თევზს“ ნიშნავს, ისევე, როგორც სვანურში (მაჭავარიანი 2010: 101).



**ღორჯო** „პატარა მსხვილთავიანი მოშავო ფერის თევზი“ (ქეგლ VII: 566), **ღორჯო** „თევზია“ (ჩუბინაშვილი 1887: 1365) — **ა-ღ°არჯა** „ღორჯო“ (შაყრილი 1986: 190); აფხაზურში შესულია მეგრულიდან — ქართველურმა **ღო** მარცვალმა აფხაზურში მოგვცა **ღ°ა** კომპლექსი, აუსლაუტის ო კი გადაიქცა ა-ღ (გვანცელაძე 1997-ა: 221).

**ორაგული** „მოზრდილი თევზი ქაშაყისებრთა რიგისა“ (ქეგლ VI: 34), **ორაგული** „თევზი“ (საბა 1991: 604), **ორაგული** (მეგრ.) „ორაგული, დიდი თევზი ერთი“ (ჭარაია 1997: 108) აფხაზურში **ა-შ°ალაგ°ელ** „ორაგული“ (ჯანაშია 1954: 264), **ა-მლაგ°ერ** (ბზ.) (შაყრილი 1986: 444), **ა-მალაგ°ელ** „id“ (გვანცელაძე 2003-ა: 192) ფორმებითაა შესული. აფხაზურისთვის ამოსავალია ქართული ფუძე (შაგიროვი 1989: 143). ბზიფურისთვის შუალედური ფორმა აბჟუურია (ძიძარია 1989: 57).

**წერედი** „თევზის სახეობა, წვერა“ (ბლაჟბა 1964: 216), **წვერედი / წვერენდი** „წვერა“ (ყიფშიძე 1914: 378), **წვერადი / წვერადა** (გურ.) „წვერა“ (ლონტი 1984: 700) — **ა-წერედ / ა-წარედ** (აბჟ.) „id“ (ბლაჟბა 1964: 216), **ა-წ°ერედ / ა** „id“ (შაყრილი 1987: 401); სიტყვა ქართულიდანაა შეთვისებული აფხაზურში (ბლაჟბა იქვე, შაგიროვი 1989: 143). აფხაზურისთვის უჩვეულო ვოკალიზში (ე ხმოვნის არსებობა) მიგვანიშნებს გვიანდელ ნასესხობაზე.

**ზუთხი** „ერთგვარი მსხვილი ძვლოვან-ხრტილოვანი თევზი“ (ქეგლ IV: 183), **ზუნთხი** (მეგრ.) „ზუთხი“ (ყიფშიძე 1914: 238) — **ა-ჟ°უნთხ** „ზუთხი“ (ჯანაშია 1954: 229); სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შესული (მაჭავარიანი 1966: 166). ზუთხთან დაკავშირებით შევნიშნავთ, მ. ჩუხუას ვარაუდით, აფხაზური ფორმა გვაფიქრებინებს, რომ ზანურში შიშინა \***ჟუნთხი** ვარიანტიც უნდა გვექონოდა (ჩუხუა 2000-2003: 105), ჩვენი მხრივ უნდა აღვნიშნოთ, რომ სესხებისას აფხაზური ფონოტაქტიკა ქართველურ სისინა **ზ**-ს აფხაზურში შიშინა **ჟ**-დ აქცევს; შდრ. **ზუგდიდი** > **ჟ°გრგით**, შესაბამისად, აფხაზური ფორმისთვის **ზენ**-იანი ფორმა ამოსავალი.

**სვია** „დიდი ზომის თევზი ზუთხისებრთა ოჯახისა“ (ქეგლ VI: 1005), **სვია** „თევზია“ (ჩუბინაშვილი 1887: 1166) — **ა-შ°ემყა / ა-შ°იყ** / **ა-შ°იყ** „სვია, ქამბალა, ტაბაკა“ (გვანცელაძე 1997-ა: 221), ზედმ. „ბრტყელი სვია“ (გვანცელაძე იქვე). აფხაზური ტერმინი ჰიბრიდული კომპოზიტია.

ქართველური ენებიდან, კონკრეტულად, მეგრულიდანაა ნასესხები აფხაზური **ა-ტოფ** „თევზის სახეობა“ (ძიძარია 1989: 62). ამოსავალია **ტოფი/ტობი** „თევზის სახეობა, კოლხური კობრი“, **ტოფი / ტიფუ** (მეგრ.) „თევზის სახელწოდება“ (ყიფშიძე 1914: 330). მეგრული **ტოფი** ქართული **ტაფელა**-ს (პატარა წითელი თევზი) შესატყვისად მიიჩნევა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 429). ეს სიტყვაა საფუძველი **ტოფობა** „ქვირითის დაყრა“ (ქეგლ VI: 1327), **ტობობა / ტოფობა** (იმერ., ლეჩხ.) „თევზის მიერ ქვირითის დაყრის პერიოდი“ (ლონტი 1984: 514), **ტოფუა** (მეგრ.) „ქვირითის დაყრა“ (ჭარაია 1997:

129), **ტოქობ** (სვან.) „თევზთა განაყოფიერება; ტოქება“. ქართველურიდანაა ნასესხები აფხაზურში **ა-ტოფრა** „თევზის ამოხტომა წყლიდან ტოფისკენ მიმავალ გზაზე“ (ბლაჟბა 1964: 216), „ჭვირითობა“ (ძიძარია 1989: 62), **ა-ტაჟფრა** „id“ (გენკო 1998: 230). ო. ძიძარია გვთავაზობს სრულიად გაუგებარ სემანტიკას და ეტიმოლოგიას, თუმცა იქვე ეჭვქვეშ აყენებს თავის შეხედულებას და მიუთითებს, რომ აუხსნელია ო ხმოვნის გაჩენა აფხაზურ სიტყვაში (ძიძარია 1989: 62). ა. შაგიროვის მითითებით, სიტყვა აფხაზურში შესულია მეგრულიდან (შაგიროვი 1989: 142). მეგრული **ოტოფე** „სატოფე, თევზის ტოფობის ადგილი“ დასდებია საფუძვლად აფხაზურ ტოპონიმს **ჟატაფ** — ლალიძგის მარცხენა შენაკადი და მისი ხეობა (ოჩამჩ.). ტოპონიმთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს აფხაზი ინფორმატორი: „ტაფ არის თევზი. ლალიძგიდან ვატაფის შუა წელამდე ამოდის ქვირითის დასაყრელად“ (ცხადაია 2004: 113).

ქართველური ენებიდანაა ნასესხები აფხაზურში **ა-კგრთ** „ჭვირითი“ (ჯანაშია 1954: 154), **ა-ქგრით** (ბზ.), **ა-ქგლით** (აბუ.) „id“ (ბლაჟბა 1964: 216); სესხების ამ მიმართულებას აღნიშნავს ა. შაგიროვი (შაგიროვი 1989: 146). დავაკონკრეტებთ, რომ აბჟუთური ფორმა მეგრულიდანაა შეთვისებული, ბზიფური — ქართულიდან (ბუკია 2010: 31).

ვვარაუდობთ, რომ ქართველურიდან (/ქართველურის მეშვეობით) უნდა იყოს შეთვისებული აფხაზურში თევზის სახეობების აღმნიშვნელი სხვა სიტყვებიც: **ა-კამბულა** (აბუ.) „თევზის სახეობა“ < **კამბულა** (მეგრ.) „თევზის სახეობა, ქამბალა“; **ა-ქაფგრ** „კეფალი“ (კასლანძია 2005: 542) < **კეფალი / კიფალი** (მეგრ.) შდრ. ბერძ. **κεφαλις** „კეფალი“. შესაძლოა, ამავე რიგში განვიხილოთ აფხაზური **ა-ტარან** „ტარანი“ (რალ 1964: 567) < **ტარანი** „საშუალო ზომის თევზი კობრისებრთა ოჯახისა“ (ქეგლ VI: 1254).

ო. ძიძარიას მითითებით, ვ. კვარჭია **ა-ბარზალ** „სვია“ ლექსემას უკავშირებს მის ომონიმს **ა-ბარზალ** „ძველი საკულტო და საომარი იარაღი“ (ძიძარია 1989: 46). მართალია, ამ ლექსემათა სემანტიკურად დაკავშირება რთულია, მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ **ა-ბარზალ** „ბოძალი“ აფხაზურში მეგრულიდანაა შეთვისებული (ბუკია 2012-ა: 24).

აქვე განვიხილავთ წყლის სხვა ბინადართა ქართველურ-აფხაზურ სახელწოდებებს:

**კიბო** „1. წყლის ათფება ცხოველი, სხეული დაფარული აქვს მაგარი ქიტინოვანი საფარველით. 2. მედიც. ქრონიკული ავთვისებიანი სიმსივნე ერთგვარი“ (ქეგლ IV: 1194), კიბო „ასთაკივი“ (ჩუბინაშვილი 1887: 611), **კიბოია** (მეგრ.) „კიბოჩხალა“ (ყიფშიძე 1914: 257) — **ა-კიბეია** „კიბო“ (უსლარი 1887: 142); **ა-კვება** „კიბო (სამედ.)“ (რალ 1964: 491); **ა-კვაბაია** (აბუ.) „id“ (კასლანძია 2005: 518). ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 12). აფხაზურში შესულია მეგრულიდან (შაგიროვი 1989: 143). **ა-კვება** „კიბოს,

სიმსივნის“, სამედიცინო ტერმინის მნიშვნელობით მეორეულია ისევე, როგორც ქართველურში და სალიტერატურო ქართულიდანაა შეთვისებული, პირველადი მნიშვნელობით კი — მეგრულიდან.

**კუ** „1. ქვეწარმავალი, რომლის ბრტყელი სხეულიც დაფარულია ძვლოვანი ბაკნით“ (ქეგლ IV: 1397), **კუ** „ბალა“ (საბა 1991: 391), **კუ** (მეგრ.) „კუ“ (ქაჯაია 2002: 163), **კუ** (სვან.) „კუ“ (საღლიანი 2005: 20) — **ა-კ<sup>0</sup>გუა** „კუ“ (ჯანაშია 1954: 155). ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 12). ქართულიდან აფხაზურში შესული სიტყვა (შაგიროვი 1989: 143) გვხვდება ტოპონიმებშიც: **აკუათრა** „საკუვე ადგილი“ — ლალიძგის მარცხ. შენაკადი (ცხადაია 1999: 227).

**ლაქაქია** (მეგრ.) „კიბორჩხალა“ (ქაჯაია 2002-ა: 170), **ლაქაქა / იმ** (იმერ.) კიბორჩხალა“ (ბერიძე 1912: 63) — **ა-დალაქია / ა-დელაქია** „კიბორჩხალა, კირჩხიბი“ (ჯანაშია 1954: 93, 99), **ა-დელაქა** (ბზ.) „id“ (ბლაჟბა 1964: 229), **ა-ლაქქგმა** (აბუ.) „id“ (გენკო 1998: 76), **ა-დალაქია** (აბუ.) „id“ (კასლანძია 2005: 319). ერთი შეხედვით **ა-დალაქია** აფხაზური **ა-დალ** „ბაყაყი“ და მეგრული **ლაქაქია**-ს კონტამინაციას ჰგავს (ძიძარია 1989: 49). ნ. გენკოს და ვ. კასლანძიას მიერ მითითებული ფორმა მეგრულიდან ნასესხობაა (ბუკია 2010-ა: 9).

**წურბელა** „1. პარაზიტი, სისხლის მწოველი ჭია. 2. კუთხ. (გურ.) საქონელი, რომელსაც ზურგზე თასმასავით თეთრი ზოლი აქვს გაყოლებული“ (ქეგლ VIII: 1181), **წურბელი** (ძვ. ქ.) განუმარტავია (აბულაძე 1973: 552), **წურბელი** „მძრომი“ (საბა 1993: 388), **წურბელი** (მეგრ.) „წურბელა“ (ჭარაია 1997: 168), **წურბელ** (სვან.) „წურბელა“ (ავალიანი 1995: 67) — **ა-წარბელ** „წურბელა“ (ჯანაშია 1954: 388), **ა-წარბელ** „id“ (რალ 1964: 418); სიტყვა ქართველურიდანაა შესული აფხაზურში (მაჭავარიანი 1966: 168), გვხვდება ტოპონიმშიც: **აწურბელთრა / აწულბელთრა** — გუბე კეკვაჩიკვარის მარცხ. ნაპირას (ცხადაია 1999: 228); სიტყვა გვხვდება ცხენის შეფერილობის აღსანიშნადაც: **აბლა აწარბელ გქ<sup>0</sup>დან** „ცხენი, რომელსაც ზურგზე შავი ზოლი გასდევს“ (ამიჭბა 1975: 118); კომპოზიტში ქართულიდან შეთვისებული **ა-წარბელ** გვაქვს (ბუკია 1999: 77). აფხაზური კომპოზიტის მნიშვნელობა უახლოვდება ქეგლ-ის განმარტებას: „საქონელი, რომელსაც ზურგზე თასმასავით თეთრი ზოლი აქვს გაყოლებული“.

აფხაზურ **ა-გ<sup>0</sup>ლშაპ** სიტყვას, გარდა ამოსავალი („გველეშაპი“) მნიშვნელობისა, „ნიანგის“ სემანტიკაც შეუძენია (ძიძარია 1989: 47). ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 12). აფხაზურში შესულია მეგრულიდან (გვანცელაძე 1997-ა: 221).

სათევზაო საშუალებების აღმნიშვნელი რამდენიმე ტერმინი აფხაზურში ქართველური ენებიდანაა შეთვისებული:

**ანკესი** „თევზის საჭერი წვრილი, წვეტიანი კაუჭი რკინისა“ (ქეგლ I: 505), **ანკესი** „წვრილი ნემსკავი“ (საბა 1991: 57), **ანკესი / ანკეცი / არკეცი** (მეგრ.) „ანკესი“ (ყიფშიძე 1914: 197), **ანკესი / ანკეცი** (ლაზ.) „id“ (მარი 1910: 126; ნარაკიძე 1986: 82), **ანკეს** (სვან.) „id“ (საღლიანი 2005: 14) — **ა-რკ-გც** (აბჟ.), **ა-წ-გ-გვრ** (ბზ.) „ანკესი“ (ბლაჟბა 1964: 221); **ა-რკ-აც** (ძიძარია 1989: 62), **ა-ნკ-გც** ფორმა გვხვდება აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებში. ეს სიტყვა ქართულიდანაა ნასესხები, ხოლო აბჟუთური ფორმა — მეგრულიდან (შაგიროვი 1989: 143). ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ბზიფურში „ანკესი“ საკუთრივ აფხაზური ფორმითაა გადმოცემული. ქართველურ ენობრივ სივრცეში სიტყვა ბერძნულიდანაა შემოსული.

**ღარჩი** (მეგრ.) „თევზის საჭერი, წნელით დაწნული ღარისნაირი მახე“ (ქაჯაია 2001: 439) — **ა-ღარჩი** „თევზის საჭერი, ძირისკენ დაწვრილებული კალათი“ (კასლანძია 2005: 335), **ა-ღარჩი** „id“ (ძიძარია 1989: 49). ო. ძიძარია განიხილავს **ა-ღარჩი** ფორმას და ამბობს, რომ სპეციფიკური ბზიფური სიტყვაა, რომლის წარმომავლობაც უცნობია. რეალურად, ბზიფურისთვის ამოსავალია მეგრულიდან შეთვისებული აბჟუთური **ა-ღარჩი** (ინტერკონსონანტურ პოზიციაში -ა-ს გაჩენისთვის შდრ. **პრასა > ა-პარასა**). ეს უკანასკნელი ბზიფური დიალექტისთვისაა დამახასიათებელი. სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შეთვისებული.

**კუნო** (მეგრ.) „თევზის საჭერი კალათი“ (ყიფშიძე 1914: 262) — **ა-კუნა** „ფაცერი, გოდორი“ (ჯანაშია 1954: 154). ო. ძიძარია აფხაზური ტერმინის განხილვისას აღნიშნავს, მისი წარმომავლობა გაურკვეველია. ჩვენი აზრით, სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შესული. ფონოტაქტიკის წესები ზედმიწევნითაა დაცული: მეგრ. (resp. ქართველური) **კუ** > აფხაზ. **კ-გ**, შდრ. ქართ. **კუბო** > აფხაზ. **ა-კ-გბა**, აუსლაუტის ო > ა. შდრ.: ქართ. **გემო** > აფხაზ. **ა-გ-ამა**.

**ქუფე** „ფრინველის, ცხოველის დასამწყვდევი გალია“ (ჭარაია 1997: 143), „დაწნული გოდორი“ (ჯავახიშვილი 1986: 213), **ქუფე** (სვან.) „1. დაწნული კიღობანი; 2. ბუდე; 3. ყველის შესანახი მოგრძო ჭურჭელი“ (საღლიანი 2005: 124) — **ა-ქ-გვა** „კონუსის ფორმის კალათი თევზის დასაჭერად“ (კასლანძია 2005: 577). ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). აფხაზური ფორმა მეგრულიდანაა შეთვისებული (ბუკია 2010-ა: 9).

### ზღვასთან დაკავშირებული სხვა სიტყვები

**ბოლაზი** [თურქ. ბოლაზ] „ყელი“, „სრუტე“] „ნავსადგური“ (ქეგლ I: 1113), **ბოლაზი** (გურ.) „ტივების მისადგომი, ნავსადგური“ (ლონტი 1984: 83), **ბოლაზი** (მეგრ.) „2. უბე, ყურე“ (ქაჯაია 2009: 52) — **ა-ბაღ-აზა** „პორტი“ (რალ 1964: 66). ორივე ფორმისთვის ამოსავალია თურქული **boğaz** „სრუტე, არხი“ (მაგაზანიკი 1945: 82). სესხების შთალედურ რგოლზე საუბარ-

რი ძნელია. სიტყვა შედარებით ახალ ნასესხობას ჰგავს, შესაძლებელია, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შესულიყო ქართველურსა და აფხაზურში.

**კენჭი** „წვრილი, თხილისოდენა ქვა“ (ქეგლ IV: 1142), **კენჭი** „მცირე ქვათაგანი“ (საბა 1991: 366) — **ა-კანჭ** „კენჭი“ (ჯანაშია 1954: 161); სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შესული (ლომთათიძე 1999: 25). ო. ძიძარია ამავე რანგში განიხილავს **ა-ბლანჭ** ფორმას და მიუთითებს, რომ სიტყვის ეტიმოლოგია გაუგებარია, თუმცა აღნიშნავს, რომ ჰგავს რამდენიმე კავკასიურ ენაში გავრცელებულ სიტყვას: ქართ. **კენჭი**, ხუნდ. **განაჭ** „ქვა“ (ძიძარია 1989: 47).

**ლეკი** „თხლე ნოტიოთა ძირს დალეკილი“ (ჩუბინაშვილი 1887: 647), **ლეკი** (გურ.) „შლამი“ (ღლონტი 1984: 328), **ლეკი** (მეგრ.) „შლამი“ (ქაჯაია 2002: 190) — **ა-ლგკ** „ლამი, შლამი“ (ჯანაშია 1954: 179); სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შესული (ლომთათიძე 1976: 170).

**ტალღა** „წყლის რხვევითი მოძრაობით გამოწვეული ამონაზნექი ზედაპირზე, — ზვირთი“ (ქეგლ VI: 1239), **ტალღა** „ღელვა წყლისა, ზვირთი, მოქცევი წყალთა“ (ჩუბინაშვილი 1887: 1214) — **ა-დაღვა** „ტალღა, ზვირთი“ (ჯანაშია 1954: 92). სიტყვა თურქულიდანაა ნასესხები. შღრ. **dalga** „ტალღა“ (მაგაზანიკი 1945: 129). ო. ძიძარია მიუთითებს, რომ სიტყვა დაცულია მხოლოდ აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში (ძიძარია 1989: 49), თუმცა ბ. ჯანაშიას მითითებული აქვს თავის ლექსიკონში.

**ფონი** „მდინარეზე გადასასვლელი ადგილი, სადაც წყალი თხელია და ნელი“ (ქეგლ VII: 145), **ფონი** „მდინარის გასავალი“ (საბა 1993: 196), **ფონი** (მეგრ.) „გადასასვლელი მდინარეზე, სადაც თავთხელია“ (ქაჯაია 2002-ა: 107) — **ა-ფან** „ფონი“ (ჯანაშია 1954: 273); სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შესული (ლომთათიძე 1976: 51). **ა-ძაფან** (ბლაჟბა 1964: 97) ჰიბრიდული კომპოზიტია. ქართული სიტყვა გვხვდება აფხაზურ ტოპონიმებში: **აყვარჩაფანი** — სოფელი ლალიძგის მარცხ. ნაპირას; **მარკოზიფან, მინაიფან, შეგვიფან** — ფონები და მორეგები ლალიძგაზე (ცხადაია 1999: 228), **ხაბა იფან** — ფონი ოხუბრეში (ცხადაია 2003: 216).

**ყორე** „1. ქვისა და მისთ. გროვა. 2. უკიროდ, უტალახოდ ნაგები ქვის კედელი“ (ქეგლ VII: 568), **ყორე** (ძვ. ქ.) განუმარტავია (აბულაძე 1973: 467), **ყორე** „უტალახოდ ლიტონის ქვით ნაშენები“ (საბა 1993: 269), **ყორე** (მეგრ.) „ყორე (შეშის ან ქვის ზვინი)“ (ჭარაია 1997: 148) — **ა-ყარა** „რიყე“ (უსლარი 1887: 157). აფხაზური სემანტიკა უტოლდება ქეგლ-ის პირველ განმარტებას: „ქვისა და მისთ. გროვა“. პ. უსლარის აზრით, სოხუმის სახელწოდება **აყვა** სწორედ ამ სიტყვიდან უნდა მოდიოდეს — ქალაქს აკრავს ქვებით ჩახერგილი სანაპიროს დიდი ზოლი (იქვე). ბზიფური **ა-ყარგ**-სთვის ამოსავალია **აყარა** (ბლაჟბა 1964: 125). გვხვდება ტოპონიმად: **აყვარა** — სახნავები ლალიძგის ნაპირას (ცხადაია 2003: 144).

ზღვასთან დაკავშირებულ ლექსიკურ ჯგუფში განვიხილავთ ჰიბრიდულ კომპოზიციებს: **ა-დგვლებუხა** „კუნძული“, რომელიც ეტიმოლოგიურად ნიშნავს „მიწის შორის მდებარეს“, ხოლო „მიწა“ გადმოცემულია ქართული **ადგილ-**ფორმით, ასევე **ა-დგვლჩაც** „ნახევარკუნძული“, რომელიც იმავე **ადგვლ** ფორმას შეიცავს.

ზღვასთან, მდინარესთან და იქტიოფაუნასთან დაკავშირებული დარგობრივი ლექსიკა კარგად წარმოგვიდგენს იმ ყოფით და კულტურულ ურთიერთობებს, რომელიც ამ ორ ეთნოსს შორის ისტორიულად იყო ჩამოყალიბებული.

დასკვნის სახით მოვიყვანთ ამონარიდს თ. გვანცელაძის მონოგრაფიიდან „აფხაზური ენა. სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება“: „აფხაზურ წარმართულ პანთეონში არ დასტურდება არც ზღვის, არც ზღვაოსნობის, არც თევზთა მფარველი სულები თუ ღვთაებები, რაც კიდევ ერთი უტყუარი საბუთია იმისა, რომ აფხაზთა წინაპრები შავი ზღვის სანაპიროზე არ ცხოვრობდნენ გვიან შუა საუკუნეებამდე“ (გვანცელაძე 2011: 348).

## ლიტერატურა

**აბულაძე 1973** — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

**ამიჭბა 1975** — С. А. Амичба. Термины коневодства в абхазско-абазинских диалектах. იკეწ. II. თბილისი.

**ბახია-ოქრუაშვილი 2011** — ს. ბახია-ოქრუაშვილი, აფხაზთა ეთნოლოგია, თბილისი.

**ბერიძე 1912** — ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, სანკტ-პეტერბურგი.

**ბუკია 1999** — მ. ბუკია, ცხენოსნობისა და მეცხენეობის ლექსიკა ზანურში (მეგრული დიალექტის მიხედვით), სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.

**ბუკია 2010** — მ. ბუკია, ქართველიზმთა ერთი რიგისათვის აფხაზურ ნასესხებ ლექსიკაში, საენათმეცნიერო ძიებანი. ტ. XXXI, თბილისი.

**ბუკია 2010-ა** — მ. ბუკია, ქართველური ლექსიკა ვ. კასლანძიას „აფხაზურ-რუსულ ლექსიკონში“, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 89-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

**ბუკია 2012** — ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობების ისტორიიდან — III. ნაგებობების აღმნიშვნელი ლექსიკა, პროფესორ

გენადი ბურჭულაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები.

**ბუკია 2012-ა** — ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობების ისტორიიდან — VI. საბრძოლო იარაღის აღმნიშვნელი ლექსიკა, XXXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესია.

**ბლაჟბა 1964** — Х. С. Бгажба, Бзыбский диалект абхазского языка, Тбилиси.

**გენკო 1998** — Генко Н. А. Абхазско- русский словарь, Сухуми.

**გვანცელაძე 1997-ა** — თ. გვანცელაძე, აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.

**გვანცელაძე 2011** — თ. გვანცელაძე, აფხაზური ენა. სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება, თბილისი.

**გულია 2004** — დ. გულია, ქართულ-მეგრულ-აფხაზური ლექსიკონი, „მახარა“, 2004, № 1, თბილისი.

**კასლანძია 2005, 2005-ა** — В. А. Касландзия, Абхазско-русский словарь, т. I, II, Сухуми.

**ლომთათიძე 1976** — ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ — შედარებითი ანალიზი, I, ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები, თბილისი.

**ლომთათიძე 1999** — ქ. ლომთათიძე, აფხაზურსა და ქართველურ ენებში არსებული ზოგი საერთო ფუძის ნასესხობის მიმართულებისათვის, ჩიქობავას საკითხავები — X. თბილისი.

**მაგაზანიკი 1945** — Д. А. Магазаник. Турецко-русский словарь. Москва, 1945.

**მარი 1910** — Н. Я. Марр. Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем. С.-Пб. 1910.

**მაჭავარიანი 1966** — გ. მაჭავარიანი, სუბსტრატის საკითხისათვის დასავლურ-ქართველურ (ზანურ-სვანურ) ენობრივ არეალში, იკვ, XV, თბილისი.

**ნარაკიძე 1986** — ც. ნარაკიძე, მეთევზეობა-ნაოსნობის ლექსიკიდან ლაზურში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, V, თბილისი.

**რალ 1964** — Русско-абхазский словарь, гл. ред. Х. С. Бгажба, Сухуми.

**საბა 1991-1993** — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, II თბილისი.

**საღლიანი 2005** — მ. საღლიანი, ნასესხობანი სვანურ ენაში, დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.

**სახოკია 1989** — თ. სახოკია, მეგრული ანდაზები და გამოთქმები, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXVIII, თბილისი.

**უსლარი 1887** — П. К. Услар. Этнография Кавказа. Языкознание. Абхазский язык. Тифлис.

**ქაჯაია 2001** — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბილისი.

**ქაჯაია 2002** — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბილისი.

**ქაჯაია 2002-ა** — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბილისი.

**ქაჯაია 2009** — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. IV (დამატებანი), თბილისი.

**ქეგლ** — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1955-1964.

**ღლონტი 1984** — ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი.

**ყიფშიძე 1914** — И. А. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем. С.-Пб.

**შაგიროვი 1989** — А. К. Шагиров, Заимствованная лексика абхазско-адыгских языков. Москва.

**ჩუბინაშვილი 1987** — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, ს.-პბ დ. Чубинашвили, Грузино-русский словарь, С.-Пб.

**ცხადაია 1999** — პ. ცხადაია, ტოპონიმიკური ინტერფერენციის საკითხისათვის აფხაზთა და მეგრელთა ეთნიკურ-ტერიტორიულ საზღვრებზე. ქართველური მემკვიდრეობა, III, ქუთაისი.

**ცხადაია 2003** — პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბილისი.

**ძიძარია 1989** — О. П. Дзидзария, Морская лексика в абхазском языке, Сухуми.

**ჭარაია 1912** — П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим, МЯЯ, IV, С.-Пб

**ჭარაია 1997** — პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

**ჭარაია 2011** — პ. გიორგიძე (ჭარაია), აფხაზეთი და აფხაზნი, თბილისი.

**ჯავახიშვილი 1986** — მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, ტ. III, ნაწ. II. საჭმელ-სასმელი, თბილისი.



## MANANA BUKIA

### From the history of Georgian-Abkhazian lingvo-cultural relations – VIII vocabulary of terms related to sea

#### S u m m a r y

The article deals with Kartvelian and Abkhazian vocabularies related to sea, as well as word adoptions revealed in both languages.

Explored material is presented by semantic groups. The work considers navigation terms (Megr. **niši** — Abkh. **a-nəš** „Boat“, Kartv. **ṭivi** — Abkh. **a-ṭiv...**), terms referring to fish species and fishery tools (Kartv. **ṭopi** / **ṭobi** — Abkh. **a-ṭop**, Megr. **yačaçia** — Abkh. **a-dayaçia** / **a-dəyačia** / **a-dəyača** / **a-yaččəj** / **a-yačaçia** “Crayfish”... Megr. **darči** — Abkh. **a-darč** / **a-darač** “Conical fishing basket”, Megr. **ḵuno** — Abkh. **a-ḵ<sup>o</sup>šəna** “fishig basket, corf”, Megr. **kupe** — Abkh. **a-k<sup>o</sup>əpa** “Conical fishing basket”...), as well as other terms related to sea and water (Kartv. **ḵenči** — Abkh. **a-ḵ<sup>o</sup>anč**, Kartv. **leḵi** — Abkh. **a-ləḵ** “Silt, mud”, Kartv. **poni** — Abkh. **a-pan** / **a-zapan** “Ford”).

თეა ბურჭულაძე

**ვით თანდებულიანი უბრალო დამატებისა და ვითარების  
გარემოების გამიჯვნისათვის**

სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა თვალსაზრისია გამოთქმული **ვით** თანდებულიანი ფორმების შესახებ. ხშირად ვერ ხერხდება იმის გამიჯვნა, უბრალო დამატებაა ის თუ ვითარების გარემოება. ზოგი შეხედულებით, **ვით** თანდებულიანი მიცემითისა და სახელობითის ფორმები ვითარების გარემოებაა: „ხალხი **ფუტკარივით** ირეოდა“, „სულხანი **ვეფხვივით** თრთოდა“, „საქართველოში შენი ლექსები მშიერ **მგლებივით** დათარეშობენ“ (კვაჭაძე 2006: 176-177). სხვა თვალსაზრისით კი ის უბრალო დამატებაა (ა. დავითიანი, ვ. იმნაიშვილი).

შეხედულებათა სხვადასხვაობა განპირობებულია კრიტერიუმის სუბიექტური არჩევანით. საქმე ისაა, რომ წინადადების წევრის გამოყოფისას გრამატიკული ფაქტორებისა და ნიშნების გარდა, ასევე ვითვალისწინებთ შინაარსსაც, რაც, თავის მხრივ, არ გამოორიცხავს სუბიექტურ აღქმას. ეს პრობლემა თავს იჩენს ხოლმე როგორც სკოლაში, ასევე უმაღლეს სასწავლებელში სწავლების დროს. საკამათოა ასევე უბრალო დამატებისა და გარემოებათა გამიჯვნის საკითხი. ამიტომ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ამგვარი ტიპის პრობლემურ საკითხთა გარკვევა.

ვითარების გარემოების ფუნქციები ასეა განსაზღვრული:

1. უშუალოდ ახასიათებს თვისებრივად მოქმედების პროცესს, ე.ი., გვიჩვენებს, როგორ ხდება მოქმედება.

2. მოქმედება ხასიათდება მოქმედი პირის მდგომარეობაზე მითითებით.

3. მოქმედება ხასიათდება გარეგანი თანმხლები ნიშნებით.

4. გამოხატავს მსგავსება-შედარებას.

5. აღნიშნავს ზომა-ოდენობასა და გზისობას(ჯერობას).

მისი კითხვებია: როგორ? რამდენად? რამდენჯერ? მერამდენედ? (კვაჭაძე 2006: 174)

ხოლო უბრალო დამატებაა ის წევრი, რომელიც არ არის შეწყობილი ზმნის ობიექტურ პირთან. ის ფორმითა და შინაარსით რამდენიმე სახისაა და დაესმის შესაბამისი კითხვები: ვისზე? რაზე? ვისთან? რაში? ვისთან ერთად? რასთან ერთად? რისგან? რით? ვისი? რისი?

ზოგადად, **დამატებათა შინაარსის მქონე სიტყვათშეხამებათა არსებითი ნიშანი ისაა, რომ ზმნასთან დაქვემდებარებული წევრი ინახავს სახელის სემანტიკას, არ იძენს დამატებით ელფერს**, მაგალითად, ადგილისა და დროის ჩვენებას. ეს გარემოებათა ნიშან-თვისებაა. უბრალო დამატება ფორმობრივი დამოკიდებულების მხრივ მართულია ზმნის მიერ.

აღნიშნულია, რომ ვითარების გარემოების **ვით** თანდებულისანი მიცემითისა და სახელობითის ფორმები გამოხატავს მსგავსება-შედარებას. ამ შინაარსს განსაზღვრავს **ვით** თანდებულო, რომელსაც ცალკე აღებულს დაესმის კითხვები: რასავით? ვისავით? **სისხლივით წითელი, მგელივით ადამიანი, ბურთივით მრგვალი, ბავშვივით მოიქცა...** მოყვანილ მაგალითებში ზოგან შინაარსობრივად მსგავსება მოიაზრება (სისხლივით, ბურთივით...), ზოგან კი — შედარება (მგელივით, ბავშვივით...). ასეთივე სემანტიკის შემცველია **ებრ** თანდებულისანი ფორმებიც: ჩემებრ, ხისებრ... **ებრ** მნიშვნელობით იმავეს გამოხატავს, რასაც **ვით** და, შესაბამისად, ესეც აღნიშნავს მსგავსებას. ლ.კვაჭაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ვერ გავიზირებთ, თითქოს ებრ და ვით თანდებულისანი ფორმები უბრალო დამატება იყოს და არა ვითარების გარემოება“ (კვაჭაძე 2006: 180).

**ვით** თანდებულისანი ფორმები ზოგი მკვლევრის მიერ გააზრებულია, როგორც **როგორ** კითხვის სემანტიკის გამოხატველი. ამიტომ **ფუტკარივით, სისხლივით...** ფორმები განხილულია არა მსგავსება-შედარების, არამედ ისეთი შინაარსით, რომელიც გამოხატავს მოქმედების პროცესს, ან მოქმედი პირის მდგომარეობას. შესაბამისად, იმის გასარკვევად, თუ რა წევრია **ვით** თანდებულისანი ფორმები, უსვამენ კითხვას **როგორ?** და ამიტომაც ის ჩათვლილია ვითარების გარემოებად.

ერთი შეხედვით, კითხვის დასმა (რასავით? თუ როგორ?) სუბიექტური მიდგომითაა განპირობებული. აღნიშნავენ, რომ „როდესაც ორივე კითხვას იგუებთ თანდებულისანი სახელი, გარემოებისასაც და დამატებისასაც, ... ანგარიში უნდა გაეწიოს სემანტიკურ მხარეს“ (კოშორიძე 1985: 119). ჩვენს თვალსაზრისით, აქ არ დგას საკითხი ისე, როცა ერთი და იგივე წევრი შეიძლება ორივე კითხვას იგუებდეს — გარემოებისას და დამატებისასაც. ჩვენ ამ მიმართებისას — უბრალო დამატება თუ ვითარების გარემოება — ამოვღვივართ არა მხოლოდ კითხვის დასმის პრინციპიდან, არამედ შინაარსიდან.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ როცა ვით თანდებულისანი სიტყვა ზედსართავთან ან მასთან გათანაბრებულ სიტყვას ახლავს, როცა უშუალოდ უკავშირდება არსებით სახელს (საზოგადოსა თუ საკუთარს) უმჯობესია **რასავით** კითხვა დაეფუძვას. ხოლო ამ ტიპის წინადადებაში — „ოთარანთ ქვრივი მეწისქვილესავით გადაიდებდა მხარზე თოხსა“ — შესაძლოა საცილობელია, ამკარად გამოკვეთილი არ იყოს **როგორ** გაიდებდა თუ **რასავით** გაიდებდა (იმნაიშვილი 2002 : 57).

ჩვენი აზრით, ვით თანდებულის ფორმას ვერ დავუსვამთ კითხვას **როგორ? ბავშვივით გულჩვილი, შურდულივით დაეშვა, ვეფხვივით თრთოდა** ფორმებს არ შეესაბამება **როგორ თრთოდა?** (ვეფხვივით), **როგორ დაეშვა?** (შურდულივით) კითხვები. ის ვითარების გარემოება, რომელსაც დაესმის კითხვა **როგორ?** ზედმიწევნით გამოხატავს მოქმედების მდგომარეობას და არა მისგავსება-შედარებას. ჩვენთვის ერთ სინტაქსურ სიბრტყეზე არაა, ერთი მხრივ, **სწრაფად** წავიდა, **კარგად** ისწავლა, **თოფით** მოკლა, **დაუფიქრებლად** მოიქცა და, მეორე მხრივ, **ფუტკარივით შრომა, ბურთივით მრგვალი, ვეფხვივით თრთის** ტიპის ფორმები. პირველი ტიპი გამოკვეთილად აღნიშნავს მოქმედების პროცესსა თუ მოქმედი პირის მდგომარეობას, მეორე კი მისგავსება-შედარებას გამოხატავს.

**ვით** თანდებულის ფორმებს თუ ადგილს შევუნაცვლებთ, მაშინ შესაძლოა მან სინტაქსურად სხვა ადგილი დაიკავოს, ან სხვა ნიუანსი შეიძინოს:

1. ქალი შევლივით შემოვიდა
2. შევლივით ქალი შემოვიდა

ვცადოთ, ფუნქციის გასარკვევად დავუსვათ შესამისი კითხვა, გავარკვიოთ, გამოიწვევს თუ არა სხვაობას წინადადების სტრუქტურაში ამ წევრის გადანაცვლება. შეიძლება მეორე შემთხვევაში (შველივით ქალი შემოვიდა) კითხვა **როგორი** დაისვას კიდევ — **როგორი ქალი? როგორი ქალი შემოვიდა? — შევლივით ქალი შემოვიდა**. მაგრამ ამ წინადადადებაში ის კითხვის მიხედვით იქნება განსაზღვრება. ვფიქრობთ, ამ შემთხვევას კითხვა **როგორ** არ შეესაბამება და, აქედან გამომდინარე, ის ვითარების გარემოება არ იქნება. ხოლო მეორე შემთხვევაში კი **რასავით** კითხვა აჯობებს და მიესადაგება.

ცხადია, მხოლოდ კითხვის დასმა-დაუსმელობა წინადადების წევრის რაობის გარკვევისას საკონტროლო საშუალებად არ გამოდგება. ის ერთ-ერთი დამატებითი საშუალებაა წინადადების ამა თუ იმ წევრის სინტაქსური ადგილის გარკვევისათვის. ჩვენ ვეცადეთ გვეჩვენებინა, რომ დასახელებული **ვით** თანდებულის ფორმებისათვის **როგორ** კითხვის დასმა უხერხულებას ქმნის და ხელოვნურადაც მიგვაჩნია.

ლ.კვაჭაძე აღნიშნავს, რომ „შედარების გამომხატველი ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებას რომ მარტივი შევუნაცვლოთ, შესაბამისი წევრის სინტაქსურ ფუნქციას ვით-თანდებულის სახელი შეასრულებს. მაგ.: „კოშკში მოჩანან ქალები, როგორც ყვავილნი მთისანი“ — კოშკში მოჩანან ქალები მთის ყვავილებივით“ (კვაჭაძე 2006: 177). ვფიქრობთ, ასეთი ჩანაცვლებაც ვერ გამოდგება იმის საჩვენებლად, რომ მსგავსი ფორმები ვითარების გარემოებად ჩავთვალოთ. ჯერ ერთი, პირველ შემთხვევაში (როგორც ყვავილნი მთისანი) კვლავ მსგავსებაზეა გამახვილებული ყურადღება და **როგორც** კავშირი სწორედ ამას გამოხატავს და არა მოქმედების რაიმე პროცესს ან მოქმედი პირის მდგომარეობას, რაც,

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ვითარების გარემოების ძირითადი ფუნქციაა. რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივად გადაკეთებისას, რაკი იქ მსგავსება-შედარებაზეა საუბარი, ბუნებრივია, რომ **ვით** თანდებულისანი ფორმით გადმოიცა.

შესაძლოა, **ვით** თანდებულისანი ფორმას ახლდეს რამდენიმე ამხსნელ-დამაზუსტებელი სიტყვა, რომლებიც უდავოდ ვითარების გარემოებებია. ამის მაგალითად მოყვანილია ასეთი წინადადება: „ჩემი გულიც **მოტორივით** მუშაობდა: მტკიცედ, მკაფიოდ და ხალვათად“ (კვაჭაძე 2006: 177). რასაკვირველია, **მტკიცედ, მკაფიოდ** და **ხალვათად** ვითარების გარემოებებია, რომლებიც ვითარების ზმნიზედებითაა გადმოცემული. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთგვარვითარებისგარემოებანი შერწყმული წინადადება თავისი განმაზოგადებელი სიტყვით იშვიათია. ზემოთ მოყვანილ წინადადებაში შესაძლებელია **რასავით** კითხვის დასმა (რასავით მუშაობდა?) და არა უპირობოდ **როგორ?** შესაძლოა, ამგვარი ვითარება შეიქმნას, მაგალითად, მსგავსი ტიპის წინადადებებშიც: „დამასაფლავებს ეპოქალურად: ზურნით, თარით, დუღუკით და შოპენის მარშით“. **ეპოქალურად** ვითარების გარემოებაა (როგორ?). ზურნით, დუღუკით, თარით, მარშით ნამდვილად ვითარების გარემოებებია თუ უბრალო დამატებები? როგორ გავანალიზებთ მათ? რა კითხვას დავუსვამთ — **რით** თუ **როგორ?** როგორც ჩანს, ასეთ შემთხვევებში განმაზოგადებელი სიტყვა ზუსტ ვითარებას ვერ ასახავს და გადაჭრით პასუხის გაცემა გაჭირდება.

**ვით** თანდებულისანი უბრალო დამატებისა და ვითარების გარემოების გამიჯვნის ერთ-ერთი ფაქტორი შესაძლოა ყოფილიყო სინტაქსური ურთიერთობის რავგარობა სხვა წევრებთან. „რა თქმა უნდა, ეს კარგი საშუალება იქნებოდა აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში გადაჭრით თქმა ძნელია, ვით თანდებულისანი სიტყვა მართულია თუ მირთული“ (იმნაიშვილი 2002: 61). არნ.ჩიქობავა აღნიშნავდა: „მართვის დაზუსტების ხაზით მივდივართ მირთვისკენ. ამ ხაზზე კი შეიძლება შეგვხვდეს ისეთი მოვლენები, რომელთა შესახებ ძნელია თქმა — მართვაა იგი თუ მირთვა“ (ჩიქობავა 1968: 120).

ერთ-ერთი განმასხვავებელი ფაქტორი ზოგადად უბრალო დამატებასა და გარემოებას შორის ისაა, რომ ვითარების გარემოება ზმნიზედით გადმოიცემა, მირთული წევრია. უბრალო დამატება უპირო ფორმაა და ზედსართავი სახელით შეიძლება გამოიყენებოდეს სხვადასხვა წევრი. გარემოება მხოლოდ შემასმენელს მიემართება:

ამიტომაც **მწყრალად მითხრა.**

გიორგის **კოხტად** და **ფაქიზად** ჩაცმა-დახურვა **უყვარდა.**

ისევ **აკოცებს** პეპელა **ჩუმად, მიბარვით.**

გიორგის ბელადობით **ჩუმად** და **სიფრთხილით მიდიოდნენ** ჩვენები.

უბრალო დამატება კი მიემართება როგორც შემასმენელს, ასევე ქვემდებარეს, უბრალო დამატებას, განსაზღვრებას, გარემოებას:

მე კი ეს **სირცხვილადაც მეყოფა.**

**დარდით და ბოლმით გამძვინვარებული** მარაბდელი არაგვისაკენ მიეშურებოდა.

მას ეს **მუსიკასავით შეწყობილ** ხმებად შეესმოდა.

**ბავშვივით თამაში** იცოდა და ხარობდა.

რასაკვირველია, ზმნა-შემასმენელი წინადადების მთავარი ღერძია, რომელსაც მიემართება სხვადასხვა წევრი. თუმცა აღსანიშნავია, რომ **ვით** თანდებულნი ფორმები, როგორც ვნახეთ, სინტაქსურ წყვილს ქმნიან არა მხოლოდ შემასმენელთან, არამედ სხვა წევრებთანაც. ამ თვალსაზრისით, ის მკვეთრად განსხვავდება ვითარების გარემოებისაგან. მიგვაჩნია, რომ ესეც ერთი დამატებითი ფაქტორია იმისა, რომ იგი არ განვიხილოთ უპირობოდ ვითარების გარემოებად.

ვფიქრობთ, ვითარების გარემოების ფუნქცია არ არის მსგავსება-შედარების გამოხატვა. ეს უფრო უბრალო დამატების ფუნქცია ჩანს და ამიტომაც **ვით** თანდებულნი ფორმები მხოლოდ უბრალო დამატებად უნდა განვიხილოთ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დამატებათა შინაარსის გამომხატველი და ქვემდებარებული ფორმები სახელის სემანტიკის შემცველია და არა სხვა დამატებითი ელფერის, ფუნქციის (ეს გარემოებათა ფუნქციაა!). რაკი შინაარსობრივად ვით თანდებულნი ფორმები მხოლოდ მსგავსება-შედარებას გამოხატავენ, მათ ვერ განვიხილავთ ვითარების გარემოებათა რიგში.

## ლიტერატურა

**დავითიანი 1973** — ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, I, თბილისი.

**იმნაიშვილი 2002** — ვ. იმნაიშვილი, უბრალო დამატება თუ ვითარების გარემოება, კრებულში „ენათმეცნიერების საკითხები“, I, თბილისი.

**კვაჭაძე 2006** — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

**კოშორიძე 1985** — ე. კოშორიძე, კვლავ ერთი სადავო საკითხის გამო, კრებულში „ქართული ენა ლიტერატურა სკოლაში“, №1-2, თბილისი.

**ჩიქობავა 1968** — არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში.

TEA BURCHULADZE

**Toward the demarcation of a simple object with a *vit* postposition  
from an adverbial modifier**

S u m m a r y

There are different standpoints on the forms with *vit* postposition in the special literature. Often it is impossible to demarcate a simple object from an adverbial modifier. Only putting or not a question cannot come in useful as a checking tool to identify an essence of a sentence member. It is one of additional tools in order to identify a syntactic place of any sentence member. I attempted to show that to put a question-word *how* to the forms with *vit* postposition makes awkwardness and is considered to be unnatural.

I believe that the function of adverbial modifier is not to express similarity and comparison. It seems to be a function of a simple object and due to it the forms with *vit* postposition should be discussed as simple objects. Subordinate forms which express contents of objects contain a noun's semantics and not additional nuance, function (it is a function of adverbial modifiers!). For the forms with *vit* postposition express only similarity and comparison essentially, they cannot be discuss among the adverbial modifiers.

ელისაბედ გაზდელიანი

**ზედსართავი სახელის ჯგუფები და ხარისხები სვანურში**

სვანური ენის სახელებში, სხვა ქართველური ენების მსგავსად, გამოყოფენ ერთ-ერთ სემანტიკურ ჯგუფად ზედსართავ სახელებს. ზედსართავი სახელის განმარტება, სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული ენისათვის არის შემდეგი: „ზედსართავი სახელი (ადიექტივი) ჰქვია ისეთ სიტყვას, რომელიც არსებითი სახელის რაიმე ნიშანს ასახელებს“ (შანიძე 1973: 30).

ზედსართავი სახელი არის დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვა, რომელიც გვიჩვენებს საგნის ნიშანთვისებას. ასევე შეიძლება განვმარტოთ ზედსართავი სახელი სვანურ ენაში: „ზედსართავი სახელი საგანს ახასიათებს, რაიმე ნიშნის მიხედვით, როგორცაა მაგალითად: ფერი, ასაკი, გარეგნობა, ხასიათი, გემო და სხვა“ (ჭუმბურიძე 2007: 100). გარდა ამისა, ზედსართავი სახელი გამოხატავს მქონელობა-უქონელობას, წარმომავლობას (სადაურობას), დანიშნულებას და ყოველთვის ახლავს არსებით სახელს.

სვანურში საგანი, არსებითი სახელი, ქართულის მსგავსად, შეიძლება დავახასიათოთ შემდეგი ნიშან-თვისებების მიხედვით. მაგ., **ამსჷნლდ** „ადამიანი“ შეიძლება იყოს: **ხოჩა** „კარგი“, **ხოლა** „ცუდი“, **კვლთხი** „მაღალი“, **დამბზლ** „დაბალი“, **მაფშზრ** „დაღლილი“, **თჷელიან** „ჰკვიანი (ტვინიანი)“, **მპბზწრ** „მადლარი“, **შგურწლ** „მორცხვი“, **უყწლჷა/უყყალჷა** „უშიშარი“, **ყურმანჯ** „ყრუ-მუნჯი (სიტ.სიტ. ყურ-მახინჯი)“, **ლგკმწშ** „ღონიერი“, **უთჷრა** „უსწავლედი“, **ნათორ** „ნასწავლი“, **მუშჷან** „სვანი“, **მგლჩხუმ** „ლეჩხუმელი“, **მგაფხაზ** „აფხაზი და სხვა.

**დიწრ** „პური“ შეიძლება იყოს: **მახე** „ახალი“, **ჯჷინელ** „ძველი“, **მეშხე** „შავი“, **თჷეთჷნე** „თეთრი“, **ძღვღ** „დიდი“, **მწწშგჷე** „რბილი“, **ფგრი** „ხმელი“, **ქჷწრ** „ცივი“, **ტებდი** „თბილი“, **სგელ** „სქელი“, **დგთხელ** „თხელი“, **მურგჷწლ** „მრგვალი“, **ბგგი** „მაგარი“, **ქჷწრჷ** „ხმიადი (აუფუებელი ცომის პური)“, **ლგთბილისჷ** „თბილისური“, **ლგრაჰჷ** „რაჰული“ და სხვა.

ვ. თოფურია სვანურ ზედსართავ სახელებში შინაარსის მიხედვით გამოყოფს ორ ჯგუფს: ვითარებითი, პირველადი და მიმართებითი სუბსტანტივებისაგან წარმოქმნილი ზედსართავი სახელები. სუბსტანტივიზაცია არის ტრანსფორმაციის კერძო სახე-მეტყველების, რომელიმე ნაწილის არსებით სახელად გადაქცევა, გაარსებითება სპეციალური მაწარმოებლების გარეშე (ქართული ენა. ენციკლოპედია: 2008).



ავტორი ეყრდნობა ვითარებითი ზედსართავი სახელების ანალიზს და მიიჩნევს, რომ ისინი ნაწარმოებია. ამას ცხადყოფენ აფიქსები, რომლებიც ზედსართავი სახელების ფუძეში რედუქციას იწვევენ. ჩამოთვლის ზემოსვანურ მაგალითებს, რომელთა ამოსავალ ფორმებად მიწერილია ლენტეხური დიალექტის მონაცემები, თუმცა ამის შესახებ არ მიუთითებს (თოფურია 2008: 169). როგორც ცნობილია, ლენტეხური დიალექტი სხვა დიალექტებს, რედუქციის სისუსტით უპირისპირდება და ხშირად ზემოსვანური და ლაშხური დიალექტური ფორმებისათვის ამოსავალი, სრულმონიანი ვარიანტი დაცულია ლენტეხურში. მაგ., **წგრნი** ზს., ლშ. (<**წგრ-ან-ი** ლნტ.) „წითელი“, **თჷთენე** ბზ., ლშ. **თეთნე** ბქ., (< **თჷთეთჷნე** ლნტ.) „თეთრი“, **მაშრი** ზს., ლშ., (< **მა-შარ-ი** ლნტ.) „ფართო“, **მეშხე** ზს., ლშ., (< **მე-შხე-ე** ლნტ.) „შავი“, **ტებდი** ზს., ლშ. (< **ტებედი** ლნტ.) „თბილი“, **მენგრე** ზს., ლშ. (< **მენგრე-ე** ლნტ.) „მსხვილი“, **მეკაჷშე** ზს., ლშ. **მე-კაჷშე-ე** ლნტ. „გატეხილი, მოტეხილი“, **მენკაჷ** ზს., ლშ. **მენეკაჷ** ლნტ. „მოხრილი, მოღუნული“ და სხვა.

ხშირად ყველა დიალექტში ერთი და იმავე ფორმის მქონე ზედსართავი სახელები გვხვდება. ლენტეხური დიალექტიც მიჰყვება სხვა დიალექტებს. მაგ., **ბგვი** „მაგარი“, **მანე** „ახალი“, **ფგრი** „ხმელი“, **ფუკაჷ** „მშრალი“, **მეჩი** „მოხუცი“, **კჷინელ** „ძველი“, **კრდი** „გრძელი“, **მადღარ** ბზ., **მადღარ** ლშ., **მადღარ** ბქ., ლნტ. „მშვიერი“, **ნახუწი** „ვიწრო“... განსხვავება გვაქვს მხოლოდ ფონეტიკური (სიგრძისა და უმლაუტის მიხედვით).

როგორც ვნახეთ, ვითარებითი ზედსართავი სახელები პირველადი სიტყვებია, მათ რიგს განეკუთვნება ნასახელარი ზმნებისა და მიმღებობების ის ნაწილი, რომელსაც ზმნური კატეგორიები დაკარგული აქვს. პირველადი ზედსართავი სახელები, საგანს ისეთი ნიშნის მიხედვით ახასიათებს, რომელიც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სხვადასხვა ხარისხით (მეტ-ნაკლები ოდენობით). ასე ახასიათებს ქართული ენის ვითარებით ზედსართავ სახელებს ა. შანიძე თავის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“.

სამეცნიერო ლიტერატურაში ზედსართავი სახელებში შინაარსის მიხედვით გამოყოფილი მეორე ჯგუფი ე. ი. მიმართებითი ზედსართავი სახელები უმთავრესად არსებითი სახელებისაგანაა წარმოქმნილი და გვიჩვენებს საგნის, არსებითი სახელის ნიშან-თვისებას სხვა საგანთან მიმართებით. მაგ., მიმართებითი ზედსართავი სახელი, **ლგ-ფჷჷ** „ქუდიანი“ უპირისპირდება **ფაჷჷრ** „უქუდო“ სახელს.

ქართული მიმართებითი ზედსართავი სახელები ზოგჯერ ვითარებითებად არიან ქცეული და ხარისხებსაც აწარმოებს: ჭკუა — ჭკუიანი — უჭკვიანესი; ძალა — ძლიერი — უძლიერესი (შანიძე 1973: 39).

ძირითადი სხვაობა ვითარებით და მიმართებით სახელებს შორის ისაა, რომ ვითარებითი სახელები გვიჩვენებენ ობიექტის ნიშან-თვისების მეტ-ნაკლებობას, რომელიც გარკვეული აფიქსების საშუალებით გამოიხატება, რომელთაც ხარისხის ფორმები ეწოდებათ. ხარისხის ფორმა გვიჩვენებს, რომ ერთი საგნის ნიშანი

ან თვისება ნაკლებია მეორეზე (მაგ. **წვრნი** „წითელი“ — **ხო-წრანა**-ა „უფრო წითელი“; ეს უკანასკნელი ნიშანი მეტია ვიდრე ჩვეულებრივ **წვრნი** „წითელი“).

მიმართებითი ზედსართავი სახელები მეორეულია. იგი წარმოქმნილია უმთავრესად არსებითი სახელისაგან. სვანურ წარმოქმნილ მიმართებით ზედსართავ სახელთა სხვადასხვა ჯგუფებია გამოყოფილი და მათ ფუნქციას ასრულებს ყველა სახის მიმღობა, თუ ის გასუბსტანტივებული არ არის, აფიქსები მიმღობისაა და საერთოა სიტყვათწარმოება ნაზმნარ და ნასახელარ სახელებში (თოფურია 2008: 32).

მიმართებით ზედსართავ სახელებად სვანურში მიჩნეულია ქონების, უქონლობის, დანიშნულების და სადაურობის აღმნიშვნელი სახელები.

1. ქონების აღმნიშვნელი ზედსართავები იწარმოება (**ლგ-** ასიმილაციით **ლუ-**) პრეფიქსით და **-ი** ან **-ე** სუფიქსებით, რომლებიც ხშირად დაკარგულია. ფუძეში ხმოვნის უმლაუტი აფიქრებინებს ვ. თოფურიას, რომ უდაოდ მოკვეცილი უნდა იყოს მაუმლაუტებელი ხმოვნები, სუფიქსები **-ე** ან **-ი**. მაგ.: **ლგ-ბან** ბზ., ლნტ., **ლგ-ბეჩ** ლშხ., „ქვიანი“, **ლგ-ბარგ** (<\***ლგ-ბარგ-ი**) „ბარგანი“, **ლგ-მედე** (<\***ლგ-მედე-ე**\*) „მეძლებული“ (სიტ. სიტ. იმედიანი), **ლგ-ვამშ** ბზ., ლნტ. **ლგ-ვამშ** ლშხ. „ლონიერი“; **ლგ-ზეთ** „ზეთიანი“, **ლგ-ლდარ-ე** ბზ., ლშხ. **ლგ-ლდ-არ** ბქ. „ტარიანი“, შდრ. **ლადარ** ლნტ. **ლადარე** „ტარი“. **ლუ-** პრეფიქსიანი ზედსართავები: **ლუ-ღუინ** ზს., ლნტ. **ლუ-ღუნ** ლშხ. „ხბოიანი“, **ლუ-ფხუილ** ბზ., ლნტ., **ლუ-ფხულ** ლშხ. „თითებიანი“, მაგ., **ლუფხუილ ბერ** (ბზ.) „თითებიანი ხელთათმანი“, **ლუ-ძღუიდ** ზს., ლნტ. „ზღუდიანი“. მაგ., **ლუძღუიდ ქორ** (ბზ.) „ზღუდეშემოვლებული (ზღუდიანი) სახლი“.

ქონების აღმნიშვნელი ზედსართავები **-არ** ბზ., **-არ** ბქ., ლნტ., **-არ** ლშხ. დისიმილაციით, შესაბამისი **-აწლ**, **-აწლ**, **-აწლ** სუფიქსებითაც იწარმოება. როგორც **-ლუ/-ლგ** პრეფიქსები, ისე **-არ**, **-არ**, **-არ** სუფიქსები მნიშვნელობით ქართულ **-იან**, **-ოვან**, **-ოსან** სუფიქსებს უტოლდება. მაგ., **ქილ-არ** ბზ., **ქილ-არ** ლშხ., **ქილ-არ** ლნტ. „ემვებიანი, ღოჯებიანი“. **ქილარ ხამ ხევედხ** (ლშხ.) „ემვებიანი ღორი ჰყავდათ“; **ქუხუ-არ** ბზ., **ქუხუ-არ** ლშხ., **ქუხუ-არ** „მუწუკიანი“; **ქუხუარ ტოტარ ხარ** (ბზ.) „მუწუკიანი ხელები აქვს“; **ღუეს-არ** // **ღუას-არ** ბზ., **ღემეს-არ** ბქ., **ღუეს-არ** ლშხ., **ღუეს-არ** ლნტ. „ბადექონჩართული პური (ბადექონიანი პური)“. **ღუესარ დიარალს აწყეხ** (ლშხ.) „ბადექონიან პურებს აცხობენ“. **თაშ-არ** ბზ., **თაშ-არ** ლშხ., **თაშ-არ** ლნტ. „ყველიანი“. **თაშარ დიარ** (ბზ.) „ყველიანი პური (ხაჭაპური)“; **ძაძ-არ** ბზ., **ძაძ-არ** ბქ., ლნტ. **ძაძ-არ** ლშხ. „ძაძებიანი“, **ძაძ-არ ზურარლ** (ბზ.) „ძაძებიანი ქალი“ და სხვა.

2. უქონლობის მიმართებითი ზედსართავი სახელები უპირისპირდება ქონების ზედსართავ სახელებს; ისინი იწარმოებიან **-ურ** (დისიმილაციით), **-ულ** სუფიქსით, რომელიც მატერიალურად უტოლდება მეგრულ **-ურ** სუფიქსს და ფუნქციით ქართ. **უ-** — **-ო**, **უ-** — **-ურ**, მეგრ. **უ-** — **-ი** აფიქსებს მაგ., **ჭიშხ-ურ** „უფეხო“, **ფაყ-ურ** „უქულო“; **თხუმ-ურ** „უთაო“, **დიარ-ულ** „უპურო“; **დიარ-ულ არდახ თელ ლადედ** (ლშხ.) „უპუროდ იყვნენ მთელი დღე“, **ზურალ-ურ** „უქალო“,

**ჭაშ-ურ** „უქმრო“, **გეზალ-ურ** „უშვილო“, **გეზალ-ურ ოჯან** (ლნტ.) „უშვილო ოჯანი“; **თეთრ-ულ** „უფულო“, **თეთრ-ულ მარე ცოდ ლი** (ლშხ.) „უფულო კაცი ცოდვა“.

3. დანიშნულების მიმართებით ზედსართავ სახელთა მაწარმოებლად ვ. თოფურია სვანურში გამოყოფს **ლე- — \*ი (-ე)** და **ლა- — \*-ა** აფიქსებს (თოფურია 2008: 33). უმეტესად აღნიშნულ ზედსართავ სახელებთან გვხვდება პრეფიქსები. სუფიქსები მოკვეცილად ივარაუდება. ამის საბუთად მეცნიერს მიჩნია ზოგ ფუძეში ხმოვნის უმლაუტი, რომელიც გამოიწვია დაკარგულმა \*-ი სუფიქსმა.

მაგ.: **ლან-კირ** ზს., ლნტ., **ლა-კირ** ლშხ. „საკირე“; **ლა-კირ ბეჩ** (ლშხ.) „საკირე ქვა“; **ლა-ჭრან** ბზ., **ლან-მარან** ბქ., **ლა-მარაყი** ლშხ., **ლა-არანყი** ლნტ. „საარაყე, არყის გამოსახდელი მოწყობილობა“. **ლაჭრანყი<sup>1</sup> ცხუადუ** (ბზ.) „საარაყე ქვაბი“. **ლა-ჭმა** ლშხ., **ლან-ჭმა** ლნტ. „სათიბი“, **ლაჭმა ლარელ** (ლშხ.) „სათიბი მინდვრები“. **ლა-მეჟ** „სამზეო“; **ლა-ჩან** ზს., ლნტ., **ლა-ჩაჟ** ლშხ. „საცხენო“. **ლანჩჟ შუკ<sup>1</sup>უ** (ბზ.) „ცხენის (სიტ. სიტ. საცხენო) გზა“. **ლე-მგამ** ბზ., **ლე-მგემ** ბქ., ლშხ., „ტყე (სახეო)“, **მეშხე ლემგემ** (ბქ.) „წიწვიანი (შავი) ტყე“. **ლე-ლანში** ბზ., **ლე-ლანშ-გრი** ლშხ., **ლე-ლანშ-გრი** ბქ., „სათესლე“, **ლე-ლანშ-გრი სიმინდ** (ლშხ.) „სათესლე სიმინდი“. **ლე-კაბ** ბზ., ლნტ. **ლე-კაბ** ლშხ. „საკაბე“. **ლეკაბ ჩინთ** (ლნტ.) „საკაბე ჩითი“. **ლე-კლანდ** ბქ., **ლე-კალანდ** ლნტ. „საკალანდო“, **ლეკლანდ ხან** (ბქ.) „საკალანდო ღორი“. **ლე-გუჟფი-ი** ზს., ლშხ., **ლე-გუჟფფი-ი** ლნტ. „სამკერდე, სამკერდული (ცხენის)“. ზოგჯერ, როგორც ზემოთაც ვნახეთ, **ლე-პრეფიქს -გრ** ბზ., ლშხ., **-გრ** ბქ., ლნტ. ასიმილაციით **-ურ** ბზ., ლშხ., **-ურ** ლნტ. სუფიქსიც ახლავს. **ლე-ჭმ-გრ-ი** ბზ., ლშხ., **ლე-ჭმ-გრ-ი** ბქ., **ლე-ჭანშ-გრ-ი** ლნტ. „საქმრო“; **ლე-ბატკ-გრ-ი** ლშხ., **ლე-ბატკ-გრ-ი** ლნტ. „საბატკე“ (მრგვლად შესაწავი გოჭი). **ლე-ჩფგლი-ი** ბზ., **ლე-ჩფგლ-ი<sup>1</sup>** ლშხ., **ლე-ჩაფფული-ი** ლნტ. „საფხესაცმლე“, **ლე-ჩფგლი ტუფ** (ბზ.) „საფხესაცმლე ტყავი“. **ლე-ხხ-ურ-ი**, **ლე-ხხ-ურ-ი** ბზ., **ლე-მხ-ურ-ი** ბქ., **ლე-მხ-ურ-ი** ლშხ. **ლე-ეხ-ურ-ი** ლნტ. „საცოლე“; **ლეეხური ხაყა** (ლნტ.) „საცოლე ჰყავს“.

4. სადაურობის აღმნიშვნელი ზედსართავები იწარმოება **ლგ-/ლუ-** — **-უ** კონფიქსით, რომელიც დაერთვის გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელებს და გვიჩვენებს არაღამიანთა წარმომავლობას. საგნის, ნივთის ან ცხოველის სადაურობის გამოსახატავად სვანური იყენებს ამავე კონფიქსს.

მაგ.: **ლუ-შნ-უ** ზს., ლშხ., **ლუ-შჟან-უ** ლნტ. „სვანური“, **ლგ-ლენტეხ-უ** „ლენტეხური“, **ლგლენტეხუ გარგალა** (ლნტ.) „ლენტეხური ლაპარაკი“; **ლგ-ლანშხ-უ თაშ** (ლშხ.) „ლანშხური ყველი“, **ლუ-ს-უ ვან** (ბზ.) „ოსური ხარი“, **ლგ-ქშაგ-უ ოხარ** (ბზ.) „ჩერქეზული ჩოხა“.

ზედსართავ სახელებს შეიძლება დავუსვათ კითხვები: **იქალიბ?/მანალიბ?** ზს., **მაალიბ?** ლშხ., **მაკალი?** ლნტ. **იმეში?** ბქ. **მაგუარ?** ბზ., ლნტ. **მაგუარ?** ლშხ. როგორი? **იმსგი?** ბზ., **იმენი?** ბზ., **იმეურა?** ქს. სადაური?

### ხარისხის წარმოება

ხარისხის კატეგორია მრავალ ენას ახასიათებს, მათ შორის ქართველურ ენებსაც, მაგრამ წარმოების მხრივ ქართველურ ენებს შორის ერთგვარობასთან ერთად, სხვაობაც შეინიშნება.

ხარისხი არის გრამატიკული კატეგორია, რომელიც ზედსართავ სახელებს ახასიათებთ. ხარისხი ჰქვია ისეთ სახელს, რომელიც საგნის ნიშანს გვიჩვენებს მეტი ან ნაკლები ოდენობით. ეს მეტნაკლებობა დამყარებულია ძირეულისა და წარმოქმნილის შედარებაზე (შანიძე 1973: 140). ზედსართავი სახელის ისეთ ფორმებს, რომლებიც საგნის ნიშან-თვისებებს მეტი ან ნაკლები ოდენობით გვიჩვენებენ, ხარისხის ფორმები ჰქვია (კვაჭაძე 2001: 149). ხარისხის ფორმას ვიღებთ საგანთა (ორი ან მრავალი) გარკვეული ნიშნისა თუ თვისების ურთიერთდაპირისპირების, ურთიერთმიმართებისა და შედარების საფუძველზე. ერთნაირი ნიშნისა და ერთნაირი თვისების შედარება აუცილებელი პირობაა ხარისხის ფორმის მიღების დროს, რადგან ის მორფოლოგიური აფიქსებით გამოიხატება (ონიანი 1998: 103).

სვანური ენის ზედსართავი სახელებისათვის ხარისხის გამოხატვა ერთ-ერთი ძირითადი ნიშან-თვისებაა. ხარისხის ყველა ფორმას სვანურში თავისი აფიქსები (მარკერები) აქვს. სვანური ქართული და მეგრულისაგან გამოირჩევა ხარისხის ფორმათა რაოდენობით, სადაც ის ოთხამდე აღწევს, მაგრამ განსხვავებულია მათი რაოდენობა დიალექტების მიხედვით. საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებულ ტერმინთა ხარისხის მატების მიხედვით დალაგების შემთხვევაში, მათი რიგი ასეთ სახეს მიიღებს: ოდნაობითი — დადებითი — უფროობითი — აღმატებითი. მაგრამ შეიძლება პირიქით კლების მიხედვით დავალაგოთ: აღმატებითი — უფროობითი — დადებითი — ოდნაობითი. ტრადიციულად კი პირველ ადგილზეა დადებითი და შემდეგ — უფროობითი (შედარებითი), აღმატებითი და ოდნაობითი.

დადებითი ხარისხის ფორმა, როგორც სხვა ქართველურ ენებში, ისე სვანურში, არამარკირებული (ნიშნის არმქონე) წევრია, ამით უპირისპირდება ის ოპოზიციის მარკირებულ წევრებს, რომლებიც თავის მხრივ ერთმანეთს უპირისპირდებიან საკუთარი, ერთმანეთისაგან განსხვავებული მარკერებით (ჭკადუა 1987: 26). ამიტომ, სწორედ, დადებითი ხარისხის ფორმიდან იწარმოება მარკერების, აფიქსების საშუალებით შედარებითი (უფროობითი), აღმატებითი და ოდნაობითი ხარისხები. მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა ხარისხის ფორმათა რაოდენობის შესახებ სვანურში. ბალსზემოურ დიალექტში ხარისხის ოთხ ფორმას გამოყოფენ. ვითარებითი ზედსართავი სახელების უმეტესობას ბალსზემოურში ეწარმოება: დადებითი, შედარებითი (უფროობითი), აღმატებითი და ოდნაობითი ხარისხები. ოთხივე ხარისხი ნაკლებად ეწარმოებათ ზედსართავ სახელებს ბალსქვემოურში. რაც შეეხება ქვემოსვანურ დიალექტებს, აქ აღმატებითი ხარისხი აქვს მხოლოდ იმ ზედსართავ სახელებს, რომლებიც ყველა დიალექტში

უფროობითი ხარისხის ფორმით გაქვეავებულად ივარაუდებიან და მათ არ გააჩნიათ შესაბამისი ფუძის მქონე დადებითი ფორმები. ესენია: **ხოჩა** „კარგი“, **ხოშა** „უფროსი“, **ხოლა** „ცული“, **ხოხურა** ზს., ლშხ., **ხორჟა** ლნტ. „უმცროსი“, **ხოდრა** ზს., ლშხ., **ხოლდარა** ლნტ. „უფრო ცული, უარესი“.

საინტერესოა **ხოლა** „ცული“ ზედსართავი სახელი, რომელსაც სიცულის ხარისხით უპირისპირდება **ხოდრა** „უფრო ცული“. ეს ფორმა, სინქრონიულ დონეზე, მეტად ცულია ვიდრე **ხოლა**, ამიტომ ამ შემთხვევაში **ხოლა**’ს დადებითი შინაარსი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ **ხო---** კონფიქსს შეიცავს. **ხოლა**’ს „ცული“ უფროობითი ხარისხის ფორმა იქნება: ლენტეხურში **ხო-ლდარა-ა** „ცულზე ცული, უცუდესი“. აქ ყურადღებას იქცევს ფუძეში **ხო-ლდარა-ა** ქართული **მდარე**’ს არსებობა. ამავე ფუძეს უკავშირდება ლენტეხურ დიალექტში არსებული **დარალა** შდრ. ქართ. **მდარე-ე. დარალა მარე** (ლნტ.) „მდარე, არასრულფასოვანი კაცი (აღამიანი)“. ეს ფუძე დასტურდება აღმატებით ხარისხშიც **მა-დრენ-ე** ბზ., ლშხ., **მა-ლდარ-ე // მა-დრენ-ე** ლნტ. „უცუდესი“. **ხოლა** „ცული“ ფორმაში ხარისხის მაწარმოებელი **ხო---** კონფიქსი გამოიყოფა. ამას ადასტურებს სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილი ის ფაქტიც, რომ **ხო-ლ-ა** „ცული“ დაკავშირებულია ზმნასთან **ხ-ა-ლ-ა** „სწყინს“, შდრ. **ლი-ლ-ონ-ე** „წყენა“ (მაჭავარიანი 1958: 122).

საინტერესოა სხვა გაქვეავებული ზედსართავების უფროობითი ხარისხის გამოხატვის შემთხვევები. როგორც ვიცით, ისტორიულად ზედსართავი სახელები **ხოშა, ხოჩა, ხოლა...** შედარებითი ხარისხის ფორმებია, მაგრამ დღეს მეტწილად დადებითის შინაარსს გადმოსცემენ. შედარებითის, უფროობითის გამოსახატავად დამატებით დიალექტების მიხედვით **-ელ, -ილ, -ულ** სუფიქსებს იყენებენ.

მაგ., **ხოჩი-ილ მეთხუიარ** (ზს.) „უკეთესი მონადირე“ შდრ. **ხოჩა მეთხუიარ** — „კარგი მონადირე“. ნათელია, რომ **ხოჩი-ილ მეთხუიარ** „უკეთესი მონადირე“ ვილაცასთან არის შედარებული. კერძოდ, **ხოჩა მეთხვიარ** — „კარგ მონადირესთან“ (ჭკადუა 1987: 26) ასევეა **ხოშა** „უფროსის“ შემთხვევაშიც შდრ. **ხოშ-ილ** ზს., ლნტ. **ხო-შ-ულ** ლშხ., „უფრო დიდი“. ამ რიგის ზედსართავებზე: **-ილ, -ელ, -ულ** სუფიქსების დართვით დღეს, სინქრონიულ დონეზე, გამოიხატება უფროობითი ხარისხი. აღსანიშნავია, რომ ნ. ჩართოლანი, როცა ჩამოთვლის ბალსჰემოურში ამ ზედსართავი სახელების უფროობით ხარისხებს, **ხოჩა — ხოჩილ, ხოშა — ხოშილ, ხოხურა — ხოხურილ** ფორმები აქვს მითითებული (ჩართოლანი 2003: 208). ეს ფორმები უფროობით ხარისხს გამოხატავენ ბალსჰემოურში და ლენტეხურში, მხოლოდ ლაშხურში **-ილ** სუფიქსის ნაცვლად გვაქვს **-ულ** სუფიქსი მაგ., **ხოჩ-ულ** „უკეთესი“, **ხო-შ-ულ** „უფრო დიდი“, **ხო-ჩრ-ულ** „უფრო პატარა“, **ხო-დრ-ულ** „უფრო ცული“.

უნდა ითქვას, რომ ზოგი მკვლევარი ამ სუფიქსებს არ მიიჩნევს ხარისხის გამოხატველ სუფიქსებად, რადგან მათთან ერთად წარმოდგენილია უფროობითი ხარისხის ნიშნებიც, ამიტომ **-ილ** კნინობითის მაწარმოებელი სუფიქსიაო (ონიანი 1998: 106). სხვა შემთხვევაში ნათქვამია, რომ **ხოჩი-ილ** „უფრო კარგი“, **ხო-ლ-ილ** ბქ. „უფრო ცული“, **ხო-შ-ელ** ბზ., **ხო-შ-ილ** ბქ. „უფრო დიდი“, **ხო-დრ-**

ილ „უფრო ცუდი“, **ხო-ხ'უ'რ-ილ** „უფრო პატარა“... ზემოსვანურის ორივე დიალექტში ეს ფორმები თითქმის ყოველთვის შედარებითი ხარისხის შინაარსს გამოხატავენ (ჭკადუა 1987: 26; მარგიანი-სუბარი 2009: 45).

ქვემოსვანურ დიალექტებშიც ასეთი ვითარებაა, გაქვავებული **ხოჩა** „კარგი, ხოლა“ „ცუდი“, **ხოშა** „უფროსი“, **ხოხურა** „უმცროსი“, **ხოდრა** „უფრო ცუდი“. ლშხ. -ულ და ლნტ. -ილ სუფიქსებს დაირთავენ, უფროობითი ხარისხის გამოსახატავად. მაგ., ლაშხურში **აღე ხოჩა დინა ლი** — „ეს კარგი გოგოა“, მაგრამ **აღე ხოჩ-ულ დინა ლი** ლშხ. „ეს უკეთესი გოგოა“; **ხოჩა ქორ ხოგ** (ლნტ.) „კარგი სახლი უდგას“, მაგრამ **ხოჩ-ილ ქორ ხოგ** (ლნტ.) „უკეთესი სახლი უდგას“.

ზემოთ ჩამოთვლილ გაქვავებულ ფორმებს, როგორც ზემოთაც ითქვა, დადებითი ფორმები არ გააჩნიათ, მაგრამ მთელ სვანურში ერთნაირად ეწარმოებათ აღმატებითი ხარისხები, რასაც ვერ ვიტყვით სხვა ზედსართავ სახელებზე. მათი უმეტესობა აღმატებითი ხარისხის ფორმებს ქვემოსვანურში ვერ აწარმოებს. მათ ყველა დიალექტში აქვთ შესაბამისი აღმატებითი ხარისხის ფორმები: **ხო-ჩ-ა** „კარგი“, **მა-ჩინ-ე** ბზ., ლშხ., **მა-ჩენ-ე** ბქ., ლნტ. „საუკეთესო“, **ხო-შ-ა** „უფროსი“, **მა-შენ-ე** ბზ., ლშხ. „უდიდესი, ყველაზე დიდი“, **მა-შენ-ე'ე** ბქ., ლნტ. ლაშხეთის ხეობაში ერთ-ერთ უძველეს ეკლესიას **მაშენა ფუსნაბუნსდია** (ლშხ.) „უზენაესი (უდიდესი), სამყაროს ბატონის სახელობის ეკლესია ჰქვია“.

ფიქრობთ, გამორჩეული ზედსართავი სახელია **ხო-ლ-ა** „ცუდი“, რომელსაც აქვს შესაბამისი უფროობითი ხარისხის ფორმა — იგივე წარმოების **ხო-დრ-ა** ბზ., ლშხ., **ხო-ნ-დრ-ა** ბქ., **ხო-ლდარ-ა** ლნტ. „უფრო ცუდი“ უფროობითი ხარისხის ფორმებია. ამ შემთხვევაში იგივე წარმოების **ხო-ლა-ს** დადებითი შინაარსი აქვს. განსხვავება ჩანს მათ ფუძეებს შორის. სხვა დიალექტებში ამ ზედსართავების ხარისხები იქნება: **მა-დრ-ენ-ე** ბზ., ლშხ., **მა-დრ-ენ** ბქ., **მა-ლდარ-ე** ლნტ. „ძალიან ცუდი, უცუდესი“; **ხო-რჷ-ა** „უმცროსი“, **ხო-ხრ-ილ** ბზ. „შედარებით უმცროსი, პატარა“, **ხო-ხრ-ა** ბქ., ლშხ., **ხო-რჷ-ა** ლნტ. „უმცროსი“, **ხო-ხრ-ილ** ბქ., ლნტ., **ხო-ხრ-ლ** ლშხ. „შედარებით უმცროსი, პატარა“. **მა-ჰურ-ენე** ბზ., **მა-ჰრ-ენე** // **მა-ჰენ** ბქ., **მა-ჷრ-ენ-ე** ლშხ., **მა-ჷრ-ენე** ლნტ. „ყველაზე პატარა, უმცირესი“ ფორმები აქვს. მეცნიერთა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ აღმატებითი ხარისხის ფორმები ყველა ვითარებით ზედსართავ სახელს უნდა ჰქონოდა და დღეს ზოგ დიალექტში დაკარგულია.

ზემოთ ჩამოთვლილი გაქვავებული, შედარებითი ხარისხები იმითაც იქცევენ ყურადღებას, რომ, სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ზედსართავები დაკავშირებულია ზმნებთან, საიდანაც ისინი ითვლება მიღებულად. დასმულია კითხვა: რას წარმოადგენს შედარებითი ხარისხის ფორმები ქართველურ ენებში? სახელებია ეს თუ ზმნები? ის ზედსართავები, რომლებიც შედარებითი ხარისხის ფორმით წარმოგვიდგებიან, სათანადო ზმნური გავება დღეს თითქმის აღარ აქვთ.

გ. მაჭავარიანმა ამ ზედსართავი სახელების ფუძეები დაუკავშირა სტატიკურ ზმნებს.

**ხო-შ-ა** „დიდი“ **ხო-შ-ა** „შურს“ (სიტ. სიტყ. ებევრება)

**ხ-ო-ლ-ა** „ცული“ **ხ-ა-ლ-ა** „სწყინს“

**ხ-ო-ჩ-ა** „კარგი“ **ხ-ა-ჩ-ა** „უხარია, ეცინება“

**მიჩა დის მამა ხაჩა** (ბქ.) „იმის დედას არ უხარია (არ ეცინება)“ (მაჭავარიანი 1958: 122). **ხოჩა-ს** ზოგჯერ სჯობიას მნიშვნელობაც აქვს: **ამჟი ხოჩა** (ბქ. ქს.) „ასე სჯობს“.

**ხოჩა** ზედსართავი სახელისგან ზმნის პირიანი ფორმაც იწარმოება მთელ სვანურში. **ლიჭჩოჭი, ლიჭჩუეჭი, ლიხჩუეჭი** ზს., **ლიჭჩეუი** ბქ., **ლიხჩოჭი** ლშხ., **ლიხოჩაჭი** ლნტ. „მორჩენა, გამოკეთება (სიტ. სიტ. გაკარგება)“, **ლეგმერდე იხჩოჭილ** (ბზ., 7) „ავადმყოფი იკურნება (სიტ. სიტყ.)“, ავადმყოფი კარგდება (კარგად ხდება)“. სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელებულია **ხოჩ'ურა** „პატარა“ სახელის შესაბამისი ზმნური ფუძე **ხ-აჰურ-ა** „ეცოტავება“. ეს ფორმები ერთმანეთს დაუკავშირა ქ. მარგიანმა (მარგიანი 2009: 51). საინტერესოა ქვემო სვანური: ლშხ. **ხოჩრა** და ლნტ. **ხორჟა** შდრ. შესაბამისი ზმნური **ხ-ა-ორ-ა** „ეცოტავება, ეპატარავება“; ჩოლურულში დასტურდება **ხ-ა-ურ-ა. თეთრ ხაორა** (ლნტ.) „ფული ეცოტავება“. ლაშხურ დიალექტში **ხოჩრა** „პატარა-ს“ სხვა ძირის ზმნა შეესაბამება: **ხ-ა-კჰოლ-ა** „ეპატარავება, ეცოტავება“ (შდრ. **კოჰოლ** „პატარა“).

საინტერესოა ამ ზედსართავ სახელებში, ხარისხის მიხედვით, ოპოზიციის წევრთა რაოდენობის საკითხი. ა. ონიანი უფროობითი და აღმატებითი ხარისხის ფორმათა გვერდით ასახელებს დადებითი ხარისხის ფუძემონაცვლე (სუბლექტურ) ოპოზიციის წევრებს. ავტორის თვალსაზრისით, ფუძემონაცვლეობა ზოგჯერ მორფოლოგიურ ოპოზიციას წარმოქმნის და მას ამდენად მორფემის ფუნქციის შესრულებაც შეუძლია. თუ აქედან ამოვალთ, ხარისხის მიხედვით ოპოზიცია ასეთ სახეს მიიღებს: **ძღვლ** „დიდი“, **ხო-შ-ა** „უფრო დიდი“, **მა-შ-ენ-ე** „უდიდესი“ (ონიანი 1998: 106).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთხსენებულ დიალექტებში ხარისხის მაწარმოებელი აფიქსები ძირითადად ერთნაირია უფროობითი და აღმატებითი ხარისხის ფორმებისათვის.

უფროობითი ხარისხისათვის **ხო-** — **-ა**; აღმატებითისათვის **მა-** — **-ე**.

მაგ.: ზს. **ნახჭუი** „ვიწრო“, **ხო-ნხუწ-ა** „უფრო ვიწრო“, **მა-ნხუწ-ე** „უწვრილესი“.

**ლუგჭარ** „მსუქანი“, **ხო-ლგჭარ-ე** „უფრო მსუქანი“, **მა-ლგჭარ-ე** „უმსუქნესი, ძალიან მსუქანი“;

**ჭუინელ** „ძველი“, **ხო-ჭუნელ-ა** „უფრო ძველი“, **მა-ჭუნელ-ე** „ძალიან ძველი, უძველესი“;

**გუეში** „სავსე“, **ხო-გუეშილ-ა** „უფრო სავსე“, **მა-გუეშილ-ე** „ძალიან სავსე“.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ქვემო სვანურში ზედსართავი სახელები, იმ ხუთი გაქვევებული ზედსართავი სახელის გარდა, სინქრონიულ დონეზე, დღეს აღმატებით ხარისხს ვერ აწარმოებენ (ისტორიულად, როგორც ჩანს ჰქონდათ და დაიკარგა).

ქვემოსვანურ დიალექტებში განსაკუთრებით კარგად არის გამოხატული ოდნაობით ხარისხის ფორმები. ოდნაობითი ხარისხის საკითხი სვანურში გამოიკვლია თ. ზურაბიშვილმა; ამ ფორმათა ისტორიის შესახებ ქართველურ ენებში ის წერს: „ოდნაობითი ხარისხის ფორმები დღეს სამსავე ქართველურ ენაში დასტურდება, თუმცა მეტ-ნაკლები გავრცელებით: ყველაზე ხშირად ქართულში, შემდეგ ზანურ, მეგრულ დიალექტში და ბოლოს სვანურში (ზურაბიშვილი 1062: 646). ჩვენი მასალის მიხედვით ირკვევა, რომ ქვემოსვანურ დიალექტებში საკმაოდ არის გავრცელებული ოდნაობითი ხარისხის ფორმები; ე.ი. ქვემოსვანურ დიალექტებში ძირითადად გვაქვს სამი ხარისხი, რომელთაც თითქმის ყველა პირველადი ზედსართავი სახელი აწარმოებს. ესენია: დადებითი, უფროობითი და ოდნაობითი.

სვანურში კარგად არის გამოჩენილი ერთმანეთისაგან შედარებითი და აღმატებითი ხარისხის ფორმები. მათ, როგორც ვნახეთ, თავ-თავისი მაწარმოებლები აქვთ.

ქართულში, როგორც ვიცით უ- — -ეს კონფიქსი აწარმოებს აღმატებით ხარისხს. სვანურში მა- — -ე. ყველაზე კარგად, სრულად აღმატებითი ხარისხი იწარმოება ბალსზემოურში. მართალია, ბალსქვემოურში არსებობს მა-წრან-ე „უწითლესი“, მა-ფშირ-ე „უმრავლესი“, მაგრამ ხშირად აღმატებითი ხარისხი აღწერილად იწარმოება: ჩიდ მაშენ „ყველაზე დიდი“, ჩიდ წგრნი „ყველაზე წითელი“, ჩიდ ხოჩა „ყველაზე კარგი“, ჩიდ მაშირი „ყველაზე ფართო“, ჩიდ ხოშა ყვითელ (ბქ.) „ყველაზე უფრო ყვითელი“. როგორც ჩანს სინთეზური წარმოება ზოგ ზედსართავ სახელებს ბალსქვემოურში დღეისათვის დაკარგული აქვთ. მაგრამ არის შემონახული ბალსზემოურში:

სგელ „სქელი“, ხო-ნსგლ-ა „უფრო სქელი“, მა-ნსგლ-ე „უსქელესი, ძალიან სქელი“.

გუეში „სავსე“, ხო-გუეშილ-ა „უფრო სავსე“ (იხ. ცხრილი).

ოდნაობითი ხარისხის აფიქსი ფერის აღმნიშვნელ ზედსართავ სახელებში ყველა დიალექტში არის მგ- — -გა კონფიქსი:

წგრნი „წითელი“ მეწრან „მოწითალო“

ყვითელ „ყვითელი“ მუყვთალ „მოყვითალო“

მეშხე „შავი“ მეშხა „მოშავო“

ქურუნ „რუხი“ მუქრუნ „მორუხო“

სგელ „სქელი“ მგნსგლა „მოსქელო“

ჯოდი „გრძელი“ მგნჯოდა „მოგრძო“

ბალსზემოურში ზოგ ზედსართავ სახელს ოდნაობითი ხარისხი -ნრა, -ნრ სუფიქსებითაც ეწარმოებათ. მაგ., ბზ. წგრნ-ნრა „მოწითალო“, სგელ-ნრა „მოსქელო“, მგბგ-ა // ბგვ-ნრა „მომავრო“, ათუი-ნრა „მოცხელო, ოდნავ ცხელი“. საინტერესოა ოდნაობითი ხარისხის წარმოება ბალსზემოური დიალექტის უშგულურ თქმაში. ბ. ნიჟარაძის ქართულ-სვანურ-რუსულ ლექსიკონში დადასტურებულია შემდეგი ფორმები: მგ-წრან-ა „მოწითალო“, მგ-მშხ-ა „მოშავო“, მგ-თთუნ „მო-



თეთრო“, **მუ-ყუთ-ალა** „მოყვითალო“. სხვა შემთხვევებში ოდნაობითი ხარისხი უშგულურში უმეტესად -ნარ სუფიქსით იწარმოება: **მუჭხუნი** „ტკბილი“, **მუჭხუ-ნარ** „მოტკბო“; **ჭუინელ** „ძველი“, **ჭუინლ-ნარ** „მოძველო“, **ყურმანჯ** „ყრუ“, **ყურ-მანჯ-ნარ** „მოყრუო“, **მაშრი** „ფართო“, **მაშრი-ნარ** „მოფართო, ოდნავ ფართო“; **მე-გრე** „მსხვილი“, **მეგრ-ნარ** „მომსხო“, **ლგჯიმ** „მარილიანი, მლაშე“, **მეჯმ-ნარ** „მომლაშო, ოდნავ მარილიანი“; **მეცხი** „ცივი“, **მეცხ-ნარ** „მოცივო“, **მუსტუნი** „მწარე“, **მუსტნ-ნარ** „მომწარო“. მწარეს აღსანიშნავად ქვემოსვანურში, **მელნი** ლშხ. **მელანი** ლნტ. „მწარე“. მჭიდროს მნიშვნელობით ბ. ნიჟარაძესთან გვხვდება **სკიბ** „მჭიდრო“.

წარმოვადგენთ ხარისხის ფორმათა ცხრილებს დიალექტების მიხედვით.

**ხარისხის ფორმები ბალსზემოურ დიალექტში\***

ქართ.	დადებითი	უფროობითი	აღმატებითი	ოდნაობითი
კარგი	ხო-ჩ-ა	ხო-ჩ-ელ	მა-ჩენ-ე	
დიდი	ხო-შ-ა	ხო-შ-ელ	მა-შენ-ე	
უმცროსი	ხო-ხურ-ა	ხო-ხურ-ელ	მა-ჰურენ-ე	
ცუდი	ხო-ლ-ა	ხო-ლ-ა	მა-ლენ-ე	
გვიანი	გუიან	ხო-გუიან-ა	მან-გუიან-ე	
თბილი	ტებდი	ხო-ტებდ-ა	მა-ტებდ-ე	მე-ტებდ-ა
წითელი	წგრნი	ხო-წგრან-ა	მა-წგრან-ე	მე-წგრან    წგრნი-ალა    წგრნი-ალა
შავი	მეშხე	ხო-მეშხ-ა	მა-მეშხ-ე	მე-მეშხ-ა
თეთრი	თუეთუენე	ხო-თთუენ-ა	მან-თთუენ-ე	მე-თთუენ-ა
ყვითელი	ყუითელ	ხო-ყუითილ-ა	მა-ყუითილ-ე	მუ-ყუით-ალ
ჭრელი	ჭგრელ	ხო-ჭგრელ-ა	მან-ჭგრელ-ე	
სქელი	სგელ	ხო-ნ-სგლ-ა	მა-ნ-სგლ-ე	მე-ნსგლ-ა    სგელ-ნარა
სავსე	გუეში	ხო-გუეშილ-ა	მა-გუეშილ-ე	მე-გუეშილ-ა
ახალი	მანე	ხო-მან-ა	მა-მან-ე	მე-მან-ა
ძველი	ჭუინელი	ხო-ჭუინელ-ა	მა-ჭუინელ-ა	მე-ჭუინელ-ა
ცხელი	ანთუი	ხო-ითუი-ა	მან-ითუი-ე	მე-ითუი-ა    ათუი-ნარა

\* ბალსზემოური დიალექტის ხარისხის ფორმებისათვის ვისარგებლეთ ნ. ჩართოლანის და ზ. ჭუმბურიძის შესაბამისი ცხრილებით.

წვირილი	ნეცინ	ხო-ნცინ-ა	მწ-ნცინ-ე	
გრძელი	ჯრდი	ხო-ჯრდ-ა	მა-ჯრდ-ე	მგ-მჯოდ-ა
ცივი	მეცნი	ხო-მცნი-ა	მა-მცნი-ე	მგ-მცნი-ა
ღრმა	სკრდი	ხო-ნსკრდ-ა    ხო-ლსკრდ-ა	მა-ლსკრდ-ე	მგ-ლსკრდ-ა
ნედლი	ზესყი	ხო-ზესყ-ა	მწ-ზესყ-ე	
სუფთა	წყლიან    წყვლიან	ხო-წყლიან-ა	მა-წყლიან-ე	
გრძელი	ჯრდი	ხო-ჯრდა	მა-ჯრდ-ე	მგ-მჯოდ-ა
მშრალი	ფუკუში	ხო-მ-ფუკუშ-ა	მა-მფუკუშ-ე	მგ-ფკუშა
მწარე	მეხიმ	ხო-მხემ-ა	მა-მხემ-ე	მგ-მხემ-ა
მაღალი	კვლთხი	ხო-კვლთხ-ა	მა-კვლთხ-ე	
ხმელი	ფგრი	ხო-მფგრ-ა	მწ-მფგრ-ე	
მოხუცი	მეჩი	ხო-მჩ-ა	მა-მჩ-ე	მგ-მჩ-ა
თხელი	დგთხელ	ხო-დგთხელ-ა	მა-დგთხელ-ე	
მაგარი	ბგვი	ხო-ბგ-ა	მა-ბგ-ე	მგ-ბგ-ა    ბგვი-წრა
სველი	მეჟირ	ხო-მჟარ-ა	მა-მჟარ-ე	მგ-მჟარ-ა

**ხარისხის ფორმები ბალსქვემოურ დიალექტში**

ქართ.	დადებითი	უფროობითი	აღმატებითი	ოდნაობითი
კარგი	ხო-ჩ-ა	ხო-ჩ-ილ	მა-ჩენ- <sup>ე</sup>    ჩიდ მა-ჩენ- <sup>ე</sup>    ხო-ჩ-ა	ხო-ჩ-ა-შალ    ხო-ჩ-ილ-შალ
უფროსი	ხო-შ-ა	ხო-შ-ილ	მა-შენ- <sup>ე</sup>    ჩიდ მა- შენ- <sup>ე</sup>    ხო-შ-ა	ხო-შ-ილ-შალ
ცუდი	ხო-ლ-ა	ხო-დრ-ილ    ხო-ნდრ- ილ    ხო-ნდრ-ა	მა-დრენ- <sup>ე</sup>    ჩიდ მა-დრენ- <sup>ე</sup>    ხო- ლ-ა	ხო-ლ-ილ-შალ
უმცროსი	ხო-წრ-ა	ხო-წრ-ილ	მა-წრენ- <sup>ე</sup>	ხო-წრ-ილ-შალ
თეთრი	თ <sup>ე</sup> ეთნე	ხო-თეთნ-ა	მწ-თეთნ-ე	მე-თთან

თხელი	დგთხელ	ხო-დთხელ-ა		დგთხელ-პრ    დგთხელ-შალ
მაგარი	ბგგი	ხო-მ-ბგგ-ა		ბგგ-ი-შალ
მშრალი	ფიკუი	ხო-ფიკუ-ა    ხო-მ- ფიკუ-ა		ფიკუი-შალ
ტკბილი	მუჭხუი	ხო-მუჭხუ-ა		მუჭხუი-შალ
ახალი	მახე	ხო-მხ-ა		მახე-შალ
ძველი	ჭუინელ	ხო-ჭუინელ-ა		ჭუინელ-პრ    ჭუინელ-შალ
გრძელი	ჯოდი	ხო-ჯუდ-ა    ხო-ნ- ჯუდ-ა		ხო-ჯუდ-ა-რა    ჯუდ-ი-შალ
მალალი	კვლთხი	ხო-კვლათხ-ა	მა-კვლათხ-ა	კვლთხ-ი-შალ
მსხვილი	მენგრე	ხო-ნგრ-ა		ხო-ნგრ-ა-შალ
სქელი	სგელ	ხო-ნსგლ-ა		სგელ-შალ
წვრილი	ნეცინ	ხო-ნცინ-ა	მწ-ნცინ	ნეცინ-პრ
მუყვე	მგხიმ	ხო-მგხიმ-ა		მგხიმ-შალ
გრილი	ქუეირ	ხო-ნქუე-ირ-ა		ქუეირ-შალ
თბილი	ტებდი	ხო-ტბიდ-ა		ტებდი-შალ
ცხელი	წთუ	ხო-ითუ-ა	მწ-ითუ-ა	წთუ-შალ
გამხდარი	მეჩხფე	ხო-ნჩხფ-ა		მეჩხფე-შალ
მსუქანი	ლუგუპარ	ხო-ლგუპარ-ა		ლუგუპარ-შალ
მსუბუქი	ჰწში	ხო-ჰწშ-ა	ჩიდჰაში-ი	ჰწში-შალ

## ხარისხის ფორმები ლაშხურ დიალექტში

ქართ.	დადებითი	უფროობითი	აღმატებითი	ოდნაობითი
კარგი	ხო-ჩ-ა	ხო-ჩ-ულ	მა-ჩენ-ე	ხო-ჩულ-პრა
უფროსი	ხო-შ-ა	ხო-შ-ულ	მა-შენ-ე	ხო-შულ-პრა
უმცროსი	ხო-ხრ-ა	ხო-ხრ-ულ	მა-ხურენ-ე	ხო-ხრ-ალა    ხო-ხრულ- პრა

ცული	ხო-ლ-ა	ხო-დრ-ულ    ხო-დ-რა	მა-დრენ-ე	ხო-დრულ-პრა
წითელი	წგრნი	ხო-წრან-ა		მე-წრან    წგრნ-პრა    ხო-წრან-ნლა
შავი	მეშხე	ხო-მშხ-ა		მე-მშხე    მე-მშხ-პრა    ხო-მშხ-პრა
თეთრი	თუეთუნე	ხო-თთუნ-ა		მუ-თთუნ თუეთუნე-პრა ხო-თთუნ-პრა
მწვანე	წუანილ	ხო-წუნილ-ა		მუ-წუნილ    წუანილ- პრა    ხო-წუნილ-პრა
ყვითელი	ყუითელ	ხო-ყუითელ-ა		მუ-ყუითელ    ყუითელ- პრა
რუხი	ქურუხუ	ხო-ქრუხუ-ა		მუ-ქრუხ'უ'    ქურუხუ- ნლა    ხო-ქრუხ-უ-ნლა
ჭრელი	ჭგრელ	ხო-ჭგრელ-ა		მე-ჭგრელ    ჭგრელ-პრა    ხო-ჭგრელ-პრა
მსუქანი	ლუგუარ	ხო-ლგუარ-'ა'		ლუგუარ-ნლა
ჭკვიანი	ჭკუიერ	ხო-ჭკუიერ-ა		ჭკუიან-პრა
მაგარი	ბგგი	ხო-ბგ-ა		ბგგი-პრა    ხო-მბგგ-პრა
მწარე	მგლნი	ხო-მგლან-ა		მგლნი-პრა    ხო-მგლან- პრა
დაბალი	დამბალ	ხო-'ნ'დაბლ-ა		დამბლ-პრა    ხო- დგმბლ-პრა    მე- დგმბალ
ტკბილი	მუჭხუი	ხო-მჭხუ-ა		ხო-მჭხუ-პრა    მუჭხუი- პრა    მე-მჭხუ
მჟავე	ჟაუ	ხო-მჟაუ-ა		ჟაუ-პრა    ხო-მჟაუ-პრა
მწიფე	მგი	ხო-მგ-ა		მგი-პრა    ხო-მგ-პრა
მოხუცი	მეჩი	ხო-მჩ-ა		მეჩი-პრა    ხო-მჩ-პრა
წყნარი	წყნარ	ხო-წყნარ-ა		მე-წყნარ-ნლა

				<b>წუნარ-ალა</b>
სულელი	<b>მითრულ</b>	ხო-მითრულ-ა		<b>მითრულ-არა</b>
წვრილი	<b>ნეცინ</b>	ხო-ნეცინ-ა		მე-ნეცინ    ნეცინ-არა    ხო-ნეცინ-არა
მღვრიე	<b>ნარლოდ</b>	ხო-ნარლოდ-ა		<b>ნარლოდ-ალა    ხო-ნარლოდ-ალა</b>
ხმელი	<b>ფგრი</b>	ხო-ფგრი-ა		ხო-ფგრი-ალა    ფგრი-ალა
ახლო	<b>ფეღია</b>	ხო-ფეღია-ა		ფეღია-არა    ხო-ფეღია-არა
სუსტი	<b>სუსტ</b>	ხო-წნ-სუსტუ-ა		სუსტ-არა    ხო-წ-სუსტ-არა
მრუდე	<b>სრიბ</b>	ხო-სრიბ-ა		მე-სრიბ    სრიბ-ალა    ხო-სრიბ-ალა
ღრმა	<b>სკოდ</b>	ხო-ნსკოდ-ა		მე-ნსკოდ    სკოდ-არა    მე-ს-კოდ-არა
ვიწრო	<b>ნახუწი</b>	ხო-ნხუწ-ა		ხო-წ-ხუწ-არა    ნახუწი-არა    მე-ნახუწ-ი

**ხარისხის ფორმები ლენტეხურ დიალექტში**

ქართ.	დადებითი	უფროობითი	აღმატებითი	ოდნობითი
კარგი	ხო-ჩ-ა	ხო-ჩ-ილ	მაჩენე    ჩემიშდ ხოჩილ    ჩემიშდ მა-ჩენ-ე	ხო-ჩილ-არა
უფროსი	ხო-შ-ა	ხო-შ-ილ	მა-შენ-ე	ხო-შილ-არა
უმცროსი	ხო-რჷ-ა	ხო-რჷ-ილ	მა-რჷენ-ე	ხო-რჷილ-ალა/-არა    მარჷენ-ალა
ცუდი	ხო-ლ-ა	ხო-ლდარ-ა	მა-ლდარ-ე	ხო-ლდარ-ალა
წითელი	<b>წგრანი</b>	ხო-წრან-ა		მე-წრან    მე-წრან-ალა    ხო-წრან-ალა

შავი	მეშეხე	ხო-მეშეხ-ა		მე-მშახტუ    მე-მშახტუ- ალა    ხო-მეშეხ-ალა
თეთრი	თუეთენე    თუეთუენე	ხო-თთუენ-ა    ხო-თუეთუენ-ა		მე-თთუან    მე- თთუან-ალა    ხო- თუეთუენ-ალა
მწვანე	წუანილ	ხო-წუანილ-ა		მე-წუნილ    ხო- წუნილ-არა    მე- წუნილ-არა
ყვითელი	ყუითელ	ხო-ყუითელ-ა		მე-ყუითალ-ა    მე-ყუითალ-არა
რუხი	ქურუხ	ხო-ქურუხ <sup>რ</sup> უ <sup>ა</sup> -ა		მე-ქრუხ    მე-ქრუხ- ალა    ხო-ქრუხ-ალა
ჭრელი	ჭრელ	ხო-ჭრელ-ა		მე-ჭრელ    მე-ჭრელ- ალა    ხო-ჭრელ-ალა
წყნარი	წყნარ	ხო-წყნარ-ა		მე-წყნარ-ალა    ხო- წყნარ-ალა
სულელი	სურნელ	ხო-სურნელ-ა		სურნელ-არა    ხო- სურნელ-არა
მსუქანი	ლუგუარ	ხო-ლგუარ-ა		ლუგუარ-ალა    ხო- გუარ-ალა    მე-ლგუ- არ    მე-ლგუარ-ალა
მაგარი	ბგვი	ხო-მ-ბგვ-ა		ბგვი-არა    ხო-მ-ბგვ- არა
მწარე	მელანნი	ხო-მლან-ა		მე-მ-ლან- <sup>რ</sup> ა    მე-მ- ლან-არა
დაბალი	დამბალ	ხო-დამბალ-ა		მე-დამბალ-ა    მე-და- მბალ-არა    ხო-და- მბალ-არა
ტკბილი	მეჭახუი	ხო-მეჭახუ-ა		მე-მეჭახუ    მე-მეჭახუ- არა    ხო-მეჭახუ-არა
მჟავე	მეხმ	ხო-მეხმ-ა		მე-ხმ-არა    ხო-მეხმ-ა
მწიფე	მევი	ხო-მევი-ა		მევი-არა    ხო-მევი-არა

მობუცი	მერი	ხო-მერი-ა		მერი-არა    ხო-მერი-არა
ღრმა	სკოდი	ხო-ნ-სკოდ-ა		სკოდ-არა    ხო-ნ-სკოდ-არა    მგ-ნსკოდ
სქელი	სკელ	ხო-ნ-სკელ-ა		მგ-ნსკელ    მგ-ნსკელ-არა    ხო-ნ-სკელ-არა
მშრალი	ზგსკი	ხო-ზგსკ-ა		მგ-ზგსკ    მგ-ზგსკ-არა    ხო-ზგსკ-არა
სავსე	გუეში	ხო-ნ-გუეშლ-ა		გუეში-არა    ხო-ნგუეშ-არა
მოკლე	მეკუწუტე	ხო-ნ-კუწუტ-ა		მეკუწუტ-არა    ხო-ნ-კუწუტ-არა
მწარე	მგლანი	ხო-მლან-ა		მგ-მლან    მგ-მლან-არა
წვრილი	ნეცინ	ხო-ნეცნ-ა		მგ-ნეცინ    ხო-ნეცნ-არა    მგ-ნეცნ-არა
გამხდარი	მეჩხეფე	ხო-მეჩხეფ-ა		მგ-მჩხაფ    მგ-მჩხაფ-არა    ხო-მჩხეფ-არა
დიდი	ძღღ	ხო-ნ-ძღღ-ა		მგ-ნ-ძღღ    მგ-ნძღღ-არა    ხო-ნძღღ-არა
მრუდე	სრიბ	ხო-სრიბ-ა		მგ-სრიბ    მგ-სრიბ-ალა    ხო-სრიბ-ალა

თუ ხარისხის წარმოების მიხედვით სვანურ დიალექტებს ერთმანეთს შევუდარებთ, გაირკვევა, რომ ბალსზემოურში ზედსართავ სახელთა უმეტესი ნაწილი ოთხივე ხარისხს აწარმოებს: დადებითს, უფროობითს, აღმატებითს და ოდნობითს. შედარებით ნაკლებად, ზედსართავ სახელთა ნაწილს ბალსქვემოურში სხვა ხარისხებთან ერთად აღმატებითი ხარისხიც აქვთ.

ქვემოწვანური დიალექტები ხუთ უფროობით ხარისხში გაქვავებული: (ხოშა „უფროსი“, ხოჩ-ა „კარგი“, ხოლ-ა „ცუდი“, ხო-ხუჩრ-ა „უმცროსი“, ხოდრ-ა (ლშხ.), ხოლდარ-ა (ლნტ.) „უფრო ცუდი“ ზედსართავების გარდა, სხვა ზედსართავები აღმატებით ხარისხს ვერ აწარმოებენ. როგორც ცნობილია, მათი აღმატებითი ხარისხის ფორმა საერთოა მთელი სვანურისათვის. რაც შეეხება ოდნობითი ხარისხს, ის ყველა დიალექტში გამოიხატება, მაგრამ განსხვავება მაწარმოებელ აფიქსებს შორის. როგორც ჩანს, უძველესი და ძირითადი მაწარმოე-

ბელი მგ- — ა კონფიქსია, რომელიც ყველაზე ხშირად ოდნობით ხარისხს ბალსზემოურში გამოხატავს. სხვა დიალექტებში შედარებით იშვიათად დასტურდება. ბალსქვემოურში მის ადგილს იჭერს -შალ-,სავით“ თანდებულიანი ფორმები (იხ. ცხრილი). როგორც აღინიშნა, ქვემოსვანურ დიალექტებში მგ- — ა კონფიქსი ზოგ ზედსართავებში მართალია გვხვდება, მაგრამ ძირითადი მაწარმოებელი ოდნობითი ხარისხისა ლაშხურში არის -არა/-ალა, ლენტეხურში -არა, -ალა სუფიქსები. ფუძედ შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც დადებითი, ისე უფროობითი ხარისხის ფორმები.

ამრიგად, ხარისხის ნაკლებოვანი სისტემით ხასიათდებიან: ბალსქვემოური (ზოგჯერ) და ქვემოსვანური დიალექტები.

რაც შეეხება ზედსართავ სახელთა ბრუნებას და მრავლობითი რიცხვის წარმოებას, როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან ვიცით, ისევე იბრუნვის და ისევე ეწარმოებათ მრავლობითი რიცხვი, როგორც მსგავსი ფუძის მქონე არსებით სახელებს.

### ლიტერატურა

**ზურაბიშვილი 1957** — თ. ზურაბიშვილი, ხარისხი ქართველურ ენებში. — თსუ შრომები, ტ. 67, თბილისი.

**ზურაბიშვილი 1962** — თ. ზურაბიშვილი, ოდნობითი ფორმების ისტორიისათვის ქართველურ ენებში. — საქართ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XXIX, №5.

**თოფურია 2008** — ვ. თოფურია, სვანური ენის სახელმძღვანელო, თბილისი.

**თოფურია 2002** — ვ. თოფურია, შრომები, II, თბილისი.

**კვაჭაძე 2001** — ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, თბილისი.

**მარგიანი-სუბარი 2009** — ქ. მარგიანი-სუბარი, ზემოსვანურ დიალექტთა მორფოსინტაქსური ანალიზის ზოგი ასპექტი, თბილისი.

**მაჭავარიანი 1958** — გ. მაჭავარიანი, შედარებითი ხარისხის ფორმათა გენეზისისათვის ქართველურ ენებში. — თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 71.

**ონიანი 1998** — ა. ონიანი, სვანური ენა, თბილისი.

**ქართული ენა 2008** — ქართული ენა, ენციკლოპედია, თბილისი.

**შანიძე 1973** — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

**ჩართოლანი 2003** — ნ. ჩართოლანი, სვანური ტექსტები და ლექსიკა (ბალსზემოური კილო), თბილისი.

**ჭკადუა 1987** — რ. ჭკადუა, ხარისხის წარმოების ზოგი საკითხისათვის სვანურში. — ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა კორფერენციის თეზისები, თბილისი.

**ჭუმბურიძე 2007** — ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე, სვანური ენა, თბილისი.



ELISABED GAZDELIANI

## Groups and degrees of an adjective in Svan

### S u m m a r y

The paper discusses an essence and groups of an adjective according to content, demonstrates the dialectal peculiarities of degree formation. It turns out that positive, comparative and slightive degrees are confirmed in all dialects. A superlative degree occurs in Upper Bal and Lower Bal. But in Lower Bal all adjectives cannot form a superlative degree. In the Lower Svan dialects five adjectives which are considered to be fossilized forms in a comparative degree, occur in a superlative degree: *xoča* 'good', *xoša* 'elder', *xola* 'bad', *xodra* US, Lashkh., *xoldara* Lent. 'low quality'.

At the end of the paper the tables of degree formation according to all dialectal data are given.

ლელა გიგლეშიანი

კითხვითი და მიმართებითი ზმნისართები  
სვანურ დიალექტებში

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ცნობილია, ა. შანიძის მიერ შემოტანილი ტერმინით — უდეტრები აღინიშნება მეტყველების ნაწილები, რომლებიც არ არიან არც სახელი და არც ზმნა (შანიძე 1973: 587). სვანურში ამგვარ მეტყველების ნაწილებად მიიჩნევა: ზმნიზედა, კავშირი, თანდებული, ნაწილაკი და შორისდებული, რომელთაც სხვაგვარად ფორმაუცვლელ სიტყვებსა და ნაწილაკებსაც უწოდებენ (ონიანი 1998: 275).

ფორმაუცვლელი და დამხმარე სიტყვები კი ცალკე ჯგუფს ქმნიან და როგორც სახელისა და ზმნისაგან, ასევე ერთმანეთისაგანაც განსხვავდებიან გრამატიკულად, ისინი არც იბრუნებიან და არც იუღლებიან. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგი მათგანი დამოუკიდებელი სიტყვაა, ზოგი კიდეც — დამოკიდებული, არათავისთავადი, დამხმარე (თოფურია 2002: 200-201).

ამჯერად ჩვენი მოხსენების ძირითადი მიზანია კითხვითი და მიმართებითი ზმნიზედების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი სვანური ენის დიალექტ-კილოკავთა მასალის საფუძველზე.

კითხვითი და მიმართებითი ზმნიზედები, ადგილის, დროისა და ვითარების ზმნისართთა მსგავსად, სვანური ენის დიალექტებში მნიშვნელოვან, საკმაოდ მრავალფეროვან, სხვაობებს გვიჩვენებს.

საანალიზო ლექსიკური ერთეულები მოგვყავს როგორც გამოცემული ტექსტებიდან, ასევე ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებული მასალებიდან.

მოხსენებაში განხილული იქნება შემდეგი კითხვითი ზმნისართები: **იმე||იმეგ** (ზს., ქს.) „სად“, **იმთე** (ზს., ლშხ., ჩოლ.), **იმოხ** (ლნტ.) „საით, საითკენ“, **იმხან** (ბზ.)\ **იმხენ** (ბქ.)\ **იმეხ**, **იმეხენ** (ლნტ.) „საიდან“, **იმჟი** (ზს., ქს.), **იმჟინ** (ბზ., ლშხ.) „როგორ“, **იმდა** (ზს., ლშხ., ჩოლ.), **იმალა** (ლნტ.) „რატომ“, **შომა** (ზს., ქს.), **შომჟა|| შომაჟა** (ბზ.), **შომჟ** (ბქ.), **ჟოშამენ** (ბქ.) „რამდენჯერ“, **ჟოშელდენ** (ბქ.) „რამდენჯერ“ და ა.შ.

როგორც ცნობილია, ზმნისართები ორგვარია: პირველადი და ნაწარმოები. ცნობილია ისიც, რომ პირველადი ცოტაა, ვინაიდან ზმნისართთა უმეტესი ნაწილი მიღებულია სახელისაგან (იგულისხმება, არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელი და ნაცვალსახელი) და გაქვავებულია ამა თუ იმ ბრუნვაში, შედგენილო-

ბით კი მარტივია ან რთული. განვიხილოთ თითოეული კითხვითი ზმნისართი ცალ-ცალკე და ვნახოთ, რა ვითარებაა ამ მხრივ სვანური ენის დიალექტებში.

1. კითხვითი ზმნისართი **იმე||იმეგ** (ზს., ქს.) „სად“

სვანურში ქართული „სად“ კითხვითი ზმნისართის მნიშვნელობის ორი ძირითადი ფორმა მოგვეპოვება: **იმე||იმეგ**. ზმნისართი **იმე** ძირეულ ზმნისართთა ჯგუფს განეკუთვნება, რომელსაც საერთო ძირი აქვს ჩვენებით ნაცვალსახელთან. იგი ამ სახით სვანურის ყველა დიალექტში დასტურდება.

მაგ: ...ბეფმუ **იმე** არი? „ბავშვი სად არის?“ **იმე** არიხ ეჯდარ (ბზ.) „სად არიან ისინი“, **იმე** აცურის, სგა მაროლე? (ბზ.) „სად დატოვეთ თქვე კაცებო?“).

რაც შეეხება მეორე ვარიანტს **იმეგ**-ს, იგი სვანურის ორ დიალექტში — ბალსქვემოურსა და ლაშხურში გვხვდება: სადგუმ **იმეგ** გური? (ბქ.) „ბინა სად გვექნებაო?“, მუა მიმგუ **იმეგ** არი? (ლშს.) „მამაჩემი სად არის?“

**იმეგ** არიხ ხეხუ-ჭამ „სადღაც არიან ცოლ-ქმარი“.

გ. კაჭარავას გამოკვლევით, ბალსქვემოურში **იმეგ** „სად“ განუსაზღვრელ ადგილზე მიუთითებს (კაჭარავა 1954: 39). აღნიშნულ ზმნისართთან დაკავშირებით საინტერესოა ა. ბაბლუანის თვალსაზრისი. მისი აზრით „არადალოცვით ინიციალურ გამონათქვამთაგან ბალსქვემოური ზღაპრის თავისებურებაზე მეტყველებს **იმეგ** ან **ემეგ** „სად“ — ზმნისართიანი ფრაზები, რომლებიც მიუთითებენ, რომ მოქმედება განუსაზღვრელ გეოგრაფიულ არეალში მიმდინარეობს, თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში კი **ი-მ-ე-გ** III პირთან სიახლოვეს გამოხატავს, ხოლო **ე-მ-ე-გ** — II პირთან სიახლოვეს“. განსხვავებას კი ნაცვალსახელური წარმოშობის ამ ორ ზმნისართს შორის მხოლოდ დეიქტური ნაწილაკები ქმნიან (ბაბლუანი 2009, 56). დღეს **ი-მ-ე-გ**, როგორც ცნობილია, ჩვეულებრივ, კითხვითი ზმნისართია, ხოლო ზღაპრებში ის გამოყენებულია მიმართებითი ზმნისართის მნიშვნელობით („სადღაც“), ისევე, როგორც ძველ ქართულში.

**იმეგ** არი ეშხუ ბეფმილდ (სვან. პროზ. ტექსტი., II, თბ., 1957, 210:3)

**იმეგ** არიხ მუ-გეხალ (იქვე, 232: 41) „სადღაც („სად“) არის („არიან“) მამა-შვილი“ და სხვა.

გარდა ამისა, ბალსქვემოურში გვხვდება **იმუგ** და **იმოგ** „სად“ კითხვითი ზმნისართები (მაგ.: **იმოგ||იმუგ** ამჩედნი|ემჩედნი? „სად წამიხვალ?“), თუმცა აღნიშნულ ზმნისართს „სანამდე“-ს მნიშვნელობაც აქვს. მაგ.: **იმუგ** ომჩედ? „სანამდე წასულა?“

ანალოგიური შინაარსისაა ბალსქვემოურ **იმექა** (ზედმიწ. — რაზე) და ლენტეხური **იმეჩუნ**, რომელთაც „სად“ კითხვითი ზმნისართის მნიშვნელობა ენიჭებათ. მაგ. მვა **იმექა** ესლურდად ი მვა **იმექა** (ბზ.) „ვინ სად მივდიოდით და ვინ სად“, **იმეჩუ** აჯაბეყუნა? „სად დავმალა?“

ზემოთ განხილულ ზმნისართებში: **იმ-ე**, **იმე-გ**, **იმ-ე-ჩუ**, **იმ-ე-ჩუნ**, **იმ-ე-ქა**, გამოიყოფა **იმ-**, რომელსაც ძირითადი ელემენტი შეიძლება ვუწოდოთ და ეს ელემენტი დავუკავშიროთ **მანა** (რა) კითხვით ნაცვალსახელის ირიბ ბრუნვათა ფუძეს:

სახ. მან „რა“

ნათ. იმ-შა||იმ-ი „რის“

მიც. იმ-ს „რას“

მოთხ. იმ-ნ-ე-მ „რამ“ და სხვ. (შენიშვნა: როგორც ვიცით, კითხვითი ზმნი-ზედა წარმოშობით ნაცვალსახელია — ა. შანიძე. 1973: 596)

-ჩუ, -ქა და -გ ელემენტები სხვადასხვა წარმოშობისა, მაგრამ ერთი და იმავე დანიშნულების მქონე ფორმანტებია. პირველი ორი თანდებულია წარმოშობით, ხოლო უკანასკნელი (-გ) ადგილის აღმნიშვნელ სახელს (პ-გ) დაუკავშირდება. შდრ. ამე-გ „აქ“, ერე-გ „იქ“, იმე-გ „სად“ ზმნისართთა -გ ფორმანტი (კაჭარავა 1954: 24).

აღსანიშნავია ისიც, რომ იმე ზმნისართის ფუძეზე სათანადო თანდებულის დართვით მოძრაობის ან მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისართები იწარმოება.

იმთე „საითკენ“, იმაჲ „საით“, სად. თე- და -აჲ როგორც ცნობილია, თანდებულებია.

იმთე აჩად? (ბქ.) „საითკენ წავიდა?“ იმაჲ ესლრი? (ბზ.) „სად მიდის?“

იმოხ (ლნტ), „საით, საითკენ“, იმოხ ესლრი? „საით მიდიხარ?“, იმხან (ბზ.), იმხენ (ბქ.) „საიდან“. იმხან ნაწად ესერ ლი? „საიდან მოსულაო?“, იმხაჲ (ბზ.) „საით, საითკენ?“ იმხაჲ ოთთენ ისგუა მუს? „საით გააგზავნე მამაშენი?“

განუსაზღვრელობის აღმნიშვნელი ელემენტებია წარმოდგენილი ზმნისართებში: იმჲალე||იმგჲალეგ||იმთჲალეთე||იმაღე „სადმე“.

იმჲალე ხოჩა ლიც ანიზინი (ბქ.) „სადმე კარგი წყალი იქნება“, იმთჲალეთე აღრგნა (ბქ.) „სადმე წავიდოდა“ და ა. შ.

კითხვით ზმნისართებში იმჲი||იმჲინ „როგორ, იმღა (ზს, ლშხ), იმაღა (ლნტ.) „რატომ“, იმჲუტ „სად, სადამდე“ -იმ ძირეული ელემენტია.

ალ ბეფშუ ესერ იმჲინ ორა მიჩა კეთილი პატრონ (ბზ., 332) „ეს ბავშვი როგორ იქნება ჩემი სიმდიდრის პატრონიო?“

იმჲი ლი ისგე გუეშე? (ბქ.) „როგორაა თქვენი საქმე?“

იმღა ესერ ხი ამჲი ლგწხჲაჲ (ბზ.) „რატომ ხარ ასე შეწუხებული?“

იმღა როქ ჯარხ ლგბერკილ ამგუპრ ამსუალდ? (ბქ.) „რატომ გყავთ შებორკილი ასეთი ადამიანი?“

იმღა ღენ ხეუახგნდა სკიმპრ, დარს ხოხალდა (ლნტ) „რატომ ერქვა მუჲვე წყლები, არავინ იცოდა“.

მეჩი თხეროლ, იმჲუტ ესერ ოთჩენდინხ? (ბქ.) „ბებერო მგლებო, სად წამიხვალთო?“

იმჲუტ ორი მნიშვნელობით იხმარება: „სად“ „სადამდე“.

რამდენიმე ვარიანტია დადასტურებული როდის ზმნისართისათვის: შომა (ზს., ქს.), შომაჲ|| შომაჲა (ბზ.)

ჭაბუტუ შომა ხოცღგრა [ბულტას]? (ბზ.) „ჭაბუკი ბულას როდის დაუგლეჯია?“

კოჯ ლექტა ლიკუანე **შომა** ჯექარხტეს? (ლნტ.) „კლდეზე გადაგდება როდის გითხარი?“

ეგევე ზმნისართი კავშირდაც გამოიყენება:

[ლწარაყი] **შომა** ლიფუეს ჩუქტიცე, ეჩქას ლაჯბზშ ლი (ბქ.) „როცა საარაყე დუღილს შეწყვეტს, უკვე გამოსახდელია“.

-**ჟნღლე** სუფიქსითაა ნაწარმოები „როდისმე“ და „ოღესღაც“ მნიშვნელობის მქონე ზმნისართები: **შომჟნღლე** (ბზ.), **შომალე** (ბქ., ლნტ.)

მი **შომალე** ლადელ აჯმარგი (ბქ.) „მე როდისმე გამოგადგები“

**შომალე** ჟთელაჟი მიჩა მუე ლანხუბს (ლნტ.) „როდისმე იპოვის მამის სამოს“. **შომჟნღლე** ჟბრგ ი მიჩა ხეხუ ანვანდს (ბზ.) „ოღესღაც თავადი და მისი ცოლი მოვიდნენ“.

გვხვდება **შომრიას** (ზს. ლშხ.) ფორმაც „როდის“, „ოღესღაც“ მნიშვნელობით. **შომრიას** ესერ იჩი? (ბზ.) „როდის დაბერდებარა?“

**შომრიას** მგრამთე აჩად (ლშხ.) „ოღესღაც საღღაც წავიდა“. და სხვა.

არანაკლებ საინტერესოდ გვეჩვენება სვანური მიმართებითი ზმნისართები. მიმართებითი ზმნისართები სვანურში, ისევე, როგორც ქართულში, კითხვითი ზმნისართებისგან ნაწარმოებად მიიჩნევა. მიმართებითი ზმნისართების რაოდენობა საკმაოდ დიდია: **იმგჟნღა**, **იმგჟნ** (ბქ.), **იმჟნღა||იმე** (ლშხ.), **იმანღ||იმე** (ლნტ.) „საღაც“, „რასაც“, **შომჟნღა** (ბზ.), **შომან** (ბქ.), **შომჟნღა** (ლშხ.), **შომჟნღა** (ლნტ.) „როცა“, „ოღესღაც“, **იმთჟნღა** ბზ., **იმთჟნღა** ბქ., **იმთენღა** (ლშხ.), **იმოხაჟი** (ლნტ.), „საითაც, საითკენაც“, **იმჟნღაჟინ** (ბზ.), **იმგჟნღაჟი**, **იმგჟნღაჟი** (ლშხ.), **იმანღაჟი** (ლნტ.) „როგორც“ და ა.შ.

მიმართებითი ზმნისართები, როგორც უკვე ითქვა, მიიღება კითხვით ზმნისართებზე -ი — ე „ცა“ ან -ჟნღა ნაწილაკის დართვით.

მი სგოთსკი ბღეთედსგა, **იმჟნღა** არდა ღჟამ (ბზ.) „მე ჩავხტი ნაპარალში, საღღაც ჯიხვი იყო“.

**იმჟნღა** ტოტ ოსცტუე, მაგ ჩუადჯაჟტრე (ლშხ.) „საღაც ხელი მოუსვა, ყველაფერი დაამტვრია“.

**იმჟნღა** ესერ ხანო, ეჩის ესერ ხანო (ბზ.) „რასაც მიზამს, იმას მიზამს“.

**შომჟნღა** (ბზ.), **შომან** (ბქ.), **შომჟნღა** (ლშხ.), **შომჟნღა** (ლნტ.) „როცა“, „ოღესღაც“.

**შომჟნღა** ერე ღჟაჟარ აგით აჩანდ, ეჩქა ანვანდ დინა (ბზ.) „ოღესღაც ვაჟარი სახლში წავიდა, მაშინ მოვიდა გოგი“.

**შომან** ჯეკუადღეს, ეჩქა ანვანდ (ლნტ.) „როცა გინდოდეთ, მაშინ მოდით“.

ჯაჟ ესერ ლეჟანთ ლიზ, **იმთჟნღა** ალ ცხტი ადრინე, ჯან ეჩეჩუნ მრდ ანღიგენს (ბზ.) „დაწყველილი ვიყო, საითაც ეს ისარი წავა, მეც იქ თუ არ დავსახლდეთ“.

სი **იმთჟნღა** ჯეკტეს ეჩხაჟ ათთგრ! (ბქ.) „შენ საითაც გინდოდეს, იქით წაეთროი!“

**იმჟნღაჟინ** (ბზ.), **იმგჟნღაჟი**, **იმგჟნღაჟი** (ლშხ.), **იმანღაჟი** (ლნტ.) „როგორც“.

მაგ.: **იმჟჷი** ძიძად ლახთონე, ჭაბიგუდ ეჯი ჩჷემინ (ბზ.) „როგორც ძიძამ ასწავლა, ჭაბუკმა ისე გააკეთა“.

ელწესად **იმჟაჷი** ხემთქუნხ, ამჷი ჩჷემინხ (ბქ.) „წესად როგორც ჰქონდათ, ისე გააკეთეს“.

მიმართებით ზმნისართთა მაწარმოებლად, როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, გამოიყენება **-ი**, **-ა** და **-ჟაჷ** ნაწილაკები (თოფური 2002: 203), თუმცა ქართულისაგან განსხვავებით სვანურში თითოეული მიმართებითი სიტყვა რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტით გვხვდება. **-ჟაჷ** ნაწილაკი კი შემდეგ დიალექტურ სხვაობებს იძლევა: **-ჟაჷ**, **-ჟაჷ**, **-ჟაჷი**, **-ჟაჷ**, **-ჟაჷ**, **-ჟაჷ** (აბესაძე 1960:145), რომელთა დართვაც კითხვითობას აკარგვენებს სიტყვას და მიმართებითად აქცევს. იგი დამოუკიდებელ წინადადებას მთავართან აერთებს და კავშირის ფუნქციას იძენს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სვანურისთვის უფრო დამახსიათებელია მიმართებითის გადმოცემა უნაწილაკოდ (მარტიროსოვი 196: 211) ბალსქვემოურ დიალექტში გვხვდება, როგორც ნაწილაკიანი, ისე უნაწილაკო ფორმებიც:

ეჯი ახსყ **იმჷი** | **იმჟაჷი** ათხელდ ჯისყა (ბქ.) „ისე გააკეთე, როგორც აქამადე გიკეთებია“. **-ჟაჷ** „ცა“ ნაწილაკი ყველაზე პროდუქტულია ბალსქვემოურ და ლენტეხურ დიალექტებში, მეტ-ნაკლები სიხშირით გვხვდება იგი სხვა დიალექტებშიც.

**-ჟაჷ**, **-ჟაჷ** რთული ნაწილაკის გვედრით ლაშხურში შეიძლება შეგვხდეს **ი** ნაწილაკდართული ფორმებიც. ლაშხურის მსგავსად ჩოლურულშიც უპირატესობა ენიჭება **ი** ნაწილაკდართულ ფორმებს (შავრემიანი 2010: 249).

ეჩე ეხიკ **იმეჷ** | **იმჟაჷ** ათხად ჯიკრდა (ჩოლ) „იქ აიღე სადაც აქამდე აგილია“.

სი მარე **იმჷი** | **იმჟაჷი** მაკფენ, ეჯი ოთმუშგვან (ჩოლ.) „შე კაცო, როგორც მსურდა ისე გავისტუმრე“.

**იმჩჷა** | **იმჩჷაჷ** სგურდახ, თელდ ეჩა პილქა ოთმა მანქანა (ჩოლ.) „სადაც ისხდნენ, სწორედ იმ ადგილას გაუტარებია მანქანა“.

**ი** ხმოვანი დაერთვის მიმართებით ზმნიზედებს თანდებულის შემდეგ.

**იმჟაჷხენ** | **იმჟაჷხენ-ი** ჯეკვეს ეჩხენ ემივ (ჩოლ.) „საიდანაც გინდოდეს, იქიდან მომიტანე“.

**იმჟაჷთე** | **იმჟაჷთე-ა** ქოთსგი, ჩინგ ალე ემხვრდა (ჩოლ.) „საითკენაც გავიხედე, ყველგან ეს დამხვდა“.

**იმჟაჷთე** | **იმჟაჷთე-ა** ისგუტი ბაბა ჯამგურანა ეჯი ჩომ (ჩოლ.) „როგორც ბაბუაშენი გარიგებდა, ისე მოქეცი“.

ეჩხანთ ოთფილვა აჯახსდ **იმჟაჷხენჷი** | **იმჟაჷხენჷი-ი** ოხრყახ (ჩოლ.) „იქ ჩასულა კვლავაც, საიდანაც ამოუყვანიათ“.

ლუმტუბურინხ ყორს, **იმჟაჷხენქა** | **იმჟაჷხენქა-ა** ისმოლნა ლიკილი (ჩოლ.) „ამტვრევდნენ კარს, საიდანაც ისმოდა კვილი“.

თუმცა ჩოლურისათვის უფრო ბუნებრივი და ინტენსიურია ი ნაწილაკ-დართული თანდებულიანი მიმართებითი ზმნიზედები. **ჟუა** ნაწილაკის მონაწილე-ბის გარეშე, შესაბამისად გვაქვს ფორმები: **იმხენი** „საიდანაც“, **იმთეი** „სადაც“, **იმეი** „როგორც“, **იმხენეი** „საიდანაც“, **იმხენქა** „საიდანაც“ (შავრეშიანი, იქვე).

როგორც სვანურ კითხვით და მიმართებით ზმნისართებზე დაკვირვებამ აჩვენა, ისინი, ადგილის, დროისა და ვითარების ზმნისართთა მსგავსად, სვანური ენის დიალექტებში მნიშვნელოვან სხვაობებს გვიჩვენებს და მათი რაოდენობა საკმაოდ დიდია, ამ მრავალფეროვნების მიზეზი კი, ძირითადად, სხვადასხვა ფონეტიკურ ვარიანტთა არსებობაა. სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობითა და ასევე ჩვენი დაკვირვებითაც ირკვევა, რომ კითხვითი ზმნისართები ნაცვალსახე-ლური წარმომავლობისაა, ხოლო მიმართებითი ზმნისართები კითხვით ზმნი-სართთაგან არის მიღებული, ცხადია, არსებული სხვაობა განპირობებულია დია-ლექტურ ფორმათა სიმრავლით.

### ლიტერატურა

**ბაბლუანი** 2009 — ა. ბაბლუანი, სვანური ზღაპრის სტაბილური ფრაზეო-ლოგიური გამონათქვამები, თბ., 2009.

**თოფურია** 2002 — ვ. თოფურია, შრომები II, თბ., 2002.

**კაჭარავა** 1954 — გ. კაჭარავა, ზმნისართები სვანურ ენაში, დისერტაცია, თბ., 1954.

**მარტიროსოვი** 1964 — არ. მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში.

**ონიანი** 1998 — ა. ონიანი, სვანური ენა, თბ., 1998.

**შავრეშიანი** 2010 — ნ. შავრეშიანი, -ჟუა||-ჟუა, ჟულ, -ი (ცა) ნაწილაკიანი მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნისართები ჩოლურულში, იქვე, 2010.

**შანიძე** 1973 — ა.შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.

**LELA GIGLEMIANI**

**Interrogative and relative adverbs in the Svan dialects**

**S u m m a r y**

Like place, time and conditional adverbs, the interrogative and relative ones demonstrate significant differences.

The number of primary adverbs, compared with derived ones, is not large. Derived adverbs have been originated from a noun and are the forms of any case.

Grounding on the special literature as well as my observation, it is clear that interrogative adverbs are of pronominal origin, relatives ones have been originated from interrogative adverbs. It is obvious that diversity of forms is conditioned by existing of dialectal forms



გიორგი გოგოლაშვილი

**ანა კალანდაძე და ქართული ენა<sup>1</sup>**

\* \*

„მშობლიური ენის სულზეა მორგებული ანა კალანდაძის ხმა,“ — ბრძანებს მუხრან მაჭავარიანი და სწორედ ქართული ენის სულს ხედავ, მის სილიაღეს გრძნობ, როცა კითხულობ ქალბატონი ანას ლექსს... ერთია ლექსში გამომწყვედელი სილამაზე და სილალე ქართული ენისა და სხვაა პროზაული შეგონებანი ქალბატონი ანასი. მეოცე საუკუნის ქართველ კლასიკოსთაგან მიხეილ ჯავახიშვილისა და კონსტანტინე გამსახურდიას შემდეგ იმდენი არავის უფიქრია, უსაუბრია (და, შეიძლება ითქვას, უდარდია...) ქართული ენის შესახებ, რამდენიც ქალბატონ ანას...

\* \*

პროფესორი ალექსანდრე მაჰომეტოვი იგონებდა: ომის შემდგომი პერიოდი. გადაწყდა, არნოლდ ჩიქობავას ლექციებს უნდა დავსწრებოდი. შევედი აუდიტორიაში; დავექე ბოლო მერხზე, დაველოდე სტუდენტებისა და პროფესორის შემოსვლას. ერთი გოგონა იჯდა პირველ მერხზე. შემოვიდა აუდიტორიაში პროფ. არნ. ჩიქობავა და დაიწყო ლექციის კითხვა... ის გოგონა ანა კალანდაძე იყო... ჯგუფში ქალბატონი ანა ერთადერთი ყოფილა; პროფესორები იმ გოგონას უკითხავდნენ ლექციებს... ეს ამბავი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე ხდებოდა. მოგვიანებით ქალბატონი ანა იტყვის: „*მე რომ იმთავითვე ჩემდა უნებურად ენის, გრამატიკის „ცივ“ სამეფოში აღმოვჩნდი, ამას ბედისწერად ვთვლი, ჩემს ბედისწერად, — ეს ალბათ ასე უნდა მომხდარიყო, მხოლოდ და მხოლოდ ასე! კავკასიური ენების განყოფილებისაკენ ჩემი პოეტური ბუნება მეწეოდა; მეწეოდა უპირველეს ყოვლისა კავკასიის ეგ ზოტიკა!*

... *მამ არ იყო ეს ბედისწერა?*“ — დარწმუნებით იკითხავს...

დიახ, ეს იყო ბედისწერა. ბედისწერა იყო ის, რომ სტუდენტ გოგონას ენის ურთულეს ლაბირინთებში დაატარებდნენ არნოლდ ჩიქობავა და ვარლამ

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად თელავის სახ. უნივერსიტეტში ანა კალანდაძისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე 2009 წლის 15 დეკემბერს.

თოფურია, ქეთევან ლომთათიზე და გიორგი როგავა და სხვანი და სხვანი... ასე ხელჩაკიდებული მოატარეს გიორგი მერჩულისა თუ შოთა რუსთველის ენობრივი სამყარო; აფხაზეთისა თუ ჩერქეზეთის, ჩაჩნეთისა თუ დაღესტნის ენობრივი სივრცე...

ღიას, ბედისწერა იყო და ამიტომაც ბრძანებდა ქალბატონი ანა;

— „*ძველი ქართულისა და უმამაცეს მთიელთა ენის სურნელი ნაზად ერწყმოდა ერთმანეთს და ჩემს პოეტურ ფანტაზიას აცხოველებდაო*“.

ანდა: — „*როგორც ჩვენი უხსოვარი წინაპრების ხმა და ხატება ჩვენდა შეუმჩნევლად აირეკლება ხოლმე და გამოისახება ჩვენში, ასევე ძველი ქართული ენის მაღლიანი აჩრდილი თავს ადგას და მისგან განუშორებელია*“.

აი, ეს კი მხოლოდ ანა კალანდაძეს შეეძლო ეთქვა და ეგრძნო: „*ოშკის ბიბლიის (მეთე საუკუნე) ნუსხურად ნაწერი ტექსტი მხედრულით გადმოვიღეთ (ხელთ ფოტოპირები გვქონდა): „მეფეთა წიგნი“; „იგავნი სოლომონისანი“; „ეზეკიელი“; „ესთერი“; „ივდიით“* — უბედნიერესი წუთები იყო ჩემს ცხოვრებაში!“ და იქვე გაგვიმხელს: „*აქედან იყო მობერილი ჩემი განწყობილებაც ამ ლექსის შესაქმნელად — „ვერავინ ამჩნევს შენსა მშვენებას*“.

ქალბატონი ანა ასეთ დასკვნას აკეთებს: „*ჩემმა „პროფესიონალურმა ენათმეცნიერულმა ცოდნამ*“ და ძველი ქართული ხელნაწერების განუმეორებელმა პოეტურმა გარემომ დიდი სამსახური გაუწია ჩემს მოწოდებას, გაამდიდრა ჩემი შემოქმედება, უამისოდ ძალიან ბევრს დაგვარგავდი“.

ღიას, ენა ბედისწერა იყო!..

ფაქტია: არავის ქართულ მწერლობაში ენის როლი, მნიშვნელობა, ძალა საკუთარ შემოქმედებით ცხოვრებაში ისე არ დაუნახავს, არ უგრძნია, როგორც ეს ქალბატონმა ანამ შეძლო.

თუმცა, აქ, ალბათ, იაკობ გოგებაშვილი უნდა გავიხსენოთ მხოლოდ: საანბანე წიგნის პირველ გაკვეთილად **ია, აი ია** რომ შემოგვთავაზა, ეს ჩემი დამსახურება არაა, ქართული ენის მაღლიაო; ქართული ენის წყალობაა, **ია** რომ შეიჩნა პირველ გაკვეთილად... ქართული ენის სამყარო ჩემს პოეტურ ფანტაზიას აცხოველებდაო — ანამ ბრძანა...

\* \*

რამდენიმე ამონარიდს მოვიყვან ქალბატონი ანას პროზაული ჩანაწერებიდან; ჩემს საუბარს მისი მოსმენა სჯობს:

„*ხალხის მეობას მისი ენა გვანიშნებსო, — ბრძანა აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ და ქართველობამაც ღირსეულად დაიცვა თავისი მეობა 1978 წლის 14 აპრილს, როდესაც ქართულმა ენამ სამართლიანად აღიდგინა სახელმწიფო ენის სტატუსი*“.

„*მშობლიური ენა ის ცხოველმყოფელი წყაროა, რომელიც კვებავს ერს, ზრდის და აცოცხლებს. მშობლიურ ენას მოწყვეტილი (როგორც ცალკეული პირი, ისე ერი!) ჰაერში მოშთობილი ანტეოსივით იღუპება*“.

„მართლაცდა, ერთი არაბული გამოთქმისა არ იყოს, ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით უნდა თვალყურის დევნება არა მარტო ახალფენადგმულს (და, საერთოდ, ნებისმიერი ასაკის ყმაწვილს!), არამედ ენასაც!“

მისი ეს აზრი რომ ვიცოდი, ერთხელ ვკითხე: „ქალბატონო ანა, თქვენ ბევრს საუბრობთ ქართული ენის სიწმინდის, მისი ღირსების დაცვის შესახებ. რა აზრის ბრძანდებით, საერთოდ, სალიტერატურო ენს ნორმირების თაობაზე და როგორ წარმოგიდგენიათ მწერლის ენობრივი თავისუფლება?“

მიპასუხა: „როგორც ცნობილია, სალიტერატურო ენის ნორმები მეტნაკლებად ყოველთვის ირღვეოდა, მაგრამ, ქვეყანაში მომხდარი ისტორიული კატაკლიზმების დროს, ეს უფრო ხელშესახები ხდება ხოლმე, — სალიტერატურო ენაზე იკარგება კონტროლი და იგი მალევე იტბორება „ცუდმეტყველებით“!

სალიტერატურო ენა ნორმების გარეშე არ არსებობს. ვფიქრობ, ენობრივი თავისუფლებაც „შეცნობილ აუცილებლობათა“ რიგს განეკუთვნება. არა მგონია, ბილწსიტყვაობა, რომელიც ასე თავმოწონებით იკიდებს ფეხს ჩვენს მწერლობაში, „მწერლის ენობრივი თავისუფლების“ მაჩვენებელი იყოს! მას... ნარკომანიაზე ნაკლები ზიანი არ მოაქვს ჩვენი ახალგაზრდობისათვის, ქვეყნისათვის! დიდი ილიას ნათქვამს (სხვა ვითარების გამო) გავიხსენებ: „მის მსყურებელ ერს ხომ ვთუი უტყდება თავის-თავზე, სასოება და იმედი ეკარგება და აქედამ განა დიდი მანძილია სრულად განადგურებამდე“?

ცეცხლზე შემოდგმული რძის შედარებამ მაკითხვინა: „თქვენ ბრძანებთ, ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით უნდა თვალყურის დევნება ენას. თუმცა, იმასაც აღნიშნავთ, რომ ვერ ვექცევით ღირსეულად დედაენას. ამ პოზიციიდან, როგორ გესახებათ დღევანდელ დღეს მწერლის როლი თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მოვლა-პატრონობაში? ხომ არ ფიქრობთ, რომ მწერლის ინტერესი სალიტერატურო ენისადმი მინელდა?“

უაღრესად საგულისხმო პასუხი მივიღე: „ღიახ, კვლავაც მოვიგონებ ერთ ბრძნულ არაბულ ნათქვამს: ყმაწვილს ისევე უნდა ყოველწუთიერი თვალყურის მიდევნება, როგორც ცეცხლზე შემოდგმულ რძესო. ასევე, მუდმივი და შეუწყველელი ზრუნვა და ყურადღება სჭირდება ენასაც!“

უახლოეს წარსულში მშობლიურ ენას ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთაგან მეტი ყურადღება ექცეოდა. როგორც ბატონი არნოლდ ჩიქობავა იგონებს, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულის მომზადება და გამოცემა, რომელიც 19 წელი ვაგრძელდა, მაშინდელი ცენტრალური კომიტეტის მდივნის, კანდიდ ჩარკვიანის, მუდმივი ყურადღებითა და დახმარებით მიმდინარეობდა! დღეს კი, როგორც იტყვიან, ღვთის ანაბარად მიტოვებული ენა ეცემა და... ერის დაცემასაც აღარაფერი აკლია (ეს საუბარი 2005 წელს გაიმართა — გ. გ.)!

ღიახ, მწერლის როლი დიდია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მოვლა-პატრონობაში! მოვიგონოთ ისევ დიდი ილია: „ჩვენი ენა არა ენას

არ დაუვარდება ქვეყანაზედ. ნიჭიერი მწერალიც იმისათვის არის სასარგებლო ენისათვის, რომ თავის თხზულებაში ენის სიმდიდრე გამოაჩინოს ხოლმე!“

საჭიროა მწერლებისა და მეცნიერების გვერდიგვერდ დოგმა, რომ ენამ არ დაკარგოს ბუნებრივი განვითარების გეზი და მიმართულება! მივხედოთ ენას, მივხედოთ ქვეყანას!“

მოდით, კვლავ ამონარიდები მოვიხმოთ პროზაული ნაწარმოებებიდან:

„დედაენას მაგიური უნარი აქვს „კაცის გონებით და გულით ვალეიძები-სა“; ღვიძლი ხალხის საუკუნიდან საუკუნეში მთავარი სასიცოცხლო ძარღვით ერთმანეთთან დაკავშირებისა: „ენა თაობიდან თაობას გადაეცემა და მისი წყალობით ეს თაობები ერთ ხალხად ითქმის“ (არნ. ჩიქობავა). დედაენა ის საფუძველი და საძირკველია, რომელზეც მკვიდრად დაეშენება და დაედუღაბება კედელი ერისკაცობისა და მამულიშვილობისა“.

„ქალმა-დედამ საქართველოს ძნელბედობის უამს საიმედოდ შეინახა, შეი-ლებსა და შევილიშვილებს სიცოცხლესთან ერთად მისცა და დაულოცა მშობ-ლიური ენა, დედა-ენა, რომელიც დღეს ჩვენი სახელმწიფოს დიდი საზრუნავი გამხდარა, ვითარცა სახელმწიფო ენა“ (ჩანაწერი 1974 წელსაა გაკეთებული — გ.გ.).

„ყველაფერს „მდაბიური“ ენით ვერ გადმოსცემ და არც ყველაფერი ით-ქმის „ამაღლებულით“; — ამას უჩვენოდაც ჩინებულად აწესრიგებს „ის“; რა-იც შთაგონებით გვწყალობს! დიახ, სათქმელი ხშირად „თვითონ მოძებნის“ თავის გამოხატვის ფორმას, თვითონ ვიკარნახებთ, რა ფორმით „სურს“ განსხეუ-ლება“.

ასეთი კითხვაც მაწუხებდა დიდი ხანია და გურიაში გაზრდილ პოეტს, დიდებული ფშაური ციკლის ავტორს ვკითხე: ქალბატონო ანა, როგორ ახსნით იმ ფაქტს, რომ გურიაში, სადაც უმაღლესი მუსიკალური კულტურაა, დაბა-ლია პოეტური კულტურა; ხოლო ფშავ-ხევსურეთში, სადაც უმაღლესი პოეტუ-რი კულტურაა, დაბალია მუსიკალური კულტურა? — კითხვა უპასუხოდ და-რჩა... მერე კითხვას ასეთი სახე მივეცი: „ქალბატონო ანა, თქვენ ბრძანებთ: „ხალხურ კილოს საგანგებოდ მივმართავ ხოლმე კოლორიტის — ხალხურობის სურნელის შესანარჩუნებლად... მივმართავ, ცხადია, მხოლოდ მაშინ, როცა ლექსის თემა მოითხოვს ამას. მაგალითად, ასე მოვიქეცი ფშაური ლექსების ციკლის წერისას...“

თქვენ გურიაში დაიბადეთ. როგორც წერთ, „პირველი პოეტური შთაგო-ნება“, „პირველი პოეტური სიტყვა“ თქვენს „სოფელს უკავშირდება“... და რამ-დენადაც დავკვირვებივარ, თქვენს ლექსებში გურული დიალექტის კვალი არა ჩანს... რატომ?

ქალბატონი ანა: „თუ მკრეხელობაში არ ჩამომერთმევა, მოვიგონებ ად-გილს „მეზავრის წერილებიდან“: „მართალია თუ არა ჩემი მოხვევე, მე მაგის განსჯაში არ შევალ, ან რა ჩემი საქმეა ევა? მე ვაკვრით, როგორც მეზავრი,

ვიხსენებ მას, რაც მისგან გამიგონია. ჩემი ცდა მარტო ამაშია, იმის აზრისათვის იმისივე ფერი შემერჩინა და იმის სიტყვისათვის — იმისივე კილო. თუ ეს შევასრულე, ჩემი განზრახვაც შემისრულებია“.

„ფერი“ და „კილო“ ყველა ქართულ დიალექტურ სიტყვას თავისებური, განუმეორებელი აქვს... ფშავ-ხევსურული სიტყვის „ფერი“ და „კილო“ ჩემთვის... საკმაოდ უცხო აღმოჩნდა, თანაც... „უმაღლესი პოეზიით“ გაჯერებული! თავი მთვარეზე მეგონა!

ხალხური პოეზიის დიდებულ კუთხეს მინდოდა ასე შევხმინებოდი, მხოლოდ — „თავის ენაზე!“ ეს ლექსები მხოლოდ ასე გახმაურდნენ ჩემში...

ჩემს ლექსებში გურული დიალექტის კვალი რომ არ ჩანს, ამასთან დაკავშირებით ისევ ჩემს ნათქვამს გავიმეორებ: „ჯერ კიდევ ბევრი რჩება ამქვეყნად ამოუხსნელი, ამოუცნობი და, ამდენად, განუმარტავი!“

კლასიკოსის პასუხია.

ამ თემაზე ხშირად საუბრობს ქალბატონი ანა. კვლავ რამდენიმე ამონარიდი:

„ხალხური პოეზიის დიდებულ კუთხეს მინდოდა (უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყვოდი, „უნდოდა“-მეთქი) ასე შევხმინებოდი, მხოლოდ „თავის ენაზე“! არა, ვერ გადმოსცემს ეს ნათქვამი იმ განწყობილებას, რაიც მაშინ „მკარნახობდა“ ამ სტრიქონებს: ეს ლექსები ასე გახმაურდნენ ჩემში მთიდან დაბრუნებისთანავე, მხოლოდ ასე მეწერებოდა!“

„ჩემთვის სასიამოვნო ის გახლდათ, რომ უმდიდრესი ხალხური პოეზიისა და ვაჟას პოეტურ მარგალიტებს ნაზიარებ მთიელ კაცს, ხალხის წილიდან გამოსულს, სწორედ იმ კუთხის შვილს ჩემი სტრიქონები „ხალხური პოეზიისა და ვაჟას ლექსების იმიტაციად“ რატომღაც არ მოსჩვენებია! იგი იმთავითვე ჩასწვდა ჩემს ჩანაფიქრს, „მიხვდა“, რომ „ეს ლექსები“ დაწერილი იყო ხალხურ კილოზე, - „მათი ბალჩიდან“ იყო და, ბუნებრივია, ვეძახებოდა მთქმელის მიმართ განვიმსჭვალე იმ დიდებულ გრძობით, რასაც ურთიერთგაგება ჰქვია, მკითხველისა და ავტორის ურთიერთგაგება“...

ერთი შენიშვნაც მინდა გავაკეთო: ამონარიდების კითხვისას მკითხველს შეიძლება შეკითხვები გაუჩნდეს, ვთქვათ, ასეთი — ვინ მიიჩნია ანას ფშაური ციკლი „ხალხური პოეზიისა და ვაჟას ლექსების იმიტაციად“ და მისთანანი... — მათ ვურჩევ, წაიკითხონ ქალბატონი ანას პროზა (ანა კალანდაძე, ორტომეული, ტ. II, თბილისი, გამომცემლობა „საქართველო“, 1996 წ.). კვლავ ამონარიდები:

„კითხვაზე, რა კავშირშია, თქვენი აზრით, ძველი ქართული პოეტური სიტყვა და ხალხური მეტყველება, ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების ენა და დღევანდელი ცოცხალი ხალხური ენა, ჩემი პასუხი ასეთი გახლავთ: ძველსა და ახალ ქართულს შორის, როგორც ცნობილია, ჩინური კედელი არაა აღმართული, — ძველი და ახალი ქართული ენა მესახება ერთ,

მთლიან ცოცხალ ორგანიზმად, რომლის შუაზე გადაკვეთა უეჭველ სიკვდილს გამოიწვევს-მეთქი“.

„უძველესი საგების ენა თითქმის გასაგები იყო უბრალო გლეხისათვისაცო... დღევანდელი ქართველიც ხომ თავისუფლად იგებს მეხუთე საუკუნის ძეგლის ენას — „წამება შუშანიკისი“?! „კავშირი დამწერლობასა და ცოცხალ მეტყველებას შორის“ არც ჩვენთან შეწყვეტილა და სწორედ ამიტომ ეს წმინდა კავშირი ანიჭებს სიცოცხლისუნარიანობას ჩვენს მშობლიურ ენას, რის გამოც მისი მეუფება უსაზღვროდ მესახება აწ და მარადის“.

ის, რომ ქალბატონი ანა იყო პოფესიონალი ენათმეცნიერი-ლექსიკოლოგი, მიბიძგა, ასეთი კითხვა დამესვა: —ქალბატონო ანა, თქვენგან ვიცით: ფიროსმანს უთქვამს, „ნიჭი დამელალო“... არნოლდ ჩიქობავას უთქვამს ქეთევან ლომთათიძეზე, „ჭკვიანი ნიჭი აქვსო“... შალვა ნუცუბიძეს უთქვამს თქვენთვის, „ქართველები ყველაფერს გაბატებენ ნიჭის გარდაო“... მაინც, რა არის ნიჭი? როგორ განმარტავდით მას, ყმაწვილთათვის ლექსიკონს რომ ადგენდეთ? პასუხი მოკლე იყო:

„გფიქრობ, ეს სიტყვაც... „ზესაიდუმლოთა“ რიგისაა და, ამდენად, გნუ-მარტავი!“

ზემოთ მოვიყვანეთ ამონარიდი; გავიმეოროთ: „მართლაც და ერთი არაბული გამოთქმისა არ იყოს, ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით უნდა თვალყურის დევნება არა მარტო ახალფეხადგმულს (და, საერთოდ, ნებისმიერი ასაკის ყმაწვილს!), არამედ ენასაც.“ საოცარი ზუსტი და შთამბეჭდავი შეგონებით გვაფხიზლებს ქალბატონი ანა...

არამარტო გვაფხიზლებს და გვაფრთხილებს, განგაშის ზარსაც ჩამოჰკრავს;

მთაწმინდაზე, როცა ქალბატონი ანა გვემშვიდობებოდა, ერთმა ხელისუფალმა ქალბატონ ანას დამსახურებად ის მიიჩნია, რომ ბარიკადებზე არ იდგა და მშვიდად ცხოვრობდაო. არადა, არ იცნობდა ის ხელისუფალი ქ-ნი ანას შემოქმედება; არ იცნობდა მის სამოქალაქო ლირიკას თუ უაღრესად აქტუალურ პოეზიას. აქ კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ზემოთქმული, თუ როგორ „მშვიდად“ ცხოვრობდა ქალბატონი ანა: „მუდმივი და შეუწყვეტელი ზრუნვა და ყურადღება სჭირდება ენასაც! უახლოეს წარსულში მშობლიურ ენას ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთაგან მეტი ყურადღება ექცეოდა... დღეს კი, როგორც იტყვიან, ღვთის ანაბარად მიტოვებული ენა ეცემა და... ერის დაცემასაც აღარაფერი აკლია“... 2005 წელს ბრძანა ეს... ამ დარდით განეშორა ქალბატონი ანა სამზვოს; მის შემოქმედებაში, განსაკუთრებით კი მის დიდებულ პროზაში, საოცრად კარგად ჩანს, ერთი მხრივ, დედაენის როლი ქალბატონი ანას შემოქმედებაში და, მეორე მხრივ, ქალბატონი ანას როლი დედაენის გადარჩენის საქმეში...

დიახ, ენა ბედისწერა იყო ქალბატონი ანასთვის.

\* \*

ქალბატონი ანა და ქართული ენა ვრცელი თემაა. დღეს საუბარს ასევე ღირსსახსოვარი ამონარიდით დავამთავრებ: „პირადად მე, რა თქმა უნდა, უყოყმანოდ ვიზიარებ რუსთაველის საზოგადოების (და ყველა საღად მოაზროვნე ქართველის!) თვალსაზრისს, — „ქართველმა ბავშვმა უნდა ისწავლოს ქართულ სკოლაში და სხვა აზრი დღეს არ უნდა არსებობდეს“! ბავშვის (და ე.ი. ერის!) მომავალს სამომხმარებლო, მერკანტილური თვალთ არ უნდა ვზომავდეთ!“

## GIORGI GOGOLASHVILI

### Ana Kalandadze and Georgian language

#### S u m m a r y

A classicist of Georgian literature Ana Kalandadze was a linguist. Due to it, her - as a writer's attitude toward the Georgian language is noteworthy. She often speaks about a writer's role in developing, caring and protecting of a language. She focuses on a language discretion of a writer – namely, where is a boundary between a language discretion and language standard. Her viewpoint on using of dialectal expressions in literature is noteworthy, as well.

ლალი ეზუგბაია

**მესამე პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების  
მიმართებისათვის მეგრულ-ლაზურში**

ნაცვალსახელები, მნიშვნელობის სპეციფიკიდან გამომდინარე, იყოფა ლოგიკურ-სემანტიკურ ჯგუფებად, როგორებიცაა: დეიქტური, ანაფორული და კვანტორული. დეიქტურ ნაცვალსახელებად მიიჩნევა პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები, ასევე ჩვენებითი ნაცვალსახელები, ხოლო მესამე პირის ნაცვალსახელი ანაფორულ ჯგუფს განეკუთვნება. სინტაქსური ფუნქციის გათვალისწინებით ჩვენებითი ნაცვალსახელებიც ანაფორული შეიძლება იყოს (ლელ 1990). თუმცა ამგვარი დეფინიცია ძირითადად ემყარება ინდოევროპული ენების მონაცემებს. დეიქტური ნაცვალსახელები სამეტყველო სიტუაციის მონაწილეებზე მიგვითითებს. შესაბამისად, ნებისმიერ ენაში დეიქტური „სისტემის ცენტრი არის პირველი პირი — მოლაპარაკე — ego „მე“. მეორე პირია ის, ვისაც მოლაპარაკე მიმართავს. როგორც კომუნიკაციური პარტნიორი, იგი დამოუკიდებელი არ არის და არსებობს მხოლოდ პირველ პირთან მიმართებით, მის სივრცეში. ამიტომაც არის შესაძლებელი ისეთი ფორმების არსებობა, როგორიცაა ქართულში „ჩემსკენ მოდის“, „შენსკენ მოდის“, მაგრამ „მისკენ მიდის“ (ქეე 2008, 140). როგორც ქართველური ენების ანალიზიდან ჩანს, სივრცისა და დროის ენობრივი სტრუქტურირების პროცესში პირის ნაცვალსახელთა სამწევრა სისტემაში გამოიკვეთა დიქტომია: I და II პირები ~ III პირი, ანუ ე. ბენვენისტის შეფასებით „პირი“ ~ „არაპირი“ (ბენვენისტი 1974, 264-266), თუმცა უღლების სისტემაში მესამე პირი დანარჩენებს გაუთანაბრდა (უთურგაიძე 2005). ეს განსხვავება ლექსიკურადაც და გრამატიკულადაც აისახა პირის ნაცვალსახელებზე. განსაკუთრებით რთული სისტემა ჩამოყალიბდა მესამე პირის გადმოსაცემად, რის გამოც სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობის საგანია მესამე პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების გამიჯვნის საკითხი მათი ფუნქციური გადაფარვის გამო. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა მეგრულ-ლაზური ენობრივი მონაცემების სისტემური ანალიზი როგორც ფორმალური, ასევე ფუნქციების გათვალისწინებით.

მესამე პირის ნაცვალსახელის ფუნქციით მეგრულსა და ლაზურში გამოიყენება: ერთი მხრივ, საკუთრივ პირის ნაცვალსახელი **მუ/მუქ**, მეორე მხრივ,



ჩვენებითი ნაცვალსახელები, რომლებიც სტრუქტურულად და ლექსიკურადაც მრავალფეროვანია.

III პირის ნაცვალსახელი **მუ** მეგრულსა და **მუქ** ლაზურში, რომელიც ქართული **მან** ნაცვალსახელის შესატყვისია (ჩიქობავა 1936: 73; ჩართოლანი 1985: 139), იშვიათად იხმარება. განსაკუთრებით ეს ითქმის მეგრულზე, სადაც ჩვენებითმა ნაცვალსახელმა თითქმის გამოაძევა იგი და თავად იკისრა III პირის გამოხატვა. შეიძლება ამ ფაქტორმაც შეუწყო ხელი **მუ** ნაცვალსახელის მნიშვნელობის დავიწროებას და უკუქცევითობის სემანტიკით შემოფარგვლას (ეზუგბაია 2010: 33-39; კარტოზია და სხვ. 2010: 136).

მეგრულ-ლაზურში **მუ-** ნაცვალსახელის მრავლობითის ფორმების: მეგრ. **მუნეფი**, ლაზ. **მუნეფე**, **მუთეფე/მუნთეფე** ანალიზმა აჩვენა, რომ ისტორიულად **მუ** ფუძეს ერთვოდა **ნ** დეტერმინანტი თანხმოვანი — **მუ-ნ**, შდრ. ქართ. **მა-ნ**, თუმცა ლაზურში ჩნდება **-თ-** ელემენტის ფორმებიც და ეს ელემენტი განსხვავებული წარმომავლობის ჩანს (ეზუგბაია 2010: 36-39). მხოლოდით რიცხვში ეს ელემენტები დაიკარგა როგორც მეგრულში, ასევე ლაზურში და მივიღეთ ბრუნების შემდეგი ყალიბი: **მუ + ბრ. ნ.**, ხოლო მრავლობითში შენარჩუნდა, რადგანაც მათ დაეკისრა ხმოვანთგამყარის ფუნქცია, შესაბამისად, მრავლობითში ბრუნების ყალიბებია: მეგრ. **მუ-ნ + -ეფ + ბრ. ნ.**; ლაზ. **მუ-ნ/თ + -ეფე + ბრ.ნ.**

ლაზურში **მუ** ნაცვალსახელური ფუძე თავს იჩენს ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნების პარადიგმებში, რასაც ვერ ვიტყვით მეგრულზე. ზოგადად, პირის ნაცვალსახელის ფუნქციით გამოყენებული ჩვენებითი ნაცვალსახელები ჰქმნიან საკმაოდ გრძელ რიგს როგორც სტრუქტურული, ასევე ფონეტიკური თვალსაზრისით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ლაზურში კილოკაური სხვაობაც განაპირობებს ფორმათა სიმრავლეს, ამიტომ ჯერ ცალ-ცალკე განვიხილოთ ეს ნაცვალსახელები მეგრულსა და ლაზურში.

**მეგრულში** გვაქვს შემდეგი ფორმები: **ათენა/თენა/ენა, ეთინა/თინა/ინა, ათე/თე/ე, ეთი/თი/ი.** გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამოსავალია ორი სრული ფორმა **ათენა** და **ეთინა**, რომლებიც გვაძლევენ შეკვეცილ, არასრულ ვარიანტებს. ერთი მხრივ, ცვლილება ხდება სიტყვის თავკიდურა მარცვლების მოკვეციტ: **ათენა>თენა>ენა, ეთინა>თინა>ინა**, მეორე მხრივ, პროცესი მიმდინარეობს საპირისპირო მიმართულებით: **ათენა>ათე, ეთინა>ეთი**, ან ერთდროულად ხდება კვეცა ორივე პოზიციაში: **ათენა>ათე>თე>ე, ეთინა>ეთი>თი>ი** (ყიფშიძე 1914: 042; დანელია 2006: 122). თუმცა არსებობს განსხვავებული მიდგომა, რომლის თანახმად, **ათენა, ეთინა** ფორმები რთული აგებულებისაა და ორი ნაცვალსახელური ძირის — **-თ-**ს და **-ნ-**ს შეერთებით ჩანს მიღებული. მათ წინ ერთვის დიქსისები **ა** და **ე**, რომლებიც ასევე უკავშირდებიან ლაზურის ჩვენებით ნაცვალსახელებში დადასტურებულ **ჰა, ჰი** ელემენტებს (მარი 1925: 18, 22; მარტიროსოვი 1964: 143; ჩართოლანი 1985: 140; ჩიქობავა 1936: 81).

ფუნქციური თვალსაზრისით, ამ ნაცვალსახელთა შეფასება სპეციალურ ლიტერატურაში ასეთია: „სინქრონიულ დონეზე **ათე/თე/ე, ეთი/თი/ი** უნდა განვიხილოთ როგორც ჩვენებითი ნაცვალსახელები, ხოლო **ათენა/ თენა/ ენა** (მრ.რ. **ათენეფი/თენეფი/ენეფი**) და **ეთინა/თინა/ინა** (მრ.რ. **ეთინეფი/თინეფი/ინეფი**) როგორც პირის ნაცვალსახელები (რომლებიც წარმომავლობით ჩვენებითი ნაცვალსახელებია) და არა ჩვენებითი ნაცვალსახელები, რომლებიც გარკვეულ კონტექსტში პირის ნაცვალსახელის ფუნქციას ასრულებენ“ (კარტოზია და სხვ. 2010: 139).

ამ მოსაზრებას სჭირდება კორექტირება პირველ ნაწილში, რადგანაც **ათე/თე** და **ეთი/თი** ნაცვალსახელები არ გამოიყენება მხოლოდ მსახდგრელის ფუნქციით, რითაც ჩვენებითობის სემანტიკაა გამოხატული: *ათე კოჩი* „ეს კაცი“, *თე კოჩი* „ეს კაცი“... მეგრულ გაბმულ მეტყველებაში ჩვეულებრივია მათი გამოყენება პირის ნაცვალსახელის ფუნქციითაც, მაგალითად: *მა ათე კოჩიქ მეჩუ თე ამბე, მარა თიქ სოვრეშე გეგე?* „მე ეს კაცი მომიყვა ამ ამბავს, მაგრამ მან საიდან გაიგო?“ *თე ბალანა ჯვირო გურაფლენს. ვარენო გამოცდებს ხოლო თიქ დულე გეგმირჩქინდა, ართო ჯვირობუა იფი* „ეს ბავშვი კარგად სწავლობს. თუ გამოცდებზეც ეს თავს გამოიჩენს, დიდი სიკეთე იქნება“. ასევე ბუნებრივია: **ათეს ვაირავადუდიო** „ამას არ გეუბნებოდი“, **ეთის ეკოთხოზუ** „იმას დასდევს“ და სხვ. ამდენად, მხოლოდ **ე** და **ი** გამოიყენება ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქციით, ხოლო **ეთი/თი, ათე/თე** გამოხატავს პირსაც და ჩვენებითობასაც, რითაც ის განსხვავდება **ათენა/თენა/ენა** და **ეთინა/თინა/ინა** ნაცვალსახელებისაგან. არის ერთი სხვაობაც: **ეთი/თი, ათე/თე** ნაცვალსახელებს აქვთ დამოუკიდებლად ბრუნვის უნარი, მაგრამ სისტემა ნაკლულია: არ გააჩნია სათანადო მრავლობითის ფორმები, შდრ., **ათენ-ეფ-ი, თენ-ეფ-ი, ენ-ეფ-ი**, მაგრამ არ არის რეალიზებული **\*ეთ-ეფ-ი, \*თ-ეფ-ი...**

**ლაზურში** ჩვენებითი ნაცვალსახელები კილოკაური ვარიანტებითაა წარმოდგენილი. ესენია: ვიწურ-არქაბული ფორმები — **ჰადა//ჰაჲ/ჰა, ჰეა/ჰეჲა**, ხოფური — **აჲა, ეჲა, იჲა/ია/ჲა, ამ/ამუქ, ემ/ემუქ**, ათინური — **ჰიმ/ჰიმუ, ჰამ/ჰამუ, ჰემ/ჰემუ/ემუ**, თუმცა არქაბულშიც არცთუ იშვიათად გვხვდება **ჰემუ>ჰემ**, ასევე **ჰენ** ფორმები. გარდა ამისა, ვიწურ-არქაბულსა და ხოფურში გვაქვს **ა** და **ე** მარტივი ჩვენებითი ნაცვალსახელები.

ერთი შეხედვითაც ცხადია, რომ ამ ნაცვალსახელების ჩვენებითობა დაკავშირებულია **ჰა/ა** და **ჰე/ე, ჰი** ელემენტებთან, რომლებიც ისტორიულად დეიქტური ნაწილაკებია. აღსანიშნავია, რომ ქართულში გვაქვს ჩვენებით ნაცვალსახელთა სამწევროვანი სისტემა, სადაც ორი ფუნქციაა განვითარებული: ერთი მხრივ, მიმართება პირებთან არის დაკავშირებული (პირველ პირთან მყოფი **ეს**, მეორე პირთან მყოფი **ეგ**, მესამე პირთან მყოფი **ის**), ხოლო, მეორე მხრივ, გადმოცემულია საგნის სიახლოვე-სიშორე (ჩართოლანი 1985: 7). გამოითქვა მოსაზრება, რომ ქართულში „ასეთი ფუნქციონალური სამწევროვანი

ოპოზიცია მასალობრივად (სტრუქტურულად) შერეული ტიპისაა, ორი ბინარული ოპოზიციის კომბინაციას წარმოადგენს: თანხმოვნების მიხედვით: **ეგ ~ ეს, ის; ხმოვნების მიხედვით: ეგ, ეს ~ ის**. პირი-არაპირის დაპირისპირებას, ცხადია, ხმოვნითი (ე ~ ი) ოპოზიცია გამოხატავს“ (თქემ 2011: 174). ზანურში, ასევე სვანურშიც, გვაქვს ჩვენებით ნაცვალსახელთა ორწევროვანი სისტემა, ანუ მიმართება პირებთან არ არის დაკავშირებული. სივრცეში ორიენტაცია, ანუ სიშორე-სიახლოვის აღნიშვნა მეგრულ-ლაზურში ემყარება დეიქტურ ხმოვანთა ოპოზიციას: **ა** — ახლოს მყოფი, **ი/ე** — შორს მყოფი. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ლაზურში (ჩართოლანი 1985, 142). რაც შეეხება ზემოთ წარმოდგენილი ლაზური ნაცვალსახელების მეორე ნაწილს, ვიწურ-არქაბულსა და ხოფურში **ია/ია/ა** მიჩნეულია სადეტერმინაციო ღირებულების მქონე ნაწილებად მსგავსად **ნ/ნა** ელემენტებისა პირველ და მეორე პირში, ხოლო ათინურის **-მ** — ნაცვალსახელურ ძირად (ჩიქობავა 2008: 90). ჩვენებით ნაცვალსახელებში წარმოდგენილი **მ<მუ** იგივე უნდა იყოს, რაც მესამე პირის ნაცვალსახელშია **მუ/მუქ**. ამას მხარს უჭერს როგორც **ამუქ, ემუქ** ფორმები, ასევე **ჰამუ, ჰემუ, ჰიმუ** ფორმები. გამოითქვა ვარაუდი **ნ-/ნა-** ნაცვალსახელური ძირის გამოყოფისა ლაზურშიც. კერძოდ, ათინურში დადასტურებული მრავლობითის ფორმები **ჰანი** „ესენი“, **ჰინი** „ისინი“ და **ნანი** „რომლები“ შესაძლო საფუძველია **ნ** ძირის გამოსაყოფად (ჩართოლანი 1985: 140). რიცხვის მიხედვით ოპოზიციურ წყვილებს ჰქმნიან: **ჰამუ — ჰანი, ჰიმუ — ჰინი, ნამუ — ნანი**. იქმნება შთაბეჭდილება, რომ **მუ** ნაცვალსახელური ფუძის საპირისპიროდ გვაქვს **ნი** ნაცვალსახელური ფუძე, რომელსაც ამჯერად სიმრავლის გამოხატვა აკისრია (ეზუგბაია 2010: 46).

ჩნდება კითხვა, შესაძლებელია თუ არა, რომ **ჰამუ, ჰიმუ, ნამუ** ფორმებს **-ეფ** სუფიქსით ეწარმოებინათ მრავლობითი რიცხვი. ცხადია, რომ ათინურში ასევე დადასტურებული ფორმებია **ჰანეფე, ჰინეფე, ნამეფე** ფორმები, რომლებიც სემანტიკურად სახეცვლილია და ნიშნავს „ეს ადგილები“, „ის ადგილები“, „რომელი ადგილები“. ამ შემთხვევაში ან დაჩრდილულია **ჰან-ი, ჰინ-ი** ფორმების მრავლობითობის სემანტიკა და რიცხვის გამოხატვა **-ეფ** მორფემას ეკისრება, რამაც გამოიწვია მნიშვნელობის გადაწვევა, ან **ჰან-ი, ჰინ-ი** ფორმებს არც ჰქონია თავდაპირველად მრავლობითობის გაგება და მასში წარმოდგენილია **ნ** ნაცვალსახელური ძირი **ჰა||ჰი** დეიქსისების მომდევნოდ. ვფიქრობთ, **\*ჰან, \*ჰინ** ერთეულები ისევე დასაშვებია ათინურში, როგორც **ჰიმ, ჰამ** ფორმები (ეზუგბაია 2010: 47-48) ერთი მხრივ, ათინურის **\*ჰინ** ნაცვალსახელი, მეორე მხრივ, არქაბულში დადასტურებული **ჰენ** ფორმა საფუძველს იძლევა საერთო მეგრულ-ლაზურ დონეზე გამოვყოთ **ნ** ნაცვალსახელური ძირი.

შეიძლება თუ არა ამ რიგში ჩადგეს კიდევ ერთი ნაცვალსახელური ძირი, რომელიც გვაქვს მეგრულში: **ათე/თე, ეთი/თი**. ლაზურში ყურადღებას იპყრობს ჩვენებითი ნაცვალსახელების მრავლობითის ფორმები: **ჰანთეფე/ანთეფე/ჰათეფე, ჰამთეფე/ამთეფე, ჰენთეფე/ჰენტეფე/ჰეთეფე/ენტეფე/ენტეფე**.

დეიქსური ნაწილის მომდევნოდ გვაქვს **თ** ელემენტი, რომელსაც ერთვის მრავლობითობის **-ევ** სუფიქსი. **თ**-ს წინ ფონეტიკურადაა განვითარებული **მ/ნ** თანხმოვნები, რასაც ადასტურებს პარალელური ფორმები ამ ელემენტების გარეშე. ამოსავალ ფორმებად უნდა მივიჩნიოთ: **ჰათეფე, ჰეთეფე**, რომლებშიც რიცხვის ნიშნის წინ გამოყოფილი ნაწილი სიტყვის მხოლობითის ფუძედ უნდა მივიჩნიოთ. **ჰა-თ/ა-თ, ჰე-თ/ე-თ** იგივე მასალაა, რაც მეგრულს გააჩნია (ჩიქობავა 2008: 98). შესაძლოა, ლაზურის ჩვენებით ნაცვალსახელებში მეგრულთან საზიარო ნაცვალსახელური ძირები **ნ, თ** შემოინახა მრავლობითის ფორმებმა.

**თ** ფუძიან მრავლობითის ფორმებში არც თუ იშვიათად ხდება რიცხვის ნიშნის თანხმოვანი ელემენტის დაკარგვა და ასეთ დროს ბოლოში თავს იყრის ორი **ე**: ხოფ. **ანთეე, ენთეე**, ვიწ. **ჰათეე, ჰეთეე**. არნ. ჩიქობავა შენიშნავდა: „ზოგჯერ თითქოს **-რ-** ისმის **ეე**-ს შორის: ჰათ-ე(რ)-ე, ჰეთ-ე(რ)-ე; თუ ხმოვნებს შორის **-რ-** აღმოჩნდებოდა დაკარგული, მაშინ მრავლობითობის მაწარმოებლად **-ერ-** წარმოგვიდგებოდა“ (ჩიქობავა 2008: 99). აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში ლაზების მიერ გამოცემულ ლექსიკონში „ლაზური-თურქული ნენაფუნა“ არქაბულ ფორმებად დადასტურებულია **ჰანთერე, ჰენთერე**, ასევე კუთვნილებითი **ჰენთერეში** „იმისი“ და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი **მინთერე** „ვინმეები“ ფორმები. ჩვენი აზრით, ასეთ ფორმებში **-ერ** სუფიქსის გამოყოფა რიცხვის ნიშნად არ იქნება მართებული. ეს ერთგვარი ინოვაცია ჩანს, როცა **ფ**-ს დაკარგვით გაჩენილი ხმოვანთმიმდევრობა აუსლაუტში არაბუნებრივია და **რ**-ს ჩართვით ხდება ხმოვნების გათიშვა.

ლაზურში ჩვენებითი ნაცვალსახელების ფუნქციური გადანაწილება მეგრულისებურია. კერძოდ, **ჰა/ა** და **ჰე/ე** დეიქსური ნაწილი ყოველთვის მსაზღვრელის ფუნქციითაა: *ჰა კოჩი* „ეს კაცი“, *ჰე კოჩი* „ის კაცი“. შდრ. მეგრულში: *ე კოჩი* „ეს კაცი“, *ი კოჩი* „ის კაცი“. **ჰადა, ჰაე, ჰედა, ჰეა, ადა, ედა, იდა, ამუ, ემუ, ჰიმუ, ჰამუ, ჰემუ** სრული ფორმები ყოველთვის პირის ნაცვალსახელის ფუნქციითაა გამოყენებული. არასრული ფორმები: **ია/და, ჰემ, ჰიმ, ჰამ, ამ, ემ** ძირითადად მსაზღვრელია, მაგრამ შეიძლება პირსაც გამოხატავდეს, მაგალითად, *ჰიმ ხენ...* „ის ზის“, *ჰამ ხენ...* „ეს ზის“ (ჩიქობავა 2008: 340-27).

ამრიგად, ლაზურში სრული ჩვენებითი ნაცვალსახელები სტრუქტურულად ორსეგმენტიანია: თავში წარმოდგენილია ჩვენებითი დეიქსისები შესაძლო ვარიანტებით: **ჰა>ა, ჰე>ე, ჰი>ი**, ხოლო მეორე სეგმენტად ნაცვალსახელური ფუძეები: **ია/და, მუ** შესაბამისი ფონეტიკური ვარიანტებით, ასევე სავარაუდო ნაცვალსახელური ძირები **ნ** და **თ** მრავლობითის ფორმებში. მეგრულში ჩვენებითი ნაცვალსახელი სტრუქტურულად ასე გამოიყურება: სამსეგმენტიანი — თავში დეიქსისები **ა** და **ე**, მეორე და მესამე სეგმენტებად ნაცვალსახელური ძირები **თ, ნ**: **ა-თე-ნა, ე-თი-ნა**; ორსეგმენტიანი — დეიქსისები **ა, ე, ი** და ნაცვალსახელური ძირი: **ა-თე, ე-თი, ე-ნა, ი-ნა** ან: ნაცვალსახელური ძირები — **თე-ნა, თი-ნა**; ერთსეგმენტიანად შეიძლება განვიხილოთ **თე** და **თი** ვარიანტე-

ბი ისევე, როგორც დეიქისები. როგორც ვხედავთ, სინქრონიულ დონეზე სხვადასხვა ფორმა გამოიყენება, თანაც მეგრულისგან განსხვავებით, ლაზურში ნაცვალსახელები დიალექტურ ვარიანტებად არის წარმოდგენილი.

ისტორიულად ლაზურში დადასტურებული **მუ-** ნაცვალსახელური ფუძე დაიყვანება საერთო მეგრულ-ლაზურ **მუ<\*მო** ძირამდე, რომელიც გვაქვს პირის ნაცვალსახელში **მუ/მუქ**. აღსანიშნავია, რომ **ჰამ/ჰამუ, ჰიმ/ჰიმუ, ჰემუ/ემუ** ნაცვალსახელები ადამიანსაც აღნიშნავს და არაადამიანსაც, განსხვავებით **მუქ** საკუთრივ პირის ნაცვალსახელისაგან. თითქოს დეიქისების დართვით **მუ-** ნაცვალსახელურმა ძირმა შეიძინა პოლივალენტობა: გამონათა პირიც და „არაპირიც“. მსგავსი რამ არ მომხდარა მეგრულში, რაც გვაფიქრებინებს, რომ **მუ** ნაცვალსახელი მეგრულსა და ლაზურში ისტორიულად მხოლოდ ადამიანის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. მაშინაც კი, როცა ის სულიერ ან უსულო სახელების ნაცვალად იხმარება, კონტექსტი ყოველთვის გულისხმობს ადამიანისთვის დამახასიათებელ ქმედებას, ანუ გაპიროვნება ხდება. ეს ლოგიკურია, რადგან პირის ცნება ადამიანს უკავშირდება. პირველი და მეორე პირები ყოველთვის ადამიანის აღმნიშვნელია. თუ გავიზიარებთ სამეცნიერო თვალსაზრისს, რომ ზოგადად ნებისმიერი ნაცვალსახელი მიუთითებს საგანზე და არ აღნიშნავს (მაიტინსკაია 1969), დიფერენციაციას პირის და ჩვენებით ნაცვალსახელებად მაინც განსაზღვრავს მისათითებელი საგნის შინაარსი : ადამიანი და არაადამიანი. სავარაუდოდ, პირის კატეგორიის სამწვერა სისტემაში თავდაპირველად მესამე პირადაც მხოლოდ ადამიანი მოიაზრებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ლაზურისა და მეგრულის მიხედვით, ქართულშიც აღდგება თავდაპირველი სამწვერა სისტემა, რომელიც ზანურ-ქართული ერთობის მოვლენაა:

მეგრ.ლაზ.

**მა/ მან ----- სი/სინ**

**მუ(<მუნ) /მუქ**

ქართ.

**მე -----შენ**

**მან**

მხოლოდ მას შემდეგ, რაც განვითარდა ზმნის უღლების სისტემა, პირის ნაცვალსახელთა სისტემაშიც მოხდა ცვლილება: მესამე პირი არ უდრიდა მხოლოდ ადამიანს, არამედ „სხვას“-აც, რაც შეიძლება ყოფილიყო ზმნური ქმედებით/მდგომარეობით შექმნილი სიტუაციის მონაწილე, ანუ აქტანტი. ვფიქრობთ, რომ ქართველურ ენებში „პირი“ ~ „არაპირი“ დიქტომია მეორეული მოვლენაა, ამიტომაც მოხდა მესამე პირის ნაცვალსახელის სემანტიკის დიფერენცირება და სამწვერა სისტემაში შემოიჭრა ჩვენებითი ნაცვალსახელები, რომელთა სტრუქტურა და ბრუნების სისტემა ლაზურში კარგად ასახავს ამ პროცესის ისტორიულ გზას.

ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნება ორ სისტემას ჰქმნის: ერთი მხრივ, გვაქვს სრული პარადიგმა, რომელშიც წარმოდგენილია ფორმები ბრუნვისა და რიცხვის ნიშნებით, მეორე მხრივ, პარადიგმა, რომელშიც მხოლოდ

ფუძის ფორმითაა წარმოდგენილი და არ დაირთავს ბრუნვისა და რიცხვის ნიშნებს. პირველ შემთხვევაში ნაცვალსახელები გამოიყენება პირის ნაცვალსახელის ფუნქციით და დამოუკიდებელი წევრია ზმნური შესიტყვებისა, ხოლო მეორე შემთხვევაში საკუთრივ ჩვენებითი ნაცვალსახელია და მსაზღვრელია სახელურ შესიტყვებაში. ეს კანონზომიერება საერთოა არა მარტო მეგრულ-ლაზურისათვის, არამედ ქართველური ენებისთვისაც. მიუხედავად ამისა, არის გარკვეული სხვაობები ამ პარადიგმების სტრუქტურაში.

ლაზურში ბრუნების სისტემა მეგრულისგან განსხვავდება, რადგან ყველა ძირითადი ჩვენებითი ნაცვალსახელი მხოლოდ სახელობით ბრუნვაშია წარმოდგენილი, ხოლო დანარჩენ ბრუნვებში ყველას ენაცვლება **მუ-** ფუძე შესაბამისი დეიქსისის დართვით. შეიძლება ითქვას, რომ ხოფურსა და ვიწურ-არქაბულში მხოლოდით რიცხვში ორფუძიანობა გვაქვს, რაც ქართლის ვითარების ანალოგიურია:

<b>ლაზური</b>		<b>ქართული</b>
<b>სახ.</b>	ა-და	ეს
<b>მოთხრ.</b>	ა-მუ-ქ	ა-მა-ნ
<b>მიც.</b>	ა-მუ-ს	ა-მა-ს
<b>ნათ.</b>	ა-მუ-ში	ა-მ-ის
<b>მოქმ.</b>	ა-მუ-თე(ნ)	ა-მ-ით
<b>მიმართ.</b>	ა-მუ-შა	„ა-მ-ამდე“
<b>დაშორ.</b>	ა-მუ-შე(ნ)	„ა-მ-ისგან“

მაგრამ ვიწურისთვის ასევე დამახასიათებელია მეგრულისებური ბრუნვაც, ანუ ყველა ბრუნვაში წარმოდგენილია ნაცვალსახელური ფუძე **ჰა-და-ქ, ჰა-და-ს...** როგორც ჩანს, ეს მოვლენა მერმინდელია.

<b>სახ.</b>	ჰა-და	ეს
<b>მოთხრ.</b>	ჰა-მუ-ქ // ჰა-და-ქ	ა-მა-ნ
<b>მიც.</b>	ჰა-მუ-ს // ჰა-და-ს	ა-მა-ს
<b>ნათ.</b>	ჰა-მუ-ში // ჰა-და-ში	ა-მ-ის
<b>მოქმ.</b>	ჰა-მუ-თე(ნ) // ჰა-და-თე(ნ)	ა-მ-ით
<b>მიმართ.</b>	ჰა-მუ-შა// ჰა-და-შა	„ა-მ-ამდე“
<b>დაშორ.</b>	ჰა-მუ-შე(ნ)// ჰა-და-შე(ნ)	„ა-მ-ისგან“

ათინურში **ჰამ, ჰიმ** ფორმებს აქვთ პარალელური **ჰამუ, ჰიმუ** ვარიანტები და სრულიად ლოგიკურია, რომ ბრუნების პარადიგმა ამავე ფუძეს ემყარება: **ჰა-მუ-ქ, ჰა-მუ-ს... ჰი-მუ-ქ, ჰი-მუ-ს...**

რაც შეეხება ხოფურ **ია** და ვიწურ-არქაბულ **ჰეა** ნაცვალსახელებს, ისინიც ორფუძიანები არიან: **ია, ე-მუ-ქ, ე-მუ-ს... ჰეა, ჰე-მუ-ქ, ჰე-მუ-ს...** რამ-

დენადაც **ია**-ს რიგში **ე** დეიქტური ხმოვანია, სავარაუდოა, რომ ისტორიულად **ია** მომდინარეობს **ეა** ფორმიდან, რაც სავსებით ეთანხმება **ჰეა** ფორმას (ჩიქობავა 2008: 97-98).

ბრუნების პარადიგმების ანალიზი აჩვენებს, რომ ლაზურში ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნების სისტემა მხოლოდით რიცხვში მთლიანად ემყარება **მუ** მესამე პირის ნაცვალსახელის ბრუნებას და მხოლოდ დეიქტური ხმოვნები ჰქმნიან სხვაობას. ამ თვალსაზრისით ლაზური მთლიანად განსხვავდება მეგრულისგან, რომელიც ჩვენებითი ნაცვალსახელების დამოუკიდებელ სისტემას წარმოგვიდგენს, მაგრამ უახლოვდება ქართულს, რაც ლაზურის ვითარების სიძველეზე მიუთითებს. მრავლობით რიცხვში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პარადიგმა **თ** და **ნ** ნაცვალსახელურ ძირებს ემყარება, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ლაზურში ჩვენებით ნაცვალსახელთა ბრუნების პარადიგმები მხოლოდითსა და მრავლობითში ფუნქციურად ერთიან სისტემად განიხილება. ფორმალური თვალსაზრისით, ესაა სხვადასხვა ნაცვალსახელურ ძირთა პარადიგმები მხოლოდ მხოლოდით რიცხვში ან მხოლოდ მრავლობით რიცხვში.

მეგრულში **ათენა, თენა, ენა, ეთინა, თინა, ინა, ე, ი, ათე, თე, ეთი, თი** ნაცვალსახელები დამოუკიდებლად იბრუნვის მიუხედავად იმისა, რომ **ე** და **ი** იშვიათად შეიძლება დადასტურდეს პირის აღმნიშვნელად. თითოეული მათგანი ბრუნვის ნიშანს დაირთავს და იბრუნვის როგორც ხმოვანფუძიანი სახელი, ანუ მხოლოდით რიცხვში ფუძე არასდროს არ იკვეცება. რაც შეეხება მრავლობითს, მეგრულში სახელთა ბრუნების საერთო წესის თანახმად, **ა**-ზე დაბოლოებული **ათენა, თენა, ენა, ეთინა, თინა, ინა** ნაცვალსახელების ფუძე იკვეცება ყველა ბრუნვაში, ხოლო მოთხრობით და მიცემით ბრუნვებში რიცხვის ნიშნები წარმოდგენილია შესაბამისი ვარიანტებით: **-ეფ/-ემ/-ენ**. რაც შეეხება **ათე, თე, ე, ეთი, თი, ი** ნაცვალსახელებს, რეალურად მათ მრავლობითის პარადიგმა არ გააჩნიათ. ზოგადად, **ე**-ზე დაბოლოებულ სახელებს მრავლობითში პარალელური ფორმები აქვთ — ფუძეუკვეცელი და ფუძეუკვეცადი: **მაყარე — მაყარე-ეფ-ი, მაყარ-ეფ-ი**, შესაბამისად მოსალოდნელი იყო: **ათე — \*ათე-ეფ-ი, \*ათ-ეფ-ი**. იგივე ითქმის **ი**-ფუძიანებზეც. თითქოს ფონოლოგიურ დონეზე ხელის შემშლელი პირობები არ ჩანს და მაინც მრავლობითის ფორმები მეგრულში რეალიზებული არ არის. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ **ათენა, თენა, ეთინა, თინა** რთული, ანუ შედგენილი ნაცვალსახელებია, რომლის ბოლო კომპონენტი ყოველთვის **ნა** ნაცვალსახელური ძირია, შეიძლება ითქვას, რომ **თ** ნაცვალსახელური ძირისთვის პირის ნაცვალსახელის ფუნქციის მინიჭება აშკარად მეორეულია და მხოლოდითშიც მხოლოდ მას შემდეგ დაიტვირთა ამ ფუნქციით, როცა **ათენა, თენა, ეთინა, თინა** ჩამოყალიბდნენ პირის ნაცვალსახელებად. შეიძლება ითქვას, რომ ფუნქციურმა შეზღუდვამ განაპირობა სრული და არასრული მორფოლოგიური პარადიგმების ჩამოყალიბება. სინქრონიულ დონეზე გვაქვს: **ათენა, თენა, ეთინა, თინა, ენა, ინა** ნაცვალსახელების სრული პარადიგმა მხოლოდითსა და მრავლობითში; **ეთი, ათე, თე, თი**,

**ე, ი** ნაცვალსახელების არასრული პარადიგმა, ანუ მხოლობითის ფორმებით მხოლოდ. ორივე შემთხვევაში ეს ნაცვალსახელები პირის ნაცვალსახელებაა. აქვე **ათე, თე, ეთი, თი, ე, ი** ნაცვალსახელები ჰქმნიან მესამე, შეიძლება ითქვას ნულოვან პარადიგმას, როცა სახელურ შესიტყვებაში, რომლის პირველი წევრია ყოველთვის (ინვერსიული წყობა იშვიათია მეგრულში), ფუძის სახითაა წარმოდგენილი:

**სრული პარადიგმა**

	<b>მხოლობითი რიცხვი: მეგრული</b>	<b>ქართული</b>
<b>სახ.</b>	ე-ნა-    თ-ენა-    ა-თენა-	ესე    ეგე
<b>მოთხრ.</b>	ე-ნა-ქ    თ-ენა-ქ    ა-თენა-ქ	ა-მა-ნ
<b>მიც.</b>	ე-ნა-ს    თ-ენა-ს    ა-თენა-ს	ა-მა-ს
<b>ნათ.</b>	ე-ნა-ში    თ-ენა-ში    ა-თენა-ში	ა-მ-ის
<b>მოქმ.</b>	ე-ნა-თი    თ-ენა-თი    ა-თენა-თი	ა-მ-ით
<b>ვით.</b>	ე-ნა-თ    თ-ენა-თ    ა-თენა-თ	ა-მა-დ
<b>მიმართ.</b>	ე-ნა-შა    თ-ენა-შა    ა-თენა-შა	ა-მის-და
<b>დაშორ.</b>	ე-ნა-შე    თ-ენა-შე    ა-თენა-შე	[ა-მ-ისა-გან]
<b>დანიშნ.</b>	ე-ნა-შო(თ)    თ-ენა-შო(თ)    ა-თენა-შო(თ)	[ა-მ-ის-თვის]

**პრავლობითი რიცხვი:  
მეგრული**

		<b>ქართული</b>
<b>სახ.</b>	ე-ნ-ეფ-ი    თ-ენ-ეფ-ი    ა-თ-ენ-ეფ-ი	ე-სე-ნი  ე-გე-ნი
<b>მოთხრ.</b>	ე-ნ-ენ-ქ    თ-ენ-ენ-ქ    ა-თ-ენ-ენ-ქ	ა-მა-თ
<b>მიც.</b>	ე-ნ-ენ-ს    თ-ენ-ენ-ს    ა-თ-ენ-ენ-ს	ა-მა-თ
<b>ნათ.</b>	ე-ნ-ეფ-იში    თ-ენ-ეფ-იში    ა-თ-ენ-ეფ-იში	ა-მა-თ
<b>მოქმ.</b>	ე-ნ-ეფ-ითი    თ-ენ-ეფ-ითი    ა-თ-ენ-ეფ-ითი	[„ამეფით“]
<b>ვით.</b>	ე-ნ-ეფ-ით    თ-ენ-ეფ-ით    ა-თ-ენ-ეფ-ით	[„ამეფად“]
<b>მიმართ.</b>	ე-ნ-ეფ-შა    თ-ენ-ეფ-შა    ა-თ-ენ-ეფ-შა	[ა-მათ-და, ამათ-კენ]
<b>დაშორ.</b>	ე-ნ-ეფ-შე    თ-ენ-ეფ-შე    ა-თ-ენ-ეფ-შე	[ამათ-გან]
<b>დანიშნ.</b>	ე-ნ-ეფ-შო(თ)    თ-ენ-ეფ-შო(თ)    ა-თ-ენ-ეფ-შო(თ)	[ამათთვის]

**არასრული პარადიგმა**

	<b>მეგრული</b>	<b>ქართული</b>
<b>სახ.</b>	ე    თ-ე      ა-თ-ე	ესე//ეგე
<b>მოთხრ.</b>	ე-ქ    თ-ე-ქ    ა-თ-ე-ქ	ა-მა-ნ
<b>მიც.</b>	ე-ს    თ-ე-ს    ა-თ-ე-ს	ა-მა-ს
<b>ნათ.</b>	ე-ში    თ-ე-ში    ა-თ-ე-ში	ა-მ-ის



<b>მოქმ.</b>	ე-თი    თ-ე-თი    ა-თ-ე-თ-ი	ა-მ-ით
<b>ვით.</b>	ე-თ    თ-ე-თ    ა-თ-ე-თ	ა-მა-დ
<b>მიმართ.</b>	ე-შა    თ-ე-შა    ა-თ-ე-შა	ა-მის-და
<b>დაშორ.</b>	ე-შე    თ-ე-შე    ა-თ-ე-შე	[ა-მ-ისა-გან]
<b>დანიშნ.</b>	ე-შო(თ)    თ-ე-შო(თ)    ა-თ-ე-შო(თ)	[ა-მ-ის-თვის]

### ნულოვანი პარადიგმა

სახ.	ათე//თე//ე//ეთი//თი//ი	თოლი//თოლეფი	ეს/ის თვალი//თვალეზი
მოთხრ.	ათე//თე//ე//ეთი//თი//ი	თოლქ//თოლეფქ	ამ/იმ თვალმა//თვალეზმა
მიც.	ათე//თე//ე//ეთი//თი//ი	თოლს //თოლეფს	ამ/იმ თვალს//თვალეზს
ნათ.	ათე//თე//ე//ეთი//თი//ი	თოლიში//თოლეფიში	ამ/იმ თვალის//თვალეზის
მოქმ.	ათე//თე//ე//ეთი//თი//ი	თოლით//თოლეფით	ამ/იმ თვალით//თვალეზით
ვით.	ათე//თე//ე//ეთი//თი//ი	თოლო//თოლეფო	ამ/იმ თვალად//თვალეზად
მიმართ.	ათე//თე//ე//ეთი//თი//ი	თოლიშა//თოლეფიშა	ამ/იმ თვალთან//თვალეზთან
დაშორ.	ათე//თე//ე//ეთი//თი//ი	თოლიშე//თოლეფიშე	ამ/იმ თვალისგან//თვალეზისგან
დანიშნ.	ათე//თე//ე//ეთი//თი//ი	თოლიშო(თ)//თოლეფიშო(თ)	ამ/იმ თვალისთვის//თვალეზისთვის

პირის ნაცვალსახელის ფუნქციით გამოყენებული ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნების სისტემა მეგრულსა და ლაზურში გამოავლენს ბრუნვისა და რიცხვის ფორმანტთა საერთო ინვენტარსა და ბრუნების წესს, მაგრამ სრულიად განსხვავდება ნაცვალსახელური ფუძეებითა და პარადიგმებში მათი განაწილების წესებით. ამ თვალსაზრისით ლაზურს მეტი საერთო აქვს ქართულთან, ვიდრე მეგრულთან.

მეგრულსა და ლაზურში ჩვენებითი ნაცვალსახელები მსაზღვრელადაც გამოიყენება. როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში მათ მრავლობითი არ გააჩნიათ და არც იბრუნვიან, თუმცა არის რამდენიმე ნიუანსი, რითაც მეგრულისგან განსხვავდება ლაზური.

მეგრულში მსაზღვრელად გამოიყენება მხოლოდ **ათე, თე, ეთი, თი, ე** და **ი** ჩვენებითი ნაცვალსახელები და უცვლელად მიერთვის სახელს ყველა ბრუნვაში. ლაზურში დიალექტების მიხედვით ასე გადანაწილდება: ხოფურში — **ადა, ედა, იდა, ია, და, ამ, ემ, ა, ე**; ვიწურ-არქაბულში — **ჰა, ჰე, ა, ე, ამ, ემ, ჰამ, ჰემ**; ათინურში — **ჰამ, ჰიმ, ჰემ**. როგორც ვხედავთ, ლაზურში თითქმის ყველა ჩვენებითი ნაცვალსახელი დასტურდება მსაზღვრელის ფუნქციითაც, გამონაკლისია მხოლოდ ვიწურ-არქაბული, სადაც **ჰადა, ჰედა, ჰეა** ნაცვალსახელები გამოიყენება პირის ნაცვალსახელებად, თუმცა მსაზღვრელის ადგილს იჭერს **ჰამ** და **ჰემ** ფორმები, რომლებიც ირიბი ბრუნვის შეკვეცილი ფორმებია. აღსანიშნავია, რომ **ამ, ემ** ფორმებიც დეიქსისით გაფორმებული **მუ** ნაცვალსახელის შეკვეცილი ვარიანტებია, რომლებიც ასეთი სახით მიერთვის სახელს ყველა ბრუნვაში. მოსალოდნელი იყო, რომ ისინი მოთხრობითი ბრუნ-

ვიდან ჩანაცვლოდნენ შესაბამისად **აა, ეა, ჰაა, ჰეა, ჰეა** ფორმებს, თუმცა ასეთი რამ არ ხდება. მაგალითად,

სახ.	ჰა//ადა//ა//ჰამ//ამ	თოლი//თოლეფე	ეს თვალი//თვალეზი
მოთხრ.	ჰა//ადა//ა//ჰამ//ამ	თოლიქ//თოლეფექ	ამ თვალმა//თვალეზმა
მიც.	ჰა//ადა//ა//ჰამ//ამ	თოლის //თოლეფეს	ამ თვალს//თვალეზს
ნათ.	ჰა//ადა//ა//ჰამ//ამ	თოლიში//თოლეფეში	ამ თვალის//თვალეზის
მოქმ.	ჰა//ადა//ა//ჰამ//ამ	თოლითე(ნ)//თოლეფეთე(ნ)	ამ თვალით//თვალეზით
მიმართ.	ჰა//ადა//ა//ჰამ//ამ	თოლიშა//თოლეფეშა	ამ თვალთან//თვალეზთან
დაშორ.	ჰა//ადა//ა//ჰამ//ამ	თოლიშე(ნ)//თოლეფეშე(ნ)	ამ თვალისგან//თვალეზისგან

როგორც ვხედავთ, მეგრულსა და ლაზურში მესამე პირის გადმოსაცემად გამოყენებულია როგორც საერთო ლექსიკური ერთეულები, ასევე — განსხვავებულიც. მათი ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

1. **მუ** ნაცვალსახელი მეგრულ-ლაზურში საკუთრივ პირის აღმნიშვნელია, რასაც ადასტურებს: ა. მეგრულში სრულიად სხვა ფუძეები გამოიყენება ჩვენებით ნაცვალსახელებში; ბ. ლაზურის ჩვენებით ნაცვალსახელთა ირიბ ბრუნვებში გამოყენებულია **მუ-** ფუძე, რომელსაც ერთვის დეიქტური ხმოვნები.

2. მეგრულის **ენა/ინა, ათე/თე/ეთი/თი** და ლაზურის მრავლობითის ფორმების **ჰანი, ჰინი, ჰანთეფე/ანთეფე/ჰათეფე, ჰამთეფე/ამთეფე, ჰენთეფე/ჰენთეფე/ჰეთეფე/ენთეფე/ენთეფე** მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ **ნ** და **თ** ნაცვალსახელური ძირების არსებობა ჩვენებით ნაცვალსახელებში. როგორც წესი, ეს ძირები ყოველთვის წარმოდგენილია დეიქსური ელემენტებით.

3. ცხადად იკვეთება დიქტომია: **მ**-ძირიანი პირის ნაცვალსახელი და **ნ/თ**-ძირიანი ჩვენებითი ნაცვალსახელი, რაც, ჩვენი აზრით, მხარს უჭერს ზანურში პირის ნაცვალსახელთა სამწევრიანი სისტემის არსებობას.

4. სივრცეში ლოკალიზაციის თვალსაზრისით მეგრულ-ლაზურში დეიქსი-სები ჰქმნიან ორწევრა ოპოზიციას: პირველ პირთან მიმართებას გამოხატავს **ა<ჰა**, ხოლო მესამე პირთან მიმართებას — **ე<ჰე, ი<ჰი**, რაც შეეხება მეორე პირს, ის არ მონაწილეობს ამ ოპოზიციაში და არსებითად პირველ პირს ეკედლება. ქართულშიც მეორეული ჩანს სიმორე-სიახლოვის სამწევრა სისტემა. ძველ ქართულში **ეგ** ნაცვალსახელი, რომელიც მეორე პირთან სიახლოვეს გამოხატავს, თავისი ხმოვნითი ელემენტით **ეს** ნაცვალსახელთან ერთიანდება და მათ შორის ოპოზიცია ნეიტრალიზებულია, ორივე ნაცვალსახელი აღნიშნავს მხოლოდ ახლოს მყოფს (ჩართოლანი 1985, 76). გარდა ამისა, ირიბ ბრუნვებში ნულოვანი მარკირებაა, ანუ არ ჩანს დეიქტური ხმოვანი: **ეგ, მაგან, მაგას, მაგის...** აღსანიშნავია, რომ დიალექტების გათვალისწინებით ქართულში აღადგენენ **ამა — მაგა — იმა** სამწევრა სისტემას, სადაც „მაგა ნაცვალსახელი სიმორის აღმნიშვნელ ნაცვალსახელს (იმა-ს) ეკედლება, მასთან მონაცვლეობს, რაც მათი თავდაპირველი ფუნქციონალური იდენტობის შედე-

გია“ (ჩართოლანი 1985, 145). სავარაუდოა, რომ მეგრულ-ლაზურის მსგავსად, ქართულშიც **მა-** ძირიანი ნაცვალსახელი გამოხატავდა მესამე პირს, ხოლო ჩვენებით ნაცვალსახელებს **ს** და **გ** ძირიანი ფორმები, რომლებიც სივრცით ოპოზიციას მიუთითებდნენ: **ეს ~ ის, ეგ ~ იგი**.

5. ვფიქრობთ, რომ ქართველური ენების მიხედვით მესამე პირის ნაცვალსახელიც პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელების მსგავსად დეიქტური ნაცვალსახელია, ასევე ჩვენებითი ნაცვალსახელის მსგავსად ანაფორულ ნაცვალსახელებსაც განეკუთვნება.

### ლიტერატურა

- ბენვენისტი 1974** — Э. Бенвенист, Общая лингвистика, Москва.
- დანელია 2006** — კ. დანელია, კოლხური ენის გრამატიკული ანალიზი, წიგნი: კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა, თბილისი.
- ეზუგბაია 2010** — ლ. ეზუგბაია, მეგრულ-ლაზურის გრამატიკის საკითხები, თბილისი.
- ოქემ 2011** — თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, თბილისი.
- კარტოზია და სხვ. 2010** — გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, თბილისი.
- ლელ 1990** — Лингвистический энциклопедический словарь, Москва.
- მარტიროსოვი 1964** — ა. მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბილისი.
- მარი 1910** — И. Я. Марр, Грамматика чанского (лазского) языка, С.-Пет.
- მაიტინსკაია 1969** — К. Е. Майтинская, Местоимения в языках разных систем, Москва.
- უთურგაიძე 2002** — თ. უთურგაიძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბილისი.
- ქეე 2008** — ქართული ენა, ენციკლოპედია, თბილისი.
- ჩართოლანი 1985** — ნ. ჩართოლანი, ჩვენებით ნაცვალსახელთა სისტემები ქართულში სხვა ქართველურ ენებთან შედარებით, თბილისი.
- ჩიქობავა 2008** — არნ. ჩიქობავა, შრომები, II ტ., თბილისი.
- ჩიქობავა 1936** — არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი.
- ყიფშიძე 1914** — И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, С. Пет.

## წყაროები

- აღლიო ქობალაია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი, 2010.  
 Ismail Avci Bucaklışı, Hasan Uzunhasanoğlu, Lazuri-Turkuli nenapuna, 2003.  
 Ismail Bucaklışı, Hasan Uzunhasanoğlu, Irfan Aleksiva, Didi lazuri nenapuna, 2007.  
 Dr.Tine H.Amse — de Jong, Laz-English Dictionary, 2004.

## LALI EZUGBAIA

### On the relationship between third person and demonstrative pronouns in Megrelian and Laz

#### S u m m a r y

In the process of structuring of space and time in the Kartvelian languages, the following dichotomy was identified within the tri-partite system of personal pronouns: 1<sup>st</sup> and 2<sup>nd</sup> persons ~ 3<sup>rd</sup> person, that is, “person” ~ “non-person” (Benveniste); however, in the conjugation system, the third person became equal to the rest (Uturgaidze). This difference was reflected in personal pronouns both lexically and grammatically. A particularly complex system has been formed to convey the third person, owing to which, the special literature displays contradictions concerning the issue of the demarcation of the third person and demonstrative pronouns because of their functional overlap. The paper analyzes Megrelian and Laz linguistic data with respect to inflection, declension and functions. These pronouns are: 3<sup>rd</sup> person **mu/muk**; demonstrative pronouns: in Megrelian **atena/tena/ena**, **etina/tina/ina**, **ate/te/e**, **eti/ti/i**; in Laz: Arhavi forms **haya/hay/ha**, **hea/heya**, Khopan **aya**, **eya**, **iya/ia/ya**, **am/amuk**, **em/emuk**, Pazar **him/himu**, **ham/hamu**, **hem/hemu/emu**. The results of the analyses can be summarized as follows:

1. The pronoun **mu-** is a personal marker proper in Megrelian and Laz, being attested by: a. Megrelian demonstrative pronouns apply entirely distinct stems; b. oblique case forms of Laz demonstrative pronouns apply the stem **mu**, taking on deictic vowels.
2. With a view to the Megrelian forms **ena/ina**, **ate/te/eti/ti** and the Laz plurals **hani**, **hini**, **hantepe/antepe/hatepe**, **hamtepe/amtepe**, **hentepe/hentee/hetepe/entepe/entee**, the occurrence of the pronominal roots **n** and **t** can be assumed in demonstrative pronouns. As a rule, these roots are always represented by deictic elements.

3. The dichotomy is clearly shaped: the personal pronoun based on the root **m** and the demonstrative pronoun based on the roots **n/t**. I argue that it supports the existence of the tri-partite pronominal system in Zan.
4. In terms of spatial locations, Megrelian and Laz deictics make up a dyadic opposition: the relation to the first person is conveyed by **a<ha**, and to the third person — by **e<he, i<hi**. As for the second person, it is not involved in the opposition and essentially joins the first person. The tri-partite system of proximity-distance seems secondary in Georgian as well. The pronoun **eg**, which referring to proximity with the second person, combines with the pronoun **es** by means of its vocal element. In addition, oblique cases have zero marking, that is, the deictic vowel is not visible: **eg, magan, magas, magis...** By means of its consonant element, it contradicts the paradigm of the personal pronoun **igi**: **igi, man, mas, mis...** It can be assumed that in Georgian, similarly to Megrelian and Laz, the third person was rendered by a pronoun with the root **m**, while demonstrative pronouns by the forms with the roots **s** and **g**, referring to a spatial opposition: **es ~ is, eg ~ igi**.
5. We believe that, based on the Kartvelian languages, the third persona pronoun, similarly to the first and the second person pronouns, is a deictic one and belongs to anaphoric pronouns, also similarly to demonstratives.

თამარ ვაშაკიძე

აღწერითი კაუზატივისათვის ძველ ქართულში

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში (ორიგინალურსა და ნათარგმნში) საკმაოდ მრავლად დასტურდება აღწერითი კაუზატივის ფორმები (რომლებიც ნაწარმოებია ვითარებითბრუნვისფორმიანი მასდარისა და **სცემს** მეშველი ზმნის საშუალებით: **წარწერად-სცა**, **შერუნებად სცა**, **აღპრობად-სცნა** და სხვ.).

ა. შანიძე აღნიშნავს, რომ „შუალობითი კონტაქტის ფორმები იშვიათია ძველ ქართულში, მაგრამ მაინც გვხვდება. მისი მაწარმოებელია მარტივი **ეგ** და რთული **ი(გ)-ებ**. მარტივი **ეგ** II სერიის ფორმებში **იგ**-ად გადაკეთდება, მისი თანხმოვანი (**გ**) დაიკარგება ხმოვნის წინ და დარჩება **ი**. მაგ., **თქუმა** უშუალო კონტაქტის ფორმაა, შუალობითისა კი იქნება **თქუმევა**: **ათქუმი**ა სამ გზის: ვიკმნი შენგან, ეშმაკო (მოქც.). უჯეროსა **გუაქმნევა** ჩუენ ჰამანი (ესთერ.). რაც შეეხება რთულ (**იგ-ებ**) სუფიქსს, იგი I სერიის მწკრივებში ჩანს, II-ში კი **ებ** ჩამოშორდება. **იგ** სუფიქსის **გ** ჩვეულებრივ იკარგება ხმოვნის წინ ორსავე სერიაში: მივალეებ — მივალეებე (ნაცვლად ასეთი ფორმებისა: მივალეებე — მივალეებეგ)... გვხვდება აგრეთვე **ინ** აფიქსით ნაწარმოები შუალობითი კონტაქტის ფორმა (**თაყუნის-აცემინეს**)“ [შანიძე 1976: 83-84].

ძველ ქართულში **სცემს** მეშველი ზმნა აწარმოებს როგორც მოქმედებითი, ისე ვნებითი გვარის ფორმებს, უდრ. „რამეთუ ჳორციელსაცა თანა სიმდიდრესა შვილიერებთაცა **პატივ-სცა**“ [ძვ. ქართ. აგ. ლიტ. ძეგლ., II, 1967: 111]; „და ვითარცა **ჟამ-სცა** ჟამმან, სივლტოლად და მიდამომალვად იყო“ [ძვ. ქართ. აგ. ლიტ. ძეგლ., I, 1964: 118]; „მოდტუარი და მოსურნე ცხოვრებისა ჩუენისა **პა-ტივ-იცემის** ყოვლისა მიერ მორწმუნისა“ [ძვ. ქართ. აგ. ლიტ. ძეგლ., IV, 1968: 406]; „და რამთა ცხოველი იგი ხატი მას შინა **თაყუნის-იცემოდის** მათ მიერ“ [ძვ. ქართ. აგ. ლიტ. ძეგლ., I, 1964: 324] და სხვ.

**სცემს** მეშველ ზმნას მოეპოვება უღლების სრული პარადიგმა. წარმოშობით იგი დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ზმნაა და ამ დანიშნულებით, ჩვეულებრივ, გამოიყენება კიდევც.

სახელურ კომპონენტებად (**სცემს** მეშველზმნიანი ფორმებისა) დასტურდება: ა) არსებითი სახელი: „უკუთუთ ჳმელად **გზა-სცეს**, განაგოს სიმდიდრე თჳსი“ [ძვ. ქართ. აგ. ლიტ. ძეგლ., IV, 1968: 367]; ბ) ზედსართავი სახელი: „და **ნა-თელ-იცემდით** მათ სახელითა მამისადათა“ [ძვ. ქართ. აგ. ლიტ. ძეგლ., III: 8]; გ)

საობიექტო მიმღობა: „ვიდრემდე **განსასტუნებელი-სცეს** უფალმა...“ [ძვ. ქართ. აგ. ლიტ. ძეგლ., I, 1964: 69]; დ) გაარსებითებული ზმნა: „და ჟამითი-ჟამად მივალნ მამად და **ნუგეშინის-სცემნ** სიტყუთა და საქმით“ [იქვე: 73]; ე) მასდარი: „**ბრძოლა-სცეს** მათ და ერეოდეს მათ და მაწყუდნეს იგინი მისთჳს“ [შატბ. კრებ., 1979: 283].

სახელური წევრი წარმოგვიდგება წრფელობითი, სახელობითი, მიცემითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმებით: „ოჯრად იგი საყურისად **ზარ-სცემდეს** ყოველთა დაბადებულთა“ [ძვ. ქართ. აგ. ლიტ. ძეგლ., I, 1964: 180]; „ვიდრემდე **განსასტუნებელი-სცეს** უფალმან...“ [იქვე: 69]; „ნუცა **ადგილს-სცემს** ეშმაკსა დამკვდრებად შენთანა“ [იქვე: 309]; „**კურთხევად-სცემდა** და მისცემდა თითოეულსა ეკლესიასა ღალასა“ [მ. ცხ., 1975: 117].

წარმოშობით სახელური კომპონენტი შეიძლება იყოს: ა) სუბიექტი: „რამთა ცხოველი იგი ხატი მას შინა **თაყუანის-იცემოდის** მათ მიერ“ [ძვ. ქართ. აგ. ლიტ. ძეგლ., I, 1964: 324]; ბ) პირდაპირი ობიექტი: „უკუთუჳ ვმელად **გზა-სცეს**, განაგოს სიმდიდრე თჳსი“ [ძვ. ქართ. აგ. ლიტ. ძეგლ., IV, 1968: 367]; გ) უბრალო დამატება: „**წარწერად-სცა** დომენტიანოსს და თეოდორეს ზემოდ კერძოვე იგი შეჩუენებად მწვალებელთა“ [კიმ., II, 1946: 213].

**სცემს** მეშველ ზმნას იყენებს საწარმოებლად კაუზატივის ფორმათა ერთი ნაწილიც (ზემოთ წარმოდგენილი იყო: **კურთხევად-სცემდა, წარწერად-სცა...**). მათი სახელური კომპონენტი, როგორც ითქვა, ვითარებითბრუნვისფორმიანი მასდარია: „აწვე ამათ დღეთა **გარდადებად ვსცე** ებისკოპოსებასა“ [ძვ. ქართ. აგ. ლიტ. ძეგლ., I, 1964: 214]; „და **კურთხევად სცემდა** და მისცემდა თითოეულსა ეკლესიასა ღალასა“ [მ. ცხ., 1975: 117]; „და **მოღებად სცა** ძელი ცხოვრებისა“ [შატბ. კრებ., 1979: 326]; „მაშინ ბრძანებად **მოღებად სცა** მეფისაგან ანასტასის დუქსა და ესრჳთ ნელავრით განასხნა და ადგილი იგი განათავისუფლა“ [კიმ., II, 1946: 218]; „**მოღებად სცა** ჳუარისა ცხოველისა ზეთი და გარდაიყვანა იგი მტილად თჳსაგან“ [იქვე: 195]; „და **დათხრად სცა** სიღრმჳ ვითარ ორმეოც კაც“ [იქვე: 197]; „მიმოდავიდოდა და, სადა იპოვის ნედლი ადგილი, **დათხრად სცის** მრავალთა ხელთა“ [იქვე: 197]; „ხოლო ღმერთმან შეიწყალა ეკლესიად თჳსი და წიგნი იგი ქმნული **შეურაცხეოვად სცა** და თეოდორჳსი შეჩუენებად ინება“ [იქვე: 215]; „და **შეჩუენებად სცეს** მას ევტჳქისი და დირსკორჳსი შჳული და შრომითა თჳსითა ასწავებდა მას სიმართლესა მას სარწმუნოებისასა“ [იქვე: 184]; „ხატიცა **წარწერად სცეს** ყოლად წმიდისა ღმერთის-მშობელისა“ [ძვ. ქართ. აგ. ლიტ. ძეგლ., II, 1967: 201]; „დაადგინა იგი და აღმოსავლით **აღბჳრობად-სცნა** ველნი მისნი“ [შატბ. კრებ., 1979: 341]; „აფრიკეთი და ჰრომი, რომელი წინააღმდგომთა ეპჳრა, იგი უკმოიპჳრა და ორნივე იგი მეფენი **შემოყვანებად სცნა** კონსტანტინეპოლისა“ [კიმ., II, 1946: 204]; „რამთა იგივე ბრძანებანი მეფეთანი **წარკითხვად სცნეს** მათ ქალაქთა“ [იქვე: 205] და სხვ.

აღნიშნულ საკითხს (აღწერით კაუზატივს ძველ ქართულში) სპეციალური წერილი მიუძღვნა ვ. იმნაიშვილმა. მკვლევარი აღნიშნავს: „კაუზატივის აღწერითი წარმოება ახასიათებთ ამავე პერიოდში ძველ სომხურსა და ბერძნულს. შეიძლება კითხვა დასმულიყო: ხომ არ უსესხია ქართულს ეს ფორმა ამ უკანასკნელთა გავლენით? ეს საკითხი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს... ჩვენი აზრით, ასეთ გავლენასთან არ უნდა გვქონდეს საქმე. ერთნაირი ფორმები ენებში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეიძლება წარმოიშვას — ამას ენის შინაგანი განვითარება აძლევს სტიმულს, ამიტომ ეს გვაფიქრებინებს, რომ სომხურისა და ბერძნულის გავლენით არ უნდა იყოს ქართულში აღწერითი წარმოება შემოსული“ [იმნაიშვილი 1970: 117].

ჩვენ ვიზიარებთ მკვლევრის თვალსაზრისს და აღწერითი კაუზატივის ფორმები წმინდა ძველქართულიდან წარმოებად მიგვაჩნია შემდეგი ფაქტორების გამო:

1. ვითარებთბრუნვისფორმიანი სახელური კომპონენტი (იქნება ეს მასდარი, არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი თუ ნაცვალსახელი) არაკაუზატიურ წარმოებაშიც მრავლად დასტურდება (სხვადასხვა მეშველ ზმნასთან), მაგალითად: ა) **არს** მეშველ ზმნასთან უნდაობით ფორმებში: „სადა **შობად არს** ქრისტე“ [სინ. მრ., 1959: 35]; „უფალო, ვითარმედ **წარდგომად ვარ** საშინელსა მას განსაკითხავსა“ [მ. სწავლ., 1955: 201]; ბ) **ყოფს** მეშველ ზმნასთან: „ესე **სახედყო** დავითისა ნეტარმან ამან“ [კიმ., II, 1946: 184]; გ) **იქმნა** მეშველ ზმნასთან: „დავარდა მიწისა ზედა, **ხედ** დიდ **იქმნა** მთასა მას ზედა“ [ძვ. ქართ. აგ. ლიტ. ძეგლ., III: 188]; დ) **იღებს** მეშველ ზმნასთან: „ისმინეთ მეფეთა და **ყურადიღეთ**“ [ძვ. ქართ. აგ. ლიტ. ძეგლ., IV, 1968: 20]; „აჰა, ესერა ქალწულმან **მუცლად-იღო**“ [სინ. მრ., 1959: 34]; ე) **აგებს** მეშველ ზმნასთან: „**კაჟალად-აგო** გეცხლი დედასა თვსსა“ [აბულაძე 1973: 203] და სხვ.

2. **სცემს** ფორმა მეშველ ზმნად წარმოგვიდგება სხვა სახის (არაკაუზატიური) აღწერით წარმოებაშიც (**ბატივ-სცემს**, **გზა-სცა**, **ჟამ-სცა**, **ხმა-სცა**, **ნუგეშინის-სცა**, **შენდობა-სცა** და მრავალი სხვა).

3. ძველ ქართულში ანალიზური კაუზატივი სიტყვათა მყარი შეხამების კვალობაზე მიღებულ მოდელს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე უცხო ენებიდან ნასესხებ წარმოებას. აღსანიშნავია, რომ **ცემა** ფორმის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მნიშვნელობაა (ძველ ქართულში) „კვრა“, ამდენად, სავსებით ბუნებრივია მისი მოხმობა კაუზატიური შინაარსის გამომხატველ სიტყვათა მყარ შეხამებებში (უბიძგა „წარწერად“, უბიძგა „მოღებად“, უბიძგა „შეჩუენებად“ და სხვ.). გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ძველ ქართულში თითქმის ყველა **სცემს** მეშველზმნიანი ფორმა სიტყვათა მყარ შეხამებას წარმოადგენს (**გზა-სცა** — გზა გაუკვალა; **ადგილ-სცა** — დაუთმო, მიუშვა; **ჟამ-სცა** — დრო მისცა; დადგა დრო; **ზარ-სცა** — შეეშინდა; **დროება-სცა** — დრო მისცა, ადროვა; **შენდობა-სცა** — მიუტევა, აპატივა, შეუენდო; **ბრძოლა-სცა** — ბრძოლა გამოუცხადა; **ნება-სცა** — უფლება მისცა და მრავალი სხვა). ვფიქრობთ, სწორედ მათ რიცხვში



იყო **წარწერად-სცა** („წარწერად“ უბიძგა) ტიპიც, რომელმაც მოქნილი მოდელისა და მეშველი ზმნის სემანტიკის („კვრა“) გამო გაიფართოვა მოხმარების არე და აღწერითი კაუზატივის სტატუსი მოიხვეჭა, მაშასადამე, სინთეზური **წა-აწერია** და ანალიზური **წარწერად სცა** ვარიანტები (ისევე, როგორც სხვა დანარჩენი აღწერითი და ორგანული კაუზატივის ფორმები) ძველ ქართულში ისე მიემართება ერთმანეთს, როგორც **ყურად-ილო** (მყარი შეხამება) და **ისმინა** ფორმები.

**ძველ ქართულში სცემს** მეშველზმნიანი წარმოებისა (არა მხოლოდ კაუზატიურის) და შესაბამისი ორგანული ვარიანტების არჩევანი მწერლის (მთარგმნელის) სტილსა და გემოვნებას უკავშირდება.

#### ა) სამეცნიერო ლიტერატურა

**იმნაიშვილი 1970** — ვ. იმნაიშვილი, კაუზატივი ძველ ქართულში: სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, X, თბილისი.

**შანიძე 1976** — ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი.

#### ბ) წყაროები

**აბულაძე 1973** — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

**კიშენი 1946** — ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, ტ. II, თბილისი.

**მამათა სწავლანი 1955** — X და XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით: ძველი ქართული ენის ძეგლები, მ, თბილისი.

**მამათა ცხოვრებანი 1975** — ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერები XI საუკუნისა, თბილისი.

**სინური მრავალთავი 864 წლისა 1959** — ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, თბილისი.

**შატბერდის კრებული X საუკუნისა 1979** — ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, I, თბილისი.

**ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები 1964** — წიგნი I (V-X სს.), თბილისი.

**ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები 1967** — წიგნი II (XI-XV სს.), თბილისი.

**ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები 1968** — წიგნი IV, სვინაქსარული რედაქციები (XI-XVIII სს.), თბილისი.

## TAMAR VASHAKIDZE

## Towards a descriptive causative in Old Georgian

## S u m m a r y

Organic and descriptive variants of a causative are attested in parallel to each other in old Georgian written works (in original as well as translated ones). The latter one is derived by a masdar with an adverbial-case-form and a *scems* auxiliary verb: *čarčerad-sca* „Smb made smb write smth on smth“, *ščūenebad-sca* „Smb made smb anathematize smb“, *აყყჯbad-sca* „Smb made smb lift hands in prayer“, etc. An analytical causative resembles a model resulted on the ground of combination of old Georgian words. In old Georgian one of active meanings of a *cema* form is „blowing with a hand“, „pushing“. Hence, its using in the words combinations expressing a causative content is natural. In old Georgian the forms with *scems* auxiliary verbs are basically phraseological units (*gza-sca* „Smb blazed a trail to smb“, *adgil-sca* „smb gave a way to smb/smth“, *ჴam-sca* „Smb gave a time to smb“, *zar-sca* „Smb frightened smb“, *adrova* „Smb gave smb more time for smth“, *šendoba-sca* „Smb forgave smb“, *neba-sca* „Smb allowed smb to do smth“, etc.). I believe that a type *čarčerad-sca* should be just among them which, due to a flexible model and semantics of an auxiliary verb („blowing with a hand“, „pushing“) widened its using areal and gained a status of a descriptive causative.

რომან ლოლუა

**ბრუნვის კატეგორია კავკასიის ალბანურში  
(ისტორიულ-მედარებითი ანალიზი)<sup>1</sup>**

კავკასიის ალბანური დამწერლობისა და ენის პრობლემატიკა სხვადასხვა პერიოდში მრავალი მეცნიერის შესწავლის საგანი გამხდარა. პირველი გამოკვლევა ალბანურის შესახებ ეკუთვნის აკ. შანიძეს (შანიძე 1938: 1-68). ამის შემდეგ კავკასიის ალბანურს სხვადასხვა პერიოდში იკვლევდნენ ილ. აბულაძე, ჰრ. აჭარიანი, ლ. მელიქსეთ-ბეგი, ყ. დიუმეზილი, ჰ. ბეილი, ე. მინზი, რ. ჰიუსენი, რ. ვაიდოვი, ა. ქურდიანი, რ. ევსენი, ა. აბრამიანი, გ. კლიმოვი, ვ. გუკასიანი, ს. მურავიოვი, ვ. შულცე, ზ. ალექსიძე, მ. ქურდიანი, ი. გიპერტი, ყ.-პ. მაე, ტ. მაისაკი, ნ. არდოტელი და სხვა. ამის მიუხედავად, მრავალი საკითხი ჯერ კიდევ გადასაწყვეტია.

ასეთ გადასაწყვეტ საკითხთა ნუსხას უნდა მივაკუთვნოთ კავკასიის ალბანური ენის ადგილის განსაზღვრის პრობლემა გენეალოგიურ კლასიფიკაციაში. არადა, ალბანურის დაკავშირება უდიუროსთან, განსაკუთრებით — კავკასიის ალბანურ ხელნაწერთა აღმოჩენის შუქზე — მეცნიერთა შორის ეჭვს არ იწვევს, თუმცა ალბანურ-უდიური ნათესაობის საკითხი ისტორიულ-მედარებითი ენათმეცნიერების მკაცრ მოთხოვნათა გათვალისწინებით დღემდე არ არის განხილული.

ი. გიპერტის, ვ. შულცეს, ზ. ალექსიძისა და ყ.-პ. მაეს ერობლივ მონოგრაფიაში „კავკასიის ალბანური პალიმფსესტები სინას მთიდან“ კავკასიის ალბანური ენის ადგილის განსაზღვრას ცალკე ქვეთავი ეთმობა (4. *Toward a linguistic classification of Caucasian Albanian*, 4.1. *The etymological setting*, გვ. II-65—II-78; ავტორები — ი. გიპერტი და ვ. შულცე). ავტორებისადმი ჩვენი დიდი პატივისცემის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის ალბანური ენის ნათესაობა ნახურ-დაღესტნურ ენებთან პოსტულირებულია ისტორიულ-მედარებითი მეთოდის თვალსაზრისით არაკორექტულად, სახელდობრ — არ არის წარმოდგენილი რეგულარული და კანონზომიერი ბგერათშესატყვისობები კავკასიის ალბანურსა და სხვა ნახურ-დაღესტნურ ენებს შორის, რომელთა არსე-

<sup>1</sup> ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი: /89/2-120/12).

ბობაც, როგორც ცნობილია, ნათესაობის დადგენის უქველ კრიტერიუმს წარმოადგენს<sup>1</sup>.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თვალსაჩინო მსგავსების მიუხედავად, უდიურისა და კავკასიის ალბანურის საერთო წარმომავლობა და, შესაბამისად, კავკასიის ალბანური ენის ნათესაობა სხვა ლეზგიურ, დაღესტნურ და იბერიულ-კავკასიურ ენებთან დადგენილად ვერ ჩაითვლება. ვფიქრობთ, ის გარემოება, რომ კავკასიის ალბანური ჯერ არ გამხდარა ისტორიულ-შედარებითი კვლევის ობიექტი, მიმოქცევაში ტოვებს სხვადასხვა დილექტანტურსა თუ მეცნიერებისაგან შორს მდგომ თეორიებს, ისეთებს, როგორებიცაა: ალბანურ-ძველ-თურქული (კ. ალიევი, ი. ალიევი), „ალუპანური“ (კავკასიის ალბანურ დაკავშირება უშუალოდ ლეზგიურ ენასთან — ი. იარალიევი) და სხვა.

როგორც აღინიშნა, კავკასიის ალბანური ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე დიდ სიახლოვეს ავლენს უდიურ ენასთან: კავკასიის ალბანურისა და უდიურის საერთო წარმომავლობაზე მეტყველებს ორივე ენის ფონოლოგიურ სისტემათა მსგავსება, რომელიც სხვა ლეზგიურ და დაღესტნურ ენებთან შედარებით საგრძნობლადაა გამარტივებული. უმთავრესი რელევანტური ნიშანი კავკასიის ალბანურსა და უდიურს შორის არის ხშულთა და აფრიკატთა სამეულბრივი და სპირანტთა წყვილულებრივი სისტემები. ამას გარდა, ალბანურ ხელნაწერებსა თუ ეპიგრაფიკულ ძეგლებში გვხვდება ტიპური „უდიური“ სიტყვაფორმები. გვაქვს მკაფიო სინტაქსური პარალელებიც: განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ კავკასიის ალბანურსა და უდიურში პირდაპირი ობიექტი, სახელობითის გარდა, ერთ-ერთი მიცემითი ბრუნვითაც გადმოიცემა, რაც არც ერთ სხვა მთის იბერიულ-კავკასიურ ენას არ ახასიათებს. ალბანურ-უდიურ-

<sup>1</sup> ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სადაოა ავტორთა მიერ წარმოდგენილი ნახურ-დაღესტნური ენების გენეალოგიური კლასიფიკაციის სქემა: ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, აღნიშნულ ენობრივ ოჯახში გამოიყოფა ორი ტიპი (ჯგუფი): კონსერვატიული (ლაკური, დარგული, ნახური ენები, ლეზგიური ენები და ხინალულური) და ინოვაციური (ხუნძურ-ანდიურ-დილოური ენები) (გიპერტი და სხვ. 2008: II-65). ის, რომ ნახური ენები უფრო ახლოა ლაკურ-დარგულთან და ლეზგიურ ენებთან, ვიდრე ხუნძურ-ანდიურ-დილოური ენები, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებისთვის სიახლეს წარმოადგენს და, ჩვენი აზრით, არ დასტურდება ფაქტობრივი მდგომარეობით. ასევე, ვერ გავიზარებთ ლეზგიურ ენათა დაშლის სქემას: ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, ძველი უდიური (უდიურისა და კავკასიის ალბანურის წინარე-ენა) გამოეყო საერთო-აღმოსავლეთ-სამურულ ერთობას და არა საერთოლეზგიურს, ხოლო მისი ვასკლის შემდეგ ამ ერთობაში ოდენ ორი ენა დარჩა (ლეზგიური და ალულური) (გიპერტი და სხვ. 2008: II-74). კავკასიოლოგ-კომპარატივისტებს შორის ჩამოყალიბდა ტრადიციული თვალსაზრისი, რომლის მიხედვით უდიურმა ერთ-ერთმა პირველმა დატოვა საერთოლეზგიური ერთობა (ბ. გიგინეიშვილი, ბ. თალიბოვი, მ. ალექსეევი და სხვა), ხოლო ზოგი მკვლევარი უდიურ ენას არც მიიჩნევდა ლეზგიურ ენებში შემავალად (ნ. ტრუბეცკოი, რ. შაუმიანი და სხვა). იმის შესახებ, რომ უდიურმა//კავკასიის ალბანურმა ერთ-ერთმა პირველმა დატოვა საერთოლეზგიური ერთობა, მრავალი ენობრივი ფაქტი მეტყველებს; ასე, მაგალითად, უდიურში შემონახულია საერთოდაღესტნური \*ბ სიტყვის ანალუტში, ხოლო დანარჩენ ლეზგიურ ენებში (არჩიბულს გარდა) ის გადასულია ჟ/გ-ში.

რი პარალელები მორფოლოგიაშიც საგრძნობია: უდიურის მორფოლოგიური სტრუქტურა ძალიან ახლოსაა ალბანურთან და მასში დადასტურებული ბევრი მოვლენა მხოლოდ კავკასიის ალბანური ენის მონაცემთა მოხმობით ჰპოვებს თავის ახსნას.

უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის ალბანური ენის მორფოლოგია და, მათ შორის — ბრუნების სისტემა, ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილ უბან-თაგანია; თუ არ ჩავთვლით კავკასიის ალბანური ენის მორფოლოგიის აღწერის რამდენიმე ცდას (ალექსიძე 2003: 152-154; ლოლუა 2009: 144-163; ლოლუა 2010: 115-128) პირველი მეტ-ნაკლებად ვრცელი მიმოხილვა „ალბანურ პალიმფსესტებში“ არის წარმოდგენილი (ი. გიპერტი, ვ. შულცე, ზ. ალექსიძე, ე.-პ. მაე 2008: II-21-II-57).

კავკასიის ალბანური ენის ბრუნების სისტემის საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ შემდეგი ძირითადი პრინციპები:

ბრუნვები და მრავლობითი რიცხვი იწარმოება აგლუტინაციურად. ბრუნვის ნიშნები დაერთვის გაუფორმებელ ფუძეს (აბსოლუტივი) ან მრავლობითი რიცხვის ფორმანტით გართულებულ ფუძეს. ბრუნებისას, სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად, მრავლობითის სუფიქსი ყოველთვის წინ უსწრებს ბრუნვის ნიშანს.

სხვა ლეზგიური ენების მსგავსად, კავკასიის ალბანურშიც გამოიყოფა ძირითადი (უთანდებულო) და მეორეული (თანდებულიანი) ბრუნვები. მეორეულ (თანდებულიან) ბრუნვებში მაწარმოებელი თანდებულები იმგვარადაა შერწყმული ბრუნვის ფორმასთან, რომ მათი გამოყოფა ზოგჯერ ძნელად თუ ხერხდება.

ბრუნების სისტემა კავკასიის ალბანურ ენაში რთულია — შეინიშნება ბრუნვის ნიშანთა მრავალფეროვნება, რომელიც ვერ აიხსნება ოდენ ფონეტიკური ცვლილებებით. განსხვავდება სახელთა ბრუნება მხოლოდობითში და მრავლობითში, არსებით სახელთა და ნაცვალსახელთა ბრუნება. ამას გარდა, ხშირია ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის თანხმოვნური ჩანართების გაჩენა (ძირითადად, **-ნ-**, **-ჲ-**, **-რ-** ელემენტების), განსაკუთრებით — ერთმარცვლიან არსებით სახელებთან.

კავკასიის ალბანურში დასტურდება 21 ბრუნვის ფორმა, მათგან 7 ფორმა ძირითად ბრუნვებად უნდა მივიჩნიოთ (სახელობითი, ერვატივი, დატივის სამი ფორმა, გენიტივი და ვოკატივი), ხოლო 14 — ლოკატიურ ბრუნვებად (გვაქეს აბლატივის, ადესივის და ანტეაბლატივის ორ-ორი ფორმა და სუპერესივის სამი ფორმა. თითო-თითო ფორმით წარმოდგენილია სუბესივი, ექვატივი, სუპერაბლატივი, დირექტივი, კომიტატივი).

მოკლედ მიმოვიხილოთ ბრუნვათა წარმოება და ფუნქციები:

**სახელობითი ბრუნვა** — გვევლინება სუბიექტად გარდაუვალ ზმნასთან და პირდაპირ ობიექტად გარდამავალ ზმნასთან.

**ერგატივი.** ერგატივში დასმული ფორმა რეალურ სუბიექტად გვევლინება გარდამავალ ზმნასთან; ალბანური ერგატივი ინსტრუმენტალისის ფუნქციითაც არის აღჭურვილი. ფორმანტებია **-ე, -ენ, -ინ, -ი** (მრავლობითში: **-ონ**).

**-ე** მაწარმოებელი, როგორც წესი, ნათესაობის აღმნიშვნელ სახელებთან გამოიყენება, მაგ., ვიჩი-**ე-ე** „ძამა“; შა-**ე-ე** „ქალიშვილმა“; ბ[იხაჯ'ულ]-**ე** „ღმერთმა“ (აბს. ბ[იხაჯ'ულ]).

ყველაზე პროდუქტიულია **-ენ** აფიქსი, მაგ., ანგელოს-**ენ** „ანგელოზმა“, უხ'-**ენ** „მეფემ“, წი-**ენ** „სახელმა“, ყ'-**ენ** „ქვამ“. ნაკლებად პროდუქტიულია **-ინ** მაწარმოებელი. **-ენ** და **-ინ** მაწარმოებელთა განაწილების პრინციპი არ არის გარკვეული. დადასტურებულია ლექსემა, რომელიც ორივე აფიქსს დაირთავს — ეს არის **კალ** „ნმა“ (ერგ. კალ-**ენ** და კალ-**ინ**).

მრავლობითში ერგატივის მაწარმოებლად დასტურდება მხოლოდ **-ონ** სუფიქსი, მაგ., ანგელოს-ულ-**ონ** „ანგელოზებმა“, ფარისა-ულ-**ონ** „ფარისეველებმა“, ზადოკა-ულ-**ონ** „სადუკეველებმა“...

უდიურშიც, კავკასიის ალბანურის მსგავსად, ყველაზე პროდუქტიული აფიქსებია **-ენ** მხოლოდობითში და **-ონ** მრავლობითში. **-ე** და **-ან** ერგატივის მაწარმოებლად უდიურში არ დასტურდება, ხოლო **-ინ** ფორმანტი შეზღუდულად გამოიყენება, მაგ., ფ-**ინ** „თვალმა“ (აბს. ფულ), ბ-**ინ** „თავმა“ (აბს. ბულ) (ეს ფორმები კავკასიის ალბანურშიც დასტურდება).

**ნათესაობითი ბრუნვის** ფორმანტებია: **-ი, -ე, -აე, -ეე, -აა; -ინ, -უნ** (მრავლობითში: **-ოდ**). ნათესაობითის ერთ-ერთი ფორმანტი **-უნ**, ისევე როგორც უდიურში, დერივაციულ აფიქსადაა გამოყენებული, მაგ., გო'ხ-**უნ** „ღიდებული“, ჰუ'აახ-**უნ** „სარწმუნო“; **-უნ** სუფიქსი სადატურობისა და კრებითობის აღმნიშვნელ სახელებს აწარმოებს, მაგ., ნაზორა-**უნ** „ნაზარეთელი“, სამარ(ი)-**უნ** „სამარიტელი“; რიგობით რიცხვით სახელებს: პო'მ-**უნ** „მეორე“, ხიბარ-**უნ** „მესამე“ (ამ ფუნქციით ეს მაწარმოებელი უდიურშიც გვხვდება)...

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება გენიტივის ორი ფორმის არსებობის შესახებ ალბანურში — ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, I გენიტივის ფორმანტებია **-ი, -ე, -აე, -ოდ, -ეე, -აა**, ხოლო II გენიტივისა — **-ინ** და **-უნ** (გიპერტი და სხვ. 2008: II-24).

უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოსაზრება არ არის დასაბუთებული. როგორც ი. გიპერტი და ვ. შულცე აღნიშნავენ, კავკასიის ალბანურში, სულ მცირე, გენიტივის ოთხი მაწარმოებელი მოიპოვება. მათი განაწილება, ძირითადად, ლექსიკურ პრინციპებს ეფუძნება, თუმცა **-უნ** ფორმანტი, სხვათაგან განსხვავებით, აწარმოებს ზედსართავს სახელებს (გიპერტი და სხვ. 2008: II-24). მხოლოდ ეს, ჩვენი აზრით, არ შეიძლება იყოს ბრუნვის გამოყოფის საფუძველი — ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მიერ არ არის წარმოდგენილი არც ლექსიკური ერთეულები, რომლებთანაც ორივე ტიპის ფორმანტი დასტურდება, არც **-უნ//ინ** ფორმანტიანი ნათესაობითის განსხვავებული სინტაქსური ფუნქციები ნა-

ჩვენები. ისტორიულად **\*(V)ღ**, (> **-ი**, **-აღ**, **-ოღ**, **-ეღ**, **-და**) და **\*(V)ნ** (> **-უნ**, **-ინ**) ფორმანტიანი გენტივი, ჩვენი აზრითაც, სხვადასხვა წარმოშობისა უნდა იყოს. **\*(V)ნ** ფორმანტი საერთოლენგიური გენტივის **\*-ნ** მაწარმოებელს უკავშირდება, ხოლო **\*(V)ღ** — ლოკატიური წარმოშობისა ჩანს (ამის შესახებ იხ. ქვემოთ). ამის მიუხედავად, კავკასიის ალბანურის იმ სინქრონიულ ჭრილში, რომელიც პალიმფსესტებშია წარმოდგენილი, ორი გენტივის გამოყოფის საფუძველი, ვფიქრობთ, არ გვაქვს. ამ მოსაზრებას ისიც ადასტურებს, რომ **-უნ//ინ** ფორმანტიანი ნათესაობითი არ გვხვდება არც მრავლობითში და არც ნაცვალსახელური ბრუნებისას.

გენტივის მაწარმოებელთაგან ყველაზე პროდუქტიულია **-უნ** ფორმანტი, მაგ., ავაზან-**უნ** „აბაზანის“, გოხუნ-**უნ** „დიდებულის“, ღარ-**უნ** „ძის“, ღი-(ღ)-**უნ** „დღის“...

**-ინ** მაწარმოებლიანი გენტივი, როგორც წესი, **-ინ** ფორმანტიან ერგატივს ემთხვევა, მაგ., ბ-**ინ** „თავის“ (აბს. **ბულ**), კოჯ-**ინ** „სახლის“, აფზ-**ინ** „სამყაროს(ი)“...

**-ღ** ან **-Vღ** (**აღ**, **-ეღ**) ფორმანტიანი გენტივი, როგორც წესი, გამოიყენება იმ სახელებთან, რომელთა ერგატივის ფორმაც **-ე** სუფიქსის მეშვეობით იწარმოება, მაგ., ვიჩი-**ღეღ** „ძმის“; ბ[იხაჯ'ულ]-**ეღ** „ღმერთის“; იჩ-**ეღ** „თავისი“ (აბს. **იჩ**, ერგ. **იჩ-ენ**); იშუ-**ღ** „კაცის“, ელი(ღ)-**ღ** „ელიასი“. აქაც გვხვდება ერთი სახელი, რომლის გენტივის ფორმა ერგატივს ემთხვევა: ლ'ამ-**ე** „ცხვრის“.

**-ი** ფორმანტიანი გენტივი ძირითადად საკუთარ არსებით სახელებთან გვხვდება, მაგ., აბრაჰამ-**ი** „აბრაამის“, ისა-**ი** „ესაიასი“, პეტროს-**ი** „პეტრესი“, პაულოს-**ი** „პავლესი“. ერთადერთი სიტყვა, რომელიც **-ი** სუფიქსს დაირთავს და საკუთარ არსებით სახელებს არ განეკუთვნება — არის ყ[ოლოგურ]დ-**ი** „ხალხის“, თუმცა ეს ფორმა პალიმფსესტებში მხოლოდ ერთხელ გვხვდება — როგორც წესი, გვაქვს ყ[ოლოგურ]დ-**უნ** ან ყ[ოლოგურ]დ-**ინ** ფორმები

**-და** ფორმანტიანი გენტივი ძირითადად ნაცვალსახელებთან გამოიყენება, თუმცა რამდენიმე არსებით სახელთანაც გვხვდება: დე-**და** „მამის“, ნე-**და** „დედის“, შა-**და** „ქალიშვილის“, დაიჟდე-**და** „ოქროსი“.

მრავლობითში გენტივის მაწარმოებლად დასტურდება მხოლოდ **-ოღ** სუფიქსი, მაგ., ვაჩარ-ულ-**ოღ** „იუდეველების“, თურ-მ-**ოღ** „ფეხების“, მუზ-რ-**ოღ** „ენების“, სამარა-ულ-**ოღ** „სამარტელების“, მარდავენ-ულ-**ოღ** „მოციქულების“...

**I მიცემითი ბრუნვის** ფორმანტებია: **-ა**, **-ე**, **-ი**, **-უ** (მრავლობითში: **-ო**).

**I** დატივის ფორმა, მიცემით-სუბიექტიან ზმნებთან (*გრძნობა-აღქმის ზმნები*) სუბიექტად გვევლინება და ირიბ ობიექტს გადმოსცემს; მიცემითი **I** ზნირად გამოიყენებულია ლოკატივის (ინესივის) ფუნქციით თანდებულის დაურთველად. მიცემითი **I**-ის ფორმას ეყრდნობა როგორც დატივი **II** და დატივი **III**, ისე ყველა თანდებულიანი ბრუნვა (აბლატივი **I**-ის გარდა).

-ა ფორმანტი I დატივის მაწარმოებლებს შორის ყველაზე პროდუქტიულია, მაგ., წი-ა-ა „სახელს“, ხე-ა-ა „წყალს“, ვულ-რ-ა „შვიდს“, ქალაქ-ა „ქალაქს“, კოჯ-ა „სახლს“...

-ე ფორმანტიანი I დატივი შეზღუდულად გამოიყენება, მაგ., ტო-ე „მხარეს“, ბი-ე-ე „თავს“ (აბს. **ბულ**; უდ. **ბ-ე**), ფი-ე-ე „თვალს“ (აბს. **ფულ**; უდ. **ფ-ე**), ბ[იხაჯ'ულ]-ე „ღმერთს“... ზოგიერთი ლექსემა I დატივში ორგვარი ფორმითაა წარმოდგენილი, მაგ., ვიჩი-ე-ე „ძმას“ და ვიჩი-ა-ა (იშვიათად); აფ-ე „სამყაროს“ და აფ-ა (იშვიათად).

-ი ფორმანტიანი დატივი I-ც იშვიათად დასტურდება — იგი მხოლოდ რამდენიმე სიტყვაში გვხვდება: გალ-ი „მცველს“, ცამ-ი „წერილს“, ხაშ-ი „ნათელს“, მუშ-ი „ქარს“.

-უ ფორმანტიანი დატივი I ნაცვალსახელებისთვისაა დამახასიათებელი. ამას გარდა, იგი არსებით სახელებთანაც დასტურდება, მაგ., ჭი-ნ-უ „ტომს“, ყი-ნ-უ „მამაკაცს“, ყარ-უ „ტომს“, ჩ'ა-უ „სახეს“, ბითანი-უ „ბეთანიას“... უ ბგერაზე დაბოლოებულ რამდენიმე სახელთან (**იშუ** „კაცს“, **ხიშ'უ** „ქალს“, **ნა-იშ'უ** „მსახურს“, **ჰაშ'უ** „ვინ?“) „დატივი I გაუფორმებელია, სავარაუდოდ — უ მაწარმოებელი ამ მაგალითებში დაკარგულია რელუქციის შედეგად (**უ + უ = (უ >) უ**).

მრავლობითში დატივის მაწარმოებლად გვევლინება მხოლოდ -ო სუფიქსი, მაგ., ღარ-მ-ო „ძებნს“, ანგელოს-ულ-ო „ანგელოზებს“, აშარკეტ-ულ-ო „მოწაფეებს“...

**II მიცემითი ბრუნვის** ფორმანტებია: -ახ, -ეხ, -იხ, -უხ (მრავლობითში: -ოხ). II მიცემითით, სახელობითთან ერთად, პირდაპირი ობიექტი აღინიშნება; ამას გარდა, მას არ დაუკარგავს ლოკატიური ფუნქციები. იწარმოება დატივი I-ის ფორმის მიხედვით, რომელსაც -ხ სუფიქსი დაერთვის, მაგ., ხე-ნ-ა-ხ „წყალს“, კოჯ-ა-ხ „სახლს“, ტო-ე-ხ „მხარეს“, ბი-ე-ე-ხ „თავს“ (აბს. **ბულ**), ბ[იხაჯ'ულ]-ე-ხ „ღმერთს“, ვიჩი-ე-ე-ხ // ვიჩი-ა-ა-ხ „ძმას“; აფ-ე-ხ // აფ-ა-ა-ხ „სამყაროს“, გალ-ი-ხ „მცველს“, ბითანი-უ-ხ „ბეთანიას“, ბუ-რ-ულ-ო-ხ „მთებს“, დე-რ-ლ-ო-ხ „მამებს“...

გრაფიკულად -ხ სუფიქსი ორგვარად აღინიშნება: **⚭** და **⚮**, რაც, ვფიქრობთ, იმის შესახებ მეტყველებს, რომ ეს ნიშნები ერთი ასო-ბგერის ალოგრაფებს წარმოადგენდნენ.

**III მიცემითი ბრუნვის** ფორმანტებია: -ახ, -ეხ, -იხ, -უხ (მრავლობითში: -ოხ). III დატივით, I მიცემითთან ერთად, ირიბი ობიექტი აღინიშნება; ლოკატიური მნიშვნელობების გადმოსაცემადაც გამოიყენება. იწარმოება დატივი I-ის ფორმაზე დაყრდნობით -ხ სუფიქსის მეშვეობით, მაგ., წი-ა-ა-ხ „სახელს“, ქალაქ-ა-ხ „ქალაქს“, ბი-ე-ე-ხ „თავს“ (აბს. **ბულ**), ფი-ე-ე-ხ „თვალს“ (აბს. **ფულ**), ბ[იხაჯ'ულ]-ე-ხ „ღმერთს“, ვიჩი-ე-ე-ხ „ძმას“; ჩ'ა-ჩ'ა-უ-ხ „სახეს“, იშუ-ხ „კაცს“, ხიშ'უ-ხ „ქალს“, ნაიშ'უ-ხ „მსახურს“, ვაჩარ-ულ-ო-ხ „იუდეველებს“...



III დატივის მაწარმოებელი **-ხ** სუფიქსი წარმოშობით საერთოლენგვიური დატივის **\*-ხ** მაწარმოებლიდან არის მიღებული. ამდენად, გამართლებულიც კი იქნებოდა, რომ ამ ფორმისათვის დატივი **II** გვეწოდებინა, ხოლო **-ხ** ფორმანტიან დატივს, რომელიც უეჭველად ლოკატიური წარმოშობისაა — დატივი **III**, როგორც ეს არის ი. გიპერტსა და ვ. შულცესთან (გიპერტი და სხვ. 2008: II-25). თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ უდიურს **-ხ** ფორმანტიანი დატივი არ მოეპოვება, **-ხ** ფორმანტიანი დატივი კი — დასტურდება და სამეცნიერო ლიტერატურაში „II მიცემითის“ სახელითაა ცნობილი. აქედან გამომდინარე, რომ არ წარმოქმნილიყო ორაზროვნება ამ ტერმინთა გამოყენებისას, ვამჯობინებთ სახელწოდებას „დატივი III“ **-ხ** ფორმანტიანი მიცემითის აღსანიშნავად.

კავკასიის ალბანურს ვოკატივიც მოეპოვება, რომლის ფორმანტებია **-ე** და **-ო** (მრავლობითში — მხოლოდ **-ო**). ამ მაწარმოებელთა განაწილების პრინციპი ნათელი არ არის, მაგ., დე-ფ-ო „მამაო!“, ზამარა-ო „უწმინდურო სულელლო!“, ღარ-ე „ძეო!“, „შვილო!“, ღარ-მუხ-ო „ძებო!“, „შვილებო!“, სიმონ-ე „სიმონ!“, ჟი-ნ-ე „ხალხნო!“...

აღსანიშნავია, რომ ვოკატივი არ დასტურდება არც უდიურში და არც საერთოლენგვიურ (აგრეთვე — საერთოდალესტნურ და საერთო-ნახურ-დალესტნურ) დონეზე აღდგება. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ეს ფორმა ალბანურში სხვა ენათა გავლენით არის წარმოქმნილი. შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ **-ე** ფორმანტი ბერძნულიდან იყოს ნასესხები, ხოლო **-ო** სუფიქსი — ქართულიდან.

ყველა თანდებულიანი ბრუნვის ფორმა კავკასიის ალბანურში გარემოების ფუნქციით არის გამოყენებული. აბლატივი I-ის გამოკლებით, ყველა დანარჩენი ბრუნვა, ისევე როგორც დატივი II და დატივი III, მიცემითი I-ის მიხედვით იცვლება.

საწარმოებელი ფუძის მიხედვით თანდებულიანი ბრუნვები კავკასიის ალბანურში შეიძლება ოთხ ჯგუფად დავყოთ:

პირველი ჯგუფი (ადესივის ორივე ფორმა, ექვატივი, სუბესივი და, შესაძლოა — I აბლატივიც) უშუალოდ I დატივის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება;

მეორე ჯგუფი (აბლატივი II, ანტეაბლატივი II, სუპერესივი III, კომიტატივი, დირექტივი) II დატივის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება;

ანტეაბლატივი I დატივი III-საგან იწარმოება;

სუპერესივი II და სუპერაბლატივი I სუპერესივის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება.

აღსანიშნავია, რომ როგორც მეორე და მესამე დატივის ფორმა, ისე I სუპერასივის ფორმა, თავის მხრივ, დატივი I-ს ფორმას ეყრდნობა. შესაბამისად, ამ ბრუნვათა მაწარმოებლები (**-ხ** — II დატივი; **-ხ** — III დატივი; **-ლ** — I სუპერასივი) ლოკალიზაციის ფორმანტებად შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა III

დატივის მაწარმოებელი **-ს**, თუ მას სხვა ლეზიური ენების მონაცემებს შევუდარებთ, წარმოშობით „ძველი“ მიცემითის ფორმანტი უნდა იყოს.

მოკლედ მიმოვიხილოთ თანდებულის ბრუნვათა წარმოება და ფუნქციები:

**აბლატივი I:** ეს, როგორც აღინიშნა, ერთადერთი ფორმაა, რომელიც I მიცემითზე დაყრდნობით არ იწარმოება. ის პალიმფსესტებში იშვიათად გვხვდება, წარმოადგენს ჩვეულებრივ დაშორებით ბრუნვას (ქართულში **-გან** თანდებულს უდრის). იწარმოება **-ოც** სუფიქსის მეშვეობით, რომელიც უშუალოდ აბსოლუტივს დაერთვის, მაგ., ქუდ-**ოც** „ხელისაგან“ (< \*ქულ-**ოც**; აბს. ქულ); ხუნ-ხუნ-**ოც** „მხარესაგან“, პური-ემ-**ოც** „მკვდართაგან“, უ'ლ-მ-**ოც** „სახურათაგან“...

**აბლატივი II:** ეს ფორმაც, I აბლატივის მსგავსად, დაშორებით ბრუნვას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ეს ფორმა სხვა თანდებულის ბრუნვებთან შედარებით ყველაზე ხშირად გვხვდება ალბანურ პალიმფსესტებში (დაახლ. 200 მაგალითი). აბლატივი II-ც **-ოც** სუფიქსის მეშვეობით იწარმოება, თუმცა, წინა ფორმისაგან განსხვავებით, ეს მაწარმოებელი დატივი II-ს ფორმას დაერთვის, მაგ., კოჯ-**ა-ნ-ოც** „სახლისაგან“, ბი-ე-**ნ-ოც** „თავისაგან“ (აბს. ბულ), ბ[ინაჯ'ულ]-**ე-ნ-ოც** „ღმერთისაგან“, ქალაქ-**ა-ნ-ოც** „ქალაქისაგან“, აბრაჰამ-**ა-ნ-ოც** „აბრაამისაგან“, იშუ-**ნ-ოც** „კაცისაგან“, აბაზაკ-ულ-**ო-ნ-ოც** „ავაზაკთაგან“, ღარ-მ-**ო-ნ-ოც** „ძეთაგან“, ქულ-მ-**ო-ნ-ოც** „ხელთაგან“...

**ანტეაბლატივი I:** აბლატივთაგან განსხვავებით, რომლებიც ძირითადად მოძრავი ობიექტის ორიენტირიდან//ორიენტირისაგან დაშორების აღსანიშნავად გამოიყენება, ანტეაბლატივს ლატივის ფუნქციებიც მოეპოვება და იგი აღნიშნავს ისეთ მოძრაობას, რომელიც ორიენტირის წინა ნაწილისაგან ან წინა ნაწილისაკენ მიემართება. ეს ბრუნვა III დატივის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება **-თანოც** სუფიქსის მეშვეობით, მაგ., ბუცალ-**ა-ნ-თანოც** „სამსხვერპლოსთან (წინ)“, ჩ'ა-**უ-ნ-თანოც** „სახისაგან“, უ'ნ-რ-**ო-ნ-თანოც** „მეფეებთან (წინ)“...

**ანტეაბლატივი II:** ანტეაბლატივი II ხშირად აღნიშნავს მალლა განლაგებული ორიენტირისაგან მოძრაობას, თუმცა ზოგადად დაშორებითის ფუნქციითაც გამოიყენება. ეს ბრუნვა იწარმოება II დატივის ფორმაზე დაყრდნობით **-ოსტად** სუფიქსის მეშვეობით, მაგ., ბ[ინაჯ'ულ]-**ე-ნ-ოსტად** „ღმერთისაგან“, ბი-ე-**ნ-ოსტად** „თავიდან“ („დასაბამიდან“), ჩ'ულდუ-**ა-ნ-ოსტად** (ჩ'ულდუ-**ა-ნ-ოსტად**) „კიდან“, ჯ'[ულ]-**ე-ნ-ოსტად** „უფლისაგან“ (აბს. ჯ'[ულ])... II ანტეაბლატივის მრავლობითი რიცხვის ფორმა დადასტურებული არ არის.

**სუპერაბლატივი:** იწარმოება I სუპერესივის ფორმაზე დაყრდნობით „აბლატივის“ **-ოც** სუფიქსის მეშვეობით. ამ ფორმით, საერთოდ, ორიენტირის ზემოდან მოძრავი ობიექტი აღინიშნება, თუმცა კავკასიის ალბანურში სუპერაბლატივს სხვა სემანტიკაც მოეპოვება, მაგ., ეკლესი-**ა-ლ-ოც** „ეკლესიიდან“, ნე-ქან-**ე-ლ-ოც** „მუცლიდან“, დე-**ლ-ოც** „მამის შესახებ“, ჰელ-**ი-ლ-ოც** „სულის შესახებ“, უსენ-**ა-ლ-ოც** „წელიწადის შემდეგ“, ღუშუ-**ა-ლ-ოც** „კაცობრიობისათვის“, უ'ნ-რ-**ო-ლ-ოც** „მეფეებისთვის“...

**ადესივი I:** ადესივი რამდენიმე მთავარი ფუნქციით გამოიყენება: ხშირად ადესივის ფორმა გვხვდება ლექსემასთან **ქუა-ოც** „ხელიდან“ (< \***ქულ-ოც**) წყვილში. ასეთ შემთხვევაში, იგი მოქმედების წყაროს აღნიშნავს. ამას გარდა, ადესივი საკუთარი და ალატივის მნიშვნელობითაც გამოიყენება. იწარმოება უშუალოდ I დატივის ფორმაზე დაყრდნობით **-ქ** სუფიქსის დართვით, მაგ., ქ[რისტო]ს-**ა-ქ** ქუა-ოც „ქრისტეს ხელიდან“, ჯ[ულ]-**ე-ქ** „უფალთან“, ჰი'ბუ'ნ-ჟინ-**უ-ქ** „ჯარისკაცთან“...

**ადესივი II:** ეს ფორმა იშვიათია. იგი, როგორც ჩანს, სიახლოვისა თუ უშუალო შეხების აღსანიშნავად გამოიყენება. ადესივი II-ც აგრეთვე I დატივის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება **-ჭ** სუფიქსის მეშვეობით, მაგ., რულ-**ე-ჭ** „მოდგმასთან (ახლოს)“, ანგელოს-ულ-**ო-ჭ** „ანგელოზებთან (ახლოს)“.

**კომიტატივი:** წარმოადგენს ჩვეულებრივ თანაობით ბრუნვას, თუმცა ცხოველებისა და არასულიერებთან ზოგჯერ ინსტრუმენტალის უახლოვდება. ეს ფორმა ხშირად **ჰეყალა** „ერთად“ ლექსემასთან გამოიყენება. იგი ერთ-ერთი ლოკატივაგანია, რომელიც პალიმფსესტებში ხშირად გვხვდება. ქართულში ეს ფორმა, როგორც წესი, **-თან** თანდებულს უდრის. კომიტატივი II დატივის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება, რომელსაც **-ოშ** სუფიქსი დაერთვის, მაგ., ბ[იხაჯ'ულ]-**ე-ხ-[ოშ]** „ღმერთთან“, ქ[რისტო]ს-**ა-ხ-ოშ** „ქრისტესთან“, ჯ[ულ]-**ე-ხ-ოშ** „უფალთან“, მარღავენ-**ა-ხ-ოშ** „წინასწარმეტყველთან“, გო-რ-ღ-**ო-ხ-ოშ** „ცოლგებთან“...

**ღირექტივი:** ამ ბრუნვით მოძრავი ობიექტის ორიენტირთან მოახლოება აღინიშნება. ქართულში ეს ფორმა, როგორც წესი, **-კენ** თანდებულს უდრის. ღირექტივი II დატივის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება **-უ** სუფიქსის მეშვეობით, მაგ., დე-**ხ-უ** „მამისაკენ“, ნე-**ხ-უ** „დედისაკენ“, იშე-ბ-**ა-ხ-უ** „ძმებისაკენ“, ფარისა-ულ-**ო-ხ-უ** „ფარისეველებისაკენ“...

**ექვატივი:** ექვატივით მსგავსებისა ან მიმსგავსების სემანტიკა გადმოიცემა. ქართულში ეს ფორმა, როგორც წესი, **-ვით** თანდებულს უდრის. ექვატივი უშუალოდ დატივი I-ის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება **-ლა** სუფიქსის მეშვეობით, მაგ., ჯ[ულ]-**ე-ლა** „უფალივით“, ვარტაპეტ-**ა-ლა** „მასწავლებელივით“. ექვატივის მრავლობითი რიცხვის ფორმა დადასტურებული არ არის.

**სუბესივი:** ამ ფორმით აღინიშნება რაიმე საგნის (ან პირის) მყოფობა ორიენტირის ქვეშ. სუბესივი უშუალოდ I დატივის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება **-ყ** სუფიქსის საშუალებით, მაგ., ბაჩხუნ-**ა-ყ** „საიდუმლო“ (ზედმიწ. „მაღვის ქვეშ“), ბა-ენ-**ა-ყ** „სიბნელეში“ (ზედმიწ. „სიბნელის ქვეშ“), ხაშ-**ო-ყ** „ნათელში“ (ზედმიწ. „ნათლის ქვეშ“)... სუბესივის მრავლობითი რიცხვის ფორმა პალიმფსესტებში არ გვხვდება.

**სუბერესივი I:** ეს ფორმა რაიმე საგნის (ან პირის) ორიენტირზე მყოფობას აღნიშნავს. ქართულში ამ ფორმის სემანტიკა **-ზე** თანდებულისას შეესაბამება. სუბერესივი I უშუალოდ დატივი I-ის ფორმაზე დაყრდნობით იწარ-

მოება -**ლ** სუფიქსის მეშვეობით, მაგ., ხუ<sup>ნ</sup>-**უ-ლ** „ქვაზე“, ლ<sup>აყ</sup>-**ა-ლ** „გზაზე“, აშ<sup>ალ</sup>-**ა-ლ** „დედამიწის ზედაპირზე“, სა<sup>ტრზელ</sup>-**ა-ლ** „ტახტზე“, ვარტაპეტუნ-**ა-ლ** „საწაველებზე“, ვიჩი-**ე-ლ** „ძმაზე“, მარმინ<sup>ოლ</sup>-**ო-ლ** „სხეულზე“, ფულ-**მ-ო-ლ** „თვალეზე“...

**სუპერასივი II:** ამ ფორმის თავდაპირველი მნიშვნელობა ორიენტირთან სხვა საგნის ზედაპირიდან მოძრავი ობიექტის მოახლოება უნდა ყოფილიყო, თუმცა ეს ფორმა პალიმფსესტებში სულ ოთხჯერ გვხვდება და მისი ფუნქციების ზუსტი განსაზღვრა ჭირს, რადგან ოთხივე მაგალითში ეს ფორმა სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. სუპერასივი II სუპერასივი I-ის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება -**ომ** სუფიქსის მეშვეობით, მაგ., ილ<sup>ა-ლ-ომ</sup> „სიტყვასთან“, ეთ-**ა-ლ-ომ** „ამისთვის“, „ძმაზე“, ღი-**რ-ლ-ო-ლ-ომ** „დღეებში“...

**სუპერასივი III:** ამ ფორმით აღინიშნება რაიმე საგნის (ან პირის) ორიენტირზე მყოფობა ან მისი მოძრაობა ორიენტირის ზემოთ. სუპერასივი III დატივი II-ს ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება -**ოლ** სუფიქსის მეშვეობით, მაგ., ვიჩი-**ე-ე-ხ-ოლ** „ძმაზე“, მაეკალ-**უ-ლ-ო-ხ-ოლ** „მსხვერპლებზე“...

**ბრუნვის ნიშნები კავკასიის ალბანურში**

	<b>ბრუნვები</b>	<b>მხოლოდობითში</b>	<b>მრავლობითში</b>
<b>ძირითადი</b>	აბსოლუტივი	∅	∅
	ვოკატივი	-ე, -ო	-ო
	ერგატივი	-ე, -ენ, -ინ, -ონ, -ან	-ონ
	ნათესაობითი	-ი, -ე, -ამ, -ემ, -მა, -უნ, -ინ	-ომ
	დატივი I	-ა, -ე, -ი, -ო, -უ	-ო
	დატივი II	-V-ხ	-ო-ხ
	დატივი III	-V-ს	-ო-ს
<b>თანდებულობანი</b>	აბლატივი I	-ოც (< *-V-ოც)	-ოც (< *-ო-ოც)
	ადესივი I	-V-ქ(ა)	-ო-ქ(ა)
	ადესივი II	-V-ჭ	-ო-ჭ
	ექვატივი	-V-ლა	*-ო-ლა
	სუბესივი	-V-ყ	*-ო-ყ
	აბლატივი II	-V-ხ-ოც	-ო-ხ-ოც
	სუპერესივი III	-V-ხ-ოლ	-ო-ხ-ოლ
	ანტეაბლატივი II	-V-ხ-ოსტამ	*-ო-ხ-ოსტამ
	კომიტატივი	-V-ხ-ომ	-ო-ხ-ომ
	დირექტივი	-V-ხ-უ	-ო-ხ-უ
	ანტეაბლატივი I	-V-ს-თახ-ოც, -V-ს-ახ-ოც	-ო-ს-თახ-ოც
	სუპერესივი I	-V-ლ	-ო-ლ
	სუპერაბლატივი	-V-ლ-ოც	-ო-ლ-ოც
სუპერესივი II	-V-ლ-ომ	-ო-ლ-ომ	

**ბრუნვის ნიშნები უდიურში**

	ბრუნვები	ვართაშნული (ს. ზინობიანი)		ნიჭური	
		მს.	ჟრ.	მს.	ჟრ.
<b>ძირითადი</b>	აბსოლუტივი	∅	∅	∅	∅
	ერგატივი	-ენ, -ინ, -ონ	-ონ	-ენ, -ინ, -ონ, -ენ	-ონ
	ნათესაობითი	-ი, -ინ, -ნ-ინ, -უნ, -ნ-უნ, -ა[ა], -ნ-ა[ა], -ე[ა], -ნ-ე[ა], -ო[ა], -ნ-უ[ა]	-ო[ა]	იგივე, რაც ვართაშნულში და -ენ, -ნ-ენ	-ო[ა]
	მიცემითი I	-ა, -ე, -უ, -ო, -ი, -ნ-ა, -ნ-ე, -ნ-უ	-ო	იგივე, რაც ვართაშნულში	-ო
	მიცემითი II	-ახ, -ეხ, -უხ, -ოხ, -იხ, -ნ-ახ, -ნ-ეხ, -ნ-უხ	-ოხ	თითქმის არ იხმარება	
<b>თანდებულნი</b>	აბლატივი	-V-ო	-ოხ-ო	-V-უნ	-ახ-უნ
	კომიტატივი	-V-ოლ[ან]	-ოხ-ოლ[ან]	-V-უნ[ან]	-ახ-უნ[ან]
	ადესივი	-V-სტა	-ო-სტა	-V-სთა	-ო-სთა
	ალატივი	-V-ჭ	-ო-ჭ	-V-ჩ	-ო-ჩ
	სუპერესივი	-V-ლ	-ო-ლ	-V-ლ	-ო-ლ
	ბენეფაქტივი	-ენ-კ[ენა]	-ონ-კ[ენა]	-აენაქ, -ენაქ	-ოენაქ

შენიშვნა: ორივე ენაში თანდებულიან ბრუნვათა პირველი ხმოვანი (V) მიცემითი I-ს მიხედვით იცვლება.

შდრ. კავკასიის ალბანურისა და უდიურის ბრუნვების ძირითადი ინვენტარი:

	<b>კავკასიის ალბანური</b>	<b>უდიური</b>
ერგატივ-ინსტრ.	-ე, -ენ, -ინ, -ონ, -ან	-ენ, -ინ, -ონ, -ენ
გენიტივი	-ი, -ე, -აე, -ეე, -აა, -უნ, -ინ	-ი, -აე, -ეე, -ოე, -უნ, -ინ...
დატივი I	-ა, -ო, -ე, -ო, -უ	-ა, -ო, -ე, -ო, -უ
დატივი II	დატივი I + -ხ	დატივი I + -ხ
აბლატივი	დატივი II + -ოც	დატივი II + -ო
სუპერესივი	დატივი I + -ლ	დატივი I + -ლ

ამას გარდა, კავკასიის ალბანურ ენაში დადასტურებული II ადესივი შეიძლება დაუტყვევროთ უდიურ ალატივს (ორივე ფორმა დატივი I-ის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება **-ჭ** სუფიქსის დართვით). თავის მხრივ, უდიური ადესივი (V-სტა ფორმანტის დართვით იწარმოება) უახლოვდება კავკასიის ალ-

ბანური ანტეაბლატივის **V-ს-თახ-ოც** და **V-ს-ოხ-ტა-ა** სუფიქსთა მეშვეობით ნაწარმოებ ფორმებს. უდიურო კომიტატივი, როგორც ჩანს, კავკასიის ალბანური **III** სუპერესივისაგან არის მიღებული. ეს ფორმები იდენტურად იწარმოება (**V-ს-ოლ** სუფიქსის მეშვეობით). ერთადერთი ლოკატიური ბრუნვა უდიუროში, რომლის პარალელებიც კავკასიის ალბანურში არ შეინიშნება, — არის ბენეფაქტივი.

კავკასიის ალბანური ბრუნვათა სიმრავლით იყო გამორჩეული, რაც საერთოლენგვიური მდგომარეობისათვის ამოსავალი უნდა ყოფილიყო, შდრ. უდიურო, რომელშიც სულ 11 ბრუნვა გვაქვს. ამასთან, კავკასიის ალბანურში უდიუროსთან შედარებით უკეთ შეინიშნება თანდებულის ბრუნვათა სერიულობა. თუ უდიუროში სერიულობის კვალი თითქმის წაშლილია (ერთადერთ შემორჩენილ სერიის ნაშთად შეიძლება მივიჩნიოთ დატივი **II-ს (-Vს)**, აბლატივისა (**-Vს-ო**) და კომიტატივის (**-Vს-ოლ**) წარმოება), კავკასიის ალბანურში კი — მიუხედავად იმისა, რომ სერიათა სისტემა უკვე მოშლილია, იკვეთება დაშორებისა და მოახლოების აღმნიშვნელი სუფიქსები: ესენია, ჩვენი ვარაუდით, **\*-ოც** — დაშორების აღმნიშვნელი, რომელიც დასტურდება აბლატივი **I-ის (-ოც < \*-V-ოც)**, აბლატივი **II-ს (-V-ს-ოც)**, ანტეაბლატივი **I-სა (V-ს-თ-ახ-ოც; V-ს-ახ-ოც)** და სუპერაბლატივის ფორმებში (**V-ლ-ოც; V-ლ-ახ-ოც**); და **\*-ოშ** — მოახლოების აღმნიშვნელი, რომელიც კომიტატივისა (**-V-ს-ოშ**) და სუპერესივ **II-ში (-V-ლ-ოშ)** დასტურდება. ვფიქრობთ, რომ უდიურო აბლატივის **-ო** სუფიქსი გენეტიკურად უკავშირდება კავკასიის ალბანურში დადასტურებულ **-ოც** მაწარმოებელს, ხოლო **-ოშ** სუფიქსი უდიურო ენაში, შესაძლებელია იშუა „ახლოს“, „სიახლოვეს“ ლექსემაში იყოს შემონახული.

ნათესაობის დადგენის თვალსაზრისით რეგულარულ და კანონზომიერ ბგერათშესატყვისობათა პარალელურად უმნიშვნელო არ არის მორფოლოგიის ჩვენებაც როგორც ინვენტარის, ისე მორფოლოგიურ კატეგორიათა ფუნქციების მხრივაც. როგორც აღინიშნა, უდიუროში დადასტურებული ბევრი მოვლენა მხოლოდ კავკასიის ალბანური ენის მონაცემთა მოხმობით ჰპოვებს თავის ახსნას, ანუ ალბანურში შემონახულია საერთოლენგვიური ერთობისათვის დამახასიათებელი ბევრი მოვლენა, რომელიც უდიუროს დაუკარგავს. ასე, მაგალითად, კავკასიის ალბანურში **III** მიცემითის ფორმანტი (**-ს**) საერთოლენგვიური დატივისაგან (**\*-სა**) უნდა იყოს მიღებული, რომელიც შემდეგი ფორმულის მიხედვით აღდგება: ლეზგ. **-ზ**: თაბ. **-ზ**: აღ. **-ს**: რუთ. **-ს**: წახ. **-ს/-სა**: კრიფ. **-ს**: ბუდ. **-ზ**: არჩ. **-სა** (ალექსევი 1985: 45). უდიუროში საერთოლენგვიური დატივის შესატყვისი არ მოგვეპოვება, თუმცა მას უნდა უკავშირდებოდეს ადესივის რთული ფორმანტის (**-ას-ტა**) თავკიდური ელემენტი (ბოკარევი 1960: 45).

ამას გარდა, შეინიშნება შემდეგი პარალელები:

სახელობითი: კავკ.-ალბ. **-შ** — ს.-ლენგ. **\*-შ** > ლენგ. **-შ**: თაბ. **-შ**: აღ. **-შ**: რუთ. **-შ**: წახ. **-შ**: კრიფ. **-შ**: ბუდ. **-შ**: არჩ. **-შ**: ხინ. **შ**. აქედან გამომდინარე, სა-

ერთოლენზგიური ქრონოლოგიური დონისათვის აბსოლუტივის არსებობა უნდა ვივარაუდოთ (ბოკარევი 1960: 45), თუმცა არჩიბულში ნომინატივის შესაძლო კვალზე (\*-ა) მიუთითებენ (კიბრიკი და სხვ. 1977: II-10).

ალბანური ნათესაობითის ერთ-ერთი ფორმანტი -V<sup>6</sup> კანონზომიერად უკავშირდება საერთოლენზგიური გენტივის ფორმანტს (\*-**6**), რომელიც ლენზგიურ ენებში შემდეგი რეფლექსებითაა წარმოდგენილი: ლენზგ. -**6**: თაბ. -**6**: აღ. -**6**: წახ. -**6**: ულ. -**6**: არჩ. -**6** (ბოკარევი 1960: 45).

საერთოლენზგიური ერთობისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო თანდებულიან ბრუნვათა წარმოების შემდეგი მოდელი: ირიბი ფუძე + ლოკალიზაციის (სერიის) მაჩვენებელი + მიმართულების მაჩვენებელი (ალექსევი 1985: 46). ამასთან, აღსანიშნავია, რომ ირიბ ბრუნვათა ფუძე საერთოლენზგიურში, საფიქრებელია, ერგატივის ფორმას ეთხვეოდა. ეს ვითარება შენარჩუნებულია ლენზგიურ, თაბასარანულ, აღულურსა და არჩიბულ ენებში. საერთოლენზგიურისათვის ირიბი ფუძის მაწარმოებლად სამეცნიერო ლიტერატურაში ნაგარაუდევია როგორც ვოკალური (\*-**ე**-, \*-**გ**-, \*-**ა**-, \*-**5**- — სტაროსტინი 1981: 75-76) და კონსონანტური სუფიქსები (\*-**რა**-, \*-**ნე**-, \*-**ნი**-, \*-**ლი**-, \*-**თაი**-), ისე ხმოვანთა მონაცვლეობაც ფუძეში: \***ა** : \***ო**; \***5** : \***ი** (ალექსევი 1985: 28). ამ მხრივ, კავკასიის ალბანურსა და უდიურშიც ირიბი ფუძე ან აბსოლუტივის ემთხვევა, ანდა მას -**6**- სუფიქსი აწარმოებს (კავკასიის ალბანურში -**გ**- და -**რ**- სუფიქსებიც). ამას გარდა, I დატივი უდიურსა და კავკასიის ალბანურში შეიძლება წარმოშობით საერთოლენზგიური ირიბი ფუძის ერთ-ერთ მოდელს უკავშირდებოდეს, სახელდობრ — ვოკალური აფიქსებით ნაწარმოებ ირიბ ფუძეს. ამის შესახებ მეტყველებს ის, რომ, ერთი მხრივ, საერთოლენზგიური დატივი, როგორც იყო ნაჩვენები, კავკასიის ალბანურში უკავშირდება არა I დატივს, არამედ III მიცემითს, ხოლო, მეორე მხრივ, I დატივის ფორმაზე დაყრდნობით ყველა თანდებულიანი ბრუნვა იწარმოება (I აბლატივის გარდა, თუმცა ამ შემთხვევაშიც, საქმე I დატივის მაწარმოებლის რედუქციასთან უნდა გვქონდეს).

რაც შეეხება ლოკალიზაციის მაჩვენებლებს, საერთოლენზგიურისათვის შემდეგი მაწარმოებლები ივარაუდება (ბოკარევი 1960: 49-50; ალექსევი 1985: 49):

- \*-**ლა**- „ორიენტირზე“;
- \*-**ც**- „ორიენტირში“;
- \*-**ლ<sup>6</sup>**- „ორიენტირთან“;
- \*-**ქ**- „ორიენტირთან უშუალო შეხება“;
- \*-**ვ**- „ორიენტირის უკან“;
- \*-**ყ**- „ორიენტირთა შორის“;
- \*-**ჭ**- „ორიენტირის წინ“;
- \*-**ტ<sup>6</sup>**- „ორიენტირის ქვეშ“

„ორიენტირზე“ ლოკალიზაციის მაჩვენებელი \*-ლა- შემდეგი ფორმულის მიხედვით აღდგება: ლეზგ. -ალ: თაბ. -ლ: ალ. -ლ: რუთ. -ლ: წახ. -ლ: ბუდ. -ლ: უდ. -ლ: არჩ. -ლ // თა<sup>1</sup> (ბოკარევი 1960: 49).

უნდა აღინიშნოს, რომ -ლ მაჩვენებლის თავდაპირველი სემანტიკა კავკასიის ალბანურში შენარჩუნებულია — ამ სუფიქსის მეშვეობით ოთხი ბრუნვის ფორმა იწარმოება, ესენია: სუპერესივი I, სუპერესივი II, სუპერაბლატივი და სუპერესივი III. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ფორმაში -ოლ მაჩვენებელი მესამე ადგილზე გვაქვს, იგი II მიცემითის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება და, შესაბამისად, გვევლინება მიმართულების მაჩვენებლად. თუმცა, ამის მიუხედავად, -ოლ სუფიქსის კავშირი სუპერესივის ორ დანარჩენ ფორმაში დადასტურებულ ლოკალიზაციის -ლ- მაჩვენებელთან, ჩვენი აზრით, ცხადია.

„ორიენტირში“ ლოკალიზაციის მაჩვენებელი საერთოლეზგიურში \*-ც- შემდეგი ფორმულის მიხედვით აღდგება: ლეზგ. -ფ: თაბ. -ც: ალ. -ც: რუთ. -ფ: წახ. -ფ: კრიწ. -ფ // -ფ: ბუდ. -ფ // -ფ: უდ. -ფ: არჩ. -ფ<sup>2</sup> (ხანმაგომედოვი 1958: 20; თოფურია 1967: 207). ე. ბოკარევი კი აქ \*-ა // -ჰ ვარაუდობს (ბოკარევი 1960: 49).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ უდიურში -ფ ფორმატიანი გენტივი უნდა იყოს ლოკატიური წარმოშობისა და მისი მაწარმოებელი საერთოლეზგიურ \*-ც- აფიქსს უნდა უკავშირდებოდეს (ალექსეევი 1985: 50). კავკასიის ალბანურშიც თანდებულიან ბრუნვათა შორის არ ჩანს ამ მაჩვენებლის შესატყვისი. ამდენად, მზად ვართ გავიზიაროთ მ. ალექსეევის მოსაზრება -ფ ფორმატიანი გენტივის ლოკატიური წარმოშობის შესახებ.

„ორიენტირთან“ ლოკალიზაციის საერთოლეზგიური მაჩვენებელი \*-ლჰ- ლეზგიურ ენებში შემდეგი რეფლექსებითა წარმოდგენილი: ლეზგ. -ჟ: თაბ. -ხ<sup>3</sup> (ჟ): ალ. -ჟ: რუთ. -ხ<sup>3</sup>: კრიწ. -ჟ: ბუდ. -ჟ: უდ. -ხ: არჩ. -ლჰ<sup>3</sup> (ალექსეევი 1985: 51-52).

ვფიქრობთ, რომ უდიურის მსგავსად, კავკასიის ალბანურშიც ამ სერიულ მაჩვენებელს შეესატყვისება II დატივის აფიქსი -ხ. ეს ბრუნვა ლოკატიური წარმოშობისა ჩანს, მით უფრო, რომ ლოკატიური ფუნქციები მას დღემდე არ

<sup>1</sup> უნდა აღინიშნოს, რომ \*ლა ბგერის რეკონსტრუქცია საერთოლეზგიურ ფუძე-ენაში (ს. სტაროსტინის მიხედვით — ლეზგ. ლ: თაბ. ლ: ალ. ლ: რუთ. ლ: წახ. ლ // ლ<sup>1</sup> // ჟ: კრიწ. ლ: ბუდ. ლ: უდ. ლ: არჩ. ლ // თა — სტაროსტინი 1975) ეჭვს იწვევს. ორიენტირზე ლოკალიზაციის მაჩვენებლად ჩვენი გვესახება \*-ლ მაწარმოებელი.

<sup>2</sup> ამ რეკონსტრუქციის შემთხვევაშიც უნდა აღინიშნოს, რომ \*ც ბგერის პოსტულირება საერთოლეზგიური ფუძე-ენისათვის, რომელიც, ს. სტაროსტინის აზრით, შემდეგ ფორმულას ემაყარება ლეზგ. ც // ღ // ფ: თაბ. ც (// ღ): ალ. ც // ფ: რუთ. ც // ფ: წახ. ც // ფ: კრიწ. ც // ფ // ფ: ბუდ. ც // ფ: უდ. ც // ფ: არჩ. ც // ფ (სტაროსტინი 1975), გარკვეულ ეჭვს აღძრავს.

<sup>3</sup> ჩვენი აზრით, საერთოლეზგიურში აღდგება არა ლაბიალიზებული თანხმოვნები, არამედ — ლაბიალური კომპლექსები (Cw).



ჩამოშორება. როგორც ჩანს, ამ ბრუნვით ჯერ პირდაპირი ობიექტის მარკირება ხდება (აბსოლუტივის პარალელურად), ხოლო მოგვიანებით უდიურში მოხდა ორივე დატივის სინტაქსური ფუნქციების აღრევა. ამას გარდა, II დატივის უდიურსა და კავკასიის ალბანურში სერიულობის ნიშნები აქვს შენარჩუნებული, რაც აგრეთვე მისი ლოკატიური წარმოშობის შესახებ მეტყველებს: უდიურში იგი ერთადერთი შემორჩენილი სერიის ნაშთად უნდა მივიჩნიოთ დატივი II-ს (-Vბ), აბლატივისა (-Vბ-თ) და კომიტატივის (-Vბ-თლ) წარმოება, ხოლო ალბანურში II დატივის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება ხუთი ბრუნვა, ესენია: აბლატივი II (-Vბ-ოც), სუპერესივი III (-Vბ-ოლ), ანტეაბლატივი II (-Vბ-ოსტაჲ), კომიტატივი (-Vბ-ოშ) და დირექტივი (-Vბ-უ).

„ორიენტირთან უშუალო შეხება“ ლოკალიზაციის საერთოლექსიური მაჩვენებელი \*-ჭ- ლეზიურ ენებში იდენტური კორესპონდენციებითაა წარმოდგენილი: ლეზგ. -ჭ: თაბ. -ჭ: ალ. -ჭ: რუთ. -ჭ: წახ. -ჭ: კრიწ. -ჭ: ბუდ. -ჭ: არჩ. -ჭ (ალექსევეი 1985: 52).

ალბანურში, უდიურისაგან განსხვავებით, გვექონდა ამ სერიის მაჩვენებლის შესატყვისი, თუმცა მას სერიულობა დაკარგული აქვს და მხოლოდ ერთი ბრუნვის — I ადესივის — ფორმაში დასტურდება: -ჭ(ა).

„ორიენტირის უკან“ ლოკალიზაციის საერთოლექსიური მაჩვენებელი \*-ჭ- ლეზიურ ენებში იდენტური კორესპონდენციებითაა წარმოდგენილი: ლეზგ. -ჭ: თაბ. -ჭ: ალ. -ჭ: რუთ. -ბ // -ჭ: წახ. -ჭა: კრიწ. -ბ: ბუდ. -ბ: არჩ. -ბ (?): ხინ. -ბ: უდ. -ბ (ბოკარევი 1960: 47). აღსანიშნავია, რომ \*-ჭ- მაწარმოებელი (ან -ჭაა „ორიენტირის უკან“, „ორიენტირთან“ — ალექსევეი 2003: 163) საერთოდალესტურ დონეზე აღდგება (გიგინეიშვილი 1976: 36).

საექვთა -ბ სუფიქსი უდიურ ენაში, რომელიც დატივი II-სა და, შესაბამისად, მისგან მიღებული თანდებულიანი ფორმების მაწარმოებელია, საერთოდალესტური \*-ჭ-საგან მომდინარეობდეს. უდიურის მსგავსად საერთოლექსიური \*-ჭ- მაჩვენებლის შესატყვისი კავკასიის ალბანურშიც არ ჩანს.

ერთი მხრივ, -ბ უდიურსა და კავკასიის ალბანურში საერთოდალესტურ \*ჭ ბგერის შესატყვისად არ დასტურდება<sup>1</sup> და, მეორე მხრივ, II დატივის მაწარმოებელი უდიურსა და კავკასიის ალბანურში, როგორც ნაჩვენები იყო, საერთოლექსიურ „ორიენტირთან“ ლოკალიზაციის მაჩვენებელს (\*-ლ<sup>ფ</sup>- ან, ჩვენი აზრით — \*-ლ<sup>ფ</sup>) უნდა უკავშირდებოდეს. თუმცა მ. ალექსევეს შესაძლებლად მიაჩნია, რომ უდიურში -ბ ფორმანტში მომხდარიყო საერთოლექსიურ \*-ლ<sup>ფ</sup>- და \*-ჭ- მაწარმოებლების ნეიტრალიზაცია (ალექსევეი 1985: 54). ამ მოსაზრების ბოლომდე უგულვებელყოფა, ჩვენი აზრით, არ შეიძლება, მით უფრო, თუ

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში საპირისპირო მოსაზრება გამოითქვა (თალიბოვი 1980: 305-306), თუმცა აუსლაუტში საერთოლექსიური \*ჭ ბგერის შესატყვისად უდიურში -ბ უეჭველად არ დასტურდება.

გავითვალისწინებთ, რომ **-ხ** მაწარმოებლიანი დატივის ფორმაზე დაყრდნობით კავკასიის ალბანურში ხუთი ლოკატიური ბრუნვა იწარმოება.

„ორიენტირთა შორის“ ლოკალიზაციის საერთოლენგიური მაჩვენებელი **\*-ყ**- ლენგიურ ენებში შემდეგი აფიქსებითაა წარმოდგენილი: თაბ. **-ყ** // **-ღ**: აღ. **-ღ**: არჩ. **-ჭ** (კახაძე 1973: 42). შესაძლებელია, კავკასიის ალბანურში ამ მაწარმოებელს ექვატივის **-ღა** ფორმანტი უკავშირდებოდეს.

„ორიენტირის ქვეშ“ ლოკალიზაციის საერთოლენგიური მაჩვენებელი **\*-ტ**- ლენგიურ ენებში შემდეგი რეფლექსებითაა წარმოდგენილი: ლენგ. **-ქ**: თაბ. **-ქ**: აღ. **-ქ**: რუთ. **-ქ**: წახ. **-ქ**: კრიწ. **-ქ**: ბუღ. **-ქ**: არჩ. **-ტ**: ხინ. **-კ** (ალექსევი 1985: 55). იმის მიუხედავად, რომ უდიურს ამ მაწარმოებლის ანალოგი არ მოეპოვება, კავკასიის ალბანურში მას შეესატყვისება სუბესივის ფორმანტი **-ყ**<sup>1</sup>, რომელსაც სერიულობა უკვე დაკარგული ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ **\*-ტ**- ფორმანტი საერთოდალესტნურ დონეზეც აღდგება (დიუმეზილი 1933: 84-85; ბოკარევი 1960: 48; გიგინეიშვილი 1976: 35), შდრ. ანდ. **-ტი**: ახვ. -ი: დიდ. **-ლ**: დარგ. **-სუ** (ურახ.) // **-გუ** (კუბაჩ)...

ამას გარდა, სამეცნიერო ლიტერატურაში საერთოლენგიურისათვის ნაგარაუდევია შემდეგი ლოკალიზაციის მაჩვენებლები:

**-ჰ** — ივარაუდება „ორიენტირის წინ“ ლოკალიზაციის მაჩვენებლად (ალექსევი 1985: 54), თუმცა პოსტულირებულია მხოლოდ თაბასარანული და ალულური ენების ჩვენების მიხედვით, რაც საეჭვოდ ხდის მის არსებობას არათუ საერთოლენგიურ ქრონოლოგიურ დონეზე, არამედ საერთოსამურულ და, შესაძლოა, საერთო-აღმოსავლურ-სამურულ ქრონოლოგიურ დონეზეც კი.

**-რ** — ივარაუდება ლოკალიზაციის მაჩვენებლად, რომლის ზუსტი სემანტიკა უცნობია. შესაძლებელია, იგი აბლატივის საერთოლენგიურ ნიშანს უკავშირდებოდეს (ალექსევი 1985: 55). აღდგება არჩიბულისა და შაჰდალის ენების (მათ შორის — ხინალულურის) მანაცემთა მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ამ მაწარმოებლის აღდგენა ხერხდება საერთოანდიურ (**\*-რუ**) და საერთოდოლურ (**\*-რ**) ქრონოლოგიურ დონეებზე (დიუმეზილი 1933: 82). ამ ფორმანტის შესატყვისი კავკასიის ალბანურში არ დასტურდება.

რაც შეეხება მიმართულების მაჩვენებლებს: როგორც აღინიშნა, კავკასიის ალბანურში იკვეთება დამორებისა და მოახლოების აღმნიშვნელი სუფიქსები. ჩვენი ვარაუდით, ესენია:

<sup>1</sup> როგორც უდიურში, ისე კავკასიის ალბანურში საერთოლენგიურ **\*-ტ**-ს რეგულარულად შეესატყვისება **ყ** ბგერა — საერთოლენგიური **\*-ტ** შემდეგი ფორმულის მიხედვით აღდგება:

არჩ. **ტ**: ლენგ. **ქ/კ**: თაბ. **ქ**: აღ. **ქ**: რუთ. **გ/ჯ**: წახ. **გ/ქ**: კრიწ. **ქ**: ბუღ. **ქ**: უღ. **ყ**: კავკ.-ალბ. **ყ**: ხინ. **კ/ქ**: მაგ.:

არჩ. **ტ**: ლენგ. **კელ** // **ქელ** (ახტ.): თაბ. **ჩილ** < **\*ქ**ილ: აღ. **ქელ** // **კელ**: რუთ. **გ**: წახ. **გელ** < **\*გელ**: კრიწ. **ქელ**: ბუღ. **ქელ**: უღ. **ყალ**: ხინ. **კუ** < **\*კულ** „ბატკანი“;

არჩ. **ბოტ**: ლენგ. **მაქ**: თაბ. **მაქ**: აღ. **მაქ**: რუთ. **მაქ**: ბუღ. **მექ**: უღ. **მეყ**: ხინ. **ლგქა** „ხორცი“...

**\*-ოც** — დამორებითი (აბლატივი), რომელიც დასტურდება აბლატივი I-ის (**-ოც** < **\*-V-ოც**), აბლატივი II-ის (**-V-ხ-ოც**), ანტეაბლატივი I-ისა (**V-ხ-თ-ახ-ოც**; **V-ხ-ან-ოც**) და სუპერაბლატივის ფორმებში (**V-ლ-ოც**);

**\*-ოშ** — ჩვენი აზრით — ისტორიული ლატივის ნიშანია, რომელიც კომიტატივისა (**-V-ხ-ოშ**) და სუპერესივ II-ში (**-V-ლ-ოშ**) დასტურდება.

საწყისი (უძრავობის) მაჩვენებელი კი (ლოკატივი), როგორც საერთო-ლენგვიურისათვის ივარაუდება, კავკასიის ალბანურშიც არამარკირებული უნდა ყოფილიყო.

კავკასიის ალბანური აბლატივის ფორმანტი **-ოც**, ჩვენი აზრით, უკავშირდება შემდეგ მაწარმოებლებს: ხუნდ. **-საა**<sup>1</sup>; დიდ. **-ზა**; ბეჟ. **-ხ** / **-სო** / **-შ**; ხვარზ. **-ჟო** II **-ზ(ი)** (ინხ.); ამას გარდა, **-ოც** ფორმანტი არჩიბულსა და ხინალულურში დადასტურებულ აბლატივის **-შ** სუფიქსს უნდა უკავშირდებოდეს. იმის მიუხედავად, რომ **ც** თანხმოვანი რეგულარულად არ შეესატყვისება წარმოდგენილ აფიქსებში დადასტურებულ **შ** კონსონანტს<sup>2</sup>, არც რაიმე დაუძლეველი ფონეტიკური დაბრკოლება გვაქვს.

**-ოშ** მაწარმოებელი, თავის მხრივ, უნდა უკავშირდებოდეს არჩიბულ **-ში** და დარგულ **-შუ** II **-შუ** II **-ჩუ** (**\*-შუ** — მუსაევი 1984: 65) ლატივის აფიქსებს.

ამრიგად, კავკასიის ალბანური ენის მორფოლოგიური სტრუქტურა და, სახელდობრ — ბრუნვათა სისტემა, ძალიან ახლოსაა უდიურისა და სხვა ლენგვიური ენების ანალოგიურ სისტემებთან როგორც ინვენტარის, ისე ფუნქციების მხრივ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კავკასიის ალბანური განსაკუთრებულ მსგავსებას უდიურთან ავლენს.

მნიშვნელოვანია, რომ კავკასიის ალბანურსა და სხვა ლენგვიურ ენათა შორის შეინიშნება არამარტო ბრუნების ინვენტარის ფორმობრივი და ფუნქციური მსგავსება, არამედ ბრუნვის ნიშნებში გვაქვს რეგულარულ და კანონზომიერ ბგერათმესატყვისობათა მაგალითები. გვხვდება იდენტური (ბგერათი-გივეობანი) და არაიდენტური ბგერათმესატყვისობები:

**სახელობითი**: კავკ.-ალბ. **-თ** — ს.-ლენგ. **\*-θ** > ლენგ. **-θ**; თაბ. **-θ**; ალ. **-θ**; რუთ. **-θ**; წახ. **-θ**; კრიწ. **-θ**; ბუდ. **-θ**; არჩ. **-θ**; ხინ. **θ**;

**გენიტივი**: კავკ.-ალბ. **-Vნ** (გენიტივი II) — ს.-ლენგ. **\*-ნ** > ლენგ. **-ნ**; თაბ. **-ნ**; ალ. **-ნ**; წახ. **-ნ**; უდ. **-ნ**; არჩ. **-ნ**;

**დატივი**: კავკ.-ალბ. **-Vხ** (დატივი III) — ს.-ლენგ. **\*-ხ** > ლენგ. **-ხ**; თაბ. **-ხ**; ალ. **-ხ**; რუთ. **-ხ**; წახ. **-ხ/-სა**; კრიწ. **-ხ**; ბუდ. **-ხ**; არჩ. **-ხ**;

<sup>1</sup> შესაძლებელია, კავკასიის ალბანური აბლატივის ფორმანტი (**-ოც**) უკავშირდებოდეს ხუნძურ ერგატივის ნიშანს **-ცა** (ხუნძურში აბლატივებისა და ერგატივის ფუნქციური და ფორმობრივი მსგავსების შესახებ იხ.: კლიმოვი, ალექსეევი 1980: 224-226).

<sup>2</sup> ამ სქემის მიხედვით (ხუნდ. **ც** (იხ. წინა სქოლიო): დიდ. **ხ**; არჩ. **შ**...) ამოსავალში, საერთოდ აღესტურ ქრონოლოგიურ დონეზე შეგვიძლია ვივარაუდოთ **\*-ც** ბგერა (შდრ.: გიგინეიშვილი 1977: 95), თუმცა ხინალულური **შ** ვერ ჯდება ამ სქემაში.

„ორიენტირზე“ ლოკალიზაციის მაჩვენებელი: კავკ.-ალბ. -ლ (სუპერესივი) — ს.-ლევზ. \*-ლ- > ლევზ. -ალ: თაბ. -ლ: აღ. -ლ: რუთ. -ლ: წახ. -ლ<sup>~</sup>: ბუდ. -ლ: უდ. -ლ: არჩ. -თ // თა (?);

„ორიენტირთან“ ლოკალიზაციის მაჩვენებელი: კავკ.-ალბ. -ხ (დატივი II) — ს.-ლევზ. \*-ლ<sup>ჰ</sup> > ლევზ. -ჟ: თაბ. -ხ<sup>~</sup> (ფ): აღ. -ჟ: რუთ. -ხ<sup>~</sup>: კრიწ. -ჟ: ბუდ. -ჟ: უდ. -ხ: არჩ. -ლ<sup>ჰ</sup>;

„ორიენტირთან უშუალო შესება“ ლოკალიზაციის მაჩვენებელი: კავკ.-ალბ. -ქ(ა) (ადესივი I) — ს.-ლევზ. \*-ქ- > ლევზ. -ქ: თაბ. -ქ: აღ. -ქ: რუთ. -ქ: წახ. -ქ: კრიწ. -ქ: ბუდ. -ქ: არჩ. -ქ;

„ორიენტირის ქვეშ“ ლოკალიზაციის მაჩვენებელი: კავკ.-ალბ. -ყ (სუპერესივი) — ს.-ლევზ. \*-ტ<sup>ჰ</sup> > : ლევზ. -ქ: თაბ. -ქა: აღ. -ქა: რუთ. -ქ: წახ. -ქ: კრიწ. -ქ: ბუდ. -ქ: არჩ. -ტ<sup>ჰ</sup>: ხინ. -კ...

აღსანიშნავია, რომ ოთხივე ლოკალიზაციის მაჩვენებელთა შემთხვევაში, კავკასიის ალბანურ შესატყვისის დაცული აქვს საერთოლევზიური მაჩვენებლის თავდაპირველი ლექსიკური მნიშვნელობა (-ხ-ს გარდა, თუმცა, მის შემთხვევაშიც კი, თუ გავიზიარებთ მის კავშირს საერთოლევზიურ „ორიენტირთან“ ლოკალიზაციის მაჩვენებელთან, გასაგები ხდება მისი მეშვეობით ნაწარმოები დატივი II-ს ევოლუცია ერთ-ერთი ლოკატივიდან პირდაპირი ობიექტის ბრუნვამდე). ამას გარდა, ოთხივე ფორმანტი კავკასიის ალბანურში (-ლ, -ხ, -ქ(ა), -ყ) არსებითად ლოკალიზაციის მაჩვენებლად წარმოგვიდგება, ანუ ეს ელემენტები იკავებენ ადგილს დატივი I-ის მაწარმოებელსა (რომელიც, როგორც აღინიშნა, ისტორიულად ირიბი ფუძის ფორმანტი უნდა იყოს) და მიმართულების მაჩვენებლებს შორის. ორი მაწარმოებელი (-ლ, -ხ) სამივე ფორმას აწარმოებს (ლოკატივი, ლატივი, აბლატივი. -ხ მაწარმოებელი კი, ამას გარდა, კიდევ სამ ფორმას), ორი კი (-ქ(ა), -ყ) — მხოლოდ ლოკატივებს.

### ლიტერატურა

**ალექსეევი 1985** — Алексеев М. Е., Вопросы сравнительно-исторической грамматики лезгинских языков. Морфология. Синтаксис, Москва.

**ალექსეევი 2003** — Сравнительно-историческая морфология нахско-дагестанских языков. Категория имени, Москва.

**ალექსიძე 2003** — ზ. ალექსიძე, კავკასიის ალბანეთის დამწერლობა, ენა და მწერლობა, თბილისი.

**ბოკარევი 1960** — Бокарев Е. А., К реконструкции падежной системы пралезгинского языка, Вопросы грамматики. Москва-Ленинград.

**გიგინეიშვილი 1976** — Гигинейшвили Б. К., Падежная система общедагестанского языка в свете общей теории эргативности, Вопросы Языкознания, № 1, Москва.

**გიგინეიშვილი 1977** — Гигинейшвили Б. К., Сравнительная фонетика дагестанских языков, Тбилиси.

**გიპერტი და სხვ. 2008** — J. Gippert, W. Schulze, Z. Aleksidze, J.-P. Mahé, The Caucasian Albanian Palimpsests of Mt. Sinai, 2 vols., Brepols.

**დიაკონოვი, სტაროსტინი 1986** — Diakonoff I. M., Starostin S. A., Hurro-Urartian as Eastern Caucasian language, München.

**დიუმიეზილი 1933** — Dumézil G., Introduction a la grammaire comparée des langues caucasiennes du Nord, Paris.

**თალიბოვი 1980** — Талибов Б. Б., Сравнительная фонетика лезгинских языков, Москва.

**თოფურია 1967** — Топурия Г. В., О взаимоотношении эргативного и местного IV падежей в лезгинском языке, Эргативная конструкция предложения в языках различных типов, Ленинград.

**კახაძე 1973** — Кахадзе О. И., Арчбский язык и его место среди родственных дагестанских языков. Автореф. дис... докт. филол. наук, Тбилиси.

**კიბრიკი და სხვ. 1977** — Кибрик А. Е., Кодзасов С. В., Оловяникова И. П., Самедов Д. С., Опыт структурного описания арчинского языка, т. I-III, Москва.

**კლიმოვი, ალექსეევი 1980** — Климов Г. А., Алексеев М. Е., Типология кавказских языков, Москва.

**ლოლუა 2009** — შენიშვნები კავკასიის ალბანური ენის გრამატიკული სტრუქტურის შესახებ, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, XXXVII, თბილისი.

**ლოლუა 2010** — რ. ლოლუა, კავკასიის ალბანური ენის სტრუქტურის საკითხები (ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი), თბილისი.

**მუსაევი 1984** — Мусаев М.-С. М., Падежный состав даргинского языка, Махачкала.

**სტაროსტინი 1975** — Старостин С. А., О реконструкции пралезгинской фонологической системы (консонантизм), Тезисы конференции аспирантов и молодых сотрудников: Литературоведение, текстология, лингвистика, Москва.

**სტაროსტინი 1981** — Старостин С. А., Реконструкция пралезгинских именных основ на гласный, Падежный состав и склонение в иберийско-кавказских языках, IX научная региональная сессия (тезисы докладов), Махачкала.

**შანიძე 1938** — Шанидзе А. Г., Новооткрытый алфавит кавказских албанцев и его значение для науки. – Известия института языка, истории и материальной культуры им. Акад. Н. Я. Марра, №4, т. 1, Тбилиси.

**ხანმაგომედოვი 1958** — Ханмагомедов Б. Г.-К., Система склонения табасаранского языка в сравнении с системами склонения лезгинского и агульского языков, АКД, Махачкала.

## ROMAN LOLUA

Declension category in Caucasian Albanian  
(historical-comparative analysis)<sup>1</sup>

## S u m m a r y

Morphological structure and especially declension system of Caucasian Albanian is very close to the analogical systems of Udi and other Lezgian languages according to invariant as well as functions. It should be also said that Caucasian Albanian reveals an especial similarity with Udi.

It is noteworthy that not only form and functional similarity between Caucasian Albanian and other Lezgian languages is noticeable but there are examples of regular and natural sound-correspondences in case markers. Identical as well as non-identical sound-correspondences also occur:

**Absolute case:** Cauc.-Alb.  $\emptyset$  - C.-Lezg.  $*\emptyset > \emptyset$  Lezg.  $\emptyset$  :Tab.  $\emptyset$  : Ag.  $\emptyset$  : Rut.  $\emptyset$  : Tsakh.  $\emptyset$  : Krits.  $\emptyset$  : Bud.  $\emptyset$  : Arch.  $\emptyset$  : Khin.  $\emptyset$ ;

**Genitive:** Cauc.-Alb. **-Vn** (Genitive II) – C.-Lezg.  $*-n > \text{Lezg. } -n$  : Tab.  $-n$  : Ag.  $-n$  : Tsakh.  $-n$  : Ud.  $-n$  : Arch.  $-n$ ;

**Dative:** Cauc.-Alb. **-Vs** (Dative III) – C.-Lezg.  $*s > \text{Lezg. } -z$  : Tab.  $-z$  : Ag.  $-s$  : Rut.  $-s$  : Tsakh.  $-s/-s_3$  ; Krits.  $-s$  : Bud.  $-z$  : Arch.  $-s_3$ ;

**Localization indicator ‘on an orient’:** Cauc.-Alb. **-I** (superessive) – C.-Lezg  $*-I > \text{Lezg. } -al$  : Tab.  $-I$  : Ag.  $-I$  : Rut.  $-I$  : Tsakh.  $-I$  : Bud.  $-al$  : Ud.  $-I$  : Arch.  $-t // t_3$ ;

**Localization indicator ‘at an orient’:** Cauc.-Alb. **-x** (Dative II) – C.-Lezg  $*-f > \text{Lezg. } -u$  : Tab.  $-x$  ( $f^w$ ) : Ag.  $-u$  : Rut.  $-x^*$  : Krits.  $-u$  : Bud.  $-u$  : Ud.  $-x$  : Arch.  $-If_u$ ;

**Localization indicator ‘direct in touch with an orient’:** Cauc.-Alb **-k(a)** (Adressive I) – C.-Lezg.  $*-k? > \text{Lezg. } -k$  : Tab  $-k$  : Ag.  $-k$  : Rut.  $-k$  : Tsakh  $-k$  : Krits.  $-k$  : Bud.  $-k$  : Arch.  $-k$ ;

**Localization indicator ‘under an orient’:** Cauc.-Alb. **-q** (superessive) C.-Lezg.  $*-t_3 > \text{Lezg. } -k$  : Tab.  $-k_3$  : Ag.  $-k_3$  : Rut.  $-k$  : Tsakh.  $-k$  : Krits.  $-k$  : Bud.  $-k$  : Arch.  $-t_3$  : Khin.  $-k_3$ ...

<sup>1</sup> The work is accomplished under the support of Shota Rustaveli National Scientific Fund (grant project: /89/2-120/12).

ნანა მაჭავარიანი

**მორფოლოგიური იზოგლოსები ქართული და  
აფხაზური ენების ზმნურ კონსტრუქციებს  
შორის - 2**

ზმნის მორფოლოგიური კატეგორიების ისტორიულ-შედარებით შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიისა და გრამატიკული წყობის განვითარების კანონზომიერებათა უკეთ გაგებისათვის.

იბერიულ-კავკასიურ ენათა, კერძოდ, ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენათა წინადადების რთული სინტაქსური მექანიზმის ჩამოყალიბება დაკავშირებულია ამ ენათა ზმნის სპეციფიკურ ბუნებასთან.

ქართული და აფხაზური ზმნის წარმოქმნის მორფოლოგიური კატეგორიები — ქცევა, პოტენციალისი და კაუზატივი წარმოების პრინციპით გარკვეულ სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ მსგავსებას ამჟღავნებენ.

**ქცევის კატეგორიას** ქართველურსა და აფხაზურ-ადიღურ ენებში აქვს თავისი ნიშანი ზმნაში, ე. ი. ამ ენებში ქცევის კატეგორია მორფოლოგიურია:

1. ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენებში უნდა გამოიყოს ქცევის ორი სახეობა: სათავისო (სასუბიექტო) და სასხვისო (საობიექტო), 2. ქართველური და აფხაზურ-ადიღური ენების ზმნის ქცევის კატეგორია მნიშვნელოვან ტიპოლოგიურ ერთობას ამჟღავნებს: ერთი მხრივ, ერთად დგას აფხაზურისა და მეგრულ-ჭანურის სარფულ თქმაში შემორჩენილი ვითარება, მეორე მხრივ, ქართველურისა და ადიღურ ენათა მდგომარეობა. ეს უკანასკნელნი ქცევის კატეგორიის უფრო მეტად განვითარებულ სახეობას გვთავაზობენ; 3. სათავისო და სასხვისო ქცევის ნიშნები განხილულ ენებში პრეფიქსებია, წარმოშობით ისინი ჩვენებითი ნაცვალსახელებიდან მომდინარე მითითებით-მიმართულებითი ელემენტებია: ქართულისა და აფხაზურის ა-/უ- მითითებით — მიმართულებითი ელემენტები თანხვედნილია მატერიალურადაც და სტრუქტურულადაც; 4. სასხვისო ქცევის ნიშანი ორსავე ენაში ზმნის ობიექტური პირის აფიქსის თანმხლებია და აღნიშნავს ზმნით აღნიშნული მოქმედების ობიექტისადმი განკუთვნილებას.

აფხაზურმა, ზანური ენის ჭანური დიალექტის მსგავსად, შემოგვინახა სათავისო ქცევის ის ამოსავალი ფუნქცია, რაც თავდაპირველად უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი ქცევის ამ ფორმისათვის ყველა აღნიშნულ ენაში.

ესაა სუბიექტის საკუთარ თავზე, ან სხეულის ნაწილზე მოქმედება. (ჩიქობავა 1936 : 106-110).

სათავისო ქცევა გამოხატავს სუბიექტის მოქმედებას, მიმართულს თავისსავე სხეულის ნაწილზე, რომელიც კონკრეტულ ასახვას პოულობს ზმნის ფუძეში. მაგ., „ტანი, სხეული“ — აფხ.-აბაზ. შოგ-, უბიხ. ჟა- „ფეხი“, აფხ.-აბაზ. შა-, უბიხ. ლა — და ა. შ. აფხაზ.: ი-ს-შა-ს-წოდტ, უბიხ. ა-ს-ლა-ს-ან „მას მე ჩემ ფეხთ ვიცვამ“...

აფხაზური ზმნის სასხვისო ქცევა მნიშვნელოვნად განსხვავდება ქართული ზმნის სასხვისო ქცევისაგან. აქ მეტ კონკრეტულობას გამოხატავს ზმნის ფორმა. სასხვისო ქცევა აფხაზურშიც ირიბი ობიექტისადმი განკუთვნილ მოქმედებას გულისხმობს, ოღონდ, ქართულისაგან განსხვავებით, აფხაზურის სასხვისო ქცევას ახლავს მიმართულების აღნიშვნა და წარმოდგენილია ორი ქვესახეობით:

ა) ირიბი ობიექტისკენ მიმართული მოქმედება, რომელიც აღინიშნება აფხაზური ზ-, (ბზიფური ზ'-) აფიქსით, ე. წ. ირიბი ობიექტისათვის სასარგებლო ქცევა:

ზ- აფიქსი გამოხატავს პირდაპირი ობიექტის განკუთვნებას ირიბი ობიექტისადმი (გარდამავალ, სამპირიან ზმნებში), ან სუბიექტისა და მისი მოქმედების განკუთვნებას ირიბი ობიექტისადმი (გარდაუვალ ზმნებში).

ზ- ელემენტის მონაწილეობით ზმნურ ფორმაში პირთა რაოდენობა იზრდება ერთით: სცოდტ „მივდივარ“, სიზცოდტ „მისთვის მივდივარ“, იყასწოდტ „მე მას ვაკეთებ“, ილზგყასწოდტ „მე მას მისთვის (ქ) ვაკეთებ“...

ბ) ირიბი ობიექტიდან მომართული მოქმედება, რომელიც აღინიშნება ცო- აფიქსით.

ცო- აფიქსი გამოხატავს ირიბი ობიექტისათვის ე. წ. საზიანო, მისგან აქეთ მომართულ მოქმედებას.

ცო- ელემენტის მონაწილეობით ზმნურ ფორმაში პირთა რაოდენობა იზრდება ერთით, როგორც ეს ზ-ს შემთხვევაში იყო: სტოდტ „ვჯდები“, სიცტოდტ „მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ვჯდები“, იზგოდტ „მე ის მომაქვს“, ილცოზგოდტ „მე ის მისი (ქ) სურვილის საწინააღმდეგოდ მომაქვს (გართმევ)“.

ზ- ელემენტი ქ. ლომთათიძის აზრით, იგივეა, რაც სახელებში გამოყენებული (ა)ზგ „თვის“ თანდებული. თუ ეს ელემენტი სახელს დაერთო, ზმნაში აღარ იქნება წარმოდგენილი და მასაც ერთი, ირიბი ობიექტური პირი დააკლდება: ახოგჳგ იზგ ყასწოდტ „ბავშვისთვის ვაკეთებ“, ახოგჳგ იზგყასწოდტ „ბავშვს ვუკეთებ“... (ა)ყასწოდტ- ორპირიანი გარდამავალი ზმნაა, იზგყასწოდტ — სამპირიანია. სასხვისო ქცევაში ზმნას ემატება ერთი — ირიბ ობიექტური პირი. (ლომთათიძე 1947).



ზმნაში ზ- ელემენტისა და (ა)ზგ — თანდებულის ერთიანობას პ. უსლარიც შენიშნავს: უსლარი აღნიშნულ ელემენტს კითხვით ფორმებშიც გამოყოფს და აკავშირებს მას (ზ- ელემენტს) პოტენციალისის კატეგორიის ფორმანტანაც: ისგზუჟამ „ვერ ვწერ“... პ. უსლარი დასძენს, რომ ზ- ელემენტს სიტყვის მნიშვნელობის შეცვლაც შეუძლია: სგფშჟეჟტ „ვიხედები“, საზგფშჟეჟტ „ველოდები“ (უსლარი 1872 : 63,64).

ც- ელემენტი ჟ. დიუმეზილის უბიხურად მიაჩნია (დიუმეზილი 1932 : 199).

ქ. ლომთათიძის აზრით, აფხაზურ-უბიხური ც- როგორც მორფოლოგიურად, ისე ფონეტიკურად უკავშირდება ადილურ მკვეთრ ლაბიალურ სპირანტს ს-ს, რომლისაგანც მომდინარეობს ყაბარდოული ფ. ქ. ლომთათიძე ც-ს აფხაზურისავე ც-გერ „გარეთ“ წინდებულისაგან მომდინარედაც თვლის. აც-გერწრა „გარეთ გამოსვლა“, აც-გერგარა „გარეთ გამოტანა“ (ლომთათიძე 1947 : 418).

ჩვენი აზრით, ც- სასხვისო ქცევის მაწარმოებელი აფიქსი აფხაზურში უნდა მომდინარეობდეს აც-ა „კანი“ ლექსემიდან: ი-ლ-ც-გ-ზ-გოჟტ „მე რალაც მისგან (ქ.) მომაქვს“), სიტყვისასიტყვითი (წარმოსახვითი) მნიშვნელობით: „მე მისგან კანის მოცლით რალაც მომაქვს (მაჭავარიანი 1998 : 28).

სასხვისო ქცევის ზ- და ც-გ- პრეფიქსები მასდარშიც ჩანს. ზოგჯერ ისინი ზმნის ფუძესაა შეზრდილი: აზჰარა „ზრდა, თვის მატება“, აზწარა „კლება, თვის მცირება“...

ზ- და ც-გ- პრეფიქსები ყოველთვის ირიბი ობიექტის აფიქსის შემდეგ დგას.

აფხაზურის ზ- და ც-გ- პრეფიქსებით ნაწარმოები სასხვისო ქცევა, ქართულის „გუკლავ“ სასხვისო ქცევის ფორმას, რომელიც იმასაც ნიშნავს, რომ „მისთვის ვკლავ“ და იმასაც, რომ „მისას ვკლავ“, ორი განსხვავებული აფიქსით წარმოგვიდგენს.

ქართულშიც, აფხაზურის მსგავსად, სასხვისო ქცევის ი-/უ- აფიქსი მუდამ ობიექტის აღმნიშვნელი აფიქსის პოსტპოზიციურია. ოლონდ, ქართულში ქცევის აფიქსი, შესაძლოა, ორივე სახის ობიექტის ნიშანს ახლდეს.

ახალ ქართულში  $O_3$ -ის ნიშანი აღარ ჩანს ქცევის აფიქსთა წინ (ზმოვნების წინ ხ/ჰ/ს იკარგვის), მაგრამ ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების ჩვენების მიხედვით, სასხვისო ქცევის აფიქსი ყველა სათანადო ზმნურ ფორმაში  $O_3$ -ის ნიშანს მოსდევს (ოლონდ, აღსანიშნავია, რომ  $O_3 + S_1$  პირთა კომბინაციაში სასხვისო ქცევის ნიშანი აღნიშნულ ტექსტებში არ დასტურდება).

ძველი ქართული

მი-ხ-უ-გო (უძვ. 338, 353, 360, 363).

და-ხ-უ-გებო (უძვ. 331).

ჰ-უ-პყრას (ჰაემ. 367), ზოგჯერ ძველსავე ქართულში  $O_3$ -ის ნიშანი აღარ ჩანს ზმნაში:

მი-უ-გო (ჰაემ. 366, 381, 388)

მი-უ-გოს (უძვ. 363).

ქართულში დასტურდება სასხვისო ქცევის შინაარსის გადმომცემი უქცევინიშნო ფორმებიც: შეჰრია/შეურია (ჩიქობავა 1959 : 166). ამ რიგის მაგალითებში  $O_3$ -ის აფიქს ჰ-სა და სასხვისო ქცევის ფორმანტ უ-ს ფუნქცია ერთნაირია, ამიტომ მათგან ერთ-ერთის ხმარება სრულიად საკმარისია სათანადო შინაარსის გადმოსაცემად.

**პოტენციალის კატეგორიას** ქართველურ ენათგან ყველაზე მეტად ჩამოყალიბებული სახე აქვს მეგრულში.

არნ. ჩიქობავას მიაჩნია, რომ პოტენციალისი და ვნებითი გვარი ერთი წარმოშობისა უნდა იყოს.

ქართული განასხვავებს ორგვარ უარყოფას — „არ“ და „ვერ“ ნაწილაკიანს: „არ“ — მოქმედს არ სურს, შეასრულოს მოქმედება, ხოლო „ვერ“ — მოქმედს არ შეუძლია შეასრულოს მოქმედება.

უარყოფის ასეთი დიფერენციაცია მეგრულ-ჭანტურმა არ იცის. უარყოფითი ნაწილაკი აქ ერთია: ვარ || ვა... მნიშვნელობით უდრის ქართულის „არ“ ნაწილაკს.

მეგრ.:	ქართ.:
ვაჭარუნს	არ წერს
ვააჭარენ	ვერ წერს

მეგრულში უცვლელია ნაწილაკი, იცვლება ზმნა. ქართულში კი უცვლელია ზმნა, იცვლება ნაწილაკი.

ქართულსა და მეგრულს შორის ენობრივი ფსიქოლოგიის თვალსაზრისით სხვაობა არ არის. შესაძლებლობის კატეგორიას ქართულიც არჩევს და მეგრულიც: მეგრული — ზმნის უღვლილების სპეციფიკური ფორმებით, ქართული — სპეციფიკური უარყოფითი ნაწილაკებით.

ქართულში პოტენციალისის გაგებას შეიცავს „ვერ“ ნაწილაკი. უბირატესად ეს უკანასკნელი იხმარება მოქმედებითი გვარის ზმნებთან. ვნებითები კი „ვერ“-ის ხმარებას ერთგვარად გაუბრუნებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ვნებითი გვარი თვითონ არის პოტენციალისის შინაარსის მატარებელი.

არნ. ჩიქობავას მიაჩნია, რომ პოტენციალისის არსებობა ქართულში დადასტურებულად უნდა მივიჩნიოთ (ჩიქობავა 1937 : 35-37).

ქართული „იცი“ ზმნა იგუებს მხოლოდ და მხოლოდ „არ“ ნაწილაკს (თუმცა აღმოსავლურ დიალექტებში გვხვდება „ვერ ვიცი“ ფორმაც). ეს ზმნა აგებულებით ვნებითია და პოტენციალისის მნიშვნელობა მისთვის უცხო არ არის (ლომთათიძე 1972).

სვანური განარჩევს მამ „არ“ და დეშ „ვერ“ ნაწილაკებს და ქართულის ანალოგიურად აწარმოებს პოტენციალისს.

ქართულსა და სვანურში პოტენციალისი სემასიოლოგიური კატეგორიაა, მაგრამ პოტენციალისის კატეგორიის გამოკვეთილი სახის ზანურში დადასტურება გვაპარაუდებინებს, რომ აღნიშნული კატეგორია სამივე ქართველური ენისათვის დამახასიათებელი მორფოლოგიური კატეგორია უნდა ყოფილიყო.

(ამ კატეგორიის მოშლა ვნებითი გვარის ჩამოყალიბებას უნდა უკავშირდებოდეს). შესაძლოა გვიან ჩამოყალიბებულმა ვნებითმა გვარმა დაიტია პოტენციალისის მნიშვნელობა (შდრ. ქართული).

აფხაზურში პოტენციალისის აფიქსი ყოველთვის სუბიექტს უკავშირდება, ამიტომ გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებში ეს კატეგორია ერთნაირად იწარმოება.

პოტენციალისის აფიქსის დართვა იწვევს გარდამავალი ზმნის პირის ნიშანთა ინვერსიას (რომელიც მორფოლოგიურ გამოხატულებას პოულობს რთულფუძიან და სამპირიან ზმნებში — გრამატიკული სუბიექტი იქცევა ირიბ ობიექტად და გადმონაცვლებს მეორე, ირიბი ობიექტური პირის ადგილას:

- ი-ყა-ს-წოატ „მე მას (ნ) ვაკეთებ“
- ი-ყა-ს-წო-მ „მე მას (ნ) არ ვაკეთებ“
- ი-ს-ზგ-ყ-აწო-მ „მე მას (ნ) ვერ ვაკეთებ“...

სუბიექტის ნიშანი გადმოსმულია რთული ფუძიდან:

- ი-ჟ-ს-თოატ „მე მას (ნ) შენ (მკ.) გაძღვე“...
- ი-ჟ-ს-თომ „მე მას (ნ) შენ (მკ.) არ მოგცემ“...
- ი-სგ-ზ-ჟ-თომ „მე მას (ნ) შენ (მკ.) ვერ მოგცემ“...

სუბიექტის ნიშანი გადმოსმულია ირიბი ობიექტის პირის აფიქსის ადგილას, ხდება ინვერსია, გარდამავალი ზმნა იქცევა გარდაუვლად.

აფხაზურში პოტენციალისის კატეგორია ზმნის უარყოფით ფორმებს უფრო ახასიათებს, დადებით წარმოებაში კი იშვიათად გვხვდება (ლომთათიძე 1955 : 154).

ქართველურსა და აფხაზურ-ადიღურ ენებში დადასტურებულია პოტენციალისის კატეგორიის გამოხატვის ხუთი სახეობა: პრეფიქსული — აფხაზურ-აბაზურში, ადიღურში, მეგრულში; სუფიქსური — უბიხურში და პარალელურ სახეობად ადიღურში; პრეფიქს-სუფიქსური ადიღურში; აღწერითი — აფხაზურსა და ადიღურში; ნაწილაკოვანი — პარალელურ სახეობად ქართულსა და სვანურში (იგულისხმება „ვერ“ უარყოფით ნაწილაკიანი პოტენციალისის გარდამავალ ზმნებში. მონათესავე ენებში ასეთი გამოხატვა პოტენციალისის კატეგორიისა არ გვხვდება).

პოტენციალისის კატეგორიის გამოხატვის ჩამოთვლილ საშუალებათაგან, ყველაზე ადრეულ და ორგანულ სახეობად მიჩნეულია პრეფიქსული წარმოება.

სუფიქსური, პრეფიქსულ-სუფიქსური, აღწერითი და ნაწილაკოვანი გამოხატვის საშუალებანი მიჩნეულია მეორეულ მოვლენად — პოტენციალისის გამოხატვის ლექსიკურ საშუალებებად.

პოტენციალისის კატეგორია დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს აფხაზურ-ადიღურში და ქართველურ ენებში. ამჟამად პოტენციალისის კატეგორია ყველა ენაში ერთნაირად არ გამოიხატება, მაგრამ, როგორც ისტორიულ-შედარებითმა ანალიზმა ცხადყო, პოტენციალისის გამოხატვა ყველა აღნიშნულ ენაში პრეფიქსული უნდა ყოფილიყო.

## ქართველურ და აფხაზურ-ადილურ ენებში გამოიყოფა **კაუზატივის კატეგორია**.

1. კაუზატივის კატეგორიის ნიშნები ქართველურ ენებში სუფიქსებია, აფხაზურ-ადილურ ენებში — პრეფიქსები.

2. კაუზატივის კატეგორიის მაწარმოებელი ფორმანტები აღნიშნულ ენებში მასალობრივ ერთიანობას ამჟღავნებს მრავლობითი რიცხვის ნიშნებთან.

აფხაზურში კაუზატივის კატეგორიაში ცვლილებები ხდება სუბიექტის მესამე პირის მრავლობითობის ნიშნისა და ირიბი ობიექტის ნიშნის შეხვედრისას კაუზატივის კატეგორიის ფორმანტთან:

III პირის მრავლობითი რიცხვის ნიშანია აფხაზურში რ- პრეფიქსი; იგივე რ- პრეფიქსი გამოიყენება ირიბი ობიექტის ნიშნადაც იმავე პირსა და რიცხვში... კაუზატივის რ- პრეფიქსის გამოვლენასთან ერთად, ზმნაში III პირის მრავლობითის ნიშანი და იმავე პირის ირიბი ობიექტის რ- ნიშანი გადაკეთდება დ-დ: ს-დ-გ-რ-ტ<sup>ე</sup>მტ „მე მათ დამსვეს“, \*სგ-რ-გ-რ-ტ<sup>ე</sup>მტ... დ-დ-დ-რ-ბომტ „ისინი მათ მას ანახვებენ“, \*ი-რგ-რ-ბომტ...

კაუზატივის ნიშანთან შეხვედრისას III პირის მრავლობითი რიცხვის რ- ნიშნის დ-დ ქცევა დისიმილაციურ მოვლენადაა ცნობილი.

6. მარი გამოთქვამდა ვარაუდს, აფხაზურის კაუზატივის რ- პრეფიქსის კავშირის შესახებ ბასკურ და სვანურ მრავლობითის ნიშანთან (მარი 1926 : 246-247).

ქ. ლომთათიძე მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ფონეტიკურ მოვლენას (რ > დ) მოეპოვება თავისი მორფოლოგიური საფუძველი იმდენად, რამდენადაც აფხაზური ენა ორი რ-ს თავმოყრას კარგად იკლებს: არგრჰარა „შეშინება“, დგ-სგ-რგ-რ-ჰაჟემტ „მე მათ ვაშინებ“... ეს აფიქსები წარმოშობით ერთნი ჩანს, შემდგომ ფუნქციურად განსხვავებული, ე. ი. კაუზატივის აფიქსიც იგივე მრავლობითის აფიქსი უნდა ყოფილიყო. ორი ერთნაირი აფიქსის თავმოყრამ განაპირობა ერთ-ერთის (პირის ნიშნის) დისიმილაცია.

დისიმილაციის ამ ფაქტში ქ. ლომთათიძე ხედავს პირის ნიშნის მოსალოდნელი სახეობის შემონახვის შემთხვევას: სწორედ იმიტომ უნდა განსხვავებულიყო ეს ორი აფიქსი ერთმანეთისაგან, რომ მათ ერთი წარმოშობა ჰქონდათ; (შდრ. ადილ. ირ. ობიექტისა და სუბიექტის პირი ნიშანი აჰ... ერთ-ერთი რ-დ გადადის, როცა ისინი ერთმანეთს ხვდებიან).

ქ. ლომთათიძის აზრით, ზმნის კაუზატივის ფორმაში III პირის ნიშნად გამოვლენილი დ- შეიძლება უკავშირდებოდეს სათანადო „დარა“ ნაცვალსახელს, რაც თავისთავად იმას არ გამოორიცხავს, რომ მასთან კავშირი ჰქონდეს ადამიანის კლასის დ- ნიშანსაც: ეს მოვლენა აფხაზურისათვის არაა უცხო: შდრ. ჟარა-ჟ, სარა-ს... კავკასიური ენებიდან ცნობილია მრავლობითის აფიქსით ჯერ ქალის, ხოლო შემდეგ საერთოდ ადამიანის კლას-კატეგორიის გაფორმებაც (ლომთათიძე 1945 : 93; როგავა 1954 : 9-12).

აფხაზურში გამოიყოფა აღწერითი და სიტყვაწარმოებითი სუფიქსით ნაწარმოები კაუზატივიც. ქართველურ ენათაგან აღწერითი კაუზატივის შემთხვევები დასტურდება ძველ ქართულში, რაც, შესაძლოა, იმ ენათა გავლენით აიხსნას, საიდანაც ძველი ქართული ტექსტები ითარგმნებოდა.

აფხაზურსა და აბაზურში კაუზატივის რ- პრეფიქსი გენეტურ კავშირში ამავე ენაში არსებული მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელ რ- ფორმანტთან.

ადილურშიც კაუზატივის კატეგორიას პრეფიქსი აწარმოებს, ეს არის ღა-. აფხაზურის მსგავსად, კაუზატივის ღა- მაწარმოებელი სუბიექტის პრეფიქსის შემდეგ დგას. კაუზატივის აფიქსი ზოგჯერ ფუძეშია მოქცეული. ზმნას კაუზატიურ წარმოებაში ემატება ერთი, პირდ. ობიექტური პირი, გარდაუვალი ზმნა გარდამავალი ხდება...

სა არ ს-შაშთ — „მე ის მიმყავს“

სა არ მა-ზ-ღა-შაშთ — „მე ვაიძულებ მას წაიყვანოს იგი“

ადილურის ახასიათებს კაუზატივის ორმაგი წარმოება (როგავა, კერაშევა 1966 : 257).

უბიხურში კაუზატივს აწარმოებს ფორმანტები: დგ-, ღა-, გ- ამათგან დგ- გამოიყენება მხოლოდით რიცხვსა და უარყოფით ფორმებში, ღა- კი — პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის გამოსახატავად.

იგივე თანხმონითი ღ- (ღა-, ღაჟ) ელემენტი გვხვდება აგრეთვე უბიხურ არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოებაში (კუმახოვი 1967 : 694, 699).

უნდა აღინიშნოს, რომ უბიხურში მრავლობითის დამოუკიდებელი აფიქსები არ მოიპოვება, მხოლოდითისა და მრავლობითის ფორმები ერთმანეთს უპირისპირდება ერგატივის, კუთვნილებით და ჩვენებით აფიქსთა ხმარების ურთიერთდაპირისპირებით:

ჩ'ა-ნ „ცხენმა“                      სა-ჩ'ა „ჩემი ცხენი“

ჩ'ა-ნა „ცხენები“                      სოჩ'ა „ჩემი ცხენები“

შესაძლოა, უბიხურის ჩვენება იბერიულ-კავკასიურ ენათათვის ამოსავალ არქაულ ვითარებას ასახავდეს, როდესაც გაუდიფერენცირებელი იყო პირისა და რიცხვის, ბრუნვის კატეგორიები და მათი აღნიშვნა ერთისა და იმავე ფორმანტის საშუალებით (ფორმათა ურთიერთდაპირისპირებით) ხდებოდა.

კაუზატივის კატეგორიას რომ გენეტური კავშირი უნდა ჰქონდეს მრავლობითობის აღნიშვნასთან, ამას მასალობრივ ადასტურებს აფხაზურ-ადილურ ენათა მონაცემები.

კაუზატივის მაწარმოებელ სუფიქსთა თანხმონითი ელემენტების მასალობრივი ერთიანობა მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ სუფიქსებთან არც ქართველურ ენებში უნდა იყოს, ჩვენი აზრით, შემთხვევითი მოვლენა:

ქართულში კაუზატივის -ინ სუფიქსის თანხმონითი -ნ ელემენტი დასტურდება მრავლობითობის აღმნიშვნელად სახელშიც, ზმნაშიც.

კაუზატივის -ევ სუფიქსი მრავლობითობის ნიშნად ამჟამად არც სახელთან, არც ზმნასთან არ გვხვდება, მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ -ებ > -ევ, მაშინ -ვ ელემენტი შესაძლოა მრავლობითობის ოდინდელ მაწარმოებლად ჩაითვალოს, რომელიც სახელებში -ებ-ის სახით შემოგვრჩა, ხოლო ზმნაში ფუნქცია იცვალა.

ქართულში -ევ სუფიქსი საერთოა ზმნისა და სახელისათვის (ჩიქობავა 1942 : 89) მეგრულშიც იგი სახელურ წარმოებასთან ყოფილა დაკავშირებული. სახელდობრ, იგი გამოყენებული ჩანს საგნის წინანდელი ფუნქციის აღმნიშვნელ სიტყვაწარმოებაში: -ევი > ვი > იი:

ნოხირ-იი > \*ნოხირეი > ნოხირევი „ნასახლარი“, ნოჩილი > \*ნოჩილეი > \*ნოჩილევი „ნაცლარი“, ნოჟიხი > \*ნოძიხეი > \*ნოჟიხევი „ნაციხარი“ (როგავა 1945 : 652).

-ევ სუფიქსი კაუზატივის ნიშნად გამოიყოფა უდიურში (ფანჩვიძე 1940 : 489).

ჩვენ მიერ აქ წარმოდგენილ მოსაზრებას ერთგვარად მხარს უნდა უჭერდეს ის ფაქტი, რომ აკ. შანიძეს -ევ სუფიქსი მრავლობითობის / კრებითობის ნიშნად მიაჩნია რამდენიმე ტოპონიმში: ვაშლევი, ძეგლევი, ბოსლევი, მღვიმევი, ველევი, ველტყევი, ვაკევი, ქვევი, იფნევი, ტბევი.

აკ. შანიძე ვარაუდობს ამ ნიშნის (-ევ) მიხედვით განსხვავებული გარკვეული დიალექტის არსებობას ძველ საქართველოში, ახლანდელი ზემო იმერეთის ტერიტორიაზე (შანიძე 1941 : 27).

ყველა სახელში, რომელსაც ბოლოში -ევ ერთვის, შეიძლება მრავლობითის ფორმა არ გვქონდეს, მაგრამ აკ. შანიძის მიერ შემოთავაზებულ ტოპონიმებში, რომელთა სემანტიკაც ნათელია, თავისუფლად შეიძლება -ევ მრავლობითობის აღმნიშვნელად ჩაითვალოს; მითუმეტეს, რომ არსებობს -ევ/-ებ ფორმანტთა მონაცვლეობის შემთხვევები ერთსა და იმავე ფუძესთან.

მკვლევართა ერთ ნაწილს -ევ სიტყვაწარმოებით ელემენტად მიაჩნია (მაკალათია 1970 : 18).

ამავე აზრისა ვიყავით ჩვენც, მიგვაჩნდა რა, რომ Vვ დაბოლოებიან ტოპონიმთაგან -ევ სუფიქსის გამოყოფა და მისი მრავლობითობის ფორმანტად ჩათვლა დაარღვევდა -Vვ დაბოლოებიან ტოპონიმთა სისტემურ კვლევას (მაჭავარიანი 1977).

მაგრამ, როგორც შემდგომმა ძიებამ და სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემებზე დაკვირვებამ ცხადყო, ქართულში -ევ ფორმანტი ზოგ შემთხვევაში მართლაც შესაძლოა ჩაითვალოს მრავლობითის უძველეს მაწარმოებლად.

-ევ ფორმანტის სიტყვაწარმოებით ელემენტად გამოყენება მეორეულ უნდა იყოს. მისი პირველადი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო სიმრავლის აღნიშვნა; ამ ფუნქციას უნდა გამოეწვია სწორედ მისი სიტყვაწარმოებით ელემენტად ქცევა. შდრ.: ვაშლევი = ვაშლები (ადგილი, სადაც ბევრი ვაშლის ხეა) ვაშლევი = ვაშლიანი (ადგილი, სადაც ბევრი ვაშლის ხეა) და სხვ.

მეგრულსა და ჭანურშიც კაუზატივს სუფიქსები აწარმოებს: მეგრულში ო-აფ, ათინურსა და ვიწურ-არქაბულში -ამ: მეგრ. ო-ზუმ-აფ-უ — „აზომვინა“, ო-კვათ-აფ-უ — „აკვეთინა“, ათინურ, ვიწურ-არქაბ. ო-ზუმ-აფ-ამ-ს — „აზომვინებს“, -ოკვათ-აფ-ამ-ს — „აკვეთინებს“ (ჩიქობავა 1936 : 157).

მეგრულ-ჭანური ო- პრეფიქსი ქართული ა- პრეფიქსის ზუსტი ფონეტიკური შესატყვისია, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, იგი არ უნდა იყოს კაუზატივისა.

მეგრულში კაუზატივს ო-აფ და -ან ფორმანტები აწარმოებს; ეს უკანასკნელი არნ. ჩიქობავას ფონეტიკურად სახეცვლილ ჭანურ -ამ, -აფ სუფიქსად მიაჩნია (ჩიქობავა 1936 : 157).

ჭანურში, კაუზატივის -აფ სუფიქსი თანხმონითი ელემენტით მასალობრივ ერთიანობას ამყდვენებს მრავლობითი რიცხვის -ეფ ნიშანთან:

ჭან.: კოჩ-ეფ-ე მეგრ.: კოჩ-ეფ-ი „აკცები“  
 კუჩხ-ეფ-ე კუჩხ-ეფ-ი „ფეხები“

მეგრულში მოთხრობითისა და მიცემითის მრავლობითის წარმოებაში თავს იჩენს -ენ სუფიქსი, რომელიც, შესაძლოა კაუზატივის -ან სუფიქსს უკავშირდებოდეს.

სვანურშიც კაუზატივის კატეგორია სუფიქსებით იწარმოება:

-უნ: ხაშხ-უნ-ე, ლშხ. ხაშხ-უნ-ე „აწვევინებს“

ზსვ. ხაჭმ-უნ-ე ლშხ. ხაჭ-უნ-ე „ათიბვინებს“

უნ-ე-ს ნაცვლად შეიძლება მოგვევლინოს ალ-უნ-ე, ბქვ. ლნტ. -ალ-ნ-ე, ანდა ბსზ. -ა-უნ-ე, ბქვ. ლნტ. -ა-უნ-ე (< \*ა/ალ-უნ-ე).

ბსზ. ლშხ. ხამარ-ალ-უნ-ე > ბსზ. ხამარ-ა-უნ-ე, ბქვ. ხამარ-ალ-ნ-ე „ამზადებინებს“, ლშხ. ხაჭმ-ალ-უნ-ე = ბსზ. ხაჭმ-უნ-ე „ათიბვინებს“, ლნტ. ხახატა-ალ-ნ-ე + ბსზ. ხახატა-ა-უნ-ე „ახატვინებს“...

-ალ/-ალ- ობიექტის სიმრავლის, ან მოქმედების ჩვეულებრივობის მაჩვენებელია, -უნ კი შეიძლება ორჯერ გვხვდებოდეს ხანდახან (შდრ. ადიღურის ჩვენება) (თოფურია 1967 : 234, 231).

სვანურის -ალ/-ალ კაუზატივის ფორმანტი შესაძლოა უკავშირდებოდეს სვანურისავე მრავლობითობის -ალ/-არ მაწარმოებელს.

ამრიგად, ქართველურ ენათა ჩვენებით, კაუზატივის მაწარმოებელი სუფიქსები და მრავლობითის ფორმანტები ნაწილობრივ (თანხმონითი ელემენტებით) მასალობრივ ერთიანობას შეიძლება ამყდვენებდნენ.

თუმცა მიზეზი ამ ერთიანობისა ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ვიმედოვნებთ, საკითხის უფრო ღრმად შესწავლა ნათელს მოჰყვანს ამ მიზეზს, რაც მომავლის საქმეა.

წარმოდგენილი მორფოლოგიური იზოგლოსები, ვფიქრობთ, ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენათა განვითარების საერთო ტენდენციების კიდევ ერთ-ერთ, ნათელ არგუმენტად გამოდგება.

## ლიტერატურა

**გენკო 1955** – А. И. Генко. Абазинский язык. Грамматический очерк наречия тапанта. М.

**დიუმეზილი 1932** – A. Dumezil. Etudes comparatives sur les langues causiennes du Word-Ouest Morphologie, Paris.

**დიუმეზილი 1932** – A. Dumezil. La Langua des Oubykhs. Paris.

**დიუმეზილი 1975** – A. Dumezil. Le verb oubvkh. Etudes descriptives et comparatives. Memor de l'Academie des inscriptions et belleslettres. HST I. Paris.

**თოფურია 1967** – ვ. თოფურია, შრომები I, სვანური ენა, თბ., 1967.

**იმნაიშვილი 1970** – ვ. იმნაიშვილი კაუზატივი ძველ ქართულში, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. X, თბ., 1970.

**კუმახოვი 1966** – М. А. Кумахов. Убыхский язык, АН ССР, т.IV, ИКЯ. М.

**ლომთათიძე 1944** – ქ. ლომთათიძე, აფხაზური ენის ტაპანტური დიალექტი (ტექსტებიტურთ), თბ.

**ლომთათიძე 1945** – ქ. ლომთათიძე, კაუზატივის კატეგორია აფხაზურში, სმამ, ტ. VI, №1, თბ.

**ლომთათიძე 1955** – ქ. ლომთათიძე, პოტენციალისა (შესაძლებლობისა) და უნებურობის კატეგორია აფხაზურ-აბაზურ ზმნაში, სმამ, ტ. XVI, თბ.

**ლომთათიძე 1947** – ქ. ლომთათიძე, ქცევის კატეგორიისათვის აფხაზურ ზმნაში, თსუ შრომები, ტ. XXX-XXXI, თბ.

**ლომთათიძე 1948** – ქ. ლომთათიძე, „ცოდნის“ აღმნიშვნელი ძირის შესახებ აფხაზურ-ადიღურ ენებში, თსუ შრომები, 133 (142), თბ.

**მაკალათია 1970** – ფ. მაკალათია, არაგვის ხეობის ფშავის ტოპონიმთა, ნაწ. I, (საკანდიდატო დისერტაცია), თბ.

**მარი 1926** – N. I. Marr. De L'origine japhetique de la langue basque.

**მაჭავარიანი 1977** – ნ. მაჭავარიანი, -V<sub>3</sub> (-ავ, -ივ, -ევ, -ოვ) დაბოლოება ქართულ ტოპონიმებში, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, თბ.

**მაჭავარიანი 1998** – ნ. მაჭავარიანი, ზმნის სასხვისო ქცევის „ცო“ აფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში. კრებ. „არნ. ჩიქობავა 100“, თბილისი.

**როგავა, კერაშევა 1966** – Г. В. Рогова, З. Н. Керашева. Грамматика Адыгейского языка. Краснодар, Майкоп.

**როგავა 1945** – გ. როგავა, აორისტისა და კავშირებით მეორის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის -ევ სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში, სმამ, ტ. VI, №8.

**უსლარი 1872** – П. К. Услар. Этнография кавказа. Языкознание. I. Абхазский язык. С. Пб.



**ფანჩიძე 1940** — ვლ. ფანჩიძე, კაუზატივის -ევ -ვ სუფიქსი უდურში, სმამ, ტ. 1, №8, თბ.

**შანიძე 1941** — აკ. შანიძე, -ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში, სმამ, ტ. II, №8, თბ.

**ჩიქობავა 1959** — არნ. ჩიქობავა, ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზმნებში, იკე, ტ. XI, თბ.

**ჩიქობავა 1937** — არნ. ჩიქობავა, პოტენციალისის კატეგორია ქართველურ ენებში, ენიმკის მოამბე, ტ. I, თბ.

**ჩიქობავა 1942** — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ.

**ჩიქობავა 1936** — არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი (ტექსტებითურთ), ტფ.

### წყაროები

**აფხაზურ-ქართული ლექსიკონი**, ბ. ჯანაშია, თბ., 1954.

**მცხეთური ხელნაწერი**, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1983.

**ქართული ენის ისტორიული კრესტომათია**, ი. იმნაიშვილი, ტ. 1, ნაწ. I, თბ., 1970.

**ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია**, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ი. იმნაიშვილმა, თბ., 1979.

NANA MACHAVARIANI

## Morphological Isoglosses in Georgian and Abkhazian Verbal Constructions – 2

### S u m m a r y

The paper discusses the morphological categories of the Georgian and Abkhazian verb, which reveal some structural and typological similarity.

**Category of version** in the Kartvelian and Abkhaz-Adyge languages has its morphological marker in a verb. In these languages a version category is morphological.

1. Two kinds of version should be distinguished in the Kartvelian and Abkhaz-Adyge languages: subjective and objective; 2. Version category of a verb of the Kartvelian and Abkhaz-Adyge languages reveals typological unity: on the one hand, the state preserved in Abkhazian and the Surph subdialect of Megrelian-Chan, and on the

other hand the state of the Kartvelian and Adyge languages. The latter represent more developed type of a version category; 3. Subjective and objective version markers in the mentioned languages are prefixes. Originally they are indicative-directional elements originating from demonstrative pronouns. 4. An objective version marker in both languages accompanies an object person marker and denotes the possession of an object expressed by the action of a verb.

**Category of potential** is most developed in Megrelian among the Kartvelian languages. In Georgian and Svan potential is a semasiological category, but a well-defined category of potential evidenced in Zan makes me suggest that the mentioned category must have been a morphological category characteristic of three Kartvelian languages.

**Morphological category of causative** is distinguished in the Kartvelian and Abkhaz-Adyge languages.

Form-building means of the category of causative in the mentioned languages reveal material similarity with plural markers.

თამარ მახარობლიძე

ვერსიის კატეგორიის თავისებურებანი

ენებში წესს ყოველთვის აქვს გამონაკლისი. ასეთი გამონაკლისები წარმოადგენს ასიმეტრიებს ენობრივი სისტემის მიმართ. „ქართული ზოგჯერ აღიწერება როგორც „ტოტალურად თავისებური“ ენა, სადაც „სუბიექტის“, „ობიექტის“ და „ირიბი ობიექტის“ ცნებებს არა აქვთ ცალსახა შესაბამისობა“ [ჰარისი 1981:01]. ცხადია, სხვა ქართული ზმნური კატეგორიების მსგავსად, ვერსიასაც გააჩნია თავისებური ფორმები. ქართულში ქცევის კატეგორიას ახასიათებს შემდეგი თავისებურებანი:

1. ქცევის კატეგორიის მიხედვით სხვაობა გარდაუვალ და გარდამავალ ზმნათა შორის სისტემურია:
  - A. ქართულში მხოლოდ გარდამავალი ანუ მოქმედებითი გვარის ზმნებს აქვთ ვერსიის სამგანზომილებიანი მოდელი. გარდაუვალი ზმნები კი მხოლოდ ორგანზომილებიან მოდელში თავსდება, რადგან აქ გამოირიცხულია სათავისო ანუ სასუბიექტო ქცევა. ეს სისტემური და პრინციპული ხასიათის სხვაობაა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქართულში (და, საერთოდ, ქართველურში) სამგანზომილებიანი მოდელის მეორადობას.
  - B. დინამიკურ ვნებითში ვერსიის მარკირება განსხვავებულია გარდამავალი ზმნის ფორმებისგან [შანიძე 1980:341]. ნეიტრალური ფორმებისთვის ი- პრეფიქსი გვაქვს ერთპირიან ფორმებში (ვ-**ი**-მალები, ვ-**ი**-პარები, ვ-**ი**-ფარები). ამ ფორმებს ხშირად რეფლექსურობის გაგებაც მოეპოვებათ სათავისო ქცევის შესაბამისი შინაარსით. პრეფიქსი ე- ობიექტური ვერსიის მარკერია და ინიან ფორმებთან შესაბამის საოპოზიციო ცალებს წარმოქმნის (ვ-**ე**-მალები, ვ-**ე**-პარები, ვ-**ე**-ფარები).
2. ქართულ ენაში არის ქცევის კატეგორიის მიხედვით ფორმანაკლი ზმნები. ასეთი ზმნები ორ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ:
  - A. ზმნები, რომელთაც ახასიათებთ ფორმანაკლულობა ერთი მწკრივის შიგნით საოპოზიციო ცალებში, მაგალითად: გვაქვს ვაცნობ - ვიცნობ და არა გვაქვს სასხვისო ფორმა - ვუცნობ\*. (უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფორმებს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ ეს ქცევის რეფერენტების ფორმალურ მხარეს არ ეხება).

B. ზმნები, რომელთაც ახასიათებთ ფორმანაკლულობა უღლების პარადიგმების მიხედვით, მაგალითად: გვაქვს სტატიკურ ზმნათა ოპოზიცია - „წერია“ / „უწერია“, რომელთაც მეორე სერიაში „ეწერა“ შეესაბამება ორივე შემთხვევისათვის. ასევე კარგავენ ქცევის გაგებას სამპირიანი ზმნები მესამე სერიაში. ყველგან, სადაც ქცევა გამოდის წმინდა ფლექსიური დატვირთვით, იკარგება პოსესიურ-დესტინაციური შინაარსი.

3. ზოგჯერ ზმნაში ორი ირიბი ობიექტური პირია მოცემული. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ორივე გამოიხატება ზმნაში.

A. ზოგჯერ გვხვდება ორი ირიბი ობიექტი გარდაუდებლად ზმნებში – ვნებთში: მიცვია (მე მას ის), მიმეპყარ (შენ მე მას), საშუალოში: მიმიღვეს (მე მას ის), მიტკივა (მე მას ის). ამ ორიდან ერთი აუცილებლად პოსესორი ანუ მფლობელი ობიექტია და მას ალტერნატიული აღწერითი სინტაქსური კონსტრუქციაც მოეპოვება შესაბამისი ორპირიანი ზმნის ფორმითა და პოსესორი ობიექტის დატვირთვით ან გენტიურ-პოსესიური ბრუნვით ზმნის გარეთ, მაგალითად:

(1) მიცვია მე ცოლს კაბა.

(2) ჩემს ცოლს კაბა აცვია.

B. ორი ირიბი ობიექტი გარდამავალ ზმნებში აყალიბებს ოთხპირიან ზმნებს: მიმიწერა (მან მე მას ის), მიმიხატა (მან მე მას ის), ასეთ დროს უფრო ხშირად კაუზატიური ფორმებია გამოყენებული: გამიკეთებინე (შენ მე მას ის), დამიხატვინე (შენ მე მას ის). ასეთი ფორმები, გამონაკლისის გარეშე, სასხვისო ქცევის ფორმებია.

მეორე ირიბი ობიექტის შემოყვანას ზმნაში ორი გზა და მიზანი აქვს:

1. ან კაუზაციას სჭირდება შემსრულებელი ობიექტის შემოყვანა,

2. ან პოსესიურ-ბენეფაქტიურ სემანტიკას უნდა გაესვას ხაზი. როგორც აღვნიშნეთ, ორირიბიანი ფორმები ძირითადად სასხვისოს სემანტიკით იტვირთება.

4. არსებობს პოლისემიური ფორმები, ქცევის კატეგორიის თვალსაზრისით. ენაში არის იშვიათი ზმნის ფორმები, სადაც პირდაპირი ობიექტი არის ცვალებადი და სათავისო ქცევის ფორმები შესაძლოა ობიექტური წყობის ზმნებშიც გვქონდეს. ასეთი ფორმები ზოგჯერ პოლისემიურია. დამიყენა (მან მე) - ეს არის სათავისო ქცევა პირცვალებადი პირდაპირი ობიექტით პარადიგმიდან და დამიყენა (მან მე მას) არის სასხვისო პირუცვლელი მესამე პირის ირიბი ობიექტით:

(3) დამიყენა მან მე // დამიყენა მან მე მას

(4) დაგიყენა მან შენ // დაგიყენა მან შენ მას

(5) დაიყენა მან ის // დაუყენა მან ის მას

როგორც ვხედავთ, პოლისემიურია დამიყენა/დაგიყენა ფორმები. როგორც წესი, სუბიექტური ვერსიის დროს ზმნაში მხოლოდ მესამე პირის პირდაპირი ობიექტი არის წარმოდგენილი. ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითები იშვიათია

და ასეთ ფორმებში რეფლექსური კონტენტი კარგად არ არის წარმოჩინებული. ამ დროს რეფლექსურობაზე ხაზგასასმელად გამოიყენება დამატებითი ფორმა „თავი“. მაგალითად:

- (6) დაიყენა თავი
- (7) იხატავს თავს
- (8) ილამაზებს თავს

კაუზაციასთან კავშირში რეფლექსურობა მოითხოვს დამატებით გამოხატვას პირველ და მეორე პირდაპირ ობიექტურ პირებთან. შეადარე ფორმები:

- (9) დაავიწყა (მან მას ის)
- (10) დაავიწყა (მან მას შენი თავი)
- (11) დაგავიწყა (მან შენ ჩემი თავი)
- (12) დამავიწყა (მან მე შენი თავი)

პირველი და მეორე პირის პირდაპირი ობიექტი ზმნაში შემოდის როგორც მესამე პირის ფორმა რეფლექსური ნაცვალსახელის („თავი“) მეშვეობით. ამ მოდელს ალტერნატივა არ გააჩნია თანამედროვე ქართულში. იშვიათია, როდესაც პირველი და მეორე პირის ფორმები არ იწარმოება მესამე პირის მოდელით. მესამე პირს კი შეიძლება ჰქონდეს არჩევანი:

- (13) დაავიწყა (მან მას ის)

ასევე შესაძლებელია, პირველი ორი პირის მსგავსად გაგრძელდეს პარადიგმა და იწარმოოს სიმეტრიული სისტემა (მხოლოდ სულიერი პირდაპირი ობიექტის შემთხვევაში):

- (14) დაავიწყა (მან მას მისი თავი)

პოლისემიური ფორმა „მოიკლა“ ერთ შემთხვევაში რეფლექსივის კონტენტს ასახავს ორპირიანი გარდამავალი ზმნის სუბიექტური ვერსიის ფორმით:

- (15) (მან) წყურვილი მოიკლა

და მეორე შემთხვევაში ის არის გარდაუვალი ზმნის ერთპირიანი ფორმა ვერსიის გარეშე:

- (16) ომში მოიკლა [დამენია 1982:106].

უქვეო ზმნები ეს ის ზმნებია, რომელთაც არ გააჩნით ქცევის გაგება [შანიძე 1980:345-346, ქავთარაძე 1954:245-292]. ასეთ ზმნებს, ფაქტობრივად, საოპოზიციო ცალები არ მოეპოვებათ და ქცევის შინაარსისაგან დაცლილნი არიან: უყვარს, აქვს, იცის, ახსოვს, ჰგონია, უჭირავს, სძულს და სხვ.

ამ ზმნებში ორი ჯგუფი გამოიყოფა:

- A.** უნიშნო ფორმები: ჰგონია, სწამს, სძულს, ჰქვია და სხვ. ამ ფორმებს არც ქცევის ნიშანი გააჩნიათ და არც ამ კატეგორიის შინაარსი.
- B.** ნიშნიანი ფორმები: იცის, უყვარს, აქვს, ახსოვს და ა. შ. ასეთ ზმნებს ქცევის ნიშანი მოეპოვებათ, მაგრამ არა აქვთ საოპოზიციო ცალები, და ამდენად, არც ქცევის გაგება არ გააჩნიათ. ვფიქრობთ, რომ უფუნქციო ნიშანი ზმნაში არ გაჩნდებოდა და ადგილი აქვს კა-

ტეგორიის ფორმობრივ ან ფუნქციურ ცვლილებებს. ამ აზრს ადასტურებს ზოგი ასეთი ზმნის ფორმებში სხვა ქართველურ ენებთან შეპირისპირებით აღდგენილი ქცევის საოპოზიციო ცალის ფორმა და ფუნქცია: ვიცი/იცი – მიხა/ხიხა (სვან.), მიჩქუ/უჩქუ (მეგრ.)

6. ზოგჯერ ვერსიის მარკერებს აქვთ საპირისპირო მნიშვნელობა.

A. სუბიექტურ პირის ნიშნებთან კომბინაციაში ი- პრეფიქსი სუბიექტური ვერსიის ნიშანია, ზოგჯერ იგი გამოდის როგორც ნეიტრალური ვერსიის ნიშანი ფორმებთან: ვიმალები, ვიცინი, ვიკივლე და ა.შ. რეფლექსურობის სემანტიკაა წარმოდგენილი ერთპირიან ფორმებში ვიმალები, ვიფარები, ილოცება, იწყევლება და სხვ. ასევე დებონენსებთანაც რეფლექსივობის შინაარსს გადმოსცემენ ხმოვანპრეფიქსები - ეძინება, ეცინება და ა. შ. [შანიძე 1980:296, ჯორბენაძე 1983:99].

B. გარდაუვალ ზმნებში ე- პრეფიქსი ობიექტური ვერსიის ნიშანია: ვემალები, ვეფარები ტიპის ფორმებში ე- პრეფიქსი გვიჩვენებს კონსტრუქციაში ირიბი ობიექტის არსებობას [ჯორბენაძე 1983:18]. მაგრამ დებონენსებში ანუ განწყობის ვნებებში არის ნეიტრალური ფორმები ყოველგვარი ირიბი ობიექტის გარეშე: ეცინება, ეტირება, ეძინება, ეწევა, და სხვ. [შანიძე 1980:296, ჯორბენაძე 1983:99, დამენია 1982:83-85].

7. ზოგი ზმნა წარმოქმნის ფორმალურ ოპოზიციას, მაგალითად, ვასმენ-ვისმენ ვუსმენ ოპოზიცია გარეგნულად ისევე გამოიყურება როგორც ვაშენ-ნებ-ვიშენებ-ვუშენებ ოპოზიცია.

(17) ვასმენ (მე მას მას)

ეს არის სამპირიანი კაუზატიური ფორმა.

(18) ვისმენ (მე მას)

ეს არის ორპირიანი გარდაუვალი ფორმა, სუბიექტური ვერსია, რომელიც ხშირად გაგებულია როგორც ნეიტრალური ფორმა [ბოედერი 2003:37-38].

(19) ვუსმენ (მე მას)

ეს არის ორპირიანი გარდაუვალი ფორმა, ობიექტური ვერსია, მაგრამ ამ ოპოზიციას უნდა ჰქონოდა ობიექტური ვერსიის სამპირიანი ვარიანტი. წარმოდგენილ ფორმას კი აქვს უფრო ინტროვერტული შინაარსი.

8. არის იშვიათი სამპირიანი ფორმები ე- პრეფიქსით:

(20) ე-დავებ-ა

(21) ე-ხვეწებ-ა

(22) ე-ვედრებ-ა

(23) ე-სესხ-ა

ამ ფორმებს ვერსიის გაგება არა აქვთ [დამენია 1982:85].

9. სტატიკურ ვნებებში ზოგჯერ ე- პრეფიქსი არის სუბიექტური და ობიექტური ქცევის ნიშანი მყოფადსა და აორისტში [ნებიერიძე 1976:142-143].

(24) ვ-წერ-ებ-ი

(25) გ-წერ-ებ-ი

(26) ვ-წერ-ე

(27) გ-წერ-ე

ფორმები ვ-წერ-ებ-ი და ვ-წერ-ე არის სუბიექტური ვერსიის ფორმები, ხოლო გ-წერ-ებ-ი და გ-წერ-ე არის ობიექტური ვერსიის ფორმები. აქ მხოლოდ პირის ნიშნები განასხვავებენ ქცევას, ისევე როგორც ეს გვაქვს იპრეფიქსის შემთხვევაში.

10. ზოგჯერ არის მხოლოდ სუბიექტური და ობიექტური ფორმების იშვიათი ზმნური ოპოზიცია სათანადო ნეიტრალური ფორმის გარეშე:

სუბიექტური ვერსია

(28) ამო-ი-სვამს წამალს ყელში

ობიექტური ვერსია

(29) ამო-უ-სვამს წამალს ყელში

ნეიტრალური ფორმები კი არ არსებობს [ჩიქობავა 1950:059].

მესამე სერიაში ხდება სხვადასხვა კატეგორიათა შეხვედრა, რაც პოლიფუნქციური ხმოვანი პრეფიქსებით ჯეროვნადაა გადმოცემული ზმნის მორფოლოგიაში. ეს პოლიფუნქციური აფიქსები კონკრეტულ სინთეტურ სემანტიკაზე მიუთითებენ.

## ლიტერატურა

**ბოდერი 1968** – Boeder, Winfried. „Über die versionen des Georgischen Verbs“. *Folia Linguistica*. #2, 1968. pp. 82–152.

**ბოდერი 2003** – Boeder, Winfried. “The South Caucasian languages”. Universita’t Oldenburg, Fakultät 3, Oldenburg 26111, Germany. (Received 16 June 2003; accepted 16 June 2003) ELSEVIER. *Lingua* 115 (2005) 5–89 <http://www.uni-jena.de/unijenamedia/Downloads/faculties/phil/kaukasiologie/South%2BCaucasian-EGOTEC-9fffqimr809oq8vdmg80eckr6.pdf> (accepted 1 June 2012).

**დამენია 1982** – მერი დამენია, ქართული ზმნის სტრუქტურული მოდელები. თბილისი.

**დამენია 2003** – მერი დამენია, „ვერსია (ანუ ქცევა) როგორც ქართული ზმნის გრამატიკული კატეგორია“ *ენათმეცნიერების საკითხები №1*. თსუ, თბილისი.

**ერთელიშვილი 1965** – ფარნაოზ ერთელიშვილი, „ქცევის კატეგორიისათვის ქართულში“, *თსუ შრომები №114*. თბილისი.

**მაჭავარიანი 1987** – მიაა მაჭავარიანი, ქცევის კატეგორიის სემანტიკა, თბილისი.

**მახარობლიძე 2009** – თამარ მახარობლიძე, ლინგვისტური წერილები ტ. I, წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის საქართველოს საპარტიარქოს უნივერსიტეტი, თბილისი.

**მახარობლიძე 2010** – თამარ მახარობლიძე, ლინგვისტური წერილები ტ. II, წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის საქართველოს საპარტიარქოს უნივერსიტეტი, თბილისი.

**ნებიერიძე 1976** – გვი ნებიერიძე. „ქცევის კატეგორია ქართულში“, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ელს №4*. თბილისი.

**როგავა 1942** – გიორგი როგავა, „კუთვნილებითი აფიქსი ი ქართველურ ენათა ზმნისა და სახელის მორფოლოგიურ კატეგორიებში (ქცევასა და ბრუნვაში)“, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ.3 №2*. თბილისი.

**უთურგაიძე 2002** – თედო უთურგაიძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში. ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი.

**ქავთარაძე 1954** – ივანე ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიებისათვის ქართულში. თბილისი.

**შანიძე 1980** – აკაკი შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი III. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. მორფოლოგია თსუ, თბილისი.

**შანიძე 1926** – აკაკი შანიძე, „ქართული ზმნის საქცევი“, *თსუ მოამბე, ტომი VI* (ფრანგული რეზიუმეით – Versions du verbe Géorgien. pp. 334-338), თბილისი.

**ჯორბენაძე 1983** – ბესარიონ ჯორბენაძე, ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში. თსუ, თბილისი.

**ჰარისი 1981** – Harris, Alice C. Georgian syntax: a study in relational grammar. Cambridge: Cambridge University Press.

## TAMAR MAKHAROBLIDZE

### Irregular forms of the category of version

#### S u m m a r y

According to the words of Alice Harris “Georgian has sometimes been described as a language that is 'totally irregular', where the notions of 'subject', 'object' and 'indirect object' have no relevance.” (Harris 1981) Of course like the other Georgian verbal systems the system of version has its irregular forms. The existence of a few anomalies together with the regulations is considered as a normal fact in any language. These irregular forms are asymmetries towards the language system. The category of version has the following peculiarities:



- The difference between transitive and intransitive verbs by the category of version is systemic.
- The verbs that lack some forms of version. There are the two groups of such verbs: (a) The lack of the forms inside the one row of conjugation with the missing opposition forms of version, and (b) the lack of the forms in the verbs that are missing the forms in the conjugation paradigm.
- The tri-personal verbs also lose the meaning of version in the forms of the third series. When version creates new forms of conjugation rows, having the function of inflexion affixes in the verbal forms, then these affixes lose their primary possessive-destination meaning.
- Sometimes there are two indirect objects in these verbs.
- The poly-semantic forms of version.
- The verbs without the category of version: (a) the forms without the markers of version, and (b) the forms with the markers of version.
- The markers of version showing the opposite meanings.
- Some verbs create the formal opposition.
- A few rare forms of the verbs.

Meeting of the different categories and the different semantics in the III series is well-exposed by the poly-functional prefixes. The prefix vowels in Georgian verbs are poly-personal affixes with synthetic semantics outlining concrete semantics in concrete morphological forms and this fact is breaking the frames of agglutination.

სალომე ოშიაძე

**დისკურსული კომპეტენციის დეფიციტი  
პოლიტიკურ რიტორიკასა და მასმედიის ენაში**

თანამედროვე ადამიანთა ენობრივი ცნობიერების გაღარიბებისა და კომუნიკაციური ქცევის დამდაბლების მიზეზად მასობრივი კულტურის გავლენას ასახელებენ. მასობრივი კულტურა ენობრივი თვალსაზრისით შემდეგნაირად შეგვიძლია დავახასიათოთ: სიტყვიერად გამოხატულ რეაქციებში უმართებულოდ არის წინ წამოწეული ემოციური კომპონენტი, რასაც, თავის მხრივ, რაციონალური კომპონენტის რედუქცია მოსდევს. მართალია, ემოცია ენობრივი პროცესების საყრდენს წარმოადგენს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის პრინციპული სხვაობა, რომელიც მართულ, კულტურის ფარგლებში მოქცეულ ემოციასა და ბიოლოგიურ ემოციას შორის არსებობს. ბიოლოგიური ემოციების უმართაობა, მათი კორექტირების გარეშე გამომჟღავნება ქცევისა და მეტყველების დაბალ კულტურაზე მიუთითებს.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღნიშნული მოვლენა ბრბოს ქმედების სპეციფიკურ ნიშნად მიიჩნევა, უცხო არ არის ქართული პოლიტიკური რიტორიკისა და მასმედიის ენისთვის. ქვემოთ მოვიყვანთ გამონათქვამებს, რომლებიც, თუ მათი არტიკულაციის ქრონოლოგიას აღვადგენთ, საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეზე დაბალი თანამდებობის პირებს არ ეკუთვნიოთ: „ეს ხალხი არის ამაზრზენი მოვლენა! ... ეს ხალხი [ინტელიგენცია] ჩაირეცხა და ჩაირეცხება ბოლომდე!“; „თქვენს სისხლს დავლევ, პირდაპირ გეუბნებით!“; „ეს ნაძირალები! ... თქვე ნაძირლებო ... სულს ამოგხდით მაგისთვის!“ . ამ სიტყვების ანონიმურად მოხმობის მიუხედავად, ყველა ამოიცნობს მათს ავტორებს, რომლებიც ხელისუფლების მაღალ ეშელონებს მიეკუთვნებიან, მათი ადრესატები კი ის ადამიანები არიან, რომელთა უფლებების დაცვა და კეთილდღეობაზე ზრუნვა ადრესანტების კეთილ ნებასა და სურვილზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ მათი მოვალეობაა. როგორც ასაკობრივად განსხვავებულ ჯგუფში უფროსია უმცროსისათვის მაგალითის მიმცემი, ასევეა სოციალურსა თუ პოლიტიკურ იერარქიაში. უამრავი კონტექსტის დამოწმება შეიძლება, რომელშიც ძველი თუ ახალი მთავრობის წარმომადგენლები „ტოლს არ უდებენ“ ერთმანეთს ზიზლის გამოხატვაში. მათ არც ჟურნალისტები და ის რიგითი მოქალაქეები ჩამორჩებიან, რომელთა ვერბალური შეფასებებიც მასმედიურ დისკურსში ხვდება.

ბოლო რამდენიმე წელია, რაც წარმოებს მონიტორინგი ქართულ მედიაში „სიძულვილის ენის“ გამოყენების შემთხვევათა გამოსავლენად. ამ ტიპის კვლევები მიზნად ისახავს ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების მიმართ გამოთქმულ შეურაცხმყოფელ სიტყვათა თუ კონტექსტთა აღმოჩენასა და სათანადო რეაგირებას. დასახელებულ კვლევათა შედეგები სულ სხვაგვარ ინტერპრეტაციას დაექვემდებარებოდა, გათვალისწინებული რომ ყოფილიყო ინვექტივის, როგორც ნებისმიერი სიტყვიერი აგრესიის გამოვლინება თანამედროვე ადამიანთა მეტყველებაში (ომიაძე 2009: 183-193). ინვექტივის, როგორც ლინგვისტური მოვლენის ფართო რაკურსით კვლევა დაგვანახებდა, რომ ადრესატთა ფოკუსირებული ჯგუფი სტატისტიკური ერთეულია მხოლოდ და პრობლემას აგრესიის ადრესანტის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და დისკურსული კომპეტენციის დეფიციტი წარმოადგენს. ამის ნათელი დადასტურებაა ის კონტექსტები, რომლებშიც ე. წ. ვერბალური აგრესორები ისევე „ამკობენ“ იდენტური ეთნიკური, რელიგიური თუ სექსუალური კუთვნილების ადამიანებს, როგორც განსხვავებულთ. ნათქვამის საილუსტრაციოდ კომუნიკანტთა ანონიმურობაზე უარის თქმა გვიწევს: „უგულავამ თავის ბინძურ ენას კბილი დააჭიროს!“ (ს. ჯაჭვლიანი); „მომავალშიც არ არის გამორიცხული სააკაშვილის მსგავსი იმბეცილი ტირანების ხელისუფლების სათავეში მოსვლა“ (ალ. შალამბერიძე); „ეს ხალხი [ჯ. ბალათურია და მისი თანაფრაქციელები] ცდილობს დაბრუნდეს საქართველოს მთავრობაში, რომ ხელახლა ძარცვონ საქართველო და მოაჯდნენ მას თავზე სისხლისმწოველებად ... ესენი ფარჩაკი, სულელი, ბრიყვი ხალხია, რომელთაც არაფერი ესაქმებათ ხელისუფლებაში“ (მ. სააკაშვილი); „ტალახში გორაობა თქვენი ბუნებრივი მდგომარეობაა. ახლა მანდატურებს ვთხოვ და გაგყვებიან, ჩაგაწვენენ ნამდვილ ტალახში ბოლომდე, კარგად დაგზილავენ, როგორც საჭიროა და გაგივლის ეს ფანტაზია“ (მ. სააკაშვილი ჯ. ბალათურიას) და სხვა მრავალი. მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს — ინგლისური ენის ცოდნის აუცილებლობისკენ მუდმივ მოწოდებას გუბაზ სანიკიძე ტელეინტერვიუში გამოეხმაურა: „... რატომ არის ამოჩემებული ეს ინგლისური? ... ვიღაც ტვინნარძობმა მიმისტმა შეიძლება თქვას, ჩვენ ხომ ევროპაში შევდივართ. ჯერ ერთი, ევროპამ უზარმაზარი ბოქლომი დაგვიდო თავის კარზე და მეორეც — ევროპაში მთავარი ენები დღეს არის გერმანული და ფრანგული“; სანიკიძის ამ სიტყვებს ქვეყნის პრეზიდენტმა „თავისუფალი უნივერსიტეტის“ სტუდენტებთან შეხვედრის დროს შემდეგნაირად უპასუხა: „ერთი თავგასიებული რამდენიმე დღის წინ რომელიღაც არხზე იძახდა, რომ სამი ათასი წელი ქართველებს არ დასჭირვებიათ ინგლისური და რაში უნდა დასჭირდეთ ახლაო“. ამ რამდენიმე საკომუნიკაციო სიტუაციის ანალიზიც ცხადყოფს, რომ კორექტულობას ვერც ერთი მხარე ვერ დაიჩემებს.

პოლიტიკურ დისკურსსა და მასმედიის ენაში აგრესიის ვერბალიზაციაზე დაკვირვებით შეურაცხმყოფელ კონტექსტებში ზოონიმთა ინტენსიური გამოყენების ტენდენცია გამოვლინდა. დავასახელებთ ბიომორფული კოდის

განმახორციელებელ შესიტყვებებს: „ჭორვილელი პინგვინი“, „ჭორვილელი თახვი“, „ქართული ოცნების დედა ბუ“, „ბებერი მელა“, „თეთრი მელა“, „დაღლილი ვირი“, „კურდღელი პრეზიდენტი“, „ნეხვის ხოჭო“, „გაუმძღარი ღორები“, „საქართველოს წურბელები“, „ნაცმოძრაობის ვირთხები“ და სხვ. ჩამოთვლილი სინტაგმები, შეიძლება ითქვას, უკვე ფეხმოკიდებულია თანამედროვე დისკურსში. ქვემოთ მოვიყვანთ რამდენიმე კონტექსტს, რომლებიც, აგრესიის მაღალ ხარისხთან ერთად, უჩვეულო ზოონიმთა ხმარებითა და ცხოველთა სახელებით შექმნილი უცნაური მსგავსებითი შედარებებითაც გამოირჩევა: „მამღარი პითონი რომ არის ბოკერია და მისი ცოლი — მანგუსტა, მაგათი „ტაბულა“ თუ რალაც ჯანდაბა ვის უნდა დღეს საქართველოში“ (რ. ამაშუკელი); „ნატოს ფინია-პუდელმა მარიონეტმა, სააკაშვილმა, საკუთარი სისხლიანი სკამის შენარჩუნებისათვის ავღანეთში სასაკლაოზე შესაწირად გაამგზავრა ათასობით ქართველი ახალგაზრდა“ (შ. ნათელაშვილი); „რამდენიმე დღის წინ ტელევიზიით ვნახე ბათუმში, როგორ იღო მაგიდაზე სახალადეცე ღორის თავი — წიკლაური, გვერდით ჰყავდა მისკუბებული ნასოსით გაბერილი გაცვეთილი დემაგოგი, ჰალსტუხიანი ხვლიკის ადიუტანტი ახვლედიანი...“ და სხვ.

მოხმობილი მაგალითები, ცხადია, პირადი საუბრებიდან არ ამოგვიკრებიან, ყოველი მათგანი ბეჭდურ მედიასაშუალებებში ამოვიკითხეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ოფიციალურ კომუნიკაციურ სიტუაციებს განეკუთვნება. სოციუმის ნორმალური არსებობა შეუძლებელია ურთიერთობის მაღალი და დაბალი რეგისტრების გარეშე, რომლებიც განკუთვნილია საკრალური და პროფანული კომუნიკაციური სიტუაციებისათვის. საკრალური სფერო მხოლოდ რიტუალურს არ გულისხმობს, იგი ოფიციალურ სიტუაციებსაც აერთიანებს. თანამედროვეობაში კი ოფიციალური სიტუაციების დესაკრალიზაციას იქამდე მივყავართ, რომ ოფიციალურ ნორმად იქცევა ნეიტრალურ-სასაუბრო, ზოგჯერ კი მდარე სასაუბრო რეგისტრი.

ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში პოეტი რეზო ამაშუკელი ამბობს: „მოგეხსენებათ, მე ვაკეთებ ხანდახან მეტაფორულ შედარებებს, მაგრამ ეს არის ჩემი, როგორც პოეტის საქმე და როცა ვინმეს მიმართ მწარე-მწარეებს ვლაპარაკობ, პირველ რიგში, სულიერ სიმახინჯეს ვგულისხმობ, თორემ არც ჩვენ ვართ ავთანდილები და აპოლონ ბელვედერელები“. პოეტის სიტყვები რომ გავიმეოროთ, „მწარე-მწარეების“ თქმა არავის არ ეკრძალება. აქ კვლავ დისკურსული კომპეტენციის საკითხი დგება. რადგან საჯარო გამოსვლა ურთიერთობის მაღალ რეგისტრს განეკუთვნება, გამომსვლელს ვერბალიზებული აზრის შინაგანი რედაქტირება უნდა შეეძლოს. სპონტანური კომუნიკაციური ქმედებები, თვითკონტროლის ჩვევის უქონლობა ან მისი განზრახ უგულებელყოფა კულტურული კომუნიკანტის მახასიათებლებად ვერ ჩაითვლება.

თავაზიანი მეტყველების ქართულ ტრადიციასთან დიდ კონტრასტს ქმნის თანამედროვე საჯარო დისკურსის ინვექტიურ-ობსცენურობა. ბილწის-ტყვაობის ნიმუშებს ვერ წარმოვადგენთ არა იმიტომ, რომ მათი მოძიება გა-

გვიჭირდა, არამედ მათი უკიდურესად უხამსი შინაარსი არ გვაძლევს ამის საშუალებას. სკაბრეზული გამონათქვამების სიჭარბე, გარდა იმისა, რომ ვერბალურ აგრესიას ამძაფრებს, ეფემერიზაციის მომლაზვე მიუთითებს, რაც, თავის მხრივ, დაბალი დისკურსული კომპეტენციის ნიშანია იმიტომ, რომ ქართულში ეფემერიზაციის არაერთი ენობრივი საშუალება არსებობს.

თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში აუდიტორიის გაცემა ერთ-ერთ მთავარ მახასიათებლად იქცა. იგივე უნდა ითქვას პოლიტიკურთან გადაჯაჭვულ მასობრივ-საინფორმაციო დისკურსზეც, რომლის ძირითადი ფუნქცია ინფორმირების საშუალებით ზემოქმედებაა. აღნიშნული ინფორმირების ხერხები შესაქცევ-გასართობ ხასიათს იმთავითვე გულისხმობს, მაგრამ შექმნილი ვითარების ანალიზი ცხადყოფს, რომ მომხმარებლის, კონკრეტულ შემთხვევაში — მკითხველის, მსმენელის, მაყურებლისა თუ მთლიანად ელექტორატის მისამხრობად გაჩაღებული პოლიტიკური თუ მასმედიური თამაშები არცთუ უწყინარია ენის სიწმინდისა და განვითარების თვალსაზრისით.

საგანთა და მოვლენათა აღწერის სიზუსტე დისკურსის ტიპზე, კომუნიკაციური სიტუაციის რავგარობაზეა დამოკიდებული. თუ პირველადი სამეტყველო ჟანრები კონსიტუაციურია და მათი საგნობრივი შინაარსი უმეტესად დაკვირვების შედეგია, რაც, თავის მხრივ, ამ შინაარსის ცვალებად ხასიათს განაპირობებს, მასმედიის ენაში, განსაკუთრებით კი პოლიტიკური დისკურსის ამსახველ უბანზე, ნათელი და სტაბილური მნიშვნელობის მქონე ენობრივი ერთეულები უნდა ჭარბობდეს. თუმცა ჩვენი საანალიზო მასალა საპირისპიროს მოწმობს. საგრძნობლად გაზრდილია ეპინომურ კონცეპტთა ხმაურება. ეპინომები ის საზრისებია, რომლებშიც საგნობრივი მნიშვნელობა რედუცირებულია, ემოციურ-შემფასებლური შინაარსი კი ჰიპერტროფირებული (კარასიკი 2010: 93). ეპინომებია, მაგალითად, „თავისუფლება“, „დემოკრატია“, „ომი“, „მშვიდობა“ და სხვ. დასახელებული კონცეპტები განსხვავებულ აზრს იძენენ როგორც სხვადასხვა ტიპის დისკურსებში — სამეცნიეროსა თუ ყოფითში, პოლიტიკურსა თუ მხატვრულში, ასევე განსხვავებულია მათი მნიშვნელობა სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელთა ცნობიერებაში. ეპინომები სემანტიკური დიფუზურობის მაღალი ხარისხით გამოირჩევიან, რასაც პოლიტიკოსები ხშირად მანიპულირებისთვის იყენებენ.

მასებზე ზემოქმედებისათვის მიმართავენ აგნონიმებსაც, ანუ ენის ლექსიკურ და ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რომლებიც უცნობი, გაუგებარი ან ბუნდოვანია ადრესანტთა უმრავლესობისათვის. აგნონიმის მაგალითად უკანასკნელ ხანს მოდურად ქცეულ „კოპაბიტაცია“ — „კოაბიტაცია“ დავასახელებთ და აქვე ვიტყვი, რომ აგნონიმების ვერგაგება, შეტყობინების ბუნდოვანების გარდა, ერატივების ანუ უმართებულო წარმოთქმისა და დაწერილობის მქონე ერთეულების წარმოშობასაც იწვევს. სპეციალურ ტერმინთა გარდა, აგნონიმები დიალექტურ ან არქაულ ლექსიკასაც შეიძლება წარმოადგენდნენ. ქალაქის მერის მიერ მთავრობის მიმართ დასმულ რიტორიკულ კითხვაში ნახსენები

„ჩუკენობა“ სწორედ ამის მაგალითია. უგულავას განზრახვა ეპატაჟური იყო. მან მიაღწია კიდევ საწადელს, თითქმის მთელი საზოგადოება დიდხანს განიხილავდა ამ აგნონიმით გამოწვეულ შოკს. ძველი ქართული ენის ლექსიკონში „ჩუკენი“ განმარტებულია როგორც „ლბილი“, ჯაბანი, გულდელაღი, მხდალი; სიჩუკენ კი, შესაბამისად, სიჯაბნედ არის მოხსენებული (აბულაძე 1973: 513; 396). მაგრამ საზოგადოებამ ეს სიტყვა არანორმატიული ლექსიკის გამოყენებად შეაფასა, რადგან იგივე ერთეული რელიგიურ დისკურსში ხორციელ ცოდვათაგან ერთ-ერთს, ონანიზმს აღნიშნავს. ვფიქრობთ, უგულავამაც სწორედ უკანასკნელი მნიშვნელობით იხმარა ეს სიტყვა, რის საფუძველსაც თვით კონტექსტი გვაძლევს, რომელსაც უცვლელად დავიმოწმებთ: „ამ მთავრობასთან დიალოგი პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ რიტორიკულ კითხვას დავსვამ: როდის დაამთავრებს ახალი მთავრობა აი, ამ ჩუკენობას და როდის გადავა რეალური საქმის კეთებაზე?!“.

ამგვარად, კვლევამ გვიჩვენა, რომ თანამედროვე მასობრივი კულტურის გავლენით კომუნიკაციური კომპეტენციის საერთო დონემ დაიწია, შეინიშნება პერიფერიული კომუნიკაციური პრაქტიკის ცენტრალიზაციის ტენდენცია — გამონათქვამის ემოციური შინაარსის წილის გაზრდა რაციონალური შინაარსის წილთან მიმართებით და მეტყველების უკიდურესი ვულგარიზაცია. დისკურსული კომპეტენციის დეფიციტი გამოვლინდა აგრეთვე ლექსიკური ფონდის გაღარიბებასა და გრამატიკულ საშუალებათა გამარტივებაში, რის დოკუმენტურად წარმოდგენასა და ანალიზს ჩვენს შემდგომ ნაშრომებში ვაპირებთ.

### ლიტერატურა

**აბულაძე 1973** — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

**კარასიკი 2010** — В. И. Карасик. Языковая кристаллизация смысла. Москва.

**ომიაძე 2009** — ს. ომიაძე, ქართული დისკურსის კულტუროლოგიური პარადიგმა, თბილისი.

**SALOME OMIADZE**

**Deficit of discursive competence in political  
rhetoric and mass media language**

**S u m m a r y**

The study revealed that the overall level of discursive competence has been lowered under influence of contemporary mass culture. There is observed tendency of peripheral communication practice centralization – in the verbally expressed reactions the emotional component is unjustly put forward, that, in turn, is followed by reducing of the rational component.

The extreme invective and obscene character of political rhetoric and mass media language makes a great contrast with Georgian tradition of polite speech. Abundance of scabrous sayings, besides of exasperation of verbal aggression, indicates to the disconcertment of euphemization, that, in turn is a sign of low discursive competence.

The deficit of discursive competence is also manifested by depletion of vocabulary and simplification of grammatical means.

კატერინე ოსიძე

**აფხაზური აძე „წყალი“ ფუძის წარმომავლობისა და  
ქართული ზღვა, სვანური სვიმ „მჟაფე წყალი“  
ფუძეთა აგებულებისათვის**

„წყლის“ აღმნიშვნელი აფხაზური აძე ფუძე შესატყვისს ვერ პოულობს მონათესავე აფხაზურ-ადილურ ენებში. „წყლის“ აღმნიშვნელ საერთო აფხაზურ-ადილურ ფუძედ ფსგ ითვლება, რომელიც აფხაზურში ამ მნიშვნელობით არ ჩანს, მაგრამ შემორჩენილია მთელ რიგ რთულ ფუძეებში, განსაკუთრებით, ტოპონიმებსა და ჰიდრონიმებში: ააფსგ, ლაშფსგ, ახგფს ... აფსთა „ხეობა“ ... აფსლგ „წყავი“, „წყლის ძალი“; აფსაწლა „სოჭი“, „წყლის ხე“.

ნიკო მარის ცნობით, ლ. ლოპატინსკი აძე ფუძეს ვარაუდობდა ადილეთა თვითსახელწოდების ადილე-ს შემადგენლობაში. ლოპატინსკის აზრით, ადილე ← \*აძელე ფორმიდან მომდინარეობს და ეტიმოლოგიურად „ზღვისპირელს“, „ზღვისპირეთის მკვიდრს“ ნიშნავს. მარი არ იზიარებს ამ ეტიმოლოგიას; არ ეთანხმება არც იმ თვალსაზრისს, რომ ეს ტომები იმთავითვე ზღვისპირად სახლობდნენ (მარი 1912: 700, შენიშვნა 6). სხვა შემთხვევებში აძე „წყლის“ აღმნიშვნელი ფუძე ადილურ ენებში არ ჩანს.

ამის გათვალისწინებით შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ აძე ფუძე არ არის აფხაზურ-ადილურ ენათა კუთვნილება და სხვა ენობრივი სამყაროდან არის აფხაზურ-აბაზურში შესული.

აფხაზური აძე „წყალი“ ფუძის აგებულების შესახებ საინტერესო დაკვირვება მოეპოვება ივანე ჯავახიშვილს. მისი დაკვირვებით, აფხაზური ა-ძე ა-ძან ფორმიდან მომდინარეობს. ამ ვარაუდს ის სათანადო ზმნური ფორმებით ადასტურებს. ეს არის რთული შედგენილობის ზმნური ფუძეები, სადაც სიტყვა აძე „წყალი“ მონაწილეობს, როგორც ფუძე-წინდებული, მაგრამ უკვე ძაა ფორმით. ივანე ჯავახიშვილის აზრით, აძე ← აძაა ფუძეს ზოგადად სითხის მნიშვნელობა აქვს. მისი მაგალითებია: სგძანფშლჟეიტ „მე წყალში ვიცქირები“; აქლაად აძე იძანსნიტ „ქალაქი ღვინოში ჩავდე“ (ჯავახიშვილი 1950: 40-41). ბაგრატ ჯანაშიას „აფხაზურ-ქართული ლექსიკონიდან“ სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლება: აძაკრა „წყალში ან საერთოდ სითხეში ჭერა, დაკავება“; აძაარგლარა „წყალში ან საერთოდ სითხეში ჩაყენება, ჩადგომა“; აძაარტალარა



„წყალში ან საერთოდ სითხეში ჩასმა“; **აძარყურლარა** „ჩაძირვა“; **აძაფსალარა** „სითხეში ჩაცვენა, ჩაყრა“; **აძაწარა** „წყალში ან საერთოდ სითხეში ჩადება“ და ა. შ. (ჯანაშია 1954).

ივანე ჯავახიშვილი, გარდა იმისა, რომ აფხაზური **აძგ** „წყალი“ ფუძის ძველ სახეს **აძან**-ს აღადგენს, მის ქართულ შესატყვისად **ვეძა**-ს „მჟავე წყალი“ მიიჩნევს: „აფხაზური ძველი **ძან** და მერმინდელი და თანამედროვე **ა-ძე** და **აძგ** უეჭველია იმავე ძირის სიტყვაა, როგორც ქართული **ვეძა**-ა“ (ჯავახიშვილი 1950: 40).

აფხაზური **აძგ** ← **აძა** ფუძე, რომელიც რეალურად არის წარმოდგენილი რთული ზმნების შემადგენლობაში, მისი აგებულების შესახებ გარკვეული ვარაუდების წარმოდგენის შესაძლებლობას იძლევა. კერძოდ, გასათვალისწინებელია აფხაზურისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესი, კანონზომიერება, რომელიც ქეთევან ლომთათიძეს აქვს დადგენილი. ამ კანონზომიერების მიხედვით, ორი **ა** აფხაზურში, რომელიც აფხაზურ ფუძეებში საკმაოდ გავრცელებულია, როგორც წესი, მიღებულია ლარინგალური მჟღერი **ჟ** სპირანტის დაკარგვის შედეგად (ლომთათიძე 1977: 25).

ლარინგალური მჟღერი **ჟ** სპირანტი დადასტურებულია აფხაზურის ტაპანთურ დიალექტში და, როგორც წესი, **ა** ხმოვანთან ერთად არის წარმოდგენილი. ამ ლარინგალური **ჟ** სპირანტის დაკარგვის შედეგად აფხაზურის პირაქეთა დიალექტებში ვიღებთ ორ **ა**-ს, **აა**-ს. ამ ფონეტიკური კანონის გათვალისწინებით შეგვიძლია დავუშვათ, რომ აფხაზური **აძგ** ← **აძა** მომდინარეობს **\*ა-ძაჟა** ფორმიდან.

ქეთევან ლომთათიძესვე აქვს დადგენილი სხვა კანონზომიერებაც, რომლის მიხედვით აფხაზურის მჟღერი **ჟ** ლარინგალის შესატყვისად ადილეურში მჟღერი ფარინგალური **ღ** სპირანტი გვხვდება. ეს ბგერათფარდობა ტაპანთური **ჟ** : ადილეური **ღ** ქეთევან ლომთათიძეს დადასტურებული აქვს ქართულიდან აფხაზურში შესულ ფუძეებშიც. მეგრული **ღალიძგა** (მდინარის სახელწოდება, „ღელის პირი“) აფხაზურში **აღლძგა** ფორმით არის წარმოდგენილი (ლომთათიძე 1955: 822). ჩვენი აზრით, ამ ბგერათფარდობის (აფხ. **აა** ← **ჟა** : მეგრ. **ღა**) კიდევ ერთი მაგალითია მეგრული **ღანდა** „ღობე“ ფუძე, რომელიც აფხაზურში **ანდა** ← **ჟანდა** ფორმით გვხვდება და მეგრულში აფხაზურიდან უნდა იყოს შესული. ასეთივე ბგერათფარდობა დასტურდება ქართულიდან აფხაზურში შესულ არაქართული წარმოშობის სიტყვებში: **ქაღალდი**, არაბული სიტყვაა, რომელიც აფხაზურში **აქლაად** ფორმით გვხვდება: **აქლაად** ← **\*აქლაად** ← **\*აქაღალდ**. ასევე **ბაღლამ** ფუძე აფხაზურში **აბლაამ** ფორმით არის ქართულიდან შესული: **აბლაამ** ← **\*აბლაამ** ← **\*აბაღლამ** და ა. შ..

ამ პროცესის გათვალისწინებით, აფხაზური **აძგ** ფუძე და აფხაზური ზმნის ფორმებში დადასტურებული **ა-ძაა** და აღდგენილი **\*ა-ძაღა** ← **\*აძაჟა** ფუძის ქართული შესატყვისი იქნებოდა **\*ძღა||ძაღა**.

ცხადია, დგება საკითხი, ხომ არ არის აფხაზური **\*აძაჟა||\*აძღა** ქართული **ზღუა**, მეგრულ-ჭანური **ზოღა||ზუღა** და სვანური **ზუღვა||ძუღვა** საერთოქართველური ფუძის ამსახველი აფხაზური შესატყვისი. სემანტიკური

დაბრკოლება აქ არ გვაქვს: **ზღვა** → **წყალი** [ამ მხრივ საინტერესოა საბა-სულხან ორბელიანის განმარტება „წყალი“ ფუძისა: „წყალი ეწოდების ზღვასა, ტბასა, მდინარესა, წყაროსა, ფშასა, ჟურღმულთა, წვიმათა და თოვლისა ნადნობთა ...“ (ორბელიანი: 1928)]. აღდგენილი **\*ძალა** ← **\*ძაჭა** ფუძე სამეგრელოს ტობონიმებსა და ჰიდრონიმებში დაგვიდასტურა პაატა ცხადაიამ: **ძალა** — მდინარე ჟუმას შენაკადი და **ძალუაშკარი** — ხიდის სახელი.

დაბრკოლებას **\*აძლა||\*აძჭა** და საერთოქართველური **ზღუა||ძუღვა** ფუძეთა დაკავშირებისთვის ის ქმნის, რომ ქართველურ **ზღვა||ძუღვა** ფუძეში ლაბიალური **ჟ** ბგერა გვაქვს, რომელიც შესატყვის აფხაზურ **ძა||ძაა||\*აძლა||\*აძჭა** ფუძეში არ ჩანს.

**აძე** „წყალი“ ფუძე აფხაზურში ძალზე ხშირად არის წარმოდგენილი არა მარტო რთული ზმნების შემადგენლობაში, როგორც დამოუკიდებელი ოდენობა, ე.წ. ფუძე-წინდებული, არამედ ის სახელურ სიტყვაწარმოებაშიც, რთული სახელების შემადგენლობაშიც ძალზე აქტიურად მონაწილეობს. ამგვარ სახელთა რიცხვი საკმაოდ დიდია. ოღონდ, თუ ზმნურ ფუძეებში იგი, როგორც წესი, **ძაა** (← **ძაჭა**) ფორმით დასტურდება, სახელთა წარმოებაში, ძირითადად, **ძე**, **ძა**, **ძ** ფორმით გვხვდება. სათანადო მაგალითები ბაგრატ ჯანაშიას „აფხაზურ-ქართული ლექსიკონიდან“ არის ამოკრებილი და საკმაოდ დიდ მასალას მოიცავს:

**აძელაგარა** — წისქვილი („წყლით ფქვა“, ალაგარა — ფქვა, დაფქვა)

**აძეკუტე** გარეული იხვი („წყლის ქათამი“, კუტე — ქათამი)

**აძემანუ** — შენაკადი („წყლის ტოტი“, ამანუ — ტოტი, შტო)

**აფხძე** — ოფლი („თბილი წყალი“, აფხა — თბილი)

**აძემკას** — მდინარე („წყლის გზა“, ამკა — გზა)

**აძერლაშ** — ძლოკვი, ანკარა („წყლის ბრმა“)

**აძერყუანდა** — თბილი წყალი (ყუანდა — თბილი)

**აძეტყუა** — გუბე („წყალი-ტყვე“)

**აძეშორა** — მდინარის კალაპოტი („წყლის კვალი“, აშორა — კვალი)

**აფხძაშა** — შრომაში გამონადენი ოფლი (შდრ. ქართული „სიმწრის ოფლი“)

**აცხარძე** — თაფლიანი წყალი

**აქუარძე** — წვიმის წყალი (აქუა — წვიმა)

როგორც აღვნიშნეთ, „წყლის“ აღმნიშვნელი აფხაზური

რეკონსტრუირებული **\*აძჭა** ფუძე უნდა ასახავდეს საერთოქართველურ **ზღუა**, **ზოლა**, **ძუღვა** ფუძეს. სემანტიკური დაბრკოლება აქ არ გვაქვს. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ქართველური ენების შესაბამის ფორმებში **ჟ||ჟ** ბგერა გვაქვს, ხოლო ამ ფუძეთა მიხედვით აღდგენილ აფხაზურ **\*აძჭა||\*აძჭა** შესატყვისში ლაბიალური **ჟ** არ ჩანს. ჩვენი ვარაუდით, ის დაკარგული უნდა იყოს, მაგრამ შემორჩენილი გვაქვს **აძე** ფუძესთან სემანტიკურად და მასალობრივად დაკავშირებულ ზოგ სიტყვაში: **აცხაძვა** სიტყვასიტყვით ნიშნავს „თაფლიან წყალს“ (აცხა — თაფლი, ძვა — წყალი); ლაბიალური **ჟ** ხმოვნით

არის აძე წარმოდგენილი აფხაზურ აძ<sup>ა</sup>ძ<sup>ა</sup>რა „რეცხვა“ ფუძეში და რთულ ზმნურ ფუძეში აილაძ<sup>ა</sup>ძ<sup>ა</sup>რა „სითხეების ერთმანეთში არევა“ (ჯანაშია 1954).

ქართველურ ენებში ზღვა ფუძე ქართულსა და მეგრულში „წყლის“, „წვიმის“ მნიშვნელობითაც გვხვდება: ქართული ზღველა – კოკისპირული წვიმა; მეგრული ზღველა ჭვიმა. ეგევე ზღვა ფუძე გვაქვს მეგრულ ზღვარ-ზვალი, ძღვანძღვა, აკოდღვანძღვალი „წუწვა, გაწუწვა“ ფორმებში.

ერთი მხრივ, აძე „წყალი“ ფუძის დამოუკიდებელი არსებობა და ძირითადად ამ სახით მონაწილეობა სახელურ სიტყვაწარმოებაში, ხოლო მეორე მხრივ, „წყლის, სითხის“ აღმნიშვნელად ზმნურ ფუძეებში ამ ფუძის ძაა ფორმით წარმოდგენა, აგრეთვე აძე ფუძის აძაა-დან მომდინარეობა და ქართულ ვეძა ფუძესთან დაკავშირება და საერთოქართველურ ზღუა||ძღღვა ფუძესთან კავშირი სვამს საკითხს, არის თუ არა აფხაზური \*ძაძა, ქართული ზღვა||ძღღვა დაუშლელი, ერთი კომპონენტისგან შემდგარი ფუძე.

თუ აძე ფუძე დამოუკიდებელი ოდენობაა, მაშინ, ბუნებრივია, დგება საკითხი, რომ ყველა სხვა შემთხვევაში \*ძაა, \*ძაძა, \*ძაძა ფუძეები, რომლებიც ჩვენ ქართულ (ქართველურ) ზღვა ფუძეს დავეუკავშირეთ, არ იქნება მარტივი აგებულების და ორი დამოუკიდებელი ფუძისგან შედგენილ ერთეულებად უნდა ჩავთვალოთ. ეს ეხება არა მარტო აფხაზურ აღდგენილ ფუძეებს, არამედ ამასთან დაკავშირებულ ქართულ-ქართველურ ზღუა, ზოლა, ძღღუა ფუძესაც და იგი ორი კომპონენტისგან შედგენილ რთულ ფუძედ უნდა მივიჩნიოთ. პირველი კომპონენტი აფხაზურში და ქართულ ვეძაში არსებული ზა, ზო, ძუ, ძა „წყლის“ აღმნიშვნელი ფუძე იქნება. ასახსნელია მეორე კომპონენტი: ღუა||ღვა. ამ შემთხვევაშიც აფხაზურისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესი უნდა გავიხსენოთ, რომელიც ქეთევან ლომთათიძეს აქვს დადგენილი (ლომთათიძე 1955: 823). სიტყვები, რომელთაც ქართულში ღვ კომპლექსი ახასიათებს, აფხაზურ-აბაზურში შო (ჟ) -ით არის გადმოცემული: ქართ. ღვინო – აფხ. აჟ ← შო; ქართული ღვარსი||ღუარი აფხაზურში აჟარ (აშარ) ფორმით არის ასახული. ღვარ ფუძე კი წყალთან არის სემანტიკურად დაკავშირებული, და მაშინ, \*ძაღუა||ზღუა ეტიმოლოგიურად წყალ-ღვარი იქნება (საბასთან ღუარი ასეა განმარტებული: „ღუარი ეწოდების წყალსა წვიმისასა“). შდრ. ღუარცოფი.

რთულ ფუძედ მიგვაჩნია ჩვენ აგრეთვე სვანურში „მჟავე წყლის“ აღმნიშვნელი სგიმ ფუძე. თუ ვივარაუდებთ, რომ სგიმ ფუძე რთულია, აქ ცალკე შეიძლება გამოვყოთ გიმ ფუძე, რომელიც სვანურში „მიწას“ ნიშნავს და ეტიმოლოგიურად უკავშირდება მეგრულ გემ||გიმე „ქვემოთ, ძირს, დაბლა“ ფუძეს, როგორც ამას ქეთევან ლომთათიძე ვარაუდობს (ლომთათიძე 1962). თუ დაუშვებთ, რომ სგ თანხმოდანთა კომპლექსი აქ მეორეულია და ძგ-დან მომდინარეობს სგ ← ძგ (ამ პროცესისთვის შდრ. ქართ. მარჯვენა, მეგრ. მარძგვანი და სვ. ლერსგუენ). აღდგენილ \*ძგიმ||ძაგიმ ფუძეში ძა „წყლის“ აღმნიშვნელი ელემენტია და სგიმ ფუძე ეტიმოლოგიურად „მიწის წყალს“, „მიწიდან ამოსულ წყალს“ ნიშნავს. ამ მხრივ ის უპირისპირდება ზღველა ფუძეს, რომელიც „კოკისპირული წვიმა“, მეგრული ზღველა ჭვიმა.

### ლიტერატურა

**ლომთათიძე 1955** — ქ. ლომთათიძე, ბგერათა პროცესებისა და ბგერათა შესატყვისობების ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XVI, № 10, თბილისი.

**ლომთათიძე 1962** — ქ. ლომთათიძე, წინაენისმიერ სპირანტთა უძველესი სისტემისათვის ქართველურ ენებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXIX, № 2, თბილისი.

**ლომთათიძე 1977** — ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-მედარებითი ანალიზი, I, თბილისი.

**მარი 1912** — Н. Я. Марр, История термина «абхаз», ИИАН, Санкт-Петербург.

**ორბელიანი 1928** — სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით, ტფილისი.

**ჯავახიშვილი 1950** — ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ენოლოგიური პრობლემები, თბილისი.

**ჯანაშია 1954** — ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

### EKATERINE OSIDZE

#### Towards the origin of Abkhazian *აჷა* ‘water’ stem and structure of Georgian *ჟჷვა* and Svan *sgim* ‘carbonated water’ stems

#### S u m m a r y

1. An Abkhazian stem *აჷა* ‘water’ has no correspondence in kindred Abkhaz-Adyghe languages. A stem *psu* is considered to be a common Abkhazian-Adyghe one denoting ‘water’, that is preserved in a certain compound stems, especially in hydronyms.

2. An Abkhazian *psu* stem is originated from *a-ჷაა* stem. In Abkhazian a stem *აჷა* denoting ‘water’ is used with the function of a local preverb and compound verbs are formed by its including in a verb stem. With the function of a local preverb an Abkhazian stem *აჷა* always occurs in the *ჷაა* form.

3. Considering a phonetic process characteristic of Abkhazian, that was established by Ketevan Lomtadze, two *a(aa)* in a stem is secondary and is resulted by a loss of a voiced ? spirant. Taking into account this acting phonetical regularity in Abkhazian, an initial form of a stem *აჷა* < *a-ჷაა* should be *\*a-ჷაა*.

On the other hand, a pharyngeal voiced  $\gamma$  spirant naturally occurs as a correspondent of laryngeal  $\sigma$  spirant in the stems which are entered from Georgian in Abkhazian or vice versa from Abkhazian in Georgian:  $\gamma$ alizga - Abkhazian aalzga < -  $\sigma$ alzga (K.Lomtadze); cf. Megrelian  $\gamma$ anda and Abkhazian aanda //  $\sigma$ anda ‘fence’... With this correspondence in mind, a Georgian \* $\sigma$ ga should be considered to be a correspondence for an Abkhazian  $\sigma$ ga < - \* $\sigma$ - $\sigma$ ga stem.

4. A reconstructed Abkhazian \* $\sigma$ - $\sigma$ ga form denoting ‘water’ should reflect a Common Kartvelian  $\sigma$ ua// $\sigma$ o $\sigma$ a// $\sigma$ u $\sigma$ ua stem. There is no semantic barrier. Only it should be taken into account that in Georgian (Kartvelian) stem there is a labial  $\sigma$  sound, while in Abkhazian correspondence of the stem a labial  $\sigma$  does not occur. In Abkhazian  $\sigma$ - $\sigma$ ga stem a labial  $\sigma$  should have been lost. It is preserved in the words which are semantically and materially connected with a  $\sigma$ ga stem. This material allows reconstructing a labial element in a  $\sigma$ ga stem:  $\sigma$ - $\sigma$ ga < -  $\sigma$ - $\sigma$ ga < - \* $\sigma$ - $\sigma$ ga < - \* $\sigma$ ga // \* $\sigma$ ga. A reconstructed \* $\sigma$ ga form completely coincides with a Common Kartvelian ზღუა stem.

5. If an assumption on the origin of an Abkhazian  $\sigma$ ga ‘water’ will be accepted, then it must be supposed that a stem  $\sigma$ ua// $\sigma$ u $\sigma$ ua borrowed from Georgian, by the meaning changing ‘sea < - ‘water’ expelled from Abkhazian a Common Abkhazian-Adyghe  $\sigma$ ga stem denoting ‘water’ and generalized under the meaning of ‘water’.

6. There is a basis for considering Georgian  $\sigma$ ua// $\sigma$ o $\sigma$ a//Svan  $\sigma$ u $\sigma$ ua stem to be a compound stem – a derived noun consisting of two independent stems. The first component is a Common Kartvelian stem  $\sigma$ a// $\sigma$ o $\sigma$ a// $\sigma$ ga denoting ‘water’, the second one  $\sigma$ ua should be a common stem  $\sigma$ uar for Georgian and Abkhazian: \* $\sigma$ ua// $\sigma$ uar ‘flood, torrent’.

A Svan  $\sigma$ im stem is considered to be a two-component one, that denotes ‘carbonated water’ and is originated from \* $\sigma$ im form. A process  $\sigma$ g ->  $\sigma$ g is characteristic of Svan and even here  $\sigma$  is a  $\sigma$ a element denoting ‘water’. A stem  $\sigma$ im in Svan denotes ‘land’ and together it will be  $\sigma$ im ‘water of land’, ‘eruption of water from gland’, ‘carbonated water’; cf. Georgian  $\sigma$ ga < - \* $\sigma$ ga.

მედეა საღლიანი

**სვანური ფრაზეოლოგიური გამონათქვამების  
შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა**

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, ამა თუ იმ ენის ფრაზეოლოგიის, კერძოდ, იდიომატიკის ძირითადი საკითხების გაშუქებას დიდი თეორიული მნიშვნელობა აქვს ამ ენის მეცნიერული შესწავლისათვის. ლექსიკოლოგიის საკითხების შესწავლა არ შეიძლება სრულყოფილი იყოს ისე, თუ ჯერონად არ არის შესწავლილი იდიომატიკის საკითხები, რადგანაც იდიომატიკა ლექსიკოლოგიის თავისებური, მაგრამ განუყოფელი ნაწილია. იდიომატიკის საკითხების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, ლექსიკოგრაფიის, სტილისტიკისა და გრამატიკისათვის, თუმცა არანაკლები მნიშვნელობა აქვს კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისითაც. თუ ენის ლექსიკა, როგორც ადამიანის ყოველ საქმიანობასთან დაკავშირებული, უნდა შევისწავლოთ საზოგადოების ისტორიასთან განუყოფელ კავშირში, ეს შეეხება, უპირველეს ყოვლისა, იდიომებს. სწორედ მათში ვპოულობთ საზოგადოების წარსული ცხოვრების, მისი ისტორიული ბედის, მისი უფლებრივი, პოლიტიკური, მხატვრული, ფილოსოფიური, რელიგიური შეხედულებების ანაბეჭდს. ამდენად, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ, იდიომატიკა უკავშირდება სათანადო საზოგადოების ისტორიასა და ეთნოგრაფიას.

ფრაზეოლოგია, როგორც ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემა, მკვლევართა თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე დაუმუშავებელი უბანთაგანია ენათმეცნიერებაში. უნდა ითქვას, რომ ცოტაა ქართული ფრაზეოლოგიის ფრაზეოლოგიის პრობლემისადმი მიძღვნილი გამოკვლევები. ცხადია, იმავეს თქმა შეიძლება სხვა ქართველურ ენათა ფრაზეოლოგიზმების შესწავლის შესახებაც.

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა გარკვეული მარაგი, ბუნებრივია, ყველა ენაში მოიპოვება, რაღა თქმა უნდა, ამ მხრივ გამონაკლისს არც სვანური წარმოადგენს, რომლის ლექსიკური ფონდი საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია.

სვანური ენის **ფრაზეოლოგიური გამონათქვამები (იდიომები და ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი), ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმები, მეორეული კომპოზიტები, მისალმების, წყევლისა და დალოცვის ფორმულები...**, როგორც ცნობილია, სვანური ენის დიალექტ-კილოკავთა მასალაზე დაყრდნობით დღემდე გამოწვლილვით არავის შეუსწავლია.

ერთადერთი სოლიდური ნაშრომი, რომელიც სვანურ ფრაზეოლოგიზმებს ეძღვნება, ეს არის ალ. ონიანის საკანდიდატო დისერტაცია „ქართულ-სვანური იდიომატიკის საკითხები“, სადაც ავტორი, ზოგადთეორიული საკითხების გარდა, აანალიზებს სვანურის (ძირითადად **ლაშხურის**) მონაცემებსაც. ერთმანეთს უდარებს იდიომასა და ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას და დაასკვნის, რომ ქართულ ენას ისტორიულად დიდი გავლენა მოუხდენია სვანური ენის იდიომატიკის განვითარებაზე, თუმცა, თავის მხრივ, სვანურსაც გარკვეული როლი შეუსრულებია ქართული ფრაზეოლოგიზმების ჩამოყალიბებაში (ონიანი 1954: 1-246).

მოუხედავად სვანური მასალის სიმცირისა, აღნიშნული ნაშრომი მაინც ძალზე საყურადღებოდ მიგვაჩნია, რადგანაც ეს იყო პირველი ცდა სვანური იდიომების შესწავლისა.

2009 წელს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სამწლიანი პროექტის — „**სვანური ფრაზეოლოგიზმების სემანტიკური და მორფოსინტაქსური ანალიზი (ფუნდამენტურ-გამოყენებითი გამოკვლევა ლექსიკონითურთ)**“ მიზანი იყო აღნიშნული თემატიკის მეცნიერულ დონეზე დამუშავება (სვანურის ყველა დიალექტისა და ამ დიალექტებში შემავალი კილოკაური მასალის მიხედვით).

აღნიშნული პროექტის გეგმის შესაბამისად **პირველ კვარტალში** გათვალისწინებული იყო მონოგრაფიის შესაქმნელად საჭირო **ლექსიკური ერთეულების ამოწერა სვანური ლექსიკონებიდან** და მონოგრაფიის **შესავალი ნაწილის დამუშავების დაწყება** (კერძოდ, ფრაზეოლოგიის შესწავლის მდგომარეობა საზღვარგარეთის სამეცნიერო ლიტერატურაში).

**მეორე კვარტალის** გეგმის შესაბამისად, გავაგრძელებთ მუშაობა მონოგრაფიის **შესავალი ნაწილის დამუშავებაზე** (ფრაზეოლოგიის შესწავლის მდგომარეობა ქართულ ენათმეცნიერებაში) და დავიწყებთ მონოგრაფიის შესაქმნელად საჭირო **ლექსიკური ერთეულების ამოწერა სვანური ტექსტებიდან** (სვანური ენის ოთხივე კილოზე არსებული პროზაული ტექსტებიდან, სვანური ენის ქრესტომათიიდან).

**მესამე კვარტალში** გაგრძელდა მონოგრაფიის შესაქმნელად საჭირო **ლექსიკური ერთეულების ამოწერა სვანური ტექსტებიდან**.

ამავე კვარტალში გათვალისწინებული იყო **ექსპედიცია** მესტიის რაიონის სხვადასხვა სოფლებში ახალი ფრაზეოლოგიური მასალის ჩასაწერად, რაც განხორციელდა კიდევ.

**მეოთხე კვარტალის** გეგმის შესაბამისად, დავამთავრებთ მონოგრაფიის შესაქმნელად საჭირო ლექსიკური ერთეულების ამოწერა სვანური ტექსტებიდან. დავამუშავებთ **ექსპედიციის** შედეგად მოძიებული მასალები და მოვახდინებთ საილუსტრაციო მასალის სრულყოფა. გარდა ამისა, ამავე კვარტალში დამუშავდა შემდეგი საკითხი „**ფრაზეოლოგიზმთა თავისებურებანი სვანურ ენაში**“.

ისევე, როგორც ბევრ სხვა ენაში, სვანურშიც მოიპოვება მთელი კორპუსი ისეთი ფრაზეოლოგიზმებისა, რომლებიც ქმნიან მთლიან სტილისტურ პლასტს და მათ სხვა ენაში ანალოგი არ მოეძებნებათ.

იდიომები, როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, წარმოადგენენ ღრმა ინფორმაციულ ერთეულებს, რომლებშიც ასახულია ერის მორალური სახე, რწმენა, სული, რითაც განპირობებულია ნაციონალური კულტურისათვის დამახასიათებელი ე. წ. არაეკვივალენტური იდიომების ანუ იდიომური ლაკუნების არსებობა (შდრ. ქართ. „ჩაილურის წყალი დალია“, „ქოქოლა დაყარა“ და ა. შ.). ამგვარი იდიომები, ძირითადად, აზრობრივად ითარგმნება, რადგან შეუძლებელია მათ მიესადაგოს სხვა ენაში არსებული ფრაზეოლოგიზმები (გომხეთელიანი 2010: 63). ცხადია, მსგავსი (**წმინდა კუთხური კოლორიტის**) მასალა სვანურშიც ფიქსირდება [მაგ.: ბქ. **გეშლარლეჟა<sup>1</sup> ნამტრუკჟალ** „ცელქი, მოუსვენარი („გეშლარ-რს“ ზემოთ ნაკუნტრუშები“, შდრ. ქართ. „მუტრუკ-ი“), ბქ. **ათხეა ჟიცხილდ ზაგარჟილუ<sup>2</sup> ქუქუდანს** „ისემც გიქ-ნია, მოუსვლელშიმც წასულხარ („ახლაც ვიცხილდ ზაგარჟემც ჩაცუტქულხარ“), ლნტ. **ნამპარდ ლიგენე<sup>3</sup>** „თავის გააზობა („ლამპრ-ად და-დგ-მ-ა“), ბქ. **ეშხუ თე ლაფსყალდთე ხულჟა** „ელამია („ერთი თვალ-ი ლაფსყალდ-რის“-კენ აქეს“)“ და მრავ. სხვ.]. იმისათვის, რომ ეს მასალა მეორე ენაზე მოლაპარაკე ადამიანისათვის ნათელი და გასაგები იყოს, შინაარსობრივი თვალსაზრისით, აუცილებელია სიტყვასიტყვითი (ანუ ბჭკარედული თარგმანი). რა თქმა უნდა, ეს პრობლემა მხოლოდ სვანურიდან ქართულ ენაზე თარგმნის დროს არ იქმნება.

ყურადღება გავამახვილეთ სვანურში არსებულ ისეთ ფრაზეოლოგიურ ერთეულებზე, რომელთაც ქართულში ეკვივალენტი არ ეძებნებათ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ერთეულებში შემაჯავლი ერთ-ერთი ელემენტი, კერძოდ, პირველი, ქართულიდანაა შეთვისებული. სვანურში სწორედ ამ ერთეულის მონაწილეობით იქმნება ესა თუ ის ფრაზეოლოგიური გამონათქვამი, რომელიც ენობრივი თვალსაზრისით სვანურისთვის აბსოლიტურად ბუნებრივი კონსტრუქციაა (მაგ.: **აბანო ლიყრინე** (ლშხ.) — დაბანა (ზედმიწ. „აბანო-რს“ დამართება“), **თანახმას ლიჯედ** (ბქ.) — დათანხმება (ზედმიწ. „თანახმა-ს მოსვლა“), **ლოცაშ ლიჩჟემ** (ბქ.) — პირჯვრის გადასახვა (ზედმიწ. „ლოც-ვ-ის ქმნა“), **ფრანგდ ლგგ** (ბქ.) — სწრაფია, მარჯვეა (ზედმიწ. „ფრანგ-ად ღგ-ა-ს“), **არაბდ ლიფშუდე** (ბქ.) — მაცნის გაგზავნა, გაშვება, ვინმესთვის ამბის შეტყობინება (ზედმიწ. „არაბ-ად გაშვება“), **სჟინდ ლიფშუდე** (ბქ.) — დანამუსება, ე. ი. მის სინდისზე იყოს (ზედმიწ. „სინდის-ად გაშვება“), **შანთი ლიკედ** (ლშხ.) — მტკიცე ფიცი, მტკიცედ დაფიცება (ზედმიწ. „შანთ-ის აღება“), **ძალა ლიყრინე** (ლშხ.) — დაძალება

<sup>1</sup> **გეშლარ** ადგილია ბალსქემო სვანეთში, კერძოდ, სოფელ ეცერში.

<sup>2</sup> **ჟიცხილდ ზაგარ** ადგილის სახელწოდებაა ზემო სვანეთში და მდებარეობს დასახლებული პუნქტებისგან ძალიან შორს. გამოთქმაც სწორედ აქედან არის მიღებული (ანუ მოიაზრება ისეთი შორეული და მიუვალი ადგილი, საიდანაც დაბრუნება ძალზე რთულია).

<sup>3</sup> გამოთქმა უნდა უკავშირდებოდეს სვანურ დღესასწაულს **ლამპრობა-ს**. როგორც ცნობილია, ლამპრობამდე 2-3 კვირით ადრე ხდება არყის ხის ტოტების წვრილად დაპობა და მერე მათი გახმობა, რომ დღესასწაულზე ცეცხლი კარგად წაეკიდოს.



(ზედმიწ. „ძალ-ის“ დამართება“), **წასაგებაშ ლიჩუემ** (ბქ.) — წესის აგება „მიცვალეზღისთვის“ (ზედმიწ. „წეს-ის“-ა-გ-ებ-ის ქმნა“), **ყუდანათშერხენქა ნაწვედ** (ბქ.) — მდიდარი, შეძლებული ოჯახიდან გამოსული, შდრ. თურქული **ყუდრეთ** „ძალა, შეძლება“, რომელიც თავის მხრივ ნასესხები უნდა იყოს არაბულიდან (შდრ. არაბ. **Kedret**, — იხ. შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993) და ა. შ.

ზემოთ წარმოდგენილი სიტყვასიტყვითი თარგმანები („აბანო-ის“ დამართება“, „თანახმა-ს მოსვლა“, „ღირს-ებ-ის ამღები“, „სა-შაირ-ო-დ აღება“, „ხატ-ის ქმნა“, „ხარჯ-ი ავიღეთ“, „ძალ-ის“ დამართება“, „ფრანგ-ად ღვ-ა-ს“, „ფეიქრ-ად ღვ-ა-ს“ და ა. შ.) თითქოს გამოორიციხავს ამ ერთეულთა ქართულიდან სესხების შესაძლებლობას (მიუხედავად იმისა, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულის პირველი შემადგენელი ელემენტი ქართულიდანაა ნასესხები), რადგანაც იქ, სადაც სვანურში ფრაზეოლოგიზმია, ქართულში მას მარტივი ზმნა შეესატყვისება.

აღნიშნული ფრაზეოლოგიური ერთეულები უნდა განვიხილოთ როგორც საკუთრივ სვანური, რომელთაც არა აქვთ ადეკვატური პარალელები ქართულში. მათი გამომსახველობითი ეკვივალენტის ვარირება კი, ძირითადად, შესაძლებელია კონტექსტის მიხედვით.

შეიძლება ისიც ითქვას, რომ ამგვარ სვანურ გამოთქმებშია დაცული ქართულის გზით შემოსული ისეთი ლექსიკური და გრამატიკული არქაიზმებიც, რომლებიც დღევანდელ სალიტერატურო ქართულში აღარ გვხვდება და სვანურშიც ფრაზეოლოგიური გამონათქვამების გარდა დამოუკიდებლად არსად არ გამოიყენება [მაგ.: **ფრანგ, არაბ, ყაბულ** და ა. შ. (საღლიანი 2011:226-235)].

**მეხუთე კვარტალში** გათვალისწინებული იყო სხვა ენებიდან ნასესხები ფრაზეოლოგიზმების შესწავლა სვანური ენის დიალექტების მიხედვით.

უნდა ითქვას, რომ ნასესხებ **ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა, ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმათა, წყევლისა და დალოცვის ფორმულათა** ხვედრითი წონა, როგორც წესი, გაცილებით ნაკლებია საკუთრივ სვანურ მასალასთან შედარებით. ფრაზეოლოგიური გამონათქვამები, ძირითადად, კალკირების გზითაა მიღებული, ხოლო წყევლის, ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმათა და დალოცვის ფორმულებში ქართულიდან უცვლელად შეთვისებული ფრაზებიც ფიქსირდება.

ცხადია, ნასესხებ ერთეულებს სჭარბობს კალკირებული ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც წიგნის ან ზეპირი მეტყველების გზით უნდა იყოს ქართულიდან შესული, თუმცა მიუხედავად სემანტიკური დამთხვევისა, გამოორიციხული არაა, რომ ზემოდასახელებული ზოგიერთი ფრაზეოლოგიური გამონათქვამი დამოუკიდებელი წარმოშობის იყოს ორივე ენაში ერთნაირი საზოგადოებრივ-ისტორიული პირობების გამო.

აღსანიშნავია ისიც, რომ სვანური ვერბალური წყევლა-კრულვის ფორმულები როგორც ლექსიკური ერთეულებით, ისე ემოციურ-ექსპრესიული თვალსაზრისითაც ბევრად უფრო მრავალფეროვანი აღმოჩნდა ქართულთან შედარებით (საღლიანი 2011:134-156).

ამავე კვარტალში დამუშავდა: 1. **დალოცვისა და წყევლა-მუქარის გამომხატველი ფრაზეოლოგიური შერწყმული წინადადებები სვანურში** (შავრეშიანი 2012:204-212) და 2. **დალოცვისა და წყევლა-მუქარის გამომხატველი ფრაზეოლოგიური ქვეწყობილი წინადადებები სვანურში** როგორც ფიქსირებული, ასევე საველე პირობებში მოპოვებული მასალების მიხედვით (შავრეშიანი 2011:205-215).

აქვე შევნიშნავთ, რომ მრავალფეროვანი საანალიზო მასალა ამოვკრიბეთ სვანური ენის ოთხივე კილოზე არსებული პროზაული ტექსტებიდან, სვანური ენის ქრესტომათიიდან, ლექსიკონებიდან<sup>1</sup>, აგრეთვე, 2010-2011 წლებში მესტიისა და ლენტეხის რაიონებში ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებული მასალიდან.

**შექვე კვარტალის** გეგმის შესაბამისად, შესწავლილ იქნა სვანური ფრაზეოლოგიური შესიტყვებისა და იდიომის ურთიერთმიმართება; გრამატიკული კლასიფიკაციის საკითხები: **სუბსტანტიური, ზედსართაული, ზმნური, ზმნიზედური და შორისდებლური იდიომები**.

როგორც მასალაზე დაკვირვებამ გვაჩვენა, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, შორისდებლური იდიომები სვანურშიც ნაკლებად დადასტურდა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საინტერესო სამუშაო ჩატარდა არსებით სახელთა ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებთან დაკავშირებით ფრაზეოლოგიზმებში, კერძოდ, სომატურ ერთეულებზე, რადგან სომატური ლექსიკა ყოველი ენის ლექსიკური სისტემის უძველეს ფენას მიეკუთვნება. მათ ბაზაზე კი ხშირია ფრაზეოლოგიური ერთეულების წარმოქმნის შემთხვევები. ცხადია, ამ მხრივ გამონაკლისს არც სვანური წარმოადგენს, სადაც საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვანია სომატური იდიომები. სომატურ იდიომებს კი განსაკუთრებით მდიდრადაა მიჩნეული ისეთი ფრაზეოლოგიზმები, რომლებშიც წარმოდგენილია გრძნობის ორგანოების დასახელება, რომელთა მეშვეობითაც ადამიანი აღიქვამს გარესამყაროს, შეიმეცნებს საკუთარ მეს და საკუთარ თავს ამ სამყაროში. სწორედ ამ კომპონენტების (**თავი, თვალი, ცხვირი, ხელი, გული, ყური, ენა**) შემცველი ფრაზეოლოგიზმები შეადგენენ სომატური იდიომების 70 %-ს.

ბუნებრივია, აღნიშნული ლექსიკის შესწავლა სვანურშიც მეტად მნიშვნელოვანია, რადგანაც, როგორც რუსი მეცნიერი ი. კარაულოვი აღნიშნავს, ენას ვერ გავიგებთ, თუ არ გავცდებით მის ფარგლებს, თუ არ მივმართავთ მის შემოქმედებს, მატარებელსა და მომხმარებლებს — ადამიანებს, კონკრეტულ ენობრივ პიროვნებას, უფრო მეტიც, ადამიანისადმი მიმართვა ვერ იქნება ნაყოფიერი იმ ლექსიკის ანალიზის გარეშე, რომელიც განახორციელებს მისი აგებულების სახელდებას, ანუ მისი სხეულის ნაწილების სახელწოდებათა ჯგუფის გარეშე.

2012 წელს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 71-ე სამეცნიერო სესიაზე წაკითხულ მოხსენებაში „**ღერძული სიტყვის სემის**

<sup>1</sup> იხ. ლიტერატურის ჩამონათვალში.

**ექსპლიკაციისათვის სვანურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში — სომატიზმებში**“ (სალლიანი 2012:31-33) სწორედ სვანურ მრავალფეროვან სომატურ იდიომებზეა საუბარი და, ასევე, ნაშრომში გაშუქებულია ზოგიერთი ისეთი სემანტიკური პრობლემაც, როგორცაა, მაგალითად, სიტყვის ერთ-ერთი სემის აქტუალიზაცია ფრაზეოლოგიურ ერთეულებში.

**მეშვიდე კვარტალი** ითვალისწინებდა **ექსპედიციას** ლენტეხის რაიონის სხვადასხვა სოფლებში ახალი საანალიზო მასალის ჩასაწერად და თავისუფალი შესიტყვებისა და ფრაზეოლოგიზმების ურთიერთშეპირისპირებით ანალიზს სვანური ენის მონაცემებზე დაყრდნობით.

ამავე კვარტალში დამუშავდა შემდეგი საკითხი — **ფრაზეოლოგიური გამონათქვამების შეპირისპირებითი ანალიზი ქართველურ ენებში**.

ფრაზეოლოგიზმების შეპირისპირებითმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ სვანურს, რომელიც სხვა ქართველური ენების მსგავსად, მდიდარი და მრავალფეროვანი ფრაზეოლოგიზმებით გამოირჩევა, ბევრი რამ აქვს საერთო ქართულ-მეგრულთან, თუმცა მხოლოდ ცალკეული ენისათვის დამახასიათებელი თავისებურებებიც შეინიშნება.

მასალაზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე ჯგუფი:

1. **ფრაზეოლოგიური ერთეულები (ფრაზეოლოგიური გამონათქვამები)**, სადაც ვგაქვს როგორც სიტყვიერი შემადგენლობის, ისე სემანტიკური თანხვედრა. ეს თანხვედრა ზოგჯერ შეიძლება გვქონდეს სამივე ენობრივ ერთეულში, ზოგჯერ კი მხოლოდ ორში.

2. სემანტიკური თანხვედრა შეიძლება იყოს, მაგრამ სიტყვიერ შემადგენლობაში გვქონდეს სხვაობა (ან ნაწილობრივ ფორმობრივ თანხვედრას ქონდეს ადგილი). აქ წარმოდგენილი მთელი რიგი გამოთქმები სემანტიკური მონოლითურობითა და სიმყარით გამოირჩევა ქართველურ ენებში (მაგ.: **ენის წვერზე მადევს, სამარეს უთხრის, მიწას ფეხს არ აკარებს, გული დაეწვა, პირში ბურთის ჩაჩრა, ყურებზე ხანვი არ დამაჭრა!** და ა. შ.).

მსგავსად სხვა ენებისა, ქართველურ ენებშიც ერთნაირი ლექსიკური შემადგენლობის ფრაზეოლოგიური ეკვივალენტების არსებობის ძირითადი მიზეზი, სესხება-კალკირების გარდა, უნდა იყოს ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის ჩამოყალიბების საერთო უნივერსალური გზის არსებობა, ანუ სხვადასხვა ხალხში ერთი და იმავე საგნის თუ მოვლენის მიერ ერთნაირი ასოციაციების გამოწვევის შესაძლებლობა, რაც იწვევს, მეცნიერთა თვალსაზრისით, სხვადასხვა ენაში ერთნაირი ლექსიკური ერთეულების შეკავშირების შესაძლებლობას. ალ. ონიანის აზრით, ასეთი ფრაზეოლოგიზმები წარმოიშობა გამოთქმის პირდაპირ და გადატანით მნიშვნელობებს შორის ლოგიკურ-აზრობრივი მსგავსების ან რეალური მომიჯნავეობის საფუძველზე (ონიანი 1954: 106).

არაა გამორიცხული, რომ ჩვენ მიერ ზემოთწარმოდგენილი სვანურ ფრაზეოლოგიზმთა დიდი ნაწილი სრულიად დამოუკიდებლად იყოს წარმოშობილი მეცნიერებაში წარმოდგენილი საერთო უნივერსალური გზის, კერძოდ, „შიდაფრაზეოლოგიური ვალენტობის“ (ავალიანი 1980: 4) არსებობით, რომელიც

ამა თუ იმ ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის გადმოსაცემად ფრაზეოლოგიზმთა შიგნით გარკვეულ ლექსემათა მიზიდულობას, შეკავშირებას გულისხმობს.

3. სვანურში წარმოდგენილია ბევრი ისეთი იდიომატური გამოთქმა (წმინდა კუთხური კოლორიტისა), რომლებიც სხვა ქართველურ ენებში არ შეინიშნება, ანუ არ დაექნებათ სემანტიკური პარალელი დანარჩენ ქართველურ ენებში. ვინაიდან აღნიშნულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ქართულსა და მეგრულში ეკვივალენტი არ ეძებნება, ამიტომ ისინი განვიხილეთ როგორც საკუთრივ სვანური. სავსებით ბუნებრივია ისიც, რომ მსგავსი მასალა სჭარბობს ქართველური ენებიდან კალკირებისა და სესხების გზით შემოსულ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს.

4. საკვანძო სიტყვის გამოყენების თვალსაზრისით ქართველურ ენებს აერთიანებთ **გულ** სიტყვის ყველაზე ხშირი ხმარება იდიომატურ გამოთქმებში. აქაც გამოიყოფა როგორც საკუთრივ სვანური, ასევე ქართულ-მეგრულთან საერთო მასალაც.

5. რადგანაც იდიომის სემანტიკური დაუშლელობა ერთგვარ გამოვლენას პოულობს სინტაქსში, აქედან გამომდინარე აუცილებლად ჩავთვალეთ ზემოაღნიშნული მასალის სინტაქსური თვალსაზრისით განხილვაც, რამაც ცხადყო, რომ ქართველურ ენებს შორის სხვაობა არ შეინიშნება წინადადების რომელიმე წევრის ფუნქციით გამოყენებისას (სალიანი, შავრემიანი, გიგლემიანი 2011: 138-157).

**მერვე კვარტალის განმავლობაში დამუშავდა საველე პირობებში მოპოვებული მასალები და, აგრეთვე, გრამატიკული საკითხი — ფრაზეოლოგიზმების მიმართება სვანურ ანდაზებთან.**

როგორც ცნობილია, ფრაზეოლოგიზმისა და ანდაზის ურთიერთმიმართება სვანურში დღემდე სპეციალური შესწავლის საგანი არ ყოფილა. უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ სვანურ ანდაზათა კრებულებში შესულია ისეთი მასალა, რომელსაც ანდაზასთან სრულებით არაფერი აქვს საერთო (მაგ.: **ნგქ'ესერ თუი ხაზუიბ ი გუი ლგუხანმ ჟორგუილ ხოზ** (ბქ.) „ორპირია ანუ ტკბილად გესაუბრება და გული ბოღმით აქვს სავსე („ენა-ზე-ო თაფლ-ი სდის და გულ-ი შხამ-იან-ი ორ-გულ-ი უ-ძ-ევ-ს“))

**ფერხი ამსოლდ თხერე ლგპრისდ'ესერ ლი** (ლხმ.) „ზოგი ადამიანი დაუნდობელიაო, ორგულიაო („ზოგი ადამიანი მგელი მონათლულიო არის“), შდრ. **თხერემ გუერაჟი ლგპრისდე** „დაუნდობელი, შეუბრალებელი, ბოროტი, ავი... (ზედმიწ. — მგლის ტყავზე მონათლული)“

**ალის იმლო ხერგადნი, მამაგუემუ ჭექმენი, თხერემ გუერაჟი ლი ლგპრისდე** (ბქ.) „ამას რაც არ უნდა უთხრა აზრი არა აქვს, შეუბრალებელია|| ბოროტია („ამას რაც უნდა ელაპარაკებოდე, არა საქმე გემატება, მგლის ტყავზე არის მონათლული“)

**მიჩა ფხულარგნქა უშკუთე ლედი მამგუემუ ესერ ხულჟა** (ბზ.) „მეტისმეტი ღარიბიაო („მისი თითების გარდა პირ[ის]კენ [ჩა]-სა-დ-ებ-ი არა საქმეო აქვს“)

**ცაგარუქსერ სგურ** (ბზ.) „მოუსვენრადაა („ეკლებზეო ზის“)“

**ჩინჩილ წამჟი ემდართუესერ ხეტხენი** (ბქ.) „ჩვილი ბავშვი წამში ყველანაირ საქციელს ჩადისო („ჩვილ-ი წამ-ზე ათ-ორ-ის-კენ-ო უბრუნდება“)“ და მრავ. სხვ.

იმის გათვალისწინებით, რომ ფრაზეოლოგიზმი ფორმით შესიტყვებაა, ანდაზა კი — წინადადება, ჩვენ მიერ აქ წარმოდგენილი მასალა უნდა ჩაითვალოს ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებად და არა ანდაზებად.

ქართულში, როგორც ცნობილია, ხშირია ანდაზისგან იდიომის მიღების შემთხვევები. რალა თქმა უნდა, მსგავსი ვითარება დასტურდება სვანურშიც. მაგ.:

**ღირიშ გარ მუმჟური** (ლზმ.) „ადამიანი, რომელიც მხოლოდ ლუკმა-პურზე ფიქრობს“ ← **ამახუ ესეროჟ ლი ღირიშ გარ მუმჟური** „მხოლოდ მტერი იყოს მარტო პურის შემყურე („მტერიმცა არის პურის მხოლოდ მჭვრეტი“)“

**ამბაჟიშ გუიხგა ლიხელაღნე** (ბქ.) „დაფიქრება“ ← **ამბაჟ მანკუ გუიხგაოღუ ესხელაღნე, ნენქა ეჩქანღუეოღუ ანგურნე** „ამბავი ჯერ გულში გაატარეო და ენაზე შემდეგ გამოაგორეო“

**ჩხარაფათე ლიტხ** (ბქ.) „გადასხვაფერება, ნათქვამის ათასჯერ გადახარშვა“ ← **ამსჟალღს ჩხარაფათე ლატახ ესერ ხაკუ** „ადამიანს ცხრანაირი მოსაზრება უნდა გააჩნდესო („ადამიანს ცხრა-ფა-ს-კენ საბრუნებელიო უნდა“)“

**უკლაჟნაშ ლიკლაჟნე** (ბქ.) „გაჭირვებისგან ყოველგვარი საქმის კეთება“ ← **თგი მარა უკლაჟნას ესერ ხაკლაჟნე** „გასაჭირი კაცს რას არ გააკეთებინებს („თმ-ენ-ა კაცს გა-უ-კალო-ეზ-ელ-ს-ო ა-კალო-ეზ-ინ-ეზ-ს“)“

**მგრღჟიშ ნაზუაშ ლიცურე** (ბქ.) „ცუდი საქმის ჩადენა“ ← **მგრღჟი მიჩესერ ნაზუს ცურიე** „ლოკოკინა თავის კვალს ტოვებსო („ლოკოკინა მისო ნავალს ტოვებს“)“

**ციცუიშ ი შტუგუი ლინჩღაღლ** (ჩოლ.) „სიცივე“ ← **მცცხი-ყაფრანობს ციცუი ი შტუგუი ლოქ ოთნაჩღა** „სიცივე-ყინვას კატა და თავვი შეუყრიაო“

**შღჟ-ღელღჟიშ ლიყუფე** (ბქ.) „გაბრაზება, განრისხება“ ← **ინჯარს შღჟში ლელღჟი ესერ ოხყუიფა** „ჯავრს ძირი კბილი ამოუძვრიაო“ და სხვ.

მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ქართულის მსგავსი ვითარება დასტურდება სვანურშიც. სწორედ ამ შემოკლებული ანდაზებით ადვილი შესაძლებელია მთელი ტექსტის აღდგენა, თუმცა, როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, ეს ხერხდება მხოლოდ თავდაპირველ ეტაპზე და ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან დროთა განმავლობაში კონტექსტის გარემო დავიწყებას ეძლევა და რედუცირებული ერთეული დამოუკიდებელ სახეს იღებს (შდრ. იდიომი **გუმი ლიკუჟალ** (ბქ.) „დამღურება, გაბუტვა“, რომელიც მიღებულია ანდაზისგან: **ნათისოჟ ესკოჟალ გუ, მეჟერს მესერ ლახნღროჟას** „ნათესავს დაემღურე, უცხოს რა დაემღურებაო („უცხოს რაო და-ე-ნღურ-ო-ს“)“, ასევე იდიომი **ღგცთე ლიკუჟანე** (ბქ.) „გამეტება, ღალატი“, მიღებულია შემდეგი ანდაზისგან: **ნათის შიშღ ლგცთე ლიკუჟანე მოღესერ ხაკუ** „ნათესავს ხელად

წყალში ჩაგდება არ უნდაო“, ხოლო იდიომი **მამფუათე ლიშყედ** (ჩოლ.) „დალუბვა“, მომდინარეობს ანდაზისგან: **მეტს თაშხენქა ოხსკინა ი მამფუათე ლოქ ოთსკინა** „მატლი ყველიდან გადმომხტარა და მდლულარეში ჩამხტარაო“ და ა. შ).

სვანურში დასტურდება აგრეთვე ანდაზისგან წყევლის ფორმულების მიღების შემთხვევებიც. მაგ.:

**ბაქშალოლუ ომთჷფეხი!** (ბქ.) „მოისპე, განადგურდი!“ ← **ბაქარა ბაქდ ესერ ომთჷფელი** „მატყუარა ტყუილად დაკარგულაო“

**ჟორ ი ლაჟხისოლუ ოთყულურად!** (ბქ.) „მიწამ დაგაშოროთ ერთმანეთს!“ ← **მალტარ ეხჷ-ჭაშ ჟორ ი ლაჟხის გარ ესერ ოთყულურას** „მოსიყვარულე ცოლ-ქმარი მიწასა და ნიჩაბსლა გაუშორებიაო“

**ნამუნ-ნათუნ ნოსაჷ ეკტმა** (ჩოლ.) „ნასვამ-ნაჭამი არ მოგენლებინოს“ ← **ნამუნ-ნათუნს ხოჩა მეტმე ლოქ ხაკუ** „ნასვამ-ნაჭამს კარგი მომნელებელი უნდაო“ და ა. შ.

სვანური ფრაზეოლოგიზმისა და ანდაზის ურთიერთმიმართება და ანდაზათა სტრუქტურული აგებულებაც დიდად არ განსხვავდება ქართულისაგან<sup>1</sup>.

**მეცხრე კვარტალის** გეგმის შესაბამისად, გვევალეობდა ფრაზეოლოგიზმებში შემავალი კომპოზიციების (საკუთრივ სვანური და ნასესხები) ანალიზი, რაც განხორციელდა კიდევც.

ამავე კვარტალში განვახორციელეთ გაანალიზებული მასალის ლექსიკონის შედგენის დაწყება და კომპიუტერული პროგრამით მასალის დამუშავება.

დამატებითი სამუშაო ჩატარდა **სვანურ ნუმერატივთა ფრაზეოლოგიურ აქტივობასთან** დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, ბოლო დროს გაჩნდა სპეციალური კვლევები კერძო თუ შეპირისპირებით ფრაზეოლოგიაში, სადაც განიხილებოდა სწორედ სხვადასხვა ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფები (არსებით სახელთა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი „**სომატიზმები**“, „**ზონიმიები**“, „**ფლორალიზმები**“, ზედსართავ სახელთა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი — „**ფერების აღნიშვნები**“, აგრეთვე, „**მოძრაობის და გადაადგილების**“, ასევე „**ლაპარაკის**“ აღმნიშვნელი ზმნები და სხვ.), რომლებსაც, უნდა დავამატოს რიცხვით სახელთა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი — „**ნუმერატივები**“, რომლებიც კერძო თუ შეპირისპირებით ფრაზეოლოგიაში არ ყოფილა ვრცელი გამოკვლევის საგანი.

ნუმერატივები, როგორც ცნობილია, სხვა აღნიშნულ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ ფრაზეოლოგიზაციის პროცესში. ფრაზეოლოგიზაციის პროცესი კი ენის ფრაზეოლოგიური ფონდის გამდიდრების უმთავრეს წყაროს წარმოადგენს, რომელიც ამავე დროს „კანონზომიერია ენაში და მიმდინარეობს არა ქაოტურად, არამედ არჩევითობის პრინციპით“ (სერებრენიკოვი 1955: 41).

<sup>1</sup> იხ. М. Саглиани, Н. Шаврешани, К вопросу о Фразеологизмах и пословицах в Сванском, Кавказские языки: ГЕНЕТИКО-АРЕАЛЬНЫЕ СВЯЗЫ И ТИПОЛОГИЧЕСКИЕ ОБЩНОСТИ, Тезисы докладов III международной научной конференции, Махачкала, 2012.

ერთადერთი ნაშრომი, რომელიც ქართულ „ნუმერატივებს“ შეეხება, ეს არის ე. ჟორჟოლიანის წერილი „ნუმერატივების ფრაზეოლოგიური აქტიურობის შესახებ“ (ჟორჟოლიანი 2004:260-270), რომლის მიზანია ნუმერატივების „ფრაზეოლოგიური აქტივობის“ გარკვევა ფრანგულ და ქართულ ენებში.

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული საკითხის შესახებ ქართველურ ენებში არაფერი გაკეთებულა, აუცილებლად და საინტერესოდ მივიჩნით ნუმერატივების „ფრაზეოლოგიური აქტივობის“ გარკვევა ქართულსა და სვანურში, თუმცა შეუძლებელი იქნება ნუმერატივთა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფის შემადგენელ ლექსემათა რიცხვის განსაზღვრა, ვინაიდან, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, „ნუმერატივების ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფის საფუძველს წარმოადგენს რიცხვის ცნება, უფრო სწორად კი მათემატიკური რიცხვი, რომელიც უწყვეტი სიდიდეა“ (იქვე: 262).

ზოგიერთი ნუმერატივი შედის დიდი რაოდენობის ფრაზეოლოგიზმთა შემადგენლობაში, და, ამდენად, ისინი სხვა ზემოდასახელებულ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ ფრაზეოლოგიზაციის პროცესში. ჩვენ შევეცადეთ მრავალფეროვანი საანალიზო მასალის საფუძველზე შეძლებისდაგვარად გაგვერკვია ნუმერატივთა „ფრაზეოლოგიური აქტივობა“ ქართულსა და სვანურში.

შესაბამისი ექსტრალინგვისტური (კერძოდ, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და, აგრეთვე, ფოლკლორული) მასალა, რომელიც ამოვკრიბეთ სვანური ენის ოთხივე კილოზე არსებული პროზაული ტექსტებიდან, სვანური ენის ქრესტომათიიდან, ლექსიკონებიდან<sup>1</sup>, აგრეთვე, 2010-11 წლებში მესტიისა და ლენტეხის რაიონებში ჩვენ მიერ სავლე პირობებში მოპოვებული მასალიდან, შევადარეთ შესაბამის ქართულ მასალას და გავარკვიეთ ნუმერატივთა „ფრაზეოლოგიური აქტივობა“ აღნიშნულ ენებში.

გაირკვა, რომ ნუმერატიულ ფე-თა აქტივობა ქართულში სვანურთან შედარებით უფრო დიდია (შდრ. ქართ. 216 და სვან. 196 ერთეული), თუმცა სვანურში ქართულისგან განსხვავებული ვითარებაც დასტურდება ზოგიერთ ნორმატივთან დაკავშირებით. ამასთანავე, უნდა ითქვას ისიც, რომ სვანურში ფრაზეოლოგიურ ლექსიკონთა უქონლობის გამო შეუძლებელია ნუმერატიულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა აქტივობის ზუსტი განსაზღვრა.

ქართულისგან განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებენ სვანურში შემდეგი ნორმატივები — **ათასერჷუმდ** „ათასოცი“, **აშირათას** „ასიათასი“ და ქართულიდან ნასესხები **მილჷენ||მილიონ** „მილიონი“, რომლებიც ფრაზეოლოგიზმთა წარმოქმნაში აქტიურად ლეზულობენ მონაწილეობას. მსგავსი ვითარება ქართულში არ დაფიქსირებულა.

უნდა ითქვას ისიც, რომ ორ და მეტ რიცხვითსახელიანი ფრაზეოლოგიზმები სვანურში უფრო მეტი აღმოჩნდა (სულ 33 ერთეული), ვიდრე ქართულში [სულ 15 ერთეული (საღლიანი 2012:195-210)].

<sup>1</sup> იხ. ლიტერატურის ჩამონათვალში.

**მეათე კვარტალი** ითვალისწინებდა როგორც ლექსიკონზე მუშაობის გაგრძელებას, ასევე მეტად საინტერესო გრამატიკულ საკითხზე — „ლექსიკური არქაიზმები ფრაზეოლოგიზმებში და მათი ეტიმოლოგიის დადგენა“ მუშაობას.

წინამდებარე ნაშრომში შეძლებისდაგვარად შევეცადეთ სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში დაფიქსირებული ზოგიერთი არქაული ლექსიკური კომპონენტის წარმომავლობის გარკვევას.

სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში (არსებულ შესატყვისობათა გათვალისწინებით) ზოგი ლექსიკური კომპონენტი **საერთო-ქართველური დონის მონაცემი** აღმოჩნდა, ზოგი მათგანი კი **სხვა ენათაგან ნასესხები**, რომელთაგან ზოგი უცვლელად შემოინახა სვანურმა, ზოგმა კი მნიშვნელოვანი ფონეტიკური ცვლილებები განიცადა. როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ნასესხებ ფორმათა მეტი წილი ქართულის გზით არის შემოსული სვანური ენის დიალექტებში. უფრო მეტიც, სვანურმა ბევრი ისეთი საერთოქართველური არქაული ფორმა შემოინახა ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში (იდიომებში, წყევლის, დალოცვისა და მისალმების ფორმულებში), რომლებიც დღევანდელ სალიტერატურო ქართულში უკვე აღარ ფიქსირდება; ისინი, ძირითადად, ქართული ენის დიალექტებს შემორჩა (მაგ.: **ლარჭენდ ლგენე** „ყოჩალი, სწრაფი“ (ზედმიწ. — სალამურად მ-დგ-არ-ი)“, შდრ. ქართ. **ლეღ-**, **ლეღ-**ი; **ლერ-წამ-** : ზან. (მეგრ.) **ლარ-**, **ლარ-ჭამ-ი/ლარ-ჭემ-ი** „ლერწამი“; **კიკბერიშ ლიბკინე** (ბქ.) „ძალის დატანება, გამოტეხვა სხვადასხვა მეთოდებით; კედელთან მიყენება“ (ზედმიწ. — ხის მორის|**კაკიბერა-ს** მიბჯენა)“, შდრ. ქართ. (ლენხ.) **კაკიბერა** „სამზარეულო სახლში შუაცეცხლის პირდაპირ ზევით გადებული დირე, რომელზედაც საქვაბე ჰკიდია“; **მარგიმუში ლიმნე** (ლშხ., ჩოლ.) „შხამის ჰმევა“ (ზედმიწ. — სნეულების ჰმევა)“, შდრ. ქართ. (თუშ.) მარგი „თხის სნეულება“, შდრ. **ფრანგდ ლგვ** (ბქ.) „სწრაფია, მარჯვეა“ (ზედმიწ. — **ფრანგ-ად დგ-ა-ს**)“; შდრ. ქართ. (ქიზიყ.) **ფრანგვა** „კარგად, აღმასივით ჳრა“ და თუშ. **გაფრანგება** 1. გაცეცხლება, ძლიერ გაჯავრება, გაგულისება. 2. საქმეს რომ ცეცხლად მოედება; **არაბდ ლიფშუდე** (ბქ.) „მაცნის გაგზავნა, გაშვება, ვინმესთვის ამბის შეტყობინება“ (ზედმიწ. — **არაბ-ად გაშვება**)“, შდრ. ქართ. (მთიულ.) **არაბ-ი** „ბერიკების წინამძღოლი, შემურული, მურით გაშავებული“; **გნაცი ლიშდხე** (ლშხ.) „არაქათის გამოცლა, მეტისმეტი დაღლა“ (ზედმიწ. — ძალ-ლონის გამოლევა)“, შდრ. ქართ. (ქართლ., ლენხ.) **გნაცი-ი** „ძალი, ღონე“; „ძალ-ღონე“ და ასევე, **გნას-ი** „ძალა“ (ქეგლ); **ზაჟთარი ლიჟუმე** (ლშხ.) „დაბნეულობა“ (ზედმიწ. — **ზავთ-ებ-ი** ს<sup>7</sup> არევა)“, შდრ. ქართ. (მესხ., ფშ.) ზავთ-ი „რიხი, ძალა“ < არაბ., თურქ. **zapt** და სხვ.).

სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში, ასევე, დიდი რაოდენობით დასტურდება ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომელთა წარმომავლობის დადგენა გარკვეულ სიძნელებთან არის დაკავშირებული. ისინი, როგორც მრავალრიცხოვანი მასალის ანალიზმა აჩვენა, შემონახულია გაქვავებულ გამონათქვამებში და ბევრი მათგანის არქაულობიდან გამომდინარე, დიდია მათი



მნიშვნელობა ენის ისტორიის კვლევა-ძიებისას<sup>1</sup>: მაგ.: **ფინზდ ლიგნე** (ბქ.) „და-მსხვრევა, დაფშვნა (ზედმიწ. — წიწვად **დგ-მ-ა**)“, შდრ. ბქ. **ფხინიზ** „წიწვი“; **ჭირგიშ ლიყერ** (ბქ.) „ქალების ერთობლივი წამოტირება, ბანი (ზედმიწ. — ბანის||მოდახილის რტყმა)“; **გუეგს ლიჭემ** (ბქ.), **გოგს ლიჭემ** (ბქ.) „მათხოვრობა, მაწანწალობა, კარდაკარ სამათხოვროდ ხეტიალი“; **ჭანდილოდუეს ლიგნე** (ბზ.) „ხმაური, აურზაური, ჩხუბი; ნერვიულობა“; **წინალდ ი წირკამალდ ლიბლრკე** (ბზ.) „ამოწყვეტა, ამოჟღერება“; **გაგანზდ ლირდე** (ბზ.) „ყბელობა (ზედმიწ. — ქადაგად ყოფნა)“; **გაგანზდ ლგ** (ბზ.) „ქადაგებს, ყბელობს (ზედმიწ. — ქადაგად **დგ-ა-ს**)“; **გუწასდ ლიგნე** (ბზ.), **გუწასდ ლიგენე** (ლნტ.) „დახრუკვა, დაწვა, ფერფლად ქცევა, ცეცხლში შთანთქმა (ზედმიწ. — ხრუკვად **დგ-მ-ა**)“; **დებრუტდ ლიკუწანე** (ბზ.) „აბუ-ჩად, მასხრად აგდება“; **სადარ-კუდარიშ ჭაჭარ ლექუა ლიყერ** (ბქ.) „გალანძღვა, გათათხვა“, შდრ. ლშხ. **სადარ-კუდარ; სგრიგაგას ჟი ხაგ** (ბქ.) „აწვრთნა, მოუსვენრადა (ზედმიწ. — მოუსვენრობას ზე **ა-დგ-ა-ს**)“; **ფისეგარგასისგაოლუ ხარ ლაქუნ!** (ბქ.) „ჯოჯოხეთი იყოს მისი სამკვიდრო (ზედმიწ. — ჯოჯოხეთშიმც აქვს სასულე!)“; **ლქქილ-ბენდის ლიტეხ** (ბზ.) „ძველი გაჭირვებული ცხოვრების დაბრუნება, კვლავ სიღარიბეში ჩავარდნა (ზედმიწ. — გაჭირვებას დაბრუნება)“; **ფისემ გარგასთე ლისკნე** (ბქ.) „ჯოჯოხეთში მოხვედრა (ზედმიწ. — ფის-ის გაგანიაში ჩახტომა)“; **ნანდ ი ფანდიშ ლიკედ** (ბქ.) „საღერღელის აშლა, აფორიაქება“; **ქირიმ-ბარას ლახრილუ** (ჩოლ.) „მიყარ-მოყარა“; **დავა-ტაფად ხუტუახ** (ჩოლ.) „მდიდრები არიან, ბევრი ქონება აქვთ“ და ა. შ.

**მეთერთმეტე კვარტალში** გეგმის შესაბამისად, დამუშავდა ორი საკითხი:

1. **სიტყვათა კავშირები სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში**, და
2. **სიტყვათწყობის მუდმივი რიგის დადგენა სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში**.

ისევე, როგორც ქართულში, სვანურშიც გვხვდება ისეთი სიტყვათა კავშირები, რომელშიც მნიშვნელობა ჩაკეტილია მკაცრად განსაზღვრულ ფრაზეოლოგიურ გარემოცვაში, თუმცა ერთგვაროვნება ამ მხრივ ქართულსა და სვანურში ნამდვილად არ არის და ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან, როგორც ა. თაყაიშვილი მიუთითებდა, არა მხოლოდ ენებს შორისაა განსხვავება სიტყვათა შეკავშირების მხრივ, არამედ ერთი ენის ფარგლებში, მის სხვადასხვა ეტაპებს შორისაც (თაყაიშვილი 1961:71). ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან დროთა განმავლობაში იცვლება და ვითარდება სიტყვათა კავშირები. ზოგი სიტყვათკავშირი დროთა განმავლობაში ხმარებიდან გამოდის და შესაბამისად იცვლება ახლით. ასეთი შემთხვევები, როგორც ცნობილია, ყოველი ენის შიგნით შეიმჩნევა და ემორჩილება ღირებულებათა გადაფასების გარდაუვალ პროცესს. რალა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია გამონათქვამებისადმი ამა თუ იმ ენის შემოქმედებითი დამოკიდებულებაც.

სვანურში ნიმუშად ავიღეთ რამდენიმე ისეთი ზმნა, რომელიც არ უკავშირდება ყველა სინონიმურ და სემანტიკურად ახლოს მდგომ სიტყვებს. როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, სწორედ სიტყვის არა

<sup>1</sup> წერილი დაიბეჭდა ეტიმოლოგიური ძიებანის მე-9 ტომში.

ყოველგვარ კავშირში შესვლა არის პირველი ნიშანი მისი ფრაზეოლოგიურად ჩაკეტვისათვის.

ჩვენ შეძლებისდაგვარად შევისწავლეთ და გავაანალიზეთ სვანურ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში შემავალი ძირითადი ზმნები და დავაჯუფეთ მათი სემანტიკური შესაძლებლობის მიხედვით (მაგ.: **ლიგნე** „დგომა“ თავისი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება ყველა იმ საგანთა აღმნიშვნელ არსებითთან, რომელთა დგომაც რეალურად შესაძლებელია. მაგ.: **ლგ** „დგას“ — **ქორ** „სახლი“, **მეგემ** „ხე“, **ლაყურა** „საწოლი“, **ჭიქ** „ჭიქა“, **მაშინა** „მანქანა“ და ა. შ., მაგრამ იგივე ზმნა გვხვდება შემდეგ შესიტყვებებში: **ბაღდ ლიგნე** (ზს.), **ბაღდ ლიგენე** (ლნტ.) „დაფლეთა, ნაფლეთებად ქცევა, დახევა (ზედმიწ. — ფლეთად **დგ-მ-ა**)“, **ბღაღდ ლიგნე** (ბზ.) „დაფლეთა, დაგლეჯა; დამსხვრევა, დამტვრევა (ზედმიწ. — ფლეთად||მსხვრევად... **დგ-მ-ა**)“, **გინჯილდ ლიგნე** (ზს.), **გენჯილდ ლიგნე** (ლშხ.) „დაფლეთა, დაგლეჯა (ზედმიწ. — **გლეჯ-ად დგ-მ-ა**)“, **გრამდ ლიგნე** (ზს.) „ფერფლად ქცევა (ზედმიწ. — ფერფლად **დგ-მ-ა**)“, **გუჰსად ლიგნე** (ბზ.), **გუჰსად ლიგენე** (ლნტ.) „დახრუკვა, დაწვა, ფერფლად ქცევა, ცეცხლში შთანთქმა (ზედმიწ. — ფერფლად **დგ-მ-ა**)“, **ბიფხდ ლიგნე** (ზს.) „სწრაფად განკურნება; დასუფთავება (ზედმიწ. — ნამად **დგ-მ-ა**)“ და ა. შ. **შენიშვნა**: ყველაზე უფრო ხშირად სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში დასტურდება მასდარი **ლიგნე** „დგომა“ და მისგან ნაწარმოები ზმნის პირიანი ფორმები. ქართულში, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, **ღ** **გ** **ო** **ძ** **ა** და მისგან ნაწარმოები ზმნის პირიანი ფორმები ფრაზეოლოგიზმათა ჩამოყალიბებაში დიდ როლს არ ასრულებენ.

მიუხედავად იმისა, რომ **ჰგნე** „დგამს“ სვანურში ბევრ სიტყვასთან კავშირში გვხვდება და მისი ასპარეზი სხვა ზმნებთან შედარებით ფართოა, არ უკავშირდება ყველა სინონიმურ და სემანტიკურად ახლოს მდგომ სიტყვებს. მაგალითად, არ ვიტყვით: **ლეზობდ ლგ** „ჰამადაა ქცეული (ზედმიწ. — საჰმლად **დგ-ა-ს**)“, **ჩქიმდ ლგ** „ლამაზია (ზედმიწ. — იერად **დგ-ა-ს**)“, **თხუიმს ვიცდ ხოგნე** „თავს დაუჩიქვავს (ზედმიწ. — თავს ცომად **უ-დგ-ა-მ-ს**)“, **ხოჩა ლესდი ხაგ** „ლამაზია (ზედმიწ. — კარგი შეხედვა **ა-დგ-ა-ს**)“ და ა. შ. ჩვენი აზრით, სწორედ ეს არის პირველი ნიშანი აღნიშნული ზმნის ფრაზეოლოგიურად ჩაკეტვისათვის. უფრო მეტიც, შესაძლოა, თავდაპირველად ამ ზმნის გადატანითი გაგება შემოფარგლული ყოფილიყო ერთი მიმართულების ემოციებით და შემდგომ, ღრთოთა განმავლობაში, მისი ხმარების რადიუსი გაზრდილიყოს.

აქვე წარმოვადგენთ, აგრეთვე, ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში შემავალ რამდენიმე იმ სვანურ ზმნას, რომელიც შედარებით უფრო საინტერესოდ მივიჩნიეთ (**ლიკედ** „აღება“ თავისი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება ყველა იმ საგანთა აღმნიშვნელ არსებითთან, რომელთა აღებაც რეალურად შესაძლებელია. მაგ.: **იკედ** „იღებს“ — **ლეზუბებს** „საჰმელს“, **ბარგს** „ავეჯს, ნივთებს“, **ბაჩს** „ქვას“, **ხილს** „ხილს“, **ფექს** „ფქვილს“ და ა. შ., მაგრამ იგივე ზმნა დასტურდება შემდეგ შესიტყვებებში: **აქანნი ლიკედ** (ბზ.), **აქანაშ ლიკედ** (ბქ.), **აქანი ლიკედ** (ლშხ.), **აქანი ლიკედ** (ლნტ.) „მისალმება (ზედმიწ. — სალმის აღება)“, **ბოლეკდ ლიკედ** (ზს.) „ძირფესვიანად ამოვდება, ამოწყვეტა (ზედმიწ. — **ბოლოკ-ად აღება**)“,

**ღეჩუმ-ლეგონაჟა ლიკედ** (ლნტ.) „საქმის გამოლევა (ზედმიწ. — სა-ქმ-ელ-მო-სა-გონ-ებ-ლ-ი-ს<sup>1</sup> აღება, ამოწყვეტა)“ და ა. შ. **ლიჯედ** „მოსვლა“, **ლიცურე** „დატოვება, მიტოვება“, **ლიტხელიტეხ** „დაბრუნება“, **ლიყერ** „დარტყმა, გალახვა, ცემა“ და მრავ. სხვ.).

ვფიქრობთ, მსგავსი ზმნების სრულად აღწერა და სემანტიკური შესაძლებლობის მიხედვით დაჯგუფება მეტად საინტერესო იქნება სვანური ფრაზეოლოგიზმების სრულფასოვანი შესწავლისათვის.

რადგანაც ენები განსხვავებული არიან სიტყვათშეკავშირების კანონებით, აქედან გამომდინარე საინტერესოდ მივიჩნით ქართულის იდენტური სვანური ზმნების — **ჩუათაკუშური** და **სგადიე** სიტყვათა კავშირების დადგენა.

*ჭიქა, თეფში, თავი, მანქანა, კალამი...* (პირდაპირი მნიშვნელობით)

*ქართ. გაუტყდა*

*სახელი, ძილი, ფიცი, პირობა...* (არაპირდაპირი მნიშვნელობით)

**ჭიქ, სან, დოქ, ჩიჭუ, ნაბან...** (პირდაპირი მნიშვნელობით)

სვან. **ჩ'ოთკუაშ**

**ჩიჭუ** (არაპირდაპირი, ანუ სირცხვილი ჭამა||სახელი გაუტყდა'ს მნიშვნელობით)

**ნაბან** (არაპირდაპირი, ანუ ფიცი გატეხა'ს მნიშვნელობით).

როგორც ვხედავთ, სვანური **ჩ'ოთკუაშ** „გაუტყდა“ ზმნის მნიშვნელობა არათავისუფალია, იგი არ უკავშირდება ყველა სინონიმურ და სემანტიკურად ახლოს მდგომ სიტყვებს. უფრო მეტიც, სვანურში, ქართულისგან განსხვავებით, აღნიშნული ზმნის არათავისუფალი მნიშვნელობა კიდევ უფრო შეზღუდულია, თუმცა რაიმე კონკრეტული საფუძველი ამ შეზღუდვისათვის არ არსებობს.

როგორც ა. თაყაიშვილი აღნიშნავს: „სიტყვათა კავშირებს ზღუდავს არა საგნობრივი მიმართებანი, არამედ კომპონენტთა სემანტიკური თავისებურებანი და სიტყვიერ მნიშვნელობათა კავშირის კანონები. ეს ფრაზეოლოგიური კონტექსტები ჩამოყალიბებულია საუკუნეთა მანძილზე და ასეა დღემდე მოღწეული. ამიტომ შემაფერხებელ ფაქტორად მოქმედებს აგრეთვე სიტყვათხმარების ტრადიციის კანონიც“ (თაყაიშვილი 1961:69-70), რაზეც ჯერ კიდევ დე სოსიური მიუთითებდა: „არის ქცევები, რომელთა იმპროვიზაცია არ შეიძლება, ისინი მზამზარეულადაა გადმოცემული ტრადიციით“. სწორედ ამ მზამზარეულად გადმოცემული ტრადიციის შედეგია ისეთი სვანური იდიომატური გამონათქვამები, როგორიცაა: **ფრანგად ლგ** (ბქ.) „სწრაფია, მარჯვეა (ზედმიწ. — **ფრანგ-ად ღგ-ა-ს)**“, **სარკად ლგ** (ბქ.) „გასუფთავებულია, გაწმენდილია, გაკრიალებულია (ზედმიწ. — **სარკედ ღგ-ა-ს)**“,

**ცხენდ ლგ** (ბქ.) „გავარვარებულია, სიცხე აქვს (ზედმიწ. — ნაკვერცხლად **ღგ-ა-ს**)“, **აბანო ხაყერხ** (ლშხ.) „დაბანეს (ზედმიწ. — **აბანო** დამართეს)“, **ფაქარდ ლგ** (ლშხ.) „გამრჯეა, ძალიან სწრაფია, დაუზარებელია (ზედმიწ. — **ფექარ**-ად **ღგ-ა-ს**)“, **ფინდინდ ლგ** (ბზ.), **ფინთისდ ლგ** (ბქ., ლნტ., ლშხ.) „სწრაფია, დაუდგარია, მარჯვია (ზედმიწ. — **ფინდინ**-ად **ღგ-ა-ს**)“, **ძალა ლიყრინე** (ლშხ.) „დაძალება (ზედმიწ. — **ძალ**-ის<sup>1</sup> დამართება)“, **ბიზიკდ ლგ** (ბზ.) „ჩქარია, მოხერხებულია, ყოჩაღია (ზედმიწ. — **ბიკ**-ად **ღგ-ა-ს**)“ და ა. შ. აღნიშნული ფრაზეოლოგიური ერთეულები მიჩნეულია საკუთრივ სვანურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებად, რომელთაც არა აქვთ ადეკვატური პარალელები ქართულში. მათი გამომსახველობითი ეკვივალენტის ვარირება კი, ძირითადად, შესაძლებელია კონტექსტის მიხედვით (სალიანი 2011: 232).

ის, რომ ენები განსხვავებული არიან სიტყვათკავშირების კანონებით, ჩვენ მიერ ზემოთ განხილული მაგალითებიდანაც კარგად ჩანს. სვანურში გარკვეული სიტყვის ირგვლივ შექმნილ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს მოძმე ქართულ ენაში, ხშირ შემთხვევაში, არ გააჩნია რიცხობრივად ტოლი პარალელები. როდესაც არამონათესავე ენებს შორის ხდება შედარება, ეს გარკვეულ კითხვებს იმდენად არ აჩენს, მაგრამ, როდესაც მონათესავე ენათა სიტყვათკავშირებს შორის ასეთი შესამჩნევი და განსხვავებული სხვაობაა, ეს უკვე გასაკვირია და, ჩვენი აზრით, უფრო სიღრმისეულ კვლევას მოითხოვს. მაგალითად, სვანურში არ გვხვდება ქართული *სიხარულმა შემიპყრო* ან *სიხარულმა აღმიტაცა*-ს სრული ადეკვატური პარალელები, თუმცა სვანურში სიხარულის გამომხატველი უამრავი ფრაზეოლოგიური ერთეული დასტურდება: **ჳან ხრბ გუმსგა** (ზს.) „დიდ სიხარულს განიცდის, აღფრთოვანებულია, სიხარულით ცას ეწევა (ზემიწ. — **ხარი**-ი უ-ბ-ი-ა **გულ**-ში)“, **გუმი ქა ლინარჳე** (ბქ.) „კარგ ხასიათზე დადგომა, გახარება (ზემიწ. — **გულ**-ი<sup>1</sup>ს<sup>1</sup> განათება)“, **მანხადშუ ჳგშხ დემეგ ხაგანხ** (ბქ.) „სიხარულისგან ფეხზე ძლივს იდგნენ (ზემიწ. — სი-**ხად**-ულ-ი-თ ფეხ<sup>1</sup>ს<sup>1</sup> არ ე-**ღგ**-ნენ)“ და სხვ. ამ რამდენიმე მაგალითიდანაც ნათლად ჩანს გამოთქმისადმი ამა თუ იმ ერის შემოქმედებითი დამოკიდებულება, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სწორედ უმწერლობო ქართველურ ენებში.

როგორც მასალაზე დაკვირვების შედეგად გამოჩნდა, არა მხოლოდ ენებს შორისაა განსხვავება სიტყვათა შეკავშირების მხრივ, არამედ ერთი ენის ფარგლებში, მის სხვადასხვა ეტაპებს შორისაც, რაზეც მეტყველებს სვანური ენის დიალექტებს შორის არსებული სხვაობაც.

ამავე კვარტალში დამუშავდა შემდეგი საკითხი — **სიტყვათწყობის მუდმივი რიგის დადგენა სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში.**

სიტყვათა რიგის ცვლის მიხედვით, როგორც ცნობილია, ყოველი ენის ფრაზეოლოგიზმები განსხვავებული ხასიათისაა — დამოკიდებულია ამა თუ იმ ენის ანალიზურ თუ სინთეზურ ბუნებაზე.

სვანურ მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ სიტყვათა რიგის ცვლის მიხედვით სვანურიც თითქოს ქართულს მიჰყვება, თუმცა სვანურში სიტყვათა წყობის მუდმივი რიგის დარღვევის შემთხვევები ნაკლებად დასტურდება, რაც სიტყვათა რიგის სემანტიკური მონოლითურობითა და ტრადიციული გაფორმებით შეიძლება აიხსნას.

თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ რამდენიმე ნიმუშს სიტყვათა რიგის ცვლისა:

ლენჯაზრჷ ხოშაღდ ესნარ გუნ აპრჷჷხ ალდარჷ ნაჷირჷჷ ამბაჷჷ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 68:31-32) „ლენჯერელმა უხუცესებმა თურმე ძალიან აწონდაწონეს ამათი შემოთვლილი ამბავი („ლენჯერ-ი“ს“ დიდებმა თურმე მეტისმეტად დაზილეს ამეების ნათვლელი ამბავ-ი“), შდრ. ამბაჷჷ აპრჷჷხ „აწონდაწონეს“

ამშა ლაგერგალჷნჷ დოხტურდ ენკიდ ბღელ-ბღელ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978, 287:34-35) „ამის თქმის დროს ექიმმა დაიბღავლა („ამის ლაპარაკზე დოქტორ-მა აიღო ბღავ-ილ-ბღავ-ილ-ი“), შდრ. ბღელ-ბღელ ენკიდ „დაიბღავლა“ და სხვ.

ვფიქრობთ, ამგვარი დარღვევა სვანურში უკავშირდება წინადადების რთულ სინტაქსურ კონსტრუქციას. რაც შეეხება ცალკე აღებულ ფრაზეოლოგიზმს, იგი, თავისუფალი შესიტყვების მსგავსად, ზმნა-შემასმენელს ბოლოში აქცევს: გინჯილდ ლიგნე (ზს.), გგინჯილდ ლიგნე (ლშხ.) „დაფლეთა, დაგლეჯა“, გრამდ ლიგნე (ზს.) „ფერფლად ქცევა“, გუდ ჰედნი (ზს., ლშხ.), გუდ ჰედნი (ლნტ.) „ხვდება“...

საენათმეცნიერო ლიტერატურაში, იდიომის დაუშლელობის გამოხატულებად მიჩნეულია, აგრეთვე, მისი შემადგენელი კომპონენტების შეცვლის შეუძლებლობა. „სინონიმის ჩასმა ან სიტყვის შეცვლა, რომელიც ფრაზის სემანტიკურ საფუძველს წარმოადგენს, შეუძლებელია ფრაზეოლოგიური მთლიანობის ხატოვანი ან ექსპრესიული აზრის მთლიანი დარღვევის გარეშე“ (ვინოგრადოვი 1947:24).

როგორც ა. თაყაიშვილი მიუთითებს, იდიომის სპეციფიკის განმსაზღვრელად არც ეს ნიშანია აბსოლუტური, რაზეც მეტყველებს ქართული ფრაზეოლოგიური გამოთქმის „მყარ“ წყობაში ცვლილებების შეტანა. იგი ნიმუშად ასახელებს შემდეგ გამოთქმებს: ენა წინ უსწრებს|ენა წინ გაურბის, ქანცი გაუწყდა|ქანცი გამოელია, თვალში ხვდება|თვალში ეცემა, თავს იმტვრევს|თავს იტეხს და სხვ. (თაყაიშვილი 1961:22).

ვ. ვინოგრადოვის ზემოდასახელებული ნიშნის აბსოლუტურობის არასიზუსტეზე მიანიშნებს სვანური ენის ვითარებაც, სადაც სინონიმის ჩასმა ან სიტყვის შეცვლა სრულებითაც არ არღვევს ფრაზეოლოგიური მთლიანობის ხატოვნებასა და ექსპრესიულობას. დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი სვანური ენის დიალექტების მიხედვით:

ბაღდ ლიგნე (ზს.), ბაღდ ლიგენე (ლნტ.)|ბაღდ ლიჩედ (ბზ.) „დაფლეთა, ნაფლეთებად ქცევა, დახევა“, ბან მეფხჷე (ბქ.), ბან (ლშხ.) მეფხჷე|ბან მეფჷლე (ზს.) „სხვადასხვა თვალსაზრისის ქონა, ჩვენების არევა“, ნინ სგებდ ხოსკენ|ნინ

**სგებდ ოსეზი** (ბქ.) „ენა წინ უსწრებს||გაურბის“, **მერემიშ ი მეფხემი ნესკაქა აპარ** (ლნტ.)||**მერემიშ ი მეფხემიშ ნენსგაქა ათსკინე** (ბქ.) „ელვის უსწრაფესად გაიქცა“, **რიუ ათლანე** (ლზმ.)||**ელიტ ათლანე** (ბქ.) „გადაყლაპა, გადასანსლა“, **ბედნიერ ლიზგე ოთვიდახ||ბედნიერ ლიზგე ოლიახ** (ბქ.) „ბედნიერად უცხოვრიათ“, **გუმი ლიხბე** (ზს.)||**გუმი ლიწკრე** (ბქ.)||**გუმი ლიბჭკუე** (ბქ.) „გაბრაზება“, **ლგენიშ||ლუგუენიშ ლიშყედ||ლითუეფ** (ბქ.)|| „გაუფასურება, სახელის დაკარგვა“, **ხოლა მიჰმანი ლიჩუემ||ხოლა მიჰმანი ლისყი** (ბზ.) „ხმაური, აყალმაყალი, ჩხუბი“ და. ა. შ.

ამ რამდენიმე მაგალითიდანაც ცხადად ჩანს, რომ კომპონენტების სინონიმებით ჩანაცვლება, რომელიც, ზოგი მეცნიერის აზრით, ფრაზის სემანტიკურ საფუძველს წარმოადგენს, არ არღვევს აღნიშნულ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა მთლიანობას. იდიომის ერთ-ერთი კომპონენტი, მიუხედავად მეცნიერთა ერთი ნაწილის მტკიცებისა, თავისუფლად შეიძლება შეიცვალოს ამა თუ იმ სინონიმით.

ფრაზეოლოგიური ვარიანტების არსებობის საფუძველს სვანურში, ვფიქრობთ, სხვადასხვა დიალექტური მასალა ქმნის, თუმცა ერთი დიალექტის შიგნითაც შეიმჩნევა ამ სინონიმური ვარიანტების არსებობა. მაგ., შდრ. ბქ. **გუმი ემბიბ||გუმი ემწკირ||გუმი ემბიჭკუ** „გამამწარა, გამაბრაზა (ზედმიწ. — გულ-ი გამიხეთქა||გამიბზარა)“, **გუხსპდ ადგენე||გრამდ ადგენე||ქიქიმდ ადგენე** „გადაწვა, გადაბუგა, ცეცხლს მისცა ყველაფერი (ზედმიწ. — ფერფლად დააყენა)“, **თხუიმ შოლეღდ ოთგენე||თხუიმ ხსპდ ოთგენე||თხუიმ შხარდ ოთგენე||თხუიმ ბჭკუღდ ოთგენე** „თავი გაუხეთქა (ზედმიწ. — თავი ხლეჩად||ხეთქვად დაუყენა)“ და ა. შ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, იდიომის სპეციფიკის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ნიშნად მიაჩნიათ იდიომის რედუქციისა და გავრცობის შეუძლებლობა. ა. ონიანის აზრით, აღნიშნული პროცესი აუცილებლად იწვევს იდიომის დაშლას (ონიანი 1954:58-59), რასაც არ ეთანხმება ა. თაყაიშვილი. იგი ფიქრობს, რომ **ტყავის გაძრობა და კუღამდე ტყავის გაძრობა** არ უნდა იყოს დამოუკიდებლად ჩასახული გამოთქმები და ერთი მეორის ამოსავალ ვარიანტად მიიჩნევეს. მსგავსი შემთხვევები კი მრავლად იძებნება ქართულში. მაგ.: **გულის ჯავრი იყარა** → **ჯავრი იყარა, თავისი ნათქვამი გაიტანა** → **თავისი გაიტანა, ენა მუცელში ჩაუვარდა** → **ენა ჩაუვარდა, პირში ბურთი ჩაჩარა** → **ბურთი ჩაჩარა** და ა. შ.

სვანურ მასალაზე დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ იდიომის შემადგენელი კომპონენტების ამოღების პროცესი თითქმის ყოველთვის იწვევს იდიომის დაშლას, ამიტომ ქართულის მსგავსი ვითარება სვანურში არ დასტურდება. ე. ი. არ გვაქვს

<sup>1</sup> აღნიშნული იდიომის პირველი შემადგენელი კომპონენტების — **გრამ-**, **გუხსპ-** და **ქიქიმ-** ფორმათა წარმომავლობა, რამდენადაც ცნობილია, დღემდე გაურკვეველია. შესაძლოა, თავდაპირველად რაიმე სემანტიკური სხვაობა მაინც ყოფილიყო მათ შორის, თუმცა სანამ მათ ქართველურ შესატყვისებს არ მივავნებთ, მანამდე შეუძლებელი იქნება შესაბამისი ქართული თარგმანების დადგენა. როგორც ზემოთ ითქვა, ისინი ფრაზეოლოგიურ ვარიანტებად უნდა ჩაითვალოს.

ტყავის გაძრობა და კუდამდე ტყავის გაძრობა-ს მსგავსი მაგალითები, თუმცა ის გამონაკლისები, რაც სვანურში დადასტურდა, ქართულიდან სესხების შედეგია (მაგ. **ნინ ვანდთე ოთშყად** → **ნინ ოთშყად** (ბქ.), **თერარლისგა ტგტ ლამშიდ** → **ტგტ ლამშიდ** ...). შეუძლებელია გამოთქმებიდან — **ნექჭარ უშხარ ხავიდ** (ბქ.) „განრისხდა, გაბრაზდა, დანალვლიანდა“, **თხუიმ იჟარდ ანვიდ** (ბქ.) „თავი გამოიჩინა, გამირობა ჩაიდინა“, **ხატს ლერთანხენ ხანარა** (ბქ.) „ბოროტი|ურწმუნო აღამიანია“, **ფათუს დეშ ხაკურანნე** (ლშხ.) „ვერაფერს აკლებს“, **ხოლამ გუფი ლიფშუდე** (ბზ.) „გალახული გაშვება“... ამოვადგოთ რომელიმე კომპონენტი, რადგან ეს უსათუოდ გამოიწვევს იდიომის დაშლას. როგორც ჩანს, სვანურის ეს ვითარება აძლედა ა. ონიანს ზემოთგამოთქმული მოსაზრების საბაზს.

ამ შემთხვევაში, საფიქრებელია, რომ ქართული გამარტივებისკენ მიისწრაფვის და აღნიშნული მოვლენა ინოვაციად შეიძლება ჩაითვალოს, სვანური კი ამ მხრივ არქაულ ვითარებას ინარჩუნებს, რაც, როგორც უკვე ითქვა, სემანტიკური მონოლითურობითა და ტრადიციული გაფორმებით უნდა აიხსნას. **ფრაზეოლოგიზმის განმსაზღვრელი ნიშანი კი სწორედ ისაა, რომ შემადგენელი ელემენტების ფორმალური დამოუკიდებლობის ფონზე ახასიათებს შინაგანი მთლიანობა.**

იდიომის განსაზღვრაში ზოგჯერ ისეთ ნიშნეულობაზეც არის ყურადღება გა-  
მახვილებული, როგორცაა, მაგალითად, ლექსიკური ან გრამატიკული არქაიზმების არსებობა იდიომში. აღნიშნულ საკითხზე საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული რ. პოპოვს, რომლის მოსაზრების თანახმად, ენაში ძველი ელემენტების შემორჩენის ერთ-ერთ მოქმედ ფაქტორს წარმოადგენს ფრაზეოლოგიზაცია. იგი ერთმანეთს უდარებს მონათესავე ენათა იდიომებს და დაასკვნის: „იგივეობრივი ფრაზეოლოგიზმების ჯგუფს ქმნიან ძირითადად ისინი, რომლებიც თავის სტრუქტურაში არქაულ ელემენტებს შეიცავენ და წარმოშობით შედარებით ძველ ერთეულებს წარმოადგენენ“ (პოპოვი 1956:401).

მიუხედავად რ. პოპოვის ამ დასკვნისა, მეცნიერთა ერთი ნაწილი, არქაულ ერთეულებს არ თვლის იდიომისთვის სპეციფიკურ ნიშნად (ონიანი 1954:241; თაყაიშვილი 1961:26).

სვანური ენისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ იდიომებზე (*resp.* იდიომურ ლაკუნებზე) მუშაობისას ჩვენც ა. ონიანისა და ა. თაყაიშვილის თვალსაზრისი გავიზიარეთ და აღვნიშნეთ, რომ „ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში ფიქსირებული ლექსიკური და გრამატიკული არქაიზმები არ უნდა იყოს მიზეზი მათი იდიომატურობისა, რადგანაც საანალიზო ერთეულთა უმრავლესობა არ განიხილება როგორც არქაიზმი“ (საღლიანი 2011:232).

იდიომის სპეციფიკის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ნიშნად მიჩნეულია ზოგიერთი გრამატიკული კატეგორიის უქონლობა, რომელსაც, გრამატიკული კლასიფიკაციის წარმომადგენლები, გრამატიკული კატეგორიების მიჩქმალვასაც უწოდებენ. ზმნური ელემენტი ხშირად იზღუდება ფორმათწარმოების შესაძლებლობებით, რისი შედეგიცაა მისი ფრაზეოლოგიურად დახშულ კონტექსტებში წარმოდგენა (თაყაიშვილი 1961:27).

სვანურშიც ქართულის მსგავსად წარმოდგენილია იდიომის ყველა შესაძლო სახეობა. იდიომთა ერთი ნაწილი კი მთლიან პარადიგმატულ სქემებსაც ინარჩუნებს, მაგ.:

**გუის ჯიხპე** „გაბრაზებს (ზედმიწ. — გულ-ს გიხეთქავს)“

**გუის ჯიხპუნი** „გაგაბრაზებს (ზედმიწ. — გულ-ს გიხეთქავდეს იქნება)“

**გუის ჯიხპა** „გაბრაზებდა (ზედმიწ. — გულ-ს გიხეთქავდა)“

**გუის ჯანპუნა** „გაბრაზებდა თურმე (ზედმიწ. — გულ-ს ნახეთქება)“

მკვლევართა გარკვეული ნაწილი იდიომის განსაზღვრის კრიტერიუმად მიიჩნევს, აგრეთვე, მის სხვა ენაზე უთარგმნელობას. ამ თვალსაზრისის მიხედვით, იდიომი ისეთი გამოთქმაა, რომელიც სხვა ენაზე სიტყვასიტყვით არ ითარგმნება (ა. რეფორმატსკი, ნ. სკოროდიმოვა, დ. უმაკოვი, ს. ოუეგოვი, ლ. ბულახოვსკი).

იდიომის არსებულ განსაზღვრათა ამგვარი კლასიფიკაცია, ალ. ონიანის აზრით, არ არის ზუსტი, „რადგანაც უმეტეს შემთხვევაში ერთ განმსაზღვრელ ნიშნულობასთან ერთად მხედველობაშია მიღებული სხვა რომელიმე ნიშნულობაც“... (ონიანი 1954:42-43). იგი დაასკვნის, რომ „იდიომის სხვა ენაზე სიტყვასიტყვით თარგმნის შეუძლებლობა არაფერს გვეუბნება მისი შინაგანი ბუნების, მისი სპეციფიკის შესახებ...“ (იქვე:241), რასაც სვანური ენის ფრაზეოლოგიზმებიც ადასტურებენ.

როგორც გამოკვლევამ აჩვენა, საენათმეცნიერო ლიტერატურაში იდიომის სპეციფიკის განმსაზღვრელ კრიტერიუმებად მიჩნეული ნიშნები არც სვანურისათვის აღმოჩნდა არსებითი, ვინაიდან ისეთი რთული ლექსიკური ოდენობის შეცნობისათვის, როგორც იდიომია, მხოლოდ გრამატიკულ თავისებურებებზე დაყრდნობა არაა საკმარისი და ვერ სწვდება იდიომთა მთელ კლასს<sup>1</sup>.

ამავე კვარტალში დამთავრდა გაანალიზებული მასალის ლექსიკონის შედგენა.

რაც შეეხება **მეთორმეტე კვარტალს**, იგი ითვალისწინებდა მონოგრაფიისა „**სვანური ფრაზეოლოგიზმების სემანტიკური და მორფოსინტაქსური ანალიზი (ფუნდამენტურ-გამოყენებითი გამოკვლევა ლექსიკონითურთ)**“ და ლექსიკონის სრულყოფასა და რედაქტირებას და, ასევე, გამოსაცემად მომზადებულ მონოგრაფიის პრეზენტაციას.

ნაშრომში გათვალისწინებულია ქართველ თუ უცხოელ ლინგვისტთა შრომები, საანალიზო ლექსიკური ერთეულები შედარებულია როგორც ქართულ, ასევე ჯგუფის წევრების მიერ სხვა ენაზე პირობებში მოპოვებულ უნიკალურ თანამედროვე სვანურ მასალასთან.

როგორც უკვე ითქვა, გამოკვლევას დართული აქვს იდიომებისა და ფრაზეოლოგიურ შესიტყვებათა, აგრეთვე, მეორეულ კომპოზიტთა, მისაღმების, წყევლისა და დალოცვის ფორმულათა და ა. შ. სრული ლექსიკონი სვანურის ყველა

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად („იდიომის სპეციფიკის განმსაზღვრელ კრიტერიუმებად მიჩნეული ნიშნებისათვის სვანურში“) 2012 წელს ბ. ჯორბენაძის საზოგადოების XII სამეცნიერო კონფერენციაზე.



დიალექტის (მათ შორის ჩოლურული მეტყველებისა და ლახამულური კილოკავის) მონაცემთა მიხედვით. თვითეულ მათგანს აქვს როგორც **ლიტერატურული**, ასევე **სიტყვასიტყვითი თარგმანი** და შეძლებისდაგვარად **ეკვივალენტური შესატყვისი** ქართულ ენაზე მისი ყველა შესაძლო სინონიმური ვარიანტით.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სვანური იდიომებისა და ფრაზეოლოგიზმების კრებული, როგორც ცნობილია, დღემდე არ გვქონია და ეს იქნება პირველი ცდა ასეთი სრული ლექსიკონის შედგენისა, რაც, ჩვენი აზრით, ერთგვარ სამსახურს გაუწევს როგორც ქართველური ენების მკვლევრებს, ასევე ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხების შესწავლით დაინტერესებულ მეცნიერებს.

## ლიტერატურა

### ა) სამეცნიერო ლიტერატურა

**ავალიანი 1980** — Ю. Ю. Авелиани, Сравнительно-сопоставительные аспекты валентности и сочетаемости в разносистемных языках (к проблеме фразеобразований), Вопросы фразеологии, XV, Самарканд.

**გოშხეტელიანი 2010** — ი. გოშხეტელიანი, იდიომები კულტურათაშორის დისკურსში, I საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში, ბათუმი.

**ვინოგრადოვი 1947** — В. В. Виноградов, Русский язык (Грамматическое учение о слове), М.

**თაყაიშვილი 1961** — ა. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბილისი.

**ონიანი 1954** — ალ. ონიანი, ქართულ-სვანური იდიომატიკა, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.

**პოპოვი 1956** — Р. Н. Попов, Грамматические архаизмы в устойчивых фразеологических единицах Русского языка, Симферополь.

**ჟორჯოლიანი 2004** — ე. ჟორჯოლიანი, ნუმერატივების ფრაზეოლოგიური აქტივობის შესახებ, საენათმეცნიერო ძიებანი, XVII, თბილისი.

**საღლიანი 2011** — მ. საღლიანი, ნასესხები ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისათვის სვანურში. — იკე, 39, თბილისი.

**საღლიანი 2011** — მ. საღლიანი, სვანური ენისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური იდიომები ანუ იდიომური ლაკუნები, საენათმეცნიერო ძიებანი, XXXIII, თბილისი.

**საღლიანი 2012** — მ. საღლიანი, სვანურ ნუმერატივთა ფრაზეოლოგიური აქტივობა, პროფ. გ. ბურჭულაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი.

**საღლიანი 2012** — მ. საღლიანი, ღერძული სიტყვის სემის ექსპლიკაციისათვის სვანურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში (სომატიზმებში), არნ. ჩიქობავას

სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 71-ე სამეცნიერო სესია, მიძღვნილი პროფ. ბ. ჯორბენაძის დაბადების 70 წლისთავისადმი, თბილისი.

**სალიანი, შავრეშიანი, გიგლემიანი 2012** — მ. სალიანი, ნ. შავრეშიანი, ლ. გიგლემიანი, სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა ქართველური შესატყვისები და მათი კომპონენტების ეკვივალენტურობა, იკე, 40, თბილისი.

**სერბრენიკოვი 1955** — Серебренников Б. А. К проблеме типов лексической и грамматической абстракции. In: Вопросы грамматического строя. М.

**შავრეშიანი 2011** — ნ. შავრეშიანი, დალოცვისა და წყევლა-მუქარის გამომხატველი ფრაზეოლოგიური ქვეწყობილი წინადადებები სვანურში, იკე, 39, თბილისი.

**შავრეშიანი 2011** — ნ. შავრეშიანი, დალოცვისა და წყევლა-მუქარის გამომხატველი ფრაზეოლოგიური შერწყმული წინადადებები სვანურში, იკე, 39, თბილისი.

### ბ) ლექსიკონები

**დონდუა 2001** — კ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

**თოფურია, ქალდანი 2000** — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

**ლიპარტელიანი 1994** — ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

**ნიჟარაძე 2007** — ბ. ნიჟარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

### გ) წყაროები

**სვან. პროზ. ტექსტ. 1939** — სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი.

**სვან. პროზ. ტექსტ. 1957** — სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი.

**სვან. პროზ. ტექსტ. 1967** — სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი.

**სვან. პროზ. ტექსტ. 1979** — სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არ. ონიანმა, მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, რედაქცია გაუკეთეს მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, თბილისი.

**სვან. ენის ქრესტ. 1978** — სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი.

MEDEA SAGLIANI

## **Present state of studying the Svan phraseological expressions**

### **S u m m a r y**

As it is known, Svan **phraseological expressions (idioms and phraseological units), old expressions with religious content, secondary compound words, greeting, cursing and blessing formulas** have not been studied in detail on the basis of the material of Svan dialects and sub-dialects up-to-date.

In 2009 the goal of the three-year project “**Semantic and morpho-syntactic analyses of Svan phraseology (fundamental and applied study with a dictionary)**” financed by Shota Rustaveli National Scientific Fund, was to process the aforesaid theme scientifically (according to all Svan dialects and sub-dialects).

A dictionary of idioms and phraseological expressions, secondary compound words, greeting, cursing and blessing formulas, etc. according to all Svan dialectal data (among them Cholurian and Lakhamulian sub-dialects, as well) is attached to the monograph that is prepared for publication. Each of them has literary as well as **word-for-word** translation and Georgian **equivalent whenever** possible with all synonymic variants.

Since a dictionary of Svan idioms and phraseological expressions have not existed up-to-date, therefore it will be the first attempt to compile such a comprehensive dictionary that will do a certain service to researchers of the Kartvelian languages as well as the scholars interested in Georgia’s history and ethnography.

თეა ტეტელოშვილი

**ტრანსლაციასთან (სუბსტანტივაცია-ადიექტივაციასთან)  
დაკავშირებული რამდენიმე საკითხისათვის**

ტერმინ „ტრანსლაციით“ აღინიშნება გრამატიკული მოვლენა, რომლის დროსაც „სრულმნიშვნელოვანი სიტყვა ერთი გრამატიკული კლასიდან გადადის მეორეში“. სიტყვის „კლასი“ და ფუნქცია იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ „კლასის“ ცვლილება იწვევს სიტყვის ფუნქციის ცვლილებას და — პირიქით. ტრანსლაცია მოსაუბრეს აძლევს იმის საშუალებას, რომ მან თავისი სურვილისამებრ კონკრეტული ენის პოტენციის შესაბამისად ესა თუ ის სიტყვა გარკვეულ მოდელში ჩასვას და იგი ახალი ფუნქციით დატვირთოს. მაგალითად, ტრანსლირებით შესაძლებელია ზმნისგან მივიღოთ არსებითი სახელი, არსებითი სახელისგან ვაწარმოოთ ზედსართავი ანდა პირუკუ და სხვ.

ტრანსლაციის ვრცელი ენათმეცნიერული შესწავლა დაკავშირებულია ფრანგი ლინგვისტის — ლუსიენ ტენიერის — სახელთან. ზემოხსენებული მოვლენის აღსანიშნავად იგი უპირატესობას სწორედ ტერმინ „ტრანსლაციას“ ანიჭებს, თუმცა იქვე შენიშნავს, რომ ინგლისური ენისთვის მის გამოყენებას გარკვეული უხერხულობა ახლავს (translation — თარგმნა) და ამ ენისთვის „ტრანსლაციის“ ფარდად „transference“-ს (გადატანა) ასახელებს.

ლ. ტენიერი მიიჩნევს, რომ ტრანსლაცია მრავალ ენაში მოქმედებს. ისმის კითხვა — **ქართულ ენაში აქტიურია თუ არა ტრანსლაცია და თუ აქტიურია, მაშინ იგი მხოლოდ თანამედროვე ქართულში ფუნქციონირებს, თუ იგი ენის განვითარების მთელ სისტემას გასდევს.**

ქართულ ლინგვისტიკაში ტერმინ „ტრანსლაციის“ სახელით აღნიშნული გრამატიკული მოვლენის შესწავლას არცთუ ისე ხანგრძლივი ისტორია აქვს და სულ რამდენიმე ნაშრომს მოიცავს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა მეტყველების ნაწილის ერთმანეთში გადასვლის (ერთმანეთის ფუნქციით გამოყენების) უნარი არაერთ ქართველ ენათმეცნიერს აქვს შენიშნული. მაგალითად, ა. შანიძე „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ წერს: „ქართულ ენას შეუძლია აბრუნოს არა მარტო სახელი, არამედ ზმნაც, ზმნიზედაც, თანდებულიც, კავშირიც, ნაწილაკიც, შორისდებულიც, ე. ი. ყოველგვარი სიტყვა, მათ შორის ჩვეულებრივი სახელის რომელიმე ბრუნვის ფორმაც. მე-

ტიც შეიძლება ითქვას: ქართულს შეუძლია აბრუნოს მთელი წინადადება კი“ (შანიძე 1980: 76). ავტორს წიგნში მოჰყავს თქმულის დამადასტურებელი მაგალითებიც: „ერთი მ ა ქ ე ს სჯობს ათას მ ქ ო ნ დ ა ს“, „ისევ მოჭორება ირჩივა ა რ ვ ი ც ი ს თქმასა“, „თვალი და გული ხ ვ ა ლ ი ს კ ე ნ მიგვიბო-და, ხ ვ ა ლ ე ს ველოდით, ხ ვ ა ლ ე გვახსოვდა, ხ ვ ა ლ ე ს ვნატრობდით“, „ვ ა ი ს გავვეყარე და ვ უ ი ს შევეყარეო“, „მ ე ხ ი კ ი და გ ე ც ე ს ა ც ზედ დაატანდა“ და ა.შ. (შანიძე 1980: 77-78). რა თქმა უნდა, ზემოთ დამოწმებულ მაგალითებთან დაკავშირებით არ შეიძლება ვთქვათ, რომ ზმნა, ზმნისართი ან შორისდებული არის ნაბრუნები, მით უმეტეს, ეს არ შეგვიძლია ვთქვათ მთე-ლი წინადადების შესახებ. აქ სწორედ სუბსტანტივად ტრანსლირებული სხვა-დასხვა მეტყველების ნაწილი, გასუბსტანტივებისას ერთ ოდენობად ქცეული მთელი წინადადება იბრუნვის, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის მნიშვნელოვან-ი ისაა, რომ მეცნიერი საუბრობს ფაქტზე, რომლის არსიც ტრანსლაციაა.

ტრანსლაცია სხვადასხვა მეტყველების ნაწილის მიღების იმდენად აქტი-ური საშუალებაა, რომ იგი ამ ფუნქციით გამოიყენებოდა ძველ ქართულში, მოქმედებს თანამედროვე ენაშიც და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მისი ისტორიული არსებობაც დასტურდება. ამ უკანასკნელზე საუბარი მხოლოდ ეტიმოლოგიური კვლევა-ძიების საფუძველზე შეიძლება და ის რომ ნამდვილად მოქმედებდა უძველეს ქართულში, ამის დასადასტურებლად შეგვიძლია მოვიყ-ვანოთ საკითხთან დაკავშირებული რამდენიმე გამოკვლევა.

ტრანსლაციას (სუბსტანტივაცია-ადიექტივაციას) ისტორიულ ჰრილში ეხება ვ. თოფურიას სტატია „ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან“. მეცნი-ერი **ნე-**, **ნა-**, **ნი-** პრეფიქსებს გამოყოფს შემდეგ სიტყვებში: **ნე-**: ნერწყვი, ნერ-გი, ნერჩი, ნესტი, ნეშტი, ნეზვი, ნეტარი; **ნა-**: ნატრვა → ნატვრა, ნათელ, ნა-ხვა; **ნი-**: ნიჩვი, ნიდაყვი, ნიკაბი. მკვლევარი ჩამოთვლილ ფორმათა ანალიზის შედეგად დაასკვნის: „ნათლად ჩანს **ნე-**, **ნა-**, **ნი-**ს პრეფიქსობა, ოღონდ სარკვე-ვია, თუ რა ფუნქციით არის აღჭურვილი ეს ელემენტები. ნიმუშებით ესეც გამოაშკარავებულია: ნე - (ნ ე ზ ვ ი, ნ ე რ წ ყ ვ ი, ნ ე შ ტ ი... ) = ქართ. ს ე -ს ა და ს ვ ა ნ. ლ ე -ს. იგი მაადიექტივებელია, დანიშნულების გამომხატველი. შემდეგ ეს ე. წ. ადიექტივები სუბსტანტივებად ქცეულა. ხოლო ნ ა -, ნ ი - = ქართ. ს ა -, ს ი -ს ა და ს ვ ა ნ. ლ ა -, ლ ი -ს. ესენი უმთავრესად სუბსტანტივებს აწარმოებენ. გამოდის, რომ ქართულში ერთისა და იმავე მოვალეობის შე-მსრულებლად ფონეტიკურად განსხვავებული ორი თავსართი გვქონია: ს ე - II ნ ე -, ს ა - II ნ ა -, ს ი - II ნ ი -“ (თოფურია 1938: 91).

ისტორიული თვალსაზრისით ტრანსლაციის არსებობაზე მეტყველებს არნ. ჩიქობავას მიერ ე. წ. სახელთა ფუძის საწარმოებელი აფიქსებისა და ამა-ვე აფიქსების, როგორც მიმღებების (როგორც ზმნისგან ტრანსლირებული სახელების) მაწარმოებელთა, გამოყოფა. მიმღებობებისთვის სახელთა დეტერმი-ნანტების გამოყენებას მეცნიერი იმით ხსნის, რომ „მიმღებობა ნაზმნარი სახე-

ლია, **ზმნის ფუძისაგან ნაწარმოები სახელი**“ (ჩიქობავა 1942: 120) და ზმნისაგან სახელის (ამ შემთხვევაში — მიმღობის) საწარმოებლად სახელის ფუძის დეტერმინანტების გამოყენება ბუნებრივია. „მიმღობას არა აქვს არც ერთი ისეთი საწარმოებელი სუფიქსი, რაც არსებითს (და ზედსართავ) სახელებში არ გვქონდეს.

შლრ.: მიმღობა:	არსებ. და ზედსარ. სახელი:
-ან-: მცივ-ან-...	დედ-ან-... მ-ჯც-ოვ-ან-...
-ალ-: დამბ-ალ-... სა-მკ-ალ-...	წყ-ალ-... ძუ-ალ-... ახ-ალ-...
-ელ-: მ-სმენ-ელ-... სა-სმენ-ელ-... მა-დიდ-ებ-ელ-... სა-დიდებ-ელ-...	ულ-ელ-... სთუ-ელ-... წით-ელ-... ძნ-ელ-... გრძ-ელ-...
-ულ-: მ-საჯ-ულ-... და-ტევნ-ულ-...	გ-ულ-... ზა-ფხ-ულ-...
-არ-: მდევ-არ-... მ-გმოზ-არ-... მა-ძლ-არ-... მ-კუდ-არ-...	ჯ-არ-... ბლუ-არ-... ცხოვ-არ-... მ-თავ-არ-...
-ურ-: მა-ცთ-ურ-... მდგ-ურ-... სა-ცთ-ურ-... სა-დგ-ურ-...	მ-სახ-ურ-... მე-თევზ-ურ-... სა-ცეცხ-ურ-... სა-გზა-ურ-...“

(ჩიქობავა 1942: 112)

ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემასთან მიმართებით ტრანსლაციას (მეცნიერი ტრანსლაციის ნაცვლად გამოიყენებს ტერმინ „ტრანსპოზიციას“) განიხილავს ა. არაბულიც მონოგრაფიაში „ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში“, რომლის ცალკე თავი — „მდგომარეობისა და თვისების სემანტიკათა ურთიერთშეხვედრისა და ტრანსპოზიციის პროცესისათვის ისტორიულ მასალაში“ — ეხება მიმღობური წარმოების საფუძველზე ზედსართავ სახელთა წარმოქმნას. მეცნიერი აღნიშნავს, რომ „მიმღობა ბუნებრივად ექვემდებარება ადიექტივაციის ან, უფრო იშვიათად, სუბსტანტივაციის ტენდენციას. ამგვარი ტრანსპოზიციის (ტრანსლაციის) პროცესი თავს იჩენს მიმღობის ენობრივი ფუნქციონირების ყოველ სინქრონიულ დონეზე, მოვლენის შედეგები კი განსაკუთრებით ისტორიულ ჭრილში ხდება ხელშესახები“ (არაბული 2001: 288).

ა. არაბული მიიჩნევს, რომ „ისტორიული ტრანსპოზიციის პროცესი მიმართულია როგორც სუბსტანტივაციისაკენ (ძირითადად), ასევე ადიექტივაციისაკენ (შედარებით იშვიათად): **ჭერი, ძღვენი, კვეთი, ვარი...** სუბსტანტივებად ჩამოყალიბდა, ხოლო **ჭყეტი** (ტანსაცმელი), **კელი** (საქონელი), **ჭვირი** (საშუალო გამჭვირვალე, მჭვირობი), **ჭიკი** (ვიწრო, შეკრული, მოჭერილი)... ფუძეებში ატრიბუტულმა მნიშვნელობამ იჩინა თავი“ (არაბული 2001: 294).

რაც შეეხება იმას, რომ „სახელზმნური“ ელემენტები ხან ატრიბუტული და ხან სუბსტანტიური ფუნქციით გვევლინებიან, ამას მეცნიერი ასე ხსნის:

„თუ აქცენტირებულია საგნის ნიშან-თვისება — ატრიბუტული შინაარსი დომინირებს, თუ თვით საგანზე გადადის ნომინაციის მახვილი — სუბსტანტივის გაგება იწვევს წინა პლანზე. ეს კავშირი განაპირობებს ტრანსპოზიციის ისტორიულ პროცესს პარადიგმატულ და სინტაგმატურ საფუძველზე. ტრანსპოზიციის ისტორიულ ლოგიკას გამოხატავს ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე ფორმა გვევლინება როგორც ადიექტივის, ისე სუბსტანტივის პოზიციაში“ (არაბული 2001: 322).

ძველ ქართულშიც რომ აქტიური იყო ტრანსლაცია, ამაზე ძველი ქართული ენის შესახებ არსებული გრამატიკები თუ სტატიებიც მეტყველებს.

ი. იმნაიშვილი, რომელმაც ვრცელი მონოგრაფია მიუძღვნა ძველ ქართულში სახელთა ბრუნებასა და ბრუნვათა ფუნქციებს, აღნიშნავს: „ძველ ქართულში, გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე ახალ ქართულში, **შეიძლება ყოველი სიტყვა იბრუნოს**. აქ, რასაკვირველია, სახელზე არაა ლაპარაკი (სახელი თავისთავად ბრუნებადი სიტყვაა), აქ მხედველობაში გვაქვს უფორმო სიტყვები, როგორიცაა ნაწილაკები, ზმნიზედები, თანდებულები, კავშირები; აქ მხედველობაში გვაქვს აგრეთვე ზმნებიც; ზმნათა პირიანი ფორმებიც შესაძლებელია იბრუნოს, მას ბრუნვის ნიშნები გაუჩნდეს (ე. ი. ზმნის პირიანი ფორმა ფუძედ იქნეს გაგებული და ჩვეულებრივი წესით იბრუნოს); ბოლოს, აქ მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა ასეთ ფუძედ მთელი შესიტყვება ან წინადადება არის გაგებული და იგი იბრუნება“ (იმნაიშვილი 1957: 17). თქმულს ავტორი მაგალითებით ადასტურებს: „არა იყო ჰე და არა, არამედ **ჰე იგი** მას შინა იქმნა“; „სადა ხარ აწ, რომელმან-იგი **გიხაროდენი** მარქუ მე“ (იმნაიშვილი 1957: 18) და სხვ.

რა თქმა უნდა, აქ გასუბსტანტივებულ სიტყვათა ბრუნება იგულისხმება. ამას მოყვანილი მაგალითებიც მოწმობს.

ა. კიზირიაც მიიჩნევს, რომ ქვემდებარედ სიტყვა გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მას უნარი აქვს სუბსტანტივად წარმოგვიდგეს: „ქვემდებარედ შეიძლება იყოს არსებითი სახელი (მასდართურთ), ზედსართავი სახელი (მიმლეობითურთ), რიცხვითი სახელი და ნაცვალსახელი, ე. ი. ბრუნვისა და რიცხვის მქონე ყველა სიტყვა, რომელთაც წინადადებაში შეუძლიათ მიიღონ არსებითი სახელის გაგება“ (კიზირია 1963: 114), ხოლო ადიექტივად შეიძლება შეგვხვდეს რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები, ნაწევარი და არსებითი სახელები.

ზ. სარჯველაძე ძველ ქართულში ცალკე მდგომ რიცხვითებსა და ზედსართავებს გასუბსტანტივებულად მიიჩნევს: „საკმაოდ ხშირად ზედსართავი სახელი არსებითი სახელის ფუნქციით გამოიყენება (იგუემნეს იგინი სიბრმითა მცირითგან ვიდრე **დიდადმდე**; რად **ბოროტი** უქმნიეს მაგას და სხვ.). ასეთ შემთხვევებში ზედსართავი სახელი გაარსებითებულია; იგი საგანს გამოხატავს და არა მის თვისებას“ (სარჯველაძე 1997: 55). ამას გარდა, „საკმაოდ ხშირად რიცხვითი სახელი არსებითის ფუნქციით გამოიყენება. მაგალითად: სადაცა იყვნენ ორნი, გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათჳს; პირველმან შეირთო

ცოლი; მრავალი მეგნო მე ჩუენებით დღეს მაგისტუს და მისთ. ცხადია, გაარსებული თებულო რიცხვითი სახელი არსებითი სახელის მსგავსად იბრუნვის“ — აღნიშნავს მეცნიერი (სარჯველაძე 1997: 61).

ზ. სარჯველაძე მსჯელობს ზმნისგან სახელთა ტრანსლირებაზეც: „არის შემთხვევები, როცა ზმნის პირიანი ფორმებისგანაა სახელი ნაწარმოები (არს-ი, მრწამს-ი, ღირს-ი, იყო-ე, იძრვის-ი, იქცევის-ი...)“ (სარჯველაძე 1997: 188). აღნიშნული მაგალითები წარმოადგენს სუბსტანტივაციის ბოლომდე მისულ პროცესს.

ტრანსლაცია ყველაზე თვალსაჩინოდ თანამედროვე ქართულში წარმოჩნდება, რამდენადაც მისთვის თვალის მიდევნება ყველაზე ადვილი ენის აქტიური ფუნქციონირების ფაზაშია შესაძლებელი.

როგორც ზემოთ უკვე დავიმოწმეთ, ქართულში სუბსტანტივაციაზე მიაწინებებს ა. შანიძის სიტყვები სხვადასხვა მეტყველების ნაწილის (არასახელის) ბრუნების უნარზე. რაც შეეხება თანამედროვე ქართულში ტრანსლაციის ვრცელ შესწავლას, იგი თ. უთურგაიძის სახელთანაა დაკავშირებული, რომელიც სუბსტანტივაცია-ადიექტივაციის თვალსაზრისით ერთ საინტერესო მექანიზმს წარმოაჩენს: სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვის ნიშნები „ნებისმიერ არასახელს სახელად მოაქცევენ ისე, რომ თვითონ ინარჩუნებენ ბრუნვის ნიშნის ფუნქციას“ (მაგ.: ღირს-ს (ზმნა) ~ ღირს-ი, ღირს-მა, ღირს-ს (სახელი); პირველად (ზზ.) ~ პირველად-ი, პირველად-მა, პირველად-ს (სახელი) მაშინ, როცა ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ნიშნები „ტრანსლაციის დროს თვითონ მოიქცევიან წარმოქმნის ელემენტებად და ფუძის შემადგენლობაშიც შედიან“ (მაგ.: პირობა (სახ.) ~ პირობით (ზზ.), პირველი (სახ.) ~ პირველად (ზზ.) (უთურგაიძე 2009: 52-53).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტრანსლაცია-ასთან დაკავშირებულ პირველ კითხვაზე პასუხი დადებითია: **ტრანსლაცია არსებობს ქართული ენისათვის თვალის მიდევნების შესაძლებლობის ყველა ეტაპზე. იგი არის აქტიური საშუალება ენის პოტენციის გამოყენებით ნაირგვარ ფუნქციურ ფორმათა მიღებისა.**

**ამგერად უნდა გაირკვეს, როდის შეიძლება ვისაუბროთ სიტყვის ტრანსლაციაზე?! — ანუ როდის შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიტყვა ტრანსლირებულია?!**

უპირველესად აღსანიშნავია: არაერთ ენათმეცნიერს აქვს შენიშნული ფაქტი, რომ მეტყველების ნაწილებს აქვთ ძირითადი ფუნქციები და აგრეთვე — ფუნქციები, რომლებსაც ისინი გარკვეულ პოზიციაში იძენენ.

ა. შანიძე ამა თუ იმ მეტყველების ნაწილის „თავისთავადად“ თუ „მსაზღვრელად“ გამოყენების შესახებ აღნიშნავს: „ერთი და იგივე სახელი შეიძლება თავისთავადადაც ვიხმაროთ და მსაზღვრელადაც, მაგრამ თავისთავადობა ახასიათებს უპირატესად არსებით სახელებს, წილობით რიცხვითებს, ზოგიერთ ნაცვალსახელს (პირისას და სხვ.), საწყისებს და მოქმედებითი გვარის მიმღეო-



ბებს, მსაზღვრელობა — კი უმეტესად ზედსართავებს, რაოდენობითსა და რიგობით სახელებს, ზოგიერთ ნაცვალსახელს (კუთვნილებითს და სხვ.) და ვნებითი გვარის მიმღობას“ (შანიძე 1980: 49).

ამავე აზრს ავითარებს ყ. ფეიქრიშვილი. იგი აღნიშნავს, რომ „ჩვეულებრივ, ამა თუ იმ მეტყველების ნაწილთან დაკავშირებულია რომელიმე ძირითადი ფუნქცია, მაგრამ შესაძლებელია მოხდეს სიტყვის გადასვლა მეტყველების ნაწილთა ერთი თანრიგიდან მეორეში. მაგალითად, **ჩქარი** (მდინარე) — ზედსართავი სახელი, მაგრამ: **ჩქარა** (მოდის) — ზმნიზედა. შესაძლებელია, დამხმარე სიტყვა, აგრეთვე, შორისდებული წინადადებაში გამოყენებულ იქნეს სრულმნიშვნელოვანი სიტყვის ფუნქციითაც: „და მაჯგუფებელი კავშირია“. აქ **და** ქვემდებარეა. „**ვაის** გავყარე და **ვუის** შევეყარე“ — ორივე შორისდებული დამატება“ (ფეიქრიშვილი 1996: 59).

მართალია, ყ. ფეიქრიშვილი ეთანხმება მეტყველების ნაწილთა ძირითადი ფუნქციის არსებობას, მაგრამ იგი არ უარყოფს წინადადებაში როლის გავლენით სიტყვის სინტაქსური ფუნქციის ცვლასაც.

ა. დავითიანს კი სიტყვის ფუნქციის განსაზღვრისას უმთავრესად წინადადების მოდელში ამ სიტყვის ადგილი მიაჩნია, „რადგან პრაქტიკულად წინადადებაში მეტყველების ნაწილთა ფუნქცია საკმაოდ აღრეულია, ცალკე აღებული მეტყველების ნაწილი კი არა, ზოგჯერ მისი გარკვეული ფორმაც არ განსაზღვრავს ზუსტად მის ფუნქციას. იმდენად დიდია მოდელის მნიშვნელობა, რომ ერთი და იგივე იზოლირებული სიტყვა ერთი და იმავე ფორმით შეიძლება წინადადების სხვადასხვა წევრად მოგვევლინოს; მაგალითად:

ურემი ჭრიალით მიდიოდა (ქვემდებარე);

ივანემ დაინახა ჭრიალით მომავალი ურემი (პირ. დამატება);

ურემი შეშა ეწყო მანქანაზე (განსაზღვრება);

ეს ივანეს ურემია (შემასმენელი).

ასეთი მდგომარეობა მეტ-ნაკლებად ყველა მეტყველების ნაწილის ფორმებთან გვაქვს“ — აღნიშნავს მეცნიერი (დავითიანი 1973: 120).

პრინციპულად იმავე პოზიციაზეა ბ. ჯორბენაძეც. იგი მეტყველების ნაწილთა განსხვავებულ კლასიფიკაციას ფორმაცვალბების პრინციპზე დაყრდნობით აყალიბებს, სახელებში განარჩევს სუბსტანტივებსა და ატრიბუტივებს და აღნიშნავს, რომ „მათ შორის არ არის მკაცრი სემანტიკური მიჯნა: ერთი და იგივე სახელი კონტექსტის შესაბამისად შესაძლოა იყოს სუბსტანტივიც და ატრიბუტივიც“ (ჯორბენაძე 1995: 24). თქმულის საილუსტრაციოდ მეცნიერს მოჰყავს „გოდორი“ სიტყვის განსხვავებული ფუნქციები შემდეგ შესიტყვებებში: დიდი **გოდორი** (**გოდორი** სუბსტანტივია) და **გოდორი** სიმინდი (**გოდორი** ატრიბუტივია).

ლ. კვაჭაძე კი მეტყველების ნაწილთა ძირითადი ფუნქციისა და სიტყვის სინტაქსური როლის ცვლას თანადროულ პროცესებად მიიჩნევს: „ამა თუ იმ მეტყველების ნაწილთან დაკავშირებულია რომელიმე ძირითადი სინტაქსური

ფუნქცია, მაგრამ ენებში განუწყვეტლივ მიმდინარეობს სიტყვის ერთი მეტყველების ნაწილიდან სხვა მეტყველების ნაწილში გადასვლის პროცესი, ე. ი. გადანაცვლება ერთიდან მეორეში, და ამის შედეგად მისი სხვა სინტაქსური ფუნქციით აღჭურვა. ეს პროცესი არც ქართულისთვის არის უცხო. ამის შედეგია სუბსტანტივაცია, ადიექტივაცია, ადვერბალიზაცია. ასე, მაგალითად, ზედსართავი სახელი წინადადებაში განსაზღვრებაა (მ ა ღ ა ლ ი სახლი), მაგრამ ის შეიძლება არსებითი სახელის მნიშვნელობით გამოვიყენოთ და ქვემდებარე ან დამატება გამოხატოს. მაგალითად: ამის გაგონებაზე მ ა ღ ა ლ მ ა, რომელსაც აბესალომი რქმეოდა, თვალები დააბრიალა... მ ა ღ ა ლ მ ა ქვემდებარეა“ (კვაჭაძე 1996: 70).

ზემომოყვანილი მოსაზრებანიც ცხადყოფს, რომ თითოეულ მეტყველების ნაწილს აქვს ძირითადი ფუნქცია, რომელსაც იგი უმეტესად ავლენს წინადადებაში თავისი როლის შესრულებისას და რომელი ფუნქციის გათვალისწინებითაც ხდება მისი, როგორც მეტყველების ნაწილის, დახასიათება. მაგალითად, არსებითი სახელი ძირითადად ქვემდებარე-დამატებების ფუნქციით გვხვდება, ზედსართავი — საგნის ნიშან-თვისების განმსაზღვრელად, მაგრამ თავისუფლადაა შესაძლებელი, რომ მათ, მოსაუბრის საჭიროებისათვის (სათქმელის უკეთ გამოხატვის მიზნით), იკისრონ წინადადებაში არაძირითადი როლის შესრულება. ამის დამადასტურებელია ზემოთ მოყვანილი მაგალითებიც, როდესაც არათუ განსხვავებული, არამედ იდენტური სიტყვაფორმები სხვადასხვა ფუნქციითაა აღჭურვილი. თუ როგორ, რა საშუალებების დახმარებით შეიცვლიან სიტყვები „კლასებს“, ეს სწორედ ტრანსლაციის შესწავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **ტრანსლაციაზე საუბარი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, როდესაც სიტყვა იცვლის „კლასს“ და გამოიყენება არა ძირითადი, არამედ სხვა მეტყველების ნაწილის ფუნქციით და ტრანსლირდება სწორედ იმ მეტყველების ნაწილად, კონკრეტულად რომლის როლსაც ასრულებს წინადადებაში.**

აღნიშნულთანაა დაკავშირებული მესამე კითხვა: **სადაა ტრანსლირებული სიტყვის ადგილი?!** თუ დავუშვებთ, რომ ტრანსლაციის შემთხვევაში მოცემული სიტყვა იცვლის ფუნქციას, რომელ მეტყველების ნაწილს უნდა მივაკუთვნოთ ტრანსლირებული ვარიანტი? მაგალითად, წინადადებაში — „მე გათამამებული ვარ **ლამაზებისაგან**“ — სიტყვაფორმა „**ლამაზებისაგან**“ ზედსართავ სახელად უნდა განვიხილოთ თუ არსებითად. აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არსებითი და ზედსართავი სახელების არაძირითადი ფუნქციით გამოყენებისას. ხსენებულ პრობლემას ეხმიანება არნ. ჩიქობავა ნაშრომში „სახელისა და ზმნის ანალიზის პრინციპები ქართულში“, რომელშიც იგი ყურადღებას ამახვილებს ქართული ენის გრამატიკის სწავლებისას გასათვალისწინებელ მრავალ ფაქტორზე და, მათ შორის, სინტაქსის გავლენით მორფოლოგიური ცვლილებების ანალიზზეც: „ქართული ბრუნების ერთი საგულისხმო თავისებურება იმაშიც მდგომარეობს, რომ სახე-

ლი ცალკე აღებული სხვანაირად იბრუნვის და სხვანაირად იბრუნვის სახელი, რომელიც მეორე სახელის მსაზღვრელად არის გამოყენებული და მას წინ უძღვის... მოვლენა სინტაქსური ბუნებისაა; სინტაქსური მოვლენების ზეგავლენით მორფოლოგიურმა პროცესმა სახე იცვალა და თუ ეს ცვლილება არ გავათვალისწინებინეთ მოწაფეს, ის ცალკე დაიწყებს მსაზღვრელის ბრუნვის დახასიათებას და სრულებით უმართებულო დასკვნამდეც მივა“ (ჩიქობავა 1998-ა: 10).

ა. პაპიძეც მიიჩნევს, რომ ზედსართავი თუ რიცხვითი სახელების ბრუნება მხოლოდ მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების კონტექსტში უნდა იქნეს განხილული, რამდენადაც ე. წ. ცალკე გამოყენებული ზედსართავებისა და რიცხვითი სახელების არსებობას მკვლევარი უარყოფს. მას მიაჩნია, რომ „განსასაზღვრი საგნის გარეშე მათი სემანტიკური ფუნქცია იჩრდილება, ბუნდოვანდება, ამიტომ ის, რასაც დამოუკიდებელ ზედსართავს ან რიცხვით სახელს უწოდებენ, სინამდვილეში არც ერთია და არც მეორე. იგი სუბსტანტივია“ (პაპიძე 1998: 99).

გამოდის, რომ ამა თუ იმ სიტყვის მორფოლოგიური დახასიათებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ამ კონკრეტული სიტყვის ადგილი (როლი) წინადადების სხვა წევრთა მიმართ. ამ აუცილებლობაზე ისიც მეტყველებს, რომ ქართული ენის მოქნილობის წყალობით ე. წ. ფორმაუცვლელ და არასრულმნიშვნელოვან სიტყვებსაც კი შესწევთ ძალა ფორმაცვალებად სიტყვებად მოიქცნენ (ამის მაგალითები ზემოთაა მოყვანილი) და რეზულტატური მდგომარეობა თუ არ გავითვალისწინებთ და არ მივაქციებთ ყურადღება სიტყვაფორმის ფუნქციას, მაშინ შესაძლოა პარადოქსულ დასკვნამდეც კი მივიდეთ.

ზემოთ უკვე ითქვა იმის შესახებ, რომ **მიუხედავად მეტყველების ნაწილთა ძირითადი ფუნქციისა, სიტყვის კლასიფიკაციისთვის უმნიშვნელოვანესი მაინც ის როლია, რომელსაც ის ასრულებს წინადადებაში**. აღნიშნული როლის გავლენით შესაძლებელია სრულიად დაიჩრდილოს სიტყვის ძირითადი ფუნქცია და მისი ნიშან-თვისება (თუკი იგი შენარჩუნდა) მხოლოდ ინერციის ძალით იყოს ფორმაში წარმოდგენილი.

შემდეგი საკითხი, რომელიც ტრანსლაციასთან დაკავშირებით დაისმის, შემდეგნაირად ყალბდება: **სად არის ტრანსლაციის, როგორც ენობრივი მოვლენის, შესწავლა-განხილვის ადგილი გრამატიკაში?! ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უმნიშვნელოვანესია ყურადღება მიექცეს იმ გზებს, რომელთაც ენა მიმართავს ტრანსლაციისთვის. მაგალითისთვის მოვიყვანთ ტრანსლაციის ჩვენთვის ამჯერად საინტერესო სახეების — ადიექტივაცია-სუბსტანტივაციის — საშუალებებს.**

თანამედროვე ქართულში ტრანსლირება (ადიექტივაცია-სუბსტანტივაცია) მიმდინარეობს ორი მიმართულებით:

**1. სიტყვის ფორმის შეუცვლელად (ყოველგვარი მაწარმოებელი აფიქსის გარეშე)**

და

**2. სიტყვის ფორმოზრივი ცვლილებით (ე. წ. მაწარმოებელი აფიქსებით, ტრანსლატივებით).**

**სიტყვის ფორმის შეუცვლელად ტრანსლირების მაგალითები:**

„ავი არ მაკადრიანო, კარგი არ მაღირსიანო“, „ოდეს ბოროტი გამრავლდეს, კეთილი გაცუდდებისა“, „ბევრი რათ უნდა დედასა, ერთი სჯობს სახელოვანი“, „ბრმამ ბრმას უთხრა „ჭიტაო“, „ობოლი გაზრდას მოელის, ღარიბი — გამდიდრებასო“;

„ცისფერ კაფეში შევიღვართ ორნი, ცისფერ მაგიდას შემოვუსხდებით“, „მე ვუსმენ ყველას, წარმოვიდგენ ცხოვრებას მისას“ (ასათ.);

„სულ ოთხნი იყვნენ... სახე დინჯები“, „ვხედავ მათ ნათელს, შარავანდედს სცივია ფანტელი“, „ხვალ ყველა დაგაშაირებს ალვანს, ბახტრიონს, თიანეთს“ (ლეონ.);

„ხალხი ირევა, ხალხი ფუსფუსებს, დაღონებული მივიღვარ ბრბოში“, „რად მინდა მივსწვდე მიუწვდომელს, ვრცელს და უსაზღვროს?“ „მამინ ტოვებდა ყველას და ყოველს“ (გალაკტიონი);

„ბევრი სისხლი გაწვიმდება, ბევრის დედა ატირდება“, „მე ვაგწმდი და იმ სათქმელს ჯერით უკვე თავისად ახლა სხვები ლაპარაკობენ“ (ლებანი.);

„მომწუხრისას, მზეი როცა დაცხრა, თამარ მეფე ლოცვად იღვა ტაძრად“, ყოველი ფიქრებს მოუცავს თავისს... როცა ანათებს ტალღებს ავრორა“, „ლურჯად დაბინდდა, ლურჯი ელო აჩაღულ ყანებს“ (ანა);

„მენდე, გვირილავ, ლექსით კი არა, ბოროტებით და ავით გვკობიან...“, „ჩამომიარა სიკვდილმა, არც „ჰო“ ვუთხარი, არც — „არა“, „ვერ იგუებდი ლაჩარს, — ფრთები გქონდა და ქროდი“, „ყველას რომ დავავიწყდე, შენს გულს ვემახსოვრები“ (ჩიტისფ.);

„და როცა მამამ „ქრისტე აღსდგა“ გვითხრა მესამედ — მეც ჭეშმარიტად ვუპასუხე მოწაფესავით“, „შენ ხარ შიშველი, განძარცული შიშვლების მიერ“, „თავდაპირველად იყვნენ „თუ“ და „ან“ და მერე „ანუ“ (ამაღლობ.);

„ერთი გასრისა ასმა — თვალი გცვა ვიღაც თარსმა“, „რასაც არ მთხოვ, გეტყვი ხო-ს... რა მოხდა, რომ ეჭვი მჭამს“ (გომელ.).

სიტყვის ფორმოზრივი ცვლილებისთვის ტრანსლატივებად (მატრანსლირებელ ელემენტებად) გამოიყენება სიტყვამაწარმოებელი აფიქსები, ბრუნვის ნიშნები და სხვ.

**სიტყვის ფორმობრივი ცვლილებით ტრანსლირების მაგალითებია:**

„**იმედია**ნი შიმშილიც კარგიაო“, „**ბედნიერ**თა მონაგები, **უბედურ**თა წანაგებო“, „**ბევრის** მცოდნე ბევრჯერ შეცდებო“, „**მაძლარს მშვიერი**ც მაძლარი ეგონაო“;

„ნუ გაფრინდები ჩემო ოცნებავ, ნუ გაგიტაცებს თრთოლვა **ქალური**“, „მე განმიცდია **მთის** იდილია და **საარაკო** ლხინი **მზიური**“, „თავს არ მოიკლავს **ქართველი**, არა“, „შერცხვა და თავი დახარა, **სიწითლემ** გადაუარა“, „მაშინ **ჩემგვარი** ენამწარენიც ვერ გაკილავენ ძველ **სილამაზეს**“ (ასათ.);

„**მეტივეები** სადღაც მღერიან, სოფლის გუბეში გაჩრილა მთვარე“, „სთქვი **ნადვლიანი** ძველი ქართლივით, ან **აზნაურის** ქალზე ვიმღეროთ“, „ისევ აქ ვდგევარ, ქვას დაყრდნობილი მე **ღონიერი — ოცდაათისა!**“ „შიგნიდანვე გამომწვარო **მარტოობის** შხამით“, „იმ ხის ფესვებში მელანდებოდა **ხალხის მზის** ოქრო და **განძეული**“ (ლეონ.);

„რად მინდა მივსწვდე **მიწვდომელს**, **გრცელს** და **უსაზღვროს**?“ „მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ იცის ჩემი **საიდუმლო**, ყველა იცის თეთრმა ღამემ“, „და **სიხლოვის** სიშორეში, კვლავ უფრო შორი მისვლა ყელამდე, მიწვდომა **ყელის**“... „**ატმის** რტოო, დაღალულო რტოო, **ატმის** რტოო, სიმშვიდეა შორი“ (გალაკტიონი);

„**ძმობის**, **ერთობის**, **სიყვარულის** ქამანდი მოგდე“, „სული სწუხს **ჭუჭყიან** ქარებს, მკვრადშობილ ოცნებებს ვალალებს“, „მეწადა, **ქართველს** მევლო ქართველად“ (ლებან.);

სევდა სიამით ეძლიოს თქვენს შორის **ნადვლიანებსა**“, „ასე ფიქრობდა სულხან-საბა **ხელჯონიანი**“, „შენ — სისხლო ჩემო — სისხლო **ხნიერო**“... „მტვერი ფერხისა მათისა — სქელი **ღრუბელი ვითა**“, „**ულმერთო უსამართლობამ** ტყეში მისროლა სახლიდან“ (მაჭავარი.);

„და მე ვიგონებ **ჩახლართულ** ღობეს, სერებს **თოვლიანს**“, დაინამება მინდვრად შრომანი **ციურ** ცრემლითა“, „**საბრალო ბებრის** დაზვერონ მსხვერპლი“, „გულში **ტრფობის** აღს ჩაუგდებს რამდენს“, „და... როდესაც მზეს შევხედავ **გვირგვინოსანს**“, „ირგვლივ **მზის** ნათელი დასდგომია მთებსა, ცაში გაფრენილან **ნისლიანი** მთები“, ურხევს **ზღვაური**, ლურჯი **ზღვაური სევდიან** ფოთლებს“, „ტოვებენ ისევ ახალ **სამკვიდროს** და... **მარადიულს** უერთდებიან“ (ანა);

„დღეს კარგად ვიციოთ, ეს სიყვარული არის ბოლო და **სამარადისო**“, „ახლა სოფლის **სიმუხთლენზე** აღარ ვდარდობ“, „მე კვლავ **ჩემეულ** ბილიკებს მივდევ“, „ვუსმენ **წყაროთა უწყინარ** ქილიკს, გულო, რა **ცეცხლის** ბაგას დაები“, „დიოდა ჟამი **უნდო** და **მტრული**“, „შენ ასე უცხოს, შორს და **იღბლიანს** როგორ შეგბედო, რომ დაგენახე“ (ჩიტიშვი.);

„შვიდი წლის ვიყავი **საშინაო** წერას რომ ვწერდი“, **„ახალგაზრდული გარეგნობის ქალთა** კრებულზე“, **„წამსვლელს** და **მომსვლელს**, უშეცდომოდ, თითქმის უკლებლივ, ერთმანეთში რომ აღრიცხავენ ჭირისუფლები“, „სოფელი ყველაზე მართალი სიზმარი, **კრუნივით** დამფრთხალი“ (ამაღლობ.);

„მაგრამ ვერ გავხდი **ბავშვივით** ბრძენი — რა ძლიერია მაინც ბუნება!“ „ნუთუ არ ჰქონდა **საბრალოს** პური, იქნებ, ქუჩების უწვედა ხვეტა?“ „აი, ეს ქალი (რა კარგად მახსოვს), სულ მაზომებდა საკუთარ **ნაქსოვს**“ (გომელ.).

ზემოთ მოყვანილი მაგალითები ადასტურებს, რომ ქართულში სიტყვის ტრანსლირება შესაძლებელია როგორც მაწარმოებელი ელემენტების (ტრანსლატივების) დართვით, ისე წინადადების მოდელში გარკვეული ადგილის დაკავებით, ანუ ამა თუ იმ ენობრივი ერთეულის ტრანსლაციისთვის გამოიყენება როგორც მორფოლოგიური, ისე სინტაქსური საშუალებები. **ამდენად ტრანსლაცია ორივეს (მორფოლოგიისა და სინტაქსის) შესწავლის საგანი უნდა იყოს.**

ზოგადად, ენაში გარკვეული საკითხების შესწავლის დროს მორფოლოგიისა და სინტაქსის მკაცრი გამოიყენება რომ შეუძლებელია, ეს არაერთ მეცნიერს შეუნიშნავს. ამ სირთულეზე ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40-იან წლებში არნ. ჩიქობავა წერდა სტატიაში „გრამატიკის აგებულების ძირითადი საკითხები“: „ამთავითვე ცხადია, რომ მორფოლოგიას კავშირი აქვს სემასიოლოგიასთანაც (ფუძის საწარმოებელი აფიქსები!), სტილისტიკასთან (ბრუნვათა, დროთა, კილოთა, გვართა... მნიშვნელობა), სინტაქსთანაც“... — აღნიშნავს მეცნიერი (ჩიქობავა 1940: 162). ენობრივი მონაცემის კვლევისას მარტოოდენ რომელიმე გრამატიკის დარგით შემოფარგვლას მრავალი ფაქტორი ართულებს, მაგალითად, „სინტაქსი მორფოლოგიისაგან საგნის მიხედვით კი არ განირჩევა, არამედ მხოლოდ თვალსაზრისით; საგანი ორივესათვის ერთია — ცალკე სიტყვა; მის ფორმას მორფოლოგია სწავლობს, მნიშვნელობას — სინტაქსი“ (ჩიქობავა 1998-ბ: 39). დარგთა დიფერენცირებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მიუთითებს მისივე სიტყვები: „ამ დარგების დაკავშირება კი არაა ძნელი, — კავშირი მოცემულია, — არამედ გამოიყენება რთული. ზოგ შემთხვევაში ეს მეტად მწვავედ იგრძნობა“ (ჩიქობავა 1940: 162). მოყვანილი ციტატებიც მოწმობს, რომ ტრანსლაცია არაა ერთადერთი გრამატიკული საკითხი, რომლის შესწავლაც ერთდროულად შედის მორფოლოგიისა და სინტაქსის ამოცანებში.

და კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ტრანსლაციის კვლევასთან უშუალოდაა დაკავშირებული — **რადგან ტრანსლაცია არის სიტყვათა კლასების (მეტყველების ნაწილთა) ცვლილების საშუალება, უნდა თავიდანვე გაირკვეს, მეტყველების ნაწილთა რომელი კლასიფიკაციაა ამოსავალი ჩვენთვის, რომ შემდეგ „კლასების“ ცვლილებაზე ვისაუბროთ**, მით უმეტეს, რომ სიტყვათა მეტყველების ნაწილებად დაჯგუფებასთან დაკავშირებით არ არის ერთგვაროვანი აზრი.


ლ. ტენიერი სიტყვებს ყოფს სრულმნიშვნელოვნად და არასრულმნიშვნელოვნად და სრულმნიშვნელოვან სიტყვებში აერთიანებს არსებით სახელებს, ზმნებს, ზედსართავებსა და ზმნიზედებს. თავის მხრივ, ზოგად არსებით სახელებში შეაქვს კითხვითი, უარყოფითი, პირისა და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებიც, ხოლო ზედსართავებად მიაჩნია როგორც გარკვეული ტიპის ნაცვალსახელები და რიცხვითი სახელები, ისე — საკუთრივ ზედსართავები. არასრულმნიშვნელოვან სიტყვებს მკვლევარი უწოდებს კავშირებს, ტრანსლაციებსა და მარკერებს, ცალკე ჯგუფად გამოყოფს ანაფორულ სიტყვებსა და სიტყვა-წინადადებებს (შორისდებულები და ა.შ.).

როგორც ვხედავთ, ტენიერი წინადადებაში სიტყვის ძირითადი სინტაქსური ფუნქციიდან ამოსვლით აყალიბებს სიტყვათა კლასებს.

თანამედროვე ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოებში გამოყოფილია ათი მეტყველების ნაწილი: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი, შორისდებული. აღნიშნული კლასიფიკაციისას მეტყველების ნაწილებად იწოდება როგორც სრულმნიშვნელოვანი, ისე — არასრულმნიშვნელოვანი სიტყვები. ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ხსენებული კლასიფიკაციის შეფასება, თუმცა უნდა ითქვას, რომ იმ უხერხულობის გამო, რომელსაც ეს კლასიფიკაცია იწვევს, მისი მართებულობის შესახებ გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებანიც. კერძოდ, არნ. ჩიქობავა სტატიაში — „ქართული ენა“. მისი აგებულება-შედგენილობის ზოგადი საკითხები — მეტყველების ნაწილთა დამკვიდრებული კლასიფიკაციის შესახებ წერს: „მას შემდეგ, რაც ენათმეცნიერებაში დარგთა წყება ჩამოყალიბდა, ცხადია, დიონისე თრაკიელის სქემის დატოვებას მეცნიერული საფუძველი არ მოეპოვება: მორფოლოგია სიტყვას სწავლობს მისი სტრუქტურის თვალსაზრისით. ამიტომ მორფოლოგიაში მხოლოდ ის სიტყვა უნდა დარჩეს, რასაც სტრუქტურა აქვს, ე.ი. მორფოლოგიური კატეგორია მოეპოვება. ასეთია სახელი და ზმნა. ზმნისართი და მისი ქვეჯგუფები ლექსიკური ნიშნის მიხედვით ერთიანდება და, ცხადია, ლექსიკოლოგიაში უნდა იქნეს განხილული, თანდებულები — სინტაქსსა და სტილისტიკაში; ასევე — კავშირი და ნაწილაკები. მაშინ არ იქნება ისეთი მდგომარეობა, როცა ერთი და იგივე სიტყვა ორი მეტყველების ნაწილს განეკუთვნება („ვინც“, „რაც“, „რომელიც“ ნაცვალსახელიც არის და კავშირიც; „სადაც“ — ზმნისართიცაა და კავშირიც... და ეს იმიტომ ხდება, რომ „კავშირი“ სხვა ნიშნის მიხედვით გამოყოფილი ერთეულია და „ნაცვალსახელი“ — სხვა ნიშნის მიხედვით“... (ჩიქობავა 1964: 40).

ტრადიციულისაგან განსხვავებულ კლასიფიკაციაზე საუბრობს ბ. ჯორბენაძეც: „თანდებული და ნაწილაკი არსებითად არის მორფემა, ნაწევარი — მორფემოიდი. შორისდებული ლექსიკოლოგიური ცნებაა და ამიტომაც ლექსიკოლოგიაში უნდა იქნეს განხილული, ხოლო მორფოლოგიურად იგი ან სახელის

ფუძედ იქცევა (ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე...), ან ზმნისა (ვიშობს, ვაგლახობს, არიქათ, სუთ!..). კავშირი სინტაქსური ცნებაა და სინტაქსში უნდა იქნეს განხილული. ზმნიზედა ზმნის მსაზღვრელია, ზმნას კი იგი ბრუნვაში ვერ შეუთანხმდება, ამიტომაც ტოვებს ფორმაუცველი სიტყვის შთაბეჭდილებას. სინამდვილეში ზმნიზედა ფორმაცვალეზადი სიტყვაა“ (ჯორბენაძე 1995: 23). ბ. ჯორბენაძეს უმართებულოდ მიაჩნია ნაცვალსახელის ცალკე მეტყველების ნაწილად გამოყოფაც. თუ ნაცვალსახელი სუბსტანტივს ცვლის, როგორც მეტყველების ნაწილი — სუბსტანტივია, ბ. ჯორბენაძის აზრით, ხოლო, თუ ატრიბუტივს ცვლის — ატრიბუტივია. მნიშვნელოვანია, რომ მეცნიერს I და II პირის ნაცვალსახელები არ მიაჩნია ნაცვალსახელებად. „ვუწოდოთ „მე“ და „შენ“ ფორმებს ნაცვალსახელი, ეს იგივეა „გივი“, „დავითი“ ფორმების მიმართ „კაცი“ გამოვაცხადოთ ნაცვალსახელად“ — აღნიშნავს იგი და საბოლოოდ გვაწვდის მეტყველების ნაწილთა შემდეგნაირ კლასიფიკაციას:



მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ენაში მეტყველების ნაწილთა ჯგუფებად დაყოფა დამუშავებას ნამდვილად საჭიროებს, **ტრანსლაციის კვლევისას ჩვენ ვეყრდნობით ტრადიციულ კლასიფიკაციას.**

როგორც ზემოთ წამოჭრილი კითხვებიდანაც ჩანს, ტრანსლაციის კვლევა, თავისი კომპლექსური ბუნების გამო, მრავალ საკითხთანაა დაკავშირებული და ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით გარკვეულ კითხვებზე პასუხის გაცემა თავდაპირველადვეა საჭირო. ჩვენი წერილი სწორედ ამ პრობლემატიკის წინ წამოწევას ისახავდა მიზნად. რაც შეეხება ტრანსლაციას, მისი შესწავლა საინტერესოდ გვესახება ენის შინაგანი პოტენციისა და მობილური ბუნების უკეთ წარმოჩენა-შესწავლის თვალსაზრისით.

## ლიტერატურა

**არაბული 2001** — ა. არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბილისი.

**დავითიანი 1973** — ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

**თოფურია 1938** — ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VII, თბილისი.



**იმნაიშვილი 1957** — ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი.

**კვაჭაძე 1996** — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

**კიზირია 1963** — ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბილისი.

**პაპიძე 1998** — ა. პაპიძე, მსაზღვრელთა ბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები, ქსკს, XI, თბილისი.

**სარჯველაძე 1997** — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბილისი.

**ტენიერი 1988** — Л. Теньер, Основы Структурного Синтаксиса, Москва.

**უთურგაიძე 2009** — თ. უთურგაიძე, ქართული ენის დონეთა ძირითადი მახასიათებლების ურთიერთზემოქმედებისათვის გლობალურ ენობრივ სისტემაში, თბილისი.

**ფეიქრიშვილი 1996** — ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის სინტაქსი, ქუთაისი.

**შანიძე 1980** — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი, ტ. III, თბილისი.

**ჩიქობავა 1940** — არნ. ჩიქობავა, გრამატიკის აგებულების ძირითადი საკითხები, სსრკ. მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. I, №2, თბილისი.

**ჩიქობავა 1942** — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი.

**ჩიქობავა 1964** — არნ. ჩიქობავა, „ქართული ენა“. მისი აგებულება-შედგენილობის ზოგადი საკითხები, იკე, ტ. XIV, თბილისი.

**ჩიქობავა 1998-ა** — არნ. ჩიქობავა, სახელისა და ზმნის ანალიზის პრინციპები ქართულში, თბილისი.

**ჩიქობავა 1998-ბ** — არნ. ჩიქობავა, რა თავისებურებანი ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? თბილისი.

**ჯორბენაძე 1995** — ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის მორფოლოგია (პროგრამა-პროსპექტი), თბილისი.

## წყაროები

**ამაღლობ. 2011** — რ. ამაღლობელი, ლექსები, ახალი ქართული ლიტერატურა, თბილისი.

**ანა 1987** — ა. კალანდაძე, ერთტომეული, თბილისი.

**ასათ. 1988** — ლ. ასათიანი, რჩეული, თბილისი.

**გალაკტიონი 1973** — გ. ტაბიძე, რჩეული, თბილისი.

**გომელ. 2010** — ნ. გომელაური, რჩეული, თბილისი.

**ლევან. 2006** — მ. ლევანიძე, 100 ლექსი, თბილისი.

**ლენ. 2008** — გ. ლეონიძე, 100 ლექსი, თბილისი.

**მაკავ. 1990** — მ. მაჭავარიანი, ვიძახი და ვიძახი და ვიძახი, თბილისი.

**ჩიტიშვ. 2010** — მ. ჩიტიშვილი, მაინც საქართველო ერქვა, თბილისი.

## TEA TETELOSHVILI

### Some issues on transference (substantivization and adiectivization)

#### S u m m a r y

The term ‘transference’ denotes a grammatical phenomenon, when “a meaningful word is transferred from one grammatical class into other one”. A ‘class’ and function of a word is so closely related to each other that a ‘class’ changing causes a changing of word’s function and vice versa.

Some questions linked to transference are distinguished. Answering these questions is important for studying the aforesaid grammatical phenomenon. During the clarifying these issues the following regulations are formed:

**1.** Transference is so active tool of formation of different parts of speech that it was used with this function in old Georgian, it functions in the modern language, as well and the most importantly, its historical existence is also confirmed.

**2.** Each part of speech has a basic function that is revealed in a sentence during fulfilling its role. By considering this function, it is characterized as a part of speech. E.g.: a noun especially occurs with the function of a subject and object; an adjective – as a determinant of an object’s feature. But it is also possible that they entrust with fulfilling a non-basic role if a speaker needs (to express an utterance better). But it should be noted that one can discuss a transference then when a word changes ‘a class’ and is not used with a basic function but with a function of other part of speech and is transferred into that concrete part of speech the function of which it functions in a sentence.

**3.** In morphologic characterization of any word the relation of a concrete word’s place/role towards other members of a sentence should be taken into account. The need for it also indicates to the fact that thanks to flexibility of Georgian even so called form-unchangeable and non-meaningful words can occur as form-changeable words (examples are given above) and if a result should not be taken into account and a word-form’s function is not focused, and then there can be a paradoxical conclusion.

**4.** In Georgian a word’s transference can take place by adding of formative elements (translatives) as well as by a certain place occupation in a sentence’s model or morphological as well as syntactic tools are used for transference of any language entry. Thus, transference should be a subject of both (of morphological and syntactic) studying.

**5.** In Georgian the classification of parts of speech actually needs to be studied. Nevertheless, in studying an issue (transference) I ground on a traditional classification.

Many other issues connected with transference should be investigated and processed. Even the studying of transference is noteworthy from the standpoint of revealing and researching an internal potency and mobile nature of a language.

Лариса Тупцокова

## О некоторых глагольных частицах адыгейского языка

Глагольные частицы адыгейского языка не являлись предметом специального монографического исследования. Этому вопросу уделялось внимание, например, в некоторых научных исследованиях и статьях З. И. Керашевой, М. А. Кумахова, Б. М. Берсирова, в «Грамматике адыгейского языка» Г. В. Рогава и З. И. Керашевой... (Керашева 1963; Рогава, Керашева 1963; Кумахов 1989; Берсиров 2001). Однако, по сей день остается целый ряд нерешенных вопросов по изучению глагольных частиц.

Так, нет единого мнения среди исследователей и в самом их определении. М.А. Кумахов выделяет их как **глагольные суффиксы** (-кьуэ, -кьу; -лэ, -ла, -л; -хьу; -пхьы; -жьы; -щэ; -пэ; -кьуэ; -хэ). Глагольные суффиксы, хотя многие из них непродуктивны или малопродуктивны, разнообразны в функциональном отношении (Кумахов 1989: 245).

Другие авторы (Г.В. Рогава и З.И. Керашева в «Грамматике адыгейского языка») называют их **глагольными частицами**. Здесь дается наиболее полная характеристика функциональных особенностей глагольных частиц и описываются их словоизменительные способности (Рогава, Керашева 1966: 297-314). В адыгейском языке уже выявленных глагольных частиц можно насчитать порядка 28:

**-гу** – ограничительная функция, «пока» (ограничивает продолжительность действия финитного глагола; Частица **-гу** не входит в основу и более употребительна в изъявительном и повелительном наклонениях как в положительной, так и отрицательной форме.

**-гуцэ** – несовершенство действия глагола условного наклонения; Частица **-гуцэ** ставится после временного форманта, но перед суффиксом множественности: *плъагьэгущ*.

**-лъ** – употребляется только в глаголах повелительного наклонения в зависимости от интонации: просьба, повеление;

**-шьо** – имеет значение видимости действия.;

**-пхьэ** – указывает, что данное действие следует, следовало произвести;

**-1о (-1у)** – обозначают чрезмерность; **1о (-1у)** обозначает, что признака, свойства, выраженного глагольной основой намного больше, чем необходимо: *плъыжьы-1о*.

**-щэ** – избыточность; Частицей **-щэ** обозначается, что действие проявляется в большей мере, чем нужно: *дэхэ-ща-гь*. Соизмерим с **1о (-1у)**, но не равнозначен.

**-жьы** – повторимость (итератив); Встречается очень часто и наиболее употребительна в динамических глаголах. Она ставится на первом месте после основы глагола: *дэгущы1э-жьы-гьагь*.

**-жьэ** – обозначает начало действия;

**-е(-й)** – увеличительно-усилительная;

**-къо** – запретительная (ветативная) в глаголах повелительного наклонения;

В повелительном наклонении обозначает предостережение.

**-къо** – запретительная (ветативная) в глаголах условного наклонения;

Обозначает однократное действие. В условном наклонении она придает значение «а вдруг», «нечаянно».

**-къо** – ошибочность, неудачность характера действия;

**-хьу** – ошибочность, неудачность характера действия; Она употребляется редко. Глагол с частицей **-хьу** может приобрести противоположное обычному значение: *егъэунэ- егъэунэхьу*.

**-к1и** – возможность действия;

**-к1 (-к1э)** – «новый», действие совершилось недавно, только что;

**-и** – усилительная функция; Восходит к союзной частице **-и**. Она ставится в глаголе после всех других аффиксов. Вносит различные оттенки в значение глагола. Частица **-и** усиливает, подчеркивает, подтверждает выраженное в глаголе действие.

**-к1ы** – исчерпанность, завершенность действия;

**-хэ** – окончательность (цессатив);

**-пэ** – действительно, «на самом деле»;

**-е, -тэ, -гушэ, -е-тэ, -тэ-е, -гушэ-тэ, -тэ-гушэ, -тэ-е-гушэ, -тэ-гушэ-е** – Этот ряд модальных глагольных частиц употребляются только с глаголом условного наклонения; придают оттенок сожаления или желательности неосуществившегося действия. Модальные частицы следуют за временными аффиксами. Частица **-тэ** является более архаичной, в современной литературной речи она почти не употребляется (с. 305). Частицы **-е, -тэ** означают желательное условное действие.

Г. В. Рogaва и З. И. Керашева в своей грамматике коснулись не всех глагольных частиц адыгейского языка, а также вопроса их продуктивности. Авторы рассматривают также именные частицы:

**-гъуай (-гъуей): къэ1о-гъуай** «трудно сказать» (Къушъхъэхэм гур зэрэзыфащэрэр зыфэдызыр гушы1эк1э къэ1огъуай. «Трудно сказать словами, насколько горы притягивают к себе сердце» (Т.К.). – **Гъуай** выражает трудность осуществления действия.

**-гъош1у (-гъуаф1э): гъэпц1э-гъош1у** «легко обмануть» (Ар къызфэптхыгъэмэ аш1ошь бгъэхьугъэ, нымрэ тымрэ гъэпц1эгъош1у, тельхъэп1э къодыхь ны1эп а нэжь-1ужьмэ къафэптхырэр. «Те поверили в это, кому ты написал, родителей легко обмануть, это лишь повод отвести от дела то, что ты им написал (Ю. Т.). **-Гъош1у** показывает легкость осуществления действия.

**-к1ай (-к1ей): чыжьэ-к1ай** «довольно далеко» (- Чыжьэк1ай, нан, - пц1ы зэриусыгъэри ш1оигъоджэ хьазырэу къыпигъодзыжьыгъ. «Довольно далеко, мать,- ответил он, неприятным став то, что он лжет. (Ю.Т.). Имеет значение «довольно».

Нужно отметить семантически важную особенность глагольных частиц – их связь с категорией модальности, выражения положительной либо отрицательной эмоциональной оценки говорящего к объективной действительности. Ф. Г. Оздоева пишет, что тем самым подтверждается наличие у частиц способности выражения модальности – значение желательности, допустимости, возможности, предпочтительности, действия, сомнения, сожаления, утверждения.

Одни частицы имеют общемодальный характер, то есть прямо участвуют в выражении общей модальности, другие выражают различные оттенки модальности.

Глагольные частицы, не выделенные в научной литературе можно разделить на три группы.

### 1) Фонетические варианты рассмотренных глагольных частиц:

**-х-** вместо указанной в литературе глагольной частицы **-хэ:** *сыуук1ыгъа-х* «ты меня уже убил» (Нэмык1 кьыхэмыгъэхъажьми сыуук1ыгъах, Зура. «Если даже не добавишь еще чего-то, ты и так меня уже убил, Зура.» (Ю.Т.). Имеет значение завершенности. М.А. Кумахов определяет **-х-** как суффикс глагола.

**1ук1ыгъэ-х-агъ** «уже уехал». (Вокзалым зы1охъэм, мэш1окур 1ук1ыгъэхъагъ. «Когда он подошел к вокзалу, поезд уже уехал». (Ю.Т.)

**зигъэуцьы1этэжьыгъа-х** «он уже остудился» (Зигъэуцьы1этэжьыгъах. «Он уже остудился» (Х.А.).

**-к1ае-** вместо **-к1ай:** *иш1угъо-к1ае-у* «довольно зажиточно» (Василь ятэ иунагъо иш1угъок1аеу пэущтыгъэ. «Семья отца Василя жила довольно зажиточно» (Т.К.). Имеет увеличительную (ампликативную) функцию. Г. В. Рогава и З. И. Керашева включают **-к1ай-** в глагольные частицы.

**плъы-к1ае-у** «очень нагрелся». (Утыр плъык1аеу плъыгъэ. «Утюг очень нагрелся»).

**сиш1угъо-к1ае-шь** «довольно хорошо мне». (Сиш1угъок1аешъ Щылак1эр нахъыш1у. «Довольно хорошо мне Поэтому жизнь лучше» (М.П.)

**-го-** вместо **-гу:** *иш1э-го-рэн* «пока не знает» (Джьыри ешак1э ыш1эгорэн. «Он пока не знает, как надо удить» (Т.К.). Ограничительная функция «пока» (ограничивает продолжительность действия финитного глагола).

**тыкьулай-го-п** «не умеем пока», **т1эк1элы-го-п** «не имеем в руках пока» (Ау мы сыхъатым ар хьылъэ хьызыр, к1элэегъаджэмк1и тыкьулайгоп, тхылъэу зэрырагъэджэщтыхэри т1эк1элыгоп. «Но в этот час это довольно тяжело, и как учитель не умеем пока, и учебников не имеем пока на руках» (Ю. Т.).

**-кью-** вместо **-кьо:** *сыхэу-кью-агъ* «я ошибся» (Ащ нахъ ш1улуаок1э сыпшыгугъыщтыгъ, ау сыхэу-кьюагъ. «Я надеялся, что ты будешь лучше, но я ошибся» (Ю.Т.). Показывает ошибочность, неудачность характера действия.

### 2) Глагольные частицы с отличной семантикой:

**-хэ-:** *уфэя-хэ-п* «ты совершенно не хочешь». (... О уафэулуэуыр уик1ас, ау уиынджэгъу горэ бгъэулуэунк1э уфэяхэп. « Ты любишь для них хлопотать, но совершенно не хочешь беспокоить кого-нибудь из друзей (Ю.Т.).». Имеет значение категоричности, оттенок несогласия. В литературе **-хэ** имеет значение окончательности

**сштэгъа-хэ-п** «совершенно не сделал». (Сэрыгущи амдээ сшэгъахэп, - ныом лэджэныр кыгыгъуцугъ. «Я-то совершенно не сделала омовение, - поставила старушка тазик.(Т.Ю.)»

**-к1ы-:** *хэлъэщы-к1ы* «он прихрамывает». (Ныом ыльэгъурэр к1элэ ищыгъ, лъэпэ-лъаг, к1опц1э нэгү, костюм ч1ыпц1э щыгъ, лэлъэныкъомк1э чемоданыр ы1ыгъ, адрэ лэм плащ п1уак1эр едзэк1ыгъ, кыхэмыщыпэу, ау гуфалп1эу, уепл1ыпэмэ хэпш1ык1эу хэлъэщык1ы. «Старушка видит подтянутого молодого человека, стройного, смуглолицего, одет в темный костюм, в одной руке держит чемодан, через другую перекинут черный плащ, едва заметно, но присмотревшись видно, что он заметно прихрамывает. (Т.К.)». Некоторые глагольные основы на **к1ы** (*ик1ын, хэк1ын*) потеряли свое первоначальное значение глагола и выполняют функции частиц. В литературе – **к1ы** имеет значение исчерпанности, завершенности действия.

### 3) Нововьявленные глагольные частицы

**-ие-, -ые-, -ия-:** *илэн-ие-ба* «есть же», *агъэш1эгъон –ые-п* «не удивились бы», *щысэбгъэлъэгъун-ия* «ты мне там разве показал бы» (Гъунэ горэ и1эниба, мазэ мэхъушъ гъогум сытет. «Есть же какой-то предел этому, уже месяц, как я на дороге» (Ю.Т.).

**тедгъэхъан-ия** «разве мы его послали бы». (Тымыделагъэмэ, к1алэ, гъэсагъэ, сатыу 1офым хэш1ык1 фыри1 т1они мор тучаным тедгъэхъания! «Если мы не были дураками, разве мы послали бы его в магазин, решив, что он умеет разбираться в бизнесе, парень, образованный! (Т.Ю.).

**ухэукъон-ые-п** «не ошибся бы». (Егъаш1эм джы и1агъэм фэдиз и1агъэп п1оми ухэукъоныеп... . «Не ошибешься, если скажешь, что у него не было столько, сколько сейчас у него есть» (А.Е.)

**-я-:** *плъэк1ынхэ- я* «ну разве ты смог бы» (Ау мощ фэдэ унагъом щибгъэл1эзэнхэ плъэк1ынхэя! - уцыр щытзэ къошыным игъухъажыгъ. «Ну разве ты смог бы в такой семье ее лечить! – стоя в кувшине растение завяло» (Т.К.). Оттенек сожаления.

**-а-:** *сытебгъэт1ысхъан-а* «ты разве посадишь меня на коня» (- Адэ шым сытебгъэт1ысхъана? – ы1уагъ к1алэм. «Ты разве посадишь меня на коня? – сказал парень» (Адыгские сказки). Частица **а** может употребляется также с другими частями.

**езэщ-а!** «разве устает!» (Л1ыжъэу садгъэк1ыр Садым езэщ! «Садовник, который растит сад Разве устает от сада! (А.Х.).

## Литература

**Берсиров 2001** – Б. М. Берсиров, Структура и история глагольных основ в адыгских языках, Майкоп.

**Керашева 1963** – З. И. Керашева, Глагольные частицы в адыгейском языке. – УЗАГПИ, Вып. 3, Майкоп.

**Кумахов 1989** – М. А. Кумахов, Сравнительно-историческая грамматика адыгских (черкесских) языков, Москва.

**Оздоева 1983** – Ф. Г. Оздоева, Служебные части речи в нахских языках, Автореферат, Тбилиси.

**Рogaва, Керашева 1966** – Г. В. Рogaва, З. И. Керашева, Грамматика адыгейского языка, Краснодар, Майкоп.

LARISA TUPTSOKOVA

## On some verbal particles in Adyghe

### S u m m a r y

The verbal particles of Adyghe have not been the objects of special monographic studying. The issue has been focused in some scientific researches and papers by Z. Kerasheva, M.Kumakhov, B.Bersirov, in “*Grammar of Adyghe*” by G.Rogava and Z.Kerasheva.... But a number of issues on verbal particles remain still unsolved.

There is no similar viewpoints and definition among scholars. M.Kumakhov defines it as verbal suffixes (-q<sup>o</sup>āb, -q<sup>o</sup>ə; -lāb, -lā, -x<sup>o</sup>ə; -pxə; -z<sup>o</sup>ə; -səā; -pā; -q<sup>o</sup>ā, -xā). Verbal suffixes – though most of them is unproductive and underproductive and functionally different (p.245).

Other scholars (G.Rogava and Z.Kerasheva in “*Grammar of Adyghe*”) define them as verbal particles. The work gives a complete characterization of functional ability of verbal particles and describes their word-changing ability.

In Adyghe there are 28 revealed verbal particles.

G.Rogava and Z.Kerasheva did not touch upon all Adyghe verbal particles and the issues of their productive character in their grammar. The authors also discussed noun particles (-γ<sup>o</sup>aj (-γ<sup>o</sup>jāj), -γ<sup>o</sup>āš<sup>o</sup> (-γ<sup>o</sup>aΦā), -čaj (-čjāj).

A semantic ability of verbal particles should be emphasized – their connection with the categories of modality, expressing of positive and negative emotional markers.

Verbal particles which are not distinguished in the special literature can be divided into three groups:

1. Phonetic variants a of verbal particles:

-x- instead -xā is given in the special literature. It has meaning of completeness.

M.Kumakhov defines -x as a verb’s suffix.

-čajā- – instead -čaj- – has amplification function.

**-g°ă-** – instead **-g°-** – limiting function ‘while’ (limits a duration of an action of a finite verb).

**-q°-** – instead **-q°ă-** – shows a mistaken, failure of an action.

2. Verbal particles with semantics:

**-x°ă-** has the meaning of categoricalness, shade of disagreement. In the special literature **-x°** has meaning of finishing.

**-ç°:** Some verbal stems based on **кы** (**иккы**, **хэккы**) have lost their initial verbal meaning and fulfill the function of a particle. In the special literature **кы** has the meaning of exhaustness, ending of an action.

3. Newly-revealed verbal particles:

**-j°j°ă, -j°ă, -j°ja-** Meaning of regret;

**-ja-** Shade of regret;

**-a-** Meaning of question. A particle **-a** can be used with other particles, as well.



როსტომ ფარეულიძე

**ბრუნვათა სისტემა და ე. წ. „შედარებითი ბრუნვა“  
ჩეჩნურში**

არსებით სახელთა ბრუნვა რთული და საინტერესო საკითხია ჩეჩნური ენის მორფოლოგიაში. სირთულეს ქმნის ორფუძიანი ბრუნების პრინციპი საზოგადო სახელებში, ფუძის ცვეთის შედეგად დაკარგული ბგერის (ან ბგერათკომპლექსის) აღდგენა ე. წ. ირიბი ბრუნვების ფორმანტების წინ, სხვადასხვა წარმოშობის ჩანართი ელემენტების გაჩენა მხ. რიცხვის არასახელობით ბრუნვებსა და მრ. რიცხვის ყველა ბრუნვაში, ფონეტიკური პროცესებით გამოწვეული ფუძისეული ხმოვნების ცვლილებები, აბლაუტური ხმოვანთმონაცვლეობა ზოგი სახელის ბრუნებისას და ზოგი სხვა, როგორცაა ერთფუძიანი ბრუნვა, უწესო ბრუნვა...

როგორც ცნობილია, ბრუნვას მორფოლოგიურ კატეგორიად მიიჩნევენ. მიუხედავად ამისა, სპეციალურ ლიტერატურაში ბრუნვას განსაზღვრავენ სინტაქსური ნიშნით. ასე, მაგალითად, არნ. ჩიქობავას წერს: „ბრუნვა, როგორც ცნობილია, ბრუნვათა მიხედვით ცვლას ნიშნავს. ბრუნვა გაბმულ მეტყველებაში სახელს აკავშირებს სახელთან ან ზმნასთან (სათანადო შინაარსის გადმოსაცემად)“ (ჩიქობავა 1950, 035). ვ. თოფურიას აზრით, ბრუნვა არის სახელის ფორმა, რომელიც მიიღება მისი სხვა სიტყვებთან სინტაქსური ურთიერთობის შედეგად.

მაშასადამე, სახელს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფორმა, მაგრამ ბრუნვათა სისტემაში ამ ფორმებს ლექსიკური მნიშვნელობა ერთმანეთისაგან განსხვავებული არ უნდა ჰქონდეთ.

როგორც ა. შანიძე წერს, „სიტყვის ცვლება ორგვარია, — ერთია მიმოხრა (ფლექსია), მეორე კი — წარმოქმნა (დერივაცია). სახელის მიმოხრას დერივაცია ეწოდება. სახელის ბრუნების დროს მიღებული ფორმები ერთია ლექსიკურად და განსხვავებულია გრამატიკულად, წარმოქმნით მიღებული ფორმები კი ერთია გრამატიკულად და განსხვავებულია ლექსიკურად. ეს შემდეგს ნიშნავს: დერივაციის გზით სახელის ფუძისაგან მიღებული ფორმა ისევ ფუძეა,

მაგრამ სხვა სახელისა, რომელსაც შინაარსიც სხვა ახლავს“ (შანიძე 1973, 108). მაშასადამე, სახელის ესა თუ ის ფორმა ბრუნვის ფორმად რომ ჩაითვალოს, მისი ლექსიკური მნიშვნელობა განსხვავებული არ უნდა იყოს სახ. ბრუნვაში წარმოდგენილი ფორმის მნიშვნელობისაგან.

ჩვენი აზრით, ამ მხრივ ჩეჩნურში ე. წ. შედარებითი ბრუნვა, რომელიც ბრუნვათა სისტემაში დასტურდება, ბრუნვას არ უნდა წარმოადგენდეს.

შევეცდებით ჩვენი მოსაზრების დასაბუთებას.

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით ჩეჩნურში გამოყოფილია რვა ბრუნვა:

სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, ერგატივი;

თანაობითი, განმსჭვალვითი, შედარებითი, მიმართულებითი.

ეს ბრუნვები, სხვადასხვა თანმიმდევრობით, გამოყოფილი აქვთ პ. უსლარს (უსლარი 1888, დ. იმნაიშვილს (იმნაიშვილი 1942), ნ. იაკოვლევს (იაკოვლევი 1960, 19-34), ი. დეშერიევს (დეშერიევი 1963, 525-527), მომდევნო თაობის ყველა მკვლევარს, რომელსაც სახელის ბრუნვებთან ჰქონია შეხება. პ. უსლარს, მაგალითად, ბრუნვათა სხვა, უფრო მეტი რაოდენობა აქვს დასახელებული, ზემოთ ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ბრუნვები კი ყველა ნაშრომშია წარმოდგენილი.

ამ ბრუნვათაგან პირველი ოთხი მიჩნეულია ძირითად ბრუნვად, მომდევნო ოთხი კი — ერთთანდებულიანად. ძირითადი ბრუნვები გამომხატავენ სინტაქსურ ურთიერთობებს, თანდებულიანები, სინტაქსურის გარდა, სივრცობრივი ურთიერთობების გამომხატველი ბრუნვებია.

აღსანიშნავია, რომ თანდებულიანი ბრუნვები ორ ჯგუფად იყოფიან — ერთთანდებულიანებად და ორ ან ორზე მეტ თანდებულიანებად. ეს მეორე ჯგუფი საწარმოებლად იყენებს ერთთანდებულიანთაგან მიმართულებით I-ს, სხვაგვარად, მიმართულებით ძირითადს. ამიტომ თანდებულიანი ბრუნვები ცალ-ცალკე განიხილებიან.

როგორც ითქვა, ერთთანდებულიან ბრუნვათა რიგში შეტანილია შედარებითიც. სახელის ეს ფორმა იწარმოება **-ლ** ფორმანტით, რომელსაც აქვს ფონეტიკური ვარიანტი **-ლლა**-ს სახით.

ნახურ ენათა ცნობილი მკვლევარი ი. დეშერიევი წერს: „შედარებითი ბრუნვა წარმოდგენილია ორ ვარიანტად. პირველ ვარიანტს პ. უსლარმა უწოდა დათმობითი (შიფნერის მიხედვით — კომპარატივი), მეორე ვარიანტს კი გათანაბრებითი (შიფნერის მიხედვით — ეკვატივი). პირველი ვარიანტის აფიქსად გამოყენებულია **-ლ**, , მაგ. დ<sup>ა</sup> „მამა“ — დ<sup>ე</sup>-ლ „მამაზე“ (დიდი ან პატარა), მეორე ვარიანტის მაწარმოებელი არის **-ლლა**, მაგალითად, დ<sup>ე</sup>-ლლა „მამისოდენა“ (დეშერიევი 1963, 438).

აღნიშნული ფორმანტების წინ ზოგი მკვლევარი **-ა-** ხმოვანსაც ასახელებს (არსახანოვი 1965, 109; თიმაევი 1971, 107), მაგრამ არ მიუთითებენ მის ფუნქციაზე. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ უხმოვნო ვარიანტები თავს იჩენენ ხმოვანფუძიან სახელებთან, თანხმოვანფუძიანებთან კი აღნიშნული ხმოვანი სხვა არაფერია, თუ არა ფუძისა და სუფიქსის მაკავშირებელი.

როგორც ითქვა, თანდებულისანი ბრუნვები სივრცობრივ ურთიერთობებს გამოხატავენ. ნათელია, რომ **-ლი-ლლა** სუფიქსთა ფუნქციებს ზემოთ დასახელებულ მაგალითებში თანდებულისანი ბრუნვებთან საერთო არაფერი აქვთ.

კ. ჩოქაევის აზრით, **-ლა** სუფიქსის ოდინდელი ფუნქცია მიმართულების გამოხატვა იყო (ჩოქაევი 1970, 93). **-ლ** ფორმანტს, მართლაც, აქვს მიმართულების გამოხატვის ფუნქცია გარკვეულ, კერძოდ, სითხის, მასის აღმნიშვნელ სახელებში, ზოგ კრებით სახელთანაც. ასეთია, მაგალითად, არსებითი სახელები: *ბი „წყალი“ — ბი-ლ „წყალში“*, *ხათთ „ტალახი“ — ხათთ-ლ „ტალახში“*, *ნახ „ხალხი“ — ნახ-ა-ლ „ხალხში“* და მისთ. ამ რიგის მაგალითები მოხმობილია ჩეხურში ენის ქისტური დიალექტიდან, სალიტერატურო ენაში ისინი არ იქებნება.

მიმართულებითის ფუნქციით **-ლ** ფორმანტს წოვა-თუშურში მოკლე **-რ** ხმოვანი მოსდევს. ეს ფორმა, როგორც კ. ჭრელაშვილი წერს, სუბიექტის მოქმედების მიმართულებას გამოხატავს რაიმისაკენ, ან სუბიექტის მიერ ობიექტის მიმართვა რაიმისაკენ ან რაიმეში. მაგ., *კნათ ხილრ თასვალინ „ვაჟი წყალში ჩავარდა“*, *ჯერ ზღვამ-ლრ ჯოსინ „ქვა ზღვაში ისროლა“* და მისთ.

ამ რიგის მაგალითებს ჩეხურში შეესატყვისება **ჩუ** თანდებულისანი ფორმები, შეადარეთ, მაგალითად, *ბი ჩუ „წყალში“*, *ხათთაშნა ჩუ „ტალახებში“*... ე. ი. **ჩუ** თანდებული ერთვის სახელის მიცემითის ფორმას. აშკარაა, რომ **-ლ** ფორმანტს მიმართულებითის ფუნქციით **ჩუ** თანდებული ენაცვლება, მაგრამ თუ **-ლ** ფორმანტს წარმოქმნის ფუნქცია აქვს, ასეთი შენაცვლება შეუძლებელია. მაშასადამე, მაგალითად, თუ *გოვრ-ა-ლ „ცხენზე“* (მეტი ან ნაკლები) ფორმაში **-ლ-ს ჩუ** თანდებულით შევცვლით, შედარების მომენტი მოიხსნება.

შედარებითი ფორმის მაწარმოებელი მეორე ვარიანტი **-ლლ(ა)** გამოიყენება ტოლობის ფუნქციის აღსანიშნად. ეს ფორმანტიც, რა თქმა უნდა, წარმოქმნის ელემენტს წარმოადგენს და მას თანდებულისანი ბრუნვებთან საერთო არაფერი აქვს.

ნათქვამიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ერთთანდებულისანი ბრუნვებში შედარებითი (თავისი ვარიანტით) ბრუნვა არ არის, სახელის ის ფორმა, რომელსაც სპეციალურ ლიტერატურაში შედარებითი ბრუნვა ჰქვია, სახელთა წარმოქმნის სფეროს განეკუთვნება. ექვს არ იწვევს ის, რომ მისი ადგილი ბრუნვათა შორის არ არის.

ამ მოსაზრებას ამავრებს, აგრეთვე, წოვა-თუშურის მონაცემებიც — წოვა-თუშურს შედარებითი ბრუნვის ფორმა ბრუნვათა სისტემაში საერთოდ არა აქვს.

### ლიტერატურა

- არსახანოვი 1965** — И. А. Арсаханов, ХИинцалера нохчийн мотт. Грозный.
- დეშერიევი 1963** — Ю. Д. Дешериев, Сравнительно-историческая грамматика нахских языков и проблемы происхождения и исторического развития горских кавказских народов. Грозный.
- თიმაევი 1971** — А. Д. Тимаев, ХИинцалера нохчийн мотт. Грозный.
- იმნაიშვილი 1942** — ძირითადი და თანდებულებიანი ბრუნვები ინგუშურსა და ჩაჩნურში. ენიმკის მოამბე. XII. თბილისი.
- შანიძე 1973** — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. I. მორფოლოგია. მეორე გამოცემა. თბილისი.
- ჩიქობავა 1950** — ა. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტომი I. თბილისი.
- ჩოქაევი 1970** — К. З. Чокаев, Морфология чеченского языка. Часть II. Аффиксация. Грозный.
- ჭრელაშვილი 2002** — კ. ჭრელაშვილი, წოვა-თუშური ენა. თბილისი.

### ROSTOM PAREULIDZE

#### Toward the cases system and the issue of so called "comparative case" in Chechen

#### S u m m a r y

According to special literature, eight cases are distinguished in Chechen: nominative, genitive, dative, ergative, cooperative, inspirative, comparative and relative (*P.Uslar, D.Imnaishvili, I.Iakovlev, I.Desheriev...*).

Of these cases the first four are considered to be basic ones, the rest four – with postpositions. Basic cases express syntactic relations; the ones with postpositions express spatial relations.

I believe that so called comparative case is not a case form. It expresses a subject's equality and inequality with other one and is derived with *al* formant. E.g.:

Nom. *govr* 'horse'

Comp. *govr-a-l* 'horse-sized' 'bigger/smaller than horse'...

This noun form has *-(a)lla* allomorph, as well, that has a function of equableness.

As illustrative material reveals, a function of *-al* formant is to express a comparison. It is a derivative element and differs from a postposition.

Thus, in Chechen a form of a comparative 'case' is not a case. It should be removed from a case system.

ნათია ფონიავა

**აბაზურ ზმნურ ძირთა თანხმოვანკომპლექსები**

ენის ფონემატური სტრუქტურის სრულყოფილად შესწავლისათვის აუცილებელია ფონემათა კომბინაციების მეტნაკლებად ამომწურავი ანალიზი. ეს საკითხი აბაზურზე უკეთ შესწავლილია აფხაზურში; მხედველობაში გვაქვს ქ. ლომთათიძის, ვ. ჩირიკბასა და ხ. კაკავას ნაშრომები. ქ. ლომთათიძე და ვ. ჩირიკბა თავიანთ გამოკვლევებში, აფხაზურთან ერთად, განიხილავდნენ აბაზურის თანხმოვანკომპლექსებსაც, მაგრამ დღემდე არ არის ჩატარებული აბაზურის სახელურ თუ ზმნურ ძირებში რეალიზებული ფონემათა კომბინაციების სრულყოფილი ანალიზი.

ამ ეტაპზე შევისწავლეთ აბაზურ ზმნურ ძირებში შემავალი თანხმოვანკომპლექსები. საანალიზოდ აღებულია ყველა ის ზმნური ძირი, რომელიც შესულია ბ. ტუგოვის აბაზურ-რუსულ ლექსიკონში. გათვალისწინებული გვაქვს მხოლოდ საკუთარი ფონდის ლექსიკა (ნასესხებ ზმნურ ძირთა თანხმოვანკომპლექსების ანალიზი ცალკე ივარაუდება).

თანხმოვანთა წგუფებისთვის ვიყენებთ შემდეგ სიმბოლოებს: ხმულებისა და აფრიკატებისთვის **C**, სპირანტებისთვის — **F**, სონორებისთვის — **S**.

აბაზურ ზმნურ ძირებში, დისტრიბუციული თვალსაზრისით, შეიძლება გამოიყოს თანხმოვანკომპლექსების სამი ტიპი: თავკიდური, ინტერვოკალური და ბოლოკიდური.

თავის დროზე ქ. ლომთათიძე აღნიშნავდა, რომ კომპლექსების საკითხი მეტად თავისებურად დგას აფხაზურსა და აბაზურში. მიუხედავად „ორი თანხმოვნის“ კანონის მოქმედებისა, მათში არც თუ იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს სამი, ოთხი (და ზოგჯერ მეტი) თანხმოვნისგან შემდგარი (ერთ მარცვალში გაერთიანებული) კომპლექსები, როგორც ცალკეულ სიტყვებში, ისე ზმნურ ფორმებში (ლომთათიძე 1976: 239).

სანამ ცალ-ცალკე განვიხილავთ თითოეულ პოზიციაში გამოვლენილ თანხმოვანთა კომბინაციებს, წარმოვადგენთ ძირებს, რომლებიც ოდენ თანხმოვანთკომპლექსებისგან შედგებიან, ანუ მათ არც წინა და არც მომდევნო პოზიციაში არ გვხვდება ხმოვანი. ასეთ ძირთა თანხმოვანკომპლექსები შედგენილია როგორც იდენტური, ისე არაიდენტური ფონემებისაგან.

იდენტურფონემიანი კომპლექსების შემცველი ძირები რეალიზებულია შემდეგი სტრუქტურული ნაირსახეობებით:

**CC**

**კკ:** ა-ლა-ზ-კკ-რა „შევროვება, მოხვეტა“

**კკკ:** ა-ბა-ჩა-კკკ-რა 1. „დაპორტყვნა“. 2. „ხელით ჩხუბი“

**კკქ:** ა-ლა-ქკ-რა „დაჭიხვინება“

**კკჯ:** ა-ლ-ჯჯ-შა-რა „გარეცხვა“

**F<sub>1</sub>F<sub>1</sub>**

**შშ:** ა-ძკა-შშ-რა „მიხობება, მიცოცება“

**შშშ:** ა-ზგ-შშშ-რა „დასტვენა ვინმესთვის“ (შდრ. აფხ. ა-შგშ-რა)

**ჟჟჟ:** აქჟ-ჟჟჟ-რა „დასხმა“

**F<sub>2</sub>F<sub>2</sub>**

**დდ:** ა-ლა-რგ-დდ-რა 1. „დაფქვა“. 2. „იძულება“

**ხხ:** ა-ლა-ხხ-რა „შევარდნა“

**ჭჭ:** ა-ლ-ჭჭ-რა „გამოწერა“

წარმოდგენილი ძირები მიღებული ჩანს ძირისეული თანხმონის გაორმაგებით. აკად. ქ ლომთათიძე ამ მოვლენას სიმრავლე-სიხშირის, პროცესის განმეორებისა და ინტენსივობის გამომხატვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად განიხილავდა (ლომთათიძე 1940: 39-40).

აბაზურში დავადასტურეთ ისეთი ძირებიც, რომლებიც სამთანხმონიანი კომპლექსებია. ასეთი კომპლექსების შემადგენელი ბოლო ორი თანხმონიანი იდენტურია (როგორც ჩანს, გაორმაგებულია მოქმედების ინტენსივობის გამოსახატავად):

**ფფს:** ა-შ-ფფს-შა-რა 1. „გადაფრენა რამეზე“. 2. „გადარბენა რამის გავლით“. 3. „გადაფრენა, გადარბენა“

**ფფყ:** ა-ლა-ფფყ-რა „დაჭრა“

**ფპპ:** ფპპ-რა „დაჩეხვა მცირე ნაწილებად“

**ჩხხხ:** ა-ლა-რგ-ჩხხხ-რა „დახვევა“

აქვე აღვნიშნავთ, რომ დავადასტურეთ ერთადერთი ოთხსეგმენტიანი თანხმონიანი იდენტურობა, რომლის პირველი ორი სეგმენტი გაორმაგებულია, თუმცა აქ გაორმაგება ბგერწერასთან არის კავშირში:

**თშთშთშ:** ა-ქ-თშთშთშ-რა „თუხთუხი“

როგორც აღვნიშნეთ, აბაზურში გვხვდება არაიდენტურფონემებიანი კომპლექსების შემცველი ძირებიც, რომლებიც არ არის გახმონიანებული. ასეთი კომპლექსებისგან შედგენილი ძირები რეალიზდებიან შემდეგი სტრუქტურული მოდელებით:

**CC**

- ბწ:** ა-ბა-რ-ბწ-რა „გაჭყლეტა, ერთმანეთის ჭყლეტა (სივიწროვეში)“  
**ყდ:** ა-ლა-რ-ყდ-რა „კრეჭა (თმის...)“ (მდრ. აფხ. ა-რ-ყდ-რა „id“)  
**ყჭ:** ა-ლა-რ-ყჭ-რა „შეჭყლეტა“ (მდრ. აბაზ. ა-ბა-ყჭ-რა „თავის მობეზრება, ერთმანეთისთვის გულის გაწყალება“)

**CF**

- ფხ:** ა-ქჟ-რ-ფხ-რა „დაღლა, გადაღლა“  
**ფშ:** ა-ლ-ფშ-რა „რადაციდან გახედვა“  
**თშ:** ა-ლა-ფ-თშ-რა „გატეხვა“  
**ყშ:** ა-ლა-ყშ-რა 1. „დასვრა“. 2. „განაწყენება“ (მდრ. აფხ. ა-ყ-აშ-რა „id“)

**FC**

- შთ:** ა-ლრგ-შთ-რა „გადმოვარდნა რადაციდან“

**F<sub>2</sub>F<sub>1</sub>**

- ხხ:** ა-ა-ხხ-რა „სროლა“ (მდრ. აბაზ. ა-ა-ხხ-რა „id“)

**CS**

- კრ:** ა-ზ-კრ-რა „შეგროვება, დაგროვება“

**SC**

- მჩ:** მჩ-ხა-რა „გადლიერება“ (მდრ. აბაზ. მჩჟ „ძალა, ღონე“)

ჩანს, არაიდენტურფონემებიანი კომპლექსების შემცველ ძირებში გვხვდება როგორც ჰარმონიული (ა-ქჟ-რ-ფხ-რა „დაღლა, გადაღლა“), ისე არაჰარმონიული კომპლექსები (ბწ: ა-ბა-რ-ბწ-რა „გაჭყლეტა, ერთმანეთის ჭყლეტა (სივიწროვეში)“). კომპლექსთა ნაწილი მიღებულია ძირის ინლაუტის ხმოვნის ამოვარდნით (CC < CVC: ა-ლა-რ-ყდ-რა „კრეჭა (თმის...)“ (მდრ. აფხ. ა-რ-ყდ-რა „id“)) ან ძირის ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცივით (CC < CCV: მჩ-ხა-რა „გადლიერება“ (მჩჟ „ძალა, ღონე“)).

**ანლაუტი**

აბაზურ ზმნურ ძირებში ანლაუტი თანხმოვანკომპლექსთა სიუხვით გამოირჩევა. მართალია, ძირთა უმეტესობას წინ უძღვის სხვადასხვა დანიშნულების პრეფიქსი, თუმცა ძირის თვალსაზრისით, ისინი მაინც ანლაუტის პოზიციას განეკუთვნებიან. ანლაუტშიც არის წარმოდგენილი იდენტურ- და არაიდენტურფონემებიანი კომბინაციები.

ძირთა გარკვეული ნაწილის ანლაუტში რეალიზდება შემდეგი იდენტურ-თანხმოვნიანი ჯგუფები:

**CC**

**კკ:** ა-ქგ-რ-**კკაა**-რა „დაწვეთება რამისა რამეზე“

**ტტ:** ა-ლა-რ-**ტტა**-რა „რადაცის ჩასხმა სქელ მასაში“

**ჩჩ:** ა-ბა-რ-ვგ-**ჩჩა**-რა „ერთმანეთის გაცინება“

**კკვ:** ა-კ-**კკვა**-რა „დაბზარვა“

**ჭჭ:** ა-ლა-კგლ-**ჭჭა**-რა „დაცხრილვა, გახვრეტა“

**ყყ:** შა-მ-**ყყა**-რა „რადაცის წამოცდენა“; ა-ჭგ-**ყყა**-რა „დატუქსვა, ტყავის გაძრობა“

**F<sub>1</sub>F<sub>1</sub>**

**ზზ:** ად-**ზზა**-რა „ყველას ერთად შეკრება“

**სს:** ა-ჭგ-რ-**სსა**-რა „დაქუცმაცება“

**შეშე:** შე-შეა-ხა-რა „გასუქება, გასიება“

**შშ:** ა-ჭგ-**შშა**-რა „გაბზარვა“

**შშა:** შა-ლა-რ-**შშაა**-რა „დაყრა“

**ჟჟ:** ა-ლ-**ჟჟა**-რა „დამშვიდება, გაჩუმება“

**ჟჟა:** **ჟჟაა**-რა 1. „დაფარცხვა“. 2. „გახევა“

**F<sub>2</sub>F<sub>2</sub>**

**ღღ:** ა-ლა-რ-**ღღა**-რა „ხორცის დაჭრა თხელ ნაჭრებად (დასამარილებლად)“

**ღღა:** შა-დგ-**ღღაა**-რა „ჩამოფხეკა“

**ღღაა:** **ღღააა**-ხა-რა „გასწორება“

**პპა:** **პპაა**-რა „თრიმლვა“

**ხხა:** შა-ქგ-რ-**ხხაა**-რა „შეშხეფება, გაწუწუვა“

**შაშა:** ა-ვგ-**შაშაა**-რა „ნაპირიდან გადმოყრა“

**ფფ:** კგ-რ-**ფფა**-რა „შეჭრა“

აქაც წარმოდგენილ კომპლექსთა ნაწილი მიღებულია ძირისეული თანხმონის გაორმაგებით, რაც მოქმედების ინტენსივობა-ექსპრესიულობის გამოხატვას უნდა ემსახურებოდეს.

შესაძლოა, ზოგიერთი მათგანი მიღებული იყოს მახვილის მოქმედების შედეგად ინლაუტის ხმონის ამოვარდნით (CCV < CVCV), მაგრამ ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში ასეთი სრულხმონიანი ფორმები ვერ დავადასტურეთ.

გარდა იდენტურთანხმონიანი კომბინაციებისა, ანლაუტში გვხვდება არაიდენტურთანხმონიანი ჯგუფებიც, რომლებიც ქმნიან ჰარმონიულ და არაჰარმონიულ კომპლექსებს.

ანლაუტში რეალიზებული ჰარმონიულ-დეცესიური კომპლექსები მრავალფეროვანია. გვაქვს როგორც ქართულის A, ისე B ტიპის კომპლექსებიც,



თუმცა ეს უკანასკნელი ჭარბობს. მიუხედავად ამისა, არცერთი სისტემა სრული სახით არ არის წარმოდგენილი.

ჰარმონიული კომპლექსები ასეთი სტრუქტურული ნაირსახეობებით რეალიზდებიან ანლაუტში:

**ჰარმონიული  
CC**

**ბგ:** ბგა-რა 1. „გავარდნა რაღაცის მიმართულებით“. 2. „ჩამონგრევა“

**ბგ:** ბგენა-რა „სამულდამოდ მიტოვება“

**ბკ:** ა-ბა-ბკა-რა „ერთმანეთის ცემა“; 2. „შებრძოლება“

**თგ:** თგა-რა „უკან დახევა“

**ცქ:** ცქა-რა „გაწმენდა“

**წყ:** ა-ზგ-წყა-რა 1. „საჩხუბრად გაწევა“. 2. „მუქარა, დამუქრება“; **წყა-**რა „ამოკერება, შემოკეცვა“, „წულების კერვის დაწყება“; სპეც. „წაქეზება, შეგულიანება“

**წკ:** ა-წკაბ-რა „ნაკერის გარღვევა“

**წკა:** წკა-რა „გამოპირვა, დარტყმით არიდება, დაკარგვინება“

**ჩგ:** ჩა-რგ-ჩგარ-რა „გამხნელება“

**ჩიზ:** ა-ბა-რ-ჩიზა-რა „ერთმანეთის ქება“

**ჭყ:** ჭყა-ხა-რა „ამყავება“ (**ჭყა** „ამყავე“)

**ჭყ:** ჭყა-რა „დაბლაგვება, დაკარგვინება, მოცილება“

**CF**

**ბმ:** ბმა-რა „დაღობა, ჩაღობა“

**ბჟ:** მა-ბჟა-რა „რჩევის მიცემა“

**ბჟი:** ბჟი-ზლა-რა 1. „შეუვსებელი“. 2. „არასაკმარისი“

**ბზ:** ბზი-ზლა-რა „სიკარგე“; **ბზაზა-**რა „ცხოვრება“

**ფს:** ა-ღრა-ფსა-რა „რაღაცის დაყრა, ჩაყრა“

**ფხ:** ა-ბა-რ-ფხა-რა „ერთმანეთის გათბობა“

**ფხ:** ა-ფხა-რა „რაღაცის კითხვა“

**ფში:** ა-ფში-ლ-რა „მეერთება“

**ძმ:** ლ-ძმა-რა „დაკლება, დაბატარაება“

**ცხ:** ცხა-რა „გადარჩენა“

**ჩპ:** ჩპა-რა „მოთმენა, ატანა, განცდა“

**ჩაპ:** აა-ჩაპა-რა „ლანძღვა“

**F<sub>2</sub>F<sub>1</sub>**

**წმ:** **წშაშა**-ზლა-რა „სიგრილე“ (**წშაშა** „გრილი“)

**F<sub>2</sub>F<sub>2</sub>**

**წპ:** ა-**წპა**-რა „გაწმენდა“

**F<sub>1</sub>F<sub>2</sub>**

**შხ:** ა-ბა-რ-გ-**შხა**-რა „ერთმანეთის გამხნეება“

**შხ:** გვ-**შხა**-რა 1. „შთაგონება“. 2. „გაბედულება“

ჩამოთვლილი კომპლექსები ჰარმონიულ-დეცესიურია, თუმცა გამოიყო რამდენიმე ჰარმონიულ-აქცესიური კომპლექსიც:

**ქშ:** ა-ლა-ქ**შა**-რა „ცემა რალაციტ“

**შც:** **შცა**-რა „შეჩვევა, მიჩვევა“

**ხჩ:** **ხჩა**-რა „დაცვა, გაფრთხილება“

ანლაუტში რეალიზებული არაჰარმონიული კომპლექსები შემდეგ სტრუქტურულ მოდელებს გვიჩვენებენ:

**არაჰარმონიული****CC**

**ქგ:** ა-რგ-ქ**გა**-რა „სიცილი“

**ჩფ:** **ჩფა**-რა „კეთება, დამზადება, წარმოება“ (აფხ. ა-**ჩაფა**-რა „მინაშენი, სათავსო აბრეშუმის ჭიხისთვის“)

**ჩკ:** **ჩკუნ**-ზლა-რა „დაყმაწვილება“ (**ჩკუნ** „ყმაწვილი“, შდრ. აფხ. ა-**ჭკუნ** „id“)

**ჩგ:** **ჩგა**-ზლა-რა „გაბოროტება“ (**ჩგა** „ბოროტი“, შდრ. აფხ. ა-**ცგა** „id“)

**CF**

**კშ:** ა-კგ-კ**შა**-რა „რალაცის გარშემო სიარული, ყოფნა“

**FC**

**შტ:** ა-ბა-**შტგხ**-რა 1. „ერთმანეთის ქება“. 2. „ერთმანეთის თანადგომა“

**შბ:** ა-**შბა**-რა 1. „შესაბამისობა“. 2. „სასარგებლო, სარგებელი“. 3. „ადვილად მიჩვევა“; ზა-**შბა**-რა „მიჩვევა“

**შპ:** **შპა**-რა 1. „აქაფება“. 2. „გაორება“

**შუ:** **შუბა**-ხა-რა 1. „დაჯერება“. 2. „მჭიდროდ აღმოცენება“ (**შუბათა** „მჭიდრო; ხშირად“); რგ-**შუბა**-რა „მოსმენა“

**F<sub>2</sub>F<sub>2</sub>**

**ძჳ:** ა-**ძჳღ**-შა-რა 1. „ყნოსვა“. 2. „ერთმანეთის დაყნოსვა“ (შდრ. აფხ. ა-**ძჳჳ**-რა „id“). ქ. ლომთათიძეს ეს კომპლექსი გამოყოფილი აქვს (ლომთათიძე 1976: 243), მაგრამ სათანადო აფხაზური ძირი ხმოვნის შემცველია და ამოსავალ ვი-თარებას სწორედ ის უნდა ასახავდეს.

**F<sub>2</sub>F<sub>1</sub>**

**ჳზ:** ჳზა-ზლა-რა 1. „თანამგზავრობა“. 2. „თანამშრომლობა“ (ჳზა „თანამგზავრი, თანამშრომელი“)

ანლაუტის არაჰარმონიულ კომპლექსთა აბსოლუტური უმეტესობა აქცესიურია, თუმცა გამოიყო არაჰარმონიულ-დეცესიური კომპლექსებიც:

**ბყ:** ბყა-რა 1. „ფქვა“. 2. „დარტყმა, ტყეპა“

**ფყ:** ზგ-ფყა-რა „ჩხუბში ვილაცის დამარცხება“ (ფყ < ბყ); შდრ. აფხ. ა-**ლაბყ** > || ა-**ლაფყ** ა „სიმინდის ტარო“ (ფყ < ბყ პროცესზე მიუთითებს ვ. ჩირიკბაც (Chirikba 1996: 77)

**სყ:** ა-ღრ-სყა-ლ-რა 1. „მიწვევა რაღაცისა რაღაცასთან“. 2. „მაგრად მიბმა“

**შჳკ:** შჳკოკა-ხა-რა 1. სითეთრე“. 2. „გაფითრება“ (შჳკოკა „თეთრი“)

**შჳკ:** შა-თ-შჳკარა-ხა-რა „გაუთხოვრად დარჩენა“

**სჳ:** სჳა-ზლა-რა „სიდაბლე“

**თჳ:** თჳარა-და-ზლა-რა „უცხოლობა“

**კჳ:** კჳჳენ-ზლა-რა „მოსამსახურეობა“

**წჳ:** რ-წჳა-რა 1. „კითხვა“. 2. „რჩევა“

**ხჳ:** ხჳა-რა „ყიდვა“

ანლაუტში დასტურდება სონორის შემცველი კომპლექსებიც ასეთი სტრუქტურული ნაირსახეობებით:

**CS**

**ბლ:** თა-ბლჯა-რა „ქვევით ჩამოგორება“

**ბრ:** ბრგბ-რა „ფრიალი“

**პლ:** აქ-პლა-რა „ერთმანეთზე დაყრა“

**გრ:** ა-ლა-რ-გრღა-რა „გახარება“ (< გგრღა-რა „id“; მეტათეზისი); გრგმ-რა 1. „ოხვრა“. 2. „ბლავილი“

**ცრ:** ცრა-ხა-რა „მიწებება, ადევნება, მიკვრა“

**ჩმ:** ჩმაზა-ჳ-რა „ავადმყოფობა“

**ჳლ:** ჳლა-რა „დაღამება“ (აფხ. ხლღ || ხლღ ჳზია „სალამო მშვიდობისა“)

## FS

**ხრ:** ხრინა-რა „საქანელაზე ქანაობა“ (**ხრინა** „საქანელა“)

**ღრ:** ღრა-ლ-რა „შერჭობა“

**ზნ:** ა-ზნა-ხა-რა 1. „გავსება“. 2. „გამდიდრება“ (მღრ. ა-ზნა „სავსე“)

## SS

**მლ:** ა-მლქ-ზლა-რა „გაუხედნავი (ცხენი)“

ანლაუტში სონორის შემცველ კომპლექსებში ყველაზე გავრცელებულია CS მიმდევრობა. ასეთ კომპლექსთა მეორე სეგმენტად 5-5 ძირში გვაქვს ლ და რ, თითოში — მ და ნ. ანლაუტში სონორით დაწყებული ერთი ძირი დადასტურდა, რომლის წარმომავლობა გაურკვეველია (ა-მლქ-ზლა-რა „გაუხედნავი (ცხენი)“).

## სამწევრა თანხმოვანკომპლექსები ანლაუტში

ანლაუტში რეალიზდება სამწევრა თანხმოვანკომპლექსებიც. ასეთ თანხმოვანკომპლექსთა შემცველი ზოგიერთი ძირის ბოლოკიდურა ორი სეგმენტი იდენტურია, გაორმაგებული ჩანს მოქმედების ექსპრესიულობა-ინტენსივობის გამოხატვის მიზნით:

**ფშშე:** ა-ჭ-ფშშა-რა „ქარისგან დაზრობა“

**ფხხ:** ა-წა-ფხხა-რა „გაბრაზება“

**წჟჟ:** წჟჟა-რა „დენა, წვეთა, ჟონა“

**რკკ:** ჩშა-რგ-ლგ-რკკა-რა „განსხვავება“

გარდა ბოლოკიდურ პოზიციაში იდენტურთანხმოვნიანი კომპლექსების შემცველი ძირებისა, დასტურდება სამსეგმენტიანი კომპლექსებიც, რომელთა შექმნაში სხვადასხვა თანხმოვანი მონაწილეობს:

**ფშქ:** ფშქა-ხა-რა „დარბილება, განაზება“

**ფხთ:** ფხთ-ზლა-რა „ქეციანობა“ (მღრ. ფხთ „ქეციანი“)

**ფხძ:** შა-ფხძ-ჰა-რა „გაოფლიანება“

**ფშძ:** რგ-ფშძა-რა „შემკობა“

**ცჭრ:** ცჭრ-შა-რა „დახმარება“

როგორც ჩანს, არაიდენტური ფონემებისგან შემდგარ სამწევრა კომპლექსებში I და II წევრი ქმნის აღმავალ ღიაობას, II და III — დაღმავალს. ამასთანავე, I და II სეგმენტი ძალიან დამახასიათებელია აფხაზურ-აბაზურისთვის, შესაბამისად, ასეთი კომპლექსები ადვილად შედიან III სეგმენტთან კომბინაციაში. ვ. ჩირიკბა სამსეგმენტიანი კომპლექსების პირველ სეგმენტად ბილაბიალს ან დენტალს ასახელებს და მათ მორფემათა კომბინაციების ან ხმოვანთა ელიზიის შედეგად მიღებულად მიიჩნევს (Chirikba 1996: 86). ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალაში სამსეგმენტიანი კომპლექსების პირველ წევრად სხვა რი-

გის თანხმოვნებაც გვხვდება. ასეთ კომპლექსთა უმეტესობის მორფემათა შეერთებით, კომპლექსში შემავალი თანხმოვნის გაორმაგებითა და ხმოვნის ამოვარდნით მიღებას ჩვენც ვიზიარებთ.

**ინლაუტი**

ინლაუტში საკმაოდ ბევრი ბგერათკომპლექსი დასტურდება, რომლებიც წარმოდგენილი არიან შემდეგი სტრუქტურული მოდელებით:

**არაიდენტურფონემიანი ჯგუფები CC**

**ბჯ:** ზაბჯა-ზლა-რა 1. „გამუქება, განაცისფრება“; 2. „გაყავისფრება“ (ზაბჯა „მუქი, ყავისფერი“)

**CF**

**ბღ:** ჯგბღა-ზლა-რა „სინხარბე, წუწურაქობა“ (ჯგბღა „ძუნწი, ხარბი“)  
**ბზ:** თგბზა-ზლა-რა „სიფართოვე“ (თგბზა „ფართო“)  
**ფს:** ჰაფსა-რა „შეშურება“; ფაფაფსა-რა „დაჭიანება“ (ფაფაფსა „დაჭიანებული“)  
**ფხ:** შაფხა-ზლა-რა „სამაგალითობა“ (შაფხა „მაგალითი“)

**არაპარმონიული**

**ცჰ:** რცჰა-ზლა-რა „სისაწყლევ“ (რცჰა „საწყალი“)

**FC**

**ჰჩ:** ცაჰჩჰ-რა „კენესა“ (ცაჰჩჰ „მკენესარი“) (ხმაბაძვითი ჩანს).

**F<sub>1</sub>F<sub>2</sub>**

**შხ:** ნაშხგა-ხა-რა „დანაღვლიანება“ (ნაშხგათა „ნაღვლიანი“)

**F<sub>2</sub>F<sub>1</sub>**

**ხს:** ტახსა-ხა-რა „გამყიფება“ (ტახსა „მყიფე“)

**SC**

**მპ:** ბამპა-რა 1. „დანაღვლიანება“. 2. „აღლევება“. 3. „აღლევებისგან სუნთქვის შეკვრა“ (ბამპა „ნაღვლიანი, აღლევებული“)

**ნძ:** კანძა-რა „დაჭკნობა (ყვაილის)“

**ნტ:** კანტა-რა „მოხრა“ (კანტა „მაგარი, მოუხრელი“)

**ნჩ:** ყანჩა-ზლა-რა „დამნაშავეობა“ (ყანჩა „დამნაშავე“); ა-ლა-რგ-ჟანჩ-რა „მიხრახვნა“

**რდ:** შარდა-ხა-რა „გამრავლება, გაბევრება“ (შარდა „ბევრი“). ვ. ჩირიკბა ვარაუდობს, რომ ეს სიტყვა შედგენილი უნდა იყოს (Chirikba 1996: 89), თუმცა არ ჩანს სიტყვის დაშლის საფუძველი შემადგენელ კომპონენტებად.

## SF

**რღ:** ა-ჭაა-გვრღა-რა „გალიმება“ (**გვრღა**-რა „სიხარული“);

ინლაუტში ყველაზე გავრცელებულია ორწევრა თანხმოვანკომპლექსები. მათი აბსოლუტური უმეტესობა შედგენილია სონორისა და ხშულის ან აფრიკატის მონაწილეობით.

ინლაუტში დასტურდება აბაზურისთვის დამახასიათებელი ჰარმონიული კომპლექსები. ამ პოზიციაში ყველაზე გავრცელებულია **SC** და **CF** სტრუქტურის კომპლექსები.

ინლაუტში დაფიქსირდა სამწევრა ბგერათმომდევრობის შემცველი ერთი ძირი, რომელიც ექსპრესიული ბუნებისაა:

**ტფხ:** ჟატფხგტ-ზლა-რა „ნესტიანობა (კლიმატის)“ (**ჟატფხგტ** „ნესტიანი“)

აბაზურში ასევე დადასტურდა სამი ზმნური ძირი, რომლებიც ბგერათკომპლექსებს შეიცავენ **ანლაუტსა და ინლაუტში:**

**ბღ-ბღ:** ბღაბღა-რა „ჩაქჩაქი (ცხენის სირბილის სახეობა)“

**ფხ-ფხ:** ა-წა-ფხაფხა-რა „დანესტიანება“

**შჰ-შჰ:** შჰაშჰა-რა „ციებ-ცხელებაში ყოფნა“ (**შჰა-შჰა** „ციებ-ცხელება“)

ეს ძირები მოქმედების ინტენსივობა-ექსპრესიულობის გამოხატვის მიზნით ჩანს რედუპლიცირებული.

## აუსლაუტი

აბაზურ ზმნურ ძირთა აუსლაუტი ღარიბია ბგერათკომპლექსებით. ისინი ქმნიან ასეთ სტრუქტურულ მოდელებს:

## CF

**ფშ:** შა-ყაფშ-ხა-რა 1. „გაწითლება“. 2. „გახურება“ (შღრ. **ყაფშე** „წითელი“)

**ფხ:** ჟათაფხ-ხა-რა „დაჩირქება“ (**ჟათაფხ** „ჩირქი“)

## FC

**შით:** ა-კ-ბგშით-რა „აცდენა“

## SC

**ნჯ:** ბანჯ-რა „ტყაცანის, ჭეჭის, ჭახაჭუხის გამოცემა“ (**ბანჯ** „ტყაცანი, ჭეჭა, ჭახაჭუხი“)

**ნჯ:** ბგნჯ-რა „გაჯიუტება“ (**ბგნჯ** „ჯიუტი“)

**რღ:** ლაყვრღ-რა „ირონიულობა“ (**ლაყვრღ** „ირონია“)

**რთ:** ბგრთ-რა „რყევა, ქანაობა“

**რგ:** ა-ზ-წაბგრგ-ზა-რა „ერთგულების შენახვა ერთმანეთისთვის“ (**წაბგრგ** „სიმართლე“)

**რგ:** ბარგ-ხა-რა „გაძნელება“ (მღრ. ბარგჟ „ძნელი“); დგრგ-დგრგ-რა „ფეხების ბაკუნი“

**მფ:** დუმფ-ხა-რა „დაკარგვა“

### SF

**ნპ:** ა-ბა-რგ-ყუნპ-რა „ერთმანეთის ტრიალი, ბზრიალი“

წარმოდგენილ ძირებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ აბაზურის ბოლოკიდურ პოზიციამი გვხვდება მხოლოდ ორწევრა კომპლექსები. აუსლაუტში რეალიზდება ჰარმონიულ-დეცესიური კომპლექსებიც, ამასთან, ბოლოკიდურ პოზიციამი ყველაზე გავრცელებულია სონორით დაწყებული თანხმოვანთიმიდევრობები. სონორთა მომდევნოდ უმეტესად ხშულები და აფრიკატები არის წარმოდგენილი.

ამრიგად, აბაზური მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ერთი მორფემის ფარგლებში ზმნურ ძირებში მაქსიმალური სიგრძის თანხმოვანკომპლექსი (თანხმოვანთიმიდევრობა) არის ოთხწევრა, თუმცა აბაზურში, აფხაზურის მსგავსად, უფრო გავრცელებულია ორსეგმენტიანი კომპლექსები. სამწევრა კომპლექსებიც დასტურდება ანლაუტსა და ინლაუტში, თუმცა ინლაუტის ერთადერთი სამსეგმენტიანი ბგერათკომპლექსი გაურკვეველი ეტიმოლოგიის ძირში გვხვდება.

ანლაუტში საკმაოდ გავრცელებულია იდენტურთანხმოვნიანი ჯგუფები. ინლაუტსა და აუსლაუტში იდენტური ფონემების შემცველი ბგერათკომპლექსები არ გვხვდება.

იდენტურთანხმოვნიან კომპლექსებს არ ქმნიან სონორები და სონანტები.

ინლაუტსა და აუსლაუტში ყველაზე გავრცელებულია **SC** მიმდევრობის ბგერათკომპლექსები, თუმცა საერთოდ არ დადასტურდა **SS** მიმდევრობა.

აბაზური და აფხაზური ენები, როგორც ჩანს, უპირატესობას ანიჭებენ თანხმოვანთა დეცესიურ შეერთებას.

### ლიტერატურა

**ახვლედიანი 1999** — გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი.

**ბარამიძე 2009** — ც. ბარამიძე, თაბასარანული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი.

**გამყრელიძე 2008** — თ. გამყრელიძე, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი.

**გვანცელაძე 2003** — თ. გვანცელაძე, აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელთათვის, I ტ, თბილისი.

**ლომათიძე 2006** — აბაზური ენა (მოკლე მიმოხილვა), თბილისი.

**ლომთათიძე 1976** — ქ. ლომთათიძე, აფხაზურ-აბაზურ ენათა ისტორიულ-მედარებითი ანალიზი, I, თბილისი.

**ლომთათიძე 1940** — ქ. ლომთათიძე, რედუბლიკაციის ფუნქციებისათვის აფხაზურში, კრებულში: აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე V-VI, თბილისი.

**უთურგაიძე 1976** — თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი.

**ჩუხუა 2009** — მ. ჩუხუა, ინგუშური ენა (ფონეტიკა-ფონოლოგია), I, თბილისი.

**Абаза-Урышв Ажвар 1967** — Абаза-Урышв Ажвар, ред. Б. Т|ыгв, Москва.

**Шьякрыл, Концъариа 1986** — К. С. Шьякрыл, В. Х. Концъариа, Агъсуа Бызшәа Ажәар, I, Акуа .

**Шьякрыл, Концъариа, Чкадуа 1987** — К. С. Шьякрыл, В. Х. Концъариа, Л. П. Чкадуа, Агъсуа Бызшәа Ажәар, II, Акуа.

**Chirikba 1996** — V. A. Chirikba, Common West Caucasian (The reconstruction of its phonological system and parts of its lexicon and morphology), Leiden.

## NATIA PONIAVA

### The Consonant Clusters of Abaza Verbal Roots

#### S u m m a r y

In article are discussed consonant clusters of Abaza verbal roots. Limits of one morpheme of Abaza verbal roots are attested three- (a-la-rə-~~čxə~~-ra “wind (round)”) and foursegmental (a-kə-tšə-tšə-ra “bubble”) consonant clusters, but most frequent are twosegmental clusters.

The most part of consonant clusters of Abaza verbal roots are realized in anlaut.

In Abaza verbal roots are attested consonant clusters created by identical (a-l-~~čə~~-wa-ra “wash”) and different consonants (ča-pq-ra “cut off”). Some of them are received by vowel reduction of CVC structure (Abaz. q-č-ra “rumple”, compare to Abkh.a-qəč-rá “id”).

Sonorous consonants can't create identical consonant clusters.

Identical consonant clusters are realized in anlaut, but not in inlaut and auslaut.

In Threesegmental clusters, created by different consonants, first and second member of clusters make rising openness, second and third – falling-rising openness.

In inlaut the most frequent are twosegmental consonant clusters. The most part of them are created by sonorous and occlusive consonants.

In inlaut of Abaza verbal roots most frequently are SC and CF structure clusters.

In auslaut of Abaza verbal roots are attested only twosegmental clusters. The most part of these clusters begin by sonorous and end by occlusive consonants.

In Abaza and Abkhaz languages the consonant clusters are mostly decessive.



ნატო შაფრეშიანი, მედეა ხაღლიანი

**ახინდეტური ქვეწყობილი წინადადებისათვის  
სვანურში**

ქვეწყობილ წინადადებაში გვაქვს შემთხვევები, როცა დაქვემდებარების გარეგანი ნიშნები (მაქვემდებარებელი კავშირები, წევრ-კავშირები) ფორმოზობრივად გამოხატული არ არის, მიუხედავად ამისა, წინადადებათა ურთიერთმიმართება მანც დაქვემდებარებითაა. ასეთ ჰიპოტაქსურ წინადადებაში შემავალი დამოკიდებული წინადადების მიმართება მთავართან ინტონაციით გამოიხატება. აქედან გამომდინარე სინტაქსში ინტონაცია სიტყვათა და წინადადებათა შეერთების ისეთივე მნიშვნელოვანი საშუალებაა, როგორც არის კავშირი ან საკავშირებელი სიტყვა.

რუსულ გრამატიკებში (ნ. პოსპელოვი, ა. პეშკოვსკი, ვ. ვინოგრადოვი...) იყო მცდელობა იმისა, რომ უკავშირო რთული წინადადება ცალკე სინტაქსურ ერთეულად მიჩნეულიყო, თუმცა საბოლოოდ მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, „რომ უკავშირო რთული წინადადების გამოყოფა ცალკე ტიპად და მისი გათიშვა რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი წინადადებებისაგან შეუძლებელია და რომ ამ ტიპის უკავშირო რთულ წინადადებაში კავშირის როლს ასრულებს ინტონაცია... აქ საქმე გვაქვს დაპირისპირებულ მოვლენათა ერთიანობასთან და არა ერთმანეთისგან იზოლირებულად არსებულ ორ სინტაქსურ რაობასთან“ (ბასილაია 1974: 6).

ქართულ გრამატიკებში (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ა. კიზირია, ნ. ბასილაია, ი. ახალაია) უკავშირო რთული წინადადება გამოყოფილია, თუმცა არა როგორც კავშირიანი რთული წინადადებისაგან ცალკე აღებული სინტაქსური მოვლენა, არამედ როგორც დაპირისპირებულ მოვლენათა ერთიანობა. რთული წინადადების ეს ორი სახე წარმოდგენილია ერთმანეთთან კავშირში.

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, „უკავშირო რთული წინადადება უმთავრესად ისეთი წინადადებაა, სადაც კავშირი გამოტოვებულია და წინადადებათა შეერთების საპირისპირო ფორმათა წარმოსადგენად მისი აღდგენა შეიძლება. სწორედ ამით ვლინდება უკავშირო და კავშირიანი რთულ წინადადებებს შორის ორგანული კავშირი, რადგანაც კავშირი და ინტონაცია წინადადების გარკვეულ სინტაქსურ ტიპში შემავალ ნაწილთა შეერთების ორი ერთმანეთის შემცვლელი საშუალებაა: რთულ თანწყობილ წინადადებაში მათგან ერთი კავშირის ნაცვლად გამოიყენება მათგან ერთი ინტონაცია, რთულ

ქვეწყობილ წინადადებაში კი — მაქვემდებარებელი კავშირის ან საკავშირებელი სიტყვის ნაცვლად — მაქვემდებარებელი ინტონაცია“ (იქვე: 13).

როგორც კავშირიან, ისე უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინადადებაში გვაქვს გამოხატული ერთი და იგივე აზრი და ერთნაირი დამოკიდებული წინადადება. უკავშირო და კავშირიანი წინადადებები ადვილად ცვლიან ერთმანეთს. ამ წინადადებებს რომ აზრობრივი ერთიანობა არ ახასიათებდეს, შეუძლებელი იქნებოდა კავშირიანი წინადადებების შეცვლა უკავშიროთი ან უკავშირო წინადადებებისგან კავშირიანის მიღება შესაფერისი კავშირის გამოყენებით (ბასილია 1974: 14)

წერილში საუბარი იქნება უკავშირო ქვეწყობილ წინადადებაზე სვანურში, რომელიც ქვემოსვანურ დიალექტებში იშვიათად დასტურდება. სხვადასხვაობაა დიალექტებში ინტონაციის თვალსაზრისითაც, უკავშირო წინადადებებში ინტონაცია ყველაზე უფრო მეტად გამოკვეთილია ზემოსვანურ დიალექტებში, განსაკუთრებით ბალსქვემოურში (ზოგჯერ ბალსზემოურშიც), რაც აშკარად გვაგრძობინებს კავშირის ან საკავშირებელი სიტყვის კომპენსირებას სვანურის სხვა დიალექტებთან შედარებით. უკავშირო ჰიპოტაქსურ წინადადებაში გამოყენებული მაქვემდებარებელი ინტონაციისათვის დამახასიათებელია ხმის ამღლევა დამოკიდებული წინადადების შემასმენელზე, ხმის დადაბლება მთავარზე და პირველის გამოყოფა მეორისაგან პაუზით<sup>1</sup>. მაგ.:

**ლარღლარჩუნ ესღრ** ეჩქას ლიზგრზე ლმდინე (ბზ., სვან. ენის ქრესტ., 1978, 69) „მინდორზე რომ ჩადიოდა, მაშინ ბუტბუტი დაიწყო („სათიბებს“ ქვე მიდის, მაშინ ბუტბუტი დაიწყო)“

**ლიგემს ქა ილიესგხ**, ეჩქანღუე სვა ხომუნემს ლემსგუ (ბქ., იქვე, 198) „აშენებას რომ მოილევს, მერე შეუნთებენ ცეცხლს („ა-გ-ე-ბ-ა-ს დაამთავრებენ, მაშინ მერე შეუნთებენ ცეცხლს“)“

**ალე ბესის ქა ხასენდ**, ყენკიდ ყაჟ (ლშხ., იქვე, 249) „ეს ბესის რომ შემოესმა, აილო ტიკი („ეს ბეს-ის შემოესმა, აილო ტიკი“)“

**ზა ქამეჩედ**, ხომკომნა ეჩქა მიჩა გასამრჯელო (ლნტ., იქვე, 321) „წელიწადი რომ გასულა, მოუთხოვია მაშინ თავისი გასამრჯელო („წელი გასულა, უთხოვია მაშინ მისი გასამრჯელო“)“

ლუჯას ეჯლა ხათრეხ ამზუმ ხანს, **ხონამდ ლოქ იცხემ** (ჩოლ.) „რძეს იმიტომ ასმევენ ამდენი ხანი, რომ კარგად გაიზრდებო („რძეს იმისთვის ასმევენ ამ-ზო-მა ხან-ს, კარგად იზრდება“)“ და ა. შ.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ უკავშირო წინადადებებს გარკვეული ექსპრესიული ფუნქცია აქვთ, ხოლო დინამიკურობა და ელიფსურობა, რაც მათ ახასიათებთ, ქმნის რიტმის გაძლიერების, თხრობისა და დაძაბულობის შთაბეჭდილებას (კვარაცხელია 1909: 207), რაც განსაკუთრებულად კარგად ჩანს ზემოსვანური დიალექტების მაგალითზე, სადაც ინტონაცია აშკარად ექსპრესიულ ხასიათს ატარებს.

<sup>1</sup> აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბალსქვემოურში ინტონაცია გამოკვეთილია, ძირითადად, დამოკიდებული წინადადების ბოლოში მიუხედავად იმისა, წინადადების რა წევრია.

როცა უკავშირო ჰიპოტაქსზე ესაუბრობთ, ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს ზემოსვანურ დიალექტებზე, ვინაიდან ქვემოსვანურ დიალექტებში, მათ შორის ჩოლურულში, უკავშირო დამოკიდებული წინადადება იშვიათად დასტურდება, რაც შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ ქვემოსვანური დიალექტები, ზემოსვანურისგან განსხვავებით, გამოტოვებული კავშირის ინტონაციით კომპენსირებას ვერ ახერხებენ.

სვანური ენის ქვეწყობილ წინადადებებში, უფრო გამოყენებულია მაქვემდებარებელი კავშირები, ვიდრე მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები. ერთ-ერთი ასეთი მაქვემდებარებელი კავშირია **ერე** „რომ“, რომელიც თითქმის თანაბარი სიხშირით გვხვდება როგორც სახელით გამოხატული წევრების, ისე შემასმენლის ამხსნელ წინადადებათა ყველა ტიპში. აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ აღნიშნული **ერე** კავშირი იგულისხმება და აღსდგება უკავშირო ჰიპოტაქსურ წინადადებებში. მაგ.:

**უინალ დის ქა ხეყულენი**, ერქას დარბაზთ'აგნენ (ბზ., იქვე, 24) „ბატკანი 'რომ' დედას სცილდება, მაშინ სათივეში შეუშვებენ ხოლმე („ბატკანი **დე-და-ს** გა-მო-ე-ყ-ოფ-ა, მაშინ **დარბაზ-ის**'-კენ **ა-დგ-ამ-ენ**)“

**ჭტინლიშჭტინელ მურყუმარდ თერახ**, ეჯაძრ სემი სართულიან ლიხ (ბქ., იქვე, 200) „ძველისძველ კოშკებად 'რომ' ითვლებიან, ისინი სამსართულიანია („ძველისძველ კოშკებად ჩანან, ისინი **სამ-ი სართულ-იანი-ი** არიან“)“

**ემსუ ნაგზი ქა ლახნდა**, ეჩანღონენ აჯალ აჩად ლათხუიართე (ლზხ., იქვე, 275) „ერთი კვირა 'რომ' დაყო, მერე კიდევ წავიდა სანადიროდ („ერთი კვირა **ქე** ეყო, მაშინს მერე კიდევ წავიდა **სა-სა-თხ-ევ-ლ-ო-დ**)“

**მუკაჟისა ლოქ ზურალ ხანბ**, ერის ლოქ ჩიქე ქანთ ლეხყადანს (ლზხ., იქვე, 281) „გზაში 'რომ' ქალი აბია, იმას ჯერ აკოცონო („**მუკა-მი-ო** ქალი **ა-ბ-ი-ა**, იმასო ჯერ აკოცესმცა“)“

**ჟენბინეს ლიტტუ**, ერქა ოხთოფედ სერ ჩიემ (ლზხ., იქვე, 252) „გაქცევა 'რომ' დაიწყეს, მაშინ ვესროლეთ ყველამ („დაიწყეს **ლტ-ოლ-ვა**, მაშინ **უ-თოფ-ე-თ** მეტი ყველამ“)“

**აერხი ფურალ ეჯჟი ლუმითქჟ ხაყახ**, ამსტალდი გარგლა ხესმის (ჩოლ.) „ზოგიერთი ძროხა ისე ჰყავთ შეჩვეული, 'რომ' ადამიანის ლაპარაკი ესმით („ზოგი **ფურ-ებ-ი** ისზე შეჩვეული **ჰ-ყ-ავ-თ**, ადამიანის ლაპარაკი **ე-სმ-ი-თ**)“

**ამეჩუ ლეგუნერი შირალ მულჟა**, ეჯიარს ოხბიდნხტი ჟი (ჩოლ.) „აქ 'რომ' წისქვილის დოლაბები მაქვს, იმათ ავწევ ზევით („აქ წისქვილის დოლაბები მაქვს, იმებს ამოვწევ“)“ და ა. შ.

მეორე მაქვემდებარებელი კავშირი, რომელიც ასევე ხშირად დასტურდება სვანურში, არის **ლახ** „რომ, თუ“ კავშირი. იგი თითქმის არ გვხვდება ლენტეხურში, იშვიათობაა ჩოლურულშიც და ლაშხურშიც და, ძირითადად, გამოიყენება ზემოსვანურ დიალექტებში. იშვიათად, მაგრამ მაინც უკავშირო ქვეწყობილ წინადადებებში გამოტოვებულია **ლახ** „რომ, თუ“ კავშირი. მაგ.:

**ლუგუნარ ლანხხუ**, ერქას ღენაჭრთისგა ჩუანდსენდახ (ბზ., იქვე, 23) „მსუქნები 'თუ' იყვნენ, მაშინ დღესასწაულებზე დაკლავდნენ ხოლმე („მსუქნები იყვნენ, მაშინ დღეობებში დაკლავდნენ“)“

ალი ლი, **უართე ხეგნი გუმეშ**, ერქას (სვ. ქრ. ბქ. 175) „ეს არის, მაშინ, როცა უარი ითქმება („ეს არის, უარ-ის-კენ ა-დგ-ებ-ა საქმე, მაშინ“)“

**ალ ქუერწლარ დინამ ლამუართესგა კედნის**, ერქას მწკუი ევარს გარ ხოგემხ ჰაში ტაბაგს (ბქ., იქვე, 176) „ეს მექორწილები გოგოს ხალხში რომო მოდიან, მაშინ პირველად მხოლოდ მათ უშლიან მცირე სუფრას („ეს ქორწილ-ები გოგოს სა-მა-მ-ო-ს-კენ-ში მოვლენ, მაშინ ჯერ იმეებს მხოლოდ უ-დგ-ამ-ენ მჩატე ტაბლა-ს“)“ და სხვ.

ხშირ შემთხვევაში, როგორც წესი, ზემოაღნიშნული კავშირი ქვეწყობილ წინადადებაში დასტურდება. მაგ.:

ფიტკირშუ ლილგიმპლს **ლახა** იდრალხ, ერქას ჩიდ მწკუი კირ ი ქუიშე ხეკუტეს ანმარახ (ბქ., იქვე, 197) „ქვით მშენებლობას როცა აპირებენ, მაშინ თავდაპირველად კირი და ქვიშა უნდა მოამზადონ („ქვ-ით-კირ-ით დგ-მ-ულ-ობ-ა-ს როცა აპირებენ, მაშინ ყველაზე პირველად კირ-ი და ქვიშა უნდა მოამზადონ“)“

ქალაქთე ლიზის **ლახ** ხაპირეხ, ერქას მწკუ ხარჯს ამარეხ ჟი (ბქ.) „ქალაქში გამგზავრებას როცა აპირებენ, მაშინ პირველად საგზალს გაამზადებენ ხოლმე („ქალაქ-ის-კენ სვლას როცა ა-პირ-ებ-ენ, მაშინ ჯერ ხარჯ-ს გა-ა-მზარ-ეულ-ებ-ენ“)“ და ა. შ.

სვანურში დადასტურდა უკავშირო ქვეწყობილ წინადადებათა შემდეგი ტიპის დამოკიდებული წინადადებები: ქვემდებარული, დამატებითი, განსაზღვრებითი, დროის გარემოებითი, ადგილის გარემოებითი, მიზეზის გარემოებითი და ვითარების გარემოებითი დამოკიდებული. ჩამოთვლილი უკავშირო ქვეწყობილი წინადადებებიდან, სვანურის ყველა დიალექტში, ყველაზე ხშირად დასტურდება დროის გარემოებითი, მიზეზის გარემოებითი და ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები.

### **ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება**

**ლეჩხუმს ლახუბ ათსედა გულედანს**, ევარს ახმაჭრინენახ შუანთე ლივედ (ბზ., იქვე, 77) „ლეჩხუმში რომო ძმები დარჩენია გულედანს, იმათ დაზარებიათ სვანეთში წასვლა („ლეჩხუმ-ს ძმები დარჩენია გულედანს, იმეებს დაზარებიათ სვანეთ-ის-კენ მოსვლა“)“

**ჯუილიშჯუინელ მურყუმარდ თერახ**, ევარ სემი სართულიან ლიხ (ბქ., იქვე, 200) „ძველისძველ კოშკებად რომო ითვლებიან, ისინი სამსართულიანი („ძველისძველ კოშკებად ჩანან, ისინი სამ-ი სართულ-იანი არიან“)“.

### **პირდაპირ დამატებითი დამოკიდებული წინადადება**

**ეჯის ოხრამბუედ**, მაშენე ამეჩუ ლოქ ხაშთხუა (ჩოლ.) „მას მოვუყვებით, რომო უფროსი აქ მარხიაო („იმას ვ-უ-ა-მბ-ე-თ, ყველაზე დიდი აქო მარხია“)“.

### **ირიბ დამატებითი დამოკიდებული წინადადება**

გუიანდ გულ ონჭუადდ, ნანდუილდ ხორდელაჟ ლი (ლშხ., იქვე, 261) „გვიან მივხვდით, რომო ნამდვილად ხორველა იყო („გვიან-ად გულ-ად მოვედით, ნამდვილ-ად ხორველა არის“)“

**ამეჩუ ლეგუშერი შირალ მულუა**, ევიარს ოხბიდნხუი ჟი (ჩოლ.) „აქ რომო წისქვილის დოლაბები მაქვს, იმათ ავწევ ზევით („აქ წისქვილის დოლაბები მაქვს, იმეებს ამოვწევ“)“.

**უბრალო დამატებითი დამოკიდებული წინადადება**

**ჩოლორ კუბ ოხტაბახ**, ეჩნაჲთჳსგ'ესჲდახ ჳიჳჲარ (ბზ., იქვე, 106) „ჩოლორში რომ კუბო გამოუთლიათ, იმაში ჩაუდიათ ძვლები („ჩოლორ-რს კუბო გამოუთლიათ, იქითკენში და-უ-დ-ი-ა-თ ძვლ-ებ-ი“)“

**შგილს ჩუჳჳან არტახ სოზ**, ეჩეჳინ ყჳელღი ნაჳა ხოწიბ (ბზ., იქვე, 115) „სხვენს ქვევით რომ ძელი არის გადებული, იმაზე კერიის ჳაჳვი არის ჩამოკონწიალებული („სხვენს ქვევით არტახ-ი უ-ძ-ევ-ს, იმაზე ყველღ-ის ნაჳა უკონწიალი“)“.

**განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება**

ბეფშ ეჳჳა ლემარ, ეშჳ ლადელისა ლემცხემინ კამინს (ჩოლ.) „ბავში იმისთანა ყოფილა, რომ დღეში მტკაველს იზრდებოდა თურმე („ბავში-ის-ყა-ლიბ-ი ყოფილა, ერთ დღეში ნაზარდა მტკაველ-ს“)“.

**მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება**

სერ ამანლო ალ უჳი მიუჳშას მამა ხაყლუნდა, ჳა ლუხუნშენ ხნდა თხუმ (ლშხ., იქვე, 244) „ამის მერე უკვე ამ უჳემების გამტეხს არ ეშინოდა რიმიტომ, რომ ცოდვა მონანიებული ჳჳონდა („მეტი ამის მერე ამ უჳი-რს გამტეხს არ ეშინოდა, მონანიებული ჳჳონდა თავი“)“

ღემ გუფუშდეხ, ხჳა ოხხურიელანდ (ლშხ., იქვე, 260) „არ გვიშვებენ რიმიტომ, რომ ბევრი მოვგროვდით („არ გვიშვებენ, ბევრი მოვგროვდით“)“

მინე ნათი ლეზობს ეჳის ხანინახ, ხალტენახ მეჳარ (ლშხ., იქვე, 285) „მათ წილ საჳმელს იმას აჳმედენენ რიმიტომ, რომ უყვარდათ ძალიან („მათ წილ საჳმელს იმას შენაჳმევან, ნაყვარებათ ძლიერ“)“

ლახჳ მარვილი ლილჳი ჩიის მად ხოხალ, მერბენარ ლილაჳი ხაკუ (ლნტ., იქვე, 301) „მთის მარხილის შეკვრა ყველამ არ იცის რიმიტომ, რომ სხვანაირი დატვირთვა უნდა („მთი-რს მარხილ-ი-რს შეკვრა ყველას არ იცის, მეორ-ე ნაირ-ი შეკვრა უნდა“)“

ალ დიენაცნდ ხოლამდ ხანელენა მიჩა გეზალუთანლს, მად ხეჳადა ეჳმინცხენ ლირდე (ლნტ., იქვე, 315) „ეს დედინაცვალი ცუდად ეჳცეოდა თურმე თავის გერს რიმიტომ, რომ არ უნდოდა მათთან ყოფნა („ეს დე-დ-ი-ნა-ცვ-ალ-ი ცუდად ნაჳცევა მის შვილ-უტნობს, არ ე-ნუკვ-ოდ-ა იმათთან ყოფნა“)“

ეჳმინს ხოშჳურხ ლოჳ, ტიტჳელან ლოჳ ლიხ (ლნტ., იქვე, 315) „მათ სრცხვენიათო რიმიტომ, რომ შიშვლები არიანო („მათ სრცხვენიათო, ტიტვლ-ებ-ი-ო არიან“)“

ერბო ლისყი მამ ხანახ, ერბო ჳა ლებორ თაშ მამ ხანამხ (ჩოლ.) „ერბოს გაკეთება არ სჩვევიათ რიმიტომ, რომ ერბო გამოცლილი ყველი არ მოსწონთ („ერბო-ს კეთება არ სჩვევიათ, ერბო გა-მო-ბრ-ილ-ი ყველი არ სიამოვნ-ებ-თ“)“.

**ვითარების გარემოებითი დამოკიდებული:**

ჳაგარ ოხჳიკ მიშგჳაშურად, ხაზეინარს მამა ხტჳჳარ (ლშხ., იქვე, 262) „წამალი ავიღე ჩემებურად რისე, რომ მასპინძლებს არ ვუთხარი („წამალი ავიღე ჩემებურად, ხაზეინ-ებ-ს არ ვუთხარი“)“

თჳეფ ჳი მგჳჩ ხარ, ამჳინ ესნარ შენ მერე ლოხტუდირდა (ბზ., იქვე, 78) „თოფი რომ მომართული აჳვს, რისე ვილაცამ ხელი მოკიდა („თოფ-ი აღმართუ-ლი აჳვს, ასე თურმე ხელს ვილაცამ მოკიდა ხელი“)“

**ეგრხი ფურალ ეჯჷი ლუმითქჷ ხაყან**, ამსტალდი გარგლა ხესმიხ (ჩოლ.) „ზოგიერთი ძროხა ისე ჰყავთ შეჩვეული, 'რომ' ადამიანის ლაპარაკი ესმით („ზოგი ფურ-ებ-ი ისზე შეჩვეული ჰ-ყ-ავ-თ, ადამიანის ლაპარაკი ე-სმ-ი-თ“)“

ალე ხელმწიფეს ეჯჷი ლახლატუნდა, გეზალშალ (ჩოლ.) „ეს ხელმწიფეს ისე შეუყვარდა, 'რომ' შვილივით („ეს ხელმწიფე-ს ისე შეუყვარდა, შვილივით“)“

**ღროის გარემოებითი დამოკიდებული:**

ნესშტარს ქა ხაყულსურახ დაჯარს, ეჩქას ნესშტარს ბოფშარ ხელდწლდახ (ბზ., იქვე, 23) „თიკნებს რომ მოაშორებდნენ თხებს, მერე თიკნებს ბავშვები მწყემსავდნენ („თიკნებს გა-მო-ა-ყ-ოფ-დ-ნენ თხებს, მაშინ თიკნებს ბავშვ-ებ-ი მე-ღლე-ურ-ობ-დ-ნენ“)“

ნაბოზს, ჟი ინქტერი, ეჩქას ქალ იტხეხ ლტელდაქარს (ბზ., იქვე, 32) „სალამოს, 'რომ' აგრილდება, მაშინ ისევე გამოიყვანენ ხოლმე ცხვრებს („სალამოს, აგრილდება, მაშინ ისევე გამოაბრუნებენ ცხვრებს“)“

თხემქიქანქა ბანჯ ლიკტანეს ხემურჯალხ, ეჩქას აშხუ ადგილს ჩტანშანის (ბზ., იქვე, 34) „თავს ზემოთ ქვის სროლას 'რომ' აპირებენ, მაშინ ერთ ადგილს მონიშნავენ ხოლმე („თავს ზემოდან ქვი'ს' გდებას აპირებენ, მაშინ ერთ ადგილას ჩა-ნიშნ-ავ-ენ“)“

ქტინლგმგენეს ჩუ ოთხეჰნისგდ, ეჩქას დგრს ნწკდ ხოკედდ ქა (ბქ., იქვე, 203) „საქონელს 'რომ' დავკლავთ, მაშინ დვრიტას ცალკე გამოვუღებთ ხოლმე („სულ-დგ-მ-ულ-ს ქე დავკლავთ, მაშინ დვრიტა-ს ცალკე გამოვუღებთ“)“

თაშ სვლგინდ ნეკუდი, ეჩქას ჩუ ხტაქცურედ ი ტედრათეისგა ხტანდისგდ (ბქ., იქვე, 204) „ყველი 'თუ' სულგუნად გვენდომება, მაშინ დავჭრით ხოლმე და სათლში ვდებთ („ყველი სულგუნ-ად გვენდომება, მაშინ და-ვ-ა-ქუც-მა-ც-ებ-თ და ვედრო-ს' კენ-ში ვ-დ-ებ-თ“)“

ალეუ ლოქ მეცტულ, მეხტდ ლოქ მრდ ეჯჷმე (ლშზ., იქვე, 279) „ეს გამიწყრესო 'მაშინ', ცოლად 'რომ' არ გამოგყვეო („ესმცაო მეჩხუბება, ცოლადო არ გამოგყვე“)“

ისგ დწრობ ლას, ეჩქა ოხჯიდხ ლეზობ (ლშზ., იქვე, 281) „შუა ჰამა 'რომ' იყო, მაშინ მოუტანეს საჭმელი („შუა პურობა იყო, მაშინ მოუტანეს საჭმელი“)“

კუმში ნაძიენს ხელკიხ კუმაშ, იბნეხ ლაგტანია კალიბ ლიბლულის (ჩოლ.) „საქონლის დანაკლავს 'რომ' რომ გადააწყდება საქონელი, 'მაშინ' იწყებენ გასვენების მაგვარ ბღაველს („კუმაშ-ი'ს' ნაკლავს აწყდებიან კუმაშ-ი, იწყებენ სატირლის ყალიბ ბღავ-ილ-ს“)“

მუს ანღრი, ეჩქა ჩუ შგდნი წიფ (ჩოლ.) „თოვლი 'რომ' მოდის, მაშინ ჩამოიყრება ხოლმე წიწიბო („თოვლი მოდის, მაშინ ჩამოიყრება წიწიბო“)“ და მისთ.

აღნიშნული უკავშირო რთული წინადადების სინტაქსურ მთლიანობას, როგორც წესი, განაპირობებს მისი ნაწილების სტრუქტურული აგებულება და აზრობლივი მიმართება.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ქართულში უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ყველა ტიპის დამოკიდებული წინადადება დასტურდება, „არა გვაქვს მხოლოდ ადგილის გარემოებითი და

მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადებები“ (ბასილაია 1974: 43), რაც შეეხება სვანურს, ზემოთქმულისგან განსხვავებით, არცთუ იშვიათად, გვხვდება **უკავშირო ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებებიც**. მაგ.:

**ნაჭს განხან ლამტუარაჩ ხორიკ, ეჩეჟინ ლეთუმ მუგუანლს ხადესგის** (ბზ., იქვე, 115) „ჩაჭვს გვერდიდან სანათური 'რომ' ჰკიდია, იმაზე ლამით კვარს დებენ („ნაჭა-ს გან-იდან სანათურები ჰკიდია, იმაზე ლამით კვარს ა-დ-ებ-ენ“)“

**მეჰი ლესლერ მახად ლამლუანის ხეტენეს, ეჩეჩოლუ ლი ისგუე ლაქუნ** (ბქ., იქვე, 174) „მწიფე ხილნარი 'რომ' ხელახლა ყვაოდეს, იქ ყოფილიყოს თქვენნი სასუფეველი („მწიფე სახილე ახლად ყვავილობას ებრუნებოდეს, იქმცა არის თქვენი სასუფეთი“)“

**ჰამაშარ, ათხე გელა იზგე, ეჩეჟი ლემზიგლის სემი მეზგე** (ბქ. 188) „ჰამაშარში, ახლა 'რომ' გელა ცხოვრობს, იქ ცხოვრობდა თურმე სამი ოჯახი („ჰამაშარ-ს, ახლა გელა სახლობს, იმაზე ნასახლარან სამ-ი მოსახლე“)“

**მაგ ქა იკვშე ნაჩომ ცოდობს ეჩეჩუ, ყ'ინზორის სკალდისა** (ჩოლ.) „ყველა 'რომ' გაამხელს ჩადენილ ცოდვას იქ, 'მაშინ' შეგროვდებიან ხოლმე სკალდის 'ეკლესიაში' („ყველა გაამხელს ნაქნარ ცოდ-ობ-ა'-ს იქ, შეგროვდებიან სკალდ-ში“)“ და ა. შ.

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა კონტექსტის მიხედვითაც კი ძნელდება გარჩევა იმისა, უკავშირო წინადადება თანწყობილია, ქვეწყობილი, თუ შერწყმული. ზოგჯერ მათი გამოცნობა ძნელია იმის გამო, რომ მაქვემდებარებელი ინტონაცია რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ისეთი სიძლიერითა და სიზუსტით ვერ გამოხატავს ერთი წინადადების მეორეზე დაქვემდებარებას, როგორც, მაგალითად, მაქვემდებარებელი კავშირი ან საკავშირებელი სიტყვა. მაგ.:

**ჩოლირ კუბ ოხტახხ, ეჩნაჟთესგ'ესტუდახ ჯიჯუარ** (ბზ., იქვე, 106) „ჩოლურში 'რომ' კუბო გამოუთლიათ, იმაში ჩაუდიათ ძვლები („ჩოლურ-ს' კუბო გამოუთლიათ, იქითკენში და-უ-დ-ი-ათ ძვლ-ებ-ი“)“

**შგილს ჩუქუნან არტახ ხოზ, ეჩეჟინ ყუელფი ნაჭა ხოწიბ** (ბზ., იქვე, 115) „სხვენს ქვევით 'რომ' ძელი არის გადებული, იმაზე კერიის ჯაჭვი არის ჩამოკონწილებული სხვენს ქვევით არტახ-ი უ-ძ-ევ-ს, იმაზე ყველფ-ის ნაჭა უკონწილია“)“

**აფხზარ ოლმანზ ჩგვარაგომ ლაპერტახითე**, მოკილ ლემარ ბეტაშერ ხოშა (ბქ., იქვე, 186) „აფხაზები 'რომ' მიდიოდნენ წმინდა გიორგის ასახრებლად, 'მაშინ' ეკლესიის მცველი ყოფილა ბუტასაანთ წინაპარი („აფხაზ-ებ-ი მინავლან წმინდა გიორგის გა-სა-პარტახ-ებ-ლ-ად, მე-კლიტ-ულ-ე ყოფილა ბუტა-ს-ა-ან-თ უფროსი“)“

**ქა ადვად ყორაუნლხოქა**, ხაწიდ ბურთ ჰყეროდ ყორაუნლს (ლნტ., იქვე, 324) „'რომ' გავიდა კარში, 'მაშინ' მიართყა ბურთი კვარცის კარებს („გავიდა კარებში, დაართყა ბურთ-ი კვარცის კარებს“)“ და სხვ.

თუმცა, როგორც ცნობილია, ანალიზის სიძნელე არა მარტო უკავშირო რთულ წინადადებას ახლავს, არამედ კავშირიანსაც, „მსგავსი გაურკვევლობისგან ზოგჯერ არც კავშირიანი რთული წინადადებაა დაზღვეული“, მაგალითად, ცნობილია, რომ „თორემ“ კავშირიანი წინადადება ზოგჯერ რთული თანწყობილია, ზოგჯერ — ქვეწყობილი: თანწყ. კაცს კაცობა უნდა, **თორემ** ულვაში კატასაც კი

აქვსო (ანდ); ქვეწყ. ნურც დაანახვებ შენს ქურანს ცხენსა, **თორემ** ის ბიჭი განაგებს ბევრსა („კაკო ყაჩაღი“) (ბასილაი 1974: 32).

როგორც უკვე აღინიშნა, ქვემოსვანურ დიალექტებში, კავშირიანი დამოკიდებული იმდენად ჭარბობს უკავშიროს, რომ ხშირ შემთხვევაში ერთდროულად გვხვდება ორი კავშირი, ან წევრ-კავშირი და კავშირი. კავშირთა ასეთი თავმოყრა დასტურდება ზემოსვანურ დიალექტებშიც, თუმცა არა ისეთი სიხშირით, როგორც ქვემოსვანურში. მაგ.:

ეჩქას მიჩა ნახახტს, **ხედუწა ერე** მიჩნემ ვნთხე, ეჩის ხაქტე (ბზ., იქვე, 171) „მაშინ თავის ნაცოლარს, რომელიც რომ მან მოძებნა, იმას უთხრა („მაშინ მის ნაცოლარს, რომელიც რომ თვითონ მოძებნა, იმას უთხრა“)“

ალე დემ ემსყე, **შომას ერე** მი ჟი ლგჰნე ხუჰსუ (ბქ.) „ეს ვერ გამიკეთა, როცა რომ მე გადაყოლილი ვიყავი („ეს ვერ გამიკეთა, როცა რომ მე გადამდნარი ვიყავი“)“

სერ **შომად ერ** ჟი ხებდერ, ეჩქას ჟი ხეგნი ნებოლილ (ლშხ., იქვე, 257) „მოკლეთ როცა ამოწვეს, მაშინ დააჯდება ხოლმე ჩიტი („მეტი როცა რომ ამოწვეს, მაშინ და-ა-დგ-ებ-ა ჩიტი“)“

ეჩქა ჟიჯუარ ჩუ იდგაროლხ, **შომად ერე** სპირტს ქა ხოცნდახ (ლშხ., იქვე, 261) „მაშინ გველები კვდებოდნენ, როცა რომ სპირტს გამოუცვლიდნენ ხოლმე

**შომად ერე** ლო ჟიჯუარემ ლარმიჟი გუეგვოდახ, ეჩქა ჟაგარს ხოცუნდად ნაგვეჟი (ლშხ., იქვე, 262) „როცა დაჭერისას გველები გვკბენდნენ, მაშინ წამალს ვუსმევდით ნაკბენზე („როცა რომ გველების დაჭერაზე გვკბენდნენ, მაშინ წამალს ვუსმევდით ნაკბენზე“)“

**შომჟად ერე** ლიხჩოტუნლ ლახთირხ, გეზლორ ჩაჟიმ ლაჯდად აღზგზხ ჟილყეთე (ლშხ., იქვე, 262) „როცა გამოკეთება შეატყვეს, 'მაშინ' შვილები ცხენის მოსაყვანად გააგზავნეს ჯოგში („როცა რომ მოკარგება შეატყვეს, შვილები მოსატანად გააგზავნეს ჯოგში“)“

**ლახ ერე** ლიციტუნლ ჩუეღვიდხ, „თხუმს ლოქ ხოწად“, — მუქტეხ (ლშხ., იქვე, 263) „როცა სიცილისგან გული იჯერეს, „თავს უშველო“, — მითხრეს („როცა რომ სიცილი გადაიხადეს, „თავსო უშველა“, — მითხრეს“)“

**შომჟად ერე** ხოჩა მალგფხ ლი, ეჩქა მუს ლჟა იჩუეფი ხუნკატი (ლნტ., იქვე, 301) „როცა კარგი გაზაფხულია, მაშინ თოვლიც მალე დნება („როცა რომ კარგი გაზაფხული არის, მაშინ თოვლიც დნება ადრე“)“

ალე ლი ძინარა მიჟ, **ხედუწა ერ** თელ ქუეყანას ხომტუარე (ლნტ., იქვე, 322) „ეს არის დილის მზე, რომელიც რომ მთელ ქვეყანას უნათებს“

სომეხ ანჯად ქარაუანშუ, **ხედუწაჟს ერ** ხეყად სემი აშირ აქლემ (ლნტ., იქვე, 322) „სომეხი მოვიდა ქარავნით, რომელსაც რომ ჰყავდა სამასი აქლემი“

ეჯჟი ესყედნე ტუეტისა, **იმჟადჟი ერე** მიჩა მესხლ აღშგურანე (ჩოლ.) „ისე დაიკავა ხელში, როგორც რომ თავისმა ცოლმა დაარიგა“

ჩ'ოთმდუხუხ ეჩეჩუ, იმჟად ერ ათხე ბაპშა ნალოზგს ხატჟლიხ (ჩოლ.) „დაუკრძალავთ იქ, სადაც რომ ახლა ბაპიანთ ნასახლარს ეძახიან“...

ნ. აბესაძის აზრით, მსგავსი ვითარება დასტურდება სხვა ქართველურ ენებშიც: „ქართული რომ, სვანური **ერე|ერ|ე** და ზანური **-ნა||-ნი||-ნ** შეიძლება სხვა წევრ-კავშირებთან ერთადაც ვიხმაროთ“ (აბესაძე 1963: 17).



ხშირად ჰიპოტაქსური წინადადებების ნაწილებს შორის დაკავშირება ცალმხრივია. მთავარში არ არის წარმოდგენილი საკორელაციო სიტყვები, თუმცა მათი აღდგენა, ქართულის მსგავსად, ადვილად შეიძლება. სვანურის დიალექტებში ამ სახის წინადადებებშიც არაერთგვაროვანი სურათია. ქვემოსვანურისთვის (განსაკუთრებით ჩოლურულისათვის, და, ასევე, ლაშურისათვის) აბსოლუტურად ჩვეულებრივი მოვლენაა საკორელაციო წევრთა გამოტოვება, და შეიძლება ითქვას, რომ უკავშირო წინადადებებს გაცილებით სჭარბობს უკორელაციო მთავარი; ერთსა და იმავე წინადადებაში საკავშირებელი წევრი ხან წარმოდგენილია და ხან არაა. მაგ.:

სემი ზაფ დემ ორი, მი ერ ლითხუდარ ოხბინ (ლშხ., იქვე, 252) „სამი წელი ვერ იქნება, მე რომ ნადირობა დავიწყე“

მიჩ ლოქ ე ხონჭრინალტინხუტი, ლითხუიარსნ სგა ლოქ ამმითქტენ (ლშხ., იქვე, 252) „ჩემთან ერთად თუ ივლიო, ნადირობასაც შეგაჩვევო („მასო რომ ვეახლებოდე იქნება, ნადირობასაც შემაჩვევსო“)

ჩ'ტერ ახოფანიხ, ჩუ ხოშონდობიხ ლდგარუს (ლნტ., იქვე, 291) „რომ წაუდგამენ მიცვალებულთა სულებს საკურთხს, ჭიქას წაუქცევენ მიცვალებულებს („რომ ჩამოუფენენ, ქვე შე-უ-ნდ-ობ-ენ და-დგრ-ომ-ილ-ებ-ს“)

შესაწირს ერტუი ვიდე, ხუტედი საროსტას (ლნტ., იქვე, 295) „შესაწირს ვინც მოიტანს, აძლევს მლოცველს“

სგ'ერ ონჭუადდ ფანაგა შუკუთე, ყ'ოგხუნიდა ლემხი ბოჩიკ (ჩოლ.) „რომ შემოვედით ფანაგის გზაზე, რამინ ვიპოვეთ დასაწვავი საქონელი“

ხალ ქა ხუტეწდ, შიმდ თოფს ხუტაფხიჭ (ჩოლ.) „როგორც კი დავინახე, მაშინვე თოფს წავავლე ხელი“ და სხვ.

ზემოსვანურ დიალექტებში, ქვემოსვანურისგან განსხვავებით, მთავარ წინადადებაში ეს დანაკლისი არ არის ხშირი, თუმცა დასტურდება შემთხვევები, როცა საკორელაციო სიტყვა აკლია. მაგ.:

ჯტინალდ ხეჯრატუნხ, ერე თოფრე ჰერ ესერ საფლანტუნსგა სგა ხესმი ლეწურისი (ბზ., იქვე, 24) „ძელად სჯეროდათ, რომ თოფების ხმა საფლავში ესმისო მიცვალებულს („ძელად ს-ჯერ-ოდ-ა-თ, რომ თოფ-ებ-ის ხმაო საფლავ-ის-კენ-ში ჩა-ე-სმ-ის სასისხლებელსაც“)

ლერსგუტენ თალღვა ლახე ხოქტუნ მარა, ნატი ხოჩემი ლიკუტჰე როქტუ ხოხა (ბზ., იქვე, 24) „მარჯვენა წამწამი როცა უთამაშებს ადამიანს, ნათესავზე კარგი ამბის გაგება იცისო („მარჯვენა წამწამი როცა ერყევა კაცს, ნათესავ-ის-კარ-გი-ის-გაგებაომცა იცის“)

ისგე ლაშგდწუ პატიტ ე დემ ჯწყრიდ, ნომა ნანდროტად, მალდინწუ (ბქ., იქვე, 186) „თქვენი საკადრისი პატივი თუ ვერ გეცით, არ დაგვემდუროთ, მაღლიანებო („თქვენი საკადრისი პატივ-ი თუ ვერ დაგმართოთ, ნუ-არ და-გვ-ე-მდურო-თ, მაღლ-იან-ებ-ო“)

ლაღვიმალჟი ჩუტიბე სართულ ლახა ქა ილიფ, დგრარ ლიხ ლედისგ (ბქ., იქვე, 196) „მშენებლობისას როცა ქვედა სართული დამთავრდება, დირეები არის გასადები („და-დგ-მ-ულ-ობ-ა-ზე ქვემო სართულ-ი თუ დამთავრდება, დირე-ებ-ი არიან და-სა-დ-ებ-ი“)

უნდა აღინიშნოს, რომ ქვემოსვანურის ყველა იმ მასალაში, სადაც გამოტოვებული იყო მისათითებელი სიტყვა, ბალსქვემოურმა თითქმის ყველგან აღადგინა იგი, თუმცა გამოტოვა დამოკიდებულში მაქვემდებარებელი კავშირი. თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ ამ პარალელურ შედარებებს. მაგ.:

ჯეი უ'ესგურდა სეუჟი ი სგ'ერ ადმე სოფელთე, ამეჟუ ჩინს უ'ახყალუნდა... (ლშხ. იქვე, 91: 24-25) „თვითონ დაჯდა მარხილზე და რომ შეიტანა სოფელში, აქ ყველას შეეშინდა“

შდრ. ბქ. ჯი უ'ახსგურდა სსუჟი ი სოფელთე სგ'ადიე, **ეჩქას** ამეჟუ ჩის ათყალინდა „ თვითონ დაჯდა მარხილზე და სოფელში რომ შეიტანა, მაშინ აქ ყველას შეეშინდა“

ამჟი ანჯადხ დანუარ, გიორგის **ერ** ქა ხეწადხ, უ'ახყალუნდახ (ლშხ., იქვე, 91:31) „ასე მოვიდნენ დევები, გიორგი რომ დაინახეს, შეეშინდათ“

შდრ. ბქ. ამჟი ანჯადხ დანუარ ი გიორგის ქა ხეწადხ, **ეჩქას** ათყალინდახ „ასე მოვიდნენ დევები და გიორგი რომ დაინახეს, მაშინ შეეშინდათ“

შის **ერ** ეხბნიშდა დანუ, გიორგიდ ეჟეი ოხთვლგრე ტოტისა, ერე დანუ ყულყულდ აფაშგ (ლშხ., იქვე, 91: 34-35) „ხელი რომ ჩამოართვა დევმა, გიორგიმ ისე მოუჭირა ხელში, რომ დევი აყვირდა („ხელს რომ წაართვა **დევი**-ი, **გიორგი**-მ ისზე მოუჭირა **ტოტ**-ში, რომ **დევი**-ი **ჟმუ**-ილ-**ჟმუ**-ილ-ად გაიხსნა“)

შდრ. ბქ. დანუ შის ეხბნიშდა, **ეჩქას** გიორგიდ ეჯეი ოხთვრლე ტუტეტისგა, ერე დანუ ყულყულდ აფაშგ (ბქ.) „დევმა რომ ხელი ჩამოართვა, მაშინ გიორგიმ ისე მოუჭირა ხელში, რომ დევი აყვირდა („**დევი**-ი ხელს წაართვა, მაშინ **გიორგი**-მ ისზე მოუჭირა **ტოტ**-ში, რომ **დევი**-ი **ჟმუ**-ილ-**ჟმუ**-ილ-ად გაიხსნა“)

თუ ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულში კავშირად გამოყენებულია წევრ-კავშირი, მაშინ, როგორც წესი, მთავარშიც დასტურდება მისათითებელი ნაცვალსახელი ან ზმინიზება, და დაკავშირებაც ორმხრივია, თუმცა იშვიათად შეიძლება გამონაკლისიც დაფიქსირდეს და საკორელაციო სიტყვა გამოტოვებული იყოს. მაგ.:

მუნყუნანლ'ერჟანა ლსანუ, **ეჯას** მიჩა ჭანშიშდ ხალსარჟენ ნწყუნ (ბზ., იქვე, 26) „მზარეული ვინც იყო, იმას თავისი მეუღლისთვის ემეტებოდა კერძი („კერძების გამკეთებელი ვინც იყო, იმას მისი ქმრისთვის ემეტებოდა შეჭამანდი“)

ბოფშარ **ერჟანა** ქუინს უ'ანკანახ, **ეჯას** შიშდ ქანთ'ანახ (ბზ., იქვე, 26) „რომელი ბავშვიც ხმას ამოიღებდა, იმას ხელად გარეთ გაავდებდნენ ხოლმე („**ბავშვ**-ებ-ი ვინც სულს აიღებდნენ, იმას ხელად გარეთ **დგ**-ამ-დ-ნენ“)

ჩიდ მანკუი **ოშჟანა** ქორარ ხრგანხ, **ეჯანარ** აყულურახ (ბზ., იქვე, 27) „თავდაპირველად რამდენი სახლიც ედგათ, იმათ არიგებდნენ („თავდაპირველად რამდენიც სახლები ე-**დგ**-ათ, იმეებს **ჟ**-ოფ-დ-ნენ“)

მეგამშუ ლილგიმშლს **აერჟა** იდრანლ, **ეჯნემ** მანკუი ქორიიქ შდუხორ ხეკუტეს ანმარას (ბქ., იქვე, 196) „ვინც ხით მშენებლობას აპირებს, იმან ჯერ სახლისთვის ხის მასალა უნდა გაამზადოს („ხით **დგ**-მ-ულ-ობ-ას ვინც ფიქრობს, იმან ჯერ სახლისთვის ხის მასალა უნდა გა-ა-**მზარ**-ეულ-ო-ს“)

**იმგუა** ძუირ ლი ბან, **ეჩეჩუ** სგებნანუ ხარხ ბაჩუმე ლამარასი (ბქ., იქვე, 198) „სადაც ქვა ძვირი არის, იქ წინდაწინ შეუდგებიან ხოლმე ქვის მომზადებასაც“

არაყ **იმჟუნა** ეს ხეკუად, **ეიჟი** ხულუნ ჩის (ლშხ.) „არაყი ვისაც როგორ უნდოდა, ისე ჰქონდა ყველას („არაყ-ი როგორც ვინმეს უნდოდა, ისზე ჰქონდა ყველას“)“

ქა **იმთჲ** ღვრიხ, **ჩინაგ** კინჩხს იქტუცხ (ჩოლ.) „სადაც წავლენ, ყველგან კისერს იჭრიან“

**იმჩუტუნა** ხრდხენი, **ეჩეჩუ** ლანშანს იდესხ მერმალ (ჩოლ.) „სადაც დაეცემა, იქ სანიშნეს დებენ სხვები („სადაც დაეცემა, იქ სა-ნიშნ-ეს ი-დ-ებ-ენ მე-ორ-ე-ებ-ი“)“

სოფლის ჟიბე ძვიდს ლგვ კლას, **ხედას** ჯუინელ მზგ ჩუ ლულუაშე ხარ (ლშხ., იქვე, 185) „სოფლის თავში დგას სკოლა, რომელსაც ძველი ყველაფერი გაფუჭებული აქვს („სოფლ-ის ზემო ძვიდე-ს დგ-ა-ს კლას-ი, რომელსაც ძველი ყველა ქვე და-შავ-ებ-ულ-ი აქვს“)“

**შომტუნა** თენგიზ ლეჩხუმთ შმჩედ, ალ ლარტყ შუნ ლონხთია (ბზ., იქვე, 60) „როდესაც თენგიზი ლეჩხუმში წასულა, ეს ქამარი თან წაუღია („როდესაც თენგიზ-ი ლეჩხუმ-ის-კენ წასულა, ეს სა-რტყ-ელ-ი ხელთ წაუღია“)“

**შომასი** ხოჩერება ესამა ხულუაბ ლეზტბორა, მახა ლგდვარუს ქა ხოგემხ კოტროლ ტაბგოლს ნაფანდუნდ (ლშხ., იქვე, 242) „როდესაც კარგი საჭმელი აქვთ, ახალ მიცვალებულებს პატარა საკურთხის დაუდგამენ ხოლმე („როდესაც კარგეულობა თუ რაიმე აქვთ საჭმელები, ახალ და-მე-დგ-რ-ილ-ებ-ს გა-უ-დგ-ამ-ენ პატარა ტაბლ-უკა-ს და-სა-ფენ-ად“)“

შესაწირს **ერტუნი** ვიდე, ხტუედი საროსტას (ლნტ., იქვე, 295) „შესაწირს ვინც მოიტანს, აძლევს მლოცველს“ ...

ქართულის მსგავსად სვანურშიც გვხვდება შემთხვევები, როცა დამოკიდებულ წინადადებას კავშირი აკლია, ხოლო მთავარს — საკორელაცია. მაგ.:

სერ ამანლო ალ უქმი მუკუმას მამა ხაყლუნდა, ქა ლუხტუნუნ ხნდა თხუმ (ლშხ., იქვე, 244) „ამის მერე უკვე ამ უქმის გამტეხს არ ეშინოდა **‘იმიტომ’**, **‘რომ’** ცოდვა მონანიებული ჰქონდა („მეტი ანის მერე ამ უქმ-ი გამტეხს არ ეშინოდა, მონანიებული ჰქონდა თავი“)“

ბესი დედტორიანს დეშმა ხაყერხ, ჟახყალუნდაბ ბესი დედტორიანაშდ (ლშხ., იქვე, 249) „ბესი დევდარიანს ვერაფერი უქნეს **‘იმიტომ’**, **‘რომ’** შეეშინდათ ბესი დევდარიანის („ბეს-ი დევდარ-იან-ს ვერარა დამართეს, შეეშინდათ ბეს-ი დევდარ-იან-ის-ად“)“

დემ გუფუშმდებ, ხტაფ ოხხურიელანდ (ლშხ., იქვე, 260) „არ გვიშვებენ **‘იმიტომ’**, **‘რომ’** ბევრი მოგვროვდით“

გუჩინდ გულ ონტუადდ, ნანდტილდ ხორაელაფ ლი (ლშხ., იქვე, 261) „გვიან მივხვდით **‘იმას’**, **‘რომ’** ნამდვილად ხორველა იყო („გვიან-ად გულ-ად მოვედით, **ნამდვილ-ად ხორველა** არის“)“

ლახტუნ მარჯილი ლილჷი ჩიის მდ ხოხალ, მერბენაირ ლილაჯი ხაკუ (ლნტ., იქვე, 301) „მთის მარხილის შეკვრა ყველამ არ იცის **‘იმიტომ’**, **‘რომ’** სხვანაირი შეკვრა უნდა („მთის **მარხილ-ის** შეკვრა ყველას არ იცის, მე-ორ-ე-ნა-ირ-ი შეკვრა ე-ნუკვ-ის“)“

ალ დინეცად ხოლამდ ხხელნენა მიჩა გეზალუთაღს, მად ხაკუტედა ეჯმინცაზენ ლირდე (ლნტ., იქვე, 315) „ეს დედინაცვალი ცუდად ექცეოდა თურმე თავის გერს **«იმიტომ»**, **«რომ»** არ უნდოდა მათთან ყოფნა („ეს **დე-დ-ი-ნა-ცვ-ა-ლ-ი** ცუდად ნაქცევა მის შვილ უცნობს, არ სდომებია იმათთან ყოფნა“)“

ეჯმინს ხომკუტრხ ლოქ, ტიტუელაღ ლოქ ლიხ (ლნტ., იქვე, 315) „მათ სრცხვენიათ **«იმიტომ»**, **«რომ»** შიშვლები არიანო („მათ სრცხვენიათო, **ტიტვლ-ებ-ი-ო** არიან“)“

ერბო ლისყი მამ ხაზნახ, ერბო ქა ლგბირ თაშ მამ ხასაძახ (ჩოლ.) „ერბოს გაკეთება არ სჩვევიათ **«იმიტომ»**, **«რომ»** ერბო გამოცლილი ყველი არ მოსწონთ (**«ერბო-ს** კეთება არ სჩვევიათ, **ერბო** გა-მო-ბრ-ილ-ი ყველი არ **სიამოვნ-ებ-თ**)“

კუმში ნაძიენს ხელკიხ კუმაშ, იბნეხ ლაგუანია კალიბ ლიბლულის (ჩოლ.) „საქონლის დანაკლავს **«რომ»** წააწყდება საქონელი, **«მამინ»** იწყებენ გასვენების ნაირ ბლავილს (**«კუმაშ-ი-ს»** ნაკლავს აწყდებიან **კუმაშ-ი**, იწყებენ სატირლის **ყალიბ ბლავ-ილ-ს**)“ და მისთ.

ამრიგად, როგორც სვანურ დიალექტოლოგიურ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, გავრცელების თვალსაზრისით, უკავშირო ქვეწყობილი წინადადებები ყველაზე უფრო მეტად დამახასიათებელია ზემოსვანური დიალექტებისათვის, ქვემოსვანურ დიალექტებში კი იშვიათად დასტურდება. სხვაობაა ინტონაციის თვალსაზრისითაც: უკავშირო წინადადებებში ინტონაცია ყველაზე უფრო მეტად გამოკვეთილია ზემოსვანურ დიალექტებში, განსაკუთრებით კი ბალსქვემოურში (იშვიათად, მაგრამ მაინც ბალსზემოურშიც), რომელიც აშკარად გვავარძნობინებს კავშირის ან საკავშირებელი სიტყვის კომპენსირებას სვანურის სხვა დიალექტებთან შედარებით.

უკავშირო ჰიპოტაქსზე მსჯელობისას ძირითადი აქცენტი, ცხადია, გაკეთდა ზემოსვანურ დიალექტებზე, ვინაიდან ქვემოსვანურ დიალექტებში, და მათ შორის ჩოლურულშიც, როგორც მრავალგზის ითქვა, უკავშირო დამოკიდებული წინადადება იშვიათად დასტურდება, რაც იმით ავსენით, რომ ქვემოსვანური დიალექტები, ზემოსვანურისგან განსხვავებით, გამოტოვებული კავშირის ინტონაციით კომპენსირებას ვერ ახერხებენ.

ვინაიდან სვანური ენის ქვეწყობილ წინადადებებში, ძირითადად, გამოყენებულია მაქვემდებარებელი კავშირები (ვიდრე მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიშედები) **ერე** „რომ“ (რომელიც თითქმის თანაბარი სიხშირით გვხვდება როგორც სახელით გამოხატული წევრების, ისე შემასმენლის ამხსნელ წინადადებათა ყველა ტიპში) და **ლახ** „რომ, თუ“, ამიტომ სწორედ აღნიშნული კავშირები იგულისხმება და აღდგება უკავშირო ჰიპოტაქსურ წინადადებებში; უფრო ხშირად **ერე** „რომ“ კავშირი, იშვიათად, მაგრამ მაინც **ლახ** „რომ, თუ“ კავშირი.

უნდა ითქვას ისიც, რომ ქვემოსვანურ დიალექტებში კავშირიანი დამოკიდებული იმდენად ჭარბობს უკავშიროს, რომ ხშირ შემთხვევაში ერთდროულად გვხვდება ორი კავშირი, ან წევრ-კავშირი და კავშირი (მაგ.: **ხედუჭა ერე** „რომელიც რომ“, **შომას ერე** „როდესაც რომ“ და ა. შ.). კავშირთა ასეთი თავმოყრა და-

დასტურდა ზემოსვანურ დიალექტებშიც, თუმცა არა ისეთი სიხშირით, როგორც ქვემოსვანურში.

განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვემოსვანურის უკავშირო ქვეწყობილ წინადადებებში თითქმის ისეთივე ვითარებაა, როგორიც სხვა ქართველურ ენებში, რასაც ვერ ვიტყვით ზემოსვანურ დიალექტებზე, რომლებმაც, ქვემოსვანურისგან განსხვავებით, დამოკიდებულ წინადადებათა განვითარების უფრო ადრინდელი საფეხური შემოინახეს, ვინაიდან ცნობილია, რომ „ასინდეტური შეერთება უფრო ადრინდელი საფეხურია და უსწრებს კავშირიანს“ (ახალაია 2012: 70).

### ლიტერატურა

**აბესაძე** 1963 — ნ. აბესაძე, რომ კავშირი ქართველურ ენებში, თსუ შრომები, ტ. 96.

**ახალაია** 2012 — ვ. ახალაია, თბილისი.

**ბასილაია** 1974 — ნ. ბასილაია, უკავშირო რთული წინადადება, თბილისი.

**NATO SHAVRESHIANI, MEDEA SAGLIANI**

## **Towards an asyndetic subordinate clause in Svan**

### S u m m a r y

The paper discusses about an asyndetic subordinate clause in Svan. As an observation on a Svan dialectal material revealed, from the spreading standpoint, asyndetic subordinate clauses are more characteristic of Upper Svan dialects, in Lower Svan dialects they are rarely attested. There is difference from intonation aspect: in asyndetic sentences an intonation is more prevalent in the Upper Svan dialects - especially in Lower Bal (rarely but still in Upper Bal), that comparing to other Svan dialects obviously reveals the compensating of a conjunction and a conjunctive word.

For subordinating conjunctions (rather than relative pronouns and relative adverbs) *ere* ‘that’ (which occurs in all types of the members expressed by a noun as well as sentences explaining a predicate) and *lax* ‘that, if’ are basically used with equal frequency in Svan subordinate clauses. Just therefore aforesaid conjunctions are implied and will be reconstructed in asyndetic hypotactic clauses - more often *ere* ‘that’ conjunction, rarely but still *lax* ‘that, if’ conjunction.

ირინე ჩაჩანიძე

**მსოფლიოს ენები XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე:  
ხედვა საქართველოდან  
(იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ მიხედვით)**

ქართულ ენას თავისი არსებობის მანძილზე მრავალგზისი შეხება ჰქონია სხვადასხვა წარმომავლობისა და სტრუქტურის ენებთან. კონტაქტების ხანგრძლივობა და ინტენსივობა განპირობებულია ისტორიულ — პოლიტიკური, გეოგრაფიული და სხვა ფაქტორებით. ამგვარი კონტაქტები განსაკუთრებით ინტენსიურია ერთ ტერიტორიაზე თანაარსებობის პირობებში და ენათა შორის ურთიერთგავლენის საფუძველი ხდება. მათი შესწავლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ და არა იმდენად კონტაქტში მყოფი ენების თავისებურებათა თვალსაზრისით, არამედ სოციოლინგვისტური თვალსაზრისიდან. (ქართული ენა 2008: 409).

ქართველი სახელმწიფო მოღვაწის, განმანათლებელ — ენციკლოპედისტის, მწერლის, მეცნიერისა და ლექსიკოგრაფის იოანე ბატონიშვილის მოღვაწეობის ერთ-ერთი საუკეთესო ნაყოფია „ხუმარსწავლა“ („კალმასობა“). თხზულება საკმაო სისრულით ასახავს საქართველოში მეცნიერული ცოდნის დონეს XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე.

„კალმასობა“ ენციკლოპედიური ტიპის ნაშრომია. აქ მეტნაკლები სრულყოფილებითაა წარმოდგენილი ცნობები საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თითქმის ყველა დარგიდან. ჩვენთვის განსაკუთრებით ფასეულია საენათმეცნიერო ხასიათის ინფორმაცია. გარდა იმისა, რომ ავტორი საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს ქართული „ღრამმატიკის“ საკითხებს, იგი ცალკე თავს უძღვნის მსოფლიოში არსებული სხვადასხვა ენის დახასიათებას („ენებთათვის“). „სადმართო წერილისაგან უწყებულ არს ჩუჴნდა, რომელ დროსა ბაბილოვანის გოდლის შენობისასა, ღმერთმან შეურიგნა ენანი კაცთა და მუნიდგან იშვა უდიდესი სიმრავლე სხუათა და სხუათა ენებთა“ (იოანე ბატონიშვილი 1990: 497 — 504). აღსანიშნავია, რომ ხსენებულ თავში ავტორი ფაქტობრივ ამ ენათა სოციოლინგვისტურ განზომილებებს გვაწვდის, რაც, რასაკვირველია, უაღრესად ფასეულ ინფორმაციას წარმოადგენს.

რომელიმე ენობრივი სიტუაციის აღწერის დროს, როგორც წესი, ყურადღება ექცევა ამ სიტუაციის ფარგლებში მოქცეული ენების როგორც სოციო-

ლინგვისტურ, ისე საზოგადოებრივ — პოლიტიკურ მახასიათებლებს. თანამედროვე სოციოლინგვისტიკურ გამოკვლევებში, რომლებიც ენობრივი სიტუაციის პრობლემს ეხება, გამოკვეთილია ამ მნიშვნელოვანი ფენომენის აღწერისას გამოყენებული სამი ტიპის მიდგომა: 1) რაოდენობრივი (კვანტიტატიური), 2) შეფასებითი (აქსიოლოგიური), 3) თვისებრივი (კვანტიტატიური) (ლელ 2002: 616).

შეფასებითი ანუ ესტიმაციური მიდგომა გულისხმობს იმ ნიშან-თვისებათა გამოვლენა-წარმოჩენას, რომლებიც იდიომთა შინაგანი და გარეგანი შეფასებიდან გამომდინარეობს. ენა ფასდება თავისი ძირძველი მომხმარებლებისა და სხვა ენებზე მოლაპარაკეების მიერ მისი საკომუნიკაციო გამოსადეგობის თვალსაზრისით, ესთეტიკური, კულტურული, პოლიტიკური პრესტიჟულობის ჭრილში და ა. შ.

ენობრივი სიტუაციის თვისებრივ ნიშნებად მიიჩნევა შემდეგი: ენობრივ სიტუაციაში შემავალი იდიომების ენობრივი ხასიათი — ერთი ენის სახესხვაობებია თუ სხვადასხვა ენები; იდიომებს შორის არსებული სტრუქტურულ-გენეტიკური მიმართება: მსგავსი, მონათესავე (იგულისხმება ძალიან ახლო ნათესაობა), არამსგავსი, არამონათესავე; იდიომთა ფუნქციური თანაბარმნიშვნელობა — არათანაბარმნიშვნელობა; სახელმწიფო მასშტაბით გაბატონებული იდიომის (მეტალექტის) ხასიათი — ადგილობრივია თუ „იმპორტირებული“ (კომლევი 1981: 96).

ნიშანდობლივია, რომ იოანე ბატონიშვილთან წარმოდგენილია ენათა თვისებრივი და შეფასებითი მახასიათებლები (ჩაჩანიძე 2006: 69), რომლებიც სქემის სახითაა წარმოდგენილი:

<p style="text-align: center;"><b>ენა</b></p> <p style="text-align: center;"><b>ქართული</b></p>	<p style="text-align: center;"><b>აქსიოლოგიური და ფუნქციონალური მახასიათებლები</b></p>
<p style="text-align: center;"><b>ბერძნული ანუ ელინური</b></p>	<p>„...უძველესი და ვრცელი“;</p> <p>„...ქებულია მეჯლიშსა, ლხინსა, ხუმრობასა და ზმასა შინა“.</p> <hr/> <p>„უძველესი და ვრცელი“;</p> <p>„ძველთა დროთა შინა უკუშ უფრორე განკაზმულ სხუათა ენებთა ზედა და განვრცელებულ ხმარებულებისამებრ თვისისა...შესაძლებელ არს აღრიცხვად უფროს უძველეს ენისა ბერძნულისა“;</p> <p>„...უფრორე მიუცილებლად არს საჭირო კაცთათჳს მოსწავლეთა ჰსწავლასათა. ეგრეთვე მათთჳსაც, რომელნიცა სამღვდელოდ აღიზრდებიან და ესსახედვე მოძრვართადმიცა სკოლისა-</p>

<p><b>ლათინური, რომაული ანუ ლათინთა ენა</b></p> <p><b>ებრაული</b></p> <p><b>სომხური</b></p>	<p>თა“; „ახლი უკუშ ალექმად იყო აღწერილ ელი- ნურსა, ანუ ბერძულსა ზედა. და ამის გამო სა- თანადო არს ჰსწავლად, რომელთაცა ნებაგსთ სრულიად შეემცნება და მიწოთმა საღმრთოთა წერილებითა.“ „საღმრთოთა და სამოქალაქოთა საქმეთა შინა და სწავლათათჳს;“ „ქებულია სიბრძნესა და სწავლასა შინა“.</p> <p>„...უძველესი და ვრცელი“; „ძველთა დროთა შინა უკუშ უფრორე განკაზ- მულ სხუათა ენებთა ზედა და განვრცელებულ ხმარებულეებისამებრ თჳსისა...შესაძლებელ არს აღრიცხვად უფროს უძველეს ენისა რომაულისა, ანუ ლათინთა;“ „...უფრორე მიუცილებლად არს საჭირო კაც- თათჳს მოსწავლეთა ჰსწავლასათა. ეგრეთვე მათთჳსაც, რომელნიცა სამღვდელოდ აღიზრდე- ბიან და ესსახედვე მოძრვართადმიცა სკოლისათა“; „ქებულია სიბრძნესა და სწავლასა შინა“.</p> <p>„ძველთა დროთა შინა უკუშ უფრორე განკაზ- მულ სხუათა ენებთა ზედა და განვრცელებულ ხმარებულეებისამებრ თჳსისა...შესაძლებელ არს აღრიცხვად უფროს უძველეს ენისა ებრაულისა;“ „უფრო უძველეს და უპირველეს ყოველთა ზე- და არს ებრაული, რომელსა ზედა უბნობდიან იუდიანნი და რომელსა ზედაცა დაიწერნენ სა- ღმრთო წერილნი ძველისა ალექმისანი“.</p> <p>„... დროსა ეგვიპტის მეფის პტოლემეოს წილა- დელქისათა, სამეოცდაათორმეტთა მთარგვენლ- თაგან ითარგმნა წიგნი ესე ებრაულის ენიდგან ბერძულად ბრძანებითა მისვე ჯელმწიფისათა, რომელსა ეწოდების სახელად შესაქმე, ანუ და- ბადება, წიგნსა ამას მოსესაგან აღწერილსა. ხო- ლო ითარგმნა წიგნი ესე უწინარეს სამასითა წლითა მობადმდე იესო ქრისტესა.“</p> <p>„...უძველესი და ვრცელი“; „...ქებულია ჩარჩობასა და სანახვესა ზედა.“</p>
<p><b>ჯილათაის ენა</b></p>	<p>„...უძველესი და ვრცელი“;</p>



<p><b>სპარსული</b></p>	<p>„...უძველესი და ვრცელი“;                  „სპარსული მუსაიფობასა და ალერსსიტყუაობასა შინა და ლექსებშიაც ქებულია და ტკბილი სასმენლად“;</p>
<p><b>არაბული</b></p>	<p>„ძველთა დროთა შინა უკუც უფრორე განკაზმულ სხუათა ენებთა ზედა და განვრცელებულ ხმარებულეებისამებრ თვისისა...შესაძლებელ არს აღრიცხვად უფროს უძველეს ენისა არაბულისა“;                  „სიბრძნესა და ცოდნასა შინა ქებული.“</p> <p>„თათრული ენაჲ ფრიად საჭირო არს მოგზაურთა კაცებთა, ელჩებთა და ვაჭრებთათჳს, მით რამეთუ ამა ორისა მცოდნენი შემძლებელ არიან ყოველსა ქუწყანასა ზედა სვლად. ამისთჳს რომელ მთლად აზიასა შინა ყოველგან მოიპოვების მცოდნეჲ თათრულისა ენისა...“                  „ქებულია ბრძოლასა ანუ ომსა შინა.“</p>
<p><b>ქრანციცული</b></p>	<p>„...უძველესი და ვრცელი“;                  „ფრიად საჭირო არს მოგზაურთა კაცებთა, ელჩებთა და ვაჭრებთათჳს, მით რამეთუ ამა ორისა მცოდნენი შემძლებელ არიან ყოველსა ქუწყანასა ზედა სვლად. ამისთჳს რომელ მთლად ევროპიასა შინა ყოველსა ადგილსა იპოვებინ მცოდნენი ქრანციცულისა ენისანი. და სხუათა და სხუათა წერილთა ამისა ენისაგან შეიძინებსა მრავალსა გუარსა ჰსწავლასა და გელოვნებასა“;                  „ქებულია მუსაიფობასა და ალერსსა შინა.“</p>
<p><b>იტალიანური</b></p>	<p>„...უძველესი და ვრცელი“;                  „ქებულია სიმღერასა და ლხინსა შინა.“</p>
<p><b>რუსული — სლავენური</b></p>	<p>„...უძველესი და ვრცელი“;                  „ქებულია სირაჯხანასა და ხარჩევენებსა შინა.“</p>
<p><b>ნემეცური</b></p>	<p>„...უძველესი და ვრცელი“;                  „უფრორე საჭირო არს მათთჳს, რომელნიცა მესურნე არიან ჰსწავლად და წარკითხვად ძველთა ქმნილებათა და გელოვნებათა. აგრეთვე საჭილოსოფოსთა სწავლათა, ისტორიათა, მათემატიკათა, პოეზიათა, ზღუაში მცურვალობათა</p>

	<p>და საზოგადოდ ყოველთაღმე ჰსწავლათა და ხელოვნებათათჳს.“ „ნემეცური ქებულია ბრძოლასა შინა.“</p>
<b>ანგლიური</b>	<p>„...უძველესი და გრცელი“; „უფრორე საჭირო არს მათთჳს, რომელნიცა მესურნე არიან ჰსწავლად და წარკითხვად ძველთა ქმნილებათა და ველოვნებათა. აგრეთვე საჭილოსოფოსთა სწავლათა, ისტორიათა, მათემატიკათა, პოეზიათა, ზღუაში მცურვალობათა და საზოგადოდ ყოველთაღმე ჰსწავლათა და ხელოვნებათათჳს.“</p>
<b>ღიშპანიური</b>	<p>„...უძველესი და გრცელი“; „ღიშპანიური ქებულია სიბრიყვესა შინა.“</p>
<b>ენა ჩინეთისა</b>	<p>„...უფროს უძნელეს არს ჰსწავლად სხუათა ენათა ზედა. იგინი ხმარობენ მხოლოდ სამას ოცდათხუთმეტსა ლექსსა, იგი ყოველნი არიან ერთსიტყობითნი ანუ თვთო სიტყუანი, გარნა თვთეული ლექსი მათგანი იპყრობს ხუთ — ხუთთა სხუადასხუაგუართა ხმათა ანუ მნიშვნელობათა, რომლისა გამო თვთეული უკუშ ლექსი მნიშვნელობს ხუთთა სხუადასხუა საგანთა და ეესახედ შეადრგენს ესე ათას ექუსას სამეოცდაათუთხმეტსა ლექსსა თუ სიტყვასა. ხოლო ჩინელნი გამოხატულ ჰყოფენ ლექსებითა ამით სხუადასხუაგუარ მნიშვნელობითა უბნობათა ანუ წერათა შინა, რომელნიცა არიან ესეგუარად შენიშნულნი ლექსნი იგი ანუ ანბანი, რომელ რიცხვით შედრგინებულ ყოფს უფროს ოთხმოცი ათასისა ლექსსა. და ამა მიზეზისა გამო ენისა მათისა ჰსწავლად უძნელეს არს სხუათა ყოველთა ენებთა ჰსწავლათა ზედა.“</p>

თხულების მიხედვით, საინტერესოა იოანე ბაგრატიონის მსჯელობა დამწერლობის შესახებ. თუ ვინ შექმნა პირველი ანბანი, ავტორი ეყრდნობა ლეგენდას და შემდეგნაირად განმარტავს მას: „მოპოებისა მათსა მიაწერენ თვთ ღმერთსა, რომელმანცა მისცა მოსეს ათი მცნებად დაწერილნი ორთა ფიცართა ზედა. ხოლო შემდგომად კადმამ, ძემან აღენორისა მეფისამ წინიკიისამამ, მოიტანა ასონი წინიკიილგან საბერძნეთსა შინა, მახლობელ ათას ხუთას ათცხრა-

მეტსა წელსა შინა უწინარეს შობისა ქრისტესისა. ხოლო ამა ასოთა მოტანის მიზეზისათვის დაუწერია ლექსი ესე პატივისათვის კადმოსს უფალმან ბრებეჭმან:

ჩუჴნ ვართ აწ ვალდებულნი, რა გიძღვნათ ჳელოვნებითა  
ენისა განხატებისთვის და კარგად საუბრობითა.

საინტერესოა წყარო, რომელსაც ავტორი იყენებს ძველბერძნული მითოლოგიიდან: ფინიკიის მეფის აღენორის ძემ, კადმოსმა პირველად ჩამოიტანა საბერძნეთში ფინიკიური ანბანი, რომელსაც აღნიშნული ღვაწლისათვის ღვთაების პატივი მიაკუთვნეს.

ასევე საგულისხმოა ავტორისეული შეხედულება მსოფლიოში არსებული ანბანების ასო-ნიშანთა ანუ გრაფემების რიგითი სათვალავის თაობაზე: „ქართულისა ენისა ირიცხებიან ასონი ვიდრე ორმოცადმდე; არაბთა — ოცდაცხრა, ხოლო სპარსთა და თათართა — ოცდაცამეტი, სომეხთა — ესდენი, რუსთა — ოცდათუთხმეტი, ლათინთა და სხვათა ევროპიელთა — ოცდაოთხი, ბერძენთა... ინდოელთა, ებრაელთა... ხოლო ჩინელთა არა აქუთ რიცხვი, ვინაჲდგან ყოველი წერაჲ მათ თითო სიტყვაჲ აქუთ თითოს ასოთი.“

გარდა ამისა, ავტორი თხზულების მცირე მოცულობის თავში „წერისათვის“ ყურადღებას ამახვილებს სხვადასხვა დამწერლობის წერის მიმართულეობაზე: „ურიანი, არაბნი, სპარსნი და სხუანი აზიელნი ჰსწერენ მარჯვენეს მხარიდგან მარცხენისადმი (ანუ უკუდმა). ჩინელნი ჰსწერენ ზევიდგან ქვევით, ტრიქონ — ტრიქონად დაყოფით“.

იოანე ბატონიშვილის ცნობები მნიშვნელოვან და ფასდაუდებელი ენათმეცნიერული ხასიათის ნაშრომს წარმოადგენს. როგორც ისტორიული წყარო, იგი მოითხოვს კრიტიკულ მიდგომას და ამავე დროს იმ ინტერესებისა და მიზნების გათვალისწინებას, რასაც ემსახურებოდა ავტორი.

შეიძლება ითქვას, რომ იოანე ბატონიშვილის ნაშრომი შეიცავს უაღრესად საინტერესო მასალას მსოფლიო ენებისა და დამწერლობების შესახებ. თხზულების ღირსებად მიჩნეულია ის, რომ გარდა პირადი დაკვირვების საფუძველზე გამოყენებული მასალისა, იგი სხვადასხვა სახის წყაროებზე დაყრდნობით, უხვად სარგებლობს წინამორბედთა ლინგვისტური მონაცემებით. ბუნებრივია, მისი ნაშრომი არ არის დაზღვეული ენათმეცნიერული უზუსტობებისაგან, მაგრამ ყოველივე ეს სრულებითაც არ ამცირებს ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებასა და მნიშვნელობას.

იოანე ბატონიშვილის მიერ წარმოდგენილი ცნობები უფრო მეტად ფასეულია იმდროინდელი კავკასიის ეთნოლინგვისტური სიტუაციის რეკონსტრუქციისათვის ისტორიული და ფაქტოლოგიური თვალსაზრისით, აქედან გამომდინარე, აღნიშნული ცნობები გამოიყენება როგორც ღიაქრონიული სოციოლინგვისტიკის ობიექტი.

### ლიტერატურა

- იოანე ბატონიშვილი 1990** — იოანე ბატონიშვილი, ხუმარსწავლა, თბილისი.
- კომლევეი 1981** — Комлев Н. Г. Лингвистическая аксиология. Постановка проблемы. В кн.: Теоретические проблемы социальной лингвистики. Москва.
- ლელ 2002** — Лингвистический энциклопедический словарь. Большая Российская энциклопедия, Москва.
- ქართული ენა 2008** — ქართული ენა, ენციკლოპედია, თბილისი.
- ჩაჩანიძე 2006** — ი. ჩაჩანიძე, ენათა სოციოლინგვისტური მახასიათებლები იოანე ბატონიშვილის „ხუმარსწავლაში“, არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XVII, მასალები, თბილისი.

IRINE CHACHANIDZE

## Languages of the World at the Turn of the 18<sup>th</sup> and 19<sup>th</sup> Centuries a View from Georgia

### S u m m a r y

"Kalmasoba" is one of the best works from the creative heritage of Georgian government official, educator, encyclopedist, writer, scientist and lexicographer \_ Ioane Batonishvili. A didactic novel almost completely reflects the level of scientific knowledge between XVIII-XIX centuries in Georgia.

"Kalmasoba" is a scientific work of encyclopedic type. The information presented in the book concerning almost every field of natural science and humanities is more or less complete. Language-related information is especially valuable for us. Apart from the fact that the author pays much attention to grammatical issues of Georgian language, in a separate chapter he gives descriptions of various languages existing in the world. It should be noted that in this chapter the author provides socio-linguistic dimensions of the Georgian, Greek, Latin, Hebrew, Arabic, Persian, Russian, German, English, Spanish, Armenian, Tatar, Italian, Chinese languages which undoubtedly is very valuable information.

When describing any language situation, as a rule, attention is paid to both sociolinguistic and socio-political characteristics of the languages within the given situation. In modern sociolinguistic studies which deal with the problems of the language situation, three types of approaches describing this important phenomenon can be marked out 1) quantitative, 2) evaluative (axiological), 3) qualitative.

It should be noted that Ioane Batonishvili presents quantitative and axiological characteristics of the languages in the form of a diagram.

The paper also discusses the issues concerning Georgian writing system and other written languages of the world that are presented by the author in his novel.

როენა ქკადუა

**მრავალგზისობის ფორმობრივი გამონატვა  
და ძირითადი ფუნქციები სვანურში**

მოქმედების მრავალგზისობა (განმეორებადი მოქმედება) სხვადასხვაგვარად არის გადმოცემული ქართველურ ენებში. მიუხედავად იმისა, რომ ძველ ქართულში მრავალგზისობა ორგანულად გამოიხატებოდა, ანუ მრავალგზისობისათვის „...ძველად საგანგებო მწკრივი იყო, ...ცოცხალ კილოთა უმეტესობამ და სალიტერატურო ქართულმა ეს ფორმები დაკარგა, სამაგიეროდ მათი გამონატვა უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ ხოლმეობითის მწკრივს დააკისრა“ (ა. შანიძე).<sup>1</sup>

მეგრულში, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ხოლმეობითს მრავალგზისობის გაგება დაკარგული აქვს და იგი პირობითის ფუძესთან არის გაიგივებული.

სვანურში მრავალგზისობა მორფოლოგიურად არის მატერიალიზებული გარკვეულ ფორმანტთა მეშვეობით. **-წლ...**, **-იწლ...**, **-გრ...** და სხვა მორფემები თავიანთ ალომორფებთან ერთად მრავალგზისობის გამონატვის სპეციფიკურ სურათს ქმნიან ამ ენაში.

მაშინ, როდესაც თანამედროვე ქართულში ერთგზისობა-მრავალგზისობის ორგანულად გამონატვის ბინარული სისტემა მოშლილია და აღწერითი წარმოების პრინციპზეა გადასული, სვანური ზმნის უღლებაში ერთგზისობა-მრავალგზისობის ფორმობრივი-ფუნქციური წყვილი გარკვეულ სისტემას ქმნის. მაგ.:

ა რ ა ფ უ ძ ე დ რ ე კ ა დ ი ზ მ ნ ე ბ ი

**ა-ბ-ანდ-ე — ა-ბ-ანდ-წლ-ი** „კერავს, კემსავს“<sup>2</sup>

**ა-კჷც-ან-ი — ა-კჷც-ან-წლ-ი** „წმენდს“, „ასუფთავებს“

**ა-ფთხ-გნ-ე — ა-ფთხ-გნ-წლ-ი** „ფერთხავს“

<sup>1</sup> მოქმედების მრავალგზისობის გამონატვა ძველსა და ახალ ქართულში, საკითხის ისტორიითა და ფორმობრივი-ფუნქციური ანალიზით განხილული აქვს გ. გოგოლაშვილს თავის წიგნში „ქართული ზმნა“, 2010, 423-453.

<sup>2</sup> ქართულ თარგმანში (განსაკუთრებით კონტექსტის გარეშე) სათანადოდ ვერ გამოიხატება გზისობის მიხედვით განსხვავება.

**ა-შხტ-ი — ა-შხტ-ან-იჲლ-ი** „წნავს“  
**ა-შუჲდ-ი — ა-შუჲდ-იჲლ-ი** „რეცხავს“.

ფ უ ძ ე დ რ ე კ ა დ ე ბ ი

**თხირ-ე** „ხვრეტს“ — **ა-თხრ-გლ-ე** „და<sup>ა</sup>ჩვრეტს“  
**კუიშ-ე** „ტეხს“ — **ა-კუშ-ჲრ-ე** „ამტვრევს“  
**ხუტ-ე** „ჭრის“ — **ა-ხუტ-ჲრ-ე** „და<sup>ა</sup>ჭრის“ (ნაჭრებად)  
**ცილ-ე** „ხეგს“ — **ა-ცლ-გრ-ე** „და<sup>ა</sup>გლეჯს“ და ა. შ.

ქართულში მრავალგზისობის გაგება დაკავშირებულია ხოლმეობითობასთან. მაგალითად, ძველი ქართულისათვის, სერიების მიხედვით, მრავალგზისობის გამომხატველი ხოლმეობითის სამი მწკრივი სახელდება: **I** ხოლმეობითი, **II** ხოლმეობითი, **III** ხოლმეობითი. სვანური კი, როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს „...ხოლმეობითს არ იცნობს“ (ჩიქობავა 1948: 102), თუმცა შემდგომი მსჯელობისას მკვლევარი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ხოლმეობითი სვანურის **-ი** სუფიქსიან ზმნებში უნდა იყოს დაცული. ფაქტია, რომ დღევანდელ სვანურში აღნიშნული მწკრივი არ გამოიყოფა და არც ნაწილაკ „ხოლმე“-ს გრამატიკული ეკვივალენტი დასტურდება, თუმცა ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის მეშვეობით შესაბამის კონტექსტში შესაძლებელია იტერატიული მნიშვნელობის გადმოცემა.

აღნიშნული საკითხი დამატებით კვლევას რომ საჭიროებს, კარგად ჩანს ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანური ლექსიკონის“ წინასიტყვაობიდან, რომელშიც ი. ჩანტლაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მრავალგზისობის კატეგორიისა და ობიექტის სიმრავლის გამომხატველი [**-წლ, -წლ || -იჲლი (-იჲლწლი), -გრ (-გრწლი)**] მორფემები „...ვ. თოფურიას მიხედვით მოქმედების ჩვეულებრივობასაც (აქტიურ ზმნათაგან საშუალ-ვნებითა წარმოების დროს) გადმოგვცემს, (იხ. „სვანური ენა, I, ზმნა“, გვ. 231-232), ამიტომაც გაგვიჭირდა ზღვრის გავლება და შესაბამისი შემოკლებისათვის (**ხლმ.**) ზუსტი ფუნქციის მინიჭება“ (ჩანტლაძე 2000: 9).

აღნიშნულ ლექსიკონში ეს ფორმანტები განმარტებულია, ერთი მხრივ, როგორც ხოლმეობითის, მრავალგზისობის, განმეორებული მოქმედებისა და, მეორე მხრივ, ობიექტის სიმრავლის გადმოცემა ინფიქსები, ეს ინფიქსები დაერთვის როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებს. ასეთ გარდამავლებს, როგორც წესი, აუსლაუტში **-ი** ბოლოსართი, გარდაუვალებს კი ნულოვანლომორფიანი დაბოლოება აქვთ. გარდაუვალები რამდენადმე განსხვავებული ფუნქციით ხასიათდებიან.

ზემოაღნიშნულ ინფიქსებს, მათი ფუნქციიდან გამომდინარე, მრავლობითი რიცხვის ნიშნებს უკავშირებენ (თ. შარაძენიძე, ალ. ონიანი...). მართლაც, მათი ძირითადი ფუნქცია ზმნურ ლექსემებში ობიექტის მრავლობითობის გამომხატვაა და ისინი სამსავე სერიის ფორმებში დასტურდება.

- ბზ. **ტაბლენღარს ანყწლი** „ტაბლებს აცხობს“ (ა-ნ-ყ-წლი-ი აწმყ.)  
 ლშხ. **ტაბლეღარ ანნაყწლე** „ტაბლები გამოაცხო“  
 (ა-ნ-ნ-ა-ყ-წლე-ე წყვეტ.)
- ბქ. **ლეშინარს ოხნაყაღა** „სეფისკვერები გამოუცხვია“  
 (ო-ხ-ნ-ა-ყ-აღ-ა თურმ.)
- ლნტ. **ნათხჟარე ათოძიენაღა** „ნადირები დაუხოცავს“  
 (ა-თ-ო-ძ-ი-ენ-აღ-ა თურმ.)
- ბზ. **ბაჩარს აკჟშურე** „ქვებს ამტვრევს“ (ა-კჟშ-ურ-ე აწმყ.)
- ბქ. **კჟარმარს ჩჟ ადკუშურე** „ყინულები დაამტვრია“  
 (ად-კუშ-ურ-ე წყვეტ.)
- ლშხ. **ლეგრელ ოდკუშურა** „კვერცხები დაუმტვრევია“  
 (ოდ-კუშ-ურ-ა თურმ.)
- ლნტ. **საინარ ასოკუშურა** „თემფშები დაუმტვრევია“  
 (ას-ო-კუშ-ურ-ა თურმ.).

ობიექტის სიმრავლის აღმნიშვნელ აფიქსს ზმნაში შეიძლება ნული ჩაენაცვლოს. მაგ.:

ლეტუროლს ატუტრწლი II ლეტუროლს ატუტრე „სანთლებს ანთებს“  
 ლერქუწარს აცბუტრწლი II ლერქუწარს აცბუტრე „ტანსაცმელს 'გა'მოჭრის“  
 ასეთ თავისუფალ მონაცვლეობას ხშირად აქვს ადგილი ბალსქვემოურ დიალექტში. გზისობის მიხედვით დაპირისპირება შედარებით უფრო დაცულია ბალსზემოურსა და ლაშხურში. მაგ.:

ბზ. **ზურაღარს ყარარს ქა ხოდწლღას** „ქალები კარებს დახურავდნენ“,  
 ბქ-ში შეიძლება ჩაენაცვლოს ერთგზისი — **ხოდისგუხს**.

ბზ. მუმგურწარს ჰარაწყს ხუათუწწლღად „სტუმრებს არაყს ვასმევდით“ II  
 ბქ. **ხჟათარად**. ე. ი. იქ სადაც ბალსზემოურში -წლი... -იწლე... ინფიქსიანი ფორმები გვაქვს, ბალსქვემოურში შეიძლება ჩვეულებრივი ერთგზისი ფორმები დადასტურდეს.

როდესაც კონტექსტში -წლი... ინფიქსიან ზმნასთან დაკავშირებული ობიექტი მხოლოდით რიცხვშია (**ლეტუტრეს ატუტრწლი** „სანთელს ანთებს ხოლმე“), მოქმედება მეორდება დროის სხვადასხვა მონაკვეთში. მრავლობით რიცხვში მდგომ ობიექტთან კი მრავალზისის ფორმა პირველ რიგში მიგვიითითებს მოქმედების გამოვლენაზე რამდენიმე საგნის (ამ შემთხვევაში **სანთლის**) მიმართ (თუმცა, ასევე შეიძლება ამ კონტექსტის მიხედვით რამდენიმე სანთელი რამდენჯერმე დაინთოს დროის სხვადასხვა მონაკვეთში). ამგვარი ფუნქციის გამო მრავალზისობას **ხანგამოშვებით** მოქმედებასაც უწოდებენ, რაც კარგად ჩანს ზემოთ მოხმობილ მაგალითებში. დავიმოწმებთ ბ. ჯორბენაძეს, რომელიც აღნიშნავს, რომ „...ნებისმიერი ფორმის ფუნქცია მთელი სისრულით მხოლოდ კონტექსტში ვლინდება“ (ჯორბენაძე 1980: 372).

მოქმედების გამეორება ხშირად გადადის ჩვეულებით მოქმედებაში და ზოგადი აწმყოს მნიშვნელობას იძენს. მაგ.:

**მანდნუანს ჩუ ხუიდიარანლდ, ექჩას წგდმარ კათხანარს აჰუდნლის, უი ხუანჰგარანლიდ ი ჩუ ხუთრედ** (სვ. ქრ. ბზ.) „ცოტას რომ შევენაყრდებით (დავპურდებით), მაშინ მწდეები კათხებს დაარიგებენ, დავილოცებით და დავლევთ“.

**დინოლ ითქს მებად აცერანლი** (ლზხ.) „გოგონა მარცვალს ხშირად ხალავს“.

**ქა ნაფანუნდრე მანგ აჰადალი** (ბქ.) „მოხგნის შემდეგ ყველა ფარცხავს“.

უნდა შევნიშნოთ რომ ქართულშიც „...ხოლმეობითი, როგორც განგრძობითი ასპექტის აღმნიშვნელი, ეთვისება აწმყოს, ე. წ. ზოგად-აწმყოს“ (ჩიქობავა 1948: 126).

სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება გამახვილებულია იტერატივის აღნიშვნაზე არა მხოლოდ დროში, არამედ სივრცეშიც. განსაკუთრებით კარგად ჩანს ეს ფუძედრეკალთა კატეგორიის ზმნებში, სადაც **-გრ** და **-ურ** ინფიქსები ობიექტის ნაწილებად ქცევაზე მიუთითებენ:

<b>კუიშ-ე</b>	„ტეხს“	<b>ა-კუშ-ურ-ე</b>	„ამტვრევს“
<b>ქუიც-ე</b>	„წყვეტს“	<b>ა-ქუც-ურ-ე</b>	„დაჭრის“
<b>თხირ-ე</b>	„ხვრეტს“	<b>ა-თხრ-გლ-ე</b>	„დაზვრეტს“
<b>ჟლიბ-ე</b>	„ჭყლეტს“	<b>ა-ჟლბ-გრ-ე</b>	„დაჭყლეტს“

აღნიშნული კატეგორიის ზმნებს, ისევე როგორც არაფუძედრეკადებს, უღლების სრული პარადიგმა აქვთ, **-ურ...**, **-გრ...** ფორმანტები სამსავე სერიის მწკრივებში გადაწყება. მაგ.

**ბიჭკუ-ე — ა-ბიჭკ-ურ-ე**

- I სერია **ა-ბიჭკ-ურ-ე** „აბობს“
- II სერია **ად-ბიჭკ-ურ-ე** „დააბო“
- III სერია **ოთ-ბიჭკ-ურ-ა** „დაუპია“

**კუიშ-ე — ა-კუშ-ურ-ე**

- I სერია **ა-კუშ-ურ-ე** „ამტვრევს“
- II სერია **ად-კუშ-ურ-ე** „დაამტვრია“
- III სერია **ოთ-კუშ-ურ-ა** „დაუმტვრევია“<sup>1</sup>

მრავალგზისობის სემანტიკა გამოხატულია მასდარებშიც. **ლი-** პრეფიქსი-ანებს სვანურში, კაუზატივისა და გვარის გარდა, გზისობის მიხედვითაც აქვთ საპირისპირო ფორმები, თუმცა როგორც მ. ქალდანი აღნიშნავს „...თარგმანი (მაგ. **ლინვგრე — ლინვგრანლი** „გამოწურვა, გამოცლა“) ვერ ასახავს ამ ფორ-

---

<sup>1</sup> დიალექტებში ამ მხრივ განსხვავებული ვითარება არა გვაქვს, ამიტომ მხოლოდ ბზ-ის ფორმებს მივუთითებთ.



მებს შორის არსებულ სხვაობას, რადგან **ლიწვრე** მოქმედების ერთგზისობაზე მიუთითებს, **ლიწვრწლი** — მრავალგზისობაზე (ქალდანი (2000: 905).

**ლი-** — **წლ...**, **ლი-** — **-იელ...** მოდელის მასდარები თავისებურებას ამჟღავნებენ მნიშვნელობის თვალსაზრისით. კერძოდ, გამოხატავენ მოქმედების მიმდინარეობის გარკვეულ დროს. მაგ.:

- ლი-ჰმ-ე** — **ლი-ჰმ-წლ** „თიბვის დრო“
- ლი-თ-ი** — **ლი-თ-იელ** „მკის დრო“
- ლი-ცხმ-ე** — **ლიცხმ-წლ** „სუფერის აღების დრო“
- ლი-შგ-ი** — **ლი-შგ-წლ-ი** „წველის დრო“ და ა. შ.

განსაკუთრებით რთულ სურათს ქმნის სვანურში მრავალგზისობის გამო-მხატველი მიმღობა. ეს საკითხი ამომწურავად აქვს შესწავლილი თ. შარაძენი-ძეს. მეცნიერი მიმღობთა მრავლობითის ფორმების გარკვევას ზმნებში ობიექტის რიცხვის აღნიშვნას უკავშირებს და დაასკვნის, რომ სვანურში ერთგვარად არის გაფორმებული გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტი და გარდაუვალი ზმნის სუბიექტი. ამავე დროს ერთ მიმღობას, შესაძლებელია, რამდენიმე პარალელური ფორმა ჰქონდეს. რაც ყველაზე საინტერესოა, მიმღობებში და-დასტურებულ რთულ სუფიქსებში, მკვლევარი ცალ-ცალკე გამოყოფს ობიექტისა და სუბიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელ ფორმანტებს (**მგ-მწრ-წლ-ა** „ბევრი ბევრის მომამზადებელი“, **მგ-კდ-წლ-ა** „ბევრი ბევრის მომტანი“). **-წლ-** — ობიექტის სიმრავლის აღმნიშვნელი, **-ა** კი — სუბიექტისა.

დამატებით გვინდა შევნიშნოთ, რომ თანამედროვე სვანურში მრავლობითობის **-ა** სუფიქსს ხშირ შემთხვევაში **-წრ...** ცვლის. მაგ.:

- ბზ. ლშხ. **მგ-შხბ-იელ-ი** „მკერავი“ მგ-შხბ-იელ-ა „მკერავები“
- ბქ. **მგ-შხბ-ელ-ი** — **მგ-შხბ-ელი-წრ**
- ლნტ. **მგ-შხბ-იელ-ი** — **მგ-შხბ-იელ-ი-წრ**
- ბზ. **მგ-შგ-წლ-ი** „მწველავი“ — **მგ-შგ-წლ-ი-არ** „მწველავები“
- ბქ. **მგ-შგ-წლ-ი** — **მგ-შგ-ალ-ა** || **მგ-შგ-წლ-ი-წრ**
- ლშხ. **მგ-შგ-წლ-ი** — **მგ-შგ-ალ-ა**
- ლნტ. **მგ-შგ-ალ-ი** — **მგ-შგ-ალ-ა**

ერთსა და იმავე დიალექტში ზოგჯერ თავისუფლად მონაცვლეობენ ხოლმე **-ა** და **-წრ** ბოლოსართები: ბზ. **მგ-თ-წლ-ი** „გამყოფი“ — **მგ-თ-წლ-ი** || **მგ-თ-წლ-ა-წლ** „გამყოფები“.

მრავალგზისობის ორგანულად გამოხატვის პარალელურად საკმაოდ არის გავრცელებული თანამედროვე სვანურში ამ მნიშვნელობის აღწერითად გადმოცემა.<sup>1</sup> ახალგაზრდების მეტყველებაში იშვიათად გვხვდება ერთგზისი-მრავ-

<sup>1</sup> მრავალგზისობის აღწერითი წარმოებისა და კონტექსტურად გამოხატვის საშუალებების შესწავლა საკმაოდ რთულ საკითხს წარმოადგენს, ვფიქრობთ, მომავალში ამ კუთხით კვლევის გაგრძელებას.

ვალგზისი დაპირისპირების მორფოლოგიური საშუალებებით გადმოცემა, რაც შეგვახსენებს თანამედროვე ქართული ენის მდგომარეობას, როდესაც „...მორფოლოგიური დაპირისპირების ადგილს კონტექსტური განსხვავების კრიტერიუმი იკავებს“ (ჯორბენაძე 1995: 389).

ფუნქციური თვალსაზრისით სხვადასხვა მნიშვნელობებს გულისხმობენ მრავალგზისობის ფორმანტა შემცველი გარდამავალი ზმნები:

1. ობიექტის სიმრავლეს (**ციცი კურბნღარს ხუანყლიდ** (ბზ.) „ცომის ბურთულებს ვაცხოვთ“)

2. მოქმედების გამეორებას როგორც ერთის, ისე ერთზე მეტის მიმართ (**დაბნარს აქადნის** (ლშხ.) „ყანებს ფარცხავენ“, ქორს ადაწყნო (ბქ.) „სახლს ალაგებს“).

3. მოქმედების ჩვეულებითობას (**ნილაშტარს** (II **ნილაშტს**) **ძინარს ხუანყლიდ** (ლნტ.) „თიკნებს (II თიკანს) დილას (დილაობით) 'მო'ვაწოვებთ“)

4. ობიექტის ნაწილებად ქცევას (**ლოლაქ ადგვღვრე** (ბქ.) „ცხვარი დაგლიჯა“).

5. ზოგად აწმყოს (**დეშდილადედ დემ აბანდალის** (ბქ.) „ორშაბათობით არ კერავენ“).

რაც შეეხება გარდაუვალ ზმნებს, მართალია ზოგი მათგანი გამოხატავს განმეორებად მოქმედებას (**ი-ფშედ-იელ** „ტრახახობს“, **ი-კჟინ-იელ** „დახტის“), მაგრამ, ამის გარდა, ისინი მოქმედების დაწყებითობას, სტატიკურობას და სხვა ენობრივ მნიშვნელობებსაც გადმოსცემენ.

### ლიტერატურა

**გოგოლაშვილი 2010** — გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნა, თბილისი.

**ქალდანი 2000** — მ. ქალდანი, ვარლამ თოფურია და სვანური ლექსიკონი (დანართი), „სვანური ლექსიკონი“ (გ. თოფურია, მ. ქალდანი), თბილისი.

**შანიძე 1980** — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი, ტ. III, თბილისი.

**შარაძენიძე 1954** — თ. შარაძენიძე, სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება სვანურში ბალსზემოური კილოს მიხედვით, იკე, VI, თბილისი.

**ჩანტლაძე 2000** — ი. ჩანტლაძე, წინასიტყვაობა ...სვანური ლექსიკონი (გ. თოფურია, მ. ქალდანი) თბილისი.

**ჩიქობავა 1948** — არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბილისი.

**სვანური ენის ქრესტომათია** (ა. შანიძე, მ. ქალდანი, ზ. ჭუმბურიძე), 1978, თბილისი.

**ჯორბენაძე 1995** — ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბილისი.

ROENA CHKADUA

## Form expressing and basic functions of iterativeness

### S u m m a r y

In Svan the iterativeness is expressed morphologically by means of certain formants. In modern Georgian a binary system of organic formation of momentary/iterative action is abandoned. But in Svan such controversy system is confirmed (**a-band-e** – **a-band-ol-i** "She is sewing, darning", **a-šx-an-ieli** "Smb is plaiting smth")...

It is noteworthy that in modern Svan a descriptive narrating of iterative meaning also occurs along with organic formation.

ნინო ხახიაშვილი

**ნუსხვა სიტყვის სემანტიკისათვის**

ქეგლის განმარტებით: „**ნუსხა**<sup>1</sup> 1. იგივეა, რაც სია... 2. იგივეა, რაც ცხრილი. **ნუსხა**<sup>2</sup> კუთხ. (იმერ. გურ.) ჯადო, თილისმა... **ნუსხა**<sup>3</sup> გაკრული ხელით ნაწერი...“ (ქეგლ V, 1956). იქვე: „**ნუსხავს**<sup>1</sup> (აღ<sup>1</sup>ნუსხა, აღ<sup>1</sup>უნუსხავს) რისამე ნუსხას, სიას ადგენს, — აღრიცხავს... **ნუსხავს**<sup>2</sup> კუთხ. (იმერ. გურ.) (აღ<sup>1</sup>ნუსხა, აღ<sup>1</sup>უნუსხავს) ხიბლავს, აჯადოებს“.

ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში **ნუსხვა** განმარტებულია, როგორც „გადმოწერა“, **ნუსხა** „ნაწერი, ეგზემპლარი“.

„**ნუსხა** არაბულიდან შეთვისებული ტერმინია, — აღნიშნავს ივანე ჯავახიშვილი წიგნში „ქართული პალეოგრაფია“, — არაბულადაც **ნუსხაჰ** პირველ ხელნაწერსა და დედანს ნიშნავს, თავდაპირველ ტექსტს. მაგრამ შემდეგ გადანაწერის მნიშვნელობაც ენიჭება და სპარსულში, რომელსაც ეს სიტყვა არაბულიდან აქვს შეთვისებული, **ნუსხა** სწორედ პირსა და გადანაწერს ეწოდება“. აქვე ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ სულხან-საბასთან **ნუსხა** განმარტებულია როგორც „ჩქარად აღწერილი (ჩქარად ნაწერი)“. შემდეგ კი ამ ცნების მნიშვნელობას ხსნის ტერმინ ნუსხა-ხუცურიში: „საბას სიტყვები და განმარტება იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ დამწერლობის ერთი ტერმინის, „**ნუსხა ხუცურის**“ მნიშვნელობის გაგებას გვიადვილებს, იგი **გაკრული ხუცური ხელის სახელი** ყოფილა... გაკრული ხელი, რასაკვირველია, ხუცურიც შეიძლება ყოფილიყო, მხედრულიც. თუმცა მხედრული უფრო მომარჯვებულია სწრაფი, სამდივნო წერისათვის, ამისდა მიუხედავად, თანამედროვე ქართულში ტერმინად განსაკუთრებით **ნუსხა ხუცური** იხმარება, ნუსხა მხედრულს კი არავე ხმარობს, ამასთანავე **ნუსხური** და **ნუსხა-ხუცური** ეხლა იმდენად გაკრული დამწერლობის აღსანიშნავად არ იხმარება, რამდენადაც პატარა ტანის, ოთხხაზოვანი სისტემის დანაწერი ხუცური დამწერლობის გამომხატვლია“, მეცნიერი იქვე მიუთითებს, რომ **ნუსხისაგან** ზმნაც და მოქმედი პირის სახელიც არის ნაწარმოები: „**ნუსხვა** მოქმედებას (წერას) აღნიშნავდა, რომლის აღმსრულებელს „**მნუსხველი**“ ერქვა; **ნუსხვა** ზმნის გარდა **დანუსხვაც** არსებობდა, რომელიც „გადაწერას“ ნიშნავდა. გადამწერისათვის დედნად მიცემულ შავად დაწერილ ტექსტს კი „**დანუსხველი**“ ერქვა (განსხვავებით „კაიხელად დაწერილისა)“ (ჯავახიშვილი 1974: 50).

**დანუსხვილის** გარდა, შავად დაწერილის აღსანიშნავად იხმარებოდა „**ჰავხელად დაწერა**“, „**უცხად წერა**“, აგრეთვე, **ჩხრეკა** და **დაჩხრეკა (მჩხრეკალი** — ცუდად დამწერელი), **ჩხაბვა** და მისგან ნაწარმოები **მჩხაბავი** „ავად მწერალი“.

ცუდი ხელის მქონებელი თავისთვის „**მჩხაბავის**“ სახელს ხმარობდა, თუმცა ამას ხშირად თავმდაბლობით აკეთებდნენ (აგრეთვე, ვისაც თავმდაბლობის გამოჩენა უნდოდა და თავისი დაწერილი საკადრისად არ მიაჩნდა, თავის ნამუშევარს მოიხსენიებდა „**უცხად წერად**“, თავის თავს კი — „**უცხად მწერლად**“, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს). XIII საუკუნიდან ამავე მნიშვნელობით დასტურდება ტერმინი „**მჩხიბავი**“.

XIII საუკუნის ეტრატის კიდეზე არის მინაწერი: „ამისსა **მჩხიბავსა** გაბრიელს შეუდგვენ ღმერთმან“... ეს ეტრატის გრაფილი მოსე ჯანაშვილის მიერაა გამოცემული. ივანე ჯავახიშვილი იმოწმებს ამ ხელნაწერს, თუმცა თვლის, რომ შეცდომაა გაპარული და მას მცირე კომენტარს უკეთებს: „...შეცდომით **მჩხიბავია** დაბეჭდილი, საბა ორბელიანიც ხომ ამბობს „**მჩხაბავი** ავად მწერალი არისო“ (ჯავახიშვილი 1974: 51).

მართლაც, ძველ ქართულში გვაქვს **მჩხაბავი** — სულხან-საბას განმარტებით „ავად მწერალი“ (შდრ.: ავი „არაკეთილი... ავ ითქმის კაცისა ბოროტისა...“); ხოლო **მჩხიბავი** საბას განმარტებით არის „გრძნებით შემკრავი“, **ჩხაბვა** „ავი წერა“, **ჩხიბვა** „გრძნებით შეკვრა“, **ნაჩხიბი** „გრძნებით შესაკრავი“... (საბა 1993); **დაჩხიბული** „გრძნეული“ (სარჯველაძე 1995).

მაგრამ ამ სიტყვებმა დროთა განმავლობაში ცვლილება განიცადა: ენაში **მჩხაბავი** და **მჩხიბავი** გაიგივდა. 1997 წელს გამოცემულ „ქართულ პალეოგრაფიაში“, რომლის ავტორები არიან კორნელი დანელია და ზურაბ სარჯველაძე, ვკითხულობთ: „გადამწერის მნიშვნელობით (უფრო, ცუდად გადამწერისა! ოღონდ ზოგჯერ ეს თავმდაბლობით იყო ნათქვამი) იხმარებოდა **მჩხრეკელი (მჩხრეკალი)** და **მჩხიბავი, მჩხაბავი**. ხოლო თვით არასათანადო, ნაჩქარევ ან ულამაზო წერას **ჩხრეკა** და **ჩხიბვა (ჩხაბვა)** ერქვა“ (დანელია, სარჯველაძე 1997: 282).

ავტორები ეყრდნობიან 1978 წელს ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომს „ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები“, რომლის ავტორიც ამავე ინსტიტუტის თანამშრომელი მზია სურგულაძეა. ამ ნაშრომში თავმოყრილია და მეცნიერულად არის შესწავლილი ძველი ქართული (როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური) მწერლობის ძეგლებში (აგრეთვე, ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში) დაცული პალეოგრაფიული ტერმინები.

აი, რას ვკითხულობთ ამ ნაშრომში: „**ჩხიბვა // ჩხაბვა**. მე-17-18 საუკუნეების ხელნაწერ ანდერძებში გვხვდება ტერმინები: „**ჩხიბვა // ჩხაბვა**“, მაგალითად 1718 წელს გადაწერილი მეტაფრასის ანდერძში ვკითხულობთ: „ლოცვა ყავთ მამისა ეფთვიმესათვის, რომელმან ესე თარგმნა, არამედ ბილწისა და

არაკეთილის, ფრიად ცოდვილის ხუცეს-მონაზონის, ამის **მჩხაბავის** არსენისათვის... ლოცვა ყავთ, ნუ მწყევთ, ძმანო, რამეთუ გამოუცდელი ვიყავ წერასა...“ (მ. სურგულაძე 1978: 24). თვით წერის პროცესს ეწოდებოდა **ჩხაბვა**: „მე, ყოვლად უღირსმან მონაზონმან გრიგოლ, **დავჩხაბე** სამღვდელმთავრო საგალობელი...“ (იქვე).

უფრო იშვიათად ეს ტერმინი შეიძლება განსხვავებული ფორმით შეგვხვდეს: **ჩხიბვა**, **მჩხიბავი**. ეს ფორმები გვხვდება XVII საუკუნით დათარიღებული სახარების გადამწერის მინაწერში: „ღმერთო, შეიწყალე ამის სიბერის დროს **მჩხიბავი** მთავარეპისკოპოსი ევდემონ...“ და 1800-1801 წელს ხელნაწერის გადამწერის ანდერძში: „მე, მღვდელმა დავით **ვჩხიბე** სარწმუნოების წიგნი ესე...“ (მ. სურგულაძე 1978: 25). თუმცა საბასთან **ჩხიბვასა** და **ჩხაბვას** განსხვავებული შინაარსი აქვთ, მაგრამ ზემომოყვანილი მაგალითები მოწმობენ, რომ მათ შორის ასეთი მკაცრი სემანტიკური ზღვარი არ არსებობდა, — შენიშნავს მზია სურგულაძე, — ყველაზე ადრეულ ძეგლს, რომელშიც ხსენებული ტერმინი დასტურდება, წარმოადგენს XIII საუკუნის ეტრატის გრაფილი. ამ ხელნაწერის კიდევ მიწერილია: „ამისა **მჩხიბავსა** გაბრიელსა შეუხდენ ღმერთმან“... ამ მაგალითში ტერმინის ადრეული სახე უნდა იყოს დაცული (მ. სურგულაძე 1978: 25).

მართლაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში **ჩხიბვა** და **ჩხაბვა**, თავისი მიმღებობით, სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვებად არის მიჩნეული: **ჩხაბვა** ნიშნავს „ავ წერას“, **მჩხაბავი** — „ავად მწერალს“; ხოლო **ჩხიბვა** — „გრძნებით შეკვრას“, **მჩხიბავი** — „გრძნებით შემკვრავს“.

**ჩხიბვის** სინონიმებად ძველ ქართულში დასტურდება გრძნება, მოგუობა, მისნება, ჯადუქრობა... **მჩხიბავის** — მოგვი, მისანი, ჯადოქარი, გრძნეული...

**ჩხიბვა** საერთო-ქართველური ძირია და ნიშნავს „ხლართვას“, სვანურში მას შეესატყვისება ლი-შხბ-ი (\* < ლი-შხებ-ი), რაც უღრის „კერვას“ (გ. მაჭავარიანი 1965: 58).

კერვა, ისევე, როგორც ჩხიბვა, ძველ ქართულში გრძნეულ, მაგიურ მოქმედებას გამოხატავდა... ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში „გრძნებით შეკვრის“ ერთ-ერთ საშუალებად მაგიური ნახატების შესრულება იყო მიჩნეული (ბარდაველიძე 1953:154).<sup>1</sup>

წარმართულ ხანაში ჩხიბვა, ისევე როგორც კერვა, გარკვეულ მაგიურ მოქმედებას, აქტს გამოხატავდა, ამიტომაც, ქრისტიანული მწერლობის ძეგლებში **მჩხიბავი** ცრუს, მატყუარასა და ბოროტების მომტანს ჰქვია, — აღნიშნავს

<sup>1</sup> საინტერესოა, რომ ჯავახურ დილაქტში არის **ნუსხა** სიტყვა, რომელიც, გრიგოლ ბერიძის განმარტებით, იგივე ნუსხაა: „**ნუსხა (ნუსხა)** სამკუთხად გაკეთებული ფიგურა, შიგ ჩადებულია შელოცვილი ნივთები და საქონელს კისერზე აქვს, რომ ავმა თვალმა არ დაცადოს (ბერიძე 1981) (შდრ.: **ნახიბი** „გრძნებით შესაკრავი“).

მ. სურგულაძე, — ასეთი მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას პოლობიოს ეპისკოპოსის ეპიტაფანე კვიპრელის ცხოვრებაში: „... არა ვიდრე ხვიდე ამიერით, არცა დასჯდე, არცა მშვიდობით იყო, ვიდრემდე არა მომცე ვეცხლი ჩემი **მჩხიბაო** ეპიტაფანე...“

ავის განმზრახველს, ცრუსა და რჯულის შემცოდეს ნიშნავს **მჩხიბავი** შემდეგ კონტექსტშიც: „ხოლო სახარებანი იგი ბასრობით ეტყვიედ მათ: შეცდომილ ხარ სამე და წარწყმედილ, უკუეთუ ნანდვილ ჰგონებთ, ვითარმედ მჩხიბავისა იმის მიერ ბოროტი რაიმე მოიწია თქუენ ზედა“...

„საინტერესოა, როგორ გაიაზრება ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში **„ჩხიბვა“** (ან **ჩხაბვა**), როგორც პალეოგრაფიული ტერმინი, — წერს მზია სურგულაძე, და იქვე კვლევის შედეგს გვამცნობს: — ამ ტერმინებმა დაიცვა ერთი მხრივ ძველი, „წერის“ მნიშვნელობა; მეორე მხრივ კი, დაუმატა უფრო გვიან შექმნილი აზრი: „ცრუ, მატყუარა“. ასე, რომ ნიშნავს ცრულ წერას, ცუდად წერას, „ავად წერას“ ( მ. სურგულაძე 1978: 26).

ირაკლი სურგულაძის შენიშვნით, **„მაგიურ მხატვრობასთან დაკავშირებული სიტყვები დამწერლობის მქონე ხალხთა ენებში წერის პროცესის გამომხატველ ტერმინებად იქცა. ამ რიგის სიტყვებს მიეკუთვნება, როგორც ჩანს, ჩხიბვაც“** (ი. სურგულაძე 1986: 33).

ფიქრობთ, სიტყვა **ნუსხვის** სემანტიკური ცვლილება განაპირობა მისმა გამოყენებამ სიტყვა **ჩხაბვის** სინონიმად და, შესაბამისად, ერთ-ერთი მიზეზი **ნუსხვის** ახალი მნიშვნელობის — **მონუსხვა** — „მოჯადოება, მოხიბვლა“<sup>1</sup> განვითარებისა უნდა იყოს **ჩხაბვა — ჩხიბვის** სემანტიკური აღრევა.

საყურადღებოა, რომ დღეს **მონუსხვის** სინონიმებად არსებული სახელები ძირითადად ერთი პრინციპითაა ნაწარმოები: უცხო ენიდან ნასესხებ სიტყვებზე **მო-** ზმნისწინის დართვით. შდრ.: **მოჯადოება** < თურქ. ჯადო; **მოხიბვლა** < სპარს. ხაბალ//ხიბალ „ჯადო, გრძნება“; მათი ანალოგიით, მათ მსგავსად უნდა იყოს ნაწარმოები სიტყვა **მონუსხვაც (მო-ნუსხვა)**: < არაბ. ნუსხაჰ.

სიტყვის მნიშვნელობათა პოლარიზაცია (სიტყვათა მნიშვნელობების ცვლა — ურთიერთსაპირისპირო, ურთიერთგამომრიცხავი, სრულიად განსხვავებული მნიშვნელობების მიღება) ბუნებრივია ენისათვის, მით უფრო, თუ ეს სიტყვა სხვა ენიდანაა შემოსული. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ბ. ფოჩხუას მოსაზრება (დასკვნა) სიტყვა **ლამაზის** სემანტიკური ცვლილების შესახებ, მოგვყავს საკმაოდ მოზრდილი ამონარიდი:

**„ლამაზ-** ფუძე არაბულიდან მომდინარეობს და მისგან ნაწარმოები **ლამაზობა** „ეშმაკობის, სიცრუის, თვალთმაქცობის“ მნიშვნელობით იხმარებოდა ვისრამიანში: „*მე ლამაზობასა და უსირცხვილობასა ნუ მასწავლი*“... „*მზე ხარ*

<sup>1</sup> შდრ. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“: **მონუსხავს** „მოჯადოებს, მოხიბლავს, ნებისყოფას მოუღუწებს, დაიმორჩილებს“ (ქეგლ V, 1956).

კეკლუცთა და არამცა მოვაცთუნვა სიკეკლუცემან. ღმრთისა განგება თავსავე ზელა ქმნილა შენთჳს, ეგე ეგ ზომი უსარგებლო სიტყვა რასალა გერგების? და-ავდე სიჭრელე შენი და **ლამაზობა**“; „რა მუნებურნი დედანი მამათა პირსა უზუნებენ, მაშინვე გულსა წაუღებენ მათითა თმითა, პირითა მშუენიერითა და **ლამაზობითა**“.

ამ ფრაზებში **შუენიერი, სიკეკლუცე** სიტყვების გვერდით ხმარების გამო **ლამაზობა** სიტყვამ განივითარა „თვალთმაქცობის“ მომიჯნავე ელფერი – „მომხიბლაობისა“, „სიკეკლუცისა“ („კონტაობისა“).

ეს კარგად ჩანს „ვეფხისტყაოსანში“: „რა გათენდა, შეეკაზმა მისთა მჭვრეტთა **სალამაზოდ**“, ე. ი. **მოსახიბლაოდ**. „(ნავროზობას) დავიწყებთ კაზმასა, **ლამაზობასა**“... აქაც **ლამაზობა** აღარაა მკვეთრად უარყოფითი ელფერის სიტყვა და აღარ ნიშნავს „სიცრუეს“, „თვალთმაქცობას“; „მე შემომხედის **ლამაზად** მის მელნის ტბისა თვალითა“; სადაც **ლამაზად** = **კეკლუცად**...

**არა მხოლოდ სიტუაციამ, რეალურმა კონტექსტმა, არამედ, აგრეთვე, გარემომცველმა სიტყვებმა, ენობრივმა კონტექსტმა — შუენიერი, სიკეკლუცე, ტურფა, ლალი — სიტყვებმა უბიძგეს ლამაზ-ფუძეს მიეღო ბოლოსდაბოლოს ის მნიშვნელობა, რაც დღეს აქვს**“ (ფოჩხუა 1974: 302).

ე.ი. მნიშვნელობის ამგვარ ცვლას ხელი შეუწყო სიტყვის ხშირმა ხმარებამ გარკვეულ კონტექსტში.

იგივე შეიძლება გავიმეოროთ **ნუსხვა** სიტყვის შესახებაც: გარკვეულ კონტექსტებში მისმა ხშირმა ხმარებამ, კერძოდ, **ჩხიბვა // ჩხაბვა** ტერმინების სინონიმებად გამოყენებამ, მას უარყოფითი ელფერით უცვალა მნიშვნელობა: „გრძნებით შეკვრა, მოჯადოება, მოხიბვლა“. ეს ახლებური მნიშვნელობა და იერი, — ბიძინა ფოჩხუას სიტყვებით რომ ვთქვათ, — ამ სიტყვას „კონტექსტმა, ხშირად ხმარებულმა სიტყვებმა „გადასდო“, „დამართა“... ლექსიკოლოგიური სინტაგმატიკის სფეროს მიეკუთვნება სიტყვის მნიშვნელობის ისტორიის კვლევაც, როდესაც მნიშვნელობის ცვლას ბიძგს აძლევს სათანადო სიტყვის რეგულარული ხმარება გარკვეულ კონტექსტში.

ყურადღებას იქცევს ერთი გარემოებაც: **ნუსხვას** ჰქონდა ნეიტრალური (დადებითი) მნიშვნელობა და შეიძინა უარყოფითი; ხოლო მისი დღევანდელი სინონიმები (მოჯადოება, მოხიბვლა) კი, პირიქით, — ენაში სწორედ უარყოფითი მნიშვნელობის მატარებლები იყვნენ, და მიიღეს ახალი, გადატანითი მნიშვნელობა „მოწონება-აღფრთოვანების, აღტაცების“ აღსანიშნავად.<sup>1</sup>

<sup>1</sup> საინტერესოა ისიც, რომ მათი (მოჯადოების, მოხიბვლის, მონუსხვის) ქართული შესატყვისები: — აღ-ფრთოვან-ება, აღ-ტაცება — უფრო ამაღლებული, ზე აწეული, სულიერი, ფაქიზი განწყობის გამომხატველია და მას არ ახლავს ის უარყოფითი ნიუანსი [რალაცა (არაკეთილი) ძალის გავლენა, მორჩილება], რაც ასე ნიშნულია, მისი უცხოენოვანი, მაგრამ უკვე გაქართულებული, სინონიმებისათვის.



### ლიტერატურა

- აბულაძე 1973** — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.
- ბარდაველიძე 1953** — ვ. ბარდაველიძე, სვანური საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბილისი.
- ბერიძე 1981** — გ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი.
- დანელია, სარჯველაძე 1997** — კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, თბილისი.
- მაჭავარიანი 1965** — გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი.
- სარჯველაძე 1995** — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.
- სულხან-საბა 1991, 1993** — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, II, თბილისი.
- ი. სურგულაძე 1986** — ირაკლი სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბილისი.
- მ. სურგულაძე 1978** — მზია სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბილისი.
- ფოჩხუა 1974** — ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი.
- ქეცელ V, 1956** — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ.V, თბილისი.
- ჯავახიშვილი 1974** — ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბილისი.

### NINO KHAKHIASHVILI

#### Towards the semantics of the word *nusxa*

#### S u m m a r y

According to GED: "*nusxa*<sup>1</sup> 1. is the same as "list...2. the same as "timetable/grid"; *nusxa*<sup>2</sup> in dialects (Imer., Gur.) "magic (object), talisman"...*nusxa*<sup>3</sup> "joined up/cursive handwriting..." (GED, V, 1956). Also: *nusxav-s*<sup>1</sup> "smb has listed smth; "list of smth", "listing, enumerating"; *nusxav-s*<sup>2</sup> in dialects (Imer., Gur.) "hypnotized", "will hypnotize smb", "is bewitching, enchanting, casting a spell on smb/smith". In Iia Abuladze's dictionary of old Georgian *nusxva* is explained as "copying", *nusxa* "copy".

A term *nusxa* is originated from Arab – notes Ivane Javakhishvili in his work "*Georgian paleography*", – even in Arabian *nusxah* denotes "an origin manuscript, original texts". But then it obtained a meaning of copying. Sulxhan-Saba explains *nusxa* as "smth fast described (fast written)". Saba's words and explanation is noteworthy from the standpoint of the fact that it simplifies us to understand one term of "*nusxa khutsuri*" script – "medieval Georgian alphabet", that was a name for "a curved *khutsuri* handwriting" – notes Iv.Javakhishvili.

A term *nusxva* denoted action (witting) a fulfiller of what was called *mnusxveli* – "a lister/copyist/transcriber". Besides a verb *nusxva* there occurred a verb *danusxva* "making a rough draft" which denoted "copying". An origin text in draft form was called *danusxuli* "a draft text". Apart from *danusxuli* "a draft text" a term "fast writing" was used, as well. Also *cxreka* and *dacxreka* "writing" (*mcxrekali* – "a badly writer"), *cxabva* "scrawling/scribbling" and originated-from-it *mcxabav-i* "a badly writer" was used.

A badly-writer called itself *mcxabavi* "a badly-writer", though one did it because of humility. Since the 13<sup>th</sup> c. a term *mcxibavi* with the same meaning has been confirmed.

According to Sul Khan-Saba's explanation *mcxabavi* means "a badly-writer", *mcxibavi* – "witchcraft, evil spirit, magician", *cxabva* – "badly handwriting", *cxibva* – "witch-crafting, casting spells".

Over the times, these words underwent changes. In the language the terms *mcxabavi* "a badly-writer" and *mcxibavi* "witchcraft, evil spirit, magician" have been equalized: *mcxrekeli(mcxrekali)*, *mcxibavi*, and *mcxabavi* were used with the meaning of "a copyist" (mainly, "a bad copyist", and occasionally it is used because of humility); *cxreka* and *cxibva* denoted "fast, ugly writing".

In pagan era *cxibva* like *kerva* "sewing" expressed a kind of magic action. In the languages of the peoples having a writing system (script) the words which had been linked to magic painting, turned into the term denoting a writing process. The words *cxibva* and *nusxva* which were used as synonyms in old Georgia are attributed to this kind of words.

One of the reasons of a new semantics of *nusxva* – *monusxva* "bewitching, enchanting, casting a spell on smb/smth" (cf. Georgia Explanatory Dictionary": *monusxavs* "will bewitch, enchant, and cast a spell on smb/smth") should be a semantic mixing of *cxabva-cxibva*. Frequent using of *nusxva* in certain contexts, namely synonymic using of *cxibva/cxabva*, negatively changed its meaning: "bewitching, enchanting, casting a spell on smb/smth".

ნინო ჯორბენაძე

**-ავ თემისნიშნიანი საშუალო გვარის ზმნათა  
სემანტიკისა და ნორმატიულობის საკითხისათვის**

საშუალო გვარის ზმნებში თემის წარმოების მიხედვით 6 ჯგუფი შეიძლება გამოიყოს; ესენია:

1. **-ებ თემისნიშნიანი ფორმები:** ჭიკჭიკებს, ხარხარებს, ფარფატებს, ჭანჭყარებს, კაკანებს, ჯიჯღინებს, ბრტყვიალებს, მოქმედებს, ამოქნარებს;
2. **-ობ თემისნიშნიანი ზმნები:** ლაპარაკობს, დარაჯობს, ლოცულობს, ცურაობს;
3. **-ავ თემის ნიშნით ნაწარმოები ფორმები:** ცურავს, ყინავს, სძინავს;
4. **-ი თემისნიშნიანები:** მიდის, კოცნის, ბარდნის;
5. **ფუძედრეკადი ზმნები:** თვლემს, რქენს, უცქერს;
6. **უთემისნიშნო ფორმები:** ა) აწმყოში -ი გახმოვანებით: ზის, ქრის, მღერის, ბზუის, იცინის, ეძახის, იძახის; ბ) აწმყოში გაუხმოვანებელი: წევს, თოვს, ახსოვს, უყვარს;

-ავ თემის ნიშანი, ზოგადად, ძალიან გავრცელებული მაწარმოებელია და ამ მხრივ არც საშუალო გვარის ზმნებია გამონაკლისი — აღნიშნული სუფიქსი აქ -ებ და -ობ თემის ნიშნების შემდეგ ყველაზე ხშირად გამოიყენება. -ავ თემისნიშნიანი საშუალო გვარის ზმნათა რაოდენობა თანამედროვე ქართულში 100-ს აჭარბებს.

-ავ თემისნიშნიანი საშუალო გვარის ზმნებში მეტად საინტერესო სემანტიკური ჯგუფები გამოიყოფა:

ა) **მოძრაობის გამომხატველი ზმნები**

1) **გაჭირვებით, ოთხით გადაადგილების, ხოხვის აღმნიშვნელი ფორმები:** (მი)ბობლავს, ბორღლავს, თოთხავს, (მი)პორტყავს, (მი)ფორთხავს, (მი)ფოფხავს, (მი)ლოღავს, (მი)ჩოჩხავს, (მი)ცოცავს, (მი)ხოხავს (ერთი ფუძისაგან უნდა იყოს მიღებული: **ბორღლავს / პორტყავს / ფორთხავს; ბობლავს / ფოფხავს**);

2) **ერთ ადგილზე მოძრაობის გამომხატველი ზმნები:** ბორგავს, ბრუნავს, ბუქნავს, გორავს, კოტავს, როკავს, ტოკავს, ცმუკავს, ცმუტავს, ცქმუტავს, ხტუნავს;

3) **სითხის მოძრაობის (დაბალი ინტენსივობით) აღმნიშვნელი ფორმები:** ყონავს, ღვეთავს, წვეთავს;

**ბ) სმაბაძვითი, გარკვეული ხმინობისა და ზოგ ფორმასთან ამავდროულად სხვადასხვა სულიერი მდგომარეობის (უმეტესად, ნეგატიური, მწუნხარების) გამომხატველი ზმნები:**

*ბღღვინავს, ბრღვინავს, ბრღღვინავს, გმინავს, გრგვინავს, დვრინავს, დრტვინავს, კუთავს, ფთვინავს, ფშვინავს, ქსინავს, შფოთავს, ჭმუნავს, ჭრინავს;*

**გ) ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი ფორმები:**

*თქორავს, თინჯლავს, თინჯლავს, ფიფქავს, ქირსლავს, ქროლავს, ღვაფავს, ყინავს, მზუმფლავს, ხოშკაკლავს;*

**დ) ნათების შინაარსის გამომხატველი (შუქის გამოცემის ინტენსივობის მიხედვით განსხვავებული) ზმნები:**

*ბღვინავს, ბჟუტავს, ჟოლავს, ჩუჟავს;*

**ბ), გ) და დ) ჯგუფების (ანუ სმაბაძვითი, ბუნების მოვლენებისა და ნათების შინაარსის გამომხატველი) ფორმები** ძირითადად დიალექტურია, თუმცა განმარტებითი ლექსიკონში დადასტურებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს უბრალო დიალექტიზმები კი არ არის, არამედ — ამა თუ იმ მწერლის ენაში ხმარებული ფორმები, რომლებიც შესაძლებელია დამკვიდრდეს სალიტერატურო ენაშიც. ასეთი ფორმები კვლევის დროს გასათვალისწინებელია, განსხვავებით სხვა ტიპის დიალექტიზმებისაგან, რომლებიც არაა შეტანილი განმარტებით ლექსიკონში. მაგრამ მხოლოდ სალიტერატურო ქართულში ფართოდ გავრცელებულ ფორმებს თუ გავითვალისწინებთ, -ავ თემისნიშნიან ზმნებში ჩვენ მიერ აღნიშნული რ ჯგუფიდან სამი დარჩება; ესენია: **ერთ ადგილზე ან გაჭირვებით**, ასევე **სითხის მოძრაობის** აღმნიშვნელი ფორმები. გარდა ამისა, ზემოთ აღნიშნულ ე. წ. „დიალექტურ“ ფორმებშიც მსგავსი სემანტიკა გვაქვს:

1. „ბ“ ჯგუფის ზმნებში სხვადასხვა სულიერი მდგომარეობის გამოხატვასთან ერთად ამავდროულად ერთ ადგილზე ბორჯვა, ტრიალი, შფოთვა იგულისხმება: *ბრღღვინავს, გრგვინავს, დრტვინავს;*

2. „გ“ ჯგუფის ფორმებიც, ძირითადად, დაბალი ინტენსივობის, გაჭირვებით მოძრაობის (და ამავდროულად, ბუნების მოვლენების) აღმნიშვნელი ზმნებია: *თინჯლავს, ფიფქავს, ყინავს;*

3. „დ“ ჯგუფის ფორმებითაც ასევე დაბალი ინტენსივობის მოქმედება, კერძოდ, შუქის გამოცემის სემანტიკაა გამოხატული: *ბჟუტავს, ჟოლავს...*

**ამის მიხედვით შეიძლება საშუალო გვარის ზმნებში თემის ნიშნების გამოყენებასთან დაკავშირებით გარკვეული კანონზომიერებაც დავადგინოთ:**

ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული რ ძირითადი ჯგუფიდან (თემის მიხედვით ზმნათა განაწილება გვაქვს მხედველობაში) ძირითადია ოთხი: **-ებ**, **-ობ**, **-ავ** თემისნიშნიანი და **უთემისნიშნო** ფორმები. **-ი** თემისნიშნიანი და **ფუძედრეკადი** ფორმები რაოდენობრივადაც ცოტაა და მათში ასეთი აშკარა, საერთო სემანტიკის მქონე ჯგუფების გამოყოფაც ძნელდება. დარჩენილ ოთხ ჯგუფში შემავალი ფორმები კი ერთმანეთთან თემის წარმოების გარდა სტრუქტურულ-სემანტიკურადაც სხვაობენ:

1. -**ებ** თემისნიშნისანი ფორმები ძირითადად **ფუძეგაორკეცებული, სხვა-დასხვა ზმიანობის, ასევე შინაგანი მოქმედების** (თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ) გამომხატველი ფორმებია: *ბუტბუტებს, ჭიკჭიკებს, გიზგიზებს, ცანცანებს, ძივივებს, ჯიჯივებს*;

2. -**ობ** თემისნიშნისანი ფორმები ძირითადად **ნასახელარი** ზმნებია, რომელთაც სხვადასხვა შინაარსის გამონათვა აკისრიათ... ახლა ამაზე აღარ შევაჩერებთ ყურადღებას (ციგა — **ციგობს / ციგაობს** ტიპის დაპირისპირება გვაქვს მხედველობაში); აქვეა **ა[ვ]-ობ** დაბოლოებით ნაწარმოები მრავალგზისი, ინტენსიური მოქმედების აღმნიშვნელი ფორმებიც (**ცურაობს** ტიპისა);

3. **უთემისნიშნო** ზმნები გარკვეული **ზმიანობის** გამომხატველი ფორმებია: *ივინის, ყვირის, კვნისის, ტირის, ხენვის, ღნავის, ჭყვივის, ყმუის, ზმუის, ბლავის, ჩხავის, მღერის*;

4. -**ავ** თემისნიშნისანი ფორმებში, როგორც წესი, **ერთ ადგილზე მოძრაობის** აღმნიშვნელი ზმნები შედიან, რომელთაგან სემანტიკურად შემდეგ **გაჭირვებით სიარულის, ცოცვის, ხოხვის** მნიშვნელობის გამომხატველი ფორმები უნდა მიგველო...

\* \* \*

რაც შეეხება უღლებას, ზოგადად, -**ავ** თემისნიშნისანი ზმნები საშუალო გვარის მედიოაქტივ ზმნათა უღლებას მიჰყვება: მყოფადში -**ავ** თემის ნიშანს -**ებ**-ით იცვლის, მყოფადისა წრისა და II სერიის მწკრივებს **ი-** პრეფიქსით აწარმოებს.

ამ უღლებას მიჰყვებიან ფორმები: *ცეკვავს, ზრუნავს*;

2. ზოგ ფორმას უჭირს მწკრივთა წარმოება, მაგ. *ყინავს (ის)*;

3. ერთი წყება ზმნებისა მწკრივების საწარმოებლად **ი-** პრეფიქსის ნაცვლად ზმნისწინს მიმართავს. ასეთი ფორმებია: *ჟონავს — გაჟონავს — გაჟონა — გაუჟონავს*.

უღლების მხრივ საინტერესო ვითარებას გვიჩვენებენ **გაკურცხლავს, გაქუსლავს** ზმნები. ამათ აწმყოს წრის ფორმები არ მოეპოვებათ; სამაგიეროდ, ჩვეულებრივად აწარმოებენ სხვა მწკრივებს, მათ შორის — III სერიისასაც.

რატომ არა აქვთ ამ ფორმებს აწმყო? (სავარაუდო **\*კურცხლავს, \*ქუსლავს** არ დასტურდება). რადგან ეს ზმნები მხოლოდ ზაზოვანი, ერთი წერტილისკენ მიმართული მოძრაობის გამომხატველი ფორმებია, მათ აწმყოშივე სჭირდებათ ზმნისწინი (შდრ. *მიღის, მირბის*). ამიტომ აწმყოსა და მყოფადს შორის სხვაობის დასამყარებლად სხვა საშუალება უნდა გამოიძებნოს. წინააღმდეგ შემთხვევაში (თუ ეს ასე არ მოხდა), ომონიმის თავიდან ასაცილებლად დარჩება უფრო აქტუალური, მყოფადის ფორმა (გარდა ამისა, არაა დიდი საჭიროება ამათი აწმყოს წრის მწკრივების არსებობისა, თორემ შეიძლებოდა *მირბის* ფორმის მსგავსად წარმოებულყო: **\*გა-ქუსლ-ავ-ს** (აწმყ.) — **\*გა-ი-ქუსლ-ებ-ს** (მყოფ.); შდრ.: *მი-რბ-ი-ს — მი-ი-რბ-ენ-ს*).

\* \* \*

ნორმათა დადგენის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს წარმოშობით ფუძედრეკადი ზმნების — **ბზინავს, ბრდღვინავს, ფრინავს, ფშვინავს, ხვრინავს** — უღლება. როგორ არის მოცემული აღნიშნული ფორმები ლექსიკონებში:

**განმარტებითი ლექსიკონი**

<b>ბრდღვინავს</b> — იყენ. <b>იბრდღვინა</b> — <b>უბრდღვინია</b>	<b>ბრდღვინვა</b>
<b>ფრენს</b> // <b>ფრინავს</b> იყენ. <b>იფრინა</b> — <b>უფრენია</b>	<b>ფრენა</b> // <b>ფრინვა</b>
<b>ფშვინავს</b> — მხოლოდ...	<b>ფშვენა</b> ( <b>ფშვენს</b> ) // <b>ფშვინვა</b>
<b>ხვრინავს</b> — <b>იხვრინა</b> — <b>უხვრინია</b>	<b>ხვრენა</b> // <b>ხვრინვა</b>
<b>ბზინავს</b> — მხოლოდ აწყყ.	<b>ბზენა</b> // <b>ბზინვა</b>

**ორთოგრაფიული ლექსიკონი**

**ბრდღვინავს** — **იბრდღვინებს** — **უბრდღვინია**  
**ფრენს** // **ფრინავს** — **იფრინა** — **უფრენია**  
**ფშვინავს** - -----  
**ხვრინავს** — **იხვრინა** — **უხვრენია**  
**ბზინავს** - ----- (**//ბზენა**) — **ბზინვა**

ჩვენი აზრით, **უბრდღვინია, უხვრინია** ფორმები **უბრდღვენია, უხვრენია** წარმოებით უნდა შეიცვალოს (როგორც ქველის **უხვრინია** შეიცვალა შემდეგ ორთოგრაფიულში **უხვრენია** ფორმით). ასეთი წარმოებაა გავრცელებული სასა-უბრო მეტყველებაშიც. აღნიშნულ ზმნათა პარადიგმა აქ ასეთი სახისაა:

**ბრდღვინავს** — **იბრდღვენს** — **იბრდღვინა** — **უბრდღვენია**  
**ფრინავს** — **იფრენს** — **იფრინა** — **უფრენია**  
**ფშვინავს** — **იფშვენს** — **იფშვინა** — **უფშვენია**  
**ხვრინავს** — **იხვრენს** — **იხვრინა** — **უხვრენია**

ჩვენი აზრით, ასეთი წარმოება უფრო მართებულია გრამატიკულადაც და გავრცელებულია დღევანდელ მეტყველებაში.

რაც შეეხება **ბზინავს** ფორმას, მისი უღლება ასეთი სახისაა:

**ბზინავს** — **იბზინებს** — **იბზინა** — **უბზენია**

აღნიშნულ ფორმებს შორის განსხვავება მყოფადის წრის წარმოებაშია: პირველი ოთხი ფორმა ე გახმოვანებით იხმარება, ხოლო ბოლო (**ბზინავს**) კი -ი -თი. რა უნდა იყოს ამის მიზეზი? ჩვენი აზრით, **ბრდღვინავს, ფრინავს,**

**ფშვინავს, ხვრინავს** ზმნათა უთემისნიშნო ვარიანტები (*ბრდღვენს, ფრენს, ფშვენს, ხვრენს*) უფრო აქტიური ხმარებისა იყო (მაგ.: **ფრენს** ფორმა **ფრი-ნავს** ფორმის პარალელურად ქველში და ორთოგრაფიულშიც არის დამოწმებული) და ალბათ -ავ თემის ნიშანი მათ შედარებით გვიან დაირთეს; განსხვავებით **ბზინავს** ფორმისაგან, რომლის **ბზენ** ვარიანტი ფაქტობრივ არ გვხვდება, ამიტომ ის სხვა -ავ თემისნიშნის ფორმების მსგავსად აწარმოებს მწკრივებს: **ბზინავს — იბზინებს — იბზინა**.

მაშასადამე, ჩვენი აზრით, პარადიგმა ასე უნდა გასწორდეს:

**ბრდღვინავს — იბრდღვენს — იბრდღვინა — უბრდღვენია**

**ფრინავს — იფრენს — იფრინა — უფრენია**

**ფშვინავს — იფშვენს — იფშვინა — უფშვენია**

**ხვრინავს — იხვრენს — იხვრინა — უხვრენია**

**ბზინავს — იბზინებს — იბზინა — უბზენია**

-ავ თემისნიშნის ზმნათა უღლებიას დგება სხვა სახის ნორმატიული საკითხებიც: II-III სერიის წარმოებისას ერთმანეთში ირევა **გორავს** და **გორა-ობს** ფორმათა პარადიგმები — ერთი მწკრივის ფარგლებში გვაქვს პარალელური (თითოეულ ზმნასთან ცალ-ცალკე) ვარიანტები:

II სერია

წყვეტ. **ი-გორ-ა / ი-გორ-ავ-ა**

II კავშ. **ი-გორ-ო-ს / ი-გორ-ა-ო-ს**

III სერია

I თურმ. **უ-გორ-ი-ა / უ-გორ-ავ-ი-ა**

II თურმ. **ე-გორ-ა / ე-გორ-ავ-ა**

III კავშ. **ე-გორ-ო-ს / ე-გორ-ა-ო-ს**

თუმცა ეს არცაა გასაკვირი, რადგან ორთოგრაფიულ ლექსიკონში გვაქვს, ერთი მხრივ:

**გორავს — გორავდა**

**გორაობს — იგორავა — უგორავია**

მაგრამ, ამავდროულად უ- ასო-ბგერაზე შემდეგი სურათი გვაქვს:

**უგორავია (გორავს)**

გვაქვს:

**ხტუნავს**

**ხტუნაობს**

**უნტუნავია**

საერთოდ არ გვაქვს უღლების ფორმები მოცემული ზოგიერთ ზმნასთან, მაგალითად: **ცურავს**

ხოლო განმარტებით ლექსიკონში ასეთი ვითარებაა:

**გორავ-ს** (იყენ. ნამ. ძირით. **იგორავა, თურმ. უგორავნია**)

**გორაობ-ს** (იყენ. ნამ. ძირით. **იგორავა, თურმ. უგორავნია**)

თუმცა, იმავე განმარტებითში სხვა ფორმასთან გვაქვს:

**ხტუნავ-ს** (იყენ. **იხტუნა, უხტუნია**)

**ხტუნაობ-ს** (იყენ. **იხტუნავა, უხტუნავია**)

ასევე:

**ცურავ-ს** (იყენ. **იცურა, უცურია**)

**ცურაობ-ს** (იყენ. **იცურავა, უცურავია**)

ჩვენ ვფიქრობთ, პარადიგმა განმარტებითი ლექსიკონის **ხტუნავს -ხტუნაობს, ცურავს — ცურაობს** ტიპის ზმნათა უღლების პარადიგმის მიხედვით უნდა გაიმართოს და მაშინ ის ასეთ სახეს მიიღებს:

I. გორ-ავ-ს

II. გორ-ა[ვ]-ობ-ს

II სერია

წყვეტ.	<b>ი-გორ-ა</b>	<b>ი-გორ-ავ-ა</b>
II კავშ.	<b>ი-გორ-ობ-ს</b>	<b>ი-გორ-ა-ობ-ს</b>

III სერია

I თურმ.	<b>უ-გორ-ი-ა</b>	<b>უ-გორ-ავ-ი-ა</b>
II თურმ.	<b>ე-გორ-ა</b>	<b>ე-გორ-ავ-ა</b>
III კავშ.	<b>ე-გორ-ობ-ს</b>	<b>ე-გორ-ა-ობ-ს</b>

ეს პარადიგმა მართებულია როგორც სტრუქტურული, ასევე სემანტიკური თვალსაზრისითაც. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **გორ-ავ-ს** ტიპის წარმოება სუბიექტის თვისებაზე, ამა თუ იმ უნარზე მიუთითებს ძირითადად (ბავშვი ცურავს — ცურვა იცის; შდრ.: ქველი-ს განმარტება: **ცურვა იცის**), ამიტომ ის ძირითადად აწმყოს მწკრივში იხმარება და სხვა მწკრივებში მისი გამოყენება ცოტათი ხელოვნურიც ჩანს (**იგორებს — იგორა — უგორია**), რაც არის, ალბათ, აღრევის მიზეზი.



## ლიტერატურა

**არაბული 1984** — ა. არაბული, მესამე სერიის ნაკვეთულთა წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულში, თბილისი.

**გოგოლაშვილი 1980** — გ. გოგოლაშვილი, -ავ ელემენტისანი მედიოაქტიურ ზმნათა შესახებ ქართულში, ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბილისი.

**გოგოლაშვილი 1984** — გ. გოგოლაშვილი, დრო-კილოთა II სერიის ფორმები ახალ ქართულში, თბილისი.

**გოგოლაშვილი 1988** — გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნის უღვლილესის სისტემა, თბილისი.

**გოგოლაშვილი, კვანტალიანი, შენგელია 1989** — გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია, ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონი, თბილისი.

**გოგოლაშვილი, არაბული, სუხიშვილი, მანჯგალაძე, ჭუმბურიძე, ჯორბენაძე 2011** — გ. გოგოლაშვილი, ა. არაბული, მ. სუხიშვილი, მ. მანჯგალაძე, ნ. ჭუმბურიძე, ნ. ჯორბენაძე, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა, (გიორგი გოგოლაშვილის საერთო რედაქციით), თბილისი.

**თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები 1970** — I, თბილისი.

**თოფურია 1936** — ვ. თოფურია, ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის, თსუ შრ., III, თბილისი.

**თოფურია, გიგინეიშვილი 1998** — ვ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

**მელიქიშვილი 2001** — დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღვლების სისტემა, თბილისი.

**ნოზაძე 1974** ლ. ნოზაძე, მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იკე, XIX, თბილისი.

**სუხიშვილი 1999** — მ. სუხიშვილი, გარდამავლობა, ერგატიულობა და გვარი ქართულში (სადოქტ. დისერტაცია), თბილისი.

**სუხიშვილი 2005** — მ. სუხიშვილი, სემანტიკისა და უღვლილესის პარადიგმის მიმართების შესახებ მედიოაქტიურ ზმნებში, იკე, XXXV, თბილისი.

**ქავთარაძე 1954** — ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი.

**ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1950-1964** — ტ. I-VIII, თბილისი.

**შანიძე 1930** — ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, I, მორფოლოგია, ტფილისი.

**ჩიქობავა 1968** — არნ. ჩიქობავა, ქართული ზმნის უღვლილესის სისტემის საკითხები, იკე, XVI, თბილისი.

**ჩიქობავა 1977** — არნ. ჩიქობავა, ზმნის გარდამავლობა, როგორც მო-  
რფოლოგიური კატეგორია ქართულში, იკეწ, IV, თბილისი.

**ჭუმბურიძე 1986** — ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბილისი.

**ჯორბენაძე 1975** — ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა  
და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბილისი.

**ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988** — ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბე-  
რიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი,  
თბილისი.

**ჯორბენაძე 1988** — ბ. ჯორბენაძე, თემის ნიშანთა განაწილებისათვის  
ქართულში, იკე, XXVII, თბილისი.

## NINO JORBENADZE

### Toward the issue of semantics and normative feature of the middle voice verbs with *-av* theme-marker

#### S u m m a r y

According to a theme formation six groups can be distinguished in the middle  
voice verbs. They are:

1. Forms with *-eb* theme-marker: *ჭიჭიჭებს, xarxarebs, parpaṭebs, čančqarebs, kaḳanebs, ჯიჯინებს, brčqvialebs, mokmedebs, amtknarebs...*; 2. Verbs with *-ob* them-  
marker: *laparaḳobs, daraḳobs, loculobs, curaobs...*;

3. Forms derived with *-av* theme-marker: *curavs, qinavs, szinavs...*;

4. With *-i* them- markers: *midis, ḳocnis, bardnis...*;

5. Verbs with root ablaut: *tvlems, rkens, uckers...*;

6. Forms without a theme-marker: a) in present with *-i*: *zis, kris, myeris, bzuis, icinis, eḳaxis, izaxis...*; b) in present without sounding: *čevs, tovs, axsovs, uqvars...*;

Of aforesaid six groups (distribution of verbs according to theme) four ones are  
basic: with *-eb, -ob, -av* theme markers and **without a theme marker**. The forms with *-i*  
theme marker and with **root ablaut** are quantitatively small and it is difficult to  
distinguish the groups having obvious, common semantics. Apart the theme formation  
the forms of the rest four groups are different from each other structurally and  
semantically:

1. The forms with *-eb* theme-marker basically express **stem-doubleness, different sound and internal action** (if it can be said so): *buṭbuṭebs, ḳiḳiḳebs, gizgizebs, caxcaxebs, zigzigebs, ჯიჯიჯებს...*;

2. The forms with *-ob* theme-marker are basically **denominative** verbs which  
express different content. The forms denoting an intensive action and which are formed  
by *a{v}-ob* ending (of *curaobs* type) are of same kind;

3. The verbs **without a theme-marker** express **a kind of sound**: *icinis, qviris, ḳvnesis, ṭiris, xvnešis, ḡnavis, čqivis, qmuis, zmuis, byavis, čxavis, myeris...*;

4. The forms with *-av* theme-marker basically express **the motion in one place**  
from which then the verbs denoting the content of hardly **walking, crawling** should  
have been derived.

**ტექნიკური რედაქტორი ლ. ვაშაკიძე**

**კომპიუტერული უზრუნველყოფა: თ. გაბროშვილი  
რ. გრიგოლია  
რ. შაბიაშვილი  
რ. რატიანი**